მოგზაურობა ბედნიერებისკენ

ხალიდ ოსეინი

თავი პირველი

შემოდგომა, 1952 წელი

კარგი, რადგან არ იშლით, ერთ ამბავს მოგიყვებით. ოღონდ იცოდეთ, მერე კიდევ არ მთხოვოთ. უკვე გვიანია და მე და ფარის წინ დიდი გზა გვაქვს. კარგად უნდა გამოიძინო, ფარი. აბდულა, შენ იცი, როგორ მიხედავ აქაურობას, სანამ მე და შენი და შინ არ ვიქნებით. დედაშენსაც შენი იმედი აქვს. ჰო, აბა, ახლა ორივემ ყურადღებით მომისმინეთ და არ შემაწყვეტინოთ.

დიდი ხნის წინ, როცა ქვეყნად დევები, ჯინები(ჯინი – ავი სული, მაქცია, გრძნეული.”აქ და შემდგომში ფარსი-დარის ენაზე ნათქვამ, ორიგინალში დახრილი შრიფტით გამოყოფილ სიტყვებს სქოლიოში ვურთავთ ქართულ მნიშვნელობებს (რედ. შენ.).) და გოლიათები სახლობდნენ, მაიდან საბზში, ერთ პატარა სოფელში, გლეხკაცი ცხოვრობდა. კაცს ბაბა(ბაბა – მამა.) აიუბი ერქვა. მას დიდი ოჯახი ჰყავდა შესანახი და დღე-ღამეს შრომაში ასწორებდა. ხნავდა, მიწას აბრუნებდა, უჯიშო ფსტის ხეებს კი პირდაპირ თავს ევლებოდა. როცა არ უნდა მოგეკითხათ, ყანაში ნახავდით ცელივით წელში მოკაკულს. დაკოჟრილი ხელები დასისხლიანებული ჰქონდა, ისე იღლებოდა, რომ ღამით, სანამ ბალიშზე თავს დადებდა, უკვე ეძინა.

მოგატყუებთ, თუ ვიტყვი, რომ ასე მხოლოდ აიუბი იტანჯებოდა. მაიდან საბზში ცხოვრება ერთნაირად მძიმე იყო ყველასთვის. როგორც ამბობენ, ჩრდილოეთის მდელოებზე უფრო ხვავიანი სოფლები ყოფილა გაშენებული, მსხმოიარე ხეხილის ბაღებით, სუფთა, ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ჰაერით და კამკამა, ცივი, მოჩუხჩუხე წყაროებით. მაიდან საბზი კი ერთი მივარდნილი, კლდეებით გარშემორტყმული ადგილი იყო. ცხელი ქარი ხალხს ცხვირ-პირში აყრიდა მტვერსა და ქვიშას. მოკლედ, თავის სახელთან – მწვანე მინდორთან – ამ სოფელს ვერაფრით დააკავშირებდით. წყლის მოსაპოვებლად ხომ ცალკე ომი ჰქონდათ ყოველდღე გადასატანი. ყველაზე ღრმა ქაშიც კი წყალი ფსკერზე იდგა. მდინარემდე ნახევარი დღე უნდა გევლოთ, მიხვიდოდით და ტალახიანი წყლის მეტი არაფერი შეგრჩებოდათ. ათწლიანი გვალვის შემდეგ ისიც დაშრობის პირას იყო. ასე რომ, მაიდან საბზის მკვიდრთ ორჯერ მეტი შრომა უწევდათ, რომ როგორმე ეარსებათ.

ბაბა აიუბს თავი მაინც იღბლიან კაცად მიაჩნდა, რადგან ამქვეყნად მისთვის ყველაფერზე ძვირფასი ოჯახი იყო. ცოლი უყვარდა და ხელი კი არა, ხმაც არ აუწევია არასდროს. მის რჩევებსაც ძალიან აფასებდა და სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. ღმერთმა ინება და იმდენი შვილი მისცა, რამდენი თითიც ჰქონდა ხელზე – სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ყველანი ძალიან უყვარდა. გოგონები სიკეთით, დამყოლი ხასიათითა და უმწიკვლო რეპუტაციით გამოირჩეოდნენ. ვაჟებმა კი მამისგან იცოდნენ პატიოსნების, მეგობრობის, სიმამაცისა და მძიმე ხვედრის უდრტვინველად ატანის ფასი; ემორჩილებოდნენ და მხარში ედგნენ ისე, როგორც ეს კარგ შვილებს მოეთხოვებათ.

აიუბს შვილები ძალიან უყვარდა, მაგრამ მაინც, მისი გულის რჩეული უმცროსი ვაჟი, სამი წლის ლურჯთვალა კაისი იყო. ბიჭმა ისეთი ეშმაკური

სიცილი იცოდა, გულგრილს არავის ტოვებდა. ზღვა ენერგია ჰქონდა და გარშემომყოფთ ქანცს აცლიდა. ფეხი რომ აიდგა, სიარული ისე მოეწონა, აღარ გაჩერებულა, მთელი დღე დადიოდა და დადიოდა… ბოლოს ძილში სიარულიც დაიწყო. მძინარე წამოდგებოდა, ალიზის ქოხის კარს გაიხურავდა და მთვარის შუქში გამოხვეულ წყვდიადში უჩინარდებოდა. რასაკვირველია, მშობლები წუხდნენ. რა ეშველებოდათ, ჭაში რომ ჩავარდნილიყო, ან ის არსება რომ გადაჰყროდა გზაზე, შუაღამისას მინდვრებში რომ დაყიალებდა? რითი არ უწამლეს, რა არ სცადეს, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს, როგორც იქნა, ბაბამ მარტივ გამოსავალს მიაგნო – თხას პაწაწინა ზარი მოხსნა და ბიჭს კისერზე შეაბა. ღამით, წამოიწევდა თუ არა კაისი საწოლიდან, ოჯახს ზარის ხმაზე ელვიძებოდა. დრო გავიდა და კაისმა ძილში სიარული შეწყვიტა, მაგრამ ზარის მოხსნაზე ვერაფრით დაიყაბულეს. მუშაობით დაქანცული აიუბი სახლში რომ ბრუნდებოდა, კაისი წკარუნ-წკარუნით გამოეგებებოდა ხოლმე. ბაბა ხელში აიტაცებდა და სახლში შედიოდნენ. მერე კაისი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ იბანდა ბაბა ხელებს, ბოლოს გვერდით მიუსკუპტებოდა და ვახშამსაც ერთად მიირთმევდნენ. ვახშმის შემდეგ აიუბი ჩაის წრუპავდა და თან თავისი ოჯახის ცქერით ტკბებოდა. იმ დროზე ოცნებობდა, როცა მისი შვილები დაოჯახდებოდნენ და დიდი მონაგარი ეყოლებოდათ. მაშინ კი იქნებოდა აიუბი მრავალრიცხოვანი ოჯახის ამაყი პატრიარქი.

ვაგლახ, რომ, ჩემო ფარი და აბდულა, აიუბის ბედნიერების დღეები დათვლილი იყო.

ერთ დღესაც მაიდან საბზში მთებიდან დევი ჩამოვიდა. მის ფეხქვეშ მიწა ზანზარებდა. სოფლელებმა ბარები, თოხები და ნაჯახები ადგილზე დაყარეს და სახლებში შეიკეტნენ. როდესაც დევის ნაბიჯების გამაყრუებელი ხმა შეწყდა, მაიდან საბზის ცას მისი ჩრდილი შავ ღრუბლად გადაეფარა. ამბობენ, ორი დაგრეხილი რქა ჰქონდაო თავიდან ამოჩრილი, მხრებს და ძლიერ კუდს, თურმე, შავი, ჯაგარივით თმა უფარავდა. კიდევ ამბობენ, თვალები წითლად უელავდაო. ზუსტად ვის ეცოდინება, მაგრამ ასე ამბობენ, იმ წუთში ჭამდა ყველას, ვინც გაბედავდა და თვალს შეავლებდაო. აბა, რაღა აახედებდათ ზევით სოფლელებს, საწყლები მიწას ჩაშტერებოდნენ.

ყველამ კარგად იცოდა, რისთვის დადიოდა დევი სოფლებში. კიდევაც უკვირდათ, ამდენ ხანს რომ არ მიიქცია მაიდან საბზმა მისი ყურადღება. ალბათ ჩვენმა სიღატაკემ გვიშველა, რადგან ჩვენს ბავშვებს მსუქანი ხორცი არა აქვთო, ფიქრობდნენ. ბოლოს მაინც უმტყუნათ

ბედმა.

მაიდან საბზს გააჟრჟოლა და სუნთქვა შეეკრა. ხალხი ღმერთს ევედრებოდა, რომ დევს მათი სახლის სახურავზე არ დაეკაკუნებინა. დააკაკუნებდა და ერთი ბავშვი უნდა მიეცათ. დევი ბავშვს ტომარაში უკრავდა თავს, ტომარას ზურგზე მოიგდებდა და იქ წაიყვანდა, საიდანაც მობრუნებული ბავშვი თვალით არასდროს არავის ენახა. არ მისცემდი ერთ შვილს და ყველას წაგართმევდა.

არავინ იცოდა, სად მიჰყავდა დევს ბავშვები. ალბათ თავის ციხესიმაგრეში, ძალიან შორს მაიდან საბზიდან, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით. რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავდა იქ წასვლას? ამბობენ, ციხესიმაგრეში, მიწისქვეშა დილეგების კედლებზე ყასბის დანები ეკიდაო.

თურმე ჭერიდან ხორცის დასაკიდებელი კაუჭები ეშვებოდა, უზარმაზარ მაყალში კი ცეცხლი გიზგიზებდა, შამფურებიც იქვე ეწყო. მართალია, დევს ბავშვების ჭამა უფრო უყვარდა, მაგრამ არც დიდის ხორცზე ამბობდა უარს, თუკი ვინმე გაბედავდა და მისი სამფლობელოს შორიახლოს გამოჩნდებოდა.

ალბათ უკვე მიხვდით, ვისი სახლის სახურავს დაადგა დევმა თვალი. კაკუნის გაგონებაზე ბაბა აიუბს არაადამიანური კვნესა აღმოხდა, ცოლს გული წაუვიდა, ბავშვებმა ტირილი დაიწყეს, რადგან ზუსტად იცოდნენ, რომ ერთი მათგანი დევის ლუკმა გახდებოდა. ოჯახს განთიადამდე უნდა გადაეწყვიტა, რომელ შვილს დათმობდა.

იმ ტანჯვის აღწერა, რაც მათ გადაიტანეს, სიტყვებით შეუძლებელია. ღმერთმა დაიფაროს ყველა მშობელი ასეთი არჩევანისგან! ხუთი შვილიდან ერთი უნდა გაეწირათ. აიუბი და მისი ცოლი, ისე, რომ ბავშვებს არ გაეგონათ, მთელი ღამე ბჭობდნენ, ტიროდნენ და კედლებს აწყდებოდნენ. ბოლოს ბაბა აიუბი გარეთ გავიდა, ხუთი ერთნაირი ქვა შეარჩია, ზედ ბავშვების სახელები დააწერა, ჯვალოს ტომარაში ჩაყარა და ცოლს მიაწოდა. ქალმა გველნაკბენივით უკან წაიღო ხელი.

– არ შემიძლია, – აკანკალებულმა ძლივს ამოღერდა, – ვერ ამოვარჩევ, ვერ გადავიტან.

– ვერც მე… – მაგრამ ფანჯარაში გაიხედა და მიხვდა, რომ მზე რამდენიმე წუთში ამოიწვერებოდა აღმოსავლეთის მთებიდან. დრო არ ითმენდა. სასოწარკვეთილი შესცქეროდა ბავშვებს. თუ გინდა, რომ ხელი გადაარჩინო, თითი უნდა მოიკვეთო. თვალები დახუჭა და ტომრიდან ქვა ამოიღო.

ძნელი მისახვედრი არაა, ვისი სახელი ეწერა ქვაზე. აიუბმა ზეცას ახედა და გმინვას გული ამოაყოლა. მერე კაისი ხელში აიყვანა. პატარამ სიხარულითა და ნდობით მოჰხვია ხელები მამას. რას წარმოიდგენდა, რომ ბაბა გაიმეტებდა. აიუბმა ბავშვი სახლიდან გაიყვანა, ძირს დასვა და კარი ჩარაზა. როცა კაისი მიხვდა, რაც მოხდა, ტირილით ეხვეწებოდა ბაბას სახლში შეშვებას, თან პატარა მუშტებით კარზე აბრაგუნებდა. გახევებული ბაბა კარს უკან იდგა, ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა და ჩურჩულებდა: – მაპატიე, მაპატიე… მერე კიდევ ერთხელ შეირყა მიწა – დევი იქაურობას გაეცალა. აიუბს კაისის ტირილის ხმა ისევ სწვდებოდა, – მაპატიე, მაპატიე… ბოლოს სიმშვიდემ და სიჩუმემ დაისადგურა მაიდან საბზში, მაგრამ ბაბას რა დაამშვიდებდა, გულამოსკვნილი ტიროდა და კაისის პატიებას სთხოვდა.

– აბდულა, შენს დას ჩაეძინა, ფეხებზე საბანი გადააფარე. აი, ასე, კარგი ბიჭი ხარ. შევწყვიტო თუ გავაგრძელო? კარგი, კარგი, გავაგრძელებ. სად ვიყავი? ჰო, ამ ამბავს ორმოცდღიანი გლოვა მოჰყვა. მეზობლებს თვალი არ მოუხუჭყავთ, ოჯახს საჭმლით ამარაგებდნენ, ზოგს პური მიჰქონდა, ზოგს ჩაი, ზოგს კანფეტი და ნუში, ცდილობდნენ თანაგრძნობა გამოეხატათ. ბაბა აიუბს

მადლობის თქმის თავიც აღარ ჰქონდა; კუთხეში მიმჯდარს ცრემლი არ აშრებოდა; გეგონებოდათ, ათწლიანი გვალვის დასრულებას თავისი ცრემლით აპირებსო. ასეთ ტანჯვას კაცი მოსისხლე მტერსაც კი არ უსურვებს.

რამდენიმე წელი გავიდა. მაიდან საბზს გვალვა არ ეშვებოდა. ხალხი კიდევ უფრო გაღატაკდა. ჭებში წყალმა ისე დაიკლო, რომ აკვნებში ჩვილები წყურვილით იხოცებოდნენ. მდინარეები დაშრა, ბაბა აიუბის ტანჯვა კი დღითი დღე მატულობდა. ოჯახს აღარაფერში

ადგებოდა. ყველაფერზე უარი თქვა, მუშაობა, ჭამა და ლოცვა არც ახსენდებოდა. ცოლ-შვილის ხვეწნა-მუდარას ხომ დიდი ხანია ყურს აღარ უგდებდა. საქმე ვაჟიშვილებმა იტვირთეს. ბაბა აიუბი კი თავისი ყანის განაპირას საცოდავად, მარტოდმარტო იჯდა ხოლმე და მთებს გასცქეროდა. თანასოფლელებს ხმასაც არ სცემდა, რადგან ფიქრობდა, რომ მის ზურგს უკან ქირქილებდნენ: – კარგი მამა განა შვილს უბრძოლველად დათმობდა? ოჯახის დაცვისას დევს არ შეაკვდებოდა?

ერთხელ ეს ფიქრი ცოლსაც გაუმხილა. – მსგავსი რამ არავის უთქვამს, და არც არავინ ფიქრობს, რომ მშიშარა ხარ.

– როგორ არა, სულ მესმის მათი ხმა.

– ეგ შენი საკუთარი ხმაა, – უთხრა ცოლმა, მაგრამ ის კი დაუმალა, მართლა რომ ჭორაობდნენ მეზობლები.

ალბათ გაგიჟდაო, ამბობდნენ. ერთ დღესაც ბაბამ ხალხს დაუმტკიცა, რომ მართლა ველარ იყო სრულ ჭკუაზე. განთიადისას ისე ადგა, ცოლ-შვილი არ გაუღვიძებია, ტომარაში რამდენიმე პურის ნატეხი ჩადო, ფეხსაცმელი ჩაიცვა, წელზე ცელი დაიმაგრა და გზას გაუდგა. იმდენი იარა, ისე შორს წავიდა, რომ მზის სხივი ველარ სწვდებოდა. ღამით ქარს გამოქვაბულებში ემალებოდა, თუ წყნარი ამინდი იყო, მდინარის პირას, ხის ქვეშ იძინებდა. სანამ ჰქონდა, პურს ჭამდა, მერე სოკოს და კენკრას კრეფდა, ხანდახან თევზს საკუთარი ხელით იჭერდა, ზოგჯერ სულ მშიერი იყო, მაგრამ არ გაჩერებულა, მიდიოდა და მიდიოდა. გზაზე თუ გადაეყრებოდა ვინმე და ჰკითხავდა, სად მიდიხარო, პასუხს რომ მოისმენდნენ, დასცინოდნენ ან გიჟად მიიჩნევდნენ და მაშინვე გარბოდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გზას ულოცავდნენ, რადგან ოდესღაც მათი შვილებიც დევმა იმსხვერპლა. ბაბა აიუბი თავჩაქინდრული აგრძელებდა გზას. ფეხსაცმელი რომ შემოეხა, ფეხებზე ბაწრებით დაიმაგრა, როცა ბაწრებიც დაიგლიჯა, ფეხშიშველმა განაგრძო გზა. ასე გადაიარა უდაბნოები, მინდვრები და მთები.

ბოლოს ერთ მთას მიადგა. ამ მთის თავზე დევის ციხესიმაგრე იყო გაშენებული. ისე ეჩქარებოდა აიუბს საწადელის ასრულება, რომ არ დაუსვენია, პირდაპირ მთაზე ასვლა დაიწყო. ტანსაცმელი ნაფლეთებად ეკიდა ტანზე, ფეხებიდან სისხლი სდიოდა, თმაზე მტვერი ჰქონდა შემხმარი, მაგრამ მაინც ზევით იწევდა. კლდის წვეტიანი ნამტვრევები ფეხის გულებში ესობოდა, ქორები სახეს უკორტნიდნენ, ძლიერი ქარი აქეთ-იქით ანარცხებდა… ბოლოს მაინც ავიდა.

– ვინ გაბედა? – დაიჭექა დევმა, როცა აიუბმა უზარმაზარ ჭიშკარს ქვა ესროლა. ბაბა აიუბმა თავისი სახელი უთხრა და ისიც, რომ მაიდან საბზიდან იყო.

– ალბათ ძალიან გინდა სიკვდილი, თორემ როგორ გაბედავდი საკუთარ სახლში ჩემს შეწუხებას! აქ რამ მოგიყვანა?

– შენს მოსაკლავად მოვედი.

ცოტა ხნის შემდეგ ჭიშკარი გაიღო და, მთელი თავისი შემზარავი დიდებულებით, დევი გამოჩნდა.

– მართლა? – მეხივით გავარდა მისი ხმა.

– ჰო, მართლა, და ასე იქნება თუ ისე, ჩვენ ორიდან დღეს ერთი აუცილებლად მოკვდება.

სადაც იყო, ერთს მოიქნევდა დევი ხელს და ხმალივით ბასრ კბილებში მოიქცევდა. მაგრამ არა, რაღაცამ შეაჩერა. თვალები მოწკურა და აიუბს ყურადღებით დააკვირდა. რამ გადააფიქრებინა? მისი ნათქვამის სიგიჟემ თუ მისმა გარეგნობამ? – მტვერში ამოგანგლულს დაწყლულებული სახიდან სისხლი სდიოდა; ან იქნებ სულაც იმან, რომ აიუბის თვალებში შიშის ნატამალიც ვერ ამოიკითხა?

– რაო, რა თქვი, საიდან ვარო?

– მაიდან საბზიდან, – უპასუხა აიუბმა.

– შორი უნდა იყოს, ზედ გეტყობა.

– სალაყბოდ არ მოვსულვარ, მოვედი, რომ…

დევმა ბრჭყალებიანი ხელი ასწია, – ჰო, ჰო, მოხვედი იმიტომ, რომ მომკლა, მაგრამ იქნებ, სანამ მომკლავდე, რამდენიმე სიტყვა მათქმევინო.

– მხოლოდ რამდენიმე, – უთხრა ბაბა აიუბმა.

– დიდი მადლობა, – ჩაიცინა დევმა. – მითხარი ერთი, რა დაგიშავე, რით დავიმსახურე სიკვდილი?

– ჩემი უმცროსი ვაჟი წამართვი, ამქვეყნად მასზე ძვირფასი არავინ გამაჩნდა.

დევმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, – შვილი ბევრი მამისთვის წამირთმევია, – თქვა მან.

– ჰოდა, მე ვიძიებ შურს ყველას მაგივრად, – უთხრა ბაბა აიუბმა და ცელი მოიმარჯვა. – შენი სიმამაცე ჩემს აღტაცებას იწვევს.

– სიმამაცის არაფერი გესმის, მამაცი რომ იყო, რამის დაკარგვის უნდა გეშინოდეს, მე კი აღარაფერი მაქვს დასაკარგი.

– სიცოცხლე გაქვს, – უპასუხა დევმა.

– სიცოცხლე შენ უკვე წამართვი.

დევმა კიდევ ჩაიბურტყუნა რაღაც, თან აიუბს აკვირდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ კი თქვა:

– კარგი, რადგან ასე გსურს, გიწვევ ორთაბრძოლაში, მაგრამ მანამდე ერთ ადგილას წამომყევი.

– სწრაფად, – თქვა აიუბმა, – უკვე მოთმინება მღალატობს.

დევი უზარმაზარი დარბაზისკენ გაემართა. აიუბსაც მეტი რა გზა ჰქონდა, უკან გაჰყვა. დევმა ბევრი ატარა უშველებელი გასასვლელებისა და ოთახების ლაბირინთებში, სადაც ჭერისა და სვეტების სიმაღლე ღრუბლებს სწვდებოდა, უამრავი საფეხური ჩაიარეს, უამრავ ოთახს გასცდნენ. თითო საძინებელში მთელი მაიდან საბზი დაეტეოდა. ბოლოს ერთ დარბაზს მიადგნენ. დარბაზის ბოლოს ფარდა ეკიდა.

– ახლოს მოდი, – უთხრა დევმა. ბაბა აიუბი მის გვერდით დადგა.

დევმა ფარდა გადასწია. ფარდის უკან ფანჯარა იყო. შუშის მიღმა თვალუწვდენელი ბაღი მოჩანდა. ბაღს კვიპაროსის მწკრივები ერტყა გარს, კვიპაროსების ძირას ათასგვარი ფერადი ყვავილი ხარობდა. აუზები ლურჯი ფილებით იყო მოპირკეთებული. ბროწეულის ხეებქვეშ შადრევნებიდან წყალი მოჩუხჩუხებდა. აიუბი გაოცებული შესცქეროდა მარმარილოს ტერასებს, ხასხასა მწვანე გაზონებსა და მცენარეებისგან შექმნილ მშვენიერ ფიგურებს. სამჯერ რომ მოსულიყო ამქვეყნად, მაინც ვერსად ნახავდა ასეთ თვალწარმტაც ადგილს. მაგრამ ეს რა დაინახა ბაბას თვალებმა? ბაღში ბავშვები დახუჭობანას თამაშობდნენ. სიცილ-კისკისით დასდევდნენ ერთმანეთს და ღობის უკან იმალებოდნენ. იქნებ კაისიც იყო მათ შორის? ბაბა თვალს ვერ აშორებდა ბავშვებს. და აი, ბოლოს იპოვა! კაისი ცოცხალი და უვნებელი იქ იყო, იქ! როგორ გაზრდილა და გამაღლებულა, თმაც წამოზრდია! თეთრი პერანგი და შარვალი ეცვა. სირბილისას ბედნიერად იცინოდა.

– კაის, – წაიჩურჩულა ბაბამ, მისმა სუნთქვამ ფანჯარა დაორთქლა, – კაიის, – ბოლოს შვილს ხმამაღლა გასძახა.

– არ ესმის შენი ხმა, ვერც გხედავს, – თქვა დევმა.

აიუბი სიხარულისგან ხტოდა. გაშლილი ხელებით ფანჯრის შუშას ეხეთქებოდა. მერე დევმა ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა.

– ვერ გავიგე, მე მეგონა… – ეს შენი ჯილდოა, – თქვა დევმა. – ამიხსენი, – წამოიძახა ბაბამ.

– გამოგცადე, სიყვარულში გამოგცადე, რთული იყო, ვაღიარებ და კარგად მესმის, რა მძიმე ხარკი გადაიხადე, მაგრამ გამოცდა ჩააბარე. ეს შენი და კაისის ჯილდოა, – უთხრა დევმა.

– კაისი რომ არ მომეცა? რომ ჩამეგდო შენი გამოცდა?

– ყველა შვილი დაგეღუპებოდა. ისედაც განწირული იქნებოდნენ მშიშარა მამის ხელში, მამის, რომელსაც შვილების სიკვდილი ურჩევნია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას. შენ ამბობ, რომ მამაცი არ ხარ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მამაცი რომ არ იყო, მაგ ბეჭებით

ამხელა ტვირთს ვერ ზიდავდი, ამიტომაც გაფასებ.

ბაბა აიუბმა ცელი ასწია, მაგრამ ხელიდან გაუსრიალდა და მარმარილოს იატაკზე ხმაურით დაეცა; მერე მუხლებმაც უმტყუნა და იქვე ჩაჯდა.

– შენს შვილს არ ახსოვხარ, – განაგრძო დევმა. – ახლა ასეთია მისი ცხოვრება, ხომ საკუთარი თვალით ნახე, რა ბედნიერია. საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი, ყველაფერი საუკეთესო აქვს, გარს უამრავი მეგობარი ახვევია და არც სიყვარული აკლია. ხელოვნებას, ენებს და მეცნიერებებს ეუფლება, სიბრძნესა და სიკეთეს სწავლობს. ერთ დღესაც იქნებ აქედან წასვლაზეც იფიქროს და წავა, თუ მოისურვებს. თავისუფალი კაცი იქნება, სიკეთისა და სიხარულის მიტანა შეეძლება მათთან, ვისაც ცხოვრება კლანჭებს მოუჭერს.

– მინდა, რომ ვნახო, მინდა, რომ სახლში წავიყვანო, – თქვა აიუბმა. – მართლა?

ბაბა აიუბმა დევს ახედა. დევი ფანჯრისკენ წავიდა და კომოდის უჯრიდან ქვიშის საათი ამოიღო.

აბდულა, იცი ქვიშის საათი რა არის? იცი, ხო? ძალიან კარგი.

დევმა ქვიშის საათი გადმოაბრუნა და აიუბს ფეხებთან დაუდგა. – ნებას გაძლევ, წაიყვანე. თუ წაიყვან, იცოდე, აქ აღარ დაბრუნდება, მაგრამ თუ დატოვებ, შენ არ დაბრუნდები აღარასოდეს. ქვიშა რომ ჩამოიცლება, უნდა მითხრა, რას გადაწყვეტ.

ამ სიტყვებით დევი ოთახიდან გავიდა და აიუბი კიდევ ერთი უმძიმესი არჩევანის წინაშე დატოვა.

– წავიყვან, – იფიქრა ბაბა აიუბმა. განა ეს ის არ იყო, რაზეც ამდენ ხანს ოცნებობდა? მთელი არსებით უნდოდა ჩახუტებოდა და ლოყები დაეკოცნა, მისი პატარა ხელები თავის ხელებში მოექცია და მათი სითბო ეგრძნო… მაგრამ სახლში რომ წაეყვანა, რა ცხოვრება ექნებოდა კაისს მაიდან საბზში? – გლეხის მძიმე ყოფა, ისეთი, როგორიც თვითონ ჰქონდა. ესეც იმ შემთხვევაში, თუ კაისი, სხვა ბავშვებივით, უწყლობით არ მოკვდებოდა. – აიუბ, საკუთარ თავს აპატიებ, კაისს ეს მდიდრული და მრავლისმომცემი ცხოვრება რომ წაართვა? მეორე მხრივ, როგორი ასატანია, შენი შვილი ცოცხალი იყოს, მისი ადგილსამყოფელი იცოდე და არასოდეს ნახო? – თავის თავს ეკითხებოდა აიუბი. ბოლოს სიმწრისგან ტირილი დაიწყო. ქვიშის საათი კედელს მიახეთქა. შუშის ათასობით პატარა ნატეხი და ქვიშა მთელ იატაკზე

გაიფანტა.

დევი ოთახში დაბრუნდა. მხრებჩამოყრილი აიუბი ნამსხვრევებად ქცეულ ქვიშის საათთან იდგა.

– სასტიკი მხეცი ხარ, – უთხრა აიუბმა დევს.

– როცა ჩემსავით დიდხანს ცხოვრობ, ხვდები, რომ სისასტიკე და გულმოწყალება ერთი ფერის ორი ტონალობაა, – უპასუხა დევმა, – გადაწყვიტე რამე?

ბაბა აიუბმა ცრემლი მოიწმინდა, ცელი ისევ წელზე დაიმაგრა და თავჩაქინდრული კარისკენ გაემართა.

– შენ კარგი მამა ხარ, – უთხრა დევმა, როცა ბაბამ მის გვერდით ჩაიარა.

– ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვები იმის გამო, რაც მე დამმართვე, – უპასუხა სასოწარკვეთილმა აიუბმა. ოთახიდან გავიდა და ქვევით, გასასვლელისკენ დაეშვა.

– გამომართვი, – დევმა აიუბს მუქი სითხით სავსე შუშის მათარა მიაწოდა, – გზაში დალიე, კეთილი მგზავრობა.

ბაბა აიუბმა მათარა გამოართვა და უხმოდ გაეცალა იქაურობას.

მრავალი დღე გავიდა. აიუბის ცოლი თავისი ყანის განაპირას იჯდა და ქმარს ელოდებოდა, ზუსტად ისე, აიუბი რომ იჯდა და კაისის დანახვაზე ოცნებობდა. დღეები სწრაფად გადიოდა და ქალს სულ უფრო ნაკლები იმედი ჰქონდა, რომ აიუბი როდესმე დაბრუნდებოდა. ხალხი მას უკვე წარსულ დროში ახსენებდა. ერთ დღეს, როცა აიუბის ცოლი ჩვეულ ადგილას ლოცვას ამბობდა, მთებიდან მაიდან საბზისკენ მომავალ გზაზე გამხდარი კაცის სილუეტი გამოჩნდა. პირველად ძონძებში გახვეული, გზააბნეული დერვიში ეგონა, მაგრამ როცა კაცი მიუახლოვდა, თავისი ქმარი იცნო. გული სიხარულით შეუტოკდა და შვების ყვირილი აღმოხდა.

აიუბმა იბანავა, დანაყრდა, წამოწვა და გარს შემოხვეული მეზობლების კითხვებზე საპასუხოდ მოემზადა.

– სად იყავი?

– რა ნახე?

– რა შეგემთხვა?

მაგრამ ბაბა აიუბს მარტივი მიზეზის გამო არც ერთ კითხვაზე არ ჰქონდა პასუხი – არაფერი ახსოვდა. არც დევთან მთაზე ასვლა, არც მისი სასახლე და არც ის, რაც სასახლის ფარდებიან ოთახში მოხდა. კაცი რომ გაიღვიძებს და სიზმარი აღარ ახსოვს, ზუსტად ისე გრძნობდა თავს. ვიღაცამ კაისი ახსენა, აიუბმა თვალები უაზროდ დაახამხამა, – ვინ? – იკითხა მან. კაისი რომ მისი შვილი იყო, საერთოდ ამოვარდილი ჰქონდა თავიდან.

ხომ ხვდები, აბდულა, რამხელა წყალობა იყო? მეხსიერება იმ სითხემ წაუშალა, დევმა რომ

გამოატანა. ესეც გამოცდის ჩაბარებისთვის მიღებული მეორე ჯილდო დევისგან…

იმ გაზაფხულს მაიდან საბზის თავზე ცა გაიხსნა და წვიმა დაიწყო. გადაუღებლად წვიმდა. წყალს მონატრებული სოფლელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წყლის წვეთებმა სახურავებზე ისეთი რაკარუკი ატეხეს, რომ ირგვლივ მეტი აღარაფერი ისმოდა. ხეების ფოთლებიდან წვიმის მძიმე, მსხვილი წვეთები ცვიოდა, მდინარე ადიდდა, ჭები წყლით აივსო, აღმოსავლეთით მთები ამწვანდა, მდელოებზე ყვავილები გაიშალა და ამდენი წლის შემდეგ პირველად, ბავშვებმა მწვანე მინდვრებში დაიწყეს თამაში, ძროხებს კი, როგორც იქნა, ბალახის ძოვა ეღირსათ. ყველა კარგ ხასიათზე იყო.

წვიმამ გადაიღო და სოფლელები საქმეს შეუდგნენ. ზოგის ყანა დაეტბორა წვიმას, ზოგს სახურავი გაუხდა შესაკეთებელი, ზოგს – კედლები ამოსაყვანი, სარწყავი სისტემაც გასაწმენდი იყო, მაგრამ ვინ დაიწუწუნებდა, გვალვის სიმწარე ხალხს კარგად ახსოვდა. კედლები ხელახლა ამოიყვანეს, სახურავები შეაკეთეს, სარწყავი არხები გაწმინდეს. იმ შემოდგომას ბაბა აიუბმა ფსტის იმხელა მოსავალი აიღო, რომ ვერც კი იოცნებებდა. მომდევნო წლები კიდევ უფრო ბარაქიანი აღმოჩნდა მისთვის. ქალაქში, სადაც თავის საქონელს ჰყიდდა, ფსტის პირამიდის უკან ამაყად, ბედნიერებით გასხივოსნებული იჯდა.

მაიდან საბზში აღარასოდეს ყოფილა გვალვა.

ცოტაც და დავასრულებ, აბდულა. ალბათ გაინტერესებს, ცხენზე ამხედრებულ ახალგაზრდა, ლამაზ კაცს ხომ არ გაუვლია მაიდან საბზის გზაზე, იქნებ წყალი მოსწყურდა და შეჩერდა? ან იქნებ სოფლელებთან პურის გასატეხად ჩამოჯდა? იქნებ პირდაპირ ბაბა აიუბს გადაეყარა? არ ვიცი, აბა, რა გითხრა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ბაბამ ძალიან დიდხანს იცოცხლა, დიდ მონაგარს მოესწრო და დიდხანს ტკბებოდა ცხოვრებით. ჰო, კიდევ, რაღაც გამოუცნობი მიზეზით, ბაბა აიუბს ზოგჯერ უძილობა იპყრობდა. ძალიან მოხუცი იყო, ჯოხის გარეშე უჭირდა სიარული. ღამით, როცა არ ეძინებოდა, ჯოხს აიღებდა და კაკუნ-კაკუნით გავიდოდა ხოლმე სახლიდან ისე, რომ ცოლს არ აღვიძებდა. სახეზე ღამის სიო ეალერსებოდა, თავისი ყანის შორიახლოს, ბრტყელ ლოდზე ჩამოჯდებოდა და საათობით უმზერდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, აკვირდებოდა როგორ მიცურავდნენ ღრუბლები მთვარისკენ. რა სულმდაბლობა იქნებოდა, მეტი რომ მოეთხოვა ცხოვრებისგან? გარინდებული მთებიდან ჩამოქროლილი ნიავის ჩურჩულსა და ჩიტების ჟღურტულს უგდებდა ყურს. მაგრამ ხანდახან ზარის წკრიალი ჩაესმოდა. ვერაფრით გაეგო, რა წკრიალებდა ღამით, როცა ცხვრებს და თხებს ეძინათ. ზოგჯერ ისე მკაფიოდ გაიგონებდა ხოლმე, რომ სიბნელეში წამოიძახებდა, – რომელი ხარ, გამოდი, რატომ იმალები? – მაგრამ პასუხი არასოდეს მიუღია. ვერც იმას ხვდებოდა ბაბა აიუბი, რატომ იყო, რომ ყოველთვის, როცა ზარის წკრიალს გაიგონებდა, წამიერად უსაზღვრო სევდა ისე შეატოკებდა, როგორც უეცრად ამოვარდნილი ქარი. მაგრამ მალე ქარიც ჩადგებოდა და სევდაც ისე გაივლიდა, როგორც ყველაფერი სხვა ამ ცხოვრებაში.

ასე დასრულდა ეს ამბავი, ჩემო ბიჭო, აღარაფერი მაქვს დასამატებელი. გვიანია, ძალიან დავიღალე. მე და შენი და დილით ადრე უნდა ავდგეთ. აბა,

საბანი დაიფარე, სანთელი ჩააქრე და თვალები დახუჭე. ტკბილ ძილს გისურვებ, ბიჭუნი. დილას დაგემშვიდობები.

თავი მეორე

შემოდგომა, 1952 წელი

მამას არასოდეს გაურტყამს აბდულასთვის, მაგრამ იმ დღეს, მოულოდნელად, ყურს ზემოთ ისე ძლიერად მოხვდა მისი მოქნეული ხელი, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოჰყარა და ცრემლებიც წამოსცვივდა, მაგრამ თვალები მაგრად დახუჭა და მაინც მოახერხა თავის შეკავება.

– სახლში წადი, – კბილებში გამოსცრა მამამ.

აბდულას ფარის ზლუქუნის ხმა შემოესმა.

მამამ კიდევ ერთხელ, უფრო ძლიერად გააწნა სილა, ამჯერად მარცხენა ლოყაში. აბდულას თავი გვერდით გადაუქანდა. ისევ წამოსცვივდა ცრემლი, სახეზე ცეცხლი მოედო, მარცხენა ყური უწიოდა. მამა აბდულასკენ დაიხარა და მისმა მუქი ფერის ნაოჭიანმა სახემ უდაბნო, მთა და ცა ერთიანად გადაფარა.

– სახლში წადი-მეთქი, გითხარი! – ტკივილნარევი ხმით უთხრა.

აბდულას ხმა არ ამოუღია. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და მამამისის მზედაკარგულ თვალებს წამით თავისი თვალები შეაგება.

პატარა, წითლად შეღებილი ურმიდან შეშინებული ფარის ტირილის ხმა გაისმა. მამამ მტრული მზერა ესროლა აბდულას და ურმისკენ გაბრუნდა.

– აბოლა, – ფარიმ ურემში მოწყობილი საწოლიდან წამოიწია და ორივე ხელი აბდულასკენ გაიწვდინა.

აბდულამ ცოტა ხანს დაიცადა, ცრემლი მოიწმინდა და ურემს უკან გაჰყვა.

მამამ უკან მიიხედა, მიწიდან ქვა აიღო და აბდულას ესროლა ისე, როგორც ფარის ძაღლს, შუჯას, ესროდნენ ხოლმე შადბაღში ბავშვები. განსხვავება ის იყო, რომ ბავშვებს მართლა უნდოდათ შუჯასთვის ტკივილის მიყენება. მამას ნასროლი ქვა კი აბდულასგან რამდენიმე ნაბიჯის მოცილებით გაგორდა. მამა და ფარი გზას გაუდგნენ, აბდულა უკან გაჰყვა. მზე ზენიტიდან რომ გადაიხარა, მამა კიდევ ერთხელ შეჩერდა; ჩაფიქრებულმა აბდულასკენ გამოიხედა და ხელი დაუქნია.

– მაინც წამოხვედი, – თქვა მან.

ურმის საწოლიდან ფარის ხელი გამოსრიალდა და აბდულას ჩაეჭიდა. გოგონა თვალცრემლიანი შესცქეროდა ძმას და უკბილო, ფართო ღიმილით ისე იღიმოდა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ არასოდეს არაფერი დაემუქრებოდა, თუკი აბდულა მის გვერდით იქნებოდა. აბდულამ ფარის თითებს თავისი გადააჭდო. ასე იძინებდნენ ხოლმე პატარა საწოლში ერთმანეთის გვერდით.

– დედაშენთან და იყბალთან უნდა დარჩენილიყავი, – თქვა მამამ.

– დედაჩემთან არა, შენს ცოლთან, დედაჩემი დავასაფლავეთ, – გაიფიქრა აბდულამ, მაგრამ არაფერი თქვა, იცოდა, რომ ართქმა სჯობდა თქმას.

– კარგი, წამოდი. ოღონდ ტირილი არ გამაგონო, გესმის? ვეღარ ავიტან. – კარგი. – გაფრთხილებ.

ფარიმ და აბდულამ ერთმანეთს შესცინეს. ფარის ნათელი თვალები ჰქონდა, ლოყები ვარდისფრად უღვიოდა.

ოღროჩოღრო გზაზე წინ ჯაყჯაყით მიიწევდნენ. აბდულას ფარის ხელი ეჭირა და ურემს გვერდით მიჰყვებოდა. დროდადრო და-ძმა კმაყოფილებით უცქეროდა ერთმანეთს. ცოტა კი ეშინოდათ, რომ მამის მჟავე ხასიათს დღე არ ჩაეშხამებინა. უსასრულო გზაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გარშემო სპილენძისფერი ხეობებისა და ქვიშაქვის ქარაფების მეტს ვერაფერს დაინახავდით. წინ უდაბნო იყო, ფართო და უკაცრიელი, თითქოს მხოლოდ ამ სამი მგზავრისთვის შექმნილი; გავარვარებული ჰაერი არ იძვროდა, ცა იყო ძალიან ლურჯი და უსაზღვრო, დახეთქილ მიწაზე ქვები ლაპლაპებდა. მამა წითელ ურემს ჩრდილოეთისკენ ექაჩებოდა. გამაყრუებელ სიჩუმეში აბდულას მხოლოდ საკუთარი სუნთქვა და ურმის თვლების რიტმული ჭრიალი ესმოდა. ცოტა ხანში დასასვენებლად შეჩერდნენ და კლდის ჩრდილს შეაფარეს თავი. მამამ კვნესით დააგდო სადავე, სახემოჭმუხნული წელში მოიხარა, თავი ასწია და მზეს შეხედა.

– კიდევ შორია ქაბულამდე? – ჰკითხა აბდულამ.

მამას სახელად საბური ერქვა. მუქი, კუთხოვანი, მკაცრი სახე, ღრმად ჩამჯდარი თვალები და უდაბნოს შევარდენის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა. ლერწამივით თხელი იყო, მაგრამ მკლავებზე ძლიერი კუნთები წნული სავარძლის სახელურზე გადაჭიმული როტანგის(როტანგი – პალმის ერთგვარი ჯიში, რომლის ელასტიკურ და მაგარ ღეროებს ავეჯის წარმოებაში იყენებენ.) წნელივით დაძაგრული ჰქონდა.

– ხვალ ნაშუადღევს იქ ვიქნებით, – თქვა მან და ძროხის ტყავის წყლის მათარა პირთან მიიტანა, – დროს თუ არ დავკარგავთ. – დიდხანს სვამდა, ყლუპებს აყოლილი მისი ადამის ვაშლი ზევით-ქვევით მოძრაობდა.

– ძია ნაბიმ რატომ არ წამოგვიყვანა თავისი მანქანით? – ჰკითხა აბდულამ, – ამხელა გზის

ფეხით გამოვლაც არ მოგვიხდებოდა.

მამამ ალმაცერად შეხედა, არაფერი უპასუხა. ჭვარტლით დალაქავებული არახჩინი(არახჩინი – თხელი ქსოვილის ქუდი.) მოიხადა და სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

ფარიმ თითი გაიშვირა, – შეხედე, აბოლა! – აღტაცებით წამოიძახა, – კიდევ ერთი.

აბდულამ თითს თვალი გააყოლა. კლდის ძირას გრძელი, ჩამწვარი ნახშირივით რუხი ბუმბული ეგდო. აბდულა ბუმბულისკენ წავიდა, დაიხარა და ფრთხილად აიღო. სული შეუბერა, რომ მტვერი დაეფერთხა. – შევარდენი, – გაიფიქრა, ხელში შეატრიალა, – მტრედი ან უდაბნოს ტოროლა, – იმ დღეს უამრავი ასეთი ბუმბული ნახა, – მაინც შევარდენს უფრო ჰგავს. კიდევ შეუბერა სული და ფარის მიაწოდა. გახარებულმა ფარიმ ბუმბული გამოსტაცა.

შადბაღში ფარის ბალიშის ქვეშ აბდულას ნაჩუქარი ძველი ჩაის ყუთი ჰქონდა შენახული. ყუთის თავზე წვერიანი ინდოელი კაცი იყო გამოსახული, კაცს თავზე ჩალმა ეხურა, გრძელი წითელი ტუნიკა ეცვა, ორივე ხელით ორთქლიანი ჩაის ჭიქა ეჭირა. ყუთის საკეტი კარგა ხნის დაჟანგული იყო. ამ ყუთში ინახავდა ფარი თავის სათუთად მოვლილ ბუმბულის კოლექციას, რომელზე ძვირფასიც არაფერი გააჩნდა. მამლის მუქი მწვანე და ბორდოსფერი ბუმბული, მტრედის კუდის თეთრი ბუმბული, ბეღურას მტვრისფერი, მუქად დაწინწკლული და ფარის სიამაყე, ფარშევანგის მწვანე ბუმბული.

აბდულამ აჩუქა ორი თვის წინ. გაუგია, რომ მეზობელ სოფელში ერთი ბიჭის ოჯახს ფარშევანგი ჰყავდა. ერთ დღესაც, როცა მამა შადბაღის სამხრეთით პატარა ქალაქში არხების გასათხრელად წავიდა, აბდულამ ის ბიჭი მოძებნა და ფარშევანგის ბუმბული სთხოვა. ბუმბულის სანაცვლოდ ბიჭმა ფეხსაცმელი მოითხოვა. მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ აბდულამ ფრთა პერანგის ქვეშ, შარვლის საქამრეში ჩაიმაგრა და სახლისკენ ფეხშიშველი გაუდგა გზას. ეკლებმა ქუსლები დაუხეთქა, ფეხისგულებიდან სისხლი სდიოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე საშინელ ტკივილს გრძნობდა.

სახლს რომ მიუახლოვდა, დაინახა, რომ ფარვანა, მისი დედინაცვალი, თონეში ნაანს(ნაანი – თხელი პური.) აკრავდა. უზარმაზარ მუხის ხეს ამოეფარა და მოიცადა. ფარვანა ბეჭებგანიერი, გრძელმკლავა ქალი იყო, ხელებზე უხეში კანი და კოტიტა თითები ჰქონდა, სახე – მრგვალი და შეშუპებული. სახელი კი ერქვა პეპლის, მაგრამ სინაზის ნატამალი არ ეცხო. როგორ უნდოდა აბდულას, რომ ეს ქალი საკუთარი დედასავით ჰყვარებოდა. დედამისი ფარის გაჩენის დროს, ე. ი. სამ წელიწად-ნახევრის წინ სისხლისგან დაიცალა. აბდულა მაშინ შვიდი წლის იყო. დედის სახე თითქმის აღარ ახსოვდა. ძილის წინ დედა მის ლოყებს ხელის გულებში

მოიქცევდა, მკერდზე მიიხუტებდა, ეფერებოდა და იავნანას უმღეროდა: პატარა სევდიანი ფერია თუთის ჩრდილს აფარებს თავს,

მე ვიცნობ პატარა ფერიას,

ერთ ღამეს ქარი რომ წაიყვანს თან.(ტექსტი შთაგონებულია ცნობილი ირანელი პოეტი ქალის, ფორუყ ფაროხზადის (1935-1967) ლექსით – „მეორედ დაბადება“.)

გულის სიღრმეში აბდულას უნდოდა, რომ დედინაცვალი ისევე ჰყვარებოდა, როგორც საკუთარი დედა. – ალბათ ფარვანასაც უნდა, რომ ვუყვარდე, ისე როგორც თავისი ერთი წლის იყბალი უყვარსო, – ფიქრობდა აბდულა. იყბალს სახეს უკოცნიდა ხოლმე ფარვანა, ყოველ წამოხველებაზე და დაცემინებაზე ზედ დაჰკანკალებდა. ან ისე, თავისი პირველი ვაჟი, ომარი, რომ

უყვარდა. შარშანწინ მოკვდა საწყალი, ჯერ ორი კვირისაც არ იყო. სახელი ის-ის იყო დაარქვეს. იმ წელს მკაცრმა ზამთარმა, ომარის გარდა, კიდევ ორი ბავშვი იმსხვერპლა შადბაღში. ის დღე კარგად ახსოვდა აბდულას; მწუხარებისგან აკანკალებული ფარვანა სახვევებში გამოხვეულ პატარას ცხედარს ებღაუჭებოდა; გორაზე, გაყინულ მიწაზე, პაწია საფლავი გათხარეს, ცა ვერცხლისფრად იყო მოკალული, თოვდა, მოლა შექიბი ლოცვას ამბობდა, ქარი თოვლს სახეში აყრიდა ხალხს.

წინასწარ იცოდა აბდულამ, რომ ფარვანა ძალიან გაბრაზდებოდა, როცა ფეხსაცმლის შესახებ შეიტყობდა. მამამ ბევრი იმუშავა თაკარა მზის გულზე, მის საყიდლად ფული რომ მოეგროვებინა. მაგრად მოხვდებოდა, იქნებ ეცემა კიდეც. რამდენჯერმე ადრეც მოუქნევია მძიმე ხელი. მძიმე ექნებოდა, აბა რა, წლების განმავლობაში უძლურ დას ხელით დაატარებდაო, – ფიქრობდა ბიჭი. პირდაპირ მიზანში არტყამდა მოქნეულ ცოცხს, მაგრამ მის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ფარვანას აბდულას ცემა სულაც არ ანიჭებდა სიამოვნებას. შეიძლება ასეც ვიფიქროთ, რომ ნაზ გრძნობებსაც ამჟღავნებდა გერების მიმართ. დრო იყო, ფარის ვერცხლისფერ-მწვანე კაბა შეუკერა. ქსოვილი მამამ ჩამოიტანა ქაბულიდან. აბდულას გასაოცარი მოთმინებით ასწავლიდა, როგორ გაეტეხა ორი კვერცხი ერთდროულად ისე, რომ გულები არ დაეზიანებინა. სიმინდის ფუჩეჩისგან თოჯინებს აკეთებდა და ტილოს ნახევებისგან კაბებს უკერავდა. ის და მისი დაც ასე ერთობოდნენ თურმე პატარაობისას.

ეს ყველაფერი მხოლოდ ჟესტები იყო, მოვალეობის გრძნობით ნაკარნახევი, – ასე სჭეროდა აბდულას, – ისეთივე მარტივი, როგორც სავსე ჭიდან წყლის ამოღება. მათს სახლს, ერთ დღეს, ცეცხლი რომ წაჰკიდებოდა, უეჭველად ერთ ბავშვს, იყბალს, დაავლებდა ხელს და გარეთ გავარდებოდა. ყველაფერი ნათელი იყო. ისინი არ იყვნენ ფარვანას შვილები. უმეტესად ადამიანებს საკუთარი შვილები უყვართ. აბდულა და ფარი სხვა ქალის დანატოვარი იყვნენ, მას არ ეკუთვნოდნენ.

ფარვანამ პური სახლში შეიტანა, ცოტა ხანში ისევ გამოვიდა ქოხიდან, ცალ ხელში იყბალი ეჭირა, მეორეში – სარეცხის ფუთა. წყაროსკენ დაეშვა, აბდულამ დაიცადა, სანამ თვალს მიეფარებოდა და სახლში შევიდა. ფეხისგულები ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უფეთქავდა, ჩამოჯდა და პლასტმასის სანდლები ამოიცვა, სხვა ფეხსაცმელი არ ჰქონდა. იცოდა, რომ გონივრულს ვერ დაარქმევდა კაცი მის საქციელს, მაგრამ როცა ფარის საწოლთან დაიხარა, ფრთხილად გააღვიძა და ზურგს უკან დამალული ფრთა ილუზიონისტივით გამოაძვრინა, მიხვდა, რომ ნამდვილად ღირდა მისი ფეხების ტკივილად ფარის სიამოვნებით გაბრწყინებული სახის დანახვა; რამდენი კოცნა აბდულას, როგორ კისკისებდა, რა ბედნიერი იყო… ტკივილი აღარც გახსენებია.

მამამ ერთხელ კიდევ მოიწმინდა შუბლი სახელოთი. მათარიდან რიგრიგობით მოსვეს წყალი. მერე მამამ თქვა:

– დაღლილი ხარ, პატარავ.

– არა, – უპასუხა აბდულამ, თუმცა დაღლილობისა და ტკივილისგან ფეხებს ველარ მიათრევდა, სანდლებით უდაბნოს გადაკვეთა ადვილი საქმე არ იყო.

– ადი ურემზე, – უთხრა მამამ.

აბდულა ფარის უკან დაჯდა და ურმის საზურგეს მიეყრდნო. მუცლითა და მკერდის ძვლით დის ხერხემლის პატარა მალებს შეიგრძნობდა. მამა წინ ექაჩებოდა ურემს. აბდულამ ცას ახედა, შორს მჭიდროდ ჩაწყობილი მთების რიგები მოჩანდა. მერე მამამისის ზურგზე გადაიტანა მზერა. თავდახრილი წინ მიიწევდა, ფეხებით მოწითალო-მოყავისფრო ქვიშის

ბდღვირს ადენდა.

მტვერში ამოგანგლული ქუჩების(ქუჩი – მომთაბარე.) ქარავანი აქლემების ხვნეშითა და ზარების ჟღარუნით მიიზლაზნებოდა. თვალებშეღებილმა ხორბლისფერთმიანმა ქალმა

აბდულას გაუღიმა.

ქალის თმამ აბდულას დედა გაახსენა. გული მოეწურა; რა ნაზი იყო დედა, როგორ უკვირდა ადამიანების სისასტიკე; ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ჟღურტულივით სიცილი იცოდა, ხანდახან მორცხვად ხრიდა ხოლმე გვერდზე თავს. დახვეწილი გარეგნობა და ფაქიზი ბუნება ჰქონდა; გრძელი, ღრუბელივით ფუმფულა თმის კულული თავსაფრიდან ჩამოეშლებოდა ხოლმე; როგორ იტევდა ასეთი სუსტი ქალი ამდენ სიკეთეს, ამდენ სიხარულს? ვერ იტევდა და ალბათ ამიტომ, მისი თვალებიდან უსაზღვრო ბედნიერება იღვრებოდა. მამა სხვანაირი იყო, მძიმე ხასიათი ჰქონდა. დედასთან ერთად უყურებდა ცხოვრებას, მაგრამ მისი თვალები კარგს ვერაფერს ამჩნევდა, გულგრილი იყო ყველაფრის მიმართ. მხოლოდ გაუთავებელი ოფლის ღვრა! – სულ ეს იყო მისი ცხოვრება. მამას სამყაროში მკაცრი წესები მოქმედებდა. ყველაფერ კარგს თავისი ფასი ჰქონდა. ამქვეყნად ყველაფერი ფული ღირდა, სიყვარულის ჩათვლით. ღარიბ კაცს კი გადახდა მხოლოდ საკუთარი ტანჯვით შეეძლო. აბდულამ ჯერ თავისი დის უსწორმასწოროდ გადაყოფილ თმას შეხედა, მერე ურმის გვერდზე გადმოკიდებულ მის წვრილ მაჯას. მხოლოდ ახლა გააცნობიერა აბდულამ, რომ დედამისის სიკვდილის დროს, მისი ძალდაუტანებელი ერთგულების, გულუბრყვილობისა და შეუპოვარი ოპტიმიზმის რადაც ნაწილი ფარის გადაეცა. ფარი ამქვეყნად ერთადერთი იყო, ვინც არასოდეს, არასოდეს ატკენდა გულს. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ფარი იყო მთელი მისი ოჯახი.

ცა ნელ-ნელა ნაცრისფრად შეიღება. შორიდან მთების მწვერვალები ერთმანეთის გვერდით ჩამჯდარ გოლიათებს დაემსგავსნენ. იმ დღეს რამდენიმე სოფელი გაიარეს. უმეტესობა შადბაღივით მივარდნილი და მტვრიანი იყო. ზოგიერთ სოფელში კი პატარა, ოთხკუთხა, გამომწვარი თიხით ნაგები სახლები მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. სახლების სახურავებიდან კვამლი იკლაკნებოდა. სარეცხის თოკები, ცეცხლთან ჩაცუცქული ქალები, აქა-იქ ალვის ხეები, რამდენიმე წიწილა, თითო-ოროლა ძროხა ან თხა მოჩანდა და ყველგან მეჩეთი იდგა. ბოლო სოფელი ყაყაჩოს მინდორს ესაზღვრებოდა.

მინდორში მოხუცი კაცი ხაშხაშს აგროვებდა, რაღაც დაიძახა და მამას ხელი დაუქნია. მამაც მიესალმა.

– აბოლა, – თქვა ფარიმ.

– ჰო.

– როგორ ფიქრობ, შუჯა იდარდებს?

– მგონი, კარგადაა.

– არავინ არაფერს დაუშავებს?

– დიდი ძაღლია, ფარი. საკუთარ თავს დაიცავს.

შუჯა, მართლაც, დიდი ძაღლი იყო. მამამ თქვა, ალბათ საბრძოლო ძაღლი იყო ოდესღაც, რადგან ყურები და კუდი დაჭრილი აქვსო. თავის დაცვა შეეძლო თუ არა, სხვა საკითხია. როცა გზააბნეული შუჯა პირველად გამოჩნდა სოფელში, ბავშვები ქვებს ესროდნენ, ხის ტოტებით, ჟანგიანი ველოსიპედის თვლების მანით გამოედევნებოდნენ და აღიზიანებდნენ. შუჯას არასოდეს შეუტევია მათთვის. დრო გავიდა და ბავშვებს მოსწყინდათ ძაღლის წვალება. ის მაინც ფრთხილად იყო, როგორც ჩანს, ვერ დაივიწყა მათი სისასტიკე.

ფარის გარდა, ყველას ერიდებოდა შადბადში. გოგონას თავის დაკარგვამდე უყვარდა, ძაღლიც დიდი სიყვარულით პასუხობდა. დილით, როგორც კი ფარი სახლის ზღურბლს

გადმოაბიჯებდა, გიჟივით წამოხტებოდა და მთელი სხეული აუძაგძაგდებოდა ხოლმე. წაჭრილი

კუდის ბოლოს ქიცინით სტეპის ცეკვას ისე დაუვლიდა, გეგონებოდათ, გახურებულ ქვანახშირზე დადისო. სიხარულისგან წრეზე დარბოდა ფარის გარშემო. მთელი დღე არ შორდებოდა, მის

ჩრდილად იქცა. ღამით, როცა განშორების დრო მოვიდოდა, კართან დაწვებოდა ხოლმე მოწყენილი და გათენებას უცდიდა.

– აბოლა?

– ჰო.

– რომ გავიზრდები, შენთან ვიცხოვრებ?

– თუ გენდომება.

– მენდომება, დიახაც!

– შენი საკუთარი სახლი მოგინდება.

– მაშინ მეზობლები ვიყოთ.

– შეიძლება.

– შორს ხომ არ იცხოვრებ? რომ მოგბეზრდე?

ფარიმ იდაყვი ჰკრა გვერდში.

– არ მომბეზრდები, – აბდულას ჩაეცინა.

– ჩემთან ახლოს იქნები.

– აბა, რა.

– სანამ ძალიან, ძალიან არ დავბერდებით, ყოველთვის. – ჰო, ყოველთვის.

– ყოველთვის.

ურმის წინა ნაწილიდან აბდულასკენ შეტრიალდა.

– აბოლა, მპირდები?

– ყოველთვის, ყოველთვის.

მოგვიანებით მამამ ფარი ზურგზე შეისვა. აბდულა უკან მიჰყვებოდა, ცარიელ ურემს მიათრევდა, უკვე ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. გრძნობდა, როგორ კეცავდა და შლიდა მუხლებს, როგორ სდიოდა ოფლი არახჩინის კიდეებიდან, ხედავდა, როგორ ქანაობდა ფარის პატარა ფეხები მამამისის ზურგზე და კიდევ იმას ამჩნევდა, რომ, თუ სვლას შეანელებდა, უდაბნოს ნაცრისფერ მიწაზე მამამისის და ფარის ჩრდილი გრძელდებოდა და შორდებოდა მას.

ეს სამსახური მამას ძია ნაბიმ უშოვა. ძია ნაბი ფარვანას უფროსი ძმა იყო, ანუ აბდულას ბიძად ერგებოდა. ის მზარეულად და მძღოლად მუშაობდა ქაბულში. თვეში ერთხელ შადბაღში ჩადიოდა თავისი დის ოჯახის მოსანახულებლად. დიდი, ლურჯი, პრიალა, თავახდილი მანქანით მის მოსვლას მთელი სოფელი საყვირის სტაკატოთი იგებდა. ბავშვების ურდო ყვირილით აედევნებოდა ხოლმე. ზოგი ფარებს უტყაპუნებდა ხელებს, ზოგი კი – ფანჯრებს. ბოლოს ძრავას გამორთავდა და სიცილით გადმოდიოდა მანქანიდან. ძია ნაბი ლამაზი კაცი იყო. გრძელ ბაკენბარდებს ატარებდა, ტალღოვანი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი, ზეთისხილისფერი დიდი ზომის შარვალ-კოსტიუმი, თეთრი პერანგი და მოხერხებული ყავისფერი ფეხსაცმელი ეცვა. მის სანახავად ხალხი გარეთ გამოეფინებოდა ხოლმე. მართალია, მანქანა მისი დამქირავებლის საკუთრება იყო, მაგრამ ძია ნაბი მართავდა, შარვალ-კოსტიუმი ეცვა და დიდ ქალაქში, ქაბულში მუშაობდა.

სამუშაოს შესახებ მამას ბოლო სტუმრობისას უთხრა. ძია ნაბის მდიდარ დამსაქმებელს უკანა ეზოში სტუმრებისთვის ცალკე მდგომი შენობის ჩადგმა განუზრახავს, რომელსაც საკუთარი აბაზანა ექნებოდა. ძია ნაბიმ ურჩია, მამა დაექირავებინათ, რადგან ის მშენებლობაში კარგად ერკვეოდა. კარგად გადაუხდიდნენ, სამუშაო კი დიდი-დიდი ერთ თვეს გაგრძელებულიყო.

მამა ხშირად მუშაობდა მშენებლობაზე და კარგადაც ართმევდა თავს. რაც აბდულას თავი ახსოვდა, უმუშევარი არასოდეს ყოფილა. დღიური სამუშაოს ძიებაში, ყველას კარზე

აკაკუნებდა. ერთხელ აბდულამ გაიგონა, როგორ ეუბნებოდა მამა სოფლის უხუცესს, მოლა შექიბს, ცხოველად რომ დავბადებულიყავი, ნამდვილად ჯორი ვიქნებოდიო. ზოგჯერ აბდულაც მიჰყავდა ხოლმე სამუშაოდ. შადბაღიდან ერთი დღის სავალზე, პატარა ქალაქში, ვაშლის საკრეფად რომ იყვნენ, მამა კიბეზე ავიდა და მზის ჩასვლამდე აღარ ჩამოსულა. მზე მოხრილ ბეჭებს სწვავდა, მკლავები დაფუფქული ჰქონდა, დაკოჟრილი თითებით ერთი მოტრიალებით წყვეტდა ვაშლს. ერთხელ მეჩეთის ასაშენებლად აგურებიც დაამზადეს. მამამ აუხსნა აბდულას, რომ მოთეთრო თიხა სჯობდა, მერე ერთად ცრიდნენ, ჩალას ურევდნენ და ცოტ-ცოტა წყალს უმატებდნენ, რომ ნაზავი ძალიან არ გათხელებულიყო. ბოლო წელს მამამ ბლომად ქვებიც ათრია და მიწაც ბევრჯერ გადაფერთხა; ხან ხნავდა, ხან ბრიგადასთან ერთად ასფალტს აგებდა.

აბდულამ იცოდა, რომ მამა ომარის სიკვდილს თავის თავს აბრალებდა. მეტი სამუშაო რომ ჰქონოდა, ბავშვს თბილ ტანსაცმელსა და საბანს უყიდდა, იქნებ უკეთესი ღუმელიც შეეძინა და სახლი გაეთბო. ასე ფიქრობდა მამა, თუმცა ომარის დასაფლავების შემდეგ, აბდულასთან მისი სახელიც არ უხსენებია.

ომარის სიკვდილიდან რამდენიმე დღე იყო გასული. მამა უშველებელი, ბებერი მუხის ხის ქვეშ იდგა. მუხა შადბაღს კოშკივით ედგა თავს, მასზე ასაკოვანი ცოცხალი არსება სოფელში არ მოიძებნებოდა. არ გამიკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ იმპერატორ ბაბურის ჯარის ქაბულზე გალაშქრებასაც მოსწრებიაო, – ამბობდა მამა, – ნახევარი ბავშვობა ხან მუხის ჩრდილქვეშ ვთამაშობდი, ხან ზედ ვიყავი ასულიო. მამამისს, ესე იგი აბდულას პაპას, ერთ მსხვილ ტოტზე საქანელა ჩამოუკიდია, რომელმაც, თურმე, მამამისიც უკან ჩამოიტოვა და ბევრ უამინდობასაც გაუძლო. ფარვანა, ფარვანას და, სახელად მასუმა და მამა რიგრიგობით ქანაობდნენ, თურმე, ბავშვობაში.

მამა ყოველთვის დაქანცული ბრუნდებოდა სამუშაოდან. ფარი სახელოს ჩამოქაჩავდა და ეხვეწებოდა საქანელაზე დამსვიო.

– ხვალ, ფარი, ხვალ, – ეტყოდა ხოლმე მამა.

– ცოტა ხნით, ბაბა, ადექი რა!

– სხვა დროს, ახლა არა.

ბოლოს ფარი დანებდებოდა, სახელოს ხელს გაუშვებდა და მორჩილად გაეცლებოდა. მამა სახემოქცეული გაადევნებდა ხოლმე თვალს. მერე თავის საწოლზე გადაგორდებოდა და ცრემლიან თვალებზე საბანს წაიფარებდა.

აბდულას ვერც კი წარმოედგინა, რომ ოდესღაც მამა მასსავით პატარა, უდარდელი ბიჭი იყო, საქანელაზე ქანაობდა და მეგობრებთან ერთად მინდორში თამაშობდა. მამა, ნაიარევი ხელებითა და დაღარული სახით, მამა, რომელიც თითქოს ნიჩბით ხელში და ფრჩხილებქვეშ ტალახით დაიბადა.

იმ ღამის გათენებამ უდაბნოში მოუწიათ. ფარვანას მიერ ჩანთაში ჩაწყობილი ცოტაოდენი პურითა და უკანასკნელი მოხარშული კარტოფილით ივახშმეს, მამამ ცეცხლი დაანთო და

ჩაიდანი შემოდგა. შალში გახვეული აბდულა ცეცხლთან დაწვა, ფარის უკან. ფარი ცივ ფეხისგულებს აბდულას ფეხებს აბჯენდა.

მამა ცეცხლისკენ დაიხარა და სიგარეტს მოუკიდა. აბდულა ზურგზე გადაბრუნდა, ფარიც მოეწყო და როგორც ჩვეოდა, ლოყით აბდულას ლავიწის ძვალს მიეკრო. აბდულამ უდაბნოს სპილენძნარევი მტვრის სუნი შეისუნთქა და ცას

ახედა, ვარსკვლავები ყინულის ნატეხებივით ციმციმებდნენ. ნამგალა მთვარე საკუთარი სისავსის ბუნდოვან კონტურებს შორის ირწეოდა.

აბდულას შარშანწინდელი ზამთარი გაახსენდა: სიბნელეში ჩაფლული სოფელი, კედლების ნაპრალებში, ჭუჭრუტანებში დატრიალებული ქარის უწყვეტი, ხმამაღალი წივილი, თოვლით გადასწორებული არემარე, გრძელი და ბნელი ღამეები, მოკლე და უჟმური დღეები, მზის წამიერი გამონათება. ახლაც ჩაესმოდა ომარის მძიმე სუნთქვისა და ტირილის ხმა, რომელსაც მალე სიჩუმე მოჰყვა. მერე კი სახეგაქვავებულმა მამამ ფიცარზე ზუსტად ისეთი ნახევარმთვარე ამოჭკვეთა, ახლა თავს რომ დაჰნათოდათ. ბოლოს მამამ ფიცარი ყინვისგან დამზრალ მიწაში, პატარა საფლავის თავთან ჩაამაგრა.

შემოდგომის მიწურული იდგა. ზამთარი უკვე ეზოების კუთხეებში დაყიალებდა. თუმცა მამა და ფარვანა კრინტს არ სძრავდნენ, თითქოს რამე რომ ეთქვათ, ზამთარი უფრო მალე მოვიდოდა.

– მამა, – თქვა აბდულამ.

კოცონის მეორე მხარეს მამამ რაღაც ჩაიბურტყუნა.

– მოგეხმარები რა, სასტუმრო სახლის აშენებაში.

მამა სიბნელეს უცქეროდა. სიგარეტის კვამლი სპირალივით იხვეოდა.

– მამა?

მამამ ქვაზე ადგილი მოინაცვლა, – ვნახოთ, იქნებ კირხსნარის არევაში დაგიხმარო.

– ეგ რომ არ ვიცი?

– გაჩვენებ და ისწავლი.

– მე? – იკითხა ფარიმ.

– შეენ? – სიტყვა გაწელა მამამ. ნაფაზი დაარტყა და ჯოხით ცეცხლი მოჩხრიკა. სიბნელეში პატარა ნაპერწკლები აცეკვდნენ, – შენ წყალზე აგებ პასუხს, არ უნდა მოგვწყურდეს, ხომ იცი, კაცები ვერ მუშაობენ, თუ სწყურიათ.

ფარის ხმა არ ამოუღია.

– მამა მართალია, – თქვა აბდულამ. იცოდა, ფარის ერთი სული ჰქონდა, რომ ტალახში ჩაეყო ხელები და თამაშით გული ეჯერებინა, ამიტომ მიღებული

დავალებით უკმაყოფილო ჩანდა, – შენ თუ წყალს არ მოგვიტან, სასტუმროს ვერ ავაშენებთ.

მამამ ჩაიდნის სახელურს ჯოხი გაუყარა, ცეცხლიდან გადმოიღო და განზე გადადგა, ცოტა რომ გაგრილებულიყო.

– იცი, რას გეტყვი? – თქვა მან. – გვაჩვენე, რომ წყლის საქმეს კარგად ართმევ თავს და მერე სხვა სამუშაოს მოგიძებნი.

ფარიმ ნიკაპი აბდულასკენ შემოაბრუნა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

ახალშობილ ფარის აბდულა მკერდზე იწვენდა ხოლმე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ უნახავს თავის მკერდზე ზუსტად ასეთი გამომეტყველებით მოღიმარი.

ფარის აბდულა ზრდიდა. თუმცა, თვითონაც ჯერ მხოლოდ ათი წლისა იყო. ღამით, როგორც კი ფარის წკმუტუნს გაიგონებდა, წამოხტებოდა, ხელში აიყვანდა და არწევდა. დასვრილ საფენებსაც უცვლიდა და აბანავებდა კიდეც. აბა, მამა რას გააკეთებდა, კაცი იყო და თან ისეთი დაღლილი ბრუნდებოდა სამუშაოდან, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ფარვანა კი უკვე ომარზე იყო ორსულად. ფარის მოსავლელად არც ენერგია ჰყოფნიდა და არც მოთმინება. ასე რომ, მთელი საქმე აბდულას აწვა. ყველაფერს სიყვარულით აკეთებდა. ბედნიერად მიიჩნევდა თავს, როცა ფარიმ ფეხი აიდგა, მისი პირველი სიტყვის გაგონებისას კი სუნთქვა შეეკრა სიხარულისგან. აბდულას სჯეროდა, რომ მისი ამქვეყნად მოვლენის მიზანი ფარიზე ზრუნვა იყო. ღმერთმა იმიტომ შექმნა, რომ როცა დედას წაიყვანდა, გოგონასთან ის დარჩენილიყო.

– ბაბა, – თქვა ფარიმ, – მოგვიყევი რა, რამე. – უკვე გვიანია, – თქვა მამამ.

– გეხვეწები.

მამა გულჩათხრობილი ბუნების იყო. გადაბმულად ორ წინადადებასაც კი იშვიათად იტყოდა. მაგრამ აბდულასთვის გამოუცნობი მიზეზის გამო, ზოგჯერ რაღაც გაეხსნებოდა და მოდიოდა და მოდიოდა ზღაპრები… ზოგჯერ, როცა ფარვანა სამზარეულოში ტაფებს აუტეხავდა ბრახუნს, მამა აბდულას და ფარის წინ დაისვამდა და ბებიამისისგან გაგონილ ზღაპრებს უყვებოდა. ბავშვები უცბად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე სულთნებით, ჯინებით, ბოროტი დევებითა და ჭკვიანი დერვიშებით დასახლებულ სამყაროში. ხშირად თვითონაც იგონებდა ზღაპრებს. ლაპარაკობდა და თან თხზავდა, საოცარი წარმოსახვისა და ოცნების უნარი ჰქონდა. მამა არასოდეს იყო ისე გახსნილი, მართალი და ცოცხალი, როგორც თავისი ზღაპრების მოყოლის დროს; თითქოს მისი დახშული, გაუგებრობით სავსე ცხოვრება გამოსავალს აგნებდა.

მაგრამ იმ ღამეს მამას სახეზე ეწერა, რომ ზღაპარს არ მოჰყვებოდა.

– გვიანია, – გაიმეორა მამამ. მხრებზე მოსხმული შალის კუთხით ჩაიდანი აიღო. ჩაი დაისხა.

ორთქლს სული შეუბერა და მოწრუპა, ცეცხლის ალზე სახე ფორთოხლისფრად უელავდა. – ძილის დროა, ხვალ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

აბდულამ და ფარიმ შალი წაიფარეს. აბდულა ფარის კეფას მიეხუტა და იავნანა წამოიწყო:

პატარა სევდიანი ფერია

თუთის ჩრდილს აფარებს თავს.

ძილმორეულმა ფარიმ გააგრძელა:

მე ვიცნობ პატარა ფერიას,

ერთ ღამეს ქარი რომ წაიყვანს თან.

დაასრულა თუ არა, ფშვინვა ამოუშვა. აბდულას შუაღამისას გაეღვიძა. მამა არსად ჩანდა. შეშინებული წამოჯდა. ცეცხლი მინავლებულიყო, მხოლოდ რამდენიმე ნაკვერჩხალი ბჟუტავდა. მიიხედ-მოიხედა, ვერაფერი გაარჩია, წყვდიადს ლამის გაეგუდა. იგრძნო, როგორ კარგავდა ფერს, გული გასკდომამდე უცემდა, სუნთქვაშეკრული სმენად იქცა:

– მამა! – წაიჩურჩულა.

სიჩუმე იდგა.

თავზარი დაეცა, გაშეშდა, მთელი სხეული დაეძაბა, კარგა ხანს აყურადებდა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა. მორჩა! ის და ფარი მარტონი იყვნენ, მარტონი! წყვდიადში ჩაძირულები. მიტოვებულები. მამამ მიატოვა. პირველად ახლა იგრძნო აბდულამ სამყაროს უკიდეგანობა. რა ადვილია დაკარგვა! არც არავინაა, რომ დაგეხმაროს, გზა დაგანახოს. მერე კიდევ უფრო ბნელი ფიქრი მოუვიდა თავში – მამა მოკვდა. მოკლეს, ყელი გამოჭრეს, ბანდიტები! ახლა მათი ჯერია, მისკენ და ფარისკენ ჩუმად მოიწევენ, არ ჩქარობენ, მომენტით ტკბებიან.

– მამა! – ამჯერად გამყინავი ხმით წამოიძახა.

არავინ უპასუხა.

– მამა! მამა! – ეძახდა და გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ უჭერდა მარწუხებს უხილავი ხელი. იმდენჯერ დაუძახა, რომ სათვალავი აერია, მაგრამ სიბნელიდან არავინ გამოპასუხებია. მიწიდან ამოჩრილი მთების უკან მიმალული სახეები წარმოიდგინა, როგორ უყურებდნენ მას და ფარის! როგორ უელავდათ ბოროტი თვალები!

შიშისგან მთელი შიგანი შეეჭმუხნა, აცახცახდა, სუნთქვას სლუკუნი ამოაყოლა, ცოტაც და დაიკივლებდა… მერე ნაბიჯების ხმა… სიბნელიდან კაცის სილუეტი გამოიკვეთა.

– მე მეგონა წახვედი, – აკანკალებული ხმით თქვა აბდულამ.

მამა კოცონის ნარჩენებთან ჩამოჯდა.

– სად იყავი?

– დაიძინე.

– ვიცოდი, რომ არ მიგვატოვებდი, ვიცოდი, რომ არ წახვიდოდი.

მამამ შეხედა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებით ბევრს ვერაფერს მიხვდებოდით. – შენი და არ გააღვიძო.

– არ მიგვატოვო!

– გეყოფა, მორჩი ლაპარაკს.

აბდულა ისევ დაწვა. ფარი მკლავებში მოიქცია. გული ლამის ამოვარდნოდა.

აბდულას ქაბული არასოდეს ენახა. თუ რამ იცოდა ქაბულის შესახებ, ყველაფერი ძია ნაბის მონაყოლიდან. რამდენიმე პატარა ქალაქში კი გაჰყოლოდა მამამისს სამუშაოდ, მაგრამ ნამდვილი ქალაქი სულ სხვა იყო. რაც არ უნდა ეთქვა ძია ნაბის, მაინც ვერაფერი შეედრებოდა დიდი ქალაქის აურზაურის საკუთარი თვალით ნახვით გამოწვეულ გაოცებას. საითაც გაიხედავდა, ყველგან შუქნიშნები, ჩაის სახლები, რესტორნები და ვიტრინებიანი მაღაზიები იყო. გადაჭედილ ქუჩებში გაბმული საყვირით დაქროდნენ მანქანები. ავტობუსებს, ველოსიპედებსა და ფეხით მოსიარულეთა შორის ძლივს იკვლევდნენ გზას. ცხენშებმული გარები(გარი – ოთხთვალა.) ზანზალაკების ჟღარუნითა და რკინის ჩარჩოში ჩასმული თვლების ხტუნვა-ხტუნვით მოძრაობდნენ ბულვარებში. ტროტუარებზე მას, ფარისა და მამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდათ სიგარეტისა და საღეჭი რეზინის გამყიდველები, ჟურნალ-გაზეთების დახლები, მჭედლების სახელოსნოები. გზაჯვარედინზე ულაზათო ფორმებში ჩაცმული პოლიციელები უსტვენდნენ და მრავალმნიშვნელოვნად იქნევდნენ ხელებს, თუმცა ყურადღებას მათ დიდად არავინ აქცევდა.

აბდულა ხორცის დახლთან ახლოს, სკამზე ჩამოჯდა. ფარი კალთაში ჩაისვა. მამამ დაკონსერვებული ლობიო და ქინძის საწებელი უყიდა.

– შეხედე, აბოლა, – თქვა ფარიმ და ხელი ქუჩის გადაღმა მაღაზიისკენ გაიშვირა.

ვიტრინაში ახალგაზრდა ქალი იდგა. ქალს მუქი წითელი შარვალი და მწვანე, პატარა სარკეებითა და მძივებით გაწყობილი, ხელით ნაქარგი კაბა ეცვა. მხრებზე შესაფერისი შარფი ჰქონდა მოსხმული, ვერცხლის სამკაულები ეკეთა. გაუნძრევლად იდგა და გულგრილად უცქეროდა ჩამვლელებს. აბდულამ და ფარიმ ისე დაამთავრეს ჭამა, რომ ქალს თვალი ერთხელაც არ დაუხამხამებია. აბდულამ მაღალი შენობის ფასადზე გაკრული უზარმაზარი სარეკლამო პოსტერი შენიშნა – ახალგაზრდა ინდოელი ქალი ტიტების მინდორში იდგა, თავსხმა წვიმაში ბუნგალოს კედელს ნახევრად ამოფარებული, ოდნავ მორცხვად, მომხიბვლელად იღიმოდა, სველი სარი ტანზე ჰქონდა შემოტმასნილი. – ალბათ ეს არის, რასაც

ძია ნაბი კინოს უწოდებს, იქნებ მე და ფარიც წაგვიყვანოს ერთხელ, სანამ აქ ვიქნებითო, – გაიფიქრა აბდულამ და გაიღიმა.

ძია ნაბიმ მანქანა მაშინ გააჩერა, როცა ლურჯი მეჩეთიდან ლოცვისკენ მოწოდება გაისმა. მძღოლის კარი გააღო და მანქანიდან გადმოვიდა. ისევ თავისი ზეთისხილისფერი კოსტიუმი ეცვა. კარს რომ აღებდა, კინაღამ ველოსიპედით მიმავალ ახალგაზრდა კაცს დაარტყა. ბიჭს ჩაპანი(ჩაპანი – ხალათის მსგავსი მამაკაცის სამოსი.) ეცვა, მოასწრო და დროზე გაიწია. ძია ნაბი მამას გადაეხვია, მერე ბავშვები დაინახა და სახე გაუნათდა. დაიხარა და ჰკითხა:

– ბავშვებო, როგორ მოგწონთ ქაბული? – ძალიან ხმაურიანია, – უპასუხა ფარიმ. ძია ნაბის გაეცინა.

– მოდით, აბა, აძვერით მანქანაში, მანქანიდან უფრო კარგად დაათვალიერებთ. ფეხები გაიწმინდეთ, სანამ ახვალთ. შენ წინ დაჯექი, საბურ.

სალონის უკანა მხარეს გრილოდა, სავარძლებს მანქანის ექსტერიერის ფერთან შეხამებული ლურჯი ქსოვილი ჰქონდა გადაკრული. აბდულა მძღოლის უკან მოეწყო. ფარი კალთაში ჩაისვა. გამვლელები შურის თვალით უყურებდნენ მანქანას. ფარიმ თავი შემოაბრუნა და ერთმანეთს შესცინეს.

ქალაქი მანქანის გასწვრივ მიედინებოდა. ძია ნაბიმ გრძელი გზა აირჩია, რომ ბავშვებს ქაბულისთვის თვალის შევლება მოესწროთ. გზადაგზა რაღაცებს უხსნიდა. მარანჯანის ქედზე გუმბათოვანი მავზოლეუმი ქალაქს გადმოჰყურებს, აქ ზაჰირ შაჰის მამა, მეფე ნადირ შაჰია დაკრძალული. ეს შირდარვაზას მთაა, მის თავზე ბალა-ჰისარის ციხესიმაგრეა, ძია ნაბის თქმით, ბრიტანელები, ავღანეთის წინააღმდეგ მეორე ომში, სწორედ აქ იყვნენ გამაგრებული.

– ეს რა არის, ძია ნაბი? – აბდულამ ხელი დიდი ყვითელი მართკუთხა შენობისკენ გაიშვირა.

– ეს „ფსილოა“, პურის ახალი ქარხანა, – ძია ნაბის საჭე ცალი ხელით ეჭირა, ბავშვებისკენ შემობრუნდა და თვალი ჩაუკრა, – საჩუქარი ჩვენი მეგობარი რუსეთისგან.

– ქარხანა, სადაც პურს აცხობენ, – გაიფიქრა აბდულამ და თონეში ჩაკიდებული ფარვანა გაახსენდა.

ბოლოს ძია ნაბიმ სუფთა, ფართო ქუჩაზე შეუხვია. ქუჩის გასწვრივ ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული კვიპაროსები იდგა. სახლები იმაზე უფრო დიდი და ლამაზი იყო, რაც კი აბდულას ოდესმე ენახა. თეთრი, ყვითელი, ცისფერი, უმეტესად ორსართულიანი შენობები მაღალი გალავნებით იყო შემოღობილი, ყოველ მათგანს რკინის ორკარიანი ჭიშკარი ჰქონდა. აბდულამ ქუჩაზე რამდენიმე ისეთი მანქანა შენიშნა, ძია ნაბი რომ მართავდა.

ძია ნაბიმ მანქანა სახლის სამანქანო გზასთან შეაჩერა. გზას ორივე მხარეს კარგად მოვლილი ბუჩქების მწკრივი გასდევდა. გზის ბოლოს უსაშველოდ

დიდი, ორსართულიანი თეთრი სახლი ჩანდა.

– რა დიდია შენი სახლი! – გაოცებისგან ფარის თვალები გაუფართოვდა.

ძია ნაბიმ ბავშვებს სიცილით გადახედა, – მართლა ჩემი რომ იყოს… არა, ეს ჩემი დამსაქმებლის სახლია. ცოტა ხანში შეგახვედრებთ. აბა, თქვენ იცით, წესიერად მოიქეცით.

სახლი შიგნიდან კიდევ უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა. – ნახევარი შადბაღი დაეტევა, – გაიფიქრა აბდულამ. თავს ისე გრძნობდა, თითქოს დევის სასახლეში შეაბიჯაო. რა ლამაზად დაგეგმარებული ბაღი ჰქონდათ! ფერად-ფერადი ყვავილების მწკრივები, დაბალი, გაკრეჭილი ბუჩქები და უამრავი ხეხილი. აბდულასთვის კარგად ნაცნობი ბალი, ვაშლი, გარგარი და ბროწეულიც ბევრი იყო. გადახურული წინკარი სახლიდან პირდაპირ ბაღში გადიოდა. ძია ნაბიმ თქვა, ამას ვერანდა ჰქვიაო. ვერანდის გარშემო დაბალი მოაჯირი ხვიარა მცენარეებით იყო დაფარული. იმ ოთახისკენ რომ მიდიოდნენ, სადაც ქალბატონი და ბატონი ვაჰდათები იცდიდნენ, აბდულამ სააბაზანო ოთახი შენიშნა. – ეს არის ალბათ, ძია ნაბი რომ გვიყვებოდა, ფაიფურის უნიტაზი და პრიალა, ბრინჯაოსფერი ონკანები. – გაახსენდა, თვითონ როგორ ეზიდებოდა ყოველ კვირას წყალს საერთო ჭიდან, – რა კარგია ცხოვრება, ხელის ერთი შევლება და წყალი მოთქრიალებს, – გაიფიქრა.

მამა, ფარი და აბდულა უზარმაზარ ოქროსფოჩებიან ტახტზე დასვეს. ფუმფულა ბალიშები პაწაწინა რვაკუთხა სარკეებით იყო გაწყობილი. ტახტის წინ ერთი უზარმაზარი ნახატი თითქმის მთელ კედელს ფარავდა. ნახატზე დაზგაზე დახრილი მოხუცი მეჩუქურთმე იყო გამოსახული. ფართო ფანჯრებზე ნაოჭაყრილი ბორდოსფერი ფარდები ეკიდა. ფანჯრები აივანზე გადიოდა. აივნის რკინის მოაჯირი დაახლოებით წელამდე მოგწვდებოდათ. იქაურობა ისე იყო დაკრიალებული, რომ მტვრის ნატამალიც არსად იყო.

აბდულას ასე ჭუჭყიანი თავი არასოდეს ჰგონებია.

ძია ნაბის დამსაქმებელი ბატონი ვაჰდათი ტყავის სავარძელში იჯდა. ხელები მკერდთან ჰქონდა გადაჯვარედინებული. მის გამომეტყველებას მტრულს ვერ დაარქმევდით, თუმცა თვალებში რაღაც შორეულს და შეუღწევადს კი ამოიკითხავდით. მამაზე მაღალი იყო. აბდულამ ეს მაშინვე შენიშნა, როგორც კი მამა მის შესახვედრად ფეხზე წამოდგა. ვიწრო ბეჭები, თხელი ტუჩები და მაღალი პრიალა შუბლი ჰქონდა. თეთრი, წელში გამოყვანილი პიჯაკი და მწვანე პერანგი ეცვა. ჩახსნილი პერანგის სახელოების მანჟეტები ლაზურიტის საკინძეებით ჰქონდა დამაგრებული. მთელი იმ დროის განმავლობაში ზედიზედ ათი სიტყვა არ უთქვამს.

ტახტის წინ, შუშის მაგიდაზე, ნამცხვრებით სავსე თეფში იდგა. ფარი თეფშს თვალს ვერ აცილებდა. აბდულა ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ამდენნაირი ნამცხვარი არსებობდა. თითის ფორმის შოკოლადის ნამცხვარი ბლომად კრემით, პატარა ნამცხვრები ფორთოხლის შიგთავსით, მწვანე ფოთლის ფორმის ნამცხვარი და ასე შემდეგ.

– არ გინდათ ნამცხვარი? – იკითხა ქალბატონმა ვაჰდათიმ. ის ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, – გადაიღეთ, თქვენთვის გამოვიტანე.

აბდულამ და ფარიმ მამას შეხედეს. ნებართვის გარეშე როგორ აიღებდნენ! როგორც ჩანს, ეს ძალიან მოეწონა ქალბატონ ვაჰდათის, წარბები აწკიპა, თავი გვერდზე გადახარა და გაიღიმა.

მამამ ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი. – თითო-თითო გადაიღეთ, – თქვა ხმადაბლა.

– არა, ეგრე არ გამოვა, – თქვა ქალბატონმა ვაჰდათიმ. – ნაბიმ ნამცხვრების მოსატანად ნახევარი ქალაქი გაიარა.

მამა გაწითლდა, ქალბატონ ვაჰდათის თვალი აარიდა; ტახტის კუთხეში იჯდა, ხელში თავისი დაგლეჯილი არახჩინი ეჭირა. მუხლები ბატონი ვაჰდათისკენ მიატრიალა და თვალებში შეხედა.

აბდულამ ორ ნაჭერს დაავლო ხელი. ერთი ფარის მიაწოდა. – კიდევ გადაიღეთ, ტყუილად ხომ არ იწვალა ნაბიმ, – ქალბატონმა ვაჰდათიმ გაიღიმა. – სულაც არ მიწვალია, – მორცხვად თქვა ძია ნაბიმ.

ძია ნაბი კართან მაღალი შუშებიანი ხის კარადის გვერდით იდგა. თაროებზე ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული სურათები ეწყო. ვაჰდათები და კიდევ ერთი წყვილი აქაფებული მდინარის ფონზე, მეორე სურათზე ქალბატონ ვაჰდათის ხელში ჭიქა უჭირავს, იცინის და შიშველ მკლავს კაცს ხვევს წელზე, აბდულას გასაკვირად, კაცი აშკარად არ არის ბატონი ვაჰდათი. ესეც ვაჰდათების ქორწინების ფოტო, ბატონი ვაჰდათი საქორწინო სამოსში და ქალბატონი ვაჰდათი თეთრ კაბაში გამოწყობილი, ორივე პირმოკუმული იღიმის.

აბდულამ თვალი ქალბატონი ვაჰდათისკენ გააპარა. წვრილი წელი ჰქონდა, ლამაზი პირი და მშვილდივით წარბები, ფრჩხილები ვარდისფრად შეეღება, ტუჩის საცხიც შესაფერისი შეერჩია. ახლა გაახსენდა აბდულას, ეს ის ქალი იყო, ძია ნაბიმ მათთან სოფელში რომ ჩაიყვანა. ფარი ორი წლისა იყო. ქალს ატმისფერი, უსახელო კაბა ეცვა, მუქი, თეთრ ჩარჩოში ჩასმული სათვალე ეკეთა. არც მამამისის გაოცებული სახე დავიწყებია. რამდენი კითხვა დაუსვა მამას! ბავშვების სახელები, ასაკი, სოფლის ცხოვრება – ყველაფერი აინტერესებდა. ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, ისიც იმ ალიზის ქოხის ბინადარი იყო. ბუზებით სავსე ფანჯარასთან დაჯდა და ზურგით გამჭვარტლულ კედელს მიეყრდნო. მთავარ ოთახს სამზარეულოსგან ცელოფნის გაცვეთილი ფარდა ჰყოფდა. აბდულას და ფარის იქ ეძინათ. კარგად ახსოვდა აბდულას, როგორც კი სახლში შევიდა ქალბატონი ვაჰდათი, გინდათ თუ არა, ფეხსაცმელი უნდა გავიხადოო და გაიხადა, მამამ სკამი მიაწოდა და არა, იატაკზე ჯდომა მირჩევნიაო და დაჯდა; მოკლედ, ნამდვილი წარმოდგენა გამართა. აბდულა რვა წლის იყო, მაგრამ ძალიან კარგად მიხვდა ყველაფერს.

იმ დღიდან ყველაზე კარგად მაინც ფარვანა დაამახსოვრდა. ფარვანა იყბალზე იყო ფეხმძიმედ. ჩადრჩამოფარებული, მთლიანად შეფუთული, მოკუნტული, ხმაჩაწყვეტილი იჯდა თავისთვის. გაბერილი მუცლის ქვეშ ფეხებამოწყობილი ლამის კედელს აკვროდა. სახეზე აფარებული

დალაქავებული პირბადე ნიკაპის ქვეშ ჰქონდა გაკვანძული. აბდულა ხვდებოდა, როგორ იწვოდა ფარვანა სირცხვილით, როგორ დაპატარავდა დაბნეულობისგან; და უეცრად, საოცარი თანაგრძნობა გაუჩნდა დედინაცვლის მიმართ.

ქალბატონმა ვაჰდათიმ მაგიდიდან სიგარეტი აიღო და მოუკიდა. – გრძელი გზით წამოვედით, რომ ქალაქისთვის თვალი გადაევლოთ, – თქვა ძია ნაბიმ. – კარგი გიქნიათ. საბურ, სხვა დროს თუ ყოფილხართ ქაბულში?

– ერთი-ორჯერ, ქალბატონო, ბიბი(ბიბი – მიმართვის ფორმა ქალისადმი, ქალბატონი.) საჰიბ(საჰიბ – ბატონი, მეპატრონე.).

– და რა აზრის ხართ?

მამამ მხრები აიჩეჩა.

– ძალიან ბევრი ხალხია.

– ჰო, მართალია.

ბატონმა ვაჰდათიმ ჟაკეტის სახელოდან ბუსუსი მოიცილა და ხალიჩას დახედა. – ზოგჯერ ძალიან დამღლელიც, – დაამატა მისმა ცოლმა.

– ქაბული კუნძულივითაა, ზოგიერთის აზრით – საკმარისად პროგრესულიც, მაგრამ მოწყვეტილია ქვეყნის დანარჩენ ნაწილს.

მამამ თავის არახჩინს დახედა და თვალები დაახამხამა.

– სწორად გამიგეთ, მთელი გულით დავუჭერდი მხარს ნებისმიერ პროგრესულ ინიციატივას, რაც ქალაქგარეთ შეიძლება განხორციელდეს. ღმერთმა იცის, რომ ქვეყნისთვის ნამდვილად სასარგებლო იქნებოდა. ზოგჯერ ქაბული მეტისმეტად თვითკმაყოფილი ჩანს. გეფიცებით, ეს პომპეზურობა, – ამოიოხრა, – დამღლელია, სხვა თუ არაფერი. სოფელი ყოველთვის მიყვარდა. განსაკუთრებით კი შორეული პროვინციები, ყარიები(ყარია – პატარა სოფელი.) – პატარა

სოფლები, ასე ვთქვათ, ნამდვილი ავღანეთი. მამამ თავი დაუქნია, ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

– იქნებ არც ვეთანხმებოდე უმეტეს ეთნიკურ ტრადიციებს, მაგრამ მაინც მგონია, რომ იქ ხალხი ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობს. საოცარი გამძლეობა, თავმდაბლობა და სტუმართმოყვარეობა ახასიათებთ. კიდევ – მოქნილობა და სიამაყის განცდა. ხომ მართალი ვარ, სულეიმან? სიამაყე, არა?

– გეყოფა, ნილა, გაჩერდი, – ხმადაბლა უთხრა ქმარმა. სიჩუმე ჩამოწვა. აბდულა თვალს ადევნებდა, როგორ აკაკუნებდა თითებს ბატონი ვაჰდათი

სკამის სახელურზე; მისი ცოლი თავშეკავებულად იღიმოდა; ტუჩის საცხით მოთხუპნული სიგარეტი ხელიდან არ გაუგდია, ფეხები კოჭებთან ჰქონდა გადაჯვარედინებული, იდაყვით

სკამის სახელურს ეყრდნობოდა.

– სიამაყე არ უნდა მეთქვა, არა? – სიჩუმე დაარღვია ქალბატონმა ვაჰდათიმ. – ღირსება, ალბათ.

გაიღიმა და სწორი თეთრი კბილები გამოუჩნდა. აბდულას არასოდეს ენახა ასეთი ლამაზი კბილები.

– ჰო, ღირსება სჯობს, სოფლის მოსახლეობა ღირსებას სამკერდე ნიშანივით ატარებს. მე მართლა ასე ვფიქრობ, აი, შენშიც ღირსებას ვხედავ, საბურ.

– მადლობა, ქალბატონო, ბიბი საჰიბ, – წაიჩურჩულა მამამ, ტახტზე აწრიალდა, ისევ თავის არახჩინს დაშტერებოდა.

ქალბატონმა ვაჰდათიმ თავი დაუკრა, მერე ფარის შეხედა. – რა ლამაზი ხარ! ფარი აბდულას მიეკრო. მერე ქალბატონმა ვაჰდათიმ აუჩქარებლად, დაბალი ხმით წამოიწყო:

– „ახლა ვიხილე მშვენება, ხიბლი, განუზომელი სინატიფე იმ სახისა, მე რომ ვეძებდი“, – გაიღიმა. – ეს რუმია. გსმენიათ მის შესახებ? მგონი, შენ მოგიძღვნა, ჩემო ძვირფასო.

– ქალბატონი ვაჰდათი ნამდვილი პოეტია, – თქვა ძია ნაბიმ.

ოთახის მეორე ბოლოს ბატონმა ვაჰდათიმ ნამცხვარი აიღო, შუაზე გადატეხა და პატარა ნაწილი მოაკბიჩა.

– ნაბი, რა კეთილი ხარ, – თქვა ქალბატონმა და ნაბის თბილი მზერა ესროლა. აბდულას არ გამოჰპარვია, რომ ძია ნაბის ამჯერადაც შეეფაკლა ლოყები. ქალბატონმა ვაჰდათიმ სიგარეტის ნამწვი საფერფლეს დაასრისა.

– ბავშვები ხომ არ წავიყვანო სადმე? – იკითხა მან.

ბატონმა ვაჰდათიმ მოუთმენლად ამოისუნთქა, ორივე ხელის გული სკამის სახელურებს დაჰკრა, თითქოს უნდა წამომდგარიყო, თუმცა ადგილზე დარჩა.

– მოდი, ბაზარში წავიყვან, რას იტყვი, საბურ? ნაბი წაგვიყვანს. სულეიმანი კი სახლის უკან სამუშაოს გაჩვენებს.

მამამ თავი დაუკრა.

ბატონმა ვაჰდათიმ თვალები დახუჭა.

წამოდგნენ.

უეცრად აბდულას ძალიან მოუნდა, რომ მამას ამ ხალხისთვის მადლობა გადაეხადა ჩაისთვის, ნამცხვრებისთვის, ჩაეკიდა ხელი მისთვის და ფარისთვის და სამუდამოდ გასცლოდნენ ამ ნახატებით, ფარდებით, კომფორტითა და ფუფუნებით სავსე სახლს. თავის მათარას წყლით შეავსებდნენ, პურს და რამდენიმე მოხარშულ კვერცხს იყიდდნენ და იქ წავიდოდნენ, საიდანაც მოვიდნენ. ისევ დაადგებოდნენ უდაბნოს გზას, ღამღამობით მთებსა და კლდეებს შეაფარებდნენ თავს, მერე მამა ზღაპრებს მოუყვებოდა, რიგრიგობით ატარებდნენ ურემს. დაიღლებოდნენ, ფილტვები უდაბნოს მტვრით ამოევსებოდათ, ფეხები ასტკივდებოდათ, მაგრამ ორ-სამ

დღეში შადბაღში, სახლში იქნებოდნენ. შუჯა დაინახავდა და მათკენ გამოქანდებოდა. ფარის დანახვით გახარებული ისევ აცეკვდებოდა.

– წადით, ბავშვებო, – თქვა მამამ.

აბდულამ წინ გადადგა ნაბიჯი. ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს ბეჭზე ძია ნაბის მძიმე ხელი იგრძნო. ნაბიმ შემოატრიალა და გასასვლელისკენ გაუძღვა, – დაიცადე, ჯერ ნახე, ისეთი ბაზარია, რომ მსგავსი არაფერი გინახავთ.

ქალბატონი ვაჰდათი უკან, ბავშვებთან დაჯდა. ჰაერში მისი სუნამოს სურნელი დატრიალდა, ტკბილი და თან გამოუცნობი, ოდნავ მწველი, მძაფრი. ბავშვებს კითხვები დააყარა. დადიოდნენ თუ არა სკოლაში? ვინ იყვნენ მათი მეგობრები? რითი იყვნენ დაკავებული? როგორი მეზობლები ჰყავდათ? რას თამაშობდნენ? მზე სახის მარჯვენა მხარეს ეცემოდა. აბდულამ ღინღლი შენიშნა მის ლოყაზე, არც მკრთალი ხაზი გამოჰპარვია ყბის ძვლის ქვეშ, იქ სადაც მაკიაჟი მთავრდებოდა.

– მე ძაღლი მყავს, – უთხრა ფარიმ.

– მართლა?

– ჯიშიანი ძაღლია, – თქვა ძია ნაბიმ.

– შუჯა ჰქვია. ყოველთვის ხვდება, როცა მოწყენილი ვარ.

– ძაღლები ასეთები არიან, – თქვა ქალბატონმა ვაჰდათიმ. – ხშირად ბევრ ადამიანზე უკეთ ხვდებიან ყველაფერს.

სამი სკოლის მოსწავლე გოგონა ტროტუარზე დახტოდა. შავი ფორმები ეცვათ. თეთრი ყელსახვევები ნიკაპთან ჰქონდათ შეკრული.

– ქაბული ყოველთვის ცუდი არაა, – რაღაც დაბნეულად თქვა ქალბატონმა ვაჰდათიმ, თან ხელში ყელსაბამს ათამაშებდა. უცებ სახე დაუნაღვლიანდა. – აი, აქ ყოფნა მიყვარს გაზაფხულის ბოლოს. წვიმების შემდეგ ჰაერი ისეთი სუფთაა. გრძნობ, როგორ ახლოვდება ზაფხული, როგორ აღარ ინდობს გავარვარებული მზე მთებს, – სევდიანად გაიღიმა, – კარგია, ბავშვი რომ იქნება სახლში, შეიცვლება რადაც, ცოტა ხმაური და სიცოცხლე…

აბდულამ საფრთხე იგრძნო. მაკიაჟის, სუნამოს და თანაგრძნობის მიღმა, რაღაც ღრმად იყო ჩამალული. რატომღაც ფარვანას საჭმელების სუნი გაახსენდა, ქილებით სავსე სამზარეულოს თარო, ერთმანეთზე ახორხლილი სხვადასხვა ზომის თეფშები, გამჭვარტლული ქვაბები, ჭუჭყიანი, ფარის და მისი საწოლის ზამბარებამოყრილი მატრასი; ასე არასოდეს მონატრებია სახლი.

ქალბატონმა ვაჰდათიმ მძიმედ ამოიხვნეშა და საზურგეს მიეყრდნო. ორსული ქალები ორივე ხელით რომ იჭერენ ხოლმე მუცელს, ისე ეჭირა თავისი გაბერილი საფულე.

ძია ნაბიმ ხალხმრავალ ტროტუართან გააჩერა. ქუჩის გადაღმა, მეჩეთის ცაში აჭრილი მინარეთის გვერდით, ბაზარი იყო. ღია და გადახურული დერეფნების ლაბირინთები ერთმანეთზე მიწყობილი ტყავის ქურქების, ფერადთვლებიანი ბეჭდების და ყველა სახის სანელებლების დახლებით იყო გადაჭედილი. წინ ბავშვები და ქალბატონი ვაჰდათი მიდიოდნენ, ძია ნაბი უკან მიჰყვებოდათ. მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ქალბატონმა ვაჰდათიმ მუქი, თეთრ ჩარჩოში ჩასმული სათვალე გაიკეთა; ცოტა არ იყოს, უცნაურად დაემსგავსა კატას.

ყველგან ვაჭრების გადაძახილი და ხმამაღალი მუსიკა ისმოდა. წიგნებით, რადიოლებით, ნათურებით, ვერცხლისფერი ჯამ-ჭურჭლით მოვაჭრეებს ჩაუარეს. აბდულამ ორი ჯარისკაცი შენიშნა, მტვრიანი ჩექმები და მუქი ყავისფერი ფარაჯები ეცვათ. ერთ სიგარეტს რიგრიგობით ეწეოდნენ და გამვლელებს გულგრილი გამომეტყველებით ადევნებდნენ თვალს.

ფეხსაცმლის დახლთან შეჩერდნენ. ქალბატონმა ვაჰდათიმ ფეხსაცმლების ყუთები გადაჩხრიკა; ცდილობდა, მოდელი ნახატის მიხედვით ამოერჩია. ზურგზე ხელებდაწყობილი ძია ნაბი იქვე, მომდევნო დახლთან იდგა და ძველ მონეტებს ათვალიერებდა.

– აბა, რას იტყვი? – ქალბატონმა ვაჰდათიმ ხელში ყვითელი სპორტული ფეხსაცმელი შეათამაშა.

– რა ლამაზია! – თქვა ფარიმ. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

– მოდი, მოიზომე.

ქალბატონი ვაჰდათი ფარის ფეხსაცმლის ჩაცმაში მოეხმარა, ზონარი და ბალთა შეუკრა. მერე სათვალის ზემოდან აბდულას გადახედა, – მგონი, შენც დაგჭირდება. ვერ ვიჯერებ, რომ მაგ სანდლებით გამოიარე მთელი გზა.

აბდულამ თავი გააქნია და იქით გაიხედა. გასასვლელში ფეხებმოკვეთილი მოხუცი მათხოვრობდა.

– შეხედე, აბოლა! – წამოიძახა ფარიმ. ჯერ ერთი ფეხი ასწია, მერე მეორე; ფეხებს აბაკუნებდა და ხტოდა.

ქალბატონმა ვაჰდათიმ ძია ნაბის დაუძახა და სთხოვა, ფარი გაატარ-გამოატარე, ვნახოთ

როგორ მოერგო ფეხსაცმელიო. ძია ნაბიმ ფარის ხელი ჩაჰკიდა და გზას ზევით აუყვნენ. ქალბატონმა ვაჰდათიმ აბდულას შეხედა.

– ალბათ ჩემი ლაპარაკი არ მოგეწონა და ფიქრობ, რომ ცუდი ადამიანი ვარ.

აბდულამ თვალი მიადევნა ძია ნაბის და ფარის. მოხუც ფეხებმოკვეთილ მათხოვარს ჩაუარეს, მან რაღაც უთხრა ფარის. ფარიმ ძია ნაბის შეხედა, ძია ნაბიმ მათხოვარს ხურდა

ფული ჩაუგდო გამოწვდილ ხელში. აბდულა უხმოდ ატირდა.

– ოჰ, საყვარელო, – თქვა გაოცებულმა ქალბატონმა ვაჰდათიმ, – საწყალო ბიჭო, – ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მიაწოდა.

აბდულამ ხელი აუქნია, – გთხოვთ, ეს არ გააკეთოთ! – ხმა უკანკალებდა.

ქალბატონი ვაჰდათი აბდულას გვერდით ჩაცუცქდა, სათვალე შუბლზე აიწია და აცრემლებული თვალები მოიწმინდა, ცხვირსახოცს შავი ლაქები დააჩნდა.

– შენი ბრალი არაა, რომ გეზიზღები. ეგ შენი ნებაა. მაგრამ იცოდე, ყველაფერი უკეთესობისკენაა. დამიჯერე, ასეა. არ მოველი, რომ ახლა გამიგებ, მაგრამ ერთ დღესაც

ყველაფერს მიხვდები.

აბდულამ ზევით აიხედა და ცას შესტირა. ფარი კუნტრუშით მორბოდა მისკენ. თვალებით მადლიერებას ასხივებდა, სახე ბედნიერებისგან უბრწყინავდა.

იმ ზამთარს, ერთ დილას, მამამ ნაჯახი აიღო და ბებერი მუხის მოსაჭრელად მოემზადა. მოლა შექიბის ვაჟი ბაითულა და რამდენიმე კაცი ეხმარებოდა. მისი შეჩერება არავის უცდია. აბდულა ბიჭებთან ერთად იდგა და უყურებდა. პირველ ყოვლისა, მამამ საქანელა ჩამოხსნა. ხეზე ავიდა და თოკები გადაყრა. მერე საღამომდე ნაჯახს ურტყამდნენ, სანამ უზარმაზარი ხე ხვნეშით მოადენდა ზღართანს. მამამ აბდულას უთხრა, რომ ზამთრისთვის შეშა სჭირდებოდათ. პირგამეხებული ისეთი გამეტებით ურტყამდა ნაჯახს, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, ბოლომდე მიეყვანა საქმე და იქით აღარასოდეს გაეხედა. კარგა ხანს ჩეხავდნენ წაქცეულ ხეს კლდისფერი ცის ქვეშ, ცხვირები და ლოყები სიცივისგან ჰქონდათ დაწითლებული. მათი ნაჯახის პირები დაკვრისას ექოს გამოსცემდა. აბდულამ ხეს პატარა ტოტები ჩამოატეხა. ორი დღის წინ პირველი თოვლი მოვიდა. მალე ზამთარი ჩამოწვებოდა შადბადში, თან მოიტანდა ყინვის ლოლუებს, გაუთავებელ თოვლის ნამქერს და ისეთ ქარს, ხელებზე კანს წუთში რომ ხეთქავდა. ჯერჯერობით მიწას თავისი ფერი ჰქონდა; შორს, გადათეთრებული მთების ციცაბო ფერდობებზე აქა-იქ მოჩანდა მკრთალი ყავისფერი ლაქები.

აბდულამ შეშის გროვას ტოტები დაამატა. ახალი ბოტები და ლურჯი ქურთუკი ეცვა, ხელთათმანებიც ახალი ეკეთა. მთლად ახალს ვერ იტყოდით, მეორადი იყო, მაგრამ ახალივით გამოიყურებოდა. მართალია, ქურთუკს ელვა ჰქონდა გაფუჭებული, მაგრამ მამამ შეუკეთა. შიგნით ფორთოხლისფერი ბეწვი ჰქონდა გამოკერებული. ოთხი ორმა ჯიბე იხსნებოდა და იკვრებოდა, დალიანდაგებული კაპიუშონი სახეზე ეტმასნებოდა, როცა ზონარს მოქაჩავდა.

ახლა კაპიუშონი უკან გადაიგდო და მძიმედ ამოისუნთქა.

მზე თვალს ეფარებოდა, თუმცა ბინდ-ბუნდში ჯერ კიდევ მოჩანდა ალიზის ქოხების თავზე გადმოყუდებული ძველი, მიტოვებული ქარის წისქვილი. მთებიდან სუსხიანი ქარი მოვარდებოდა თუ არა, ფრთების ჭრიალით ქარს აჰყვებოდა და ტრიალს იწყებდა. წისქვილის თავზე ზაფხულობით ლურჯი

ყანჩები იდებდნენ ბინას. ზამთრობით მათ ყვავები ენაცვლებოდნენ. ყოველ დილას ყვავების ჩხავილი აღვიძებდა აბდულას.

რაღაცამ თვალი მოსტაცა. მის მარჯვნივ, მიწაზე, პატარა ყვითელი ბუმბული ეგდო. მიუახლოვდა, დაიხარა, ხელთათმანი მოიხსნა და აიღო.

საღამოს აბდულა, მამამისი და აბდულას ნახევარძმა იყბალი სტუმრად მიდიოდნენ. ბაითულას ვაჟი შეეძინა. მუტრიბი(მუტრიბი – მომღერალი, დამკვრელი, გამრთობი.) კაცებს უმღერებს, ვიღაც დაირაზე დაუკრავს. ცხელი ჩაი, ახალგამომცხვარი პური და შორვა(შორვა – ბოსტნეულის წვნიანი.) იქნება. შემდეგ მოლა შექიბი ტკბილი წყლით სავსე თასში ჩაჰყოფს თითს და პატარას მოაწოვებს. მერე პრიალა შავ ქვასა და სამართებელს ამოიღებს, ბიჭს სახვევებს შემოაცლის… ტრადიციული რიტუალი, შადბაღში ცხოვრება გრძელდებოდა.

აბდულამ ბუმბული ხელში შეატრიალა. – ტირილს ველარ ავიტან. მორჩა, ველარ ავიტან, – გაახსენდა მამამისის ნათქვამი.

არც არავის უტირია. ფარი არავის მოუკითხავს, მის სახელსაც კი არ ახსენებდნენ. უკვირდა აბდულას, ასე როგორ გაქრა გოგონა მათი ცხოვრებიდან. აბდულას სევდას მხოლოდ შუჯა იზიარებდა. ყოველ დილას მოდიოდა და კართან იცდიდა. ფარვანა ქვებს ესროდა, მამა ჯოხით იგერიებდა, მაგრამ დილას მაინც ბრუნდებოდა. ღამღამობით განუწყვეტლივ წკმუტუნებდა, დილას ისევ მათ კართან იწვა, თავი წინა თათებზე ედო და თავის მწვალებლებს სევდიანი თვალებით შეჰყურებდა. ასე გრძელდებოდა კვირების განმავლობაში. ერთხელაც აბდულამ თვალი შეასწრო, თავჩაქინდრული რომ მიძუნძულებდა მთებისკენ. მას მერე შუჯა შადბაღში არავის უნახავს.

აბდულამ ყვითელი ბუმბული ჯიბეში ჩაიდო და ქარის წისქვილისკენ გაემართა.

იყო წუთები, როცა მამამისის დაღვრემილ სახეზე გამოუცნობი, დამაბნეველი ემოცია ისახებოდა. აბდულას თვალში მამა დაპატარავდა, მთავარი რაც იყო, ის დაკარგა. სახლში ზოზინით დადიოდა ან იყბალთან ერთად სითბოში იჯდა ახალი თუჯის ღუმლის წინ და ცეცხლს შეჰყურებდა. ხმა შეეცვალა, სიტყვებს ისე მძიმედ ამბობდა, გეგონებოდათ, თითოეულ მათგანს მძიმე ტვირთი ეკიდაო. ძირითადად ჩუმად იყო. მას მერე, რაც ქაბულიდან დაბრუნდნენ, აღარც ზღაპრებს ჰყვებოდა. აბდულა ხანდახან გაიფიქრებდა ხოლმე, – ნეტა, მუზაც ხომ არ მიჰყიდა ქალბატონ ვაჰდათისო.

წავიდა.

გაქრა. აღარც საქმე დარჩა, აღარც სათქმელი.

გარდა ფარვანას სიტყვებისა: „ეს ფარი უნდა ყოფილიყო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ფარი უნდა ყოფილიყო“.

თითი მოიკვეთე, ხელი რომ გადაირჩინო.

ქარის წისქვილის უკან, ქვის კოშკის ძირგამოთხრილ საძირკველთან მიწაზე დაიხარა, ხელთათმანი მოიხსნა და მიწის თხრა დაიწყო. ფარი არ შორდებოდა თვალებიდან, ხშირი წარბები, მაღალი შუბლი და ღიმილი, დაშორიშორებული კბილები. მისი კისკისი ესმოდა ყველგან. მერე ის აურზაური გაახსენდა, ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ რომ ატყდა. ფარის შიშისგან თავზარი დაეცა, კიოდა. ძია ნაბიმ სასწრაფოდ გააცილა იქაურობას. იქამდე თხრიდა მიწას, სანამ თითებით თუნუქის ყუთს შეეხებოდა. მერე ჩაის ყუთი ამოიღო, თავსახურიდან

ჭუჭყი მოაცილა.

ბევრჯერ დაფიქრებულა იმ ზღაპარზე, მამამ ქაბულში წასვლის წინა ღამეს რომ უამბო. მოხუცი გლეხი ბაბა აიუბი და დევი.

აბდულა, თავისდაუნებურად, იმ ადგილას აღმოჩნდებოდა ხოლმე, ფარის რომ უყვარდა დგომა. ამ დროს მისი არყოფნა მიწიდან მძაფრი სუნივით ამოვარდებოდა და ისე შეატორტმანებდა, ფეხზე ვერ დგებოდა, გული უსუსტდებოდა და მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობდა – ბაბა აუბის მსგავსად, დევის ნაჩუქარი ჯადოქრული ხსნარის დიდი ყლუპი მოესვა და ყველაფერი დაევიწყებინა. მაგრამ რა დავიწყება! ფარი თან სდევდა, თავს დასტრიალებდა, პერანგზე მტვერივით ეწებებოდა, სახლში ბოლო დროს გამეფებულ სიჩუმეში იმალებოდა, სიჩუმეში, რომელიც სიტყვათა შორის ჩნდებოდა, ზოგჯერ ცივი და ცარიელი, ზოგჯერ კი გამოუთქმელი გრძნობებით სავსე, ისე, როგორც წვიმით სავსე შავი ღრუბელი, საიდანაც წვეთიც კი არ ვარდება. სიზმრებში აბდულა ისევ უდაბნოში იყო, მარტოდმარტო, მთებით გარშემორტყმული. შორს სინათლის პაწაწა ნაპერწკალი ციმციმებდა, თითქოს რაღაცას ანიშნებსო.

ჩაის ყუთს თავი მოჰხადა. ბუმბულები ისევ ისე ეწყო. მამლის, იხვის, მტრედის, ფარშევანგის. ყვითელი ბუმბულიც იქ ჩადო. იქნებ ერთხელაც…

მაინც იმედი ჰქონდა.

შუჯასი არ იყოს, შადბაღში მისი დღეებიც დათვლილი იყო. იქ აღარაფერი აკავებდა. მამის სახლი მისად აღარ ეგულებოდა. დაიცდის, სანამ ზამთარი გადაივლის და გაზაფხული მოვა. ერთ დღესაც განთიადამდე ადგება, კარს გაიხურავს, აირჩევს, საით წავიდეს და გზას გაუდგება. მანამდე ივლის, სანამ ფეხები დაემორჩილება და თუ ტრიალი მინდვრის გადაკვეთის დროს სევდა მოეძალება, შეჩერდება, თვალებს დახუყავს, იმ შევარდნის ბუმბულს

გაიხსენებს, ფარიმ უდაბნოში რომ იპოვა. წარმოიდგენს ცაში, ღრუბლების ზევით, დედამიწიდან მრავალი მილის დაშორებით, კამარის შეკვრის დროს, როგორ მოსძვრა ბუმბული შევარდენს, როგორ წაიღო მწივანა ქარმა ტრიალ-ტრიალით, როგორ გადაატარა მთები და უდაბნოები და ბოლოს, როგორ დაეშვა მიწაზე, სადმე სხვაგან კი არა, ზუსტად იმ კლდის ძირას, სადაც ფარიმ იპოვა.

ისევ იმედი მიეცემა. დაიჯერებს, რომ სასწაულებიც ხდება. თუმცა კარგად ესმის ყველაფერი, თავს გაიმაგრებს, თვალებს გაახელს და გზას განაგრძობს.

თავი მესამე

სანამ საბანს გადახდის და დაინახავს, ფარვანა სუნით გრძნობს. ყველგან გაგლესილია. მასუმას დუნდულებზე, თეძოებზე, ზეწარზე, ლეიბზე, საბანზე. მასუმა ფარვანას მორიდებით უცქერის და თვალებით პატიებას სთხოვს, ამდენი წლის შემდეგ კიდევ რცხვენია.

– ბოდიში, – ჩურჩულებს მასუმა.

ერთი სული აქვს ფარვანას, რომ დაიყმუვლოს, მაგრამ თავს ძალას ატანს და ოდნავ შესამჩნევად იღიმის. ვინ იცის, რის ფასად და მერამდენეჯერ ახერხებს ფარვანა სიმართლისთვის თვალის გასწორებას: ეს მისი ხვედრია. მან ეს დაიმსახურა. არა, უსამართლო არაფერი ხდება მის თავს. ამოიოხრებს, თვალს გადაავლებს დასვრილ თეთრეულს; შეზარავს ის, რისი გაკეთებაც მოუწევს და იტყვის: – არა უშავს, გაგასუფთავებ.

მასუმა უხმოდ ტირის, სახეზე გამომეტყველება არ ეცვლება, ცრემლები უწყვეტ ნაკადად ჩამოსდის.

გარეთ დილის სუსხია. ფარვანა ცეცხლს ანთებს, იცდის, სანამ ცეცხლი ძალას მოიკრებს. მერე სოფლის საერთო ჭიდან სათლით წყალი ამოაქვს და გასათბობად დგამს. აქედან ქარის წისქვილი და მეჩეთი მოჩანს. ამ მეჩეთში ასწავლიდა მას და მასუმას მოლა შექიბი წერა-კითხვას. მთის ფერდობზე მოლა შექიბის სახლია. მზე რომ ამოვა, სახლის სახურავი წითელი კვადრატივით გამოჩნდება, რადგან მისმა ცოლმა სახურავზე პომიდვრები გამოფინა გასაშრობად. ფარვანა მიმქრალ დილის ვარსკვლავებს შესცქერის. მერე საქმეს უბრუნდება.

სახლში შედის და მასუმას ზურგზე აწვენს. ტილოს ასველებს და მის გაწმენდას იწყებს, ჯერ დუნდულებს, მერე წელს და ფეხებს უსუფთავებს.

– რად გინდოდა თბილი წყალი? – ამბობს მასუმა, – მაინც ვერ ვგრძნობ განსხვავებას, ჩემთვის სულერთია.

– ჩემთვის არაა სულერთი, – ამბობს და სიმყრალისგან სახე ეჯღანება, – გაჩუმდი და დამამთავრებინე.

ასეთია ფარვანას ცხოვრება მას მერე, რაც ოთხი წლის წინ მშობლები დაეხოცათ: წიწილებს საკენკს უყრის, შეშას ჩეხავს, წყალს ეზიდება, ცომს ზელს, თონეს ახურებს, იატაკს გვის. შუადღისას წყაროზე ჩააქვს ჭუჭყიანი სარეცხი და სოფლის ქალებთან ერთად ჩაცუცქული რეცხავს. პარასკეობით მშობლების საფლავზე დადის, მოკლე ლოცვას კითხულობს. შუალედებში მასუმას აბრუნებს ერთი გვერდიდან მეორეზე, ბალიშს ხან ერთი დუნდულის ქვეშ ამოუდებს და ხან მეორის.

იმ დღეს ორჯერ ნახა საბური.

თავისი თიხით შელესილი სახლის წინ აბდულასთან ერთად ზის, თვალებმოჭუტული ცეცხლს უბერავს. მერე სხვა კაცებთან ერთად მოჰკრა თვალი. ახლა ყველას თავის ოჯახი აქვს. ეს კაცები ერთ დროს, პატარა

ბიჭობაში, ერთად დასდევდნენ ძაღლებს, ფრანებს უშვებდნენ, ჩხუბობდნენ და დახუჭობანას თამაშობდნენ. ცხოვრებამ თავისი გაიტანა. საბურს დიდი ტვირთი დააწვა. ცოლის სიკვდილის შემდეგ ორი ობოლი დარჩა მისახედი, მათგან ერთი მთლად ჩვილი. მას მერე საბური ძლივს გასაგონი ხმით ლაპარაკობს. თავისი თავის ჩრდილად იქცა, გამოფიტული, დაქანცული დალასლასებს სოფელში. ფარვანა შორიდან უცქერის, სურვილს ძლივს იკავებს. ცდილობს, რომ თვალი აარიდოს და თუ შემთხვევით მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, საბური თავს დაუკრავს და ჩაივლის, ფარვანას კი ცეცხლი ეკიდებასახეზე.

იმ ღამითაც ისეთი დაღლილია ფარვანა, რომ მკლავებს ვეღარ გრძნობს. დაქანცულობისგან თავბრუ ესხმის. წვება და უცდის, როდის წაიღებს ძილი. მერე სიბნელეში:

– ფარვანა?

– ჰო.

– გახსოვს, როგორ დავქროდით ველოსიპედით?

– ჰმმ.

– რა სწრაფად დავეშვით იმ დღეს გორიდან, ძაღლები რომ გამოგვედევნენ. – მახსოვს.

– როგორ ვკიოდით და იმ ქვას რომ წამოვედეთ…

ფარვანამ იცის, რომ ახლა მასუმა სიბნელეში იღიმის.

– მერე დედა გაგვიწყრა, ნაბი ხომ სულ გაგიჟდა, ველოსიპედი რომ დავუმტვრიეთ. ფარვანა თვალებს ხუყავს.

– ფარვანა?

– ჰო.

– ჩემთან დაიძინე რა, ამაღამ.

ფარვანა საბანს იხდის, ოთახს კვეთს და მასუმას გვერდით წვება. მასუმა ლოყით მხარზე ეხუტება, ხელს მკერდზე გადახვევს და ჩურჩულებს, – შენ უფრო მეტს იმსახურებ.

– ნუ დაიწყებ ახლიდან, – ჩურჩულებს ფარვანა. თან დას თმაზე ხელს უსვამს, ეფერება, ასე მოსწონს მასუმას.

შემდეგ, ცოტა ხანს, უმნიშვნელო რაღაცებზე ჭორაობენ. ერთმანეთს სუნთქვით ათბობენ. ეს შედარებით ბედნიერი წუთებია ფარვანასთვის. ბავშვობას ახსენებს. ერთმანეთს ცხვირებს მიაჭერდნენ ხოლმე საბნის ქვეშ. სალაპარაკო არ ელეოდათ, საიდუმლოებები, ჭორები… თან ხმადაბლა ხითხითებდნენ. მასუმას მალე ეძინება. სიზმარში ხმამაღლა ამბობს რაღაცას. ფარვანა ფანჯრიდან ნახშირივით შავ ცას უცქერის. მისი გონება ფიქრებს შორის ირევა, ბოლოს ერთ სურათთან მიცურდება და ჩერდება. სურათი ძველ

ჟურნალში ნახა: ტყუპი ძმები სიამიდან, ორი თავითა და ერთი ტანით. ერთის ძვლის ტვინში წარმოქმნილი სისხლი მეორეს ძარღვებში მიედინება; ურღვევი, მუდმივი კავშირისთვის განწირულები. ფარვანას სული ეხუთება, გეგონებათ, ვიღაცამ გულზე წაუჭირა ხელი. როგორღაც ამოისუნთქა. უნდა, რომ საბურზე გადაიტანოს ფიქრი. მისი გონება ისევ იმ ჭორთან მიდის, ცოტა ხნის წინ სოფელში რომ გაიგონა: საბური ახალ ცოლს ეძებს. – რა სისულელეა, – სულ ამოძირკვავს ამ ფიქრს თავიდან.

ფარვანას გაჩენას არავინ ელოდა.

მასუმა დაიბადა, ბებიაქალის მკლავებში ფართხალებს. ამ დროს დედამ კიდევ დაიკივლა და მეორე ბავშვის თავის თხემი გამოჩნდა. მასუმა გართულებების გარეშე მოევლინა ქვეყანას. – თავის თავს თვითონ უშველა ამ ანგელოზმა, – მოგვიანებით თქვა ბებიაქალმა. ფარვანას დაბადება კი გაჭიანურდა. დედა ტკივილით იტანჯებოდა, ბავშვის სიცოცხლე სასწორზე იდო. კისერზე შემოხვეული ჭიპლარი თითქოს საბოლოო შეტევაზე იყო გადასული, სანამ პატარას სიცოცხლეს გამოასალმებდა. ბებიაქალმა ძლივს შემოაცალა კისრიდან. ყველაზე მძიმე წუთებში, როდესაც საკუთარი თავის ზიზღი შეიპყრობდა ხოლმე, ფარვანა ფიქრობდა, რომ ჭიპლარმა უკეთ იცოდა, ორიდან რომელი იყო გასაწირი.

მასუმა განრიგის მიხედვით იკვებებოდა. დროულად იძინებდა. მხოლოდ მაშინ ტიროდა, როცა შიოდა ან დასაბანი იყო. როცა ეღვიძა, ბევრს თამაშობდა, ჟღარუნას ლოღნიდა და მხიარულად ჭყიოდა. მოკლედ, ნამდვილი სიხარულის გუდა იყო.

ჭკვიანი ბავშვიაო, ამბობდა ხალხი.

ფარვანა ტირანი იყო და მთელ ძალაუფლებას დედამისის წინააღმდეგ მიმართავდა. ბავშვის ისტერიული ქცევით საგონებელში ჩავარდნილი მამა გოგონების უფროს ძმასთან, ნაბისთან ერთად, თავისი ძმის სახლში ათევდა ღამეს, რადგან ღამე კიდევ უფრო დრამატულად მიმდინარეობდა. რამდენიმე წუთით თვალის მოტყუება ვერაფერი შვება იყო დედასთვის. წუთით არ ჩერდებოდა. არწევდა და უმღეროდა, მთელი ღამე ხელში აყვანილი დაჰყავდა. ტკივილისგან სახე მოექცეოდა ხოლმე, როცა ფარვანა დაბერილ, გადაყვლეფილ ძუძუს თავზე ჩააფრინდებოდა და ისე წოვდა, გეგონებოდათ რძე ძვლებიდან უნდა ამოექაჩა.

თან რომ გადაჰყოლოდი, მაინც არაფერი შველოდა.

მაძღარიც უაზროდ ჭყაოდა და მშიერიც, დედის ხვეწნა-მუდარას, აბა, რა აზრი შეიძლებოდა ჰქონოდა. მასუმა ოთახის კუთხიდან უცოდველი თვალებით იცქირებოდა, თითქოს დედა

ეცოდებოდა.

– ნაბი სულ სხვანაირი იყო, – უთხრა დედამ მამას. – ყველა ბავშვი სხვადასხვანაირია.

– ეს ბავშვი მკლავს.

– გაივლის, – თქვა მამამ, – ცუდი ამინდივით.

მართლაც გაიარა. ჭვალივით უკვალოდ. მაგრამ უკვე გვიან იყო. ფარვანამ დაღის დასმა მოახერხა.

გვიანი ზაფხულის ერთ ნაშუადღევს, როცა ტყუპები ათი თვისანი იყვნენ, ვიღაცის ქორწილის შემდეგ, სოფლელები შეიკრიბნენ და დიდი ნადიმი გამართეს. ქალები მონდომებით აკოკოლავებდნენ ზაფრანამოყრილ ქათქათა ფანტია ბრინჯს თეფშებზე. პური დაჭრეს, ტაფებიდან დაბრაწული ბრინჯი მოფხიკეს, მაწვნითა და პიტნით შეზავებული ბადრიჯანი ჩამოარიგეს. ნაბი ბიჭებთან თამაშობდა. დედა, ქალებთან ერთად, ბებერი მუხის ქვეშ გაშლილ ფარდაგზე იჯდა. ტყუპებს იქვე, ჩრდილში ეძინათ. დედა დროგამოშვებით დახედავდა ხოლმე ბავშვებს.

ნადიმის შემდეგ, ჩაის სმის დროს, გოგონებმა გაიღვიძეს. თვალი გაახილეს თუ არა, ვიღაცამ ხელი დასტაცა მასუმას; აიყვანა, კოცნა და ეფერა; მერე ბავშვი რომელიღაც ბიძაშვილს გადასცა, იმან ბიძას, ბიძამ ბიცოლას, ბიცოლამ დეიდას, დეიდამ მამიდას; ხან ფეხზე აყენებდნენ, ხან ახტუნავებდნენ, ცხვირებს ცხვირზე უხახუნებდნენ, მუცელზე უღიტინებდნენ. სიცილით კინაღამ დაიხოცნენ, როცა მასუმა მოლა შექიბს წვერში სწვდა; ნახეთ, რა მხიარულია, ან რა კარგი ზნის ბავშვია, ნახეთ, ლოყები როგორ უღაჟდაჟებს, რა ლამაზი საფირონისფერი თვალები აქვს, წარბების რკალი მოზიდულ მშვილდს მიუგავს, რამდენიმე წელიწადში ისეთი გოგო დადგება, ქვეყანას გააოცებს თავისი მშვენიერებითო.

დედის კალთაში დარჩენილი ფარვანა წყნარად უცქეროდა როლში შეჭრილ მასუმას, როგორც აღფრთოვანებული საზოგადოების ერთი დაბნეული წევრი, რომელსაც კარგად ვერ გაეგო ამ აჟიოტაჟის მიზეზი. დედა წარამარა შეხედავდა ხოლმე, პაწია ფაფუკ ფეხზე ხელს მოუჭერდა, თითქოს ებოდიშებოდა. ვიღაცამ თქვა, მასუმას ორი ახალი კიჭი ამოსდისო, დედამ მაშინვე მიაგება, ფარვანას უკვე სამი კბილი აქვს, აი, შეხედეთო, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

ცხრა წლის რომ შესრულდნენ გოგონები, საბურის სახლში
იფტარის(იფტარი – გახსნილება რამადანის მარხვისას, მზის ჩასვლის შემდეგ.) – რამადანის მარხვის დასრულების აღსანიშნავ ოჯახურ წვეულებაზე წაიყვანეს. უფროსები კედლებთან დაწყობილ ბალიშებზე დასხდნენ. ჩაი, კეთილი სურვილები და ჭორები ერთმანეთს ენაცვლებოდა. მოხუცები კრიალოსნის მძივებს ათამაშებდნენ. ფარვანა წყნარად იჯდა, მეტი რა უნდოდა, იმ ჰაერს სუნთქავდა, რომელსაც საბური, მისი მშვიდი, შავი თვალების ცქერა შეეძლო. იმ საღამოს გაბედა და რამდენჯერმე შეხედა. საბური ხან შაქრის ნატეხს კვნეტდა, ხან პრიალა შუბლზე ისვამდა ხელს, ხანაც გულიანად იცინოდა. ერთი-ორჯერ ფარვანას მზერა იგრძნო და მისკენ გაიხედა. დაბნეულმა ფარვანამ სწრაფად გაატრიალა თავი. მუხლები აუკანკალდა, პირი გაუშრა და ხმა ჩაუწყდა.

ფარვანას სახლში, თავისი ნივთების ქვეშ დამალული უბის წიგნაკი გაახსენდა. საბური სულ რაღაცას ჰყვებოდა. მისი ზღაპრები სავსე იყო

ჯინებით, ფერიებით, დემონებითა და დევებით. ხშირად სოფლის ბავშვები გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე და ხმაგაკმენდილები უსმენდნენ საბურის არაკებს. დაახლოებით ექვსი თვის წინ ფარვანამ ნაბისა და საბურის საუბარს მოჰკრა ყური. საბური ამბობდა, ერთხელაც ჩავიწერ ჩემს მოთხრობებსო. ცოტა ხანში დედამ ქალაქში, ბაზარში წაიყვანა. დახლზე, სადაც ნახმარ წიგნებს ჰყიდდნენ, ფარვანამ წიგნაკი შენიშნა, რომელსაც პრიალა ფურცლები და ყავისფერი ტყავის ყდა ჰქონდა. იცოდა, დედას ფული არ ეყოფოდა და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა. როგორც კი გამყიდველმა თვალი მოაცილა, დრო იხელთა და წიგნაკი სწრაფად ამოიდო სვიტერის ქვეშ.

მაგრამ მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა და უბის წიგნაკის საბურისთვის გადაცემა ვერ გაებედა. იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ შეიძლებოდა ბიჭს დაეცინა, ან მიმხვდარიყო მის განცდებს და უკან დაებრუნებინა. ყოველდამე საბანს წაიფარებდა, წიგნაკის ტყავის ყდაზე ამოტვიფრულ ორნამენტებს ხელს გადაუსვამდა და თავის თავს პირობას აძლევდა: „ხვალ აუცილებლად მივალ და ვაჩუქებ“.

იმ საღამოს, სადილის შემდეგ, ბავშვები გარეთ გავარდნენ სათამაშოდ. ფარვანა, მასუმა და საბური რიგრიგობით ქანაობდნენ ბებერი მუხის ხის ტოტზე ჩამოკიდებულ საქანელაზე. ფარვანას ჯერი მოვიდა, მაგრამ საბურმა ამ დროს ახალი ზღაპრის მოყოლა დაიწყო და საქანელისთვის ხელის კვრა დაავიწყდა. ამჯერად მისი ზღაპარი გიგანტური მუხის ხის ჯადოსნურ ძალას შეეხებოდა. თუ ხის წინ დაიჩოქებდი და ჩურჩულით გაუმხელდი ოცნებას, ხე ზუსტად ათ ფოთოლს გადმოგაყრიდა თავზე. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ოცნება აგისრულდებოდა. ფარვანა საბურისკენ შებრუნდა, უნდოდა ეთხოვა, რომ ხელი ეკრა საქანელისთვის, მაგრამ სიტყვა ენაზე შეახმა. საბურს ხელში მისი წიგნაკი ეჭირა.

– სახლში ვიპოვე, შენი იყო? როგორმე გადაგიხდი, გპირდები. ნუ მიაქცევ ყურადღებას რა! უბრალოდ ვიფიქრე, რომ საბურისთვის იყო ზედგამოჭრილი. ხომ დაინახე, როგორ გაუხარდა, – თქვა მასუმამ მოგვიანებით.

არა უშავსო, – ძლივს ამოთქვა ფარვანამ. თვალწინ წარმოუდგა, როგორ უცქერდნენ და უღიმოდნენ ერთმანეთს მისი და და საბური. ფარვანა ვიღას ახსოვდა, თითქოს იქ არ იყო, თითქოს საბურის ზღაპრის ჯინივით ჰაერში გაიფანტა. ოჰ, როგორ ეტკინა გული! მთელი ღამე ტირილში გაატარა.

თერთმეტი წლისა რომ შესრულდნენ, ფარვანას უკვე გაგონილი ჰქონდა, რომ ბიჭები უცნაურად იქცეოდნენ გოგონებთან, რომლებიც მათ მოსწონდათ. ამას განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა, როდესაც ის და მასუმა სკოლიდან ბრუნდებოდნენ. სკოლა კი ერქვა, მაგრამ სინამდვილეში სოფლის მეჩეთის უკანა ოთახი იყო, სადაც მოლა შექიბი ყურანთან ერთად ბავშვებს წერა-კითხვას და პოეზიასაც ასწავლიდა. შადბაღელებს გაუმართლათ, რომ სოფელს ისეთი მალიქი(მალიქი – თავკაცი, მამასახლისი.) ჰყავდა, როგორიც მოლა შექიბი იყო. სკოლიდან რომ ბრუნდებოდნენ, ხშირად გალავანზე შემომსხდარ ბიჭებს ჩაუვლიდნენ ხოლმე. ბიჭები ხან რაღაც სისულელეებს მიაძახებდნენ, ხან კენჭებს ესროდნენ. ფარვანა ვალში არ რჩებოდა და კენჭების მაგივრად

ქვებს დაუშენდა ხოლმე. ამ დროს მასუმა მკლავზე მოკიდებდა ხელს და დაბალი ხმით ეტყოდა, – ფეხს აუჩქარე, ნუ აბრაზებ. მაგრამ რა იცოდა,

ასე რა ამწარებდა მის დას. კენჭების მოხვედრას აიტანდა ფარვანა, მაგრამ ის აგიჟებდა, რომ კენჭებს მას კი არა, მასუმას ესროდნენ. იცოდა ფარვანამ, რომ ბიჭები სულელური ხუმრობით და ენაბილწობით ნამდვილი სურვილის შენიღბვას ცდილობდნენ. არც ის გამოპარვია, ვნებამოძალებული თვალებით რომ უყურებდნენ მასუმას.

ერთ დღესაც კენჭის მაგივრად ქვა ესროლეს. მასუმამ ქვა აიღო. ბიჭები აჭიხვინდნენ, თან ხელს ჰკრავდნენ ერთმანეთს. ქვა ქაღალდში იყო გამოხვეული. გოგონებმა გზა განაგრძეს და როცა თავი უსაფრთხოდ იგრძნეს, მასუმამ ქვას ქაღალდი შემოაცალა. შემდეგ ორივემ ერთად წაიკითხა რუმის ლექსი – მოლა შექიბის სასწავლო პროგრამიდან:

ვფიცავ, მას მერე, რაც ვიხილე შენი მშვენება,

სამყარო ცრუა და მირაჟული.

ბაღებში ფოთლებს თავი მოაქვთ გაშლილ კოკრებად,

ჩიტები მახეს ებმებიან თავისი ნებით.

– თანდათან იხვეწებიან, – ჩაიცინა მასუმამ.

ლექსის ქვეშ მიწერილი იყო – მინდა, რომ ცოლად შეგირთო. და ბოლოს – შენი დისთვის ჩემი ბიძაშვილი მყავს შეგულებული. კარგი წყვილი იქნება. ბიძაჩემის ყანაში ერთად მოძოვენ ბალახს.

მასუმამ ბარათი შუაზე გადახია.

– ნუ მიაქცევ ყურადღებას. იმბეცილები არიან.

– კრეტინები, – დაამატა ფარვანამ.

ძალიან ეცადა, რომ სახეზე ღიმილი შეენარჩუნებინა. წერილი, თავისთავად, ცუდი იყო. მაგრამ გულში ლახვარივით სხვა რამ ესობოდა. წერილში ადრესატი არ იყო მითითებული. თუმცა მასუმას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ლექსი მისთვის, ხოლო ბიძაშვილი კი ფარვანასთვის იყო განკუთვნილი. ფარვანამ პირველად დაინახა თავისი თავი მასუმას თვალებით. თითქოს გამოშიგნესო. „მე უკვე მყავს შეყვარებული!“ – დის მიერ პრანჭვით წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა კი ფარვანა საბოლოოდ გაანადგურა.

ნაბის არც ის თვე ჩაუგდია და შადბაღში ჩავიდა. ის ოჯახის სიამაყეა. ალბათ, მთელი სოფლისაც. ქაბულში მუშაობს, დიდი პრიალა ლურჯი მანქანით ჩადის სოფელში, მანქანის ძარაზე არწივის თავი ბრწყინავს. ხალხი მის შესახვედრად გარეთ გამოდის, ბავშვები ყვირილით დასდევენ მანქანას.

– როგორ არის საქმე? – კითხულობს ნაბი.

ქოხში შედიან, ჩაის და ნუშს მიირთმევენ. ნაბი ძალიან ლამაზია, ფიქრობს ფარვანა.

დახვეწილი სახის ოვალი, თაფლისფერი თვალები, ბაკენბარდები და უკან გადავარცხნილი სქელი შავი თმა. ისევ ის ზეთისხილისფერი კოსტიუმი აცვია, რომელიც ალბათ ერთი ზომით დიდი აქვს. ნაბი ძალიან ამაყობს ამ ტანსაცმლით, ხან სახელოებს გადაიკეცავს, ხან საყელოს ისწორებს, ხან შარვლის ნაკეცზე ისვამს ხელს, შემწვარი ნივრის ლაქა კი ვერაფრით ამოიყვანა.

– გუშინ ჩაისა და ნამცხვარზე დედოფალი ჰომაირა გვესტუმრა, – ამბობს მასუმა. – კომპლიმენტიც არ დაიშურა დახვეწილი ინტერიერისთვის, – ძმას თბილად უღიმის, სიყვითლეშეპარული კბილები მოუჩანს.

ნაბი თავის ჭიქას დაჰყურებს და იცინის. სანამ ქაბულში სამსახურს იშოვიდა, ფარვანას დის მოვლაში ეხმარებოდა. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა მაინც. მაგრამ ვერ გაუძლო და გაიქცა, ქაბულს შეაფარა თავი. ფარვანა შურის თვალით უყურებს, მაგრამ არ საყვედურობს, რადგან ესმის, რომ ნაბის მხოლოდ მოვალეობის განცდის გამო არ ჩამოაქვს ფული ყოველთვიურად.

მასუმამ თმა დაივარცხნა. თვალები შავი ფანქრით შეიღება. ყოველთვის ასე იქცევა, როცა ნაბი ჩამოდის. მარტო იმიტომ არა, რომ თავი მოაწონოს, ფარვანამ იცის, რომ ნაბი მასუმასთვის ქაბულთან კავშირია. ანუ კავშირი ფუფუნებასთან, მდიდრულ მანქანებთან, გაჩახჩახებულ რესტორნებთან, სამეფო სასახლეებთან… იმას კი არაფრად დაგიდევთ, რამდენად ახლოსაა ნაბი ამ ყველაფერთან. სოფელში გამოკეტილი ქალაქელი ვარო, ხშირად ამბობდა ხოლმე მასუმა.

– შენ რას შვრები? საცოლე ჯერ არ გიპოვია? – მხიარულად ეკითხება მასუმა.

ნაბი სიცილით აქნევს თავს. ასე იქცეოდა ხოლმე მაშინაც, როცა მშობლები უსვამდნენ იმავე კითხვას.

– ქაბულში კიდევ როდის წამიყვან? – ეკითხება მასუმა.

ერთი წლის წინ ნაბიმ დები მანქანაში ჩასვა და ქაბულში წაიყვანა. ქუჩები შემოატარა, მეჩეთები, სავაჭრო ცენტრები, კინოთეატრები, რესტორნები აჩვენა. მერე ქალაქის თავზე, მაღალ გორაზე გაშენებული ბაღ-ე ბალას ციხესიმაგრე დაანახა. ბაბურის ბაღებს რომ მიუახლოვდნენ, ნაბიმ მასუმა ხელში აიყვანა და იმპერატორ მოგოლის საფლავზე, შაჰ ჯაჰანის მეჩეთში შევიდნენ. სამივემ ერთად ილოცა. ბოლოს ცისფერი ფილებით მოპირკეთებულ აუზთან დასხდნენ და ივახშმეს. უბედური შემთხვევის შემდეგ მასუმას ასე არაფერი გახარებია. მისი შემყურე ფარვანაც ძალიან კმაყოფილი ჩანდა.

– მალე, ინშაალლა(ინშაალლა – (არაბ.) რაც ალაჰს სურს, ალაჰის ნებით. გამოიყენება იმედის გამოთქმისას.), – ამბობს ნაბი.

– მუხლის ქვეშ მუთაქა გამისწორე რა, ნაბი. ჰო, ასე, ახლა უკეთესია. მადლობა.

– რა კარგი იყო, როგორ მომეწონა ქაბული. რომ შემეძლოს, დილიდან ფეხით გავუდგებოდი გზას.

– იქნებ, ერთ დღესაც, – ამბობს ნაბი. – ფეხით? რას ამბობ?

– არა, – ბორძიკით ამბობს ნაბი და მასუმას სიცილზე თვითონაც იღიმის. მერე გარეთ გადის და ფარვანას ფულს აძლევს. მხრით კედელს ეყრდნობა.

– სანამ აქ მოვიდოდი, საბური ვნახე. რა უბედურება დამართნია. ბავშვის სახელი მითხრა, უცებ ველარ გავიხსენე.

– ფარი, – ამბობს ფარვანა.

– ჰო, – თავს აქნევს ნაბი. – მე არ მიკითხავს, მაგრამ თვითონ მითხრა. თურმე ცოლის მოყვანას აპირებს.

ფარვანა იქით იყურება. თითქოს სულერთია. არ უნდა, რომ თავი გასცეს. სინამდვილეში ლამის გული ამოუვარდეს. ოფლში იწურება.

– არ მიკითხავს, თვითონ თქვა. გვერდზე გამიყვანა და თვითონ წამოიწყო ლაპარაკი.

ფარვანა ეჭვობს, რომ ნაბიმ იცის, რასაც განიცდის მთელი ეს წლები. მასუმა მისი ტყუპისცალია, მაგრამ ნაბის უფრო კარგად ესმის ყველაფერი. თუმცა ახლა რა სჭიროა ამაზე ლაპარაკი? რა აზრი აქვს? საბურს თავისუფალი ქალი სჭირდება, ვინც მთლიანად მიუძღვნის თავს მას, მის ვაჟიშვილს და ახალშობილ გოგონას. ფარვანას ბორკილები ადევს, მისი დრო წასულია.

– დარწმუნებული ვარ, იპოვის ვინმეს, – ამბობს ფარვანა.

– ჰო, – თავს აქნევს ნაბი, – შემდეგ თვეს ისევ ჩამოვალ. – სიგარეტის ნამწვს ფეხით სრესს და მიდის.

ფარვანა ქოხში შედის და ხედავს, რომ მასუმას ღვიძავს. – მე მეგონა გეძინა, – ამბობს ფარვანა. მასუმას დაღლილი მზერა ფანჯრისკენ გადააქვს.

უკვე ცამეტი წლისანი იყვნენ. დედა ხანდახან უახლოეს ქალაქში, ბაზარში აგზავნიდა. მოუკირწყლავ ქუჩებში ახლად დასხურებული წყლის საამო სუნი ტრიალებდა. გოგონები გზას დაუყვებოდნენ და სავსე დახლებს ჩაუვლიდნენ ხოლმე. დახლებზე უამრავი რამ ეწყო: ნარგილეები(ნარგილე – აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა.), აბრეშუმის თავსაფრები, სპილენძის ტაფები, ძველი საათები. კისერწაწყვეტილი ქათმები ფეხებით ეკიდა ცხვრისა და ძროხის ხორცის დიდი ნაჭრების გარშემო.

ფარვანა ხედავდა, რომ ყოველ გასასვლელში, ყოველ დახლთან, სადაც ჩაივლიდნენ, მასუმა კაცების ყურადღებას იპყრობდა. იმასაც ამჩნევდა, რომ კაცები ცდილობდნენ, „დიდი არაფერი“ გაეთამაშებინათ, მაგრამ თვალს ვერ წყვეტდნენ. და თუ მასუმაც გაიხედავდა მათკენ, სულელებივით იბღინძებოდნენ, გეგონებოდათ, მართლა რამედ ჩააგდესო. გოგონას ერთი გამოხედვა და ვინც საუბრობდა, სიტყვა უწყდებოდა, ვინც ეწეოდა – ნაფაზს

ველარ არტყამდა, ვინც ჩაის სვამდა – ელვრებოდა, ვინც ფეხზე იდგა – მუხლები უცახცახებდა.

ზოგჯერ მასუმა ყურადღებისგან იღლებოდა. თითქოს რცხვენოდა. გარეთ გასვლა აღარ უნდოდა. ასეთ დროს ფარვანა ფიქრობდა, რომ დის სილამაზე იარაღივით იყო, დატენილი თოფივით, რომლის ლულაც ისევ მასუმასკენ იყო მიმართული. უმეტესად კი გოგონას ხალხის ყურადღება მოსწონდა. ერთი ხანმოკლე, მაგრამ კარგად გამიზნული ღიმილი საკმარისი იყო და კაცებს გონება ეფანტებოდათ, ენა ერეოდათ.

მზესავით ჭრიდა თვალებს მასუმას მშვენება.

მის გვერდით ფარვანა მიფრატუნებდა, ბრტყელმკერდიანი, ფერმკრთალი, დაღვრემილსახიანი, ხუჭუჭა, გაწეწილთმიანი, მსხვილმაჯიანი და მხარბეჭიანი. დის ჩრდილს ატორღიალებული შურსა და მასუმას გვერდით გამოჩენით მიღებულ სიამოვნებას შორის იხლიჩებოდა. როგორ უნდოდა იმ ყურადღების თანაზიარი გამხდარიყო, მაგრამ მასუმას გვერდით იმ სარეველას ჰგავდა, რომლის ხვედრიც მხოლოდ დუმფარასთვის განკუთვნილი წყლის შესრუტვაა.

მთელი ცხოვრება თავს არიდებდა მასუმასთან ერთად სარკეში ჩახედვას. იცოდა, რომ უკანასკნელ იმედსაც მოუკლავდა მის გვერდით საკუთარი თავის დანახვა. მაგრამ ხალხს რას

უზამ, ყოველი გამვლელი სარკესავითაა. ვერსად გაექცევი.

მასუმა გარეთ გამოჰყავს. გაშლილ მატრასზე სხდებიან. ფარვანამ ბალიშები კედელთან მიაწყო, რომ მასუმამ ბეჭები კედელს მიაყრდნოს. მშვიდი ღამეა, ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმის. ბნელა, რამდენიმე ლამპარი ციმციმებს აქა-იქ, სამი მეოთხედი მთვარე მხოლოდ თავის თავს ანათებს.

ფარვანა ნარგილეს ჭურჭელს წყლით ავსებს. ასანთის თავის ზომის ოპიუმის ორ დოზას იღებს, ზედ თუთუნს აყრის. ლითონის ფირფიტაზე ქვანახშირს ახურებს და ჩიბუხს თავის დას აწვდის. მასუმა მაგრად ქაჩავს, კედელს ეყრდნობა და ფარვანას სთხოვს, ფეხები შენს კალთაში დამაწყობინეო. ფარვანა იხრება, მასუმას უმოძრაო ფეხებს სწევს და კალთაში იწყობს.

როცა ეწევა, სახე უსიცოცხლო უხდება, ქუთუთოები უმძიმდება, თავი გვერდზე უვარდება, ხმაში ხრინწი ეპარება; ტუჩების კუთხეში ღიმილის მსგავსი გრიმასა ესახება – უცნაური, ოდნავ შესამჩნევი, უფრო მშვიდი, ვიდრე კმაყოფილი. ასეთ დროს თითქმის არ ლაპარაკობენ. ფარვანა ნიავს და წყლის ბუყბუყს უგდებს ყურს. სიჩუმე საამოა. არც ერთს არ უნდა მისი შევსება არაფრისმთქმელი სიტყვებით. ბოლოს მასუმა ამბობს:

– რაღაც რომ გთხოვო, შემისრულებ?

ფარვანა უცქერის და უცდის.

– მინდა, რომ ქაბულში წამიყვანო. – მასუმა კვამლს ნელ-ნელა უშვებს, ყოველი თვალის დახამხამებაზე კვამლი სხვადასხვანაირად იკლაკნება,

იწელება და იხვევა.

– სერიოზულად ამბობ?მ?

– დარულამანის სასახლე მინდა რომ ვნახო. მაშინ ვერ მოვასწარით. იქნებ ბადურის საფლავზეც მივიდეთ კიდევ ერთხელ.

ფარვანა მასუმასკენ იხრება, რომ მისი სახის გამომეტყველება ამოიკითხოს, მაგრამ მთვარის შუქზე აპრიალებული უაზრო თვალები ბევრს ვერაფერს ეუბნება.

– სულ ცოტა ორი დღის სავალია, იქნებ სამისაც.

– ნაბის სახე წარმოიდგინე, კარზე როცა დავუკაკუნებთ.

– არც კი ვიცით, სად ცხოვრობს.

– დაახლოებით ხომ აგვიხსნა ნაბიმ. ჰოდა, იქ გავიკითხავთ, ვიპოვით. – და იქამდე როგორ ჩავალთ ჩვენს მდგომარეობაში?

– დღეს, შენ რომ გარეთ მუშაობდი, მოლა შექიბმა ჩაიარა. კარგა ხანს ვესაუბრე. ვუთხარი, ქაბულში მივდივრთ-მეთქი, დაგვლოცა და ჯორიც გვათხოვა.

– ცოტა აფრენ, მე მგონი, – ამბობს ფარვანა. ფარვანა თავს აქნევს და კედელს ეყრდნობა. ღრუბლიან ცას შესცქერის. – დავიღალე, ფარვანა, მგონი ვკვდები, – ამბობს მასუმა, – ნუ მეტყვი უარს.

ერთ დილას, როცა უკვე ჩვიდმეტი წლის იყვნენ, მუხის ტოტზე ჩამოსხდნენ და ჭორაობა გააბეს.

– საბური ჩემი ხელის სათხოვნელად აპირებს მოსვლას, – ჩურჩულით, მაგრამ გასაგებად თქვა მასუმამ.

– შენი ხელის სათხოვნელად? – უცბად ვერ გაერკვა ფარვანა. – თვითონ არა, რასაკვირველია, მამამისი მოვა. ფარვანა გულიცემას ვეღარ გრძნობდა, – საიდან იცი? – ძლივს ამოღერდა.

მასუმამ პირი გააღო და სიტყვები რახარუხით წამოვიდა, მაგრამ ფარვანას არაფერი

ესმოდა. მასუმას და საბურის ქორწილი წარმოიდგინა: ბავშვებს ახალი ტანსაცმელი აცვიათ, ხელში წითელი ყვავილებით სავსე კალათები უჭირავთ; უკან შაჰნაიზე(შაჰნაი – ჩასაბერი ინსტრუმენტი, დუდუკის მსგავსი.) და დოლზე დამკვრელები მიჰყვებიან, საბური მასუმას ხელისგულს უხსნის და ინით უღებავს, შემდეგ თეთრი ბაფთით უკრავს; ლოცავენ, მათ შეერთებას ადღეგრძელებენ, საჩუქრებს გადასცემენ; ოქროს ძაფით ნაქარგი პირბადის მიღმა საბური და მასუმა ერთმანეთს ტკბილ შარბათითა და მალიდათი(მალიდა – ერთგვარი ფხვიერი ტკბილეული, რომელსაც სადღესასწაულოდ ამზადებენ.) უმასპინძლდებიან.

სტუმრებს შორის ფარვანაც იქნება. თავის თვალით ნახავს ყველაფერს და ტაშიიი… ბედნიერებისგან იცქრიალებს; წესით ასე უნდა იყოს. არავის ადარდებს, რამდენ ნაწილად დაიმსხვრევა ფარვანას გული.

ხეს მაგრად მოუქნია ქარმა. ტოტები შეარყია, ფოთლები ააწიოკა. ფარვანამ თავი შეიმაგრა. მასუმამ ლაპარაკი შეწყვიტა. გაღიმებული ქვედა ტუჩს იკვნეტდა.

– ხომ მკითხე საიდან იციო, ჰოდა, ახლავე გეტყვი. უფრო სწორად, გაჩვენებ.

მიტრიალდა და ჯიბეში რაღაცის ძებნა დაიწყო. მერე ის მოხდა, რის შესახებაც მასუმას არასოდეს გაუგია. ფარვანა ორივე ხელით ტოტს დაეყრდნო, აიწია, უკანალი გაბზიკა და წამში ისევ დაეხეთქა ტოტზე. ტოტი შეზანზარდა, მასუმამ წონასწორობა დაკარგა. ხელები უმწეოდ გაიქნია. წინ გადაიხარა. ფარვანამ ხელები მისკენ გაიწვდინა და… არა, ხელის კვრას ნამდვილად ვერ დავარქმევთ, თუმცა, ფარვანას თითები, მართალია წამით, ოდნავ, მაგრამ მაინც შეეხო მასუმას ზურგს. მერე კი სწვდა პერანგის კუთხეში ფარვანა, იფიქრა გადავარჩინეო, მაგრამ პერანგი გაიხა და ხელიდან გაუსხლტა.

ჩავარდა. ის წუთი თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა… დამფრთხალმა ჩიტებმა ალიაქოთი ატეხეს. მასუმა ჯერ ერთ ტოტს დაეხეთქა, მერე მეორეს, მერე ქვევით, უფრო ქვევით, ტოტების ლაწალუწით, ყირამალა ტრიალით მიექანებოდა, სანამ წელით ერთ ღონიერ ტოტს, იმას, რომელზეც საქანელა ეკიდა, დაასკდებოდა. საშინელი ხმა გაისმა. გოგონა თითქმის ბოლომდე უკან გადაკეცილი დავარდა მიწაზე.

რამდენიმე წუთში მის გარშემო წრე შეიკრა. ატირებული ნაბი და გოგონების მამა მასუმას გონზე მოყვანას ცდილობდნენ. ხალხი გაშტერებული სახეებით დასცქეროდა ზევიდან. ვიღაცამ მასუმას ხელი ასწია. მუშტი ჯერ კიდევ შეკრული ჰქონდა. თითები გაუშალეს და ხელის გულიდან ზუსტად ათი ცალი, პატარა, გასრესილი მუხის ფოთოლი გადმოცვივდა.

– ახლა უნდა გაბედო, დილამდე თუ დაიცდი, ვეღარ შეძლებ, – აკანკალებული ხმით ამბობს მასუმა.

ფარვანა ცეცხლს ანთებს. ხმელი ბალახი და ფიჩხი მალე იწვის. მინავლებული ცეცხლის მკრთალი ნათების მიღმა ქვიშისა და მთების უკიდეგანო მასივები ღამის წყვდიადში იკარგება. უკვე ორი დღეა, რაც ამ ჯაგნარით დაფარულ გზას ადგანან. გეზი ქაბულისკენ აქვთ აღებული. მასუმა საიმედოდაა უნაგირზე დაბმული. ფარვანა გვერდით მიჰყვება, ხელს არ უშვებს. კლდის თხემია გადასავლელი. საცალფეხო, მიხვეულ-მოხვეული, ოღროჩოღრო ბილიკი ხან ქვევით ვარდება, ხან ზევით ადის. წინ დახეთქილი, ჟანგისფერი მიწა ობობას ქსელივითაა გაშლილი.

ფარვანა ცეცხლთან დგას. ცეცხლის მეორე მხარეს საბანგადაფარებული მასუმა დაბალი გორაკივით მოჩანს.

– ქაბულში აღარ გინდა? – ეკითხება ფარვანა.

– ჩვენ ორიდან შენ უფრო ყკვიანი ხარ.

– როგორ შეგიძილია, ასეთი რამ მთხოვო, – ამბობს ფარვანა.

– დავიღალე, ფარვანა, ეს ხომ ცხოვრება არ არის, ჩემი არსებობა ორივესთვის სასჯელია.

– მოდი, დავბრუნდეთ, – ფარვანას ყელში ხმა ეჩხირება, – ამას ვერ ვიზამ, ვერ გაგიშვებ.

– შენ არა, მე გიშვებ, მე გათავისუფლებ, – მასუმა ტირის.

ფარვანას დიდი ხნის წინანდელი ღამე ახსენდება, მასუმა საქანელაზე ზის, ფარვანა აქანავებს, მასუმა ფეხებს ჭიმავს და წინ იშვერს, ზევით ასვლისას თავს უკან აგდებს და თმა თოკზე გაფენილი თეთრეულივით უფრიალებს. ის თოჯინები ახსენდება, ფუჩეჩისგან რომ აკეთებდნენ, მერე საქორწინო კაბებს ძველი ნაყრის ნახევებისგან უკერავდნენ.

– რამე მითხარი.

ფარვანას ცრემლები ჩამოსდის და კარგად ვეღარ ხედავს. ცხვირს ხელის ზურგით იწმენდს.

– მისი ვაჟი აბდულა და პატარა ფარი საკუთარივით გეყვარება?

– მასუმა.

– შეძლებ?

– შევძლებდი, – ამბობს ფარვანა.

– ძალიან კარგი, ჰოდა, გაყევი ცოლად საბურს. მის ბავშვებს მიხედე და შენიც გააჩინე.

– საბურს შენ უყვარხარ და არა მე.

– შეუყვარდები, დრო მიეცი.

– ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალია, – ამბობს ფარვანა.

– არ ვიცი, რას გულისხმობ და არც მინდა, რომ ვიცოდე. ახლა რაც მინდა, უკვე გითხარი. ხალხი გაგიგებს, მოლა შექიბი აუხსნის. ეტყვის, რომ თვითონ მომცა კურთხევა.

ფარვანა ბნელ ცას შეჰყურებს.

– ბედნიერი იყავი, ფარვანა, გთხოვ, ჩემ გამო იყავი ბედნიერი.

როგორ უნდა ფარვანას, რომ სიმართლე თქვას, ყველაფერი მოუყვეს. უთხრას, რომ ცდება, რომ ცუდად იცნობს თავის დას, თავის ტყუპისცალს, რომ მისი ცხოვრება, მთელი ეს წლები, გამოუთქმელი სინანული იყო მხოლოდ. და მერე? მას კი შეუმსუბუქდება ტვირთი, მაგრამ ისევ მასუმას ხარჯზე. სიტყვებს ენის წვერზე იჭერს. ის ტკივილიც ეყოფა, რაც უკვე მიაყენა.

– მოწევა მინდა, – ამბობს მასუმა. ფარვანა უარზეა, მაგრამ… – უკვე დროა, – ამჯერად მეტი კატეგორიულობით ამბობს მასუმა.

ფარვანა უნაგირზე გადაკიდებული ტომრიდან ნარგილეს იღებს. აკანკალებული ხელებით მოსაწევს ამზადებს.

– მეტი, – ამბობს მასუმა, – მეტი აიღე.

ფარვანა სრუტუნებს, ლოყებზე ცრემლი ჩამოსდის. დოზას ამატებს, შემდეგ კიდევ და კიდევ. ბოლოს ნახშირს ახურებს და ჩიბუხს აწვდის.

– ახლა, – ამბობს მასუმა, – სახეზე ცეცხლის ალი დასთამაშებს, – თუკი ოდესმე მართლა გიყვარდი, თუკი ოდესმე მართლა იყავი ჩემი და, წადი. არანაირი კოცნა და გამოსამშვიდობებელი სიტყვები, უბრალოდ ადექი და წადი, და არ მახვეწნინო.

ფარვანა რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ მასუმას ტკივილიანი, მოგუდული ხმა აჩერებს. მასუმა თავს იქით ატრიალებს.

ფარვანა დგება, ჯორთან მიდის და უნაგირს ამაგრებს. უცბად ხვდება, რომ არ იცის, მასუმას გარეშე როგორ იცხოვროს. შეძლებს? რას იზამს მასუმას არყოფნა უფრო დიდი ტვირთი რომ აღმოჩნდეს, ვიდრე ყოფნა? რით ამოავსებს იმ ცარიელ ადგილს, ერთ დროს მასუმას რომ ეჭირა?

– გაბედე, – ჩაესმის მასუმას ხმა.

ფარვანა სადავეებს ქაჩავს, ჯორს ატრიალებს და მიდის. სიბნელეს უერთდება, ღამის ქარი სახეში ეხლება, თავდახრილია. უკან მხოლოდ ერთხელ იყურება. კოცონი ბუნდოვან ყვითელ ლაქად მოჩანს. წარმოიდგენს, როგორ წევს მასუმა მარტო სიბნელეში. მალე ცეცხლი ჩაქრება და მასუმას შესცივდება. ინსტინქტი უკან დაბრუნებას ჰკარნახობს. საბანს გაუსწორებს და გვერდით მიუწვება.

თავს აიძულებს და გზას განაგრძობს. უეცრად რაღაც ესმის, შორეული, ბუნდოვანი, კნავილის მსგავსი ხმა. ფარვანა ჩერდება. სმენას ძაბავს, კიდევ იგივე ხმა… გული ლამის გაუსკდეს, იქნებ გადაიფიქრა მასუმამ, იქნებ ეძახის, – ფიქრობს თავზარდაცემული ფარვანა. ან იქნებ ტურა და უდაბნოს მელა ყმუიან სადღაც შორს. ვერ ხვდება, არ იცის, იქნებ სულაც ქარია.

ნუ მიმატოვებ, დაბრუნდი.

ერთადერთი გზა, რომ სიმართლე გაიგოს, უკან დაბრუნებაა. ტრიალდება და რამდენიმე ნაბიჯს დგამს მასუმასკენ. შემდეგ ჩერდება. მასუმა მართალი იყო. ახლა თუ დაბრუნდა, მზის ამოსვლის შემდეგ სიმამაცე აღარ ეყოფა და დარჩება. ასეთი შესაძლებლობა აღარასოდეს მიეცემა. თვალებს ხუჭავს, ნიავი თავსაფრის ბოლოს სახეზე ახლის. ვერავინ გაიგებს. მისი საიდუმლოება იქნება, საიდუმლო, რომელსაც მხოლოდ მთებს გაუმხელს. მაგრამ ამ საიდუმლოთი ცხოვრებას თუ შეძლებს თვითონ? ფარვანას აქვს ამ კითხვაზე პასუხი. მთელი ცხოვრება მალავდა სიმართლეს… შორიდან კვლავ აღწევს კნავილის ხმა.

ყველას შენ უყვარდი. მე – არავის, მასუმა. და რატომ, დაო, რა დავაშავე?

სიბნელეში კარგა ხანს დგას უმოძრაოდ. ბოლოს არჩევანს აკეთებს. თავჩაქინდრული წინ მიდის, ჰორიზონტისკენ. უკან აღარ იხედება. იცის, თუ მიიხედავს, გული უმტყუნებს. ისევ დაინახავს, როგორ ეშვებიან ველოსიპედით გორაკიდან, როგორ ხტუნავს ველოსიპედი ქვებზე და ხრეშზე, რკინა უკანალს სტკენს ორივეს, ყოველ მოსახვევში მტვრის ბუოს აყენებენ. მასუმას საჭე უჭირავს, თვითონ მის უკან ზის, მასუმა მთელი სისწრაფით უხვევს, ველოსიპედს უფსკრულისკენ მიაქანებს, მაგრამ ფარვანას არ ეშინია. იცის, რომ და არ გაწირავს, ტკივილისთვის არ გაიმეტებს, აღფრთოვანების მორევში ცურავენ, ქარი წივის, ფარვანა დას უყურებს, მასუმა უკან იხედება და ხარხარებენ.

ფარვანა ახალი ცხოვრებისკენ მიაბიჯებს. წინ მიდის, არ ჩერდება. გარშემო ისეთი წყვდიადია, როგორც დედის საშოში. თავს ზევით სწევს და ხედავს, რომ ცას სინათლე შეეპარა, აღმოსავლეთიდან მზის მკრთალი სხივი დაეცა კლდეს, და გრძნობს, რომ იმწუთას იბადება.

თავი მეოთხე

გულმოწყალე ალაჰის სახელით, ბატონო მარკოს, ვიცი, როდესაც ამ წერილს წაიკითხავთ, მე ცოცხლებში აღარ ვიქნები, რადგან გთხოვეთ, რომ მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ გაგეხსნათ.

ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ დიდი ბედნიერება იყო თქვენთან ურთიერთობა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში.

ვწერ და სიამოვნებით ვიხსენებ ბაღში პომიდვრის დარგვას, დილაობით თქვენს სტუმრობას ჩემს პატარა სახლში, ჩაის სმასა და ხუმრობას, ფარსისა და ინგლისური ენის გაკვეთილების გაცვლას. მადლობას გიხდით მეგობრობისთვის, ზრუნვისთვის, ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის. დარწმუნებული ვარ, ჩემს მადლიერებას თქვენს კეთილშობილ კოლეგებსაც გადასცემთ, განსაკუთრებით კი, ჩემს მეგობარს, ქალბატონ ამრა ადემოვიჩს, რომელსაც უსაზღვროდ დიდი თანაგრძნობის გაწევის უნარი აქვს, და აგრეთვე, მის მშვენიერ ქალიშვილს, როშის.

უნდა ვთქვა, რომ ამ წერილს მხოლოდ თქვენ არ გწერთ, ბატონო მარკოს. მჯერა, რომ გადასცემთ მასაც, ვის შესახებაც ქვევით მოგახსენებთ. მიმიტევეთ, თუ რამდენიმე ადგილას თქვენთვის უკვე ნაცნობ საკითხსაც შევეხები. როგორც ხედავთ, ეს წერილი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ აღსარება, ბატონო მარკოს. არსებობს პრაგმატული მხარეც, რამაც ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა. ვშიშობ, რომ კიდევ ერთხელ მომიწევს, თხოვნით მოგმართოთ, ჩემო მეგობარო.

ბევრი ვიფიქრე, თუ რით დამეწყო ჩემი ამბავი. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა თითქმის ოთხმოცი წლის კაცისთვის. რეალური ასაკი უცნობია ჩემთვის, ისევე, როგორც ჩემი თაობის უამრავიავღანელისთვის. მაგრამ დაახლოებით კი ვიცი, რადგან კარგად მახსოვს, ჩემს მეგობართან და შემდგომში სიძესთან, საბურთან, გამართული მუშტი-კრივი. ეს სწორედ იმ

დღეს მოხდა, როდესაც ნადირ შაჰი მოკლეს და ტახტზე მისი ვაჟი, ზაჰირი, ავიდა. 1933 წელი იდგა. ამ დროიდან შემეძლო თხრობის დაწყება, ან იქნებ უფრო გვიანი პერიოდიდანაც, რადგან ისტორია დაძრული მატარებელივითაა, როცა არ უნდა აახტე, ადრე თუ გვიან, მაინც მიგიყვანს გაჩერებამდე. მე მაინც იმით დაწყება მირჩევნია, რითაც დავასრულებ. სწორედ ამ მიზეზით, ნილა ვაჰდათის ამბით ვიწყებ.

მას 1949 წელს შევხვდი, მაშინ როდესაც ბატონმა ვაჰდათიმ ცოლად ითხოვა. იმ დროისათვის ბატონ სულეიმან ვაჰდათისთან მუშაობის ორწლიანი გამოცდილება მქონდა. 1946 წელს, როდესაც ჩემი მშობლიური სოფლიდან, შადბაღიდან, ქაბულში ჩამოვედი, ვაჰდათების მეზობლად, სხვა ოჯახში დავიწყე მუშაობა. მიზეზი, რამაც ქაბულში ჩამომიყვანა, სულაც არ მავსებს სიამაყით და ჩემი აღსარების პირველ ნაწილად შეგიძლიათ მიიჩნიოთ. შადბადში ჩემს ორ დასთან ერთად ვცხოვრობდი. ერთ-ერთი ინვალიდი იყო. ცხოვრება ყელში მიჭერდა, ლამის

გავეგუდე. ვიცი, რომ არ მამართლებს, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, სიცოცხლეს მოწყურებული, ოცნებებით სავსე და ასე მეგონა, დრო ფუჭად გადიოდა, ყველა გზა მოჭრილი მქონდა. და წამოვედი. დებს დახმარება სჭირდებოდათ. ვეხმარებოდი, ეს სიმართლეა. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ვერ გავუძელი და გამოვიქეცი.

რადგან ბატონმა ვაჰდათიმ სრული სამუშაო დღით დამიქირავა, მის სახლში ვცხოვრობდი. მაშინ სახლი სულაც არ ჰგავდა იმას, რაც თქვენ 2002 წელს ნახეთ. წლების წინ შორიდან ისე ბრწყინავდა, გეგონებოდათ, ბრილიანტებით იყო მოჭედილი. ჭიშკრიდან მოასფალტებულ სამანქანო გზაზე შედიოდით. სახლის შესასვლელი მაღალი კერამიკული ლარნაკებით იყო მორთული. კედელზე კაკლის ხის მრგვალ მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული სარკეები ეკიდა. სწორედ იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით, სანაპიროზე გადაღებული თქვენი ბავშვობის მეგობრის ოჯახური ფოტო დაკიდეთ ცოტა ხნით. სასტუმრო ოთახის პრიალა მარმარილოს იატაკი მუქი თურქმენული ხალიჩით ნახევრად იყო დაფარული. აღარც ის ხალიჩაა სადმე და აღარც ტყავის სავარძლები ან ხელნაკეთი ყავის მაგიდა, ლაზურიტით მოჭედილი ჭადრაკი, მაჰაგონის მაღალი კარადა და ბევრი სხვა რამ. იმ დიდებული ავეჯიდან რაც გადარჩა, იმასაც პეწი აქვს დაკარგული.

ქვით მოპირკეთებულ სამზარეულოში რომ შევედი პირველად, გაოცებისგან პირი დავაღე. ვიფიქრე, ისეთი დიდია, მთელ შადბაღს დასვამ და ასადილებ-მეთქი. ჩემს განკარგულებაში ექვსქურიანი ღუმელი, მაცივარი, ტოსტერი, უამრავი ქვაბი, დანა და სამზარეულოს მოწყობილობა იყო. ფილიგრანული მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული ოთხივე სააბაზანო ფაიფურის ნიჟარებით იყო გაწყობილი. და ის კვადრატული ხვრელები თქვენს სააბაზანოში? ერთ დროს ამ ხვრელებს ლაზურიტი ავსებდა. კარგი იქნება, თქვენი სამუშაო ოთახიდან ერთხელ მაინც თუ გადმოხედავთ ბაღს და შეეცდებით, წარმოიდგინოთ, როგორი იყო ის წლების წინ. უკანა ეზოში ნახევარმთვარის ფორმის ვერანდიდან გადიოდით, ვერანდის რკინის მოაჯირებს ხვიარა მცენარეები ფარავდა. მწვანე ხასხასა გაზონზე ჟასმინის, ასკილის, ნემსიწვერებისა და ტიტების კვლები ზევიდან ფერადი კოპლებივით

მოჩანდა. ბაღის გარშემო ხეხილი ორმწკრივად იყო დარგული. ალუბლის ხის ქვეშ თუ წამოწვებოდით და თვალებს დახუჭავდით, ბატონო მარკოს, იფიქრებდით, რომ დედამიწაზე არ არსებობს უკეთესიადგილი.

ჩემი საცხოვრებელი სივრცე ერთი პატარა ქოხი იყო ეზოს უკან. ქოხს ფანჯარა და სუფთა, თეთრად შეღებილი კედლები ჰქონდა. სრულიად საკმარისი იყო მარტოხელა კაცისთვის, რომელიც ბევრს არაფერს ითხოვდა. საწოლი, სკამი და საკმარისი ადგილი იმისათვის, რომ ლოცვის დროს, დღეში ხუთჯერ, ხალიჩა გამეშალა. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც იმავე აზრის ვარ, რომ ძალიან კარგ პირობებში ვცხოვრობდი.

ბატონ ვაჰდათის საჭმელს მე ვუმზადებდი. საჭმლის მომზადება აწ გარდაცვლილი დედაჩემისგან და მოგვიანებით ერთი უზბეკი მზარეულისგან ვისწავლე. ის იმ სახლში მუშაობდა, სადაც მე დამიქირავეს, ვიდრე ვაჰდათებთან გადავიდოდი. საბედნიეროდ, ბატონმა ვაჰდათიმ მძღოლის საქმეც მე მომანდო. 1940 წლის ლურჯი შევროლე ჰყავდა, ასახდელი სახურავით, სალონში სკამებს ლურჯი ხელოვნური ტყავი ჰქონდა გადაკრული, მანქანის საჭე მოქრომილი იყო. სადაც არ უნდა წავსულიყავით, მანქანა ყველგან ხალხის ყურადღებას იპყრობდა.

საჭესთან სულ მე ვიჯექი, რადგან წინდახედული და გამოცდილი მძღოლის რეპუტაცია მქონდა.

გარდა ამისა, ბატონი ვაჰდათი კაცების იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელსაც მანქანის ტარება სიამოვნებას არ ანიჭებს.

არ იფიქროთ, რომ ვტრაბახობდე, ბატონო მარკოს, მაგრამ კარგი მსახური ვიყავი. ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებოდი, ზედმიწევნით კარგად შევისწავლე მისი ჩვევები, რიტუალები, ახირებები, ვიცოდი, რა მოსწონდა და რა აღიზიანებდა. მაგალითად, ყოველ დილას სასეირნოდ გადიოდა. მარტო სეირნობა არ უყვარდა და მე აუცილებლად თან ვახლდი. სიმართლე გითხრათ, აზრს ვერ ვხედავდი ჩემს იქ ყოფნაში, მაგრამ მის სურვილს ვემორჩილებოდი. ფიქრებში ჩაძირული ვერც კი მამჩნევდა, ძალიან იშვიათად თუ მეტყოდა ერთი-ორ სიტყვას. ზურგზე ხელებდაწყობილი სწრაფად დადიოდა და ჩამვლელებს თავს უკრავდა. გაპრიალებული მოკასინების ქუსლების ბაკუნით იმხელა ნაბიჯებს დგამდა, რომ თავს ძალას ვატანდი, ძალიან ვინდომებდი, მაგრამ მაინც ვერ ვეწეოდი. დღის დანარჩენ დროს ზედა სართულზე, თავის კაბინეტში ატარებდა. კითხულობდა ან საკუთარ თავს ჭადრაკს ეთამაშებოდა. ხატვა უყვარდა, თუმცა, ვერაფერს ვიტყვი მისი ნიჭიერების შესახებ, რადგან თავის ნამუშევრებს არასოდეს მაჩვენებდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე იყო. ფანჯარასთან ან ვერანდაზე შუბლშეჭმუხნილი იდგა ხოლმე ხშირად და ნახშირის ფანქრით ალბომში ჩანახატებს აკეთებდა.

რამდენიმე დღეში ერთხელ ქალაქში მიმყავდა მანქანით. ყოველ კვირას დედის მოსანახულებლად დადიოდა. სულ თავს არიდებდა ოჯახურ თავყრილობებს, მაგრამ მაინც უწევდა ხოლმე ასეთ შეხვედრებზე სიარული. ესწრებოდა პანაშვიდებს, დაკრძალვებს, დაბადების დღეებს, ქორწილებს.

თვეში ერთხელ საკანცელარიო მაღაზიაში მიმყავდა, სადაც პასტელისა და ნახშირის ფანქრების, საშლელების, სათლელების, ალბომების მარაგს ივსებდა.

ზოგჯერ მანქანაში ჩავსხდებოდით, მე საჭესთან, ის კი უკან და შევეკითხებოდი: „საით წავიდე, საჰიბ?“ მხრებს აიჩეჩავდა, – ძალიან კარგი, – ვეტყოდი ხოლმე და მანქანას დავძრავდი. საათობით გარს ვუვლიდით ქალაქს, უაზროდ, უმიზნოდ, ერთი უბნიდან მეორეში გადავდიოდით, მდინარე ქაბულს გავუყვებოდით, ბალა ჰისარზე ავიდოდით, ზოგჯერ დარულამანის სასახლემდე მივდიოდით. ხანდახან ქალაქგარეთ, ღარყას ტბაზე გავდიოდით. მანქანას წყლის პირას ვაჩერებდი, ძრავას გამოვრთავდი და ჩუმად ვისხედით. ბატონი ვაჰდათი ფანჯრის შუშას ჩამოსწევდა და უყურებდა, როგორ ხტოდნენ ჩიტები ერთი ტოტიდან მეორეზე, როგორ ეცემოდა მზის შუქი ტბას და მერე როგორ იფანტებოდა წყალზე ათასობით მოცეკვავე ნაპერწკლად.

მანქანის სარკიდან შევხედავდი ხოლმე დროდადრო და ისე გამომხედავდა, თითქოს ამქვეყნად მასავით მარტოსული არავინ იყო.

ბატონი ვაჰდათი კეთილშობილებას იჩენდა და ნებას მრთავდა, რომ თვეში ერთხელ მანქანით შადბაღში, ჩემს მშობლიურ სოფელში, ოჯახის მოსანახულებლად ჩავსულიყავი. შევიდოდი თუ არა სოფელში, ბავშვების ურდო გამომეკიდებოდა, მანქანის გასწვრივ დარბოდნენ, გვერდებზე ხელებს უტყაპუნებდნენ, ფანჯრებზე აკაკუნებდნენ, ზოგი სახურავზეც ძვრებოდა, მერე დავუცაცხანებდი ხოლმე, მეშინოდა, რომ არ გაეკაწრათ.

– ერთი შეხედეთ, ნაბი პოპულარული კაცია, – იტყოდა ხოლმე საბური, ჩემი სიძე.

მისი ბავშვების დედა გარდაიცვალა. ფარვანა, ჩემი და, საბურის მეორე ცოლი იყო. ბავშვების მიმართ ყოველთვის ყურადღებას ვიჩენდი. განსაკუთრებით კი ბიჭის მიმართ, რადგან მეჩვენებოდა, რომ მას განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდებოდა. ვეტყოდი ხოლმე, წავიდეთ, მანქანით გავისეირნოთ-მეთქი და მარტო არასოდეს მომყვებოდა. თავის უმცროს დას კალთაში ჩაისვამდა და ისე ვუვლიდით შადბადს გარშემო. რომ გამეხალისებინა, ხან საყვირის ღილაკზე ვაჭერინებდი ხელს და ხან მინასაწმენდებს ვართვევინებდი.

მანქანასთან დაკავშირებული აურზაური რომ ჩაცხრებოდა, მე, ფარვანა და საბური ჩაის დასალევად ვსხდებოდით. ჩემი ქაბულური ცხოვრების შესახებ ვუყვებოდი, მაგრამ ვცდილობდი, ბატონი ვაჰდათი ხშირად არ მეხსენებინა. ბატონი ძალიან კარგად მექცეოდა და მის მიმართ თბილი განცდები მქონდა, ამიტომ მის ზურგს უკან მასზე ლაპარაკი ღალატად მიმაჩნდა. თუმცა, ნაკლებად თავდაჭერილი რომ ვყოფილიყავი, ვიტყოდი, რომ სულეიმან ვაჰდათი საიდუმლოებით მოცული არსება იყო. კაცი, რომელიც კმაყოფილდებოდა იმით, რომ მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე გაეხარჯა ცხოვრების განმავლობაში, კაცი, რომელსაც არც პროფესია ჰქონდა, არც გამოხატული მისწრაფებები, არც ნიჭი, არც ხალისი და არც სურვილი, რომ ამქვეყნად, თავის შემდეგ, რამე კვალი დაეტოვებინა. კიდევ ვიტყოდი, რომ მთელი მისი ცხოვრება ისეთივე უმიზნო და უაზრო იყო, როგორც

მანქანით ქაბულში ხეტიალი – უკანა სავარძლიდან გარბენილი, უფერული, უსულგულო. სულ ეს იყო მისი ცხოვრება.

ყველაფერ ამას ვიტყოდი, მაგრამ არ მითქვამს და კარგადაც მოვიქეცი.

ერთ დღეს ბატონი ვაჰდათი ეზოში ახალ, წვრილზოლებიან პიჯაკში გამოწყობილი გამოვიდა და მთხოვა, რომ ქალაქის მდიდრულ უბანში წამეყვანა. როდესაც მივედით, მანქანა მაღალ სახლთან გამაჩერებინა. ზარი დარეკა, მსახურმა უპასუხა და სახლში შეიპატიჟა. უზარმაზარი სახლი იყო. კიდევ უფრო დიდი, ვიდრე ვაჰდათისა, შეიძლება ითქვას, უფრო ლამაზიც. სახლამდე მისასვლელ გზას ორივე მხრიდან ჩემთვის უცნობი ჯიშის ყვავილების ხშირი ბუჩქნარი და ტანწერწეტა კვიპაროსები ამშვენებდა. უკანა ეზო ვაჰდათის ეზოზე ორჯერ დიდი ჩანდა. გარს მაღალი გალავანი ერტყა. ერთი კაცი რომ მეორის მხრებზე შემდგარიყო, ეზოში მაინც ვერ ჩაიხედავდა. აქ სხვა მასშტაბის სიმდიდრესთან გვქონდა საქმე.

ადრეული ზაფხულის ნათელი დღე იყო. ცა მზის შუქით იყო გაბრწყინებული. ღია ფანჯრებში თბილი ნიავი შემოდიოდა. მძღოლის საქმე მანქანის მართვაა, თუმცა ყველა მძღოლი უმეტეს დროს ლოდინში ატარებს. იცდი მაღაზიებთან, საქორწილო დარბაზებთან. დრო რომ მოკლა, შორიდან მომავალ მუსიკას უსმენ, ან კარტს თამაშობ. იმ დღეს რამდენიმე ხელი ვეთამაშე საკუთარ თავს. მომწყინდა და მანქანიდან გადმოვედი, გავიარ-გამოვიარე, ვიფიქრე, ხომ არ წავუძინო ცოტა-მეთქი.

სწორედ ამ დროს ჭიშკარი გაიღო და შავთმიანი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ქალს სათვალე ეკეთა და მოკლესახელოიანი ფორთოხლისფერი კაბა ეცვა. კაბა მუხლებსაც კი არ უფარავდა. ფეხებზე არაფერი ეცვა. არ ვიცი, შემამჩნია თუ არა. და თუ შემამჩნია, არ გამოუხატავს. ერთი ფეხის ქუსლი უკანა კედელს მიაბჯინა. კაბის ბოლო აეწია და ბარძაყის ნაწილი გამოუჩნდა. თავ-პირზე ცეცხლი წამეკიდა. აი, აქ კიდევ ერთი აღსარების მიღება მოგიწევთ, ბატონო მარკოს. ცოტა კი მეჩოთირება, რადგან რაც უნდა ვთქვა, იმას საერთო არაფერი აქვს წესიერებასთან. იმ დროს ოცდახუთი-ოცდაექვსი წლისა ვიქნებოდი. ამ ასაკში

კაცი ქალთან ურთიერთობასაა მოწყურებული. ჩემს თანასოფლელებს თვალითაც კი არ ენახათ ქალის შიშველი ფეხი. ხშირად იმის გამო ქორწინდებოდნენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, სიშიშვლისთვის შეევლოთ თვალი. მათგან განსხვავებით, მე გამოცდილი კაცი ვიყავი. ქალაქში ვცხოვრობდი და დროდადრო ისეთ დაწესებულებებს ვსტუმრობდი, სადაც კაცის სურვილებს სიამოვნებით აკმაყოფილებდნენ და ამავე დროს საიდუმლოდ ინახავდნენ.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა აღვნიშნო, ვერც ერთი მეძავი, რომელთანაც ვწოლილვარ, ოდნავადაც კი ვერ შეედრებოდა იმ ნარნარა არსების მშვენიერებას, ახლა რომ დიდი სახლის ზღურბლს გადმოაბიჯა.

კედელს მიეყრდნო, სიგარეტს მოუკიდა და ნება-ნება, მომაჯადოებელი მომხიბვლელობით გააბოლა. სიგარეტი ორი თითის წვერს შორის ეჭირა, ტუჩებთან მიტანისას ხელს თასის ფორმას აძლევდა. სულგანაბული

ვაკვირდებოდი. ნატიფ მაჯას ისე ამოძრავებდა, რომ პოეზიის პრიალა წიგნში დაბეჭდილი ერთი ილუსტრაცია გამახსენა: გრძელწამწამიანი ქალი საყვარელთან ერთად ბაღშია წამოწოლილი, ტალღოვანი თმა გაშლილი აქვს; ჩამოთლილი, ფერმკრთალი თითებით მას ღვინით სავსე ჭიქას აწვდის. ერთ მომენტში ქალის ყურადღება რაღაცამ მიიქცია ქუჩის საწინააღმდეგო მხარეს. პაუზით ვისარგებლე და თითებით სიცხისგან ერთმანეთზე შეწებებული თმა გადავივარცხნე. ქალი შემოტრიალდა და ისევ ერთ ადგილზე გავქვავდი. რამდენიმე ნაფაზი დაარტყა, ნამწვი კედელს მიასრისა და ჭიშკარში შევიდა.

როგორც იქნა, თავისუფლად ამოვისუნთქე.

იმ ღამეს ბატონმა ვაჰდათიმ სასტუმრო ოთახში დამიბარა:

– ახალი ამბავი მაქვს, – თქვა მან, – ცოლს ვირთავ.

როგორც ჩანს, მისი სიმარტოვისკენ მიდრეკილება გადაჭარბებით შევაფასე.

ამბავი ნიშნობის შესახებ სწრაფად გავრცელდა. ამბავს ჭორებიც მოჰყვა. ბატონი ვაჰდათის მუშები ენაალესილები იყვნენ. მთავარი ხმა მებაღე ზაჰიდი იყო, რომელიც კვირაში სამჯერ მოდიოდა და გაზონებს, ხეებსა და ბუჩქებს სხლავდა. საზიზღარი ჩვევა ჰქონდა, ყოველი ფრაზის შემდეგ ენას ჰყოფდა. ენის სარსალით მუჭა სასუქივით ისროდა ჭორებს აქეთ-იქით. ისიც იმ მსახურების რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც ჩემსავით მუდმივი სამუშაო ჰქონდა იმ უბანში. ზოგი მზარეული იყო, ზოგი მებაღე, ზოგიც კურიერი. კვირაში ერთხელ ან ორჯერ, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ჩემს ქოხში შემოლაგდებოდნენ ხოლმე ჩაის დასალევად. ვერ ვიხსენებ, როდის დაიწყო ეს ტრადიცია, მაგრამ რადგან დაიწყო, ვეღარ ვაჩერებდი. არ მინდოდა, უხეში ან არასტუმართმოყვარე გამოვჩენილიყავი; არც ის გამიხარდებოდა, რომ ეფიქრათ, თავს არ გვიყადრებსო.

ერთხელაც, ჩაის სმის დროს, ზაჰიდმა თქვა, ბატონი ვაჰდათის ოჯახი წინააღმდეგია მისი ქორწინების, რადგან საცოლე უწესო ქალიაო. მთელმა ქაბულმა იცის, რომ არც ღირსება გააჩნია და არც ნანგი(ნანგი – სირცხვილი, ღირსება.) და ნამუსიო(ნამუსი – პატიოსნება, რეპუტაცია.). ჯერ მხოლოდ ოცი წლისაა და ვაჰდათის მანქანის მსგავსი მანქანებით „მთელი ქალაქი მოიარაო“. ყველაზე ცუდი ის არის, რომ არც კი ცდილობს უარყოს, პირიქით მათზე თურმე ლექსებს წერსო.

– ჩემს სოფელში რომ ეცხოვრა, უკვე ყელი ექნებოდა გამოჭრილი, – თქვა ერთმა კაცმა.

მეტი ვეღარ მოვითმინე, წამოვდექი და კარგად გამოვლანძღე. – ბებერი მკერავი ქალებივით დამსხდარხართ და ჭორაობთ, ვაჰდათისნაირი ხალხი რომ არა, ისევ სოფელში იქნებოდით და ცხოვრებას ძროხის ფუნის შეგროვებაში გაატარებდით. ცოტა ერთგულება და პატივისცემა გამოიჩინეთ-მეთქი, – მკაცრად ვუთხარი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა და ვიფიქრე ამ გონებაჩლუნგებზე შთაბეჭდილება მოვახდინე-მეთქი. უცბად სიცილი ატეხეს. ზაჰიდმა სულ უკანალის მლოკავი მეძახა. იქნებ ახალგაზრდა ქალბატონმა შენზეც დაწეროს

ლექსი და „ოდა უკანალების მლოკავ ნაბის“ დაარქვასო. სიცილი დამაყარეს, ქოხიდან აღშფოთებული გამოვვარდი, მაგრამ შორს არ წავსულვარ. უნდა ვთქვა, რომ ჭორები ძალიან მაბრაზებდა, მაგრამ თან დიდ ინტერესსაც იწვევდა. მიუხედავად ჩემი მოჩვენებითი წესიერებისა და თავდაჭერილობისა, ისეთ ადგილას დავდექი, რომ ყველაფერი გამეგონა. არც ერთი დეტალის გამოტოვება არ მინდოდა.

დანიშნულები რამდენიმე დღე იყვნენ, საქმე ქორწინებით დაგვირგვინდა. ცერემონია მოკრძალებული იყო. მუსიკოსები, სიმღერები, მოცეკვავეები, მხიარულება, მოლა, მოწმეები და ხელის მოწერა. სულ ეს იყო. მას მერე, რაც პირველად მოვკარი თვალი, ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ქალბატონი ბატონი ვაჰდათის სახლში გადმოვიდა საცხოვრებლად.

ნება მიბოძეთ, ცოტა ხნით შევწყვიტო თხრობა და გითხრათ, რომ ამიერიდან ბატონ ვაჰდათის მეუღლეს სახელით მოვიხსენიებ. რა თქმა უნდა, ამის უფლება მაშინ არავის მოუცია, კიდეც რომ მოეცა, არასოდეს გამოვიყენებდი. ბიბი საჰიბ – ყოველთვის ასე მივმართავდი და როგორც მომეთხოვებოდა, პატივისცემას გამოვხატავდი. მაგრამ რადგან ამ წერილს განსაკუთრებული მიზანი აქვს, ფორმალობას თავს ავარიდებ და ისე ვიტყვი მის სახელს, როგორც ყოველთვის მინდოდა, რომ მეთქვა.

მათ ქორწინებას ბედნიერს ნამდვილად ვერ დაარქმევდით. თითქმის არასოდეს მიუმართავთ ერთმანეთისთვის საალერსო სიტყვებით, ვერც მზერაში ამოიკითხავდით ნაზ გრძნობებს. ამ ორ ადამიანს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სივრცე აერთიანებდა, რომელშიც ორივე სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობდა.

დილაობით, როგორც წესი, ბატონ ვაჰდათის საუზმეს ვუმზადებდი – შებრაწული ნაანი, ერთი ჭიქა თხილი, მწვანე უშაქრო ჩაი ჯანჯაფილით და ერთი მოხარშული კვერცხი. კვერცხი ნაწილობრივ თოხლო უნდა ყოფილიყო, ძალიან განვიცდიდი, თუ მისთვის სასურველ კონსისტენციას ვერ მივაღწევდი. სანამ დილის სეირნობიდან დავბრუნდებოდით, ნილას ეძინა, ხშირად ნაშუადღევს დგებოდა. ნილას ადგომამდე ბატონი ვაჰდათი სამხარის მირთმევასაც ასწრებდა.

ჩემი დილის მოვალეობების შესრულების დროს სულმოუთქმელად ველოდი მომენტს, როდესაც ნილა ვერანდაზე გასასვლელ ბადეაკრულ კარს გააღებდა. გონებაში ვარიანტებს ვათამაშებდი: თმა აწეული ექნება თუ მხრებზე ჩამოშლილი? სათვალეს თუ გაიკეთებს დღეს? სანდლები ეცმევა? რომელ კაბას აირჩევს, ნეტავ, ლურჯ აბრეშუმისას ქამრით, თუ მოვარდისფრო-იისფერს დიდი მრგვალი ღილებით?

როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდოდა, აუცილებლად რაღაცას მოვიფიქრებდი, რომ ეზოში გავსულიყავი. მანქანის ძარას ან წინა მინებს ვაპრიალებდი, ხან ნემსიწვერას ბუჩქს ვრწყავდი, სულერთია, რას ვაკეთებდი, მთავარი ის იყო, რომ ნილა თვალსაწიერიდან არ დამეკარგა. ვუცქერდი, როცა სათვალეს იხსნიდა და თვალებს იფშვნეტდა, როცა თავიდან ელასტიკურ ლენტს იშორებდა და შავ მბრწყინავ თმას ჩამოიშლიდა, როცა ფეხებს

მოკეცავდა და ნიკაპს მუხლებზე ჩამოიდებდა, როცა ნელა ქაჩავდა სიგარეტს, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ცალ ტერფს ათამაშებდა. ეს ჟესტი მიმანიშნებდა, რომ მოსწყინდა, მოუსვენრად გრძნობდა თავს ან რაღაც ცუღლუტობის ჩადენა უნდოდა და ძლივს იკავებდა თავს.

ზოგჯერ ბატონი ვაჰდათიც მის გვერდით იჯდა, თუმცა, უმეტესად მარტო იყო. ბატონი ვაჰდათის რუტინა ქორწინებას არ შეუცვლია. უმეტესად ისევ ისე კითხულობდა ან ხატავდა თავის სამუშაო ოთახში. ნილა სასტუმრო ოთახში ან ვერანდაზე იჯდა და წერდა, როგორც წესი, კალთიდან ფურცლები უცვიოდა და სიგარეტს ხელიდან არ უშვებდა. საღამოს სადილზე ვემსახურებოდი. უხმოდ, თავდახრილები სადილობდნენ. სიჩუმეს მხოლოდ დანა-ჩანგლის ჩხაკუნი და დაბალ ხმაზე ნათქვამი მადლობა არღვევდა.

კვირაში ერთხელ ან ორჯერ ნილა სიგარეტის, წიგნაკების, კოსმეტიკის საყიდლად მიმყავდა. ცოტა ადრე თუ გამაფრთხილებდნენ, რომ ნილა უნდა წამეყვანა, აუცილებლად თმას ვივარცხნიდი, კბილებს ვიხეხავდი, ხახვის სუნი რომ არ მქონოდა, ხელებს ლიმონის ნაჭრით ვისუფთავებდი, ზეთისხილისფერ შარვალსა და პიჯაკს ვიუთოებდი და ფეხსაცმელს ვიპრიალებდი. ეს კოსტიუმი ვაჰდათიმ გადმომილოცა. იმედი მქონდა, რომ ამის შესახებ ნილამ არ იცოდა. თუმცა, რომ ეთქვა, არ გამიკვირდებოდა, რადგან მის ადგილას მყოფი ხალხი ვერც კი ხვდება, როგორ შეიძლება ერთი შეხედვით უმნიშვნელო რადაცამ გული ატკინოს ან დაამციროს ჩემნაირი კაცი. ზოგჯერ მამაჩემის დანატოვარ კრაველის ქუდს ვიხურავდი, ხან მარცხნივ მოვიგდებდი თავზე, ხან მარჯვნივ. ისე მინდოდა, რომ ნილას შევემჩნიე, კრაზანაც რომ დამჯდომოდა ცხვირზე, ხელს არ ავუქნევდი, ვაცლიდი, რომ ეკბინა, ოღონდ ნილას ყურადღება მიმექცია.

როცა გზას გავუდგებოდით, ვცდილობდი, შორიდან მომევლო, რათა მგზავრობა ერთი-ორი წუთით ისე გამეხანგრძლივებინა, რომ მას ეჭვი არ აეღო. ორივე ხელით საჭეს ჩაჭიდებული, პირდაპირ გზისკენ ვიყურებოდი. ჩემს თავს მკაცრი კონტროლი დავუწესე, რამეს თუ არ მეკითხებოდა, სარკიდან მისკენ არ ვიხედებოდი. ისიც მაკმაყოფილებდა, რომ ნილა იქ იყო, უკანა სავარძელზე იჯდა და მისი ძვირფასი სუნამოს, საპნის, საღეჭი რეზინისა და სიგარეტის კვამლის სუნს ვისუნთქავდი. ასეთი მომენტები, შეიძლება ითქვას, ფრთებს მასხამდა.

ჩვენი პირველი საუბარი მანქანაში შედგა. პირველ ნამდვილ საუბარს ვგულისხმობ, აბა, „მომიტანე-წაიღე“ რა სათვალავში ჩასაგდებია. აფთიაქში მიმყავდა, წამალი უნდა გამოეტანა და უცბად მკითხა:

– ნაბი, შენი სოფელი როგორია? კიდევ შემახსენე, რა ჰქვია?

– შადბადღი, ბიბი საჰიბ.

– ჰო, შადბაღი. მომიყევი როგორია.

– ბევრი არაფერია მოსაყოლი, ბიბი საჰიბ, ჩვეულებრივი სოფელია, სხვა სოფლების მსგავსი.

– არა, უნდა იყოს რამე, რაც სხვებისგან გამოარჩევს. გარეგნულ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, თუმცა ლამის გავცოფდი, როგორ ვერ უნდა მომეფიქრებინა რაღაც უცნაურად ჭკვიანური, რომ მისი ინტერესი გამომეწვია. მაგრამ, აბა,

საიდან? სოფლელი ვიყავი, პატარა კაცი, უმნიშვნელო ცხოვრება მქონდა გამოვლილი, ისეთი რა უნდა მეთქვა, რომ მისნაირი ქალის წარმოსახვა ამემოძრავებინა?

– ყურძენი იცის გადასარევი, – ვთქვი და სახეში მინდოდა ჩემი თავისთვის შემომერტყა.

– ყურძენი? მართლა?

– დიახ, ძალიან ტკბილი ყურძენი. ათი სიკვდილი გავიარე, ვგრძნობდი, რომ იღლიები მისველდებოდა.

– ერთი განსაკუთრებული ჯიშია, როგორც ამბობენ, შადბაღის გარდა, ვერსად შეხვდებით, – რაღაცნაირად ამოვღერდე, – ძალიან ნაზია, გვერდით სოფელშიც კი ვერ გაახარეს. რამდენჯერ დარგეს, მაგრამ ხმება. როგორც სოფელში ამბობენ, სევდისგან კვდება. სინამდვილეში ნიადაგისა და წყლის ბრალია, მაგრამ ხალხი ამბობს, ბიბი საჰიბ, სევდისგანო.

– რა საყვარელი ამბავია, ნაბი.

სარკიდან გავხედე. ფანჯრიდან იყურებოდა, მაგრამ დავინახე, რომ, ჩემდა გასაოცრად, ტუჩების კუთხეები ოდნავ ასწია და ღიმილის მსგავსი რამ გამოესახა სახეზე.

შევგულიანდი და ვთქვი: – შეიძლება, რომ სხვა ამბავიც მოგიყვეთ, ბიბი საჰიბ? – რასაკვირველია, – სანთებელამ გაიჩხაკუნა და კვამლი ჩემკენ წამოვიდა.

– ყველა სოფელს მოლა ჰყავს და შადბაღის მოლას სახელად მოლა შექიბი ჰქვია. უამრავი ამბავი იცის, იმის მოყოლა მე სად შემიძლია, მაგრამ ერთი რამ დამამახსოვრდა ძალიან კარგად. ნებისმიერი მაჰმადიანის ხელისგულს თუ დახედავთ, სად ცხოვრობს – არა აქვს მნიშვნელობა, უცნაურობას შეამჩნევთ. ყველას ერთნაირი ხაზები აქვს. რას ნიშნავს ეს? რას და, ეს ხაზები ყოველი მათგანის მარცხენა ხელისგულზე არაბულ ციფრად, ოთხმოცდაერთად იკითხება, ხოლო მარჯვენა ხელისგულზე, თვრამეტად. გამოაკელით ოთხმოცდაერთს თვრამეტი და მიიღებთსამოცდასამს. სამოცდასამი წლისა იყო მოციქული, როდესაც გარდაიცვალა. მშვიდობა იყოს მასზე.

უკნიდან ხმადაბალი სიცილი მომესმა.

– ერთ დღეს, მოგზაურმა ჩამოიარა შადბაღში და რასაკვირველია, იმ საღამოს მოლა შექიბთან ერთად ისადილა. როდესაც მოგზაურმა ამ ამბავს მოუსმინა, დაფიქრდა და თქვა:

– დიდი პატივისცემით, მოლა შექიბ, მაგრამ ცოტა ხნის წინ ერთ ებრაელს შევხვდი და ზუსტად ასეთი ხაზები ჰქონდა ხელისგულზე. როგორ ახსნით ამას?

– ის ებრაელი გულით მაჰმადიანი იყო.

ნილას სიცილი წასკდა. მთელი დანარჩენი დღე მოჯადოებულივით ვიყავი. ღმერთო, მომიტევე მკრეხელობა, მაგრამ თითქოს ეს სიცილი ზეციდან დაეშვა, მართალთა ბაღიდან, სადაც, როგორც წიგნი ამბობს, მდინარეები მარადიული ხეხილის ჩრდილქვეშ მოედინებიან.

ბატონო მარკოს, ალბათ გესმით, რომ მხოლოდ ნილას გარეგნობით არ ვიყავი მონუსხული. თუმცა ვაღიარებ, რომ ესეც სავსებით საკმარისი იყო კაცის ჭკუიდან გადასაყვანად. ნილასნაირ ქალს არასოდეს შევხვედრივარ. ყოველი მისი ქმედება, ლაპარაკის, სიარულის, სიცილის მანერა, ჩაცმის სტილი – ყველაფერი სიახლე იყო ჩემთვის. ჩემი წარმოდგენა ქალების შესახებ მთლიანად დაინგრა. ნილას საქციელს ზაჰიდი, და დარწმუნებული ვარ საბურიც, მთელ სოფელთან ერთად, კიცხავდნენ. ერთი მე ვიყავი, ვინც ფიქრობდა, რომ ნილას თავისი ქცევის მანერები უფრო მომხიბვლელსა და გამოუცნობს ხდიდა.

მისი სიცილი მთელი დღის განმავლობაში ზარის რეკვასავით ჩამესმოდა. დღის ბოლოს, როცა სხვა მსახურები ჩაის დასალევად მოვიდნენ, მეც ვიჯექი, ვიღიმოდი და მათი უაზრო ხითხითის ნაცვლად ნილას ხმის წკრიალს ვუსმენდი. ძალიან მეამაყებოდა, რომ ჩემმა მოთხრობამ დროებით თავისი ქორწინების უსიამოვნო სინამდვილეს მოსწყვიტა. ის განსაკუთრებული ქალი იყო. იმ ღამეს, დასაძინებლად რომ დავწექი, მეც განსაკუთრებული მეგონა ჩემი თავი. აი, ასეთ გავლენას ახდენდა ნილა ჩემზე.

მალე ჩვენი საუბრები ყოველდღიურობად იქცა. გვიან დილით, როცა ვერანდაზე ჩაის მიირთმევდა, აუცილებლად რაღაც მიზეზით იქვე ვტრიალებდი. მერე ნიჩაბს დავეყრდნობოდი და ვესაუბრებოდი. თავს პრივილეგირებულად ვგრძნობდი. ერთადერთი მსახური ხომ არ ვიყავი; ის უსინდისო გომბეშო ზაჰიდიც იქ იყო, კიდევ ერთი ღაბაბჩამოკიდებული ჰაზარა ქალი მოდიოდა კვირაში ორჯერ სარეცხის დასარეცხად, მაგრამ მან მე ამირჩია. მე მხოლოდ მსახურად არ მთვლიდა. დარწმუნებული ვარ, ერთადერთი ვიყავი იმ ხალხს შორის, მისი მეუღლის ჩათვლით, რომელთანაც სიმარტოვე შეეძლო გაექარვებინა. უმეტესად თვითონ ლაპარაკობდა. ეს კიდევ უფრო მოსახერხებელი იყო ჩემთვის. ბედნიერი ვიყავი, რომ ვუსმენდი და მისგან ნიაღვარივით წამოსული ისტორიების ნაკადით ვივსებოდი. ერთხელ მიამბო, როგორ წავიდა მამამისთან ერთად ჯალალაბადში სანადიროდ და როგორ დაეწყო ღამის კოშმარები მას შემდეგ, რაც მოკლული ირმის შუშადქცეული თვალები ნახა. მომიყვა, რომ თურმე პატარაობისას, სანამ მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა, დედას საფრანგეთში წაუყვანია. მატარებლით და გემით უმგზავრიათ. ნეკნები კინაღამ დამემტვრა მატარებლის ჯაყჯაყშიო. კარგად ახსოვდა – კუპეებს შორის კაუჭზე ჩამოკიდებული ფარდები, მატარებლის რიტმული ქშენა და სისინი. მანამდე მამასთან ერთად ინდოეთში ექვსი კვირა გაუტარებია, იქ ავად გამხდარა.

ხანდახან, როცა ლამბაქზე აფერფლებდა, ფეხის თითების წითლად შეღებილ ფრჩხილებზე

დავხედავდი ხოლმე, მერე ტერფის მაღალ რკალს, მზედაკრულ პრიალა წვივებს ავაყოლებდი თვალს და, რაღა თქმა უნდა, შესაძლებლობას არ ვუშვებდი, რომ მისი უზადოდ მოყვანილი, სავსე მკერდისთვის შემეხედა. – ამქვეყნად არსებობენ კაცები, რომლებიც ამ მკერდს შეხებიან, უკოცნიათ, როცა მასთან სიყვარულს იზიარებდნენ, – ვფიქრობდი ხოლმე, – მეტი რა შეიძლება გინდოდეს? სადღა უნდა წახვიდე, თუ სამყაროს მწვერვალზე აღმოჩნდები? როცა ჩემკენ ბრუნდებოდა, დიდი გაჭირვებით ვწყვეტდი თვალს და მზერა უსაფრთხო ადგილას გადამქონდა.

დრო რომ გავიდა, თავი უფრო კომფორტულად იგრძნო. ჩვენი დილის საუბრების დროს თავის მეუღლეზე ალაპარაკდა. ერთხელ მითხრა, რომ მას ბატონი ვაჰდათი ამპარტავან და გულგრილ კაცად მიაჩნდა.

– ჩემ მიმართ ყოველთვის ხელგაშლილი იყო, – ვთქვი მე. ცალი ხელი აგდებულად აიქნია, – არ გინდა, ნაბი, გეყოფა.

თვალები დავხარე. რაც თქვა, მთლად სიცრუე არ ყოფილა. ბატონ ვაჰდათის ჩვევად ჰქონდა, რომ ჩემი მეტყველების მანერა გაეუმჯობესებინა და ამას ყოველთვის დიდი უპირატესობის დემონსტრირებით აკეთებდა. არ შევცდები, თუ ამას ამპარტავნობას ვუწოდებ. ზოგჯერ ოთახში შევიდოდი, წინ კანფეტებით სავსე თეფშს დავუდგამდი, ახალ ჩაის დავუსხამდი, მაგიდიდან ნაფხვენს გადავფერთხავდი და მაინც, მის ყურადღებას ისევე ვიმსახურებდი, როგორც ბუზი, ბადეაკრულ კარზე რომ დაღოდღავდა. მისი უყურადღებობა კიდევ უფრო პატარა კაცად მაგრძნობინებდა თავს. და ბოლოს, ეს ყველაფერი წვრილმანი იყო, რადგან ვაჰდათების სამეზობლოში, მსახურებს ხშირად ჯოხით ან ქამრით სცემდნენ პატრონები.

– არავითარი ხალისი ან სიცოცხლის სიყვარული არ გააჩნია, – თქვა ნილამ, თან ზანტად ურევდა ყავას, – სულეიმანი ახალგაზრდა კაცის ტყავში გამოხვეული სიცოცხლეჩამქრალი ბებერია.

ცოტა დამაბნია მისმა უცერემონიო სიწრფელემ.

– ბატონ ვაჰდათის განსაკუთრებულად უყვარს განმარტოება, – ვთქვი მე. დიპლომატიური მიდგომა ავირჩიე.

– დედამისთან უნდა ეცხოვრა. რას იტყვი, ნაბი? კარგი წყვილია, არა?

ბატონი ვაჰდათის დედა ზორბა, მედიდური ქალი იყო. ის ქალაქის სხვა ნაწილში ცხოვრობდა. მსახურების სავალდებულო გუნდი და ორი ძაღლი ჰყავდა, რომლებიც ჭკუის დაკარგვამდე უყვარდა. ძაღლებს მსახურებზე ბევრად მაღლა აყენებდა და შესაბამისად, ბევრად უკეთ ექცეოდა. პატარა, უთმო, უშნო, საზიზღარი არსებები იყვნენ, მშიშრები, საშინელი ხმით იყეფებოდნენ. ვერ ვიტანდი. სახლში შევიდოდი თუ არა, ფეხებზე შემომახტებოდნენ და გასაქანს არ მაძლევდნენ.

როდესაც ნილა და ბატონი ვაჰდათი მოხუცი ქალბატონის სახლში მიმყავდა, მანქანის

სალონში დაძაბულობა ისადგურებდა. ნილას შეჭმუხნილი წარბები აშკარად ამბობდნენ, რომ წინა ღამემ მშვიდად ვერ ჩაიარა. მახსოვს, ჩემი მშობლები როცა ჩხუბობდნენ, არ ჩერდებოდნენ, სანამ რომელიმე საბოლოო გამარჯვებას არ მოიპოვებდა. მერე გამარჯვებული დამარცხებულს ხმას აკმენდინებდა გამოტანილი ვერდიქტით და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. მეორე დღეს ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს უბრუნდებოდა. ვაჰდათებთან ასე არ იყო. მათი კონფლიქტი კი არ სრულდებოდა, არამედ იფანტებოდა, იშლებოდა, როგორც მელნის წვეთი წყალში და მერე ფსკერზე ილექებოდა.

ტვინის დიდად დაძაბვა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ მოხუც ქალბატონს ნილა გულზე არ ეხატებოდა. ნილამ, რასაკვირველია, ეს იცოდა.

ჩვენი საუბრები გრძელდებოდა. ერთი კითხვა არ მაძლევდა მოსვენებას. – რატომ გაჰყვა ცოლად ვაჰდათის? მაგრამ ისე არასოდეს გავკადნიერდებოდი, რომ პასუხის გამორკვევა გამებედა. მხოლოდ იმას მივხვდი, რომ უიღბლო ქორწინება, განსაკუთრებით ქალებისთვის, კიდევ უფრო დიდი უიღბლობისგან თავის დაღწევაა.

1950 წლის შემოდგომის ერთ დღეს ნილამ მიხმო.

– შადბაღში წამიყვანე, – თქვა მან, – მინდა, შენი ოჯახი გავიცნო. უკვე ერთი წელია მემსახურები, საჭმელს მიმზადებ, ქაბულს ერთად ვუვლით გარს, მე კი შენ შესახებ ცოტა რამ ვიცი.

მეტი რომ არაფერი ვთქვა, ძალიან დავიბენი, რადგან მის პოზიციაში მყოფი ქალისთვის, ასეთ დიდ მანძილზე მსახურის ოჯახის მოსანახულებლად გამგზავრების სურვილი უჩვეულო იყო. გავოცდი იმიტომ, რომ ნილა ჩემით დაინტერესდა და შემრცხვა იმიტომ, რომ ჩემი მშობლიური მხარის სიღატაკის ნახვა მოუწევდა.

ერთ ღრუბლიან დილას გზას გავუდექით. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და ატმისფერი მოკლესახელოიანი კაბა ეცვა. ჩემი მხრიდან არ იქნებოდა ლამაზი, რომ მერჩია, ეგ ტანსაცმელი იქ არ გამოგადგება-მეთქი. გზაში სოფელზე, ჩემს ნაცნობებზე, დაზე, საბურსა და ბავშვებზე მელაპარაკებოდა.

– მათი სახელები მითხარი.

– აბდულა ცხრა წლისაა. დედა შარშან გარდაეცვალა. ჩემი და დედინაცვალია. ფარი, მისი და, ორი წლისაა. ფარვანას ბიჭი შეეძინა გასულ ზამთარს, მაგრამ ორი კვირისა მოუკვდა.

– რა მოხდა?

– ზამთარი, ბიბი საჰიბ. ზამთარი რომ ჩამოწვება, ერთი-ორი ბავშვის სიცოცხლე მაინც მიაქვს ყოველ წელს. რა უნდა ქნა, ზიხარ და ელოდები, იქნებ მოწყალება გაიღოს და შენს ოჯახს გვერდი აუქციოს.

– ღმერთო, – ჩაიჩურჩულა მან.

– კიდევ კარგი, ჩემი და ახლა ისევ ელოდება ბავშვს.

სოფელში, როგორც ყოველთვის, ფეხშიშველი ბავშვების გროვა შეგვეგება. მანქანას გამოედევნენ, მაგრამ როცა გავაჩერე და ნილა გადმოვიდა, გასუსულებმა უკან დაიხიეს. ალბათ შეეშინდათ, დაგვტუქსავსო. ნილამ დიდი მოთმინება და კეთილგანწყობა გამოამჟღავნა. ყოველ მათგანს მიუახლოვდა, დაიხარა და გაუღიმა. მერე გამოელაპარაკა, ხელი ჩამოართვა, მოთხუპნულ ლოყებზე მიეფერა, ჭუჭყიან თავებზე ხელი გადაუსვა. ჩემი ბავშვობის მეგობარი, ბაითულა და მისი მეგობრები სახლის სახურავის კიდეზე ყვავებივით ჩამომსხდარიყვნენ, თამბაქოს ღეჭავდნენ და ზევიდან იცქირებოდნენ. მამამისი, მოლა შექიბი და სამი თეთრწვერა კაცი კედლის ჩრდილს აფარებდა თავს, კრიალოსნების მძივებს უსიცოცხლოდ ითვლიდნენ და გაყინული თვალებით შესცქეროდნენ ნილას მოშიშვლებულ მკლავებს.

ნილა საბურს წარვუდგინე. პატარა, თიხით შელესილი სახლისკენ გავემართეთ; უამრავმა თვალმა გაგვაცილა. კართან რომ მივედით, ნილამ აიჩემა, ფეხზე უნდა გავიხადოო. საბურმა დაუშალა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ოთახის კუთხეში ბურთივით მრგვალი ფარვანა იჯდა. ნილას ოდნავ გასაგონი ხმით მიესალმა.

– ჩაი მოიტანე, აბდულა, – წარბები შეათამაშა საბურმა.

– არა, არ გინდათ, – თქვა ნილამ და იატაკზე ფარვანას გვერდით დაჯდა, – აუცილებელი არაა.

დამთავრებული არ ჰქონდა საბურს სიტყვა, რომ აბდულა უკვე მეორე ოთახში იყო, სადაც სამზარეულოსთვის საჭირო ნივთებთან ერთად ბავშვების საწოლიც იდგა. ოთახებს შორის, კარის ჩარჩოზე, ცელოფნის გაცვეთილი ფარდა ეკიდა. ვიჯექი და ხელში გასაღებების აცმას ვათამაშებდი. გამეფრთხილებინა მაინც ფარვანა, რომ მოვდიოდით, ცოტა დაასუფთავებდა აქაურობას. დამსკდარი თიხის კედლები ჭვარტლიანი იყო, მატრასი, რომელზეც ნილა იჯდა, მტვრიანი, ხოლო ერთადერთი ფანჯარა – ბუზებისგან დასკორილი.

– რა მშვენიერი ხალიჩაა, – თქვა ნილამ და ხალიჩას ხელი გადაუსვა. კაშკაშა წითელ ფონზე სპილოს ნაფეხურების მსგავსი ფიგურები იყო მიმობნეული. საბურისა და ფარვანას ოჯახში ეს იყო ერთადერთი მეტ-ნაკლებად ღირებული ნივთი. ამ ზამთარს, ალბათ, იმასაც გაყიდდნენ.

– მამაჩემის დანატოვარია, – თქვა საბურმა.

– თურქმენულია?

– დიახ, – საბურმა თავი დააქნია. რომ ლაპარაკობდა ნილას თვალს არიდებდა.

– მათი შალი და ოსტატობა – ორივე ძალიან მომწონს, – თქვა ნილამ.

ცელოფნის ფარდა აფრიალდა, როცა აბდულა ჩაის ჭიქებით სავსე ლანგრით ხელში შემოვიდა ოთახში. ნილას წინ დაიხარა, ლანგარი იატაკზე დადო და ჩაი დაუსხა. მერე მის წინ

ფეხმორთხმით დაჯდა. ნილამ გამოლაპარაკება სცადა, რამდენიმე მარტივი კითხვა დაუსვა, მაგრამ აბდულა მხოლოდ გადაპარსულ თავს აქნევდა. ბოლოს ერთი-ორი სიტყვა ძლივს

ამოღერდა. ჩემთვის გავიფიქრე, აუცილებლდ ვეტყვი, რომ მანერები ცოტა გამოასწოროს-მეთქი. რა თქმა უნდა, მეგობრულად, რადგან აბდულა ბუნებით ძალიან სერიოზული და ანგარიშგასაწევი ბავშვი იყო.

– როდის ელოდები? – ჰკითხა ნილამ ფარვანას.

– ამ ზამთარს, – უპასუხა ფარვანამ ისე, რომ თავი არ აუწევია.

– რა ბედნიერებაა, ღვთის მადლით, ბავშვს ელოდები და თან ასეთი ზრდილობიანი გერი გყავს, – აბდულას გაუღიმა, მაგრამ აბდულას სახეზე ემოციას ვერ შეამჩნევდით.

ფარვანამ რაღაც წაიბურტყუნა, ალბათ „მადლობა“.

– პატარა გოგოც გყავთ, არა? – თქვა ნილამ. – ფარი, თუ სწორად მახსოვს.

– დიახ, ახლა სძინავს, – მოკლედ მოჭრა აბდულამ.

– ვიცი, რომ ძალიან ლამაზია.

– წადი, ბავშვი მოიყვანე, – თქვა საბურმა.

აბდულა შეჩერდა, მამამისს და ნილას გადახედა და უხალისოდ გავიდა ოთახიდან.

კიდევაც რომ მინდოდეს, ამ გვიან ღამით, როგორმე ჩემი თავი გავამართლო, მაინც ვერ ვიტყოდი, რომ აბდულას და ფარის ჩვეულებრივი დაძმური დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. ღმერთმა იცის, რატომ აირჩიეს ერთმანეთი. ეს გამოუცნობი ურთიერთობა იყო. არასოდეს მინახავს ორ ადამიანს შორის ასეთი მიჯაჭვულობა. სინამდვილეში აბდულა ფარისთვის მამაც იყო და ძმაც. ჩვილობაში ღამით აბდულა არწევდა, დასვრილ საფენებსაც აბდულა უცვლიდა, მერე შეახვევდა, დაამშვიდებდა, ხელით ატარებდა და აძინებდა. ხანდახან სოფელში გაიყვანდა და ხალხს ისეთი სიამაყით აჩვენებდა, თითქოს ფარი ღვთისგან ბოძებული, ყველაზე დიდი საჩუქარი ყოფილიყო.

როდესაც ჯერ კიდევ მძინარე ფარი ოთახში შემოიყვანა, ნილამ სთხოვა, ხელში

დამაჭერინეო. აბდულამ ეჭვის თვალით შეხედა, თითქოს ინსტინქტმა რაღაც საგანგაშო უკარნახა.

– რა საყვარელია, – წამოიძახა ნილამ და ბავშვი გამოართვა. მოუხერხებელი მოძრაობები მის გამოუცდელობაზე მეტყველებდა.

ფარიმ ნილას შეხედა, მერე აბდულასკენ გაიხედა და ტირილი დაიწყო. აბდულამ სწრაფად გამოართვა ბავშვი.

– ნახეთ, როგორი თვალები აქვს, ან ეს ლოყები? რა საყვარელია, არა, ნაბი?

– დიახ, ბიბი საჰიბ, – ვთქვი მე.

– და რა კარგი სახელი დაგირქმევიათ – ფარი(ფარი – ფერია; ლამაზმანი.). მართლაც, პატარა ფერიას ჰგავს.

აბდულა ფარის არწევდა, ნილას უყურებდა და სახე თანდათან ეღუშებოდა.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ნილამ ფანჯარას თავი მიაყრდნო. კარგა ხანს ჩუმად იყო. შემდეგ უეცრად ტირილი დაიწყო.

მანქანა გზის ნაპირას გადავიყვანე.

ხელებში თავჩარგული ტიროდა, მხრები უცახცახებდა. ბოლოს ცხვირსახოცი ამოიღო და სახე მოიწმინდა.

– მადლობა, ნაბი, – თქვა მან.

– რისთვის, ბიბი საჰიბ?

– აქ ჩამოყვანისთვის. დიდი პატივი იყო შენს ოჯახთან შეხვედრა.

– პირიქით, ბიბი საჰიბ, თქვენ დაგვდეთ პატივი.

– შენი დისშვილები მართლა ძალიან კარგები არიან, – სათვალე ამოიღო და გაიკეთა.

ვერ ვხვდებოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ჩემი თანდასწრებით ტიროდა. ასეთი ინტიმური მომენტის დროს კეთილი სიტყვებით უნდა ვანუგეშო-მეთქი, გავიფიქრე.

– თქვენი შვილები გეყოლებათ, ბიბი საჰიბ, ინშაალლა, ღმერთი გადმოგხედავთ, ცოტა ხანს მოითმინეთ.

– არ მგონია. შეუძლებელია.

– როგორ არა, შესაძლებელია, ბიბი საჰიბ, ისეთი ახალგაზრდა ხართ. ღმერთი ინებებს და ყველაფერი კარგად იქნება.

– შენ არ იცი, – დაღლილი ხმით თქვა მან. ასეთი დაქანცული და გამოფიტული არასოდეს მენახა, – ყველაფერი ამომაგლიჯეს ინდოეთში, შიგნით ცარიელი ვარ.

რა უნდა მეთქვა. როგორ მინდოდა, გადავწვდომოდი, მომეზიდა და კოცნით შემეშრო მისი ცრემლები… სანამ მივხვდებოდი, რას ჩავდიოდი, უკან გადავიწიე და ხელზე შევეხე. ვიფიქრე, უკან წაიღებს-მეთქი, მაგრამ არა, პირიქით, მადლიერების ნიშნად თითები მომიყირა. ვისხედით და ერთმანეთის ნაცვლად გადამხმარ, ამომშრალი სარწყავი არხებით დასერილ ველ-მინდვრებს ვუცქერდით. სიცოცხლის ნიშანწყალს მხოლოდ აქა-იქ ამოჩრილი ბუჩქები იძლეოდა. ნილას ხელი ხელში მეჭირა, მთებს, ელექტროგადამცემ ანძებს, მტვერში

ამოგანგლულ სატვირთო მანქანას მივშტერებოდი და ვფიქრობდი, რომ უსასრულოდ შემეძლო ასე ჯდომა.

– სახლში წამიყვანე, – თქვა ნილამ და ხელი გამიშვა, – მინდა, რომ ამაღამ ადრე დავწვე.

– დიახ, ბიბი საჰიბ, – ყელი ჩავისუფთავე და ოდნავ აკანკალებული ხელით მანქანა პირველ სიჩქარეში ჩავაგდე.

საძინებელში შევიდა და რამდენიმე დღე აღარ გამოსულა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო. თავისი საძინებლის ფანჯარას სავარძელს მიადგამდა, ჩაჯდებოდა, სიგარეტს გააბოლებდა, ცალ ფეხს ნერვულად აათამაშებდა და გამოცარიელებული თვალებით ფანჯრიდან იცქირებოდა. არც ღამის პერანგს იცვამდა, არც შხაპს იღებდა, არც კბილებს იხეხავდა და არც თმას ივარცხნიდა. ამჯერად, საჭმელზეც უარი თქვა. ბატონი ვაჰდათი უჩვეულოდ აღელვებული ჩანდა.

მეოთხე დღეს შემოსასვლელ კარზე კაკუნი გაისმა. კარი რომ გავაღე, მაღალი, ხანშიშესული კაცი გამოჩნდა. კაცს კარგად გაუთოებული პიჯაკი და პრიალა მოკასინები ეცვა. მედიდური და იმავდროულად მუქარის შემცველი გამომეტყველება ჰქონდა. ხელჯოხს ისე ეყრდნობოდა, თითქოს სკიპტრა უპყრიაო. გამჭოლი მზერა მესროლა. ერთი შეხედვითაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ კაცი მორჩილებას იყო შეჩვეული.

– როგორც გავიგე, ჩემი ქალიშვილი კარგად არ არის, – თქვა მან.

მამა ყოფილა. ადრე არასოდეს მენახა.

– დიახ, საჰიბ, ვშიშობ, რომ მართალი ხართ.

– ჰოდა, გზიდან ჩამომეცალე, ახალგაზრდავ! – ჩემ წინ ქარივით ჩაიქროლა.

საქმე მოვიმიზეზე და ბაღში გავედი. ბუხრისთვის შეშის ჩეხვა დავიწყე. იქიდან ნილას საძინებლის ფანჯარა კარგად ჩანდა. მამამისი ნილასკენ დახრილიყო და ცალი ხელი მის მხარზე ედო. ნილას ისეთი შემცბარი სახე ჰქონდა, თითქოს ეძინა და უცბად ქარმა კარი გააჯახუნა ან ფოიერვერკი გაისროლეს და ხმამ გამოაფხიზლა.

იმ ღამეს ნილამ ივახშმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნილამ მითხრა, რომ წვეულების გადახდას აპირებდა. სანამ ბატონი ვაჰდათი მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდა, წვეულებები ძალიან იშვიათი მოვლენა იყო. მას შემდეგ, რაც სახლში ნილა გადმოვიდა, თვეში ორჯერ-სამჯერ სტუმრიანობა გვქონდა. წვეულების წინა დღეს საჭმლისა და სასმელის შესახებ დეტალურ ინსტრუქციას ვიღებდი და ბაზარში მივდიოდი. საყიდლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სასმელი იყო. მე დიდად გაწაფული არ ვიყავი სასმელების შერჩევაში, რადგან ბატონი ვაჰდათი სასმელს არ ეტანებოდა. არ იფიქროთ, რომ ამას რაიმე საერთო ჰქონდა რელიგიასთან, უბრალოდ სმის ზემოქმედება არ მოსწონდა. სამაგიეროდ ნილა იცნობდა დაწესებულებებს, რომლებსაც ხუმრობით

„აფთიაქებს“ უწოდებდა და სადაც ჩემი ხელფასის ორმაგი ოდენობით დახლქვეშ

ერთი ბოთლი „წამლის“ შეძენა შეიძლებოდა. გაორებული განცდა მქონდა ნილას ამ დავალების მიმართ, რადგან უნებურად ცოდვის მონაწილე ვხდებოდი, თუმცა, ნილასთვის სიმოვნების მინიჭების სურვილი ყველა სხვა გრძნობას ფარავდა.

მინდა, იცოდეთ, ბატონო მარკოს, რომ შადბაღში ქორწილი თუ სხვა წვეულებები ორ სხვადასხვა სახლში იმართებოდა. ერთში კაცები იკრიბებოდნენ, მეორეში – ქალები. ნილას წვეულებებზე ქალები და კაცები ერთმანეთში ირეოდნენ. ქალებს ნილას მსგავსად ეცვათ, შიშველი მკლავები და ფეხები მოუჩანდათ. ეწეოდნენ, სვამდნენ, ხელში უფერო, წითელი ან სპილენძისფერი სითხით ნახევრად შევსებული ჭიქები ეჭირათ და ანეკდოტებს ჰყვებოდნენ, იცინოდნენ, კაცებს – ხშირ შემთხვევაში სხვის ქმრებს – თავისუფლად ეხებოდნენ მკლავებზე. ბოლანითა(ბოლანი – თხელი ღვეზელი ისპანახის, კარტოფილის, ოსპის და სხვ. გულსართით.) და ლუკა ქაბაბით სავსე პატარა ლანგრებს გაბოლილი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში დავარბენინებდი, საკრავი ფირფიტებს ატრიალებდა. ავღანურის ნაცვლად ის მუსიკა ისმოდა, რომელსაც ნილა „ჯაზს“ უწოდებდა. როგორც ათწლეულების შემდეგ შევიტყვე, თურმე თქვენც მოგწონთ ეს მუსიკა, ბატონო მარკოს. ჩემი ყურისთვის პიანინოს ხმა და საყვირის კვნესა არათანახმიერი ნარევი იყო, მაგრამ ნილას ძალიან უყვარდა. ხშირად ეუბნებოდა სტუმრებს, ამა თუ იმ ჩანაწერს აუცილებლად უნდა მოვუსმინოთო. მთელი საღამო ჭიქა არ გაუშვია ხელიდან, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საჭმელს, მე რომ მონდომებით მოვამზადე.

ბატონი ვაჰდათიც იქ იყო. სტუმრების დასანახად ცდილობდა, რომ ისიც ჩართული ყოფილიყო წვეულების მსვლელობაში, თუმცა უმეტესად მაინც კუთხეში იჯდა და გაყინული გამომეტყველებით სოდიანი წყლით სავსე ჭიქას ათამაშებდა ხელში. თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, პირმოკუმული თავაზიანად უღიმოდა. როდესაც ნილას სთხოვდნენ, რომ ლექსები წაეკითხა, ბატონი ვაჰდათი, ჩვეულებისამებრ, რაღაცას მოიმიზეზებდა და იქაურობას ეცლებოდა.

წვეულების ეს ნაწილი განსაკუთრებით მიყვარდა. ნილა რომ კითხვას იწყებდა, მკლავზე ტილოგადაკიდებული ადგილზე ვიყინებოდი და ნილას თვალს არ ვაშორებდი. ნილას ლექსები აბსოლუტურად განსხვავებული იყო იმ პოეზიისგან, რომელზეც მე აღვიზარდე. როგორც იცით, ჩვენ, ავღანელებს, გვიყვარს ჩვენი პოეზია. ყველაზე გაუნათლებელმა ავღანელმაც კი იცის ჰაფეზი, ხაიამი და საადი. გახსოვთ, ბატონო მარკოს? ერთხელ მითხარით, რომ ავღანელები ძალიან გიყვართ. რატომ-მეთქი, გკითხეთ და აი, ასე მიპასუხეთ: „იმიტომ, რომ კედელზე გრაფიტის დატანის დროსაც კი რუმის პოეზიას ასხურებთო“.

ნილას პოეზია არატრადიციული იყო. არაფრად მიიჩნევდა ლექსის დადგენილ მეტრს ან რითმას. ლექსებში არც გაზაფხულის ყვავილებზე იყო ლაპარაკი და არც ბულბულებზე. ის სიყვარულზე წერდა, მაგრამ რუმისა და

ჰაფეზის სუფისტურ სწრაფვას არ გულისხმობდა. ნილა ფიზიკურ სიყვარულზე წერდა. მის ლექსებში საყვარლები ერთმანეთს ეალერსებოდნენ, სასიყვარულო სიტყვებს ეჩურჩულებოდნენ, სიამოვნებას განიცდიდნენ. ქალის პირიდან ამოსული ასეთი სიტყვები არასოდეს გამეგო. ვიდექი და ვუსმენდი, ნილას ოდნავ ჩახლეჩილი ხმა როგორ ერწყმოდა სივრცეს, ყურებზე ცეცხლი მეკიდა, თვალდახუჭული წარმოვიდგენდი, რომ ნილა ჩემთვის კითხულობდა. ასე გრძელდებოდა, სანამ ვინმეს შემწვარი კვერცხი ან ჩაი მოუნდებოდა. მერე ნილა დამიძახებდა და ჩემი ზღაპარიც მთავრდებოდა.

იმ ღამეს ნილას ლექსმა ადგილს მიმაჯაჭვა. ლექსში ცოლ-ქმარი ახალშობილ ბავშვს

გლოვობს. ბავშვი სოფელში ჩამოწოლილმა ზამთრის სიცივემ იმსხვერპლა. სტუმრებს ლექსი მოეწონათ. თავის ქნევა და რეპლიკები არ წყდებოდა, ბოლოს გულითადი აპლოდისმენტები გაისმა. გაოცებული და იმედგაცრუებული ვიყავი. ჩემი დის უბედურება უცბად ამ ხალხის გასართობად იქცა. თავს ვერ ვაღწევდი იმაზე ფიქრს, რომ ამ ყველაფერში ღალატის ელემენტები ერია.

წვეულებიდან რამდენიმე დღეში ნილამ გამოაცხდა, ახალი საფულე მჭირდებაო. ბატონი გაზეთს კითხულობდა, თან ჩემ მომზადებულ ოსპის წვნიანსა და ნაანს მიირთმევდა.

– რამეს ხომ არ დამაბარებ, სულეიმან? – ჰკითხა ნილამ.

– არა, აზიზ, გმადლობთ, – ძალიან იშვიათად იყენებდა საალერსო სიტყვა „აზიზს“, რომელიც „საყვარელოს“, „ძვირფასოს“ ნიშნავს. მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმისას კიდევ უფრო კარგად ჩანდა, რომ მათ შორის არავითარი სიახლოვე არ იყო. ვაჰდათის პირით წარმოთქმული ეს სასიყვარულო სიტყვა ჰაერში გახამებული ტილოსავით გამოეკიდა.

მაღაზიისკენ რომ მივდიოდით, ნილამ თქვა, მეგობრის წამოყვანა მინდაო და მისამართი მითხრა. მანქანა გავაჩერე და ვუყურებდი, როგორ გაემართა ის ორსართულიანი, კაშკაშა, ვარდისფრად შეღებილი აგურის სახლისკენ. ძრავა ჩართული დავტოვე, მაგრამ როცა ხუთი წუთი გავიდა და ნილა ჯერ არსად ჩანდა, გამოვრთე. კარგად მოვიქეცი, რადგან მხოლოდ ორი საათის შემდეგ დავინახე ნარნარით მანქანისკენ მომავალი ნილა. უკანა კარი გავუღე და მანქანაში შესრიალდა. უცნაური სუნი მეცა. ნილას ჩვეული სურნელის გარდა, კიდევ რაღაცის. იქნებ კედარის ან ჯანჯაფილის, ეს სურნელი ორი დღის წინ გამართულ წვეულებაზეც ვიგრძენი. – ვერ შევარჩიე ვერაფერი, – თქვა ნილამ და ტუჩებზე საცხი გადაისვა.

ჩემი გაოცებული მზერა შეამჩნია სარკეში და წარბებქვეშიდან ამომხედა.

– ორ სხვადასხვა მაღაზიაში წამიყვანე და მაინც ვერაფერი ამოვარჩიე, – თვალი გამისწორა ცოტა ხნით და მივხვდი, რომ მისი საიდუმლო უნდა შემენახა. ჩემს ერთგულებას ამოწმებდა და თან არჩევანსაც მაძლევდა.

– მგონი სამ მაღაზიაშიც ვიყავით, – ხმადაბლა ვთქვი მე.

— Parfois jJe pense que tu es mon seul mIoI,((ფრ.) ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი ერთადერთი მეგობარი შენ ხარ (ფრანგული ტექსტები თარგმნეს მედეა ჭელიძემ და ნინო კუდავამ).) – გაიცინა მან.

თვალები დავახამხამე. – ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი ერთადერთი მეგობარი შენ ხარ, ნაბი, – შემომცინა, მაგრამ ჩემს გუნებას ველარაფერი გამოაკეთებდა.

იმ დღეს საქმეს ჩემთვის ჩვეული სისწრაფით ველარ ვაკეთებდი, ენთუზიაზმიც ჩამიქრა. საღამოს კაცები მოვიდნენ ჩემთან, იმღერეს, მაგრამ ვერც ამან გამამხიარულა. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს რქები დამადგეს. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ, ბოლოს და ბოლოს, ცოტა შემეშვებოდა მისი სიყვარული და თავს უფრო თავისუფლად ვიგრძნობდი.

მაგრამ დილა გათენდა თუ არა, ისევ ვიგრძენი, როგორ იყო ყველაფერი მისით

გაჟღენთილი, სახლის კედლები, იატაკი, ჭერი, ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავდი, და მოკლედ – ყოველი კუთხე-კუნჭული. მცდელობას აზრი არ ჰქონდა, ბატონო მარკოს.

ზუსტად ვერ გეტყვით, ბატონო მარკოს, როდის მომივიდა თავში ეს აზრი. იქნებ მაშინ, როდესაც შემოდგომის ერთ ქარიან დღეს ნილას საუზმეს ვუმზადებდი, მაგიდისკენ რომ დავიხარე მისთვის როთის(როთი – ფხვიერი ნამცხვრის ნაირსახეობა.) მოსაჭრელად და ფანჯრის რაფაზე შემომდგარი რადიოდან ამინდის პროგნოზი გადმოსცეს – 1952 წლის ზამთარი კიდევ უფრო მკაცრი იქნება, ვიდრე გასული წლისაო; ან იქნებ უფრო ადრეც, იმ დღეს, როცა კაშკაშა ვარდისფრად შეღებილ აგურის სახლთან ველოდებოდი; ან მაშინ, როცა მისი ხელი მეჭირა და გულამოსკვნილი ტიროდა. დროს რა მნიშვნელობა აქვს, ეს აზრი ისე ამეკვიატა, რომ თავიდან ველარ მოვიშორე.

ნება მომეცით, გითხრათ, რომ სუფთა სინდისით და კეთილი ზრახვებით ვმოქმედებდი. ვიცოდი, რომ თავიდან ძალიან მტკივნეული იქნებოდა, მაგრამ დრო გაივლიდა და ყველასთვის სასიკეთო აღმოჩნდებოდა. უნდა ვაღიარო, რომ პირადი მიზეზებიც მამოძრავებდა. ყველაზე მთავარი მათ შორის ის იყო, რომ მინდოდა ისეთი რამ შემეთავაზებინა ნილასთვის, რასაც ვერასოდეს ვერცერთი კაცი შესთავაზებდა, ვერც ქმარი, ვერც იმ აგურის სახლის პატრონი.

პირველ ყოვლისა, საბურს დაველაპარაკე. თავდასაცავად ვიტყვი, რომ სიხარულით გადავუხდიდი საბურს ფულს შეთავაზების სანაცვლოდ, თუ ჩემგან ფულის აღებას დასთანხმდებოდა. ვიცოდი, რომ ძალიან უჭირდა. სამუშაოს შოვნა ადვილი საქმე არ იყო. შემეძლო ბატონისთვის ავანსად გამომერთმია ჩემი ხელფასი და საბურისთვის მიმეცა, რომ როგორმე ზამთარი გადაეტანათ, მაგრამ საბური, ბევრი ჩემი თანასოფლელის მსგავსად, სიამაყის გამო ამას არასოდეს დასთანხმდებოდა, ფულს არასოდეს გამომართმევდა. როდესაც ფარვანაზე დაქორწინდა, იმ პატარა დახმარებაზეც უარი თქვა, რასაც მე ვუწევდი ჩემს დას. კაცმა ოჯახი თვითონ უნდა არჩინოსო. ასე ფიქრობდა და მოკვდა კიდეც მუშაობის დროს, ჯერ ორმოცისაც არ იყო. ბაღლანთან ახლოს, შაქრის ლერწმის მოსავლის აღების დროს უცბად

დაცემულა. რომ კვდებოდა, დაწყლულებულ, დასისხლიანებულ ხელში ცელი ეჭირა თურმე.

მე მამა არ ვყოფილვარ და თავს ვერ დავდებ, რომ ბოლომდე მესმოდა საბურის ტანჯვა-ტკივილისა, რაც გადაწყვეტილების მიღებას უძღოდა წინ. მოლაპარაკებებს არ დავსწრებივარ. როდესაც ნილას ჩემი მოსაზრება გავუმხილე, ვთხოვე, ბატონ ვაჰდათისთვის არ ეთქვა, რომ საქმე ჩემ მიერ იყო წამოწყებული. ვიცოდი, ბატონი ვაჰდათი წინააღმდეგობას გაუწევდა. არც ერთხელ, ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში, მშობლის ინსტინქტის მსგავსი რამ მასში არ შემიმჩნევია. ნილას ცოლად მოყვანაც ალბათ იმან გადააწყვეტინა, რომ მისი უშვილობის შესახებ იცოდა. ასე იყო თუ ისე, მათი დაძაბული ურთიერთობებისგან თავი შორს მეჭირა. ყოველ ღამეს, დასაძინებლად რომ ვწვებოდი, ის წუთი მედგა თვალწინ, როცა პირველად მოვუყევი ნილას ჩემი გეგმის შესახებ. ცრემლი წასკდა, ორივე ხელი ჩამჭიდა და მადლიერი თვალებით მიცქერდა, ასე მგონია, მაშინ რაღაც სიყვარულის მსგავსიც კი იგრძნო. იმას ვთავაზობდი, რასაც სხვა ვერავინ შესთავაზებდა. თავი მთლიანად მივუძღვენი და ამით ბედნიერებას განვიცდიდი. იყო მომენტები, როდესაც ოცნება მიტაცებდა და სულელივით მეგონა, რომ ოდესმე ჩემში უფრო მეტს დაინახავდა, ვიდრე უბრალოდ ერთგულ მსახურს.

როცა ბოლოს ბატონი ვაჰდათი დანებდა, რაც არ გამკვირვებია, რადგან ნილა ძალიან

ძლიერი ნების პატრონი იყო, საბურს შევატყობინე და მანქანით წამოყვანა შევთავაზე. ვერასდროს მივხვდები, რატომ არჩია საბურმა შადბაღიდან ქაბულამდე ფეხით წამოსვლა, ან აბდულას რატომ დართო ნება, რომ წამოჰყოლოდა. იქნებ თავის ქალიშვილთან ყოფნის დროს ებღაუჭებოდა და გახანგრძლივება უნდოდა? იქნებ საკუთარი თავის დასჯა სცადა? ან სიამაყის გამო იუარა იმ კაცის მანქანაში ჩაჯდომა, ვინც მალე მის შვილს იყიდდა? ასე იყო თუ ისე, ბოლოს სამივე ჩამოვიდა. მტვერში ამოგანგლულები, შეთანხმების თანახმად, მეჩეთთან იცდიდნენ. ვაჰდათების სახლში რომ მიმყავდა, ვცდილობდი, რაც შეიძლება მხიარული მოვჩვენებოდი ბავშვებს. რა იცოდნენ, ბედი რას უმზადებდა, არც ის საშინელი სცენა წარმოედგინათ, რაც მოგვიანებით გათამაშდა.

მგონი, აზრი არა აქვს დეტალების მოყოლას, ბატონო მარკოს, რისიც მეშინოდა, ის მოხდა სწორედ. ამდენი წელი გავიდა და, რომ მახსენდება, ახლაც გული მეკუმშება. ან სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს. ორი ერთმანეთთან წმინდა სიყვარულით დაკავშირებული უმწეო არსება დავაშორე ერთმანეთს. რა დამავიწყებს იმ ემოციებს! თავზარდაცემული ფარი მხარზე მებღაუჭებოდა, ფეხებს იქნევდა, გულშემზარავად წიოდა და კიოდა, აბოლა! აბოლა! სასწრაფოდ მოვაშორე იქაურობას. აბდულა დას ეძახდა, მამამისის ხელიდან დასხლტომას ცდილობდა. ნილას ორივე ხელი პირზე ჰქონდა აფარებული, ალბათ კივილი რომ ჩაეხშო. რამხელა სიმძიმე მაწევს, ბატონო მარკოს, რამხელა სიმძიმე!

იმ დროისთვის ფარი დაახლოებით ოთხი წლის იყო. ვაჰდათებმა მისი ცხოვრების შეცვლა და თავიანთ ყაიდაზე მორგება მალე დაიწყეს. მაგალითად,

ყოველ წუთას ახსენებდნენ, რომ ქაქა(ქაქა – ბიძია.) ნაბი კი არა, უბრალოდ ნაბი დაეძახა ჩემთვის. როგორც კი წამოსცდებოდა, ყველა, ჩემი ჩათვლით, თავაზიანად უსწორებდა შეცდომას. ბოლოს მართლა დაიჯერა ფარიმ, რომ ჩვენ შორის ნათესაური კავშირი არ არსებობდა. მე მისთვის ახლა ნაბი მძღოლი, ნაბი მზარეული ვიყავი, ნილა „Maman“((ფრ.) დედა.), ხოლო ბატონი ვაჰდათი „Papa“((ფრ.) მამა.) გახდა. ნილამ ფრანგულის გაკვეთილების ჩატარება წამოიწყო, უნდოდა ფარისთვის დედამისის მშობლიური ენა ესწავლებინა.

თავდაპირველად ბატონი ვაჰდათი ფარის მიმართ გულგრილობას იჩენდა, მაგრამ მისდა გასაოცრად, ფარის ცრემლმა და შინაურების მონატრების ტკივილმა მასზე ისე იმოქმედა, რომ საბოლოოდ სრულიად განაიარაღა. მალე დილის სეირნობების დროს ფარიც შემოგვიერთდა. ბატონი საბავშვო ეტლში ჩასვამდა და მთელ სამეზობლოს შემოატარებდა ხოლმე. ხანდახან საჭესთან დაჯდებოდა, ფარის კალთაში ჩაისვამდა და მოთმინებით იღიმოდა, როცა ფარი სიგნალს ხელს აჭერდა. ბატონმა დურგალი იქირავა, სამუჯრიანი მოძრავი საწოლი, ნეკერჩხლის ხის კომოდი და ტანსაცმლის კარადა დაამზადებინა. მერე ყველაფერი ყვითლად შეაღებინა, რადგან ბოლო დროს დარწმუნდა, რომ ფარის საყვარელი ფერი ყვითელი იყო. ერთხელაც, კარადის წინ ფეხებგადაჯვარედინებული დაჯდა, გვერდით ფარი მოისვა და კარადის კარზე გასაოცარი ოსტატობით დახატა ჟირაფი და გრძელკუდიანი მაიმუნები. მგონია, რომ ეს საქციელიც ბევრს ამბობს მის ბუნებაზე, ბატონო მარკოს, რადგან წლების განმავლობაში ხატავდა და ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მისი ნამუშევრისთვის

თვალის შევლება შევძელი.

ფარის გამოჩენამ ვაჰდათების ოჯახი ნამდვილ ოჯახს დაამსგავსა. ფარის სიყვარულით ერთად სადილობდნენ, ერთად დაჰყავდათ სასეირნოდ, პარკში სკამზე ერთმანეთის გვერდით სხდებოდნენ და ბავშვის თამაშს თვალს ადევნებდნენ. საღამოობით, როცა მაგიდას

გადავწმენდდი და ჩაის მივართმევდი, ვხედავდი, როგორ მოკალათდებოდა ხოლმე ფარი რომელიმეს მუხლებზე და ყურადღებით უსმენდა საბავშვო მოთხრობებს.

დრო გადიოდა და თან ფარის მოგონებები მიჰქონდა.

ვაჰდათების ცხოვრებაში ფარის გამოჩენამ კიდევ ერთი შედეგი მოიტანა: მე უკანა პლანზე აღმოვჩნდი. სიმართლე გითხრათ, ამას არ მოველოდი. მკაცრად ნუ განმსჯით, ბატონო მარკოს, ახალგაზრდა ვიყავი, ოცნებით სავსე. ბოლოს და ბოლოს, მე რომ არა, იქნებ ნილა დედა არც გამხდარიყო. ასე ვთქვათ, მე მივუხვდი ავადმყოფობის მიზეზს და მერე მის ტკივილს მევე ვუწამლე.

ვოცნებობდი თუ არა, რომ ერთ დღეს საყვარლები გავხდებოდით? მინდა, რომ გითხრათ, არა, არც ასეთი სულელი ვიყავი-მეთქი, მაგრამ ბოლომდე მართალი არ ვიქნები. მგონი, სინამდვილეში ჩვენ ყველა ველით, რომ გულის კუნჭულში მიმალული ოცნება ოდესმე ახდება.

ნილას დრო მთლიანად ფარის ეკუთვნოდა. გაკვეთილები, თამაშები, ძილი, გასეირნება, კიდევ თამაშები… ჩვენი საუბრები დავიწყებას მიეცა. თუ კუბებით თამაშობდნენ ან რებუსებს ხსნიდნენ, ნილა ვერც ამჩნევდა, რომ ყავა მიმქონდა, ან საერთოდ იქ ვიყავი თუ არა. ლაპარაკისას დაბნეული ჩანდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მოკლედ მოეყრა. მანქანაში გაუცხოებული სახით იჯდა. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ამის გამო წყენა ფარიზე

გადამქონდა.

შეთანხმების მიხედვით, ფარის ოჯახს მასთან ყოველგვარი კონტაქტი ეკრძალებოდა. მისი გადმოსვლის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ შადბაღში ჩავედი. აბდულასა და იყბალს, ჩემს პატარა დისშვილს, მცირე საჩუქრები ჩავუტანე.

– საჩუქრები უკვე დაარიგე, ახლა უნდა წახვიდე, – დაძაბული ხმით, მაგრამ გარკვევით თქვა საბურმა.

არ მესმის შენი ცივი დახვედრის და უხეშად მოპყრობის მიზეზი-მეთქი, ვუთხარი. – ძალიან კარგად გესმის. მორჩა, აღარ მინდა, რომ როდესმე კიდევ ჩამოხვიდე.

მართალი იყო და ყველაფერი კარგად მესმოდა. ჩვენ შორის სიცივე ჩამოწვა, ჩემი სტუმრობა, რბილად რომ ვთქვა, უხერხულობას იწვევდა. შეიძლებოდა საქმე ჩხუბამდეც მისულიყო. არაბუნებრივი იქნებოდა, რომ დავმსხდარიყავით, ჩაი გვეწრუპა და ამინდზე ან ყურძნის მოსავალზე გვესაუბრა. ჩვეულებრივს ვეღარ დაარქმევდი ჩვენს ურთიერთობას. გასაკვირი არაფერი იყო. მე გავხდი მისი ოჯახის გახლეჩის მიზეზი. ჩემთვის თვალის გასწორება საბურის ძალებს აღემატებოდა. ამ ყველაფრის გაგება ადვილი იყო. მე შევწყვიტე შადბაღში სიარული. მას მერე აღარავინ მინახავს.

1955 წლის ადრეული გაზაფხულის ერთ დილას ყოველი ჩვენგანის ცხოვრება შეიცვალა. მახსოვს, რომ წვიმდა. ისე არა, რომ ბაყაყები გამოერეკა და ყიყინი მოერთოთ, მაგრამ წვრილად ცრიდა. ხან გადაიღებდა, ხან ისევ წამოწვიმდა, თითქოს ვერ გაებედა, რომ მთელი ძალით წამოსულიყო. მებაღე ზაჰიდი ნიჩაბს ჩამოყრდნობილი იდგა და მელაპარაკებოდა.

ისედაც ზარმაცი იყო და წვიმაში ხომ სულ არ უნდოდა მუშაობა. დღეს მოვრჩი, მეტს ვერაფერს გავაკეთებო, ამბობდა. ოღონდ მისი ლაპარაკისთვის არ მესმინა და ჩემს ქოხში გადავწყვიტე წასვლა. ის იყო შევტრიალდი და უცბად ნილას კივილის ხმა გავიგონე. ჩემს სახელს იძახდა. ხმა მეორე სართულიდან, ბატონის საძინებლიდან მოდიოდა. ნილა კედელზე იყო აკრული, პირზე ხელისგული ჰქონდა აფარებული.

– შეხედე, რაღაც დაემართა, – თქვა მან. ხელი პირიდან არ მოუშორებია.

ბატონი ვაჰდათი საწოლზე იჯდა. თეთრი მაისური ეცვა. ხორხიდან უცნაური ხრიალი ამოსდიოდა, ფერმკრთალი იყო, თმა გაწეწილი ჰქონდა. მარჯვენა ხელით რადაცის გაკეთებას ცდილობდა, მაგრამ ხელს ვერ იმორჩილებდა. ტუჩების კუთხიდან ნერწყვი სდიოდა.

– ნაბი! ნაბი! რამე გააკეთე!

ფარი უკვე ექვსი წლისა იყო. ოთახში შემოვიდა, ბატონის საწოლთან მიირბინა, მაისურზე მოქაჩა, – მამა! მამა! – ბატონი გაფართოებული თვალებით, პირდაღებული უყურებდა. ფარიმ ტირილი დაიწყო.

ბავშვი ნილასთან მივიყვანე. მეორე ოთახში გადით, ამას არ უნდა უყუროს-მეთქი, ვუთხარი. ნილამ თვალები დაახამხამა, გეგონებოდათ ტრანსიდან დაბრუნდა, ხან მე მიყურებდა, ხან ფარის და გამუდმებით მთხოვდა, რამე გააკეთეო.

ფანჯრიდან ზაჰიდს დავუძახე. ამ უსაქმურისგან ეს ერთადერთი სასარგებლო საქმე მახსენდება მხოლოდ. დამეხმარა და ბატონს საღამური ჩავაცვით. ავწიეთ, მანქანასთან მივიყვანეთ და უკანა სავარძელზე გადავაწვინეთ; ნილა გვერდით მიუჯდა. ზაჰიდს ვთხოვე, რომ სახლში დარჩენილიყო და ფარისთვის მიეხედა. გააპროტესტა. ვირი ხარ, დარჩები და რაც გითხარი, გააკეთებ-მეთქი, ვუთხარი, თან სახეში მაგრად გავულაწუნე. მერე მანქანა დავქოქე და მთელი სისწრაფით გავაქროლე.

ორი კვირის შემდეგ ბატონი ვაჰდათი სახლში დავაბრუნეთ. მის დაბრუნებას დიდი ქაოსი მოჰყვა. ნათესავების დინებამ ლამის წაგვლეკა. ოცდაოთხი საათის განმავლობაში ჩაის ვადუღებდი. ხან მის მოხუც ბიძას ვუმზადებდი საჭმელს, ხან ბიძაშვილს და ხან დეიდას. კარი არ იკეტებოდა. ჩურჩულითა და შემოსასვლელის მარმარილოს იატაკზე ქუსლების ბაკუნით უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ. უმეტესი მათგანი ადრე არასოდეს მენახა. მათი სტუმრობა უფრო ბატონი ვაჰდათის დედისთვის პატივისცემის დადასტურება იყო, ვიდრე ოთახში გამოკეტილი ავადმყოფის მონახულების სურვილი, რომელთანაც, სავარაუდოდ, ბევრი არაფერი აკავშირებდათ. რასაკვირველია, დედაც მობრძანდა. საბედნიეროდ, ძაღლების გარეშე. სახლში გიჟივით შემოვარდა. ორივე ხელში ცხვირსახოცი ეჭირა, წარამარა ცრემლს და წვინტლს იწმენდდა. შვილის საწოლთან მიიჭრა, თავი ლოგინში ჩარგო და აქვითინდა. შავები ეცვა, თითქოს მისი შვილი უკვე მკვდარი იყო.

თუმცა, თავისებურად მართალიც იყო. ადრინდელი ვაჰდათი აღარ არსებობდა. ნახევარი სახე გაქვავებული ჰქონდა, ფეხები უმოქმედოდ ეკიდა. მარცხენა ხელს ამოძრავებდა, მარჯვენა ხელიდან ძვალი და დამჭკნარი ტყავი იყო დარჩენილი. ხვნეშა-კვნესით და ხრიალით ამბობდა ცალკეულ სიტყვებს, მაგრამ რას, არავის ესმოდა.

ექიმმა გვითხრა, რომ ვაჰდათი ყველაფერს ისევე აღიქვამდა, როგორც სისხლის ჩაქცევამდე, მაგრამ შესაბამისად ვეღარ გამოხატავდა.

მთლად მართალი არ იყო ექიმი. თუმცა, სტუმრების პირველი ნაკადის (დედამისის ჩათვლით) მიღების დროს, ნათლად გამოხატა მათ მიმართ დამოკიდებულება. ასეთ მძიმე დღეებშიც კი მარტოსულ არსებად რჩებოდა. ვერ იტანდა სტუმრების ცრემლმორეულ, სევდიან სახეებს, თანაგრძნობის გამომხატველ მზერას და რაც მთავარია, თავის თავს, რადგან ამ სამწუხარო სცენის მთავარი სანახაობა თვითონ იყო. როცა მასთან ოთახში შედიოდნენ, მარცხენა ხელს გაბრაზებით აიქნევდა, თუ გამოელაპარაკებოდნენ, თავს

ატრიალებდა, საწოლზე თუ ჩამოუსხდებოდნენ, ზეწარს ჩაებღაუჭებოდა და თავისკენ ექაჩებოდა მანამ, სანამ მიხვდებოდნენ და თავს დაანებებდნენ. ოთახიდან ფარისაც აგდებდა, მაგრამ ბევრად უფრო რბილად. ხანდახან ფარი მის საწოლთან თოჯინებით თამაშობდა. თვალცრემლიანი, აკანკალებული ნიკაპით, უხმოდ მევედრებოდა, ბავშვი გაიყვანეო. არასოდეს გამოლაპარაკებია. იცოდა, რომ ფარის გული ეტკინებოდა.

სტუმართა ურდოს შემოტევა ნილასთვის დიდი შვება აღმოჩნდა. როცა კედლების გასწვრივ გუნდ-გუნდად განლაგდებოდნენ, ნილა ფარის ოთახს აფარებდა თავს. განსაკუთრებით კი დედამთილს არიდებდა თავს, რომელიც მოითხოვდა, რომ ნილა მეუღლის საწოლთან მჯდარიყო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტუმრების დასანახად მაინც. და ვინ გაამტყუნებდა? რასაკვირველია, ნილასთვის სულერთი იყო, ვინ რას იტყოდა მასზე. უამრავ რამეს კი, მართლაც, ამბოდნენ.

– ასეთი ცოლი თუ გინახავთ სადმე? – წამოიძახებდა ხოლმე ვაჰდათის დედა. ვისაც მოსმენა შეეძლო, ყველას ეუბნებოდა, რომ ნილა ერთი უსულგულო ქალი იყო. – სად არის ახლა, როცა ქმარს სჭირდება? ასეთ დროს რომელი ცოლი მიატოვებს მოსიყვარულე და ერთგულ ქმარს?

ნაწილობრივ მართალი იყო. ვაჰდათის საწოლთან მე თუ დამინახავდით. წამალსაც მე ვასმევდი და მოსაკითხად მოსულ სტუმრებსაც მე ვხვდებოდი. ექიმი მე მაძლევდა ინსტრუქციას და ხალხიც მე მეკითხებოდა მისი მდგომარეობის შესახებ.

ის, რომ ბატონი ვაჰდათი სტუმრებთან ურთიერთობაზე უარს ამბობდა, ნილას ერთგვარ კომფორტს უქმნიდა, თუმცა ფარის ოთახში გამოკეტილი სხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მართალია, დედამთილთან პირისპირ შეხვედრა აღარ უხდებოდა, მაგრამ ვეღარც მეუღლის ავადმყოფობის მიმდინარეობას ადევნებდა თვალს და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა საცოდაობად იქცა ბოლო დროს ბატონი ვაჰდათი. როგორც იქნა, სტუმრების ნაკადმა იკლო და სახლში სიმშვიდემ დაისადგურა. ახლა ნილა უნდა შედგომოდა ოჯახური მოვალეობების შესრულებას, მაგრამ არა, ოჯახის მოვლა მისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი საქმიანობა იყო. არ შეეძლო, არ უნდოდა და არც აკეთებდა.

ვერ ვიტყვი, რომ სასტიკი ან უსულგულო იყო. დიდხანს ვიცხოვრე, ბატონო მარკოს, და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ადამიანებისთვის წესიერება და გულისხმიერება მხოლოდ მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც სხვის საქციელს განსჯიან. ერთხელაც, როცა ვაჰდათის ოთახში შევედი, ნილა ვაჰდათის საწოლზე დამხობილი დამხვდა. გულამოსკვნილი ტიროდა,

ხელში კოვზი ეჭირა. ბატონს ოსპის შესქელებული წვნიანი ნიკაპზე გადმოღვროდა და კისერზე შემოხვეულ გულსაფარზე ეწვეთებოდა.

– ნება მიბოძეთ, ბიბი საჰიბ, – თავაზიანად ვუთხარი მე. კოვზი გამოვართვი, ვაჰდათის ნიკაპი მოვწმინდე და კოვზით საჭმელი პირთან მივუტანე, მაგრამ ამოიკვნესა, თვალები

დახუჭა და თავი გაატრიალა.

ამ ამბის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ წყვილი ჩემოდანი კიბეზე ჩავიტანე და მძღოლს გადავეცი. მძღოლმა ჩემოდნები საბარგულში ჩააწყო. შემდეგ თავის საყვარელ ყვითელ პალტოში გამოწყობილი ფარი მანქანაში ჩავსვი.

– ნაბი, მამან ამბობს, რომ პაპა-ს მერე ჩამოიყვან ჩვენთან, მართალია, ხომ? – მკითხა და შემომცინა, დაშორიშორებული კბილები გამოუჩნდა.

– ცოტა უკეთ გახდება და აუცილებლად! – ვუთხარი. მერე ორივე ხელი დავუკოცნე. – კარგ იღბალს და ბედნიერებას გისურვებ, ბიბი ფარი.

ნილას კიბეზე შევხვდი. ბატონს დაემშვიდობა და ქვევით ჩამოდიოდა. ეტყობოდა, რომ ნამტირალევი იყო. შეშუპებულ თვალებზე საღებავი ჰქონდა გადღაბნილი. ბატონი როგორ არის-მეთქი, – ვკითხე.

– მგონი შვებით ამოისუნთქა, – თქვა მან და დაამატა, – ან მე მინდა, რომ ასე იყოს.

ხელჩანთის ელვა შეკრა და მხარზე გადაიკიდა.

– ნურავის ეტყვი ჩვენს ადგილსამყოფელს, ასე ჯობია.

დავპირდი, რომ სიტყვა არ წამომცდებოდა.

მალე მოგწერო, – მითხრა. მერე დიდხანს მიყურებდა თვალებში და მართლა მგონია, რომ მის მზერაში ნამდვილი სიყვარული ამოვიკითხე. ხელისგულით სახეზე შემეხო.

– მიხარია, რომ მასთან ხარ.

მერე მომიახლოვდა და მომეხვია, ლოყაზე მისი ლოყა ვიგრძენი, მისი თმისა და სუნამოს სურნელით ავივსე.

– ეს შენ იყავი, ნაბი, ყოველთვის შენ იყავი, არ იცოდი? ვერაფერი გავიგე. სწრაფად მომშორდა და ფეხსაცმლის ქუსლების ბაკუნით მანქანისკენ წავიდა, ტაქსიში ფარის გვერდით დაჯდა, ჩემკენ ერთხელ კიდევ გამოიხედა და გაშლილი

ხელისგული ფანჯრის შუშას მიადო. მანქანა დაიძრა, თვალი გავადევნე. ეს უკანასკნელი კადრი აღმოჩნდა, მას მერე აღარასოდეს მინახავს.

დავიცადე, სანამ მანქანა თვალს მიეფარებოდა. შემდეგ ჭიშკარი ჩავკეტე, იქვე ჩავჯექი და

ბავშვივით ავტირდი.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჰდათი სტუმრებს არ იღებდა, ზოგჯერ მაინც შემოივლიდნენ ხოლმე. დრო გავიდა და ესეც შეწყდა. მის მოსაკითხად მხოლოდ დედამისი მოდიოდა კვირაში ერთხელ. თითებს გაატკაცუნებდა და მანიშნებდა, სკამი მომართვიო. როგორც კი თავისი შვილის საწოლის

გვერდით სკამში ჩაეშვებოდა, ჩვეულ მონოლოგს იწყებდა, რომ იმ საძაგელმა, ზნედაცემულმა ქალმა სწორედ მაშინ მიატოვა მისი შვილი, როცა მას ასე ძალიან სჭირდებოდა. მატყუარა, ბოზი, ლოთი, მშიშარა, გაიქცა და ღმერთმა უწყის, სად არისო. ბატონი ვაჰდათი ერთ ხანს უხმოდ იტანდა, ემოციებისგან დაცლილი თვალებით ფანჯარაში იყურებოდა. მერე მოხუცი ათას რამეს მიედ-მოედებოდა, ისეთ ბანალურ სისულელეებს როშავდა, რომ მისი მოსმენა შეუძლებელი იყო. ვიდაცის ბიძაშვილი თავის დას წაეჩხუბა, რადგან მან გაბედა და ზუსტად ისეთივე მაგიდა იყიდა. ვიღაცას საბურავმა უმტყუნა, ფაღმანიდან როცა ბრუნდებოდა. ვიღაცას, თურმე, ახალი ვარცხნილობა ჰქონდა. და ასე შემდეგ. ბოლოს ბატონი რაღაცას ამოილუღლუღებდა და დედამისი ჩემკენ შემოტრიალდებოდა.

– ეი, რაო, რა თქვა? – ყოველთვის აგდებით და უხეშად მომმართავდა.

რადგან უმეტეს დროს ვაჰდათისთან ვატარებდი, მისი მეტყველების საიდუმლო ამოვხსენი და ის, რაც სხვებს უაზრო ლუღლუღად ეჩვენებოდათ, ჩემთვის სრულიად გასაგები იყო. კარგად მესმოდა, როდის მთხოვდა წყალს ან ქოთანზე დაჯდომას, ან ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნებას. ფაქტობრივად, მის თარჯიმნად ვიქეცი.

– თქვენი ვაჟი ამბობს, რომ ძილი მოერია.

მოხუცი ამოიოხრებდა და ისედაც უნდა წავსულიყავიო, იტყოდა. დაიხრებოდა, შვილს შუბლზე აკოცებდა, ჰპირდებოდა, მალე დავბრუნდებიო. ჭიშკრამდე ვაცილებდი ხოლმე, სადაც თავისი მძღოლი ელოდებოდა. შემდეგ ბატონი ვაჰდათის ოთახში ვბრუნდებოდი და მისი საწოლის გვერდით უზურგო სკამზე ვჯდებოდი. სიჩუმეში ორივე შვებას ვპოულობდით. ზოგჯერ თვალს თვალში გამიყრიდა, თავს გააქნევდა და ირიბად გაიღიმებდა.

ის სამუშაო, რისთვისაც ვიყავი დაქირავებული, ახლა ძალიან ცოტა დროს მართმევდა. მანქანით კვირაში ორჯერ გავდიოდი პროდუქტის საყიდლად. საჭმელს ორ კაცზე ვამზადებდი და ამიტომ უაზროდ მეჩვენებოდა სხვა მსახურებისთვის ფულის გადახდა. ამის შესახებ ბატონს მოვახსენე. ვაჰდათიმ ხელით მანიშნა და მისკენ დავიხარე.

– ცოტა დაზოგე შენი თავი. – ნუ წუხხართ, საჰიბ, ყველაფერს სიამოვნებით ვაკეთებ.

დარწმუნებული თუ ხარ იმაში, რასაც ამბობო, – მკითხა და, რასაკვირველია- მეთქი, ვუპასუხე.

თვალებზე ცრემლი მოადგა. მაჯაზე სუსტად მომიჭირა ხელი. ძალიან ამტანი კაცი იყო, მაგრამ სისხლის ჩაქცევის შემდეგ უმნიშვნელო ამბავიც კი აღიზიანებდა, აღელვებდა და ცრემლს გვრიდა.

– ნაბი, მომისმინე.

– დიახ, საჰიბ.

– რამდენიც გინდა, იმდენი ხელფასი დაინიშნე. ხომ იცი, სადაც ვინახავ ფულს. – დაისვენეთ, საჰიბ.

– არ მაინტერესებს, რამდენს აიღებ.

– ამაღამ შორვას გაკეთებას ვაპირებ. თქვენ როგორ ფიქრობთ, გავაკეთო შორვა? მე კი ძალიან მინდა.

ჩემს ქოხში მსახურების შეკრება ავკრძალე. აღარ მაღელვებდა, ვინ რას ფიქრობდა. არ დავუშვებდი, რომ ვაჰდათის სახლში, ვაჰდათის ხარჯზე თავი მისი დაცინვით გაერთოთ. უნდა ვთქვა,რომ განსაკუთრებული სიამოვნება ვიგრძენი, როცა ზაჰიდი დავითხოვე სამსახურიდან. ჰაზარა მრეცხავი ქალიც გავათავისუფლე. ახლა მე ვრეცხავდი და სუფთა თეთრეულს გასაშრობად გარეთ, თოკებზე ვფენდი. ხეებს ვუვლიდი, ბუჩქებს ვსხლავდი, ბალახს ვკრეჭდი, ახალ ყვავილებსა და ბოსტნეულს ვრგავდი. სახლში ხალიჩებს ვგვიდი, იატაკს ვაპრიალებდი, ფარდებიდან მტვერს ვფერთხავდი, ფანჯრებს ვწმენდდი, თუ რამე გაფუჭდებოდა, მაშინვე ვაკეთებდი. ონკანებსა და ჟანგიან მილებსაც მე ვცვლიდი.

ერთ დღეს ბატონი ვაჰდათის ოთახში თაბაშირის კარნიზებიდან აბლაბუდების ჩამოწმენდით ვიყავი გართული. ბატონს ეძინა. ზაფხული იყო, საშინელი ხვატი იდგა. ბატონს

გადასაფარებელი გადავხადე და შარვლის ტოტები ავუკეცე. ფანჯრები გავაღე, ვენტილატორი ჭრიალით ტრიალებდა, მაგრამ მისგან ხეირი არ იყო. სიცხე ყველა მხრიდან გვიტევდა.

ოთახის ერთ-ერთ კედელში დიდი კარადა იყო ჩაშენებული. დიდი ხანია მის დალაგებას ვგეგმავდი. როგორც იქნა, გადავწყვიტე, რომ იმ დღეს დამელაგებინა. კარი გამოვაღე და პიჯაკებით დავიწყე. თითოეული მათგანი დავფერთხე, თუმცა ვხვდებოდი, რომ ვაჰდათის ისინი აღარასოდეს დასჭირდებოდა. დამტვერილი წიგნები გადავწმინდე. ფეხსაცმელები გავაპრიალე და სწორ ხაზად ჩავამწკრივე. ზამთრის პალტოების უკან მიმალული მუყაოს ყუთი შევამჩნიე. გამოვწიე და თავი ავხადე. ბატონი ვაჰდათის ჩანახატების ალბომებით იყო სავსე – ერთიმეორეზე დაწყობილი მისი წარსული ცხოვრების სევდისმომგვრელი ნარჩენებით.

ერთ-ერთი მათგანი ავიღე და გადავშალე. მუხლები მომეკეცა. შემდეგ გვერდზე გადავედი, მთელი ალბომი დავათვალიერე, შემდეგ სხვა გადავშალე, მერე კიდევ ერთი, კიდევ, კიდევ და კიდევ… გვერდები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ყოველი გვერდიდან საკუთარი თავი მიმზერდა. მთავარი თემა ყველა ჩანახატში უცვლელი იყო – მე. ერთ გვერდზე მანქანის წინა შუშას ვწმენდ, მეორეზე ვერანდასთან ახლოს ნიჩაბს ვეყრდნობი, შემდეგზე ფეხსაცმლის ზონარს ვიკრავ, შეშას ვჩეხავ, ბუჩქებს ვრწყავ, ჩაის ვასხამ, ვლოცულობ, ვთვლემ. ერთ-ერთ ჩანახატში ყარღას ტბის ნაპირას გაჩერებული მანქანის საჭეს ვუზივარ, ფანჯარა ჩამოწეულია, მკლავი მანქანის კარზე მაქვს გადმოკიდებული, უკანა სავარძელზე ბუნდოვანი ფიგურა იკვეთება, ზევით ჩიტები წრეზე დაფრინავენ.

ეს შენ იყავი, ნაბი.

ყოველთვის შენ იყავი.

არ იცოდი?

ბატონ ვაჰდათის გადავხედე. გვერდზე გადაბრუნებულსორმად ეძინა. ყველაფერი ყუთში ჩავაწყვე, თავსახური დავაფარე და ისევ პალტოების უკან მივმალე. ოთახიდან გავედი, კარი ფრთხილად გავიკეტე, რომ არ გამეღვიძებინა. ჩაბნელებული შემოსასვლელი გადავჭერი, კიბეზე დავეშვი, სამანქანო გზისკენ გავემართე, ჭიშკარი გავაღე, ქუჩაში გავედი, კუთხეში შევუხვიე და უკანმოუხედავად გავაგრძელე გზა.

როგორღა დავრჩე ამ სახლში? – ვფიქრობდი. რაც შემთხვევით აღმოვაჩინე, იმის გამო არც ზიზღი მიგრძნია და არც სიხარული. გვარიანად დაბნეული კი ვიყავი. როგორ გავაგრძელო ცხოვრება? ის, რაც ახლა ვიცოდი, ყველაფერს სხვაგვარ ელფერს სძენდა. ისეთი რამ იყო, რაზეც თვალს ვერ დახუჭავდი, ვერ გაექცეოდი. ახლა მისი მიტოვება არ შემეძლო. შესაფერისი მომვლელი უნდა შემერჩია და მისთვის ჩემი მოვალეობები გადამებარებინა. ვალში ვიყავი ბატონ ვაჰდათისთან. ის ყოველთვის კარგად მექცეოდა, მე კი მის ზურგს უკან მისი ცოლის გულის მონადირებას ვცდილობდი.

სასადილო ოთახში შევედი და შუშის მაგიდასთან დავჯექი, თვალები დავხუჭე. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ვიჯექი ასე. ბოლოს ზევიდან ხმები მომესმა და თვალები გავახილე, უკვე თენდებოდა. ავდექი, ჩაისთვის წყალი დავდგი ასადუღებლად.

ერთხელ ბატონის ოთახში შევედი და ვუთხარი, რომ მისთვის სიურპრიზი მქონდა. 1950 წლის მიწურული იყო. ქაბულში ტელევიზიის შემოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა. დროს კარტის თამაშით ვკლავდით. მოგვიანებით ჭადრაკიც მასწავლა. უნდა ვთქვა, რომ ცუდად არ ვთამაშობდი. ბატონი კითხვის გაკვეთილებს მიტარებდა. თვალდახუჭული, მოთმინებით მისმენდა და შეცდომას რომ დავუშვებდი, თავაზიანად მისწორებდა.

– კიდევ ერთხელ, ნაბი, – მეტყოდა ხოლმე. იმ დროისათვის მისი მეტყველება საგრძნობლად გაუმჯობესდა, – კიდევ ერთხელ წაიკითხე, ნაბი.

1947 წელს, როდესაც ბატონმა დამიქირავა, მეტ-ნაკლებად წიგნიერი ვიყავი. ეს მოლა შექიბის დამსახურება იყო. მაგრამ სულეიმანის გაკვეთილებმა ჩემი კითხვის უნარი და შესაბამისად წერისაც, უმაღლეს დონემდე ასწია. ამას ჩემთვის აკეთებდა, მაგრამ საკუთარ თავზე ზრუნვის ელემენტიც შეიმჩნეოდა, რადგან ახლა მისთვის იმ წიგნების წაკითხვა შემეძლო თავისუფლად, რომლებიც თავად მოსწონდა. რასაკვირველია, თვითონაც კითხულობდა. ძირითადად მაშინ, როცა მე სახლის საქმეებით ვიყავი დაკავებული. ხანდახან ჩანაწერებით ერთობოდა, უმეტესად კი ფანჯრიდან ცას, ღრუბლებს და ტოტზე შემომჯდარ ჩიტებს უცქეროდა, ქუჩიდან შემოჭრილ ბავშვების ხმასა და გარემოვაჭრის დაძახილს უსმენდა: „ბალიიი, ახალი ბალი!“

როდესაც სიურპრიზზე ვუთხარი, რა არისო, მკითხა. კისრის ქვეშ ხელი შევუცურე და ჯერ

ქვევით უნდა ჩავიდეთ-მეთქი, ვუთხარი. იმ დროს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვიყავი და მისი აწევა არ მიჭირდა. ქვევით ჩავიყვანე, ტახტზე ფრთხილად მივაწვინე.

– ძალიან კარგი, – თქვა მან.

შემოსასვლელიდან ინვალიდის ეტლი შემოვაგორე. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვარწმუნებდი, რომ შეგვეძინა, მაგრამ ვერ ვითანხმებდი. ეს სავარძელი ჩემი ინიციატივით ვიყიდე. დაინახა თუ არა, თავი გააქნია.

– მეზობლების გამო? – ვკითხე მე. – ასე გაღელვებთ მეზობლების აზრი? ზევით ამიყვანეო, მითხრა.

– სულ არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ მეზობლები, – ვთქვიმე. – კარგი ამინდია და ახლა ჩვენ სასეირნოდ მივდივართ! და თუ არ წავალთ, თუ ამ სახლიდან არ გავაღწევთ, ნამდვილად ჭკუიდან გადავალ და რას მოგცემთ, სულეიმან, ჩემი გაგიჟება? ნუღარ ტირით, რა არის ეს, მოხუცი ქალივით იქცევით!

ავწიე და ეტლში ჩავსვი. ხან ტიროდა, ხან იცინოდა. თავს აქნევდა და „არა, არაო!“ – იმეორებდა. შალი გადავაფარე და კარისკენ გავაგორე.

ალბათ ღირს აღსანიშნავად, რომ თავიდან ჩემი შემცვლელის ძებნა დავიწყე. სულეიმანისთვის არ მითქვამს. მინდოდა, რომ ღირსეული კანდიდატი შემერჩია და შემდეგ გამემხილა, წასვლას რომ ვაპირებდი. უამრავმა ხალხმა მომმართა, ყველას გავესაუბრე. სახლიდან მოშორებით ვიბარებდი, რომ სულეიმანს ეჭვი არ აეღო, მაგრამ დიდ პრობლემას წავაწყდი. ზოგიერთი მათგანი აშკარად ზაჰიდის ჩამოსხმისა იყო. დიდი გამოცდილების გამო ადვილად ვხვდებოდი, ვინ რას წარმოადგენდა და მაშინვე უარს ვეუბნებოდი. ზოგს საჭმლის კეთების გამოცდილება არ ჰქონდა. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან სულეიმანი, ასე ვთქვათ, ფაქიზი მჭამელი იყო. ზოგი მძღოლად არ ვარგოდა, ზოგი სულსწრაფი ჩანდა, რაც დაუშვებლად მიმაჩნდა, რადგან სულეიმანი ხან ძალიან გამაღიზიანებლად და ხანაც ბავშვივით ჭირვეულად იქცეოდა. ზოგ შემთხვევებში კი ინტუიციით ვხვდებოდი, რომ ასეთ რთულ საქმეს უბრალოდ ვერ მოერეოდნენ.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა და ისევ სახლში ვიყავი. ისევ ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ როგორც კი სულეიმანის სანდო ხელში გადაბარების საშუალება მომეცემოდა, დავტოვებდი იქაურობას. ჯერჯერობით ყველაფერი ისევ ისე იყო. ისევ ისე ვუსუფთავებდი სხეულს სველი ტილოთი ყოველ მეორე დღეს. ისევ ისე ვპარსავდი, ფრჩხილებს ვაჭრიდი, ვაჭმევდი და ღამის ქოთანზე ვსვამდი. მერე როგორც ბავშვს, ისე ვუწმენდდი ქვედა ტანს, დასვრილ საფენებს ვურეცხავდი. ასეთმა სიახლოვემ და ყოველდღიურმა რუტინამ ჩვენს ურთიერთობას ფორმალობა თანდათან ჩამოაშორა.

როგორც კი ეტლში ჩაჯდომაზე დავითანხმე, ჩვენი ყოველდღიური სეირნობების რიტუალი განვაახლე. სახლიდან გავიდოდით, ქუჩას ჩავუყვებოდით და ჩამვლელ მეზობლებს ვესალ-მებოდით. ერთ-ერთი მათგანი ქაბულის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა

ბატონი ბაშირი იყო. ის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. ბაშირი, მისი

ძმა და მათი პატივცემული ცოლები ჩვენი ქუჩის გადაღმა, ორსართულიან სახლში გადმოვიდნენ. დილაობით ვხვდებოდით ხოლმე, როცა სამსახურში წასვლამდე მანქანას ახურებდა. აუცილებლად გავჩერდებოდი და კეთილად მოვიკითხავდი. ზოგჯერ სულეიმანს შარ-ე ნაუს პარკში მივაგორებდი და ნაძვის ხის ჩრდილში ვსხდებოდით. იქიდან ქუჩის მოძრაობას ვაკვირდებოდით. მძღოლები მანქანის სიგნალის ღილაკს ხელისგულებს აჭერდნენ, ველოსიპედები წკრიალით დასრიალებდნენ, ვირები ყროყინებდნენ, ვიღაცები სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ და ავტობუსის სავალ გზაზე გადადიოდნენ. პარკში ჩვენს გამოჩენას ხალხი უკვე შეჩვეული იყო. სახლისკენ რომ ვბრუნდებოდით, გარე მოვაჭრეებთან ვჩერდებოდით, ვეხუმრებოდით, ვესაუბრებოდით, ხან პოლიციელებს ვესროდით კეთილ სიტყვებს, ხან ყასბებს, ხანაც ტაქსის მძღოლებს, რომლებიც მანქანას მიყრდნობილი იდგნენ და კლიენტებს ელოდებოდნენ.

ზოგჯერ ძველი შევროლეს უკანა სავარძელზე დავსვამდი. სავარძელს საბარგულში ჩავდგამდი და ფაღმანისკენ მივდიოდით. იქ აუცილებლად მოვძებნიდი ადგილს ხეების ჩრდილში, ნაკადულის პირას, ყვავილების მდელოზე და ვაჩერებდი. ჯერ წავიხემსებდით, შემდეგ სულეიმანი ჩანახატების გაკეთებას იწყებდა. მარჯვენა ხელი ინსულტის შემდეგ პარალიზებული ჰქონდა, თუმცა მარცხენა ხელითაც კარგად ახერხებდა ხეების, გორების, ყვავილების თაიგულების დახატვას. ყოველ შემთხვევაში, ეს მას მარცხენა ხელით იმაზე უკეთ გამოსდიოდა, ვიდრე მე, ჩემი ჯანმრთელი მარჯვენათი. ბოლოს ძილი მოერეოდა, ფანქარი ხელიდან უსრიალდებოდა. ფეხებზე შალს გადავაფარებდი და მის სავარძელთან ახლოს, ბალახზე წამოვწვებოდი. ნიავს ყურს მივუგდებდი, ცაზე ღრუბლებს შევცქეროდი და ვგრძნობდი, როგორ მიცურავდა ჩემი ფიქრი ერთი კონტინენტის იქით, ნილასკენ. მისი თმის ბზინვარებას ვიხსენებდი, მისი ჯდომის მანერას, მისი ტერფის მოუსვენარ თამაშს, მისი კისრის სილუეტს და უზადო, სავსე მკერდს. ვგიჟდებოდი, ისე მინდოდა მის გვერდით ყოფნა, მის სურნელში ჩაძირვა, საკუთარი გულისცემის მოსმენა, როცა ხელით მეხებოდა. შემპირდა, წერილს მოგწერო. უკვე წლები გავიდა და ალბათ აღარც კი ვახსოვდი, თუმცა ვერ დავმალავ, რომ კორესპონდენციის მიღებისას ისევ ისე მიძლიერდებოდა მოლოდინის განცდა.

ერთხელაც, ფაღმანში ბალახზე ვიჯექი და ჭარდაკის პარტიას ვარჩევდი. ეს წლების შემდეგ მოხდა, 1968 წელს. ამ დროს სულეიმანის დედა უკვე ერთი წლის გარდაცვლილი იყო. ამავე წელს ბატონი ბაშირი და მისი ძმა მშობლები გახდნენ. ბიჭებს იდრისი და თიმური დაარქვეს. ხშირად ვხედავდი ხოლმე პატარა ბიძაშვილებს, როცა დედებს ეტლებით გამოჰყავდათ სასეირნოდ. იმ დღეს მე და სულეიმანი ჭადრაკს ვთამაშობდით. სულეიმანის აგრესიული გამბიტის შემდეგ პოზიციების გათანაბრებას ვცდილობდი. მოლოდნელად მკითხა:

– ნაბი, მითხარი, რამდენი წლის ხარ?

– ორმოცს გადავაბიჯე, – ვთქვი მე.

– უნდა დაქორწინდე, ნაბი, – თქვა მან. – სანამ შეიცვლები, უკვე ჭაღარავდები. ერთმანეთს გავუღიმეთ. ჩემი და, მასუმაც, ასე მეუბნება-მეთქი, ვუთხარი.

ის დღე თუ გახსოვს, ოცდაერთი წლის წინ, 1947 წელს, მე რომ აგიყვანე სამსახურშიო, მკითხა. რასაკვირველია, მახსოვდა. იმ ხანად, ვაჰდათების მეზობლად ერთ სახლში

ვმუშაობდი მზარეულის დამხმარედ და სულაც არ მომწონდა ჩემი სამუშაო. გავიგე, რომ ვაჰდათის მზარეულს ცოლი შეურთავს და სამსახური მიუტოვებია. იმ დროს მზარეულს ეძებდა. ერთხელაც, ნაშუადღევს, ვაჰდათის სახლში მივედი და ზარი დავრეკე.

– ძალიან ცუდი მზარეული იყავი, – თქვა სულეიმანმა. – ახლა საოცარი ოსტატი ხარ, მაგრამ მაშინ? შენი პირველი კერძი? ღმერთო ჩემო! და პირველად მანქანით რომ წამიყვანე, ვიფიქრე, სისხლი ჩამექცევა-მეთქი. – აქ შეჩერდა და ჩაახველა, თავისი უნებლიე ხუმრობა თვითონვე გაუკვირდა.

ძალიან გაოცებული ვიყავი, ბატონო მარკოს, გაოგნებული, რადგან სულეიმანისგან ოცდაერთი წლის განმავლობაში არც ერთი შენიშვნა არ მიმიღია.

– რატომ დამიქირავეთ? – ვკითხე მე. სახე ჩემკენ შემოატრიალა.

– იმიტომ, რომ, როცა შემოხვედი, ჩემთვის გავიფიქრე, ასეთი სილამაზე ჯერ არასოდეს მინახავს-მეთქი.

თვალები ჭადრაკის დაფას დავაშტერე.

– თავიდანვე ვიცოდი, რომ ერთნაირები არ ვიყავით და რაც მე მინდოდა, შეუძლებელი იყო. ჩვენი სეირნობები, მანქანით სიარული… ვერ ვიტყვი, რომ საკმარისი იყო ჩემთვის, მაგრამ სულ უშენობას მერჩივნა. ჩემს თავს ვასწავლე, რომ შენი სიახლოვით დავკმაყოფილებულიყავი.

შეჩერდა და შემდეგ გააგრძელა. – მგონი გესმის, რასაც გიხსნი, ნაბი, ვიცი, რომ გესმის. ჭადრაკის დაფას თვალს ვერ ვაშორებდი.

– მინდა, რომ ერთხელ მაინც გითხრა, ნაბი, ძალიან, ძალიან დიდი ხანია, რაც მიყვარხარ და ნუ გაბრაზდები, გთხოვ.

თავი გავაქნიე. რამდენიმე წუთი ორივე ჩუმად ვიყავით. მისი სიტყვებად ქცეული ამბავი ცოცხალივით სუთქავდა ჩვენ შორის. ამბავი ცხოვრებისა, სადაც ტკივილიც გამოუთქმელი იყო და სადაც არც ბედნიერებას ექნებოდა არასოდეს ადგილი.

– ახლა გეუბნები მხოლოდ და გესმის ალბათ, რატომ მინდა, რომ წახვიდე. წადი, მეწყვილე იპოვე, ცოლი შეირთე და ოჯახი შექმენი. ისე მოიქეცი, როგორც სხვები იქცევიან. დრო ჯერ კიდევ გაქვს.

– კარგი, – ბოლოს და ბოლოს, ამოვღერღე. ვცდილობდი დაძაბულობა გამეფანტა. – ამ დღეებში წავალ. ოღონდ იცოდეთ, რომ ინანებთ, თქვენც და ის ნაბიჭვარიც, ვისაც თქვენი საფენების რეცხვა მოუწევს.

– სულ ხომ არ უნდა ხუმრობდე?! – თქვა მან.

მომწვანო-ნაცრისფერ ფოთოლზე ხოჭო დაბობდავდა. – ნუ დარჩები ჩემ გამო, გესმის, ნაბი? ნუ დარჩები.

– თავს იტყუებთ.

– შენ კიდევ ხუმრობ, – დაღლილი ხმით თქვა მან.

არაფერი მითქვამს, თუმცა ცდებოდა. ამჯერად არ მიხუმრია. მხოლოდ მის გამო აღარ ვრჩებოდი. თავიდან დიახ, ასე იყო. მხოლოდ იმიტომ არ მივდიოდი, რომ სულეიმანი მთლიანად ჩემზე იყო დამოკიდებული. ერთხელ უკვე გავექეცი იმას, ვისაც ძალიან ვჭირდებოდი და სინანული საფლავის კარამდე მიმყვება ალბათ. კიდევ ერთხელ ვეღარ მოვიქცეოდი ასე. მაგრამ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, ჩემი იქ ყოფნის მიზეზები შეიცვალა. სულეიმანი მეუბნებოდა: უნდა იქორწინოო. ჩემს ცხოვრებას გადავხედე და მივხვდი, რომ ადამიანები რასაც ქორწინებაში ეძებენ, მე უკვე მქონდა. სიმშვიდე, ცხოვრების თანამგზავრი, სახლი, სადაც ვიღაცას ვუყვარდი და ვჭირდებოდი. მამაკაცურ მოთხოვნილებას, რომელიც ჯერ კიდევ მქონდა, თუმცა არა ისეთი ინტენსიური, როგორიც ადრე, უკვე გითხარით, რა გზითაც ვიკმაყოფილებდი. რაც შეეხება ბავშვებს, ძალიან მიყვარდა, მაგრამ მშობლის ინსტინქტი მკვეთრად არ მქონდა გამოხატული.

– თუ გაჯიუტდები და დაქორწინებაზე უარს იტყვი, – თქვა სულეიმანმა, – მაშინ მე ჩემი მოთხოვნები მაქვს, მაგრამ იმ პირობით, რომ სანამ გაიგებ, რასაც ვგულისხმობ, დამთანხმდები.

ვუთხარი, რომ ამის მოთხოვნა მას არ შეეძლო.

– მაგრამ მოვითხოვ.

თვალები ავწიე და შევხედე. – შეგიძლია, უარი თქვა. კარგად მიცნობდა. ირიბად გაიღიმა. მან მოითხოვა, მე დავპირდი.

რა გითხრათ, ბატონო მარკოს, შემდგომ წლებზე? თქვენ ძალიან კარგად იცით ამ უბედური ქვეყნის უახლესი ისტორია. არ არის საჭირო კიდევ ერთხელ იმ ბნელი დღეების შესახებ წერა. გაფიქრებაც კი მღლის. გარდა ამისა, ჩემზე ბევრად განათლებულმა და ენაწყლიანმა ხალხმა რამდენჯერმე დაწვრილებით აღწერა ყველაფერი. მე ერთი სიტყვით შევაჯამებ: ომი, უფრო სწორად, ომები, არა ერთი, არა ორი, არამედ ბევრი, ყველანაირი – დიდი და პატარა, სამართლიანი და უსამართლო, ომები, რომლებიც ახალ გმირებს და ბოროტმოქმედებს წარმოაჩენდა, შემდეგ ყოველი ახალი გმირი ძველი ბოროტმოქმედის მონატრებას იწვევდა. სახელები და სახეები იცვლებოდა. მიმიფურთხებია ყოველი მათგანისთვის შუღლის, სნაიპერების, ნაღმების, ყუმბარების, რაკეტების, მიცვალებულთა ძარცვის, გაუპატიურების, ძარცვა-

გლეჯის და მკვლელობების გამო. ოჰ, კმარა! ამ ყველაფრის აღწერა ძალიან რთული და

უსიამოვნოა. უკვე გამოვიარე და აღარ ვაპირებ ყველაფერი ახლიდან განვიცადო. ამიტომ ახლა რაც შეიძლება მოკლედ გადმოვიტან ქაღალდზე. ერთადერთი დადებითი რამ, რაც იმ პერიოდიდან მახსენდება, ის არის, რომ პატარა ფარი, რომელიც ალბათ იმ დროს უკვე ახალგაზრდა ქალი იყო, დაცული მეგულებოდა. სინდისს მიმშვიდებდა იმის განცდა, რომ ის შორს იყო ამ სასაკლაოდან.

1980-იანი წლები, როგორც მოგეხსენებათ, ბატონო მარკოს, ქაბულში შედარებით მშვიდი იყო. ბრძოლებმა პროვინციებში გადაინაცვლა. თუმცა, დიდი მიგრაცია სწორედ ამ დროს დაიწყო. ოჯახები აიკრიფნენ და პაკისტანსა და ირანს შეაფარეს თავი. იმედოვნებდნენ, რომ შემდეგ სადმე დასავლეთში გადასახლდებოდნენ. ნათლად მახსოვს დღე, როდესაც ბატონი ბაშირი დასამშვიდობებლად მოვიდა. ხელი ჩამოვართვი და გზა დავულოცე. მის ვაჟს, იდრისსაც დავემშვიდობე. იდრისი იმ დროს უკვე თოთხმეტი წლისა იყო – მაღალი, გამხდარი ბიჭი, რომელსაც გრძელი თმა და საულვაშეზე ატმის ბუსუსების მსგავსი ღინღლი ჰქონდა. ძალიან მოაკლდება ჩვენს ქუჩას შენი და შენი ბიძაშვილი თიმურის ფეხბურთის თამაში-მეთქი, ვუთხარი. იქნებ გახსოვთ, ბატონო მარკოს, ჩვენ წლების შემდეგ შევხვდით ბიძაშვილებს, მაშინ, როდესაც 2003 წელს წვეულება გამართეთ.

1990-იან წლებში ბრძოლებმა ქაბულამდე მოაღწია. ქალაქი ვანდალების, კბილებამდე შეიარაღებული ქურდების მსხვერპლად იქცა. ამ თვითმარქვია არაკაცებს პომპეზური სახელები ჰქონდათ შერქმეული. კისრამდე შეიარაღებული დადიოდნენ, იფიქრებდით, რომ დედის საშოდან „კალაშნიკოვებით“ ხელში გამოძვრნენ. მალე ქალაქის თავზე რაკეტები გამოჩნდა. სულეიმანმა სახლში დარჩენა გადაწყვიტა და უარი თქვა ყოველგვარი ინფორმაციის მიღებაზე. ტელევიზორი და რადიო გამორთო, გაზეთებს აღარ კითხულობდა. მთხოვა, რომ არასოდეს მელაპარაკა მიმდინარე ბრძოლებზე. ზუსტად არც კი იცოდა, ვინ ვის ებრძოდა, ვინ იმარჯვებდა, ვინ მარცხდებოდა. თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ომის ჯიუტად იგნორირება ბოლოს სიკეთედ შემოტრიალდებოდა. ჩვენი ქუჩა, ერთ დროს ასეთი წყნარი, სუფთა და კრიალა, ბრძოლის ველად იქცა. ტყვიები სეტყვასავით ცვიოდა, რაკეტები წიოდნენ, რეაქტიული ყუმბარების აფეთქების შემდეგ ასფალტზე კრატერები ჩნდებოდა, სატრასირებელი ტყვიები მთელი ღამე თეთრ-წითლად სერავდა ცას. ხანდახან რამდენიმე საათით სიმშვიდე ისადგურებდა და შემდეგ ერთბაშად მოვარდნილი ცეცხლი გვატყდებოდა თავს. მთელი უბანი ავტომატის ჯერით იცხრილებოდა. ქუჩებში წივილ-კივილი იდგა.

ჩვენი სახლი, რომელიც თქვენ 2002 წელს ნახეთ პირველად, სწორედ იმ წლებში დაზიანდა ყველაზე მეტად, ბატონო მარკოს. მართალია, დროთა დინებამ თავისი გაიტანა, მაგრამ, გარდა ამისა, სახლს მოვლა-პატრონობა მოაკლდა. მოვხუცდი და აღარც ფინანსური რესურსი მქონდა და აღარც ჯანი მომდევდა. ხილის ხეები ნაყოფს აღარ იძლეოდა, გაზონები გაყვითლდა, ყვავილები გახმა. ომმა დიდი დაღი დაასვა ერთ დროს მართლაც მშვენიერ სახლს. ფანჯრები ჩალეწელი, ბაღის გალავნის აღმოსავლეთი ნაწილი

ჩამონგრეული, სახურავი და კედლები კი გვარიანად დაზიანებული იყო. იმ ვერანდიდან, სადაც მე და ნილა ვესაუბრებოდით ერთმანეთს, თითქმის აღარაფერი დარჩა.

და კიდევ მაროდიორობა, ბატონო მარკოს. მებრძოლები, როცა სურდათ ხოლმე, მაშინ შემოიჭრებოდნენ და რაც თვალში მოხვდებოდათ – ყველაფერი გაჰქონდათ. ასე გაქრა ჩვენი სახლიდან ავეჯის უმეტესობა, ნახატები, თურქმენული ხალიჩები, ქანდაკებები, ვერცხლის შანდლები, ბროლის ლარნაკები. სააბაზანო ოთახების დახლებიდან ლაზურიტის ფილებიც კი

ამოტეხეს. ერთ დილას შემოსასვლელიდან კაცების ხმა მომესმა. უზბეკი მებრძოლები მოღუნული დანებით კიბიდან ხალიჩას გლეჯდნენ. ვიდექი და ვუყურებდი. რა უნდა მექნა? ერთი მოხუცისთვის ტყვიით თავის გახვრეტა მათთვის არაფერს ნიშნავდა. ჩვენი სახლის მსგავსად ჩემი და სულეიმანის ჯანმრთელობის მდგომარეობაც უკან-უკან წავიდა. აღარც თვალი მიჭრიდა და აღარც ფეხები მემორჩილებოდა. მომიტევეთ ვულგარულობისთვის, ბატონო მარკოს, მაგრამ უკვე მოშარდვაც კი მიჭირდა. სულეიმანს კიდევ უფრო მაგრად ჩაჰკრა თავში სიბერემ. გახდა, გაილია და ძალიან დაუძლურდა. ორჯერ კინაღამ ხელში ჩამაკვდა. იმ დაწყევლილ დროს, როცა აჰმად შაჰ მასუდისა და გულბუდინ ჰექმათიარის დაჯგუფებების სისხლიანი შეტაკება მოხდა და ქუჩებში გვამები დღეების განმავლობაში ეყარა უპატრონოდ, სულეიმანს ექიმმა ფილტვების ანთების დიაგნოზი დაუსვა. წამლების შოვნა ძალიან ჭირდა, ექიმსაც ვერსად მიაგნებდი, მაგრამ მაინც შევძელი და სულეიმანი სიკვდილს ხელიდან გამოვტაცე.

ალბათ კარჩაკეტილი ცხოვრებისა და ერთმანეთთან სიახლოვის ბრალი იყო, რომ მე და სულეიმანი, იმ ხანად, ბევრს ვკამათობდით. ზუსტად ისე, როგორც ცოლ-ქმარი ეკინკლავება ერთმანეთს – ჯიუტად, გაცხარებით და ყოველთვის უმნიშვნელო თემებზე:

– ამ კვირაში უკვე მოხარშე ლობიო.

– არა, არ მომიხარშავს.

– მოხარშე-მეთქი, მოხარშე!

ან რამდენი ხელი ჭადრაკი ვითამაშეთ წინა დღეს, რატომ ვუდგამდი ჭიქით წყალს ფანჯრის რაფაზე, მზე რომ ადგებოდა, არ ვიცოდი?

– რატომ არ დამიძახე ქოთანზე თუ გინდოდა დაჯდომა, სულეიმან?

– ასჯერ მაინც დაგიძახე!

– რას ამბობ, ყრუ ვარ თუ ზარმაცი?

– ორივე ხარ!

– მთელი დღე ლოგინში წევხარ და მე ვარ ზარმაცი?

და ასე შემდეგ.

თავს აქეთ-იქით აქნევდა, როცა ვაჭმევდი. გაბრაზებული კარს გავიჯახუნებდი და გავდიოდი. უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ განგებ ვიქცეოდი ისე, რომ გამებრაზებინა. სახლიდან მივდიოდი, – სად მიდიხარ? – მკითხავდა ხოლმე და არ ვპასუხობდი. სად წავიდოდი? ბევრი-ბევრი ქუჩაში გავსულიყავი და მომეწია. მოწევა გვიან წლებში დავიწყე, მაგრამ მხოლოდ მაშინ ვეწეოდი, როცა ვღელავდი. ხანდახან საათობით ვრჩებოდი გარეთ, და თუ ძალიან

გამომიყვანდა მწყობრიდან, გვიან ღამემდე არ მოვდიოდი შინ. ბოლოს კი აუცილებლად ვბრუნდებოდი. უსიტყვოდ შევდიოდი მის ოთახში, ლოგინს ვუსწორებდი, ბალიშს

ავუფუშფუშებდი. ამ დროს ერთმანეთს თვალს ვარიდებდით და მდუმარედ ვიცდიდით, ვინ გატეხდა ნავსს და ვინ გადადგამდა მშვიდობისკენ პირველ ნაბიჯს.

ბრძოლები თალიბანის შემოსვლით დამთავრდა. წამახვილნაკვთიანი, შავად მოხატულთვალებიანი და შავწვერიანი ახალგაზრდა კაცები მათრახის ტყლაშუნით დადიოდნენ. მათ სისასტიკეზე უამრავჯერ დაიწერა და აღარ მიიჩნევ საჭიროდ მათი „საგმირო საქმეების“ ჩამოთვლას. თუმცა, რამდენად ირონიულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, პირადად მე, მათი მმართველობის დროს, ყოფა შემიმსუბუქდა. მთელ თავის ფანატიკურ ზიზღს ახალგაზრდებზე ანთხევდნენ. განსაკუთრებით კი, ქალები ჰყავდათ უბედურ დღეში. მე მოხუცი ვიყავი და ჩემნაირები მათ ინტერესს არ იწვევდნენ. ერთადერთი რამ, რასაც რეჟიმი ჩემგან მოითხოვდა, წვერის მოშვება იყო, რამაც, სიმართლე გითხრათ, ყოველდღე პარსვის გულისგამაწყალებელი აუცილებლობა მომაშორა.

– როგორ შეიცვალე, ნაბი, ვეღარ გცნობ, მოციქულს დაემსგავსე, – საწოლიდან წამოიკნავლებდა ხოლმე სულეიმანი.

ქუჩაში იმდენად ვიქცევდი მათ ყურადღებას, რამდენადაც მაგალითად, საძოვარზე მიშვებული ძროხა. ინტერესი რომ არ გამომეწვია, ხმაგაკმენდილი, ჩლუნგი გამომეტყველებით დავდიოდი. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რა დღეში ჩააგდებდნენ ნილას, იქ რომ ყოფილიყო. ზოგჯერ წამომიტივტივდებოდა ხოლმე მეხსიერებაში მოღიმარი ნილა, შამპანურის ჭიქით ხელში, შიშველი მკლავებითა და ჩამოსხმული ფეხებით. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მე შევქმენი, მოვიგონე და არასოდეს არსებობდა არც ის, არც ფარი, არც ჯანმრთელი სულეიმანი და არც სახლი, სადაც ყველა ერთად ვცხოვრობდით.

2000 წლის ზაფხულის ერთ დილას სულეიმანის ოთახში შევედი, ლანგრით ახლად გამომცხვარი პური და ჩაი შევუტანე. როგორც კი კარი შევაღე, მივხვდი, რომ კარგად ვერ იყო საქმე. არათანაბრად სუნთქავდა, ყბა ჩამოვარდნილი ჰქონდა, ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვების ნაცვლად უცნაურ ხრიალა ხმებს გამოსცემდა. ლანგარი იატაკზე დავდე და მისკენ გავქანდი.

– ექიმს მოვიყვან, სულეიმან, ისევ გამოკეთდები, შენ მხოლოდ მოიცადე.

კარისკენ გავტრიალდი, მაგრამ ხელი დამიქნია, მარცხენა ხელის თითებით რაღაც მანიშნა. მისკენ დავიხარე. ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერ გავარკვიე, რისი თქმა სურდა.

– ვწუხვარ, სულეიმან, უნდა გამიშვა. ექიმს მოვძებნი, მალე მოვალ.

თავი გააქნია, კატარაქტით ამოთეთრებული თვალები ცრემლით აევსო. კვლავ რაღაც მანიშნა. საწოლის გვერდით პატარა კარადისკენ იცქირებოდა. ვკითხე, რამე ხომ არ არის იქ ისეთი, რაც გჭირდება-მეთქი. თვალები დახუჭა და თავი დამიქნია. ზედა უჯრა გამოვწიე. რამდენიმე აბი, მისი სათვალე, წიგნაკი, ნახშირის ფანქრები, რომლებიც წლების განმავლობაში აღარ დასჭირვებია და ოდეკოლონი. ის იყო, უჯრის დახურვას ვაპირებდი, რომ უცებ წიგნაკის ქვეშ კონვერტი შევნიშნე. კონვერტზე სულეიმანის მარცხენა ხელით მიჩხაპნილი ჩემი სახელი ამოვიკითხე. შიგ დაკეცილი ფურცელი იდო. გავშალე და წავიკითხე.

სულეიმანს დავაცქერდი, როგორ ჰქონდა საფეთქლები ჩაცვენილი, ყვრიმალები ამოყრილი და თვალები ჩამქრალი, ძველი სულეიმანისგან აღარაფერი იყო დარჩენილი. დაიხარეო, მანიშნა. დავიხარე და სახეზე მისი არათანაბარი, ცივი სუნთქვა ვიგრძენი. გამომშრალ პირში ენას ძლივს ატრიალებდა, ბოლოს მთელი ძალისხმევა მოიკრიბა და წამჩურჩულა.

ხვნეშას გული ამოვაყოლე. ყელში ბურთივით მოწოლილ ბოღმას ძლივს ვაჯობე და ამოვღერღე:

– არა, გთხოვ, სულეიმან.

– შენ დამპირდი.

– ჯერ არა, სულეიმან, მოგივლი, გამოგაკეთებ, ისე როგორც სხვა დროს. – შენ დამპირდი.

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ვიჯექი მის საწოლთან, ან რამდენ ხანს ვცდილობდი გადამერწმუნებინა, მაგრამ ბოლოს წამოვდექი, მის საწოლს შემოვუარე და გვერდით მივუწექი. ჩემკენ გადმოვაბრუნე. სიზმარივით მსუბუქი იყო. მშრალ, დამსკდარ ტუჩებზე ვაკოცე. ჩემს მკერდსა და მის სახეს შორის ბალიში ჩავდე, თავქვეშ ხელი ამოვუდე, მოვიზიდე და დიდხანს მყავდა გულზე მიკრული.

შემდეგ მახსოვს, როგორ გაუფართოვდა გუგები. ფანჯარასთან მივედი და დავჯექი. ჩემს ფეხებთან, ლანგარზე, სულეიმანის ჩაის ჭიქა იდგა. მზიანი დილა იყო. ალბათ მაღაზიები უკვე გაიღო, პატარა ბიჭები სკოლისკენ გარბოდნენ, ძაღლი მიძუნძულებდა და თან თავის ქნევით კოღოების ჯარს იგერიებდა. დავინახე, როგორ ჩაიარა მოტოციკლმა. უკანა მგზავრს ერთ ბეჭზე კომპიუტერის მონიტორი შემოედგა, მეორეზე – ნესვი.

შუბლი მზით გამთბარ შუშას მივაბჯინე.

ფურცელზე ანდერძი ეწერა. ანდერძის მიხედვით მთელი მისი ქონების პატრონი ახლა მე ვიყავი. ყველაფერი ჩემი იყო: სახლი, ფული, პირადი

ნივთები, მანქანაც კი, რომლის ჟანგიანი კარკასი დიდი ხანია უკანა ეზოში ეგდო დაშვებულ საბურავებზე დასვენებული. დავიბენი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ნახევარ საუკუნეზე მეტი ვუვლიდი სულეიმანს. ჩემი ყოველდღიური ყოფა მის საჭიროებებს იყო მორგებული. ახლა თავისუფლად შემეძლო ის მეკეთებინა, რაც მსურდა, მაგრამ ჩემი თავისუფლება მოჩვენებითი იყო, რადგან აღარც სურვილი გამაჩნდა და აღარც ოცნება, ყველაფერი დიდი ხნის წინ დავკარგე. ამბობენ, მიზეზი და მიზანი უნდა გქონდეს, რომ იცხოვროო. ზოგჯერ სხვანაირად ხდება. იცხოვრებ და მერე ხვდები მიზეზსაც და მიზანსაც. ახლა ვეღარც ერთს ვერ ვგრძნობდი, ცაში გამოკიდებულივით დავრჩი.

უძილობა დამჩემდა. სულეიმანი აღარ იყო. სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული, ყოველი უმნიშვნელო საგანი, მოგონებებით იყო გაჟღენთილი. ვერ გავუძელი და ჩემს ქოხში გადავედი საცხოვრებლად. ხელოსნებს ელექტროობა გავაყვანინე, რომ კითხვა და კიდევ, აუტანელი სიცხის დროს ვენტილატორის ჩართვა შემძლებოდა. სხვა რა გითხრათ, სივრცეს ჩემთვის

მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთელი ჩემი ავლადიდება საწოლი, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი და სულეიმანის ნახატებით სავსე ყუთი იყო. ვიცი, რომ შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, ბატონო მარკოს. ოფიციალურად ახლა ყველაფრის პატრონი მე ვიყავი, მაგრამ ვერ ვგრძნობდი თავს პატრონად და ვერც ვერასოდეს ვიგრძნობდი.

ბევრს ვკითხულობდი. წიგნები სულეიმანის სამუშაო ოთახიდან გამომქონდა. როგორც კი კითხვას დავამთავრებდი, თავის ადგილას ვაბრუნებდი. პომიდვრის ჩითილები და ცოტა პიტნა დავრგე. სასეირნოდ გავდიოდი ხოლმე იქვე შორიახლოს, მაგრამ მუხლები მალე მტკივდებოდა და შინ ვბრუნდებოდი. ზოგჯერ სკამს გავიტანდი ბაღში და ჩუმად ვიჯექი. მე სულეიმანს არ ვგავდი, სიმარტოვეს ადვილად ვერ ვეგუებოდი.

შემდეგ, 2002 წლის ერთ მშვენიერ დღეს, ჭიშკარზე ზარი დარეკეთ. ეს ის დროა, როცა თალიბანი ჩრდილოეთის ალიანსმა გააძევა ქაბულიდან და ავღანეთში ამერიკელები შემოვიდნენ. ქაბულისკენ მთელი მსოფლიოდან დაიძრნენ ჰუმანიტარული დახმარების მუშაკები. საავადმყოფოების მშენებლობა, სკოლებისა და გზების შეკეთება, სარწყავი სისტემის გაყვანა წამოიწყეს; ხალხს საკვები, თავშესაფარი და სამუშაო მისცეს.

თარჯიმანი, რომელიც თქვენ გახლდათ, ადგილობრივი ახალგაზრდა იყო. წითელი ჟაკეტი ეცვა და მზის სათვალე ეკეთა. სახლის პატრონი ვინ არისო, მკითხა. მახსოვს, როგორ გადახედეთ ერთმანეთს, როდესაც გაირკვა, რომ პატრონი მე ვიყავი.

– არა, ძია, პატრონი გვაინტერესებს, – გაიღიმა თარჯიმანმა.

მერე სახლში შეგიპატიჟეთ და ჩაი მოგართვით. საუბარი, რომელიც ვერანდის გადარჩენილ ნაწილს ეხებოდა, ფარსის ენაზე მიმდინარეობდა. როგორც იცით, ბატონო მარკოს, შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში ცოტა ინგლისურიც ვისწავლე. რასაკვირველია, თქვენი წყალობით. თარჯიმნის საშუალებით თქვით, რომ ტინოდან, საბერძნეთის ერთ-ერთი კუნძულიდან,

მედიკოსების ჯგუფთან ერთად ჩამოხვედით. პლასტიკური ქირურგი იყავით და ომში დასახიჩრებული ბავშვებისთვის ოპერაციების გაკეთებას გეგმავდით. თქვენ და თქვენს კოლეგებს საცხოვრებელი გჭირდებოდათ, ანუ სასტუმრო სახლი, როგორც ახლა უწოდებენ.

ქირაში რამდენს ითხოვთო, მკითხეთ.

– არაფერს, – გიპასუხეთ მე. ახლაც მახსოვს, თქვენი გამომეტყველება, როდესაც თარჯიმანმა ჩემი პასუხი გითარგმნათ. კითხვა გამიმეორეთ. იფიქრეთ, ალბათ ვერ გაიგოო. თარჯიმანი სკამის კიდისკენ ჩამოჩოჩდა, ჩემკენ გადმოიხარა და კონფიდენციალური ტონით მკითხა, – ჭკუიდან ხომ არ გადადექით, იცით, რა ფულზეა ლაპარაკი? იცით, რა ღირს ახლა ქაბულში ბინის დაქირავება? ვერ ხვდებით, ოქროს საბადოზე რომ ზიხართ?

სათვალე მოიხსენი, როცა უფროსს ელაპარაკები, რაც გევალება, ის გააკეთე, ჩემთვის რჩევების მოცემას თავი დაანებე და თარგმნე-მეთქი, ვუთხარი. თქვენკენ შემოვბრუნდი და ის მიზეზი დაგისახელეთ, რასაც პირადთან არაფერი აკავშირებდა.

– თქვენი ქვეყანა, ოჯახი, მეგობრები მიატოვეთ, აქ, ამ ღვთისგან მივიწყებულ ადგილას, ჩემიანების დასახმარებლად ჩამოხვედით და ფული გამოგართვათ?!.

თარჯიმანმა ხელები ასწია და იმედგაცრუებულმა ჩაახველა. მე ის თქვენთან აღარასოდეს მინახავს. ეს ქვეყანა შეიცვალა, ბატონო მარკოს, ყოველთვის ასეთი არ იყო ხალხი.

ზოგჯერ, ღამით, როცა ჩემს ქოხში ვარ განმარტოებული, სახლში ანთებულ სინათლეს ვუცქერ, თქვენ და თქვენ მეგობრებს გაკვირდებით, განსაკუთრებით კი მამაც ქალბატონ ამრა ადემოვიჩს, რომლის მიმართაც უსაზღვრო პატივისცემას განვიცდი, და ვხედავ, როგორ სვამენ თქვენს ღვინოს, ეწევიან სიგარეტს, საჭმელს მიირთმევენ და მუსიკას უსმენენ. ხშირად ჯაზის ჰანგები მესმის და ნილას მახსენებს.

ნილა გარდაიცვალა. ეს კი ვიცი მის შესახებ, ქალბატონმა ამრამ მითხრა. მე მოვუყევი მას ვაჰდათების შესახებ და ვუთხარი, რომ ნილა პოეტი იყო. კომპიუტერში ფრანგული პუბლიკაცია მოძებნა, ბოლო ორმოცი წლის საუკეთესო ნაწარმოებების ონლაინ ანთოლოგია. ერთ-ერთი ჩანაწერი ნილას ეხება. ის 1974 წელს გარდაცვლილა. წარმოგიდგენიათ? წლების განმავლობაში წერილს ველოდებოდი ქალისგან, რომელიც თურმე დიდი ხნის წინ წავიდა ამქვეყნიდან. არ გამკვირვებია, როცა შევიტყვე, რომ ცხოვრება თვითმკვლელობით დაუსრულებია. ახლა ვხვდები, რომ ზოგი საკუთარ უბედურებას ისე შეიგრძნობს, როგორც სხვები სიყვარულს: ფარულად, მძაფრად და უსაშველოდ.

ნება მიბოძეთ, აქ დავამთავრო, ბატონო მარკოს.

ჩემი დროც მოვიდა. დღითი დღე ვსუსტდები. მალე მოვა აღსასრული და ღმერთს მადლობას ვწირავ ამისთვის.

დიდ მადლობას გიხდით თქვენ, ბატონო მარკოს. არა მხოლოდ იმისთვის, რომ მეგობრობას მიწევდით, ყოველდღე ჩემთან ერთად სვამდით ჩაის და ტინოდან ჩამოსულ ახალ ამბებს მიყვებოდით დედათქვენისა და თქვენი ბავშვობის მეგობრის, თალიას შესახებ, არამედ იმისთვისაც, რომ ჩემს ხალხს უწევთ თანაგრძნობას და ფასდაუდებელი ღვაწლი მიგიძღვით ჩვენი ბავშვების წინაშე. ასევე დიდად მადლიერი ვარ იმის გამოც, რომ ეს სახლი, რომელშიც თითქმის მთელი ცხოვრება გავატარე, შეაკეთეთ. მეტი სახლი მე არ გამაჩნია და სულ მალე ამ სახლის ჭერქვეშ ამომხდება სული. უიმედოდ, გულისტკივილით ვუყურებდი, როგორ ფუჭდებოდა თანდათან. წარმოიდგინეთ, რა სიხარული განვიცადე, როდესაც შეღებეთ, ფანჯრები შეცვალეთ და ბაღის გალავანი აღადგინეთ. ვერანდა, სადაც უთვალავი ბედნიერი წუთი გავატარე, ახლა ისევ ისეთია, როგორიც მაშინ იყო, როცა პირველად ვნახე. მადლობელი ვარ, ჩემო მეგობარო, ხეების დარგვისთვის და ყვავილებისთვის, ამ ბაღში ისევ რომ ხარობს.

თუ ფიქრობთ, რომ მცირედი დახმარება მეც გაგინიეთ თქვენს კეთილშობილურ საქმეში, მაშინ იცოდეთ, რომ საკმარისზე მეტად ამინაზღაურდა, რადგან ამ სახლს ასეთი გულისხმიერებით მოეკიდეთ და ახალი სული შთაბერეთ.

იქნებ თავხედობადაც ჩამითვალოთ, მაგრამ გავბედავ და გეტყვით, რომ კიდევ ორი სათხოვარი მაქვს. პირველი მე მეხება. მინდა, რომ აქ, ქაბულში აშეყან-არეფანის სასაფლაოზე დამასაფლავოთ. დარწმუნებული ვარ იცით, სადაც არის. მთავარი შესასვლელიდან გზას ჩრდილოეთით რომ აუყვებით, სულეიმან ვაჰდათის საფლავს დაინახავთ. გთხოვთ, ადგილი გამოძებნეთ და მასთან ახლოს დამმარხეთ.

მეორე თხოვნა ჩემს დისშვილს, ფარის ეხება. იქნებ იპოვოთ, ბატონო მარკოს, თუ კიდევ ცოცხალია. ინტერნეტის საშუალებით ახლა ეს ძნელი არ უნდა იყოს. ამ წერილს თან ანდერძი ახლავს. სახლს, ფულს და რამდენიმე პირად ნივთს მას ვუტოვებ. გთხოვთ, ორივე გადაეცით, ეს წერილი და ანდერძი. და კიდევ, უთხარით, რომ არ ვიცი, რა შედეგი მოიტანა ჩემმა ნამოქმედარმა, რომ მხოლოდ თავს ვიმშვიდებ და ვიმედოვნებ, რომ სადაც არის, იქ მოიპოვა სიმშვიდე, ღირსება, ზღვა სიყვარული და ბედნიერება.

გმადლობთ, ბატონო მარკოს, ღმერთი გფარავდეთ! მარად თქვენი მეგობარი

ნაბი

თავი მეხუთე

გაზაფხული, 2003 წელი

მედდა ამრა ადემოვიჩმა იდრისი და თიმური გააფრთხილა. გვერდზე გაიყვანა და უთხრა:

– სულ უმნიშვნელო რეაქციაც რომ გამოამჟღავნოთ, ის აღელდება, მე კი გარეთ გაგაგდებთ.

ისინი ვაზირ აქბარ ხანის საავადმყოფოს კაცების განყოფილების გრძელ, ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში დგანან. ამრას თქმით, ერთადერთი ნათესავი, რომელიც გოგონას ჰყავს და საავადმყოფოში აკითხავს, ბიძაა. გოგონა ქალების განყოფილებაში რომ დაეწვინა, ბიძას იქ არ შეუშვებდნენ. ასე რომ, თანამშრომლებმა ის კაცების განყოფილებაში გაამწესეს,

მაგრამ ოთახში არ დააწვინეს, რადგან უცხო კაცებთან მოუწევდა ყოფნა. ამიტომ დერეფნის ბოლოს, ნეიტრალურ ადგილას დადგეს მისი საწოლი.

– თითქოს თალიბანმა დატოვა ქალაქი… – ამბობს თიმური.

– რა სიგიჟეა, არა? – ამრას ჩაეცინა, დაბნეული ჩანს.

ერთი კვირაა, რაც იდრისი ქაბულში დაბრუნდა. მან შეამჩნია, რომ უცხოელი ჰუმანიტარული დახმარების მუშაკები ხანდახან იმედგაცრუებას გამოხატავენ. ალბათ იმიტომ, რომ ხშირად უწევთ ავღანური კულტურის თავისებურებებსა და უხერხულობებს შორის ლავირება. ცოტა არ იყოს, იდრისი შეურაცხყოფილია, რადგან ამჩნევს, რომ უცხოელი მუშაკები ისე იქცევიან, თითქოს უფლება ჰქონდეთ, დაცინვით გამოხატონ თავისი დამოკიდებულება. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ამას ვერც ამჩნევს და თუ ამჩნევს, შეურაცხყოფად არ იღებს. ამიტომაც იდრისი არაფერს ამბობს.

– თქვენ ხომ გიშვებენ, შემოდიხართ და გადიხართ, – ამბობს თიმური.

ამრამ წარბები აწკიპა.

– მე არ ვითვლები. მე ავღანელი არ ვარ. ესე იგი არც ნამდვილი ქალი ვარ. რა, არ იცოდით?

თიმური არ გრძნობს თავს მაინცდამაინც შერცხვენილად და იცინის.

– ამრა პოლონური სახელია?

– ბოსნიური. გაფრთხილებთ, არანაირი რეაქცია. ეს საავადმყოფოა და არა ზოოპარკი. თქვენ სიტყვა მომეცით.

– სიტყვა სიტყვაა, – ამბობს თიმური.

იდრისი მედდას აკვირდება. ცოტა შეწუხებულია, იქნებ თიმურის უაზრო ლაქლაქმა გაანაწყენა? მაგრამ, როგორც ჩანს, თიმურს ამჯერადაც გაუვიდა. იდრისს ყოველთვის აღიზიანებდა თიმურის სიუხეშე, წარმოსახვის სიმწირე, მაგრამ მისი კომუნიკაბელურობის უნარის მუდამ შურდა. იცის, თიმური ორივეს ატყუებს – ცოლსაც და საგადასახადო ორგანოებსაც. შტატებში უძრავი ქონების იპოთეკის სააგენტო აქვს და იდრისი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ყელამდეა ჩაფლული იპოთეკურ მაქინაციებში. მაგრამ მის ნაკლს ვინ ამჩნევს, ისეთი მეგობრულია, ისეთი იუმორის გრძნობა და ხიბლი აქვს, რომ ყოველ ახალ შემხვედრს უყვარდება. ხალხის გულთამპყრობელს გარეგნობაც ხელს უწყობს – დაკუნთული სხეული, მწვანე თვალები, უცოდველი გამომეტყველება და მომაჯადოებელი ღიმილი. თიმური ზრდასრულია, მაგრამ განებივრებული ბავშვის პრივილეგიებით სარგებლობს.

– კარგი, – ამბობს ამრა, – ძალიან კარგი. ჭერზე მილურსმულ ზეწარს, ფარდის მაგივრობას რომ ასრულებს, ხსნის და შესვლის ნებას რთავს.

როში, როგორც ამრა ეძახის გოგონას, ანუ როშანა, ოღონდ შემოკლებით, დაახლოებით ცხრა წლისაა, იქნებ ათისაც. რკინის საწოლზე ზის, ზურგით საწოლის თავს ეყრდნობა, ფეხები მკერდზე აქვს მიბჯენილი. იდრისი თვალებს ხრის, პირზე მომდგარ ამოოხვრას ყლაპავს და ემოციას გასაქანს არ აძლევს. თიმურს ასე არ შეუძლია, „ნწ, ნწ, ნწ“, – აწკლაპუნებს ენას, „ოჰ, ოჰ, ოჰ“, – ოხრავს ტკივილგარეული ხმით. იდრისი თიმურს უყურებს და სულაც არ უკვირს მის თვალებზე მომდგარი ცრემლი.

გოგონა შეკრთა, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა რაღაც. – მორჩა, გავდივართ, – მკაცრად ამბობს ამრა.

გარეთ, ჩალეწილი კიბის თავზე, მედდა საოპერაციო ხალათის გულის ჯიბიდან წითელი „მარლბოროს“ კოლოფს იღებს. თიმური, რომელსაც ცრემლები ისევე სწრაფად შეაშრა, როგორც წამოსცვივდა, სიგარეტს უკიდებს. იდრისს თავბრუ ეხვევა და გული ერევა. პირი გამშრალი აქვს. ცოტაც და თავს შეირცხვენს. ესღა უნდა ამრას, ისედაც დაბალი წარმოდგენისაა მათზე. დარწმუნებულია, რომ მდიდარი დევნილები არიან, რომლებიც სამშობლოში ბოროტი გუდიანების წასვლის შემდეგ მათი ნამოქმედარისთვის გაოცებული თვალის გადასავლებად ჩამოვიდნენ.

იდრისი ამრასგან გაკიცხვას მოელის, მაგრამ ქალის ლაპარაკის მანერა კეკლუცობას უფრო ჰგავს. აი, ასეთი გავლენა აქვს თიმურს ქალებზე.

– აბა, თქვენ შესახებ რას იტყვით, თიმურ?

შტატებში თიმური თიმი გახდა. სახელი 9/11-ის შემდეგ შეიცვალა. ამტკიცებს, რომ სახელისთვის რამდენიმე ასოს ჩამოშორებამ უფრო მეტი გააკეთა მისი კარიერისთვის, ვიდრე ამას კოლეჯის დიპლომი გააკეთებდა, რასაკვირველია, კოლეჯში რომ ესწავლა. აი, იდრისი კი ბაშირების აკადემიური მიოწევაა. რაც ქაბულში ჩამოვიდნენ, თიმური ხალხს თავისი ნამდვილი

სახელით ეცნობა. ეს უვნებელი ორპირობაა, უფრო მეტიც, საჭიროც კია.

– ბოდიშს გიხდით, ცუდად გამოვიდა, – ამბობს თიმური.

– იქნებ დაგსაჯოთ კიდეც.

– არა უშავს, ფისუნია.

ამრა იდრისისკენ ტრიალდება.

– ეს კოვბოია, თქვენ უფრო მშვიდი და მგრძნობიარე ჩანხართ. ასე ვთქვათ, ინტროვერტი. – ექიმია, – თქვა თიმურმა.

– ოჰ, მაშინ თქვენთვის ეს საავადმყოფო დიდი შოკი უნდა იყოს.

– რა დაემართა, – კითხულობს იდრისი, – ვინ გააკეთა ეს?

ამრას სახე ეღუშება, ლაპარაკის დროს ხმაში დედობრივი ზრუნვა ერევა.

– რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ. მის გამო მთავრობას, საავადმყოფოს ბიუროკრატიასა და იმ საზიზღარ ნეიროქირურგს დავუპირისპირდი. დანებებას არ ვაპირებ. არ გავჩერდები. მას არავინ ჰყავს.

– მეგონა, ბიძა ჰყავდა. – ისიც ნაძირალაა, – სიგარეტს აფერფლებს, – აბა, აქ რატომ ხართ, ბიჭებო?

თიმური იწყებს. რასაც ჰყვება, მეტ-ნაკლებად სიმართლეა. ამბობს, რომ ბიძაშვილები არიან, რომ მათი ოჯახები 80-იანი წლების დასაწყისში ქაბულიდან საბჭოთა კავშირის შემოსვლის შემდეგ გაიქცნენ. სანამ კალიფორნიაში წავიდოდნენ, ერთი წელი პაკისტანში გაატარეს. ოცი წლის შემდეგ პირველად ჩამოვიდნენ. მერე ამატებს, რომ მათი მიზანი „კავშირის აღდგენა“, „მდგომარეობის შესწავლა“ და ომის შედეგების „დამოწმებაა“. უნდათ, რომ შტატებში დაბრუნდნენ. იქ ხალხის ცნობიერება აამაღლონ, ყურადღება მიიქციონ და სახსრები მიიზიდონ, რომ „თავიანთი წვლილი შეიტანონ“.

– ჩვენი წვლილის შეტანა გვინდა, – ამ გაცვეთილ ფრაზას ისე წრფელად ამბობს, რომ იდრისი გაოცებულია.

ჩამოსვლის ნამდვილ მიზეზს, რასაკვირველია, არ ამხელს. თიმურს და იდრისს მამების ქონების დაბრუნება სურთ. იმ სახლის, სადაც ცხოვრების პირველი თოთხმეტი წელი გაატარეს. უძრავი ქონების ფასი ქაბულში ახლა ძალიან მაღალია, რადგან უამრავი ჰუმანიტარული დახმარების მუშაკია ჩამოსული და მათ საცხოვრებელი სჭირდებათ. მათი სახლი ჩრდილოეთის ალიანსის ჯარის სხვადასხვა ჯურის დემორალიზებულ ჯარისკაცებს უკავიათ. დღეს თიმური და იდრისი სახლიდან რომ მოდიოდნენ, შუა ხნის კაცი შეხვდათ. კაცი ბერძენი

პლასტიკური ქირურგი აღმოჩნდა, სახელად მარკოს ვარვარისი. მან ბიჭები სამხარზე მიიწვია დავაზირ აქბარ ხანის საავადმყოფოს დათვალიერება შესთავაზა, სადაც მის არასამთავრობო ორგანიზაციას ოფისი ჰქონდა. მარკოსმა ბიჭები იმ საღამოს დაგეგმილ წვეულებაზეც დაპატიჟა.

საავადმყოფოში რომ მივიდნენ, კიბეზე შემთხვევით მოჰკრეს ყური ორი დამლაგებლის საუბარს გოგონას შესახებ. თიმურმა იდაყვი გაჰკრა იდრისს და უთხრა: „ეს უნდა გადავამოწმოთ, ძმაო“.

ამრას ბეზრდება თიმურის მოსმენა. სიგარეტს აგდებს და ოქროსფერ ხვეულ თმას რეზინით იკრავს.

– ბიჭებო, ესე იგი, საღამოს წვეულებაზე შეგხვდებით.

ისინი ქაბულში თიმურის მამამ, ანუ იდრისის ბიძამ გამოაგზავნა. ამ ორი ათწლეულის განმავლობაში მათმა სახლმა უამრავი პატრონი გამოიცვალა. საკუთრების უფლების აღდგენა დროსა და ფულს მოითხოვდა. ქვეყნის სასამართლოები გადატენილი იყო ქონებრივ დავაზე აღძრული საქმეებით. რომ მოდიოდნენ, თიმურის მამამ გააფრთხილა, საქმე მძიმე და ძალიან ნელ

ავღანურ ბიუროკრატიასთან გექნებათ და ამიტომ „საჭირო ხელი მოძებნეთ და კარგად „დაზეთეთო“.

– ეგ მე მომანდეთ, ჩემი საქმეა, – თქვა თიმურმა. თითქოს ვინმეს ეჭვი ეპარებოდა.

იდრისის მამა ცხრა წლის წინ, კიბოსთან ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ გარდაიცვალა. თავის სახლში დალია სული, ცოლის, ქალიშვილებისა და იდრისის გვერდით. იმავე დღეს სახლს ნათესავების ურდო შეესია. ბიძები, ბიცოლები, მეგობრები, ნაცნობები… ტახტები და სკამები რომ აღარ ეყოთ, იატაკზე და კიბეზე ჩამოსხდნენ. ქალები სასადილო ოთახსა და სამზარეულოში ტრიალებდნენ. ჩაის მოდუღებას ძლივს ასწრებდნენ. სავსე თერმოსები ერთმანეთს ენაცვლებოდა.

იდრისი ერთადერთი ვაჟი იყო, ამიტომ სამედიცინო ექსპერტს და დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელს საბუთებზე სწორედ მან მოუწერა ხელი.

თიმური გვერდიდან არ მოშორებია. ტელეფონს პასუხობდა, სამძიმარზე მოსულებს ხვდებოდა. ბრინჯი და ცხვრის ხორცი თავისი მეგობრის, აბდულას, ადგილობრივი რესტორნიდან მოატანინა. გაწვიმდა და ხანში შესულ სტუმრებს მანქანების გაჩერებაში დაეხმარა. ერთ მეგობარს, რომელიც ავღანურ ტელეარხზე მუშაობდა, სთხოვა, რომ განცხადება იმავე ღამეს გაევრცელებინათ. იდრისისგან განსხვავებით, თიმური ახლოს იყო ავღანურ დიასპორასთან. ერთხელ იდრისს უთხრა, რომ სამასზე მეტი საკონტაქტო ნომერი ჰქონდა ტელეფონში ჩაწერილი. ნაშუადღევს თიმურმა იდრისი ჰეივორდში, დამკრძალავ ბიუროში წაიყვანა. თავსხმა წვიმა იყო. ჩრდილოეთის მიმართულებით, გზის 680-ე მონაკვეთზე მანქანები ძლივს მოძრაობდნენ.

– მამაშენი, ძმაო, სუპერკლასი იყო, ძველი სკოლა, – ჩახლეჩილი ხმით თქვა თიმურმა, თან თავისუფალი ხელით თვალებიდან ცრემლებს იწმენდდა.

იდრისმა თავი დაუქნია. არასოდეს შეეძლო სხვისი თანდასწრებით ტირილი, განსაკუთრებით პანაშვიდებზე. ეს უმნიშვნელო ნაკლად მიაჩნდა, ვთქვათ, ისეთად, როგორიცაა დალტონიზმი. და მაინც, რაღაც გაურკვეველი განცდა ჰქონდა. სწყინდა, რომ თიმური ასე ადვილად, აქეთ-იქით სირბილითა და გათამაშებული ტირილით ახერხებდა მის უკანა პლანზე გადაყვანას. გეგონებოდათ, მამა იდრისს კი არა, თვითონ გარდაეცვალა.

კარგად განათებულ, მუქი ავეჯით მოწყობილ ოთახამდე მიაცილეს. შავებში ჩაცმული კაცი შეეგებათ. კაცს თმა შუაზე ჰქონდა გადაყოფილი და ძვირფასი ყავის სურნელი ასდიოდა. პროფესიული ტონით მიუსამძიმრა და დაკრძალვის შეკვეთაზე ხელი მოაწერინა. გარდაცვალების მოწმობის რამდენი პირი გნებავთო, ჰკითხა. როდესაც ყველა საბუთი გაფორმდა და ხელი მოეწერა, წინ ტაქტიანად დაუდო ბროშურა სათაურით „ფასების ცხრილი“.

დამკრძალავი ბიუროს დირექტორმა ჩაახველა.

– რასაკვირველია, არაფერი გექნებათ გადასახდელი, თუ მამათქვენი მისიასთან არსებული მეჩეთის მრევლის წევრი იყო. ჩვენ ვთანამშრომლობთ მეჩეთთან და ისინი დაფარავენ მომსახურების საფასურს.

– წარმოდგენაც არ მაქვს, წევრი იყო თუ არა, – თქვა იდრისმა, თან ბროშურას ათვალიერებდა. მამა მორწმუნე კაცი იყო, მაგრამ ისე, თავისთვის. პარასკევის ლოცვაზე მეჩეთში არ დადიოდა.

– შეგიძლიათ მეჩეთში დარეკოთ და გადაამოწმოთ.

– არა, საჭირო არ არის, – თქვა თიმურმა. – ის არ იყო წევრი.

– დარწმუნებული ხართ?

– დიახ, მახსოვს ასეთი საუბარი გვქონდა.

– მესმის, – თქვა დამკრძალავი ბიუროს დირექტორმა.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ჯიპთან გაჩერდნენ და სიგარეტს მოუკიდეს. წვიმამ გადაიღო.

– შარაგზის ყაჩაღებივით ატყავებენ ხალხს.

თიმურმა წვიმის გუბურაში ჩააფურთხა.

– სიკვდილი სერიოზული ბიზნესია, ვერაფერს იტყვი. მოთხოვნაც სულ არის. ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე მანქანების გაყიდვა.

იმ დროისთვის თიმური მეორადი მანქანების ბიზნესის თანამფლობელი იყო. ბიზნესში თიმურის შესვლამდე საქმე იძირებოდა, გაკოტრების პირას იყვნენ, მაგრამ ორ წელიწადში მან მომგებიან საწარმოდ აქცია.

– თვითონ მიაღწია ყველაფერს, – იტყოდა ხოლმე იდრისის მამა თავისი ძმისშვილის შესახებ.

იდრისი კი მათხოვრულ ხელფასს იღებდა. კალიფორნიის დევისის უნივერსიტეტის ორდინატურის თერაპიული მედიცინის მეორე კურსს ამთავრებდა. მისი ერთი წლის წინ მოყვანილი ცოლი, ნაჰილი, კვირაში ოცდაათ საათს მუშაობდა ერთ-ერთ საადვოკატო ბიუროში, თან იურიდიულ სკოლაში მისაღებ პროგრამას სწავლობდა.

– ვალად ვიღებ, თიმურ, – თქვა იდრისმა, – ხომ იცი, რომ დაგიბრუნებ. – ნუ წუხხარ, ძმაო, სალაპარაკოდ არ ღირს.

ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც თიმური იდრისს მხარში ედგა. ცოლი რომ ითხოვა, თიმურმა ახალი „ფორდ ექსპლორერი“ აჩუქა. როცა იდრისმა და ნაჰილიმ დევისში პატარა

ბინის ყიდვა გადაწყვიტეს, კრედიტის თავდებად დაუდგა.

ოჯახში ყველა ბავშვის საყვარელი ბიძა თიმური იყო. თუ ოდესმე ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა იდრისი, კაცს ერთი ზარის უფლება რომ აქვს, აუცილებლად თიმურს

დაურეკავდა.

და მაინც, იდრისმა აღმოაჩინა, რომ, მაგალითად, თავდებობის შესახებ მთელმა ოჯახმა იცოდა. ქორწილზე მომღერლები გააჩერა და განცხადება გააკეთა, ფორდის გასაღები დიდი ამბით, ლანგრით მიართვეს იდრისსა და ნაჰილს. კამერებმა მომენტი დააფიქსირეს. ეს ის იყო, რასაც იდრისი ვერ იტანდა, ფანფარები, თავხედური საჯაროობა, მოურიდებლად დადგმული სცენები, ბაქიბუქი. სულაც არ უნდოდა, რომ ბიძაშვილზე, ყველაზე ახლობელ ადამიანზე, ასე ეფიქრა. მაგრამ ეჭვობდა, რომ თიმურის ხელგაშლილობა კარგად გათვლილი და რთულად მისახვედრი ხრიკი იყო. ერთ საღამოს, როცა საწოლზე სუფთა ზეწარს აგებდნენ, იდრისს და ნაჰილს უმნიშვნელო კამათიც მოუვიდათ.

– ყველას უნდა, რომ ხალხს მოსწონდეს, შენ რა, არ გინდა?

– მინდა, მაგრამ მაგის გამო ფულის გადახდას არ ვაპირებ.

– იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მან ჩვენთვის გააკეთა, მაგას როგორ ამბობ? უსამართლობაა და მეტი არაფერი, მე რომ მკითხო, უმადურობაც.

– არ გესმის, მე რას ვგულისხმობ. რა საჭიროა შენი საგმირო საქმეების საქვეყნოდ გამოყენება? სიკეთე წყნარად, ღირსეულად უნდა აკეთო. აბა, საჯაროდ ქვითრებზე ხელის მოწერაა საქმე?

– ჰო, – თქვა ნაჰილმა და ზეწარი დაიქნია, – ეგეც მართალია, საყვარელო.

– ბიჭო, ეს სახლი მახსოვს, – ამბობს თიმური, – პატრონს რა ერქვა?

– მგონი, ვაჰდათი, – ამბობს იდრისი, – სახელი აღარ მახსოვს. რა უცნაურია, ვინ მოთვლის, რამდენჯერ უთამაშიათ ამ ქუჩაზე, ამ სახლის წინ ბავშვობაში, და მხოლოდ ახლა,

ათწლეულების შემდეგ შეაღეს ჭიშკარი პირველად. – ღმერთი და გზანი მისნი, – ამბობს თიმური.

ჩვეულებრივი ორსართულიანი სახლია. ასეთი სახლი სან-ხოსეში, იდრისის სამეზობლოში, სახლების მეპატრონეთა ასოციაციის წევრების გაღიზიანებას გამოიწვევდა, მაგრამ აქ, ქაბულში, დიდი ქონებაა. მაღალი გალავანი, რკინის ჭიშკარი და ფართო სამანქანო გზა სახლს ფასს მატებს. ჭიშკარი გაიღო და დაცვის სამსახურის შეიარაღებული თანამშრომელი სახლისკენ გაუძღვათ. როგორც კი თვალი შეავლო იდრისმა სახლს, გაიფიქრა, რომ გარდასულ დღეთა ბრწყინვალების ნიშნები მაინც იგრძნობოდა ტყვიით დაცხრილული, დახეთქილი, ბათქაშჩამოყრილი, გაჭვარტლული კედლების მიღმა. ბაღი სრულიად გავერანებული იყო: გამხმარი ვარდის ბუჩქები სამანქანო გზის გასწვრივ, ფოთოლგაცვენილი ხეები, გაყვითლებული გაზონი, ჩამონგრეული ვერანდა. თუმცა აქაც, ისე როგორც მთელ ქაბულში, ნელი აღდგენითი პროცესი მაინც შეინიშნებოდა. ვიღაცას სახლის შეღებვა დაუწყია, ახალი ვარდის ბუჩქები დაურგავს, გალავანი აღუდგენია. სახლს კიბე აქვს მიდგმული, ალბათ სახურავიდან წვეთავს და მუშაობენ, ვერანდის შეკეთებაც დაწყებულია.

მარკოსს შესასვლელში ხვდებიან. მას თხელი ჭაღარა თმა და ღია ცისფერი თვალები აქვს. ნაცრისფერი ავღანური სამოსი აცვია, შავ-თეთრი კუბოკრული ქუფია(ქუფია – ოთხკუთხა ფორმის ქსოვილი, რომელსაც მამაკაცები თავსაბურავად იყენებენ.) ელეგანტურად შემოუხვევია კისერზე. სტუმრებს სიგარეტის კვამლით გაბოლილ ოთახში უძღვება.

– ჩაი, ყავა, ღვინო, ლუდი, მაგრამ იქნებ უფრო მაგარი სასმელი გირჩევნიათ?

– თქვენ მითხარით სად არის, მე ჩამოვასხამ, – ამბობს თიმური.

– ოჰ, მომწონხარ. აი, იქ, სტერეოსთან. ყინული უსაფრთხოა, ბოთლის წყლისაა. – კიდევ კარგი. მადლობა ღმერთს.

ასეთ შეკრებებზე თიმური ყოველთვის თავის ამპლუაშია. შეუძლებელია, იდრისს არ მოსწონდეს მისი მანერები, ძალდაუტანებელი გონებამახვილობა, თანდაყოლილი ხიბლი. თიმურს ბარისკენ მიჰყვება. ის შინდისფერი ბოთლიდან ასხამს სასმელს. ოთახის გარშემო, ბალიშებზე, დაახლოებით ოცი სტუმარი ზის. იატაკზე მოწითალო ღვინისფერი ავღანური ხალიჩაა დაგებული. ორნამენტი დახვეწილი და გემოვნებიანია, ჩამოსულები ჭკუას კარგავენ ასეთ ხალიჩებზე. ნინა სიმონეს ჩანაწერი ხმადაბლა ისმის. ყველა სვამს, თითქმის ყველა ეწევა, ახალწამოწყებულ ერაყის ომზე და ავღანეთისთვის მის მნიშვნელობაზე საუბრობენ. ტელევიზორი ჩნნ-ს აჩვენებს, თუმცა ხმა ჩაწეული აქვს. თავდასხმის შიშით დაზაფრული ღამის ბაღდადი მწვანედ ციმციმებს ეკრანზე.

თიმურს და იდრისს მარკოსი და ორი სერიოზული გამომეტყველების მქონე გერმანელი უერთდებათ, ხელში არყით სავსე ჭიქები უჭირავთ. გერმანელები „მსოფლიოს სურსათის პროგრამაში“ მუშაობენ. სხვა ჰუმანიტარული დახმარების მუშაკების მსგავსად, ისინიც ცოტა შორს იჭერენ თავს, მათ უკან მსოფლიო გამოცდილებაა, ძნელია ასეთების გულის მოგება.

– რა კარგი სახლია, – ამბობს თიმური.

– ჰოდა, სახლის პატრონს უთხარით, – ამბობს მარკოსი, ოთახიდან გადის და მალე გამხდარ მოხუცთან ერთად ბრუნდება.

მოხუცს მოკლედ შეკრეჭილი წვერი და უკან გადავარცხნილი სქელი ჭაღარა თმა აქვს. უკბილობის გამო ლოყები ჩასცვენია, ძველი, ერთი ზომით დიდი ზეთისხილისფერი კოსტიუმი აცვია. ასეთი კოსტიუმი 1940-იან წლებში იყო მოდაში. მარკოსი მოხუცს კეთილად უღიმის.

– ნაბი-ჯან! – იძახის თიმური და უცბად იდრისსაც ახსენდება.

– უკაცრავად, შევხვედრივართ ერთმანეთს? – მორცხვად იღიმის მოხუცი.

– თიმურ ბაშირი ვარ, – ფარსის ენაზე ლაპარაკობს, – ჩემი ოჯახი ერთი ქუჩის ქვევით ცხოვრობდა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! თიმურ-ჯან! – ამოისუნთქა მოხუცმა. – და შენ… იდრის-ჯან! იდრისი თავს აქნევს და იღიმის. ნაბი ორივეს ეხვევა, ლოყებს უკოცნის, იცინის, ათვალიერებს, საკუთარ თვალებს ვერ უჯერებს. იდრისს ახსოვს, ნაბი

თავის პატრონს ინვალიდის ეტლით ატარებდა. ზოგჯერ სავარძელს გააჩერებდა ხოლმე და ორივენი

უყურებდნენ, როგორ თამაშობდნენ ბიჭები ფეხბურთს.

– ნაბი-ჯან ამ სახლში 1947 წლიდან ცხოვრობს, – ამბობს მარკოსი და ნაბის მხარზე ხელს ხვევს.

– თქვენია ახლა ეს სახლი? – ეკითხება თიმური. ნაბის თიმურის გაოცებულ სახეზე ეცინება.

– ბატონ ვაჰდათის 1947 წლიდან 2000 წლამდე ვემსახურებოდი. 2000 წელს ის გარდაიცვალა. ანდერძით მე დამიტოვა სახლი.

– თქვენ დაგიტოვათ? – არ სჯერა თიმურს.

– დიახ, – თავს აქნევს ნაბი.

– ალბათ, მართლა ძალიან მაგარი მზარეული იყავით!

– შენ კი ძალიან ცელქი, როგორც მახსოვს.

– სიმართლის გზაზე სიარულს ჩემს ბიძაშვილს ვუტოვებ, – ხითხითებს თიმური.

მარკოსი ხელში ღვინის ჭიქას ატრიალებს და იდრისს მიმართავს:

– ნილა ვაჰდათი, ყოფილი მეპატრონის მეუღლე, პოეტი იყო. ხომ არ გსმენიათ მასზე?

– მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს დაბადებამდე დატოვა ქვეყანა.

– ის ქალიშვილთან ერთად პარიზში ცხოვრობდა, 1974 წელს თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ასე წერდნენ მასზე. ვიღაცამ მისი ლექსების გერმანული თარგმანი მომცა ერთი-ორი წლის წინ. წავიკითხე და მომეწონა, საოცარი პოეზიაა, ძალიან სექსუალური, – ამბობს გერმანელი სტუმარი.

იდრისი თავს აქნევს. ამჯერად არასრულფასოვნების განცდა აქვს, რადგან უცხოელმა უფრო მეტი იცის ავღანელი ხელოვანის შესახებ, ვიდრე მან. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით თიმური გაცხოველებით ესაუბრება ნაბის სახლების ქირის ფასის შესახებ. ფარსის ენაზე, რასაკვირველია.

– ხომ გაქვთ წარმოდგენა, რა შეგეძლოთ ასეთი სახლის გაქირავებაში აგელოთ, ნაბი-ჯან?

– როგორ არა, – სიცილით ამბობს ნაბი, – ძალიან კარგად ვიცი ქირის ფასები.

– ამ ხალხის გატყავება შეგეძლოთ!

– ჰო, მაგრამ…

– და უფასოდ შემოუშვით სახლში.

– ისინი ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად ჩამოვიდნენ, თიმურ-ჯან, თავიანთი ოჯახები მიატოვეს. მე მათი გატყავების უფლება არ მქონდა.

თიმურმა ამოიხვნეშა, დარჩენილი არაყი გადაჰკრა.

– ან ფული გძულთ, ან ჩემზე უკეთესი ადამიანი ხართ.

ოთახში ამრა შემოდის. გაცრეცილი ჯინსი და ავღანური საფირონისფერი ტუნიკა აცვია. – ნაბი-ჯან!

ამრა ლოყაზე კოცნის, მკლავს გაუყრის. ნაბი შეცბუნებულია.

– მიყვარს ეს კაცი, – მიმართავს იქ მყოფებს ამრა, – მომწონს, როცა ასე იბნევა. მერე იმავეს ნაბის ეუბნება ფარსის ენაზე. ნაბი თავს აქნევს და იცინის, ლოყებზე ალმური ედება.

– მე რომ დამაბნიოთ, არ გინდათ? – კითხულობს თიმური.

ამრა მკერდზე ხელით ეხება.

– ეს კაცი მაგარი შარია. შემდეგ მარკოსს ავღანურად სამჯერ კოცნის ლოყაზე. მერე იმავენაირად გერმანელებსაც. მარკოსი წელზე ხვევს ხელს.

– ამრა ადემოვიჩი, ყველაზე გამრჯე ქალი მთელ ქაბულში. ნუ გააბრაზებთ ამ ქალს და ნურც სმაში შეეჯიბრებით, მაინც ვერ აჯობებთ.

– რომ ვცადოთ? რას იტყვით? – ამბობს თიმური. ნაბი ბოდიშს იხდის და გადის.

მომდევნო ერთი-ორი საათის განმავლობაში იდრისი სტუმრებთან კონტაქტს ამყარებს, ყოველ შემთხვევაში ცდილობს. ბოთლებში ალკოჰოლის დონე იკლებს, სამაგიეროდ ლაპარაკის ტონი იწევს. იდრისი ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ ენებზე საუბარს უსმენს. კიდევ ერთი ჭიქა არაყი, ზედ დაყოლებული გამთბარი ლუდი და ერთ-ერთ ჯგუფთან მიდის, კალიფორნიაში ფარსის ენაზე დასწავლილ ანეკდოტს ჰყვება მოლა ომარზე, მაგრამ ანეკდოტი ინგლისურად კარგად არ ითარგმნება, არავის ეცინება. სხვა ჯგუფს უერთდება და საუბარს უსმენს. ქაბულში ირლანდიური პაბის გახსნას აპირებენ. ხალხი ფიქრობს, რომ პაბი დიდხანს ვერ იმუშავებს.

ოთახის გარშემო დადის, ხელში გამთბარი ლუდის ბოთლი უჭირავს. ასეთ შეკრებებზე თავს კარგად ვერასოდეს გრძნობს. ცდილობს, თავი რაღაცით შეიქციოს. დეკორაციებს ათვალიერებს. კედლებზე ბამიანის ბუდების(ბამიანის ბუდები – ბუდას ორი გიგანტური ქანდაკება ბამიანის პროვინციაში მდებარე ბუდისტურ კომპლექსში, რომლებიც 2001 წელს თალიბებმა გაანადგურეს.), ბუზქაშის(ბუზქაში – (სიტყვ. „თხის გადათრევა“) ავღანელთა ეროვნული ჯგუფური თამაში. ცხენოსანმა მოთამაშეებმა მოწინააღმდეგეს უნდა დაასწრონ მიწიდან დაკლული თხის (ხბოს და მისთ.) აღება და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მიტანა. ეს თამაში ძალზე პოპულარული იყო ავღანეთში და ხელისუფლების მხარდაჭერითაც

სარგებლობდა.) თამაშის, საბერძნეთის კუნძულის – ტინოს – ფოტოებია გაკრული. ტინოს შესახებ არასოდეს სმენია. შემოსასვლელში შავ-თეთრ სურათს ამჩნევს. სურათი ოდნავ ბუნდოვანია, სახლში გამჟღავნებულს ჰგავს. სურათზე ახალგაზრდა ქალს გრძელი, შავი თმა აქვს. ზურგით ობიექტივისკენ, ქვაზე ზის და ოკეანეს გასცქერის. სურათის მარცხენა კუთხე დამწვარია.

სადილად როზმარინითა და ნივრით შეზავებული ცხვრის ბარკალი, თხის ყველის სალათი და მაკარონია. მაკარონს პესტოს სოუსი აქვს გადასხმული. იდრისი ცოტაოდენ სალათს იღებს და ოთახის კუთხეში მიმჯდარი ციცქნის. ხედავს, რომ თიმური ორ მომხიბვლელ ჰოლანდიელ ქალთან ზის. თაყვანისმცემლების მიღების საათები აქვს, ფიქრობს იდრისი. რაღაცაზე იცინიან, ერთ-ერთი ქალი თიმურს მუხლზე ეხება ხელით.

იდრისი ჭიქა ღვინოს იღებს, ვერანდაზე გადის და ხის სკამზე ჯდება. ბნელა, ვერანდა მხოლოდ ორი, ჭერიდან ჩამოკონწიალებული ნათურითაა განათებული. იდრისი ბაღის სიღრმეში საცხოვრებელი სახლის მსგავსს შენობას ხედავს. იქვე ძველი, დიდი, სავარაუდოდ ამერიკული მანქანის სილუეტი იკვეთება. მოხაზულობის მიხედვით, ორმოციანი წლების მოდელია ან ორმოცდაათიანის, კარგად არ ჩანს. გარდა ამისა, მანქანებში დიდად გაწაფული არასოდეს ყოფილა. თიმური რომ იყოს მის ადგილას, უცებ ჩამოარაკრაკებდა მოდელს, გამოშვების წელს, ძრავის სიმძლავრესა და ყველა სხვა მახასიათებელს. ჩანს, რომ მანქანას

ოთხივე საბურავი აქვს. მეზობლად ძაღლი ყეფს. სახლში ლეონარდ კოენს უსმენენ.

– მშვიდი და ემოციური მუსიკაა.

ამრა მის გვერდით ჯდება. ჭიქაში ყინული ელავს. ფეხები შიშველი აქვს.

– შენი კოვბოი ბიძაშვილი წვეულების სული და გულია.

– სულაც არ მიკვირს.

– ძალიან სიმპათიურია. ცოლიანია?

– სამი შვილი ჰყავს.

– ცუდია, მაშინ თავს შევიკავებ.

– დარწმუნებული ვარ, ძალიან ეწყინება.

– მე ჩემი წესები მაქვს, – ამბობს ამრა, – გეტყობა, რომ მაინცდამაინც არ მოგწონს.

იდრისი გულწრფელად ამბობს, რომ თიმური მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანია.

– მაგრამ მის გვერდით თავს უხერხულად გრძნობ.

მართალია. უხერხულობას იწვევს. საზიზღარი ავღანელი-ამერიკელის ტიპური მაგალითია, ფიქრობს იდრისი. ომისგან განადგურებულ ქალაქში ისე დადის, გეგონებათ აქაურობის ბატონ-პატრონი იყოს, ადგილობრივებს მეგობრულად უტყაპუნებს ზურგზე ხელს, ძმებს, დებს, ბიძებს და ბიცოლებს ეძახის. მაშინაც კი, როცა მათხოვრებს ფულს ე. წ. „ბახშეშის(ბახშეში – მოწყალება.) ქისიდან“ ურიგებს, წარმოდგენას დგამს. მოხუც ქალებს ეხუმრება, „დედა“ – ასე მიმართავს, იმდენს ელაპარაკება, რომ თავისი უბედურების შესახებ იწყებენ ლაპარაკს, მერე კამერას რთავს და იწერს, სახეზე დამწუხრებულ გამომეტყველებას იწებებს, ვითომ მათთან ერთად გადაიტანა ყველაფერი, ვითომ ერთ-ერთი მათგანია, ვითომ იმ დროს, როცა აქ ყუმბარები ცვიოდა, ხალხს ქუჩებში ხოცავდნენ, აწამებდნენ და აუპატიურებდნენ, თვითონ სან-ხოსეში, გამაჯანსაღებელ კლუბში არ დადიოდა მუცლის კუნთების გასამაგრებლად. რა პირფერობაა, რა ამაზრზენია! როგორ ვერავინ ხედავს მის ნამდვილ სახეს? უკვირს იდრისს.

– რასაც ის ამბობს, არ არის სიმართლე. აქ იმიტომ ვართ, რომ მამების ქონება გადავიფორმოთ. სულ ეს არის, მეტი არაფერი.

– გგონია, არ ვიცი? ასეთი მიამიტი ვჩანვარ? თალიბებთან, საველე მეთაურებთან, ვისთან აღარ მქონია საქმე, ყველაფერი ვნახე, არაფერი მიკვირს, ჩემი გასულელება არც ისე ადვილია.

– წარმომიდგენია.

– შენ პატიოსანი კაცი ჩანხარ, – ამბობს ამრა.

– მე უბრალოდ დარწმუნებული ვარ, რომ ამდენი ჭირ-ვარამის გადამტან ხალხს, სხვა თუ არაფერი, პატივი უნდა სცენ ჩვენნაირებმა. ჩვენ ერთნი არ შეიძლება ვიყოთ, ჩვენ იღბლიანები ვართ, შორს ვიყავით მაშინ, როცა ქალაქი იბომბებოდა. რა საჭიროა თავის მოკატუნება? ან ამ ხალხის მოყოლილ ამბებზე რა უფლება გვაქვს… უჰ, უკვე ვბოდიალობ რაღაცას.

– ბოდიალობ?

– ჰო, აზრს ვეღარ ვატან სიტყვებს…

– არა, გასაგებია ყველაფერი, – ამბობს ამრა.

ღვინოს წრუპავენ, ცოტა ხანს კიდევ ლაპარაკობენ. რაც ქაბულში ჩამოვიდა, იდრისისთვის ეს პირველი გულწრფელი საუბარია, ყოველგვარ შეფარულ საყვედურსა და გაკიცხვას მოკლებული. უნდობლობას თითქმის ყოველთვის გრძნობს უბრალო ხალხისგან, მთავრობის წარმომადგენლებისა თუ ჰუმანიტარული დახმარების მუშაკებისგან. ეს კი სხვა შემთხვევაა. იდრისი ამრას სამსახურის შესახებ ეკითხება. სად არ უმუშავია თურმე: კოსოვოში, რუანდაში, კოლუმბიაში, ბურუნდიში. კამბოჯაში არასრულწლოვან მეძავებთან ვმუშაობდიო. უკვე ერთი წელია რაც ქაბულშია. ეს მისი მესამე ვადაა. პატარა საქველმოქმედო ორგანიზაციაში მუშაობს, საავადმყოფოზეა მიმაგრებული, ორშაბათობით მოძრავ კლინიკასაც უკეთებენ ორგანიზებას. ორჯერ გათხოვილა, ორჯერვე განქორწინებით დაამთავრა, შვილები არ ჰყავს. იდრისი ასაკს ვერ ხვდება, მაგრამ აშკარად უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ჩანს.

სიყვითლეშეპარული კბილებისა და შეშუპებული უპეების მიუხედავად, ჯერ კიდევ ლამაზია. ოთხ-ხუთ წელში ასეთიც აღარ იქნება, ფიქრობს იდრისი. მერე ამრა ამბობს:

– გაინტერესებს, როშის რა შეემთხვა?

– ვალდებული არ ხარ, რომ მომიყვე.

– მთვრალი გგონივარ?

– ხარ?

– ცოტა, – ამბობს ის, – მაგრამ შენ პატიოსანი კაცი ჩანხარ.

მხარზე რბილად არტყამს ხელს, ოდნავ შესამჩნევი კეკლუცობით.

– შენ ნამდვილი მიზეზები გაქვს. სხვები, შენგან განსხვავებით, დასავლეთიდან ჩამოსული ავღანელები, როგორ ამბობთ? კისერმოდუნულები უყურებენ ყველაფერს.

– კისერწაგრძელებულები.

– ჰო, გეგონება, პორნოგრაფია იყოს. მაგრამ შენ კარგი ბიჭი ხარ.

– თუ მომიყვები, საჩუქრად მივიჩნევ, – ამბობს იდრისი.

და უყვება.

როში მშობლებთან, ორ დასთან და უმცროს ძმასთან ერთად ქაბული-ბაგრამის გზაზე, მესამე სოფელში ცხოვრობდა. გასული თვის ერთ პარასკევს მამამისის უფროსი ძმა ესტუმრათ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში როშის მამას და ბიძას დავა ჰქონდათ იმ სახლზე, სადაც როში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ბიძა დარწმუნებული იყო, რომ სახლი მას ეკუთვნოდა, რადგან უფროსი ძმა იყო, მაგრამ სახლი ძმების მამამ უმცროს საყვარელ შვილს დაუტოვა.

იმ დღეს ყველაფერი კარგად მიდიოდა. როშის ბიძამ თქვა, რომ დავის დასრულება უნდოდა. როშის დედამ ორი ვარია დაკლა, დიდი ქვაბით ქიშმიშიანი ფლავი მოამზადა, ბაზარში ბროწეული იყიდა. როცა ბიძა მოვიდა, როშის მამამ გადაკოცნა, მაგრად მოეხვია და ლამის ხელში აიტაცა. როშის დედამ შვების ცრემლები წამოყარა. სადილად დასხდნენ. ყველამ ორ-სამჯერ მოითხოვა დამატება, ბროწეულიც მიირთვეს, ბოლოს მწვანე ჩაი და ირისის კანფეტი დააყოლეს. ბიძამ ბოდიში მოიხადა და საპირფარეშოში გავიდა.

როცა დაბრუნდა, ხელში ნაჯახი ეჭირა. – ისეთი, ხეებს რომ ჭრიან, – ამბობს ამრა.

პირველი მსხვერპლი როშის მამა იყო. ისე წავიდა, აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო. არაფერი დაუნახავსო, მითხრა როშიმ. უკნიდან ერთი ძლიერი დარტყმით თავი მოჰკვეთა. შემდეგი როშის დედა იყო. დედამ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ რამდენჯერმე ნაჯახის მოქნევა და სამუდამოდ დადუმდა. ბავშვები კიოდნენ და წიოდნენ, გაქცევას

ცდილობდნენ. როშიმ დაინახა, რომ მისი დები შემოსასვლელისკენ გაიქცნენ, ბიძა გაეკიდა, ერთი თმით დაითრია და იატაკზე დააგდო. მეორემ თითქმის მიაღწია გასასვლელს, ბიძამ კარი ფეხით ჩალეწა – კივილი და მერე სიჩუმე. როში ძმასთან ერთად უკანა ეზოში გავარდა. თავზარდაცემულებს აღარ გაახსენდათ, რომ ეზოდან გასასვლელი არ იყო, მაღალ კედელზე კი ვერ გადაძვრებოდნენ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ, სანამ ბიძა ხელს წაატანდა, როშის ხუთი წლის ძმა გახურებულ თონეში ჩახტა, რომელშიც დედა სულ ცოტა ხნის წინ პურს აცხობდა. როცა როშიმ ძმის კივილი გაიგო და დაინახა, როგორ გაეხვა ცეცხლის ალში, წაბორძიკდა და დაეცა. ზურგზე გადატრიალდა, ლურჯი ცა და მოქნეული ნაჯახი დაინახა. და მერე არაფერი.

ამრა ჩერდება. სახლიდან ლეონარდ კოენის Who By Fire-ის ცოცხალი შესრულების ჩანაწერი ისმის.

ლაპარაკი რომ შეძლებოდა იდრისს, თუმცა იმ მომენტში არ შეეძლო, მაინც ვერ მოძებნიდა შესაფერის სიტყვებს. რაღაცას კიდევ მოახერხებდა, ბრაზს მაინც გადმოანთხევდა, ეს თალიბებს, ალ-კაიდას, ან რომელიმე განდიდების მანიით შეპყრობილ მოჯაჰედ!(მოჯაჰედი – ის, ვინც ჯიჰადს – „საღვთო ომს“ ეწევა. ეს ტერმინი ფართო გაგებით გამოიყენება იმ მუსლიმი შეიარაღებული დაჯგუფებებისა და მებრძოლების მიმართ, რომლებიც ისლამური რადიკალიზმით გამოირჩევიან. ავღანეთ-სსრკ-ს ომის დროს ავღანელი მოჯაჰედები ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან ასოცირდებოდნენ.) მეთაურს რომ ჩაედინა.

ვერავის დააბრალებდი, ვერც ჰექმათიარს, ვერც მოლა ომარს, ბინ ლადენს ან ბუშს და მის ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს. ტრივიალური, აბსოლუტურად ყოფითი მიზეზი კიდევ უფრო შემზარავს ხდის ამ დანაშაულს. სიტყვა „უაზრო“ ჩნდება მის გონებაში. „უაზრო მკვლელობა“, „უაზრო ძალადობის აქტი“… გეგონებათ, აზრიანი მკვლელობა ან ძალადობა არსებობდეს.

როში ახსენდება, საავადმყოფოში კედელთან მიდგმულ საწოლზე ორად მოკეცილი, მოკრუნჩხული ფეხის თითებით და ინფანტილური გამომეტყველებით. გადაპარსული თავის თხემზე უშველებელი ნახეთქი აქვს. ნახეთქიდან მუშტის სიმსხო ტვინის პრიალა ქსოვილი თავზე ისე აქვს წამომჯდარი, სიქჰის(სიქჰი – ინდოეთის ერთ-ერთი რელიგიური სექტის მიმდევარი.) ჩალმის კვანძი გეგონებათ.

– თვითონ მოგიყვა?

– ყველაფერი ნათლად ახსოვს, ყოველი დეტალი. დაწვრილებით შეუძლია მოყოლა. ნეტავ, დაავიწყდებოდეს, კოშმარები სტანჯავს.

– ძმას რა მოუვიდა? – ძალიან დიდი დამწვრობა აქვს. – ბიძას?

ამრა მხრებს იჩეჩავს.

– ფრთხილად იყავიო, მეუბნებიან. სამსახურში მაფრთხილებენ, ნუ ჩაერევიო, მაგრამ მე და როში…

უეცრად მუსიკა ჩერდება. სინათლე ქრება. რამდენიმე წუთით ბნელდება და იქაურობა მთვარის იმედზე რჩება. სახლიდან ხალხის ვიშვიშის ხმა გამოდის. მალე ჰალოგენური ფანრები ინთება.

– მე ვიბრძვი, – ამბობს ამრა. თვალები დახრილი აქვს. – არ გავჩერდები.

მეორე დღეს თიმური გერმანელებთან ერთად ისთალიფში მიდის მანქანით. ეს ქალაქი მეთუნეობითაა ცნობილი.

– შენც უნდა წამოხვიდე, – ამბობს თიმური. – არა, სახლში დავრჩები და წავიკითხავ. – კითხვა სან-ხოსეშიც გეყოფა, ძმაო.

– დასვენება მჭირდება, წუხელ ძალიან ბევრი დავლიე.

გერმანელებმა თიმური მანქანაში ჩაისვეს და წავიდნენ. იდრისი საწოლში წევს და კედელზე დაკიდებულ 60-იანი წლების ფერგადასულ სარეკლამო პლაკატს უცქერის. ოთხი ქერა ტურისტი ბანდ-ე ამირის ტბის გასწვრივ სეირნობს – წარსულის ნაშთი, მისი ბავშვობის ხანიდან, სანამ ქაბულში ომები დაიწყებოდა, სანამ მისი ოჯახი აქედან აიკრიფებოდა. შუადღისას სასეირნოდ გადის. პატარა რესტორანში შედის და ქაბაბს უკვეთავს. უნდა, რომ გემრიელად ისადილოს. შუშის ვიტრინიდან პატარა პირდაუბანელი ბიყები უყურებენ. როგორ გინდა, რომ შეგერგოს! ამის ატანა შეუძლებელია! თიმური სულ სხვაგვარად მოიქცეოდა, ფიქრობს იდრისი. ბავშვებთან გავიდოდა, ინსტრუქტორ-სერჟანტივით დაუსტვენდა და პატარა მათხოვრებს მწყობრში ჩააყენებდა. მერე „ბახშეშის ქისას“ გახსნიდა და ცოტა ფულს დაარიგებდა. თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე მიაწოდებდა, ქუსლს ქუსლზე მიარტყამდა და სამხედრო სალამს მისცემდა. ბავშვებიც სალამს დაუბრუნებდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ მოეწონებოდათ ბავშვებს ეს თამაში, ზოგი ქაქას დაუძახებდა, ზოგი ფეხებზე მოეხვეოდა.

სამხარის შემდეგ იდრისი ტაქსის აჩერებს და მძღოლს საავადმყოფოში წაყვანას სთხოვს.

– გზაში ბაზართან გამიჩერე, – ეუბნება.

ყუთით ხელში დერეფანს გაივლის, კედლებზე რაღაცები ხატია, ოთახები ერთმანეთისგან ცელოფნის ფარდებითაა გამოყოფილი, მის წინ ფეხშიშველა მოხუცი მიფრატუნებს, ცალი თვალი ახვეული აქვს. ოთახებში ნათურები არ ინთება, სიცხით იხუთება იქაურობა, დაუბანელი სხეულის მძაღე სუნი დგას. დერეფნის ბოლოს, ოთახის ფარდასთან ჩერდება. გული ცუდად უხდება – როში საწოლის კიდეზე ზის, ამრა მის წინაა ჩაცუცქული და კბილებს უხეხავს.

საწოლის მეორე მხარეს გამხდარი, მზეზე გარუჯული კაცი ზის. კაცს აბურდული წვერი და დაუვარცხნელი თმა აქვს. იდრისი ოთახში შედის, კაცი იმ წამსვე ფეხზე დგება. ხელი მკერდთან მიაქვს და თავს უხრის. იდრისი გაოცებულია, რა სწრაფად ხვდებიან ქაბულელები, რომ გაამერიკელებული ავდანელია. რა სწრაფად შეიძლება ამ ქალაქში ფულისა და ძალაუფლების გამო დაუმსახურებელი პრივილეგიის მოპოვება.

– მე როშის ბიძა ვარ, დედის მხრიდან, – ამბობს კაცი.

– დაბრუნდი? – ამბობს ამრა და ჯაგრისს წყლით სავსე თასში ყოფს.

– არა უშავს?

– არა უშავს, რატომაც არა.

– სალამი, როში, – ამბობს იდრისი.

გოგონა ამრას თვალებით ნებართვას სთხოვს. მერე გაუბედავი, დაბალი ხმით ამბობს:

– სალამი.

– საჩუქარი მოგიტანე.

იდრისი ყუთს ხსნის და პატარა ტელევიზორსა და ვიდეომაგნიტოფონს იღებს, როშის თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალი ბრუნდება.

– ოთხი ფილმი გიყიდე. მაღაზიაში ინდური, აღმოსავლეთის საბრძოლო ხელოვნებაზე გადაღებული და სათავგადასავლო ფილმები იყო, ლის, ჟან-კლოდ ვანდამის, სტივენ სიგალის მონაწილეობით. ბოლოს მაინც ვიპოვე, რაც მინდოდა: „უცხოპლანეტელი“, „ოთხფეხა პატარა“, „სათამაშოს ისტორია“ და „რკინის გოლიათი“, ყველა ნანახი მაქვს ჩემს შვილებთან ერთად.

– რომელი ფილმი გირჩევნია? – ფარსის ენაზე ეკითხება ამრა როშის. როში „რკინის გოლიათს“ ირჩევს.

– ძალიან მაგარია, – იდრისი პირდაპირ ვერ უყურებს როშის. თვალი როშის თავზე წამოსკუპებული ტვინის პრიალა ქსოვილისკენ, ერთმანეთში გადახლართული კაპილარებისა და ძარღვებისკენ გაურბის.

დერეფნის ბოლოს შტეფსელი არ არის. ამრას საიდანღაც დამაგრძელებელი მოაქვს. როცა იდრისი ვიდეომაგნიტოფონს აერთებს და ეკრანზე გამოსახულება ჩნდება, როშის სახეზე ღიმილი ეფინება. იდრისი უცქერის და ფიქრობს, რა ცოტა იცის ამქვეყნის ველურობის, უმოწყალობისა და უსაზღვრო სისასტიკის შესახებ!

ამრა ბოდიშს იხდის და სხვა პაციენტების მოსანახულებლად გადის. იდრისი როშის გვერდით ჯდება საწოლზე, მასთან ერთად უყურებს ფილმს. ბიძის როლი გაუგებარია, ჯერჯერობით ჩუმადაა. შუა ფილმზე სინათლე ქრება. როში ტირილს იწყებს. ბიძა სკამიდან იწევს და როშის უხეშად ქაჩავს ხელზე. პუშტუს ენაზე რაღაცას მოკლედ, ჩურჩულით ეუბნება. იდრისმა ეს ენა არ იცის. როშის სახე ეცვლება, ხელის გათავისუფლებას ცდილობს. იდრისი ბიძის დაძარღვულ მჯიღში მოქცეულ როშის პატარა ხელს უცქერის. დგება და ქურთუკს იცვამს.

– ხვალ ისევ მოვალ, როში, სხვა ფილმს ვუყუროთ. გინდა?

როში გადასაფარებლის ქვეშ იკუნტება. იდრისი ბიძას უყურებს. ნეტავ, ახლა თიმური რომ იყოს აქ, რას იზამდა? მისგან განსხვავებით, თიმურს

ემოციის მოთოკვა არ შეუძლია. „ათი წუთი მარტო დამტოვე ამ კაცთან“, – იტყოდა თიმური.

იდრისი გარეთ გადის. ბიძა უკან მიჰყვება. კიბეზე ჩასვლისას ისეთ რაღაცას ამბობს, რომ იდრისი გაოგნებულია:

– აქ ნამდვილი მსხვერპლი მე ვარ, საჰიბ. ალბათ იდრისის სახის გამომეტყველების გამო ხვდება, რომ შეცდომა დაუშვა.

– რასაკვირველია, ისაა მსხვერპლი, მაგრამ მეც, მასთან ერთად. თქვენ გამიგებთ, თქვენ ავღანელი ხართ. ამ უცხოელებს არაფერი ესმით.

– უნდა წავიდე.

– მე მაზდური(მაზდური – დღიური მუშა.) ვარ, უბრალო მუშა. დღეში ერთ-ორ დოლარს ვშოულობ, საჰიბ, თან ხუთი შვილი მყავს. ერთი ბრმაა. ახლა ეს… ხვნეშის. ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, – ღმერთო, მომიტევე, იქნებ ალაჰს უნდა გაეშვა როში… ხომ გესმით, იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. ერთი მითხარით, საჰიბ, რომელი ბიჭი ითხოვს? ქმარი არასდროს ეყოლება. ვინ მიხედავს? მე მომიწევს, მე, სამუდამოდ.

იდრისი ხვდება, რომ კუთხეში მოიქციეს. საფულეს იღებს. – რასაც გაიღებთ, როშისთვის იქნება, საჰიბ, ჩემთვის კი არა.

იდრისი რამდენიმე კუპიურას აწვდის. ბიძა თვალებს ახამხამებს. ფულს უყურებს და რაღაცის თქმას აპირებს. მერე ხვდება, რომ მოკეტოს. იქნებ შეეშალა და იმდენი არ ქნას, რომ მიახვედროს.

– წესიერი ფეხსაცმელი უყიდე, – ამბობს იდრისი და კიბეზე ჩადის. – ალაჰმა დაგლოცოთ, საჰიბ, – დაეწია ბიძის ხმა, – კარგი კაცი ხართ, კეთილი და კარგი.

იდრისს საავადმყოფოში სიარული ჩვეულებად ექცა. ყოველდღე, როგორც წესი, როშისთანაა. დამლაგებლებს, პირველი სართულის მედდმებს, კარისკაცს, დაცვის ნახევრად

მშიერ, გადაქანცულ ბიჭებს, ყველას სახელებით მიმართავს. ცდილობს, რომ არავინ გაიგოს მისი ვიზიტების შესახებ, ოკეანისგადაღმა საუბრების დროს ნაჰილს არაფერს უმხელს. არც თიმურმა იცის, რატომ არ მიჰყვება იდრისი ფაღმანში შინაგან საქმეთა მინისტრთან დაგეგმილ ოფიციალურ შეხვედრაზე. მაგრამ თიმური რის თიმურია, რამე გაუგებელი რომ დარჩეს.

– კარგ გზას ადგახარ, ძმაო, თუმცა ფრთხილად იარე. – ანუ ვიზიტები შევწყვიტო. – ერთ კვირაში მივდივართ. ძალიან ნუ მიიჩვევ.

იდრისი თავს აქნევს. ალბათ თიმურს მისი როშისთან ურთიერთობის შურს. ცოტა ნაწყენიც იქნება, რადგან გმირის გათამაშების კიდევ ერთი შანსი დაკარგა. წარმოიდგინეთ, შენელებული კადრი – თიმური ალმოდებული შენობიდან ბავშვით ხელში გამოდის. აღფრთოვანებული ხალხი ტაშს უკრავს. იდრისს გადაწყვეტილი აქვს, საშუალება არ მისცეს თიმურს, რომ როშის ამბავი მსგავსი სცენის დასადგმელად გამოიყენოს.

ერთი მხრივ, თიმური მართალია. ერთი კვირაც და სახლში წავლენ. როში კი უკვე „ქაქას“ ეძახის. ცოტა თუ შეაგვიანდა იდრისს, აღელვებულია, დაინახავს და ორივე ხელით წელზე ეხვევა, სახეზე შვების ღიმილი უთამაშებს; ზოგჯერ, ვიდეოს ყურების დროს, ორივე ხელით ეჭიდება იდრისის ხელს. ამქვეყნად მის დანახვაზე მეტად არაფერი ახარებს. როცა მასთან არ არის, იდრისს ხშირად ახსენდება ხოლმე როშის ქერა ღინღლით დაფარული მკლავები, ვიწრო, თაფლისფერი თვალები, ლამაზი ფეხის თითები და მრგვალი ლოყები. ნიკაპს ხელებში მოიქცევს ხოლმე და ისე კითხულობს იდრისის ნაჩუქარ წიგნებს. წიგნებს იდრისი ფრანგული

ლიცეუმის გვერდით, წიგნის პატარა მაღაზიაში ყიდულობს. ერთი-ორჯერ საკუთარმა ოცნებამ გაიტაცა და წარმოიდგინა, როგორ ჩაჰყავს როში შტატებში. ნეტავ, ბავშვებს, ზაბის და ლემარს, როგორ შეეგუება? მესამე შვილსაც გეგმავენ ის და ნაჰილი.

– ახლა რა იქნება? – ეკითხება ამრა იდრისს მისი გამგზავრების წინა დღეს.

ცოტა ხნის წინ როშიმ საავადმყოფოს „ტემპერატურის ფურცელზე“ ფანქრით დახატული სურათი გადასცა. სურათზე ორი ფიგურა ტელევიზორს უყურებს. იდრისმა ერთ-ერთს, გრძელთმიანს, დაადო ხელი.

– ეს შენ ხარ?

– და ეს შენ, ქაქა იდრის.

– ადრე გრძელი თმა გქონდა?

– ჩემი და მვარცხნიდა ყოველღამე. იმას კარგად გამოსდიოდა, არ მტკიოდა.

– კარგი და გყავდა. თმა რომ გაგეზრდება, შენ თვითონ დაივარცხნი. რა კარგი იქნება!

– არ წახვიდე, ქაქა, არ დამტოვო.

– რა ტკბილი ბავშვია, – ეუბნება იდრისი ამრას, – რა თავმდაბალია, რა კარგადაა აღზრდილი. – შვილები ახსენდება და სინდისი ქენჯნის. ზაბიმ და ლემარმა დიდი ხანია გამოაცხადეს, რომ არ მოსწონთ თავიანთი ავღანური სახელები. თანდათან პატარა ტირანებს, ქედმაღალ ამერიკელ ბავშვებს ემსგავსებიან. არადა, როგორ არ უნდოდათ მას და ნაჰილს, შვილები ასე რომ აღეზარდათ.

– იღბლიანია, გადარჩა, – ამბობს ამრა.

– ჰო.

ამრა კედელს ეყრდნობა. სანიტრებს საკაცით ახალგაზრდა კაცი შემოჰყავთ. თავის სახვევი სისხლითაა გაჟღენთილი, თეძოზე ღია ჭრილობა აქვს.

– ავღანელები ამერიკიდან და ევროპიდან ხშირად მოდიან, სურათებს, ვიდეოს უღებენ, რაღაცებს გვპირდებიან. მერე მიდიან და რაც გადაიღეს, ოჯახის წევრებს ათვალიერებინებენ, თითქოს ზოოპარკის ცხოველი იყოს. მე

იმიტომ ვრთავ შემოსვლის ნებას, რომ ვფიქრობ, იქნებ რომელიმე მათგანი ვინმეს მართლა დაეხმაროს, მაგრამ მიდიან და ავიწყდებათ, ველარაფერს ვიგებ მათ შესახებ. და კიდევ ერთხელ გეკითხები: – ახლა რა იქნება?

– ოპერაციას გულისხმობ? ძალიან მინდა, რომ მოვაგვარო და მოვაგვარებ.

ამრა ეჭვის თვალით უყურებს. იდრისი მაინც აგრძელებს.

– ნეიროქირურგიული კლინიკის უფროსს დაველაპარაკები. ყველაფერს გავაკეთებ. ოპერაციისთვის კალიფორნიაში გადავიყვანთ.

– ჰო, მაგრამ ფული?

– დაფინანსებას მოვიპოვებთ. ბოლოს და ბოლოს, მე გადავიხდი, ჩემი საფულედან.

– „ჩემი საფულედან“ კი არა, „ჩემი ჯიბიდან“.

იდრისს ეცინება.

– ჰო, როგორც არის.

– მაგრამ ბიძის ნებართვა დაგვჭირდება.

– კი, თუ ოდესმე გამოჩნდა.

მას მერე, რაც იდრისმა ორასი დოლარი აჩუქა, ის აღარავის უნახავს.

ამრა იღიმის. იდრისს მსგავსი რამ არასოდეს განუცდია. უკანმოუხედავად გადაეშვა ვალდებულებების ზღვაში. არის ამაში რაღაც მათრობელა, ამაღელვებელი, ეიფორიულიც კი. ლამის სუნთქვა შეეკრას, მისდა გასაოცრად თვალზე ცრემლი ადგება.

– Hvala, – ამბობს თავის ენაზე ამრა, – მადლობა, – ფეხის წვერებზე დგება და ლოყაზე კოცნის.

– ჰოლანდიელი გოგო დავკერე წვეულებაზე, – ამბობს თიმური.

იდრისს თავი ფანჯარაზე აქვს მიბჯენილი და ერთმანეთზე მიწყობილი ჰინდუქუშის მთების მწვერვალების ცქერით ტკბება. თიმურისკენ ტრიალდება.

– წაბლისფერთმიანი. ნახევარი აბი ვიაგრა მქონდა ჩაყლაპული და ისე დავუბერე, რომ დილის ნამაზამდე არ გავჩერებულვარ.

– ღმერთო! როდესმე გაიზრდები? – იდრისი ცოტა გაღიზიანებულია. თიმურმა კიდევ ერთხელ აჰკიდა ღალატის, ორგულობის, ქარაფშუტული საქციელის საიდუმლოდ შენახვის ტვირთი.

თიმური ხითხითებს. – დაიმახსოვრე, ძმაო, რაც ქაბულში ხდება… – კარგი რა, ნუ დაამთავრებ მაგ წინადადებას.

თიმური გულიანად იცინის.

თვითმფრინავის უკანა ნაწილში რაღაცას ზეიმობენ. ვიღაც პუშტუს ენაზე მღერის, ვიღაც ერთჯერად თეფშზე თითებით კაკუნს დაირასავით აყოლებს სიმღერას.

– მოხუცი ნაბიც ვნახეთ, არ მჯერა, – ჩურჩულებს თიმური, – ღმერთო… იდრისმა გულის ჯიბიდან საძილე აბი ამოიღო და უწყლოდ გადაყლაპა.

– ერთ თვეში უკან ვბრუნდები, – ამბობს თიმური. ხელებს მკერდზე იჯვარედინებს და თვალებს ხუჭავს.

– შეიძლება რამდენჯერმე კიდევ მოგვიხდეს ჩამოსვლა, მაგრამ ეგ არაფერი, საქმე კარგად იქნება.

– იმ კაცს ენდობი? ფარუქს.

– არა, მაგიტომაც ვბრუნდები უკან.

ფარუქი ადვოკატია, თიმურმა დაიქირავა. ის დევნილობაში მყოფი ავღანელებისთვის ქონების დაბრუნებაზე მუშაობს. ფარუქი საბუთებს მოამზადებს. იმედია, მოსამართლე

ფარუქის ცოლის გარე ბიძაშვილი იქნება. იდრისი საფეთქლით ფანჯარას ებჯინება, მალე წამალი იმოქმედებს.

– იდრის, – ხმადაბლა ამბობს თიმური.

– ჰო.

– ეს რა იყო, ა? რა სამწუხარო რადაცები ვნახეთ.

– აბაა, – ამბობს იდრისი. „რა გამჭრიახი ხარ!“, – ფიქრობს თავისთვის.

– ათასი ტრაგედია ყოველ კვადრატულ მილზე.

მალე გამოსახულება ბუნდოვანდება, ძილი ეკიდება… როგორ დაემშვიდობა როში, როგორ

უჭერდა ხელზე თითებს, წელზე ეხვეოდა და ერთმანეთს კიდევ ხომ ვნახავთო? – სლუკუნებდა.

სან ფრანცისკოს საერთაშორისო აეროპორტიდან სახლისკენ გზაზე იდრისი ღიმილით იხსენებს ქაბულის არანორმალურად გადატვირთულ სამანქანო მოძრაობას. ახლა ცოტა ეუცნაურება კიდეც სამხრეთისკენ ლარივით გადაჭიმულ 101-ე გზაზე ლექსუსით სრიალი. ირგვლივ ყველგან საგზაო ნიშნებია, მგზავრები ზრდილობიანები არიან, ნიშანს გაძლევენ, გზას გითმობენ… ნეტავ, როგორ ანდობდნენ ის და თიმური თავიანთ სიცოცხლეს ქაბულის არასრულწლოვან, თავზეხელაღებულ ტაქსის მძღოლებს?!.

ნაჰილი კითხვებს აყრის. ქაბული უსაფრთხო იყო? საჭმელზე რას იტყვი? ხომ არ გაწყინა? ფოტოები და ვიდეო თუ გადაიღე? იდრისი ცდილობს, რაც შეიძლება ამომწურავი პასუხები

გასცეს. უყვება დაბომბილი სკოლების, უსახლკაროების, მათხოვრების, ტალახიანი ქუჩების, უშუქობის შესახებ, მაგრამ ემოციას ვერ აქსოვს. მისი თხრობა მუსიკის აღწერას ჰგავს. ცოცხალ, ამაღელვებელ ნიუანსებს ტოვებს. მაგალითად, ნანგრევებს შორის ბოდი-ბილდინგის სავარჯიშო დარბაზის ფანჯარაზე აკრულ შვარცენეგერის ფოტოს. ისე ლაპარაკობს, გეგონებათ „Associated Press“-ის უფერულ, საინფორმაციო სტატიას კითხულობდეს.

უკანა სავარძლიდან ბიჭები უსმენენ, ან ვითომ უსმენენ. იდრისი გრძნობს, რომ მოსწყინდათ, არ აინტერესებთ. რვა წლის ზაბი დედას ფილმის ჩართვას სთხოვს. ორი წლით ზაბიზე უფროსი ლემარი ცოტა ხანს კიდევ ითმენს, მალე იდრისს მისი Nintendo DS(იაპონური

კომპანიის, „ნინტენდოს“ ორეკრანიანი სათამაშო მოწყობილობა.)-იდან მანქანების გუგუნის ხმა ესმის.

– რა გემართებათ? – უწყრება ბიჭებს ნაჰილი, – მამათქვენი ეს-ესაა ქაბულიდან დაბრუნდა. არაფერი გაინტერესებთ?

– არა უშავს, შეეშვი, ითამაშონ, – ამბობს იდრისი. ხვდება, რომ არ აინტერესებთ. მაგრამ აღიზიანებს გენეტიკურ ლატარეაში მოგებული პრივილეგიების მიმართ მათი ასეთი უდარდელი დამოკიდებულება. გრძნობს, რომ ბზარი გაჩნდა მას და მის ოჯახს შორის. ნაჰილიც მხოლოდ რესტორნების შესახებ უსვამს კითხვებს. ჰო, და კიდევ აინტერესებს, როგორ ცხოვრობენ შიდა გაყვანილობის გარეშე. ახლა იდრისი საკუთარ ოჯახს ისეთივე გამკიცხავი თვალებით უყურებს, როგორც მას უყურებდნენ ქაბულში.

– შიმშილით ვკვდები, – ამბობს ის. – რას შეჭამ? „სუში“ თუ იტალიური? ოქრიჯთან ახალი სასადილო გახსნეს. – ავღანური საჭმელი მინდა, – ამბობს იდრისი.

„აბეს ქაბაბის სახლში“ მიდიან, სან-ხოსეს ჩრდილოეთით, ბერიესას ძველმანების ბაზრობის მახლობლად. მეპატრონე, აბდულა, ჭაღარათმიანი, ორმოცდაათს გადაცილებული კაცია. გრძელი, აპრეხილი ულვაში და ძლიერი ხელები აქვს. ის და მისი ცოლი იდრისის პაციენტები არიან. აბდულა დახლის უკან დგას. ხედავს, რომ იდრისი და მისი ოჯახი შემოვიდა, მაშინვე ხელს უქნევს. „აბეს ქაბაბის სახლი“ პატარა, ოჯახური რესტორანია. სულ რვა მაგიდა დგას. ყოველ მაგიდაზე მუშამბაა გადაფარებული, ზედ ლამინირებული მენიუ დევს. კედლებზე ავღანეთის პლაკატებია გაკრული. კუთხეში გაზიანი წყლის ძველი აპარატი დგას. აბდულა სტუმრებს ეგებება. მისი ცოლი, სულთანა, სამზარეულოს ნამდვილი ჯადოქარია. ახლა სულთანა სამზარეულოშია და რაღაცას აკეთებს. თავზე ბადისებრი თავსაფარი აქვს წაკრული, დახრილია, ორთქლისგან თვალები ეჭუტება. ის და აბდულა პაკისტანში 1970 წელს, ავღანეთში კომუნისტების შეჭრის შემდეგ დაქორწინდნენ. 1982 წელს ამერიკამ თავშესაფარი მისცა. იმავე წელს გოგონა შეეძინათ. მას ფარი დაარქვეს.

შეკვეთებს ახლა ფარი იღებს. ის მეგობრული და თავაზიანია. დედამისივით თეთრი სახის კანი აქვს, თვალები მტკიცე ხასიათს ასხივებს. წელს ზევით თხელი და ნაზია, წელს ქვევით – მსუქანი და მოუქნელი. ფართო თეძოები,

სქელი ბარძაყები და უხეში კოჭები აქვს. ახლა ყოველდღიური ფართო ქვედატანი აცვია.

იდრისმა და ნაჰილმა ცხვრის ხორცი, ბრინჯი და ბოლანი შეუკვეთეს. ბიჭები ჩაფლი ქაბაბს(ჩაფლი ქაბაბი – ქაბაბის ნაირსახეობა, მრგვალი და ბრტყელი ფორმის. მზადდება საქონლის ხორცისგან და ინგრედიენტებით კოტლეტს ჰგავს.) ირჩევენ, მენიუში ჰამბურგერთან მიახლოებული მეტი ვერაფერი ნახეს. შეკვეთის მოტანას უცდიან. ზაბი ამბობს, რომ მათი ფეხბურთის გუნდი ფინალში გავიდა და კვირას მატჩი იმართება. ის მარჯვენა ფრთაზე თამაშობს. ლემარი შაბათს გიტარაზე უკრავს, კონცერტი აქვს.

– რას უკრავ? – უხალისოდ ეკითხება იდრისი. მგზავრობის შემდეგ გადაქანცულია.

– „შეღებე შავად“.

– მაგარია.

– რაღაც არ მგონია, რომ საკმარისად ივარჯიშე, – ფრთხილად საყვედურობს ნაჰილი.

ლემარი ხელსაწმენდს მაგიდაზე აგდებს.

– დედა, შენ რა იცი მთელი დღე რას ვაკეთებ? ძალიან ბევრი საქმე მაქვს!

სადილობის დროს მათთან აბდულა მიდის. ხელებს წელზე შემოხვეულ წინსაფარზე იწმენდს. საჭმელი თუ მოგწონთ, ან კიდევ რამეს ხომ არ ინებებთო, ეკითხება.

– მე და თიმური ახლახან ჩამოვედით ქაბულიდან, – ამბობს იდრისი. – მართლა? რას შვრება თიმურ-ჯან?

– კარგს არაფერს, როგორც ყოველთვის.

აბდულა იცინის. იდრისმა იცის, როგორ უყვარს აბდულას თიმური.

– ქაბაბის ბიზნესი როგორ მიდის?

აბდულა ოხრავს.

– ექიმო ბაშირ, ვინმეს დაწყევლა რომ მინდოდეს, ღმერთმა რესტორანი მოგცეს-მეთქი, ვეტყოდი.

მოგვიანებით, როცა რესტორნიდან გამოდიან და ჯიპში სხდებიან, ლემარი მამას ეკითხება: – მამა, ყველას უფასოდ აჭმევენ აქ? – არა, რასაკვირველია, – პასუხობს იდრისი.

– აბა, ფული რატომ არ გამოგართვა?

– იმიტომ, რომ ჩვენ ავღანელები ვართ და ის ჩემი პაციენტია, – ამბობს იდრისი. ნაწილობრივ მართალია, მაგრამ სინამდვილეში, მიზეზი ისაა, რომ თიმური მისი ბიძაშვილია. წლების წინ, როცა აბდულა რესტორანს ხსნიდა, თიმურმა ასესხა ფული.

სახლში რომ შედიან იდრისი გაოცებულია, რადგან დიდი ოთახისა და შესასვლელის იატაკიდან ხალიჩა აღებულია. კიბის საფეხურებზე ფიცრებიდან ლურსმნებია ამოჩრილი. მერე ახსენდება, რომ რემონტი აქვთ წამოწყებული. ხალიჩებს ალუბლის ხის ფართო ფიცრებით ცვლიან. ფიცრების დასაგებად დაქირავებულ ფირმას რომ ჰკითხო, იატაკი „ჩაიდნის სპილენძისფერი“ იქნებაო. სამზარეულოში კარადების კარები ზუმფარითაა გახეხილი, სადაც ძველი მიკროტალღური ღუმელი იდგა, ახლა სიცარიელეა. ნაჰილი ამბობს, რომ ორშაბათობით ნახევარ დღეს მუშაობს და ამიტომ იატაკის დამგებს და ჯეისონს შეხვდება.

– ჯეისონს? – მერე ახსენდება, ჯეისონ სპიერი, საოჯახო კინოთეატრის მემონტაჟე.

– ჰო, ზომების ასაღებად მოდის. ხმის გამაძლიერებელი და პროექტორი ფასდაკლებით გვიშოვა. სამი ბიჭი მოვა და ოთხშაბათს მონტაჟს დაიწყებენ.

იდრისი თავს აქნევს. საოჯახო კინოთეატრი მისი იდეა იყო, მაგრამ ახლა დაბნეულია, თავის თავს ვეღარაფერთან აკავშირებს. ჯეისონ სპიერი, ახალი კარადები და „ჩაიდნის სპილენძისფერი“ პარკეტი, ბიჭების 160-დოლარიანი მაღალყელიანი სპორტული ფეხსაცმელი, საძინებელში ძვირფასი ქსოვილის ქსოვილის გადასაფარებლები – რა ენერგია წაიღო ამ ყველაფერმა! რა უაზრობაა სინამდვილეში! მხოლოდ ქაბულში განცდილსა და მის ცხოვრებას შორის ამოუვსები უფსკრულის უფრო კარგად დასანახად თუ გამოდგება.

– რა მოგდის, საყვარელო?

– დავიღალე, ცოტას წავუძინებ.

შაბათს ლემარის კონცერტს ესწრება, კვირას – ზაბის მატჩს, მეორე ნახევრიდან გამოდის და მანქანაში ნახევარი საათი თვლემს. თავს იმშვიდებს, ალბათ ზაბი ვერ შეამჩნევს. კვირას საღამოს რამდენიმე მეზობელი მოდის სადილზე. ქაბულის სურათებს ათვალიერებენ, მერე ნაჰილი ერთსაათიან ვიდეოს ურთავს. იდრისს აზრს ეკითხებიან ავღანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. იდრისი მოჰიტოს წრუპავს და მოკლე პასუხებს სცემს.

– წარმოდგენაც კი მიჭირს, – ამბობს სინთია. ის პილატესის ინსტრუქტორია სავარჯიშო დარბაზში, სადაც ნაჰილი მუშაობს.

– ქაბული არის… – იდრისი სიტყვებს ეძებს, – „ათასი ტრაგედია ყოველ კვადრატულ მილზე“. – ალბათ იქ ჩასვლა ნამდვილი კულტურული შოკი იყო. – დიახ, ასე იყო, – იმას აღარ ამბობს, რომ კულტურული შოკი უკან დაბრუნებისას მიიღო.

ბოლოს საუბარი მათ რაიონში გახშირებულ საფოსტო ყუთების გატეხვაზე გადადის. ღამით,

ძილის წინ, იდრისი ნაჰილს ეკითხება: – ნაჰილ, შენ ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი გვჭირდება? – რა ყველაფერი? – იდრისი მას სარკეში ხედავს, ნიჟარაზე გადახრილი კბილებს იხეხავს. – აი, ეს ნივთები, რასაც გარშემო ხედავ.

– დაჭირვებით არ გვჭირდება, – ამბობს ნაჰილი. პირში წყალს ივლებს და ნიჟარაში აფურთხებს.

– ჩვენ თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, იდრის, აღარ გახსოვს სამედიცინო კოლეჯში მისაღები

გამოცდა, იურიდიულ კოლეჯში მისაღები გამოცდა, სამედიცინო სკოლა, იურიდიული სკოლა, ორდინატურის წლები? ჩვენთვის არავის არაფერი მოუცია. არაფერი გვაქვს საბოდიშო.

– საოჯახო კინოთეატრის ფასად ავღანეთში ერთ სკოლას ააშენებ.

ნაჰილი საწოლზე ჯდება და თვალებიდან ლინზებს იღებს. ულამაზესი პროფილი აქვს. როგორ მოსწონს იდრისს მისი ფართო შუბლის ხაზი ოდნავ რომ ღრმავდება ცხვირთან, მაღალი ღაწვები, მოხდენილი კისერი.

– მერე ორივე გააკეთე, – ამბობს ნაჰილი. თან იდრისისკენ ტრიალდება, თვალების ხამხამით ჩაწვეთებულ წამალს დევნის, – რა გიშლის ხელს?

რამდენიმე წლის წინ იდრისმა შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ნაჰილი კოლუმბიელ ბიჭს ეხმარებოდა. ბიჭს სახელად მიგელი ერქვა. რადგან ნაჰილი ელექტრონულ ფოსტას თვითონ პასუხობდა და ფინანსებსაც ის განაგებდა, იდრისმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ერთხელაც დაინახა, რომ ნაჰილი წერილს კითხულობდა. წერილი ესპანურიდან მონაზონს ეთარგმნა, თან სურათი ერთვოდა. მაღალი, გამხდარი ბიჭი ჩალის ქოხის წინ დგას, ხელში ფეხბურთის ბურთი უჭირავს, უკანა პლანზე გაძვალტყავებული ძროხა და მწვანე მთები ჩანს. ნაჰილმა მისი დახმარება ჯერ კიდევ იურიდიულზე სწავლის დროს დაიწყო. თერთმეტი წელია მისი ანგარიშიდან ფული ნელ-ნელა მიედინება და სამაგიეროდ მონაზვნის ნათარგმნ წერილებსა და ფოტოებს იღებს.

– რა დაგემართა? გადარჩენილის დანაშაულის სინდრომი აიკიდე? – ბეჭდებს იხსნის.

– უბრალოდ ახლა სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს.

– კარგია, მერე იმოქმედე და საკუთარი თავის ჭამას შეეშვი.

ისეთი დაღლილია, რომ აღარ ეძინება. ცოტას კითხულობს, მერე „დასავლეთის ფრთას“ უყურებს ქვევით, ბოლოს სტუმრების ოთახში შედის. ახლა ეს ოთახი კაბინეტადაა გადაკეთებული. კომპიუტერთან ჯდება, ამრასგან წერილია მოსული.

ამრა იმედს გამოთქვამს, რომ მშვიდობით იმგზავრა. ქაბულში საშინელი წვიმებია თურმე

და ქუჩებში ტალახი კოჭებამდე დგას. წვიმას წყალდიდობა გამოუწვევია. ქაბულის ჩრდილოეთით, შომალიდან, ვერტმფრენებით ორასი ოჯახის ევაკუაცია მოუხდენიათ. უსაფრთხოების ზომები გაუმკაცრებიათ, ქაბული ბუშის ერაყში შესვლას უჭერს მხარს, ამიტომაც ალ-კაიდას დარტყმებს ელიან. წერილის ბოლო ხაზზე კი: „შენს უფროსს უკვე ელაპარაკე?“

ქვევით პატარა მინაწერია როშისგან. სალამი, ქაქა იდრის,

ინშაალლა, მშვიდობით ჩახვედით ამერიკაში. დარწმუნებული ვარ, თქვენი ოჯახი ბედნიერია თქვენი ნახვით. სულ თქვენზე ვფიქრობ. ყოველდღე ვუყურებ თქვენს ნაყიდ ფილმებს. ყველა მომწონს. გული მწყდება, ჩემთან ერთად რომ არ უყურებთ. მე კარგად ვარ, ამრა-ჯან ძალიან კარგად მივლის. თქვენს ოჯახს მოკითხვა გადაეცით ჩემგან. ღმერთი ინებებს და მალე ვნახავთ ერთმანეთს.

პატივისცემით, როშანა

იდრისი ამრას პასუხობს. მადლობას უხდის. წუხილს გამოთქვამს წყალდიდობის გამო. იმედი აქვს, რომ წვიმები მალე გადაიღებს. როშის შესახებ უფროსს ამ კვირაში

დაელაპარაკება. ქვევით წერს: სალამი, როში-ჯან,

მადლობას გიხდი ასეთი თბილი წერილისთვის. ძალიან გამიხარდა შენი ამბის გაგება. შენზე ბევრს ვფიქრობ. ჩემს ოჯახს მოვუყევი და მოუთმენლად ელიან შენთან შეხვედრას. განსაკუთრებით, ჩემი ვაჟები, ზაბი და ლემარი. რომ იცოდე, რამდენ კითხვას მისვამენ შენ შესახებ.

მოუთმენლად ველით შენს ჩამოსვლას. სიყვარულით,

ქაქა იდრისი

კომპიუტერს თიშავს და დასაძინებლად მიდის.

ორშაბათს ოფისში უამრავი სატელეფონო შეტყობინება ხვდება. კალათა გადავსებულია ხელმოსაწერი რეცეპტებით. ას სამოცი ელექტრონული წერილი პასუხგასაცემია, მისი ხმოვანი შეტყობინება სავსეა. განრიგს ყურადღებით ათვალიერებს. ლამის გული შეუწუხდეს; იმდენი ხალხია ჩაწერილი, მთელი კვირის განმავლობაში ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არ აქვს. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ იმ საშინელ ქალბატონ რასმუსენთან მოუწევს შეხვედრა. განსაკუთრებულად უსიამოვნო, აგრესიული ქალია. წლობით იტანჯება რაღაც გაურკვეველი

სინდრომით, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება. იმის გაფიქრებაზეც კი აჟრიალებს, რომ მისი მტრული და მომაბეზრებელი დამოკიდებულების ატანა მოუწევს. დაბოლოს, ერთ-ერთი ხმოვანი შეტყობინება მისი უფროსის, ჯოან შეფერისგანაა. ჯოანი ამბობს, რომ იდრისის მიერ ქაბულში წასვლამდე ერთი პაციენტისთვის დასმული პნევმონიის დიაგნოზი არ დადასტურდა და გულის შეგუბებითი უკმარისობა დადგინდა. მომავალ კვირას ყოველთვიური ვიდეოკონფერენცია ეწყობა. კონფერენციას ყველა სამედიცინო დაწესებულება ადევნებს თვალს. კოლეგიალური განხილვის თემა იდრისის შეცდომაა. საკითხის განხილვას სხვებისთვის სასწავლო დანიშნულება აქვს. ანონიმურობა დაცულია, თუმცა, ალბათ დამსწრეთაგან ნახევარს მაინც ეცოდინება ექიმის ვინაობა.

თავის ტკივილი ეწყება.

განრიგიდან დილიდანვე ვარდება. ასთმიანი პაციენტი ჩაწერის გარეშე მოდის. მას რესპირატორული სისტემის მკურნალობა, სპირომეტრია და სისხლში ჟანგბადის მიწოდების კონტროლი სჭირდება. შუახნის თანამდებობის პირი, რომელიც ბოლოს სამი წლის წინ ნახა, მიოკარდიუმის წინა კედლის ინფარქტის საფრთხის წინაშეა. იდრისი წახემსებას გვიან შუადღემდე ვერ ახერხებს. სათათბირო ოთახში, სადაც ექიმები სადილობენ, ინდაურის სენდვიჩს იღებს და თან ცდილობს პაციენტების ისტორიები შეავსოს. აქაც იმავე შეკითხვებზე უხდება პასუხის გაცემა. უსაფრთხოა ქაბული? რას ფიქრობენ ამერიკის შესვლასთან დაკავშირებით? ძალიან მოკლედ პასუხობს. თავში ქალბატონ რასმუსენთან შეხვედრა, პასუხგაუცემელი ხმოვანი შეტყობინებები, ხელმოუწერელი რეცეპტები და სამი განრიგში „ჩაჭედილი“ ვიზიტი უტრიალებს. ყველაფერი ამით არ მთავრდება, წინ კოლეგიალური მიმოხილვაა, სახლში ხელოსნები ხერხავენ, ბურღავენ, აჭედებენ… უკვირს, ასე ცოტა ხანში, ასე შეუმჩნევლად, როგორ შეუძლია ავღანეთზე ისე ისაუბროს, თითქოს ემოციურად დატვირთული, სულისშემძვრელი ფილმი ნახა მხოლოდ და შთაბეჭდილებებიც უკვე აქეთ-იქით გაეფანტა.

მიმდინარე კვირა მისი პროფესიული კარიერის ყველაზე მძიმე კვირაა. თუმცა აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით დრო არ ჰყოფნის, რომ როშის შესახებ ჯოან შეფერს დაელაპარაკოს. მთელი კვირა საზიზღარ ხასიათზეა. ბიჭებთან ცოტა დროს ატარებს, საშინლად აღიზიანებს ხელოსნების შედი-გამოდი, ძილი რა არის, აღარც ახსოვს. ამრასგან კიდევ ორ წერილს იღებს. ამრა ქაბულის ამბებს სწერს. რაბია ბალხის ქალთა საავადმყოფო აღადგინეს. ქარზაის მთავრობა, რადიკალური ისლამისტების წინააღმდეგობის მიუხედავად, საკაბელო ტელევიზიებს პროგრამების ტრანსლაციის ნებას რთავს. მეორე წერილის მინაწერში ამრა ამბობს, რომ რაც იდრისი ქაბულიდან წამოვიდა, როში საკუთარ თავში ჩაიკეტა. კიდევ ერთხელ ეკითხება, ელაპარაკა თუ არა უფროსს. იდრისი თავს ანებებს კითხვას. მოგვიანებით ისევ ჯდება კომპიუტერთან, რცხვენია, რომ ასე გააღიზიანა ამრას წერილმა. თავს ძლივს იკავებს, რომ დიდი ასოებით არ მისწეროს: „როცა მოვიცლი, დაველაპარაკები!“

– იმედი მაქვს, კარგად ჩაიარა. ჯოან შეფერი თავის მაგიდასთან ზის. ხელები კალთაში უწყვია. მხიარული, ენერგიული

ქალია. სავსე სახე და უხეში თეთრი თმა აქვს. ვიწრო, საკითხავი სათვალე ცხვირის კენჭზე აქვს წამოსკუპებული.

– ხომ გესმით, რომ თქვენს დასჯას არავინ აპირებს. – რასაკვირველია, მესმის.

– თავს ნუ იტანჯავთ. ყველას შეიძლება დაემართოს. ხანდახან გულის შეგუბებითი უკმარისობა და პნევმონია რენტგენის სურათზე ძნელი გასარჩევია ერთმანეთისგან.

– გმადლობთ, ჯოან.

დგება და გასვლას აპირებს. კართან ჩერდება.

– ერთ საკითხზე მინდა დაგელაპარაკოთ.

– რა თქმა უნდა, დაბრძანდით.

იდრისი ჯდება. როშის ამბავს ჰყვება. აღწერს მის დაზიანებას, ვაზირ აქბარ-ხანის საავადმყოფოს რესურსების სიმცირეს. უყვება, რომ როშის და ამრას დახმარებას დაჰპირდა. ლაპარაკისას ხვდება, რა მძიმე ტვირთი აქვს ზურგზე მოგდებული. სულ სხვანაირი განცდა ჰქონდა მაშინ, როდესაც საავადმყოფოს დერეფანში გახარებულმა ამრამ ლოყაზე აკოცა. ძალიან განიცდის, მაგრამ ახლა ამ ტვირთის მოშორება უნდა, ნანობს, ვერ ერევა.

– ღმერთო ჩემო! იდრის, – თავის ქნევით ამბობს ჯოანა, – თქვენ მხოლოდ პატივისცემას იმსახურებთ. რა საშინელებაა, საწყალი ბავშვი, წარმოუდგენელია!

– დიახ, – ამბობს იდრისი და როგორც იქნა, ეკითხება, იქნებ შესაძლებელია, რომ გუნდმა მისი პროცედურის, უფრო სწორად პროცედურების ფასი დაფაროს.

ჯოანა ხვნეშის.

– ნეტავ, ასე იქნებოდეს, მაგრამ ვეჭვობ, რომ დირექტორთა საბჭო დათანხმდეს, ძალიან ვეჭვობ. იცით ალბათ, რომ ბოლო ხუთი წელია ვალებს ვერ დავაღწიეთ თავი. იურიდიული მხარეც არ იქნება ადვილი მოსაგვარებელი.

ჯოანა იდრისისგან პასუხს ელის. ფიქრობს, რომ მის ნათქვამს გამოწვევად მიიღებს, შეეწინააღმდეგება, მაგრამ არა, იდრისი ჩუმადაა.

– მესმის, – ამბობს ბოლოს.

– ჰუმანიტარული დახმარების ჯგუფს უნდა მიმართოთ, ისინი აკეთებენ ასეთ რაღაცებს. მეც დაგეხმარებით, თუ რამე შემიძლია…

– გავარკვევ ყველაფერს, გმადლობთ, ჯოანა, – დგება. თავადვე უკვირს, რომ თავს მსუბუქად გრძნობს. ჯოანას პასუხი შვებაა მისთვის.

საოჯახო კინოთეატრის დამონტაჟებამ კიდევ ერთი თვე წაიღო, მაგრამ გადასარევი გამოვიდა. ჭერზე დამაგრებული პროექტორის გამოსახულება თვალს მოგჭრით, ისეთი მკვეთრია. 102-დიუმიან ეკრანზე მოძრაობები წყალივით სრიალა და მკაფიოა. 7.1-არხიანი ხმის სისტემა, გრაფიკული ეკვალაიზერები, ოთხივე კუთხით დაბალი სიხშირის ხმების დამხშობი კონსტრუქციები აკუსტიკურ სასწაულს ახდენს.

„კარიბის ზღვის მეკობრეებს“ ერთად უყურებენ. იდრისს კალთაში ბატიბუტით სავსე ყუთი

უდევს, ტექნოლოგიური სიახლით აღფრთოვანებული ბიჭები აქეთ-იქით უსხედან და ბატიბუტს შეექცევიან. ბოლო ბრძოლას ვეღარ უყურებენ, ძილი ერევათ.

– საწოლში მე გადავაწვენ, – ეუბნება იდრისი ნაჰილს.

ჯერ ერთი ბიჭი აჰყავს ხელში, მერე მეორე. რა შემაშფოთებელი სისწრაფით იზრდებიან! ბიჭებს რომ აწვენს, უცნაური სევდა იპყრობს. მალე სხვა რაღაცებით გატაცება დაეწყებათ, ერთ-ორ წელიწადში გვერდით ჩასწევენ იდრისსა და ნაჰილს, სხვებით მოიხიბლებიან, სხვები შეუყვარდებათ. ის დრო ახსენდება, როდესაც მთლიანად მასზე დამოკიდებული იყვნენ. ზაბის საკანალიზაციო ჭების ეშინოდა, რომ დაინახავდნენ, შორიდან შემოუვლიდნენ ხოლმე. ერთხელ, ძველი ფილმის ყურების დროს, ლემარმა მამას ჰკითხა, მაშინ ცოცხალი იყავი თუ არა, როცა ქვეყანა შავ-თეთრი იყოო. გახსენება ღიმილს ჰგვრის. იხრება და შვილებს ლოყებს უკოცნის.

ცოტა ხნით სიბნელეში ზის და მძინარე ლემარს უცქერის. იჩქარა შვილების გაკიცხვა. თავის თავსაც უსამართლოდ მიუდგა. ის დამნაშავე არ არის. ყველაფერი, რაც მის საკუთრებაშია, მისი შრომითაა შეძენილი. 90-იან წლებში, მაშინ, როცა მისი თანატოლები კლუბებში სიარულსა და ქალების დევნაში იყვნენ გართული, იდრისი სწავლას აკლავდა თავს. დილის ორ საათამდე საავადმყოფოების ერთი დერეფნიდან მეორეში გადადიოდა, დასვენება, ძილი და სიმშვიდე, აღარც ახსოვდა, რა იყო. თავისი ცხოვრების მესამე ათწლეული მედიცინას მიუძღვნა. მოვალეობა მოხდილი აქვს. რატომ უნდა გრძნობდეს თავს ცუდად? ეს მისი ოჯახია, ეს მისი ცხოვრებაა.

ბოლო თვეს როში პიესის აბსტრაქტულ პერსონაჟად იქცა. მათ შორის კავშირი შეწყდა. როშისთან ახლობლურ, მძაფრად ემოციურ ურთიერთობაში იდრისი შემთხვევით, მოულოდნელად გაება. ახლა ემოციები მინელდა და ამ ურთიერთობამაც აზრი დაკარგა. იდრისი თავს უტყდება, რომ გადაწყვეტილების მიღების დაუოკებელი სურვილი სინამდვილეში ილუზია, მირაჟი იყო. რაღაცამ მასზე ნარკოტიკივით იმოქმედა. ახლა მას და როშის შორის უსასრულო, ამოუვსები, დაუძლეველი სივრცეა. იდრისის დაპირება კი გაუაზრებელი, უნებური შეცდომა; საკუთარი ძალის, ნებისა და ხასიათის მცდარად შეფასება. რაც მალე დაავიწყდება, მით უკეთესი მისთვის. არ შეუძლია და მორჩა. ყველაფერი ადვილად გასაგებია. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ამრასგან სამი ელექტრონული წერილი მიიღო. ერთი გახსნა, წაიკითხა, მაგრამ არ უპასუხა. დანარჩენი ორი წაშალა.

წიგნის მაღაზიასთან რიგში თორმეტი-ცამეტი კაცი დგას. რიგი იმპროვიზებული სცენიდან ჟურნალების დახლამდეა გაჭიმული. მაღალი ქალი, ფართო სახით, ყვითელ წებოვან ფურცლებს არიგებს. ხალხი ფურცლებზე საკუთარ სახელებს წერს და მოკლე ჩანაწერებს აკეთებს. რიგის თავში გამყიდველი ქალი წიგნის თავფურცელზე გადაშლაში ეხმარება მყიდველებს. იდრისის რიგი მალე მოვა. ხელში წიგნი უჭირავს. მის წინ დაახლოებით

ორმოცდაათი წლის ქალი დგას. ქალს მოკლედ შეჭრილი ქერა თმა აქვს. იდრისისკენ ტრიალდება და ეკითხება:

– წაიკითხეთ? – არა, – ამბობს იდრისი. – მომავალ თვეს ჩვენს წიგნის კლუბში ვაპირებ წაკითხვას. ჩემი ჯერია.

– ოჰ, რას ამბობთ.

წარბებშეკრული ხელისგულს მკერდზე იდებს და ამბობს: – იმედი მაქვს, ხალხი წაიკითხავს. ისეთი სულისშემძვრელი, შთამაგონებელი ამბავია. ნაძლევს დავდებ, რომ ფილმსაც გადაიღებენ.

სიმართლეა. მას წიგნი არ წაუკითხავს, არც წაიკითხავს. სითამამე არ ეყოფა, რომ წიგნის გვერდებზე საკუთარ თავს შეხვდეს, მაგრამ სხვები წაიკითხავენ და ყველაფერი ხელის გულზე დაიდება. ხალხი გაიგებს, შვილები, ნაჰილი, კოლეგები. გაფიქრებაზეც კი ცუდად ხდება.

წიგნს შლის. მადლობები, თანაავტორის – ვინც რეალურად ჩაწერა ამბავი – ბიოგრაფია და წიგნზე შემოხვეული ქაღალდის ყდის კუთხეში დაბეჭდილი ფოტო. ჭრილობის კვალიც კი არ ჩანს. თუ ნაიარევი დარჩა (და, რასაკვირველია, დარჩებოდა), გრძელი, შავი, ტალღოვანი თმითაა დაფარული. როშის ბლუზა წვრილი ოქროსფერი მძივებითაა გაწყობილი. ყელსაბამზე ალაჰის სახელია ამოტვიფრული, ყურებზე ლაზურიტის საყურე უკეთია. ხეს ეყრდნობა, პირდაპირ კამერას უყურებს, იღიმის. იდრისს ის ნახატი ახსენდება, როშიმ რომ დაუხატა. „ნუ წახვალ, ქაქა, ნუ დამტოვებ“. ამ ახალგაზრდა ქალში, იმ პატარა, სუსტი არსების, ექვსი წლის წინ ფარდის უკან რომ ნახა პირველად, კვალიც კი არსად ჩანს. იდრისი მიძღვნის გვერდზე კითხულობს:

„ჩემი ცხოვრების ორ მფარველ ანგელოზს: დედა ამრასა და ქაქა თიმურს. თქვენ ჩემი მხსნელები ხართ. ყველაფერს თქვენ გიმადლით“.

რიგი წინ მიდის. ქერათმიან ქალს წიგნზე უკვე მოუწერეს ხელი. გვერდზე იწევა და გულგახეთქილი იდრისი ნაბიჯს წინ დგამს. როში უცქერის. გოგრისფერ გრძელსახელოიან ბლუზაზე ავღანური შალი აქვს მოხურული, პატარა ოვალური ვერცხლის საყურეები უკეთია. თვალები უფრო მუქი აქვს, ვიდრე იდრისს ახსოვს, სხეულზე უკვე ქალური შტრიხები ეტყობა. თვალდაუხამხამებლად უყურებს. არ ამჟღავნებს, იცნო თუ არა, ზრდილობიანად იღიმის. თუმცა მის გამომეტყველებაში მაინც იგრძნობა რაღაც უცხო, თამამი, ეშმაკური, დამცინავი. იდრისს უნდა, რომ დაელაპარაკოს. სანამ წამოვიდოდა, მოემზადა, დაწერა კიდეც, რისი თქმაც უნდოდა, მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა, ვერაფერს ამბობს, გაშტერებული დგას. გამყიდველი ზრდილობიანად ეუბნება: – სერ, წიგნს თუ მომცემთ, თავფურცელზე გადაგიშლით და როში ხელს მოგიწერთ.

წიგნი. იდრისი თავს ხრის და წიგნს დასცქერის. აქ ავტოგრაფის მისაღებად არ მოსულა. ყველაფრის შემდეგ ძალიან დამამცირებელი იქნებოდა, გროტესკულად დამამცირებელი.

გაოგნებული სახით წიგნს მაინც აწვდის, გამყიდველი ხელის გაწაფული მოძრაობით შლის წიგნს საჭირო გვერდზე და როში რადაცას წერს. წამებიღა დარჩა, რომ თავისი სათქმელი უთხრას. იცის, რაც არ უნდა თქვას, მის გაუმართლებელ საქციელს ვერ შეამსუბუქებს, მაგრამ თავს ვალდებულად მიიჩნევს. რა მოხდება, თიმურის გამბედაობის მისხალი მაინც ჰქონდეს! როშის უყურებს, ის უკვე რიგში მის უკან მდგომ კაცს უღიმის.

– მე… – იწყებს იდრისი. – რიგს ნუ აჩერებთ, სერ, – ამბობს გამყიდველი. თავჩაქინდრული ტოვებს რიგს.

მანქანა მაღაზიის უკანაა გაჩერებული. თითქოს საუკუნე გადის, სანამ მანქანამდე მიაღწევს. კარს აღებს, თუმცა არ ჯდება. აცახცახებული ხელებით წიგნს შლის. იქ, სადაც როშის ხელმოწერა უნდა იყოს, ინგლისურ ენაზე ორი წინადადება წერია. წიგნს ხურავს. თვალებს ხუჭავს, იმედი აქვს, რომ მოეშვება. იქნებ უკეთესი ყოფილიყო როშის სახე რომ დაემანჭა, ეყვირა, ზიზღი, სიძულვილი და ღვარძლი გადმოენთხია. მაგრამ როშიმ დიპლომატიური სვლა აირჩია და ორი წინადადებით მოიშორა თავიდან: „ნუ წუხხართ, თქვენ შესახებ წიგნში არაფერია“. როშიმ სიკეთით უპასუხა, უფრო ზუსტად, ქველმოქმედება ჩაიდინა. იქნებ ახლა მაინც იგრძნოს შვება, მაგრამ არა, სტკივა, მძაფრად, აუტანლად, ისე, თითქოს ნაჯახით გაუხეთქეს თავი.

იქვე, ნაძვის ქვეშ, ხის სკამი დგას. იდრისი წიგნს სკამზე ტოვებს. მერე ბრუნდება და საჭესთან ჯდება. ერთხანს გაუნძრევლად ზის, შემდეგ მანქანას ქოქავს და მიდის.

თავი მეექვსე

თებერვალი, 1974 წელი რედაქტორისგან,

„პარალაქსი 84“ (ზამთარი, 1974), გვ. 5 ძვირფასო მკითხველო,

ხუთი წლის წინ, როდესაც ჩვენს კვარტალურ გამოცემებში ნაკლებად ცნობილ პოეტებთან ჩაწერილი საუბრების გამოქვეყნება დავიწყეთ, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ასეთ ინტერესს გამოიწვევდა. თქვენმა ენთუზიაზმით სავსე წერილებმა გვიბიძგა, არ შეგვეწყვიტა ამ საკითხების გაშუქება. უფრო მეტიც, პრაქტიკა ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. მუშაობის დროს ბევრი მნიშვნელოვანი პოეტი აღმოვაჩინეთ, უფრო სწორად, ხელიდან გამოვტაცეთ დავიწყებას. დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოვახერხეთ მათი პოეზიის შეფასება და საზოგადოებისთვის გაცნობა.

სამწუხაროდ, დღევანდელ გამოცემას სევდა სდევს თან. ხელოვანი, რომელზეც საუბარი გვექნება, ავღანელი პოეტია, ნილა ვაჰდათი. ინტერვიუ ეტიენ ბუსტულემ გასულ ზამთარს, პარიზთან ახლოს, კურბევუაში ჩაწერა. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მადამ ვაჰდათის ინტერვიუ ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი და საოცრად გულწრფელი ინტერვიუა, რაც კი ოდესმე გამოგვიქვეყნებია. დიდი გულისტკივილით გვინდა გაცნობოთ, რომ ინტერვიუს ჩაწერიდან ცოტა ხანში მისი ნაადრევი სიკვდილის შესახებ შევიტყვეთ. პოეტთა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

მადამ ვაჰდათის ქალიშვილი ჰყავს.

მოუცნობი რამ არის დამთხვევა. ლიფტის კარი ზუსტად მაშინ იღება, როდესაც ტელეფონი რეკავს. ფარის ზარის ხმა ესმის, ჟულიენის ოთახიდან გამოდის. ჟულიენის ბინა ლიფტთან ახლოს, მკრთალად განათებული დერეფნის დასაწყისშია. ინტუიტურად იცის, ვინ რეკავს. ჟულიენსაც იმავეს კარნახობს გული.

ლიფტში შედის. – თავი დაანებე, რეკოს, – ამბობს ის. მათ უკან ლოყებღაჟდაჟა, ზედა სართულზე მცხოვრები ქალი ცივი გამომეტყველებით დგას. ფარის მოუთმენლად უბრიალებს თვალებს. ჟულიენი მას La chévre-ს((ფრ.) თხა.) ეძახის, რადგან ნიკაპზე თხის წვერივით წამოზრდილი თმა აქვს.

– წავიდეთ, ფარი, გვაგვიანდება, – ამბობს ჟულიენი.

მეთექვსმეტე მუნიციპალური ქვედანაყოფის ახალ რესტორანში შვიდი საათისთვის მაგიდა აქვს დაჯავშნილი. რესტორანმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია poulet braise((gGრ.) ჩაშუშული ქათამი.), sole cardinal((ფრ.) სამეფო კამბალა.) და ალუბლის ძმრით შეზავებული ხბოს ღვიძლის გამო. ჟულიენის სტუდენტობის დროინდელ მეგობრებს, ქრისტიანსა და ორელის ხვდებიან. აპერატივის მისაღებად შვიდის ნახევარზე შეთანხმდნენ, უკვე შვიდის თხუთმეტი წუთია. ჯერ მეტრომდე ფეხით უნდა მივიდნენ, მერე მიუეტამდე იმგზავრონ, მერე ექვსი კვარტალი უნდა გაიარონ, რომ რესტორნამდე მივიდნენ.

ტელეფონი არ ჩერდება.

თხა-ქალა ახველებს.

– ფარი, – ამჯერად უფრო მკაცრად ამბობს ჟულიენი.

– ალბათ დედაა, – ამბობს ფარი.

– ჰო, ვიცი.

არალოგიკურია, მაგრამ ფარი ფიქრობს, რომ დედამისმა განგებ შეარჩია ეს კონკრეტული მომენტი და დრამა გაითამაშა. ფარი არჩევანის წინაშე დააყენა: ყურმილი აიღოს თუ ჟულიენთან ერთად ლიფტში შევიდეს.

– რამე სერიოზული არ იყოს, – ამბობს ის.

ჟულიენი ოხრავს.

ლიფტის კარი იკეტება. ჟულიენი დერეფნის კედელს ეყრდნობა. ხელებს ლაბადის ჯიბეებში იწყობს. რაღაც მომენტში მელვილის პოლიციელს ჰგავს.

– სულ ერთი წუთით, – ამბობს ფარი.

ჟულიენი ეჭვის თვალით უყურებს.

ჟულიენის ბინა პატარაა. ექვსი სწრაფი ნაბიჯი და ფარი შესასვლელს ჭრის, სამზარეულოს

ჩაუვლის, საძინებელში შედის, საწოლის კიდეზე ჯდება და ტელეფონისკენ იხრება. ტელეფონი საწოლის ცალ მხარეს, პატარა კარადაზე დევს, მეორესთვის ოთახში ადგილი არ ჰყოფნით. სამაგიეროდ, ხედია დიდებული. ახლა წვიმს. კარგ ამინდში მეცხრამეტე და მეოცე რაიონები თითქმის მთლიანად ჩანს.

– OuIi((ფრ.) დიახ.), აოლო? – ამბობს ფარი.

– Bonsoir((ფრ.) საღამო მშვიდობისა.), – პასუხობს კაცის ხმა. – მადმუაზელ ფარი ვაჰდათის ველაპარაკები?

– ვინ ბრძანდებით?

– მადამ ნილა ვაჰდათის ქალიშვილი ხართ? – დიახ.

– მე ექიმი დელონე ვარ, დედათქვენთან დაკავშირებით ვრეკავ.

ფარი თვალებს ხუჭავს. დანაშაულის განცდას ჩვეული შიში მოსდევს. ვინ დათვლის, რამდენჯერ დაურეკავთ მისთვის ასეთივე ტექსტით. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ალბათ მეხუთე კლასში იქნებოდა, გეოგრაფიის გამოცდა ჰქონდა. მასწავლებელმა გამოცდა შეწყვიტა, გარეთ გაიყვანა და დაბალი ხმით მოუყვა, რაც მოხდა. ასეთ ზარებს მიჩვეულია ფარი. თუმცა, ყოველ ჯერზე ისეთივე განცდა აქვს, როგორიც პირველად ჰქონდა. ეშინია, „ახლა, აი, ახლა მეტყვიან, რომ…“ ყურმილს აგდებს და თავქუდმოგლეჯილი გარბის საავადმყოფოში. ერთხელ ჟულიენმა ეკონომიკის ენაზე, აი, ასე აუხსნა ყველაფერი: „შეწყვიტე ყურადღების მიწოდება, შემცირდება მოთხოვნა“.

– უბედური შემთხვევა იყო, – ამბობს ექიმი დელონე.

ფარი ფანჯარასთან დგას. ტელეფონის ზონარს თითზე იხვევსდა იხსნის, ექიმი დედამისის მდგომარეობის შესახებ ელაპარაკება. შუბლის ნაფლეთ ჭრილობაზე ნაკერები, ტეტანუსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ინექცია, წყალბადის ზეჟანგით დამუშავება, ადგილობრივი ანტიბიოტიკოთერაპია, ნახვევები… გონებაში წარსულის კადრები უტივტივდება. ათი წლის იყო. ერთხელ, სკოლიდან რომ დაბრუნდა, სამზარეულოს მაგიდაზე ოცდახუთი ფრანკი და ხელით დაწერილი მოკლე ბარათი დახვდა.

„მარკთან ერთად ალზასში წავედი. ალბათ გახსოვს, ვინ არის. ორ დღეში მანდ ვარ. კარგად მოიქეცი, დროზე დაიძინე.

Je t’aime.((ფრ.) მიყვარხარ.) Maman“.

ფარის კანკალი აუტყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა. – ორი დღე მალე გაივლის, არა უშავს, – თავი დაიმშვიდა.

ექიმი რაღაცას ეკითხება. – Pardon?((ფრ.) უკაცრავად?)

– მადმუაზელ, მობრძანდებით მის წასაყვანად? ჭრილობა არ არის სერიოზული. ხომ გესმით, მისთვის უკეთესია, თუ სახლში წაიყვანთ. სასურველი არაა, რომ მარტო წავიდეს, ამიტომაც გეკითხებით. თუ ვერ მოდიხართ, შეგვიძლია ტაქსი გამოვიძახოთ.

– არა, არა, არ არის საჭირო. ნახევარ საათში ვიქნები. საწოლზე ჯდება. ჟულიენს არ მოეწონება. თავს უხერხულად იგრძნობს ქრისტიანისა და ორელის წინაშე, მათი აზრი მისთვის სულერთი არაა. ფარის დერეფანში გასვლა და ჟულიენისთვის თვალის გასწორება არ უნდა. არც კუბერვუაში წასვლასა და დედამისის ნახვაზე იკლავს თავს. სიამოვნებით დაწვებოდა და

ყურს მიუგდებდა, როგორ ესვრის ქარი წვიმის წვეთებს ფანჯარას. ოთახში ჟულიენი შემოდის. – არ მოდიხარ, ჰო?

ფარი არ პასუხობს.

„ავღანელი ბულბული“ - ნაწყვეტი

ინტერვიუ ნილა ვაჰდათისთან

ინტერვიუ ჩაწერა ეტიენ ბუსტულემ „პარალაქსი 84“ (ზამთარი, 1974) გვ. 33

ეტიენ ბუსტულე: როგორც ვიცი, ფაქტობრივად, ნახევრად ფრანგი და ნახევრად ავღანელი ხართ, არა?

ნილა ვაჰდათი: დედაჩემი ფრანგი იყო, დიახ. პარიზელი.

ეტიენ ბუსტულე: მაგრამ ის მამათქვენს ქაბულში შეხვდა. თქვენ იქ დაიბადეთ.

ნილა ვაჰდათი: დიახ. ისინი ერთმანეთს 1927 წელს ქაბულში, სამეფო სასახლეში გამართულ ოფიციალურ წვეულებაზე შეხვდნენ. დედაჩემი თან მამამისს, ანუ პაპაჩემს, ახლდა. პაპა მეფე ამანულას კონსულტაციას უწევდა რეფორმების გატარების დროს. გსმენიათ რამე მეფე ამანულას შესახებ?

ჩვენ ნილა ვაჰდათის პატარა ბინის მისაღებ ოთახში ვსხედვართ. ბინა პარიზიდან ჩრდილოეთით, ქალაქ კუბერვუაში, საცხოვრებელი კორპუსის მეცამეტე სართულზე მდებარეობს. ოთახი ცუდადაა განათებული. სულ რამდენიმე ნივთი დგას: ტახტი, რომელსაც ზაფრანისფერი ქსოვილი აქვს გადაკრული, ყავის მაგიდა და ორი მაღალი წიგნების თარო. ფანჯარა ღიაა, რომ ოთახი განიავდეს. ის სიგარეტს, შეიძლება ითქვას, არ აქრობს. ფანჯრისკენ ზურგით ზის.

ნილა ვაჰდათი ამბობს, რომ ორმოცდაოთხი წლისაა. საოცრად მომხიბვლელი ქალია. ალბათ თავისი სილამაზის ზენიტს გადასცდა, მაგრამ ბევრად არა. მეფურად ღაწვმაღალი და ტანწერწეტაა, საუცხოო სახის კანი აქვს. ჭკვიანი თვალებით გეკეკლუცებათ, სულში გწვდებათ, გამოწმებთ, გაფასებთ, გხიბლავთ, გეთამაშებათ – ყველაფერი ერთად. ეყვი მაქვს, რომ თვალები მისთვის ყველაზე მძლავრი მაცდუნებელი იარაღია. მაკიაჟის გარეშეა. მხოლოდ ტუჩის საცხი უსვია, პირის კონტურიდან ოდნავ გადაცდენილი. შუბლზე, წარბებს ზევით, ბენდენა უკეთია. ჯინსები და გახუნებული წითელი ბლუზა აცვია, ფეხშიშველაა – არც წინდები,

არც ფეხსაცმელები.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ დილის თერთმეტი საათია, შარდონეს ისხამს. მეც გულთბილად მთავაზობს, მაგრამ უარს ვამბობ.

ნილა ვაჰდათი: ის მათი საუკეთესო მეფე იყო.

ნაცვალსახელთან დაკავშირებით კითხვა მიჩნდება.

ეტიენ ბუსტულე: „მათი“? თქვენს თავს ავღანელად არ მიიჩნევთ?

ნილა ვაჰდათი: მოდი, ასე ვთქვათ, ჩემს პრობლემატურ „ნახევარს“ გავეყარე. ეტიენ ბუსტულე: საინტერესოა, რას გულისხმობთ.

ნილა ვაჰდათი: მას რომ გაემარჯვა, მეფე ამანულას ვგულისხმობ, სხვაგვარად გიპასუხებდით.

ვთხოვ, რომ ამიხსნას.

ნილა ვაჰდათი: იცით, ერთ დღეს გაიღვიძა და ქვეყნის ძირფესვიანად გადასხვაფერების გეგმის შესახებ გამოაცხადა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, რა დიდი წინააღმდეგობაც არ უნდა გაეწიათ, ღმერთის სახელით ახალ, უფრო განათლებულ ქვეყანას შექმნიდა. მორჩა პირბადის ტარება! წარმოიდგინეთ, მოსიე ბუსტულე, ისეთი ავღანეთი, სადაც ქალებს ბურკას(ბურკა – მუსლიმი ქალის პირბადიანი სამოსი, რომელსაც თვალებთან ჭრილი ან ბადისებური ჩანართი აქვს.) ტარებისთვის აპატიმრებენ! როცა მისი ცოლი, დედოფალი სორაია, ხალხში ჩადრის გარეშე გამოჩნდა, ო, ლა, ლა, მოლებს ისე დაებერათ ფილტვები, რომ ამოეხრათ, ათას „ჰინდერბურგს“,ჰინდერბურგი“ – 1936 წლამდე არსებულ დირიჟაბლებს შორის ყველაზე დიდი სამგზავრო გერმანული დირიჟაბლი. 1937 წელს კატასტროფა განიცადა.) გაანადგურებდნენ. არავითარი პოლიგამია! – გამოაცხადა მეფემ. გესმით? ქვეყანაში, სადაც მეფეებს ხარჭებისა და ცოლების ლეგიონები ჰყავდათ და შვილებისთვის, რომელთა მამებიც შემთხვევით ხდებოდნენ, თვალიც კი არ ჰქონდათ მოკრული! ავღანეთის მამაცო ქალებო, ამიერიდან ვერავინ გაიძულებთ გათხოვებას, არავითარი პატარძლის გამოსასყიდი, არავითარი ქორწინება მცირეწლოვანთათვის! უფრო მეტიც, სკოლაში ივლით, – გამოაცხადა მეფემ.

ეტიენ ბუსტულე: შორსმჭვრეტი, მეოცნებე ლიდერი ყოფილა.

ნილა ვაჰდათი: ან სულელი. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ აქ განსხვავების ხაზი დიდ რისკზე გადის.

ეტიენ ბუსტულე: რით დაამთავრა? ნილა ვაჰდათი: პასუხი სამწუხაროა, მაგრამ ადვილად მისახვედრი. ჯიჰადი(ჯიჰადი –

„საღვთო ომი“, ბრძოლა სარწმუნოებისათვის. ფართო გაგებით გულისხმობს ბრძოლას, რომელსაც მაღალი მიზნები (სამხედრო, ეკონომიკური, ზნეობრივი და ა. შ.) უდევს

საფუძვლად.), მოსიე ბუსტულე, რასაკვირველია, მოლებმა და ტომის ბელადებმა მასზე ჯიჰადი გამოაცხადეს. წარმოიდგინეთ, ათასობით ცისკენ აწვდილი მუშტი! მეფემ მიწა შეაზანზარა, ხომ გესმით, მაგრამ გარს ფანატიკოსთა ოკეანე ერტყა და იცით, ალბათ, რა ხდება, როცა ოკეანის ფსკერი ირყევა. წვერიანი აჯანყებულების ცუნამი დაეტაკა, გაიტაცა, ბევრი ატრიალა და ჯერ ინდოეთის სანაპიროზე ამოაგდო, მერე იტალიის, ბოლოს შვეიცარიაში აღმოჩნდა, სადაც, როგორღაც სიბინძურე ჩამოიფერთხა და იმედგაცრუებული, ილუზიებდამსხვრეული დევნილობაში მოკვდა.

ეტიენ ბუსტულე: და სახელწიფო, რომელიც ჩამოყალიბდა, თქვენთვის არ იყო მისაღები. ნილა ვაჰდათი: სწორედ ასე იყო. ეტიენ ბუსტულე: ეს გახდა

1955 წელს საფრანგეთში თქვენი გადმოსვლის მიზეზი.

ნილა ვაჰდათი: საფრანგეთში იმიტომ გადმოვედი, რომ ჩემი ქალიშვილი ავარიდე ცხოვრებას, რომელიც იქ ელოდა.

ეტიენ ბუსტულე: როგორი ცხოვრება ელოდა?

ნილა ვაჰდათი: არ მინდოდა, რომ მისი ნებისა და ბუნების საწინააღმდეგოდ, გამრჯე, მოსაწყენ ქალად ქცეულიყო, რომელიც თავწახრილი, უთქმელად, მთელ ცხოვრებას მონობაში ატარებს, გამუდმებულ შიშში ცხოვრობს, ვაითუ, ისე არ თქვას, ისე არ გააკეთოს, ან ის არ გამოამჟღავნოს, რასაც ვიღაცა არასწორად მიიჩნევს. არ მინდოდა, რომ ისეთ ქალად ქცეულიყო, რომელსაც დასავლეთში, მაგალითად, აქ, საფრანგეთში, მისი მძიმე ცხოვრების გამო გმირად ჩათვლიდნენ, შორიდან აღფრთოვანებას ვერ დამალავდნენდ; ეს ადვილია იმ ხალხისთვის, ვინც ავღანელი ქალების ადგილას ერთი დღეც კი ვერ გაძლებს. ავღანეთში ქალები წადილს საკუთარი ხელით აშთობენ, ოცნებაზე უარს ამბობენ და მაინც, ყველაზე უარესი ისაა, მოსიე ბუსტულე, რომ იღიმიან და თავს იკატუნებენ, თითქოს არაფერი აწუხებდეთ, თითქოს შესაშურად სახარბიელო ცხოვრება ჰქონდეთ, მაგრამ საკმარისია, მიუახლოვდეთ, რომ მათ თვალებში მაშინვე დაინახავთ უმწეობას, სასოწარკვეთილებას და კიდევ იმას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება მათ მიერ დადგმული წარმოდგენა სინამდვილეს. ეს, სხვა თუ არაფერი, ძალიან სამწუხაროა. ჩემი შვილისთვის, მოსიე ბუსტულე, ასეთი ცხოვრება არ მინდოდა.

ეტიენ ბუსტულე: ალბათ მას ესმის ყველაფერი.

სიგარეტს უკიდებს.

ნილა ვაჰდათი: ჰო, იმედი მაქვს. თუმცა, მხოლოდ ბავშვებზე არ ამყარებენ ადამიანები იმედს.

ასწრაფოს მოსაცდელ ოთახში ფარის ერთი ანჩხლი მედდა მიუთითებს, რომ საქაღალდეებით სავსე მოძრავ სტელაჟთან ახლოს, სარეგისტრაციო დახლთან მოიცადოს. ფარი გაოცებულია, არსებობს ხალხი, რომელიც ნებაყოფლობით უძღვნის მთელ ახალგაზრდობას იმ პროფესიის შესწავლას, რომელიც ბოლოს ასეთ დაწესებულებაში მუშაობის

საშუალებას იძლევა. ამას ვერასდროს გაიგებს. ეზიზღება საავადმყოფოები. სძულს ცუდ დღეში ჩავარდნილი ხალხის ყურება, ჭრიალა საკაცეები, გულისამრევი სუნი, პაციენტების მოყვითალო-ყავისფერი ნახატებით აჭრელებული დერეფნები, ხმის გამაძლიერებელში გაუთავებელი გამოძახება.

ექიმი დელონე უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ფარის წარმოედგინა. ლამაზად მოყვანილი ცხვირი, თხელი ტუჩები და სქელი ქერა ხუჭუჭი თმა აქვს. მას ფარი მოსაცდელი ოთახიდან მთავარ შესასვლელში გაჰყავს.

– როდესაც დედათქვენი მოიყვანეს, – დამაჯერებელი ტონით წამოიწყო მან, – გვარიანად მთვრალი იყო… გაოცებული არ ჩანხართ.

– დიახ, არ ვარ.

– არც მედდებს გაჰკვირვებიათ. ამბობენ, ხშირადაა რეგისტრირებულიო. მე თავად ახალი ვარ, აქამდე არ შევხვედრივარ.

– რამდენად რთულადაა საქმე?

– ჭირვეული ჩანდა, ოდნავ თეატრალურიც. ერთმანეთს უღიმიან.

– კარგად იქნება?

– დიახ, ცოტა ხანში, მაგრამ მე დაჟინებით ვურჩევ, შეამციროს სმა. ამჯერად ბედმა გაუღიმა, ვინ იცის, შემდეგ რა იქნება.

– დიახ, სად არის? – კითხულობს ფარი.

ისევ მოსაცდელ ოთახში გაჰყავს და მარჯვნივ უხვევენ.

– მესამე საწოლი. მალე დავბრუნდები, გაწერისთვის მოვამზადებ. ფარი მადლობას უხდის და დედამისის საწოლისკენ მიდის.

– Salut((ფრ.) გამარჯობა.), Maman.

თმააწეწილი დედა ოდნავ იღიმის. სხვადასხვა წინდა აცვია. შუბლი შეხვეული აქვს. მარცხენა მკლავზე დამაგრებულ ინტრავენურ წვეთოვანაში უფერო სითხე მიედინება. საავადმყოფოს ხალათი უკულმა აცვია. ხალათი წინ გადახსნილია და ფარი საკეისრო კვეთის ძველ ნაიარევს ხედავს. რამდენიმე წლის წინ ფარიმ დედას ჰკითხა, რატომ ჩვეულებრივი ჰორიზონტალური ნაიარევი არ გაქვსო. ექიმებმა რაღაც ტექნიკური მიზეზი დამისახელეს, რომელიც აღარ მახსოვს. მთავარი კი ის არის, რომ შენ ამოგიყვანესო, უპასუხა.

– საღამო ჩაგიშალე, – ჩურჩულებს მამან. – ხდება ხოლმე. შენს წასაყვანად მოვედი.

– ერთი კვირა შემიძლია ვიძინო.

ნელ-ნელა თვალები ეხუყჭება. სიტყვების ტკეპნით, ჩურჩულით ლაპარაკობს: – უბრალოდ ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი. მომშივდა. სამზარეულოში გავედი, რომ ცოტა პური და ჯემი ამეღო. ფეხი დამისრიალდა. არ ვიცი, როგორ და რატომ, მაგრამ დაცემისას აერღუმელის სახელურს ჩამოვკარი თავი. ერთი-ორი წუთით გავითიშე.

– დაჯექი, ფარი, თავზე ნუ მადგახარ. – ექიმი ამბობს, რომ მთვრალი იყავი.

დედა ცალ თვალს ახელს. საავადმყოფოში მისი ვიზიტების რაოდენობას, წინ მხოლოდ ექიმების მიმართ სიძულვილი უსწრებს.

– ის ბიჭი? მან თქვა? Le petit salaud.((ფრ.) პატარა ნაბიჭვარი.) და რა იცის? ჯერ პირზე დედის რძე არ შეშრობია.

– სულ ხუმრობ, როცა არ უნდა გკითხო. – დავიღალე, ფარი, სხვა დროს გამკიცხე, სამარცხვინო ბოძი არსად გაიქცევა.

ახლა კი იძინებს. უსიამოვნო შესახედია, ხმამაღლა ხვრინავს. ასე მხოლოდ გაბმული სმის შემდეგ ემართება.

ფარი საწოლთან, სკამზე ზის. ექიმ დელონეს უცდის, თან ჟულიენზე ფიქრობს. ახლა ჟულიენი, ქრისტიანი და ორელი მკრთალად განათებულ მაგიდას უსხედან. ჟულიენს ხელში მენიუ უჭირავს და ღვინის მაღალი სასმისისკენ გადახრილი მეგობრებს კრიზისული სიტუაციის დეტალებს უხსნის. ჟულიენმა ფარის საავადმყოფოში გაყოლა შესთავაზა, მაგრამ ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით, ფორმალურად. აქ წამოსვლა მაინცდამაინც კარგი აზრი არ იყო. სადაც ექიმმა დელონემ შენიშნა დედამისის თეატრალურობა, ჟულიენი ხომ… არა, არ უნდა წამოსულიყო, მაგრამ არც რესტორანში უნდა წასულიყო ფარის გარეშე. ცოტა ახლაც უკვირს ფარის. შეეძლო ქრისტიანისა და ორელისთვის აეხსნა და შეკვეთას გააუქმებდნენ, სხვა საღამოსთვის გადადებდნენ. თუმცა, წავიდა. ალბათ ისე, დაუფიქრებლად? მაგრამ არა, განზრახ გადადგმული სასტიკი ნაბიჯი იყო, მოქნეული დანასავით დაუნდობელი. იცის ფარიმ, რომ ჟულიენისგან ეს მოსალოდნელია. უფრო მეტიც, მიდრეკილიც კია ასეთი საქციელისკენ.

დედა პირველად ასეთსავე მოსაცდელ ოთახში შეხვდა ჟულიენს. ეს ათი წლის წინ, 1963 წელს მოხდა. ფარი თოთხმეტი წლის იყო. ჟულიენმა საავადმყოფოში კოლეგა მოიყვანა შაკიკის შეტევით. ფარის იმ დღეს, ვარჯიშის დროს, ფეხი გადაუბრუნდა და კოჭი იღრძო. მაშინ პაციენტი ფარი იყო. საკაცეზე იწვა. ამ დროს ჟულიენმა სავარძელი შემოაგორა და დედასთან ლაპარაკი გააბა. ფარი ვერ იხსენებს, რა უთხრეს ერთმანეთს, მაგრამ კარგად ახსოვს

ჟულიენმა რომ იკითხა: – ფარი თუ პარის – ქალაქის სახელი? – არა, – უპასუხა დედამ, – ფარი ფარსის ენაზე ფერიას ნიშნავს.

ჟულიენს იმავე კვირის ბოლოს, სენ ჟერმანის ბულვარზე პატარა სწრაფი კვების რესტორანში შეხვდნენ. სანამ წავიდოდნენ, დედა დიდხანს არჩევდა ტანსაცმელს. ბოლოს ცისფერი, ტანზე მომდგარი კაბა შეარჩია, საღამოს ხელთათმანები გაიკეთა და წვეტიანი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა. ლიფტში ფარის ჰკითხა: მეტისმეტად ჟაკლინის სტილში ხომ არ ვარ? რას ფიქრობ?

სადილამდე სამივემ ერთად გააბოლა. მერე ჟულიენმა და დედამ თითო უზარმაზარი კათხა ლუდი დალიეს. ჟულიენმა მეორეჯერ შეუკვეთა, შემდეგ მესამეჯერ. მას თეთრი პერანგი და საღამოს კუბოკრული პიჯაკი ეცვა. კარგად აღზრდილი კაცის დახვეწილ მანერებს ამჟღავნებდა. თავისუფლად, ძალდაუტანებლად იღიმოდა. სულ რამდენიმე ღერი ჭაღარა ჰქონდა თმაში გარეული. ფარიმ სასწრაფოს მოსაცდელის მკრთალ შუქზე ვერ შენიშნა და დედამისის თანატოლად მიიჩნია. მიმდინარე მოვლენებში კარგად ერკვეოდა. ერთხანს ინგლისის საერთო ბაზარზე შესვლისა და შარლ დე გოლის ვეტოს შესახებ ლაპარაკობდა. საოცარია, მაგრამ ფარის საინტერესოდაც კი მოეჩვენა. სორბონაში რომ ეკონომიკის თეორიას კითხულობდა, მხოლოდ მას შემდეგ თქვა, რაც დედამ სამუშაოს შესახებ კითხვა დაუსვა.

– პროფესორი? ძალიან საინტერესოა!

– რა გითხრათ, – თქვა მან. – შემოიარეთ და მომისმინეთ. მაშინვე შეიცვლით აზრს.

– შეიძლება მოვიდე კიდეც. დედა შეთვრა, გაიფიქრა ფარიმ. – ერთხელაც შემოვიპარები და საქმიანობის დროს გნახავთ.

– საქმიანობის? ხომ გახსოვთ, რომ ეკონომიკის თეორიას ვასწავლი? ნილა, თუ მოხვალთ, მიხვდებით, რომ ჩემს სტუდენტებს გიჟი ვგონივარ.

– ეჭვი მეპარება.

ფარისაც ეჭვი ეპარებოდა. უფრო მეტიც, დარწმუნებული იყო, რომ მისი სტუდენტების უმრავლესობა მასთან დაწოლაზე ოცნებობდა. სადილის დროს ფარი მას თვალს ვერ აშორებდა, ძალიან კი ცდილობდა, რომ ჟულიენს არ გამოეჭირა. ეს ყველაფერი შავ-თეთრი ფილმის კადრს ჰგავდა. მისი სახე ჟალუზებიდან შემოჭრილი შუქ-ჩრდილის ფონზე, გვერდით სიგარეტის დაკლაკნილი კვამლი, შუბლზე გრაციოზულად ჩამოგდებული თმის რკალი, ჰო, გრაციოზულად, ალბათ. ჩამოგდებულ თმას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. არც უცდია, რომ შუბლიდან გადაე-წია.

დედას წიგნების პატარა მაღაზია ჰქონდა მდინარე სენის გაღმა, არკოლეს ხიდთან. ჟულიენმა რამდენიმე კითხვა დაუსვა.

– ჯაზის შესახებ თუ გაქვთ წიგნები? – Bah oui.((ფრ.) რა თქმა უნდა, კი.)

გარეთ წვიმამ იმატა, რესტორანში – ხალხმა და ხმაურმა. მიმტანმა ყველის ფენოვანი ღვეზელი და ლორის მწვადი მოიტანა. შემდეგ ჟულიენსა და დედას შორის ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა ბად პაუელის, სონი სტიტის, დიზი გილესპის და ჟულიენის ფავოროტის, ჩარლი პარკერის შესახებ. დედამ თქვა, რომ მას ჩეტ ბეიკერისა და მაილს დევისის დასავლეთ სანაპიროს სტილი უფრო მოსწონდა. კინდ ოფ ბლუე თუ მოუსმენია ჟულიენს? ფარი გაოცებული უგდებდა ყურს, როგორ ჰყვარებია დედას ჯაზი, რამდენი რამ სცოდნია მუსიკოსების შესახებ. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა ფარი ბავშვურ აღტაცებას ვერ ფარავდა, მაგრამ იმავე დროს, საშინლად აფორიაქებდა იმის განცდა, რომ საკუთარ დედას ბოლომდე არ იცნობდა. აშკარა იყო, რომ დედა თავისი ბუნებრივი ძალდაუტანებელი მანერებით ჟულიენის მოხიბვლას ცდილობდა. ეს კი სრულიად არ უკვირდა ფარის. დედა თავის ამპლუაში იყო. არასოდეს გასჭირვებია კაცების გულის მონადირება, მორევივით ითრევდა და მთლიანად იპყრობდა კაცების ყურადღებას.

იჯდა ფარი და უცქეროდა, როგორ ლაპარაკობდა დედა, კეკლუცად, დაბალი ხმით, როგორ იცინოდა ჟულიენის ხუმრობაზე. ხანდახან თავს გადახრიდა ხოლმე და თმის კულული ჩამოუვარდებოდა. გაოცებას ვერ მალავდა ფარი, რა ახალგაზრდა იყო, რა მშვენიერი, ფარიზე მხოლოდ ოცი წლით უფროსი. გრძელი, შავი თმა, სავსე მკერდი, საოცარი თვალები, კლასიკური, დახვეწილი ნაკვთები და მეფური ბრწყინვალებით განათებული სახე. უკვირდა ფარის, არაფრით ჰგავდა დედას. მისი მოწყენილი, ჩამქრალი თვალები, გრძელი ცხვირი, პატარა მკერდი, დაშორიშორებული კბილები,

როგორ შეედრებოდა დედამისის სილამაზეს! ფარის მთელი მშვენიერება მისი მეტისმეტად მიწიერი და მოკრძალებული გარეგნობა იყო. დედამისის გვერდით ყოფნა გამუდმებით ახსენებდა, რომ თვითონ სხვა ცომისგან იყო მოზელილი. თუ დაავიწყდებოდა, დედა შეახსენებდა და ლაპარაკისას აუცილებლად „შემოაგორებდა“ ხოლმე ქათინაურებით დატვირთულ ტროას ცხენს.

– შენ გაგიმართლა, ფარი, – ეტყოდა ხოლმე, – არ გაგიჭირდება, კაცები სერიოზულად მიგიღებენ. ყოველთვის ყურადღებას მოგაქცევენ. მეტისმეტი მშვენიერება ყველაფერს აფუჭებს.

გაიცინებდა და გააგრძელებდა.

– ოჰ, არ იფიქრო, რომ საკუთარ გამოცდილებას ვგულისხმობ. არა, რასაკვირველია. ამას უბრალოდ დაკვირვება მალაპარაკებს.

– შენ პირდაპირ მეუბნები, რომ ლამაზი არ ვარ.

– არც გჭირდება. გარდა ამისა, საკმარისია, როგორიც ხარ. ჰ68 Lმ888LI8, Ma Cherie,((ფრ.) მერწმუნე, ძვირფასო.) ასე უკეთესია.

ფარი არც მამას ჰგავდა. მამა მაღალი კაცი იყო. სერიოზული სახე, ფართო შუბლი, ვიწრო ნიკაპი და თხელი ტუჩები ჰქონდა. ფარი თავის ოთახში ქაბულში გადაღებულ რამდენიმე ფოტოს ინახავდა. 1955 წელს, როცა ის და დედამისი პარიზში ჩავიდნენ, მამა ავად გახდა და მალე გარდაიცვალა. ზოგჯერ თავის ოთახში შედიოდა და დიდხანს დასცქეროდა ფოტოებს, განსაკუთრებით კი ორ შავ-თეთრ ფოტოს. ერთ ფოტოში მამა და ფარი ძველი ამერიკული მანქანის წინ დგანან; მეორეში მამას ფარი ხელში უჭირავს და მანქანის ფრთისკენ იხრება, ორივე იღიმის. ერთხელ მამა ფარის ოთახში, კარადის წინ მოკალათდა და კარადის კარზე ჟირაფებისა და გრძელკუდიანი მაიმუნების ხატვა დაიწყო. მერე ფარის ხელში ფუნჯი დააჭერინა, ხელი ფარის ხელის მოძრაობას ააყოლა და ნახატი შეაფერადებინა.

ძველ ფოტოებზე მამამისის სახის დანახვამ უკვე კარგად ნაცნობი შეგრძნება გამოიწვია. რაც თავი ახსოვდა, ეს უცნაური შეგრძნება გამუდმებით თან სდევდა. თითქოს რადაც ან ვიღაც, მისთვის ძალიან ახლობელი აკლდა. ზოგჯერ ეს განცდა შორი, ბნელით მოცული, მივარდნილი ადგილიდან გამოგზავილი სუსტი, ბუნდოვანი, დანაწევრებული რადიოსიგნალივით იყო. ზოგჯერ კი ისე მკვეთრად, ისე ნათლად შეიგრძნობდა დანაკლისს, რომ გული შეუქანდებოდა ხოლმე. სწორედ ასე დაემართა, როდესაც ორი წლის წინ პროვანსში, სოფლის სახლის ეზოში, დიდი მუხის ხე დაინახა; იგივე განცდა ჰქონდა, როცა ტიუილრის ბაღში თვალი მოჰკრა, როგორ ასეირნებდა ახალგაზრდა დედა თავის შვილს „რადიო მფრინავის“ წითელი ოთხთვალათი. ვერაფრით ხსნიდა, რა ემართებოდა. სადღაც წაიკითხა, რომ, თურმე, ერთი თურქი შუა ხნის კაცი ღრმა დეპრესიაში ჩავარდა იმის გამო, რომ მისი ტყუპისცალი ძმა, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, ამაზონის ტროპიკულ ტყეში ექსკურსიაზე ყოფნის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა. ეს ამბავი თითქოს ყველაზე ახლოს იყო ფარის უცნაურ შეგრძნებებთან.

ერთხელ ამის შესახებ დედასაც დაელაპარაკა.

– სულაც არ არის გასაკვირი, თიი მო0სII(ფრ.) ჩემო სიყვარულო.), მამა გენატრება. ის აკლია შენს ცხოვრებას. ბუნებრივია, რომ ასეთი განცდა გაქვს. რასაკვირველია, ასეც უნდა იყოს. მოდი ჩემთან, აკოცე დედას.

დედამისის პასუხი აზრს მოკლებული არ იყო, მაგრამ ფარის არ აკმაყოფილებდა. მასაც სჯეროდა, რომ მამასთან ერთად უკეთ იგრძნობდა თავს და ეს უცნაური ნაკლულობის შეგრძნება არ დატანჯავდა, თუმცა ისიც კარგად ახსოვდა, რომ ჯერ კიდევ ქაბულში, მშობლებთან ერთად დიდ სახლში ცხოვრების დროსაც განიცდიდა იმავეს.

სადილის შემდეგ დედამ ბოდიში მოიხადა და საპირფარეშოში გავიდა. ფარი რამდენიმე წუთით მარტო დარჩა ჟულიენთან. ერთ ხანს ფილმზე საუბრობდნენ, რომელშიც ჟანა მორო აზარტული მოთამაშის როლს ასრულებს, შემდეგ სკოლისა და მუსიკის შესახებ. ჟულიენი ლაპარაკის დროს იდაყვებით მაგიდას ეყრდნობოდა და ფარისკენ გადახრილი დიდი ინტერესით უსმენდა, ხან იღიმოდა, ხან წარბებს კრავდა, მაგრამ თვალი ერთი წუთითაც არ მოუშორებია. – სპექტაკლს მართავს, ვითომ მართლა აინტერესებს, – გაიფიქრა ფარიმ, – წინასწარ კარგად დამუშავებული სცენაა, სპეციალურად ქალებისთვის. ახლა შანსი არ გაუშვა და ცოტა ხნით გართობა გადაწყვიტა. და მაინც, მისმა მზერამ გულისცემა გაუძლიერა. მთელი სხეული დაეყიმა, ხმის ტონიც კი შეეცვალა. არაბუნებრივად, გაპრანჭვით ლაპარაკი არ

სჩვევოდა საერთოდ. უნდოდა, თავის თავს დაბრუნებოდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ერთხელ უკვე ყოფილა დაქორწინებული, ცოტა ხნით. – მართლა? – რამდენიმე წლის წინ, ოცდაათი წლის რომ ვიყავი. იმ დროს ლიონში ვცხოვრობდი.

ასაკით უფროსი ქალი ჰყავდა ცოლად. დიდხანს ვერ გასტანა ქორწინებამ, რადგან ქალმა ჟულიენის მთლიანად დასაკუთრება მოინდომა. ამ თემაზე ჟულიენმა მაშინ წამოიწყო ლაპარაკი, როდესაც დედა გავიდა.

– ეს ფიზიკური ურთიერთობა იყო, – თქვა მან. – C”6tait complétement sexuelle.((ფრ.) ეს იყო სრულიად სექსუალური.) ჩემს დაუფლებას ცდილობდა.

როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, ეშმაკურად იღიმოდა, თან ყურადღებით აკვირდებოდა ფარის რეაქციას. ფარიმ სიგარეტს მოუკიდა. ისე თავისუფლად, აგდებული მანერით გააბოლა, გეგონებოდათ, კაცები ასეთ ამბებს ყოველდღე უყვებოდნენ, თუმცა, შიგნით მთელი სხეული უთრთოდა. ფარი ხვდებოდა, რომ იმას, რაც მაგიდასთან ახლა ხდებოდა, ღალატი ერქვა – ცოტა უსამართლო, არც ისე უწყინარი, მაგრამ უდავოდ, ძალიან ამაღელვებელი. როგორც კი დედა მაგიდასთან დაბრუნდა, განახლებული ტუჩის საცხითა და ვარცხნილობით, მათი საიდუმლო კავშირი გაწყდა. ფარის ეწყინა კიდეც დედის დაბრუნება, მაგრამ წყენა წამშივე შეცვალა სინანულმა.

მან ის ერთი კვირის შემდეგ ისევ ნახა. დილით დედასთან ყავა მიჰქონდა. ოთახს მიუახლოვდა და დაინახა, რომ ჟულიენი დედამისის საწოლზე იჯდა, მაჯის საათს ისწორებდა. ჟულიენი იმ ღამეს დედასთან დარჩა. ფარიმ ეს არ

იცოდა. ოთახის კართან გაქვავებულივით იდგა, ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პირი თიხის ნატეხებით ჰქონდა ამოვსებული. იდგა და უცქეროდა – ბეჭებზე უზადო კანი, პატარა მუცელი, ზეწრის ნაკეცებს მიღმა, ფეხებს შორის, მუქი ადგილი. მაჯაზე საათი გაიკეთა, მაგიდიდან სიგარეტი აიღო, მოუკიდა და ფარის შეხედა, თითქოს იცოდა, რომ იქ იდგა. მოკუმული პირით, ოდნავ გაუღიმა. მერე დედამ რაღაც დაიძახა აბაზანიდან. ფარი შეტრიალდა. ძალიან გაუკვირდა, რომ ყავა არ გადაისხა.

ჟულიენი და დედა ექვსი თვე იყვნენ საყვარლები. ხშირად დადიოდნენ კინოში, მუზეუმებსა და ხელოვნების პატარა გალერეებში, სადაც უცნობი მოქანდაკეების ნამუშევრები იყო გამოფენილი. ერთხელ, კვირის ბოლოს, ბორდოსთან ახლოს, არკაშონის სანაპიროზე წავიდნენ. უკან გარუჯულები დაბრუნდნენ, თან წითელი ღვინით სავსე ყუთი ჩამოიტანეს. ჟულიენმა თავისი ფაკულტეტის რამდენიმე ღონისძიებაზე წაიყვანა უნივერსიტეტში, დედამ წიგნების მაღაზიაში მოწყობილ კითხვაზე დაპატიჟა. თავიდან, ჟულიენის თხოვნით, ფარიც მათთან ერთად დადიოდა, მაგრამ მალე მიზეზებს ეძებდა, რომ თავი აერიდებინა. ვერ მიდიოდა, არ შეეძლო, უჭირდა ატანა. – დაღლილი ვარ, თავს ცუდად ვგრძნობ, კოლეტთან მივდივარ სამეცადინოდ – მიზეზს რა გამოლევდა. კოლეტთან მეორე კლასიდან მეგობრობდა. ის სუსტი აღნაგობის გოგო იყო, გრძელი, გაშვებული თმა და ქორის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა. მას ხალხის გაოგნება სიამოვნებას ანიჭებდა და საუბრის დროს ხშირად ეხებოდა

სკანდალურ თემებს.

– დაგენაძლევები, ძალიან სწყინს, შენც რომ არ დადიხარ მათთან ერთად, – უთხრა კოლეტმა.

– ასეც რომ იყოს, არ იმჩნევს. – არ შეიმჩნევს, აბა, რა! რას იფიქრებს დედაშენი?

– რაზე რას იფიქრებს? – ჰკითხა ფარიმ. თუმცა იცოდა, თან ძალიან კარგად, მაგრამ სხვისგან უნდოდა გაგება.

– რაზე? – კოლეტს ხმაში ეშმაკური მღელვარება შეეპარა. – რაზე და, შენ რომ დაგითრიოს, დედაშენთან იმიტომაა. მას შენ უნდიხარ.

– რა საზიზღრობაა! – აღშფოთებით თქვა ფარიმ.

– ან იქნებ ორივე ერთად უნდიხართ. იქნებ ბევრ ქალთან ერთად უყვარს წოლა. თუ ასეა, არ დაგავიწყდეს და სიტყვა შემაწიე.

– გულისამრევი ხარ, კოლეტ.

ზოგჯერ, როცა დედა და ჟულიენი გასული იყვნენ, ფარი შიშვლდებოდა და შესასვლელის სარკეში თავის თავს ათვალიერებდა. ძალიან მაღალი, უფორმო და არაფრისმთქმელი… – ფიქრობდა თავისთვის. ერთი ნაკვთი მაინც რგებოდა დედისგან მემკვიდრეობით. ზოგჯერ დედამისის ოთახში შედიოდა, იმ საწოლზე წვებოდა, რომელზეც დედა და ჟულიენი სიყვარულს უზიარებდნენ ერთმანეთს. დედიშობილა თვალებს ხუჭავდა, გული

გამალებით უძგერდა, უცნაურ ტკბობას განიცდიდა, რაღაც ნელ-ნელა, გუგუნით ედებოდა მთელ სხეულზე – ჯერ მკერდზე, მერე მუცელზე, მერე უფრო ქვევით.

რასაკვირველია, მალე დამთავრდა. დედა და ჟულიენი ერთმანეთს დაშორდნენ. ფარიმ შვებით ამოისუნთქა. გაკვირვებით კი არ გაჰკვირვებია, რადგან დედას ყველა მამაკაცი ერთნაირად უცრუებდა იმედს. კაცები კატასტროფულად შორს აღმოჩნდებოდნენ ხოლმე იმ იდეალებისგან, რომელთანაც დედა მათ ათანაბრებდა. ის, რაც ასე მგზნებარედ, ვნებიანად იწყებოდა, ყოველთვის ლანძღვა-გინებით, სიძულვილით სავსე სიტყვებით, ტირილით, ჯამ-ყურჭლის ლეწვითა, დაბოლოს, მისი სასოწარკვეთით მთავრდებოდა. ეს ყველაფერი ძალიან დრამატული იყო. დედას სხვაგვარად არც რომანის დაწყება შეეძლო და არც მისი

დასრულება.

შემდეგ აუცილებლად დგებოდა განმარტოების ხანა. უმეტეს დროს საწოლში ატარებდა. თუ წამოდგებოდა, საღამურზე თავის ძველ ზამთრის პალტოს მოიცვამდა, დაღლილი, უბედური სახით დალასლასებდა. ფარიმ იცოდა, რომ ასეთ დროს დედა მარტო უნდა დაეტოვებინა. ზოგჯერ ცდილობდა, რომ დაემშვიდებინა, მაგრამ დედას არავისთან ურთიერთობის სურვილი არ ჰქონდა. ასე კვირების განმავლობაში გრძელდებოდა. ჟულიენთან დაშორების გადახარშვას კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდა.

– Ah, merde!((ფრ. ვულგალური ჟარგონი) ჯანდაბა.) – ამბობს Maman.

საწოლზე ზის. ჯერ კიდევ საავადმყოფოს ხალათი აცვია. ექიმმა დელონემ ფარის გაწერის საბუთები გადასცა. მედდა ინტრავენურ წვეთოვანს ხსნის.

– რა მოხდა?

– ახლა გამახსენდა. რამდენიმე დღეში ინტერვიუ მაქვს.

– ინტერვიუ?

– ჰო, პოეზიის ჟურნალისთვის.

– მართლა? გადასარევია, Maman.

– ინტერვიუს თან სურათი ერთვის, – ხელი შუბლის ჭრილობისკენ მიაქვს.

– ვიცი, რომ მაგის დასაფარად აუცილებლად გამონახავ ელეგანტურ გზას, – ამბობს ფარი.

დედა ოხრავს. იქით იყურება, როცა მედდა ნემსს აცლის, იღუშება და ჯაჯღანით ეუბნება რაღაცას, რაც სულ არ დაუმსახურებია.

„ავღანელი ბულბული“ - ნაწყვეტი

ინტერვიუ ნილა ვაჰდათისთან

ინტერვიუ ჩაწერა ეტიენ ბუსტულემ „პარალაქსი 84“ (ზამთარი, 1974) გვ. 33

კიდევ ერთხელ ვათვალიერებ ოთახს და ერთ-ერთ თაროზე ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს ვამჩნევ. პატარა გოგონა ბუჩქებით სავსე მინდორში ჩაცუცქულა და რაღაცას კრეფს, ალბათ კენკრას. კაშკაშა ყვითელი, კისრამდე შეკრული პალტო კონტრასტს ჰქმნის რუხი ღრუბლებით დაფარულ ცასთან. უკანა პლანზე სოფლური ქვის სახლი ჩანს. სახლის ფანჯრების ხის დარაბები დაკეტილია. სახურავზე აქა-იქ ფილებია ამოყრილი.

სურათის შესახებ ვეკითხები.

ნილა ვაჰდათი: ჩემი ქალიშვილია, ფარი ჰქვია. ფარსის ენაზე ფერიას ნიშნავს. ეს ფოტო ნორმანდიაში, 1957 წელსაა გადაღებული. ალბათ რვა წლისაა.

ეტიენ ბუსტულე: პარიზში ცხოვრობს?

ნილა ვაჰდათი: მათემატიკას სორბონაში სწავლობს. ეტიენ ბუსტულე: ალბათ ამაყობთ მისით.

იღიმის და მხრებს იჩეჩს.

ეტიენ ბუსტულე: ცოტა უცნაური მეჩვენება მისი პროფესიული არჩევანი, თქვენ მთელი ცხოვრება ხელოვნებას მიუძღვენით.

ნილა ვაჰდათი: ვერც კი ვხვდები, საიდან აქვს ეს მიდრეკილება. მთელი ეს გაუგებარი ფორმულები, თეორიები… მისთვის, რასაკვირველია, არ არის გაუგებარი. მე გამრავლების ტაბულაც კი მიჭირს.

ეტიენ ბუსტულე: იქნებ ის ასე პროტესტს გამოხატავს. თქვენც ალბათ ხშირად გამოგიხატავთ პროტესტი.

ნილა ვაჰდათი: დიახ, მაგრამ მე, როგორც წესი, ვსვამ, ვეწევი, საყვარლებს ვიცვლი. ვინ გამოხატავს პროტესტს მათემატიკით?

იცინის.

ნილა ვაჰდათი: გარდა ამისა, ჩემს ქალიშვილს პროტესტის მიზეზი არ გააჩნია. მე ვიზრუნე, რომ მას სრული თავისუფლება ჰქონოდა. არაფერი აკლია, ყველაფერი აქვს. ახლა ის ასაკით მასზე უფროს კაცთან ცხოვრობს. უზომოდ მომხიბვლელი, ნაკითხი, საინტერესო – ჩამოყალიბებული ნარცისი, რასაკვირველია. მისი ეგო ალბათ ზომით პოლონეთის ტოლია.

ეტიენ ბუსტულე: არ მოგწონთ, როგორც ჩანს.

ნილა ვაჰდათი: მე მომწონს თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს. ეს საფრანგეთია და არა ავღანეთი, სადაც ახალგაზრდები მშობლების მიერ ბეჭედდასმული თანხმობით ცხოვრობენ და

კვდებიან. ეტიენ ბუსტულე: თქვენს ქალიშვილს ავღანეთთან არაფერი აკავშირებს? ნილა ვაჰდათი: როდესაც წამოვედით, ექვსი წლის იყო. ძალიან ცოტა რამ ახსოვს. ეტიენ ბუსტულე: სამაგიეროდ, თქვენ გახსოვთ ბევრი.

ვთხოვ, რომ მისი ადრეული ცხოვრების შესახებ მომიყვეს.

ბოდიშს იხდის და ოთახიდან გადის. უკან რომ ბრუნდება, ხელში ძველი, გაცრეცილი შავ-თეთრი ფოტო უჭირავს. ფოტოს მე მაწვდის. ფოტოზე მკაცრი სახის, სათვალიან კაცს პრიალა თმა ზუსტად შუაზე აქვს გადაყოფილი. მაგიდასთან ზის და წიგნს კითხულობს. შარვალ-კოსტიუმი, ორბორტიანი ჟილეტი და თეთრი პერანგი აცვია. ჰალსტუხის ნაცვლად ბაფთა უკეთია. პიჯაკს წვეტიანი ლაცკანები(ლაცკანი – (გერმ.) პალტოს, პიჯაკის და მისთ. ბორტის გადანაკეცი.) აქვს.

ნილა ვაჰდათი: მამაჩემი, 1929. ჩემი დაბადების წელი.

ეტიენ ბუსტულე: გამორჩეული გარეგნობა აქვს.

ნილა ვაჰდათი: პუშტუნთა არისტოკრატიას ეკუთვნოდა. უაღრესად განათლებული, უზადოდ დახვეწილი მანერებით, დაშვებულობის ფარგლებში კომუნიკაბელური და თხრობის დიდოსტატი. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მაინც.

ეტიენ ბუსტულე: პირად ცხოვრებაში?

ნილა ვაჰდათი: იქნებ მიხვდეთ, მოსიე ბუსტულე?

ფოტოს ვიღებ და კიდევ ერთხელ ვათვალიერებ.

ეტიენ ბუსტულე: მიუწვდომელი, მე ვიტყოდი, სერიოზული, გამოუცნობი, უკომპრომისო.

ნილა ვაჰდათი: დაჟინებით გთხოვთ, ჩემთან ერთად ერთი ჭიქა დალიოთ, მძულს, არა, უფრო სწორად, ვერ ვიტან მარტო სმას.

შარდონეს მისხამს. ზრდილობის გამო ჭიქა ტუჩებთან მიმაქვს და ისევ ვდგამ.

ნილა ვაჰდათი: მამაჩემს ცივი ხელები ჰქონდა, იმისდა მიუხედავად, როგორი ამინდი იყო. ყოველთვის შარვალ-კოსტიუმი ეცვა, ერთხელ კიდევ ვიტყვი, ამინდს არ ჰქონდა მნიშვნელობა. უნაკლოდ შეკერილი, სწორი ნაკეცებით. თექის ფარფლებიანი ქუდი ეხურა, ფეხსაცმელი, რასაკვირველია, ორ ფერში. ლამაზი კაცი იყო, იმპოზანტური. ასევე, და ეს მე მოგვიანებით გავიაზრე, ხელოვნური, შეიძლება ითქვას, ოდნავ ღიმილის მომგვრელი, ფსევდო-ევროპული, დაწყებული გარეგნობიდან ყოველკვირეული ბოულინგისა და პოლოს თამაშით დასრულებული. ამას ყველაფერს სათაყვანებელი ფრანგი ცოლიც ემატებოდა და რასაკვირველია, ახალგაზრდა, პროგრესული მეფის დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ფრჩხილს იციცქნის. ცოტა ხანს დუმს. დიქტოფონში ფირს ვაბრუნებ.

ნილა ვაჰდათი: მამას ცალკე ეძინა. დედასთან მე ვიწექი. დღის უმეტეს ნაწილს მინისტრებთან და მეფის მრჩევლებთან ერთად ატარებდა. სამხარი, ცხენით ჯირითი, პოლოს თამაში ან ნადირობა. ნადირობა ძალიან უყვარდა.

ეტიენ ბუსტულე: ანუ ურთიერთობა იშვიათად გქონდათ, ხშირად ვერ ხედავდით.

ნილა ვაჰდათი: სულ ასე არ იყო. მას წესად ჰქონდა, ორ დღეში ერთხელ რამდენიმე წუთი ჩემთან გაეტარებინა. ჩემს ოთახში შემოვიდოდა და საწოლზე ჩამოჯდებოდა. ეს მინიშნება იყო, რომ მის მუხლებზე ავმძვრალიყავი. ცოტა ხანს მუხლებზე მახტუნავებდა, ბევრს არც ერთი ვლაპარაკობდით. მერე შემეკითხებოდა: ახლა რა გავაკეთოთ, ნილა? ზოგჯერ ნებას მრთავდა, რომ მისი გულის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამომეღო. რასაკვირველია, ვჭმუჭნიდი, ვამრგვალებდი და ისევ ვუტენიდი ჯიბეში. მამა გაოცებულ სახეს იღებდა და ეს ძალიან სასაცილოდ მეჩვენებოდა. ასე ვთამაშობდით, სანამ დაიღლებოდა. უნდა ვთქვა, რომ მალე იღლებოდა. მერე თავის ცივ ხელს თავზე გადამისვამდა და მეტყოდა: „მამა უნდა წავიდეს, ჩემო ნუკრო, ახლა გაიქეცი“.

ფოტო მეორე ოთახში გააქვს. რომ ბრუნდება, უჯრიდან სიგარეტის ახალ კოლოფს იღებს და უკიდებს.

ნილა ვაჰდათი: ასე მეძახდა. ძალიან მომწონდა. ბაღს კუნტრუშით შემოვურბენდი ხოლმე და ვმღეროდი: „მამიკოს ნუკრი ვარ, მამიკოს ნუკრი ვარ!“ მხოლოდ ძალიან დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რა ავისმომასწავებელი სახელი იყო.

ეტიენ ბუსტულე: როგორ? იღიმის. ნილა ვაჰდათი: მამაჩემი ირმებზე ნადირობდა – ხოცავდა, მოსიე ბუსტულე.

ეეძლოთ ფეხით გაევლოთ, მაგრამ წვიმამ იმატა. ტაქსის უკანა სავარძელზე ფარის საწვიმარში გამოხვეული დედა ზის. ფანჯრიდან უსიტყვოდ იცქირება. ცუდად გამოიყურება, უძლური მოხუცი გეგონებათ. ამ წუთში ფარი ასე ხედავს. დიდი ხანია რაც დედამისის სახლში არ ყოფილა. გასაღებს ატრიალებს და ბინაში შედიან. სამზარეულოს დახლი ქუყყიანი ღვინის ჭიქებით, ჩიფსისა და მაკარონის გახსნილი ყუთებითაა სავსე. თეფშებზე გამოუცნობი სახის საჭმელია გაქვავებული, ცარიელი ღვინის ბოთლებით სავსე პარკი მაგიდიდან ლამის გადმოვარდეს. იატაკზე გაზეთებია მიმოფანტული, ერთ-ერთი რამდენიმე საათის წინ დაღვრილი სისხლითაა გაჟღენთილი, ზევიდან ცალი შალის წინდა გდია. ცოტა აშინებს ფარის დედამისის საცხოვრებელ სივრცეში ასეთი არეულობა. ახლა თავს დამნაშავედ გრძნობს. იქნებ ეს უნდოდა? იქნებ წინასწარ დაგეგმა კიდეც. საკუთარი თავი სძულს ამ ფიქრის გამო. ასე ალბათ ჟულიენი იფიქრებდა. მას უნდა, რომ თავს ცუდად გრძნობდე, ბოლო წლის განმავლობაში ეს რამდენიმეჯერ უთხრა, უნდა, რომ თავს ცუდად გრძნობდე. როდესაც ჟულიენმა ეს პირველად უთხრა, ფარიმ შვება იგრძნო, მას გაუგეს და სიტყვებში მოაქციეს ის, რისი გამოთქმაც თვითონ არ ან ვერ შეძლო. ფარი ფიქრობდა, რომ თანამოაზრე შეიძინა და ჟულიენის მადლობელი იყო. მაგრამ დღეს სიკეთის ნატამალსაც ველარ ხედავს მასში, მხოლოდ სისასტიკეს გრძნობს მის სიტყვებში.

საძინებლის იატაკზე ტანსაცმელი, ფირები, წიგნები, გაზეთები ყრია. ფანჯრის რაფაზე წყლით სავსე ჭიქა დგას. წყალი შიგ ჩაყრილი სიგარეტების ნამწვისგან გაყვითლებულია. ფარი ჟურნალებსა და წიგნებს ერთი ხელის მოსმით ყრის საწოლიდან და დედას აწვენს, საბანს აფარებს.

დედა ფარის უცქერის. ხელის ზურგი შეხვეულ შუბლზე უდევს.ცოტა მუნჯი კინოს მსახიობს ჰგავს, რომელსაც როლში გული უნდა წაუვიდეს.

– ხომ გამოკეთდები, Maman?

– ეჭვი მეპარება, – ამბობს ის. ამჯერად არ იგრძნობა ყურადღების მიპყრობის სურვილი. მის სუსტ, მოწყენილ ხმაში სიწრფელე და დაღლილობა ისმის, და კიდევ რაღაც გადაწყვეტილი, დასრულებული.

– ნუ მაშინებ, Maman. – უკვე მიდიხარ?

– გინდა, რომ დავრჩე? – ჰო.

– კარგი, დავრჩები.

– სინათლე გამორთე. – მამან?

– ჰო.

– წამლებს კიდევ იღებ თუ შეწყვიტე? მგონი, შეწყვიტე… – ნუ დამიწყებ ჭკუის სწავლებას. შუქი ჩააქრე.

ფარი შუქს აქრობს, დედამისის საწოლის კიდეზე ჯდება. დედას უკვე სძინავს. ფარი სამზარეულოში გადის და ყველაზე რთულ დავალებას – სამზარეულოს დასუფთავებას – ჭურჭლის რეცხვით იწყებს. ჭიქები ამჟავებული რძის სუნით ყარს, ჯამებზე ბურღულის ფაფის ნარჩენებია მიმხმარი, თეფშებზე ობის ლაქებია. ის დღე ახსენდება, ჟულიენის ბინაში პირველად რომ დარეცხა ჭურჭელი. იმ ღამეს პირველად იწვნენ ერთად. დილას ჟულიენმა კვერცხი შეწვა. თითქოს უცნაური არაფერი იყო, მაგრამ ძალიან სიამოვნებდა მის სამზარეულოში თეფშების რეცხვა და ჟულიენის საყვარელი ჯეინ ბირკინის მოსმენა.

ათი წლის შემდეგ, 1973 წელს, ისევ აღადგინეს ურთიერთობა. შემთხვევით შეხვდა ქუჩაში, როდესაც სტუდენტები კანადის საელჩოსთან სელაპებზე ნადირობის აკრძალვის მოთხოვნით საპროტესტო აქციას მართავდნენ. ფარის წასვლა არ უნდოდა, გარდა ამისა, ნაშრომი მერომორფული ფუნქციების შესახებ დასამთავრებელი ჰქონდა, მაგრამ კოლეტი არ შეეშვა. იმ დროს კოლეტი და ფარი ერთად ცხოვრობდნენ. ბოლო დროს მათ ურთიერთობას უსიამოვნო დაძაბულობა ახლდა თან. კოლეტმა „ბალახის“ მოწევა დაიწყო. თმას სარტყლით იმაგრებდა, ხასხასა ჟოლოსფერ, ზიზილებითა და ჩიტებით მოქარგულ ბლუზებს ატარებდა. სახლში გრძელთმიანი, დაუვარცხნელი, პირდაუბანელი ბიყები მოჰყავდა. ფარის საჭმელს მუსრს

ავლებდნენ და გიტარაზე ცუდად უკრავდნენ. კოლეტი უმეტესწილად ქუჩაში იყო. ხან ცხოველების მიმართ სასტიკ მოპყრობას აპროტესტებდა, ხან რასიზმს, მონობას და წყნარ ოკეანეში საფრანგეთის მიერ ბირთვული იარადის გამოცდას. სახლში გამუდმებით აურზაური იყო. ფარისთვის სრულიად უცნობი ხალხი უწყვეტ ნაკადად მოდიოდა და მიდიოდა. როდესაც მარტო რჩებოდნენ, ფარი იძაბებოდა. თუმცა, არასოდეს არაფერი უთქვამს კოლეტს, მაგრამ ფარი მეგობარს ქედმაღლურ დამოკიდებულებას ამჩნევდა.

– ცრუობენ, – ენერგიულად ამბობდა კოლეტი. – ჩვენი მეთოდები ჰუმანურიაო, ამტკიცებენ, ჰუმანური! გინახავს რას ურტყამენ თავში? გინახავს ჰაკაპიკი(ჰაკაპიკი – (ნორვ.) მრავალფუნქციური სანადირო იარაღი. ხის ტარზე დამაგრებული ურო და კაუჭი, გამოიყენება სელაპებზე ნადირობის დროს.)? ის ნაბიჭვრები საწყალ ცხოველებს, ჯერ კიდევ ცოცხლებს, თავში კაუჭს გამოსდებენ და ნავებისკენ მიათრევენ. ცოცხლად ატყავებენ, გესმის, ფარი, ცოცხლად! – ამ სიტყვებს ისე ამბობდა, რომ ფარის ბოდიშის მოხდა უნდებოდა, თუმცა ვერ გაეგო, რისთვის. მაგრამ იმას კი კარგად ხვდებოდა, რომ კოლეტის გაუთავებელი საყვედურების გამო უკვე სუნთქვა უჭირდა.

მხოლოდ ოცდაათამდე კაცი შეიკრიბა. ჭორი გავრცელდა, თითქოს ბრიჯიტ ბარდო აპირებდა მისვლას, მაგრამ ჭორი ჭორად დარჩა. კოლეტი თავს გაწბილებულად გრძნობდა.

ჯავრი ერიკზე იყარა. ერიკი ფერმკრთალი, სათვალიანი ახალგაზრდა კაცი იყო. როგორც ფარი მიხვდა, აქციის ორგანიზებას ის ედგა სათავეში. კოლეტმა ისე წააყარა, ლამის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. – საწყალი ერიკი, – შეეცოდა ფარის. აბობოქრებულმა კოლეტმა ლიდერობა იკისრა. ფარი მონაწილეებს უკან მიჰყვებოდა, მის გვერდით ბრტყელმკერდიანი გოგონა აღტაცებით ისროდა ლოზუნგებს. ფარი ტროტუარს დასცქეროდა და ძალიან ცდილობდა, რომ არ ჩამორჩენილიყო.

ქუჩის კუთხეში ვიღაცამ მხარზე შეახო ხელი.

– ისე გამოიყურები, ვიფიქრე, მხსნელი სჭირდება-მეთქი.

ტვიდის პიჯაკი, სვიტერი და ჯინსი ეცვა. შალის შარფი ეკეთა. თმა უფრო გრძელი ჰქონდა, ვიდრე ადრე. ასაკი სულ ოდნავ ეტყობოდა, მაგრამ ელეგანტურად, ისე, რომ ალბათ ბევრი მისი ასაკის ქალი უსამართლოდ და გამაღიზიანებლადაც კი მიიჩნევდა. ისევ ის აღნაგობა,

ერთი-ორი ბატის ნაფეხური თვალებთან, ცოტა მეტი ჭაღარა საფეთქლებთან, სახეზე ოდნავ დაღლილი გამომეტყველება.

– მართალი ხარ, – თქვა ფარიმ.

ერთმანეთს ლოყაზე აკოცეს; და როდესაც მან ყავაზე დაპატიჟა, ფარი დათანხმდა.

– შენი მეგობარი ისეთი გაბრაზებული ჩანს, რომ მიუშვა მკვლელობას ჩაიდენს.

ფარიმ კოლეტისკენ გაიხედა. ერიკთან ერთად მუშტმოღერებული მღეროდა, თან ფარისკენ

იცქირებოდა. ფარიმ სიცილი ძლივს შეიკავა, კიდევ კარგი მოახერხა, თორემ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა მათ ურთიერთობას. მხრები აიჩეჩა და განზე გადგა.

პატარა კაფეში ფანჯარასთან დასხდნენ. მან ყავა და თითო ნაჭერი mille-feuille((ფრ.) ფენოვანი კრემიანი ნამცხვარი. ასევე ცნობილია ნაპოლეონის

სახელით.) შეუკვეთა. ფარი მიმტანისა და მის საუბარს თვალს ადევნებდა. ჟულიენი კეთილგანწყობილად, თუმცა უპირატესობის განცდით ლაპარაკობდა. მოელვარებამ ისევ ისე დაუარა სხეულში, როგორც მაშინ, როცა ჟულიენი დედას აკითხავდა. უცებ გააცნობიერა, რომ ფრჩხილები დაკვნეტილი ჰქონდა, სახეზე არაფერი ესვა, თმაც გაწეწოდა; ნეტავ დაბანის შემდეგ საშრობით გაეშრო, მაგრამ აგვიანდებოდათ და კოლეტი ზოოპარკის ცხოველივით დადიოდა წინ და უკან.

– ვერასოდეს გაიგივებდი პროტესტანტის ტიპთან, – თქვა ჟულიენმა და ფარის სიგარეტზე მოუკიდა.

– ჰო, აქ უფრო დანაშაულის განცდის გამო ვარ, ვიდრე მრწამსის. – დანაშაულის? სელაპებზე ნადირობის გამო?

– არა, კოლეტის გამო.

– გასაგებია. იცი, რა, ცოტა მეც შემეშინდებოდა.

– ყველას გვეშინია.

ორივემ გაიცინა. მაგიდაზე გადაიხარა და ფარის შარფს შეეხო. ხელი ჩამოუშვა.

– ბანალური იქნებოდა, რომ მეთქვა გაზრდილხარ-მეთქი, ამიტომ არ გეტყვი, მაგრამ მომაჯადოებლად გამოიყურები, ფარი.

ფარიმ საწვიმარის ლაცკანს ხელი მოუჭირა. – რაა? ამ კლუზოს(იგულისხმება ინსპექტორი კლუზო ფილმიდან „ვარდისფერი პანტერა“.) ფორმაშიც? – კოლეტი ხშირად ეუბნებოდა, გადააგდე ეს სულელური ტანსაცმლის ქაჩვის ჩვევა და მორჩი საკუთარი თავის დაკნინებასო. ფარი ყოველთვის უხერხულად გრძნობდა თავს, როდესაც მისთვის საინტერესო მამაკაცები ქათინაურებს ეუბნებოდნენ. ეს არც პირველი შემთხვევა იყო და არც უკანასკნელი, როდესაც მას დედამისის ბუნებრივი თავდაჯერებულობის შურდა.

– ახლა იმასაც იტყვი, რომ ჩემს სახელს ვამართლებ.

– კარგი რა! ძალიან აშკარაა. იცი ალბათ, რომ ქალების ქათინაურებით შემკობა განსაკუთრებული ხელოვნებაა.

– არა, არ ვიცი, მაგრამ შენი მჯერა.

შეკვეთილი ყავა და ნამცხვარი მოიტანეს. როდესაც მიმტანი თეფშებსა და ჭიქებს აწყობდა მაგიდაზე, ფარი ხელებზე უყურებდა, თვითონ საზიზღრად ჰქონდა ხელის გულები გაოფლიანებული. ფარის მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ოთხი საყვარელი ჰყავდა. ეს მოკრძალებული რიცხვი იყო, თუ დედამისის (როცა დედა მისი ასაკისა იყო), და თუნდაც

კოლეტის, საყვარლების რაოდენობას შევადარებთ. ფარი ყურადღებიანი, მეტისმეტად მგრძნობიარე, დამთმობი და სანდო პარტნიორი იყო, ამავე დროს ნაკლებად დამღლელი, ვიდრე დედამისი ან კოლეტი, მაგრამ ეს თვისებები არ

კმაროდა კაცების გასაგიჟებლად. თან არც ერთი მათგანი არ ჰყვარებია. თუმცა ერთს უთხრა მიყვარხარო. როცა საწოლში კაცების ქვეშ იყო მოქცეული, ჟულიენის სახე ედგა თვალწინ, რომელსაც, როგორც ფარი ფიქრობდა, სულ სხვა, განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა.

სადილის დროს თავისი სამსახურის შესახებ ლაპარაკობდა. სწავლებისთვის რამდენიმე წლის წინ დაუნებებია თავი. შემდეგ ვალის მდგრადობის საკითხებზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაუწყია თანამშრომლობა, ამ თანამშრომლობის საუკეთესო ნაწილი ის არის, რომ მოგზაურობის საშუალება მომეცაო, – თქვა მან.

– სად იმოგზაურე?

– იორდანიაში, ერაყში. მერე წიგნიც დავწერე ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ.

– გამოქვეყნდა?

– არის ასეთი ჭორი, – გაიღიმა მან. – ახლა კერძო საკონსულტაციო ფირმაში ვმუშაობ, აქ, პარიზში.

– მეც ძალიან მინდა მოგზაურობა. კოლეტი სულ მეუბნება, ავღანეთში წავიდეთო.

– ეჭვი მაქვს, ვიცი, რატომაც უნდა იქ წასვლა.

– ჰო, მეც მიფიქრია მაგაზე, მაგრამ მე ჰაშიში არ მადარდებს. ის ქვეყანა მინდა ვნახო, სადაც დავიბადე. იქნებ იმ სახლსაც მივაგნო, სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი.

– ვერც კი წარმომედგინა, ასეთი განზრახვა თუ გქონდა. – მაინტერესებს, ძალიან ცოტა რამ მახსოვს. – მახსოვს, ერთხელ ოჯახის მზარეულზე მიამბობდი რაღაცას.

როგორ ეამა! ამდენი წლის წინ მოყოლილი ამბავი ახსოვდა, იქნებ არც დავიწყებია ფარი, იქნებ მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიქრობდა მასზე!

– ჰო, ნაბი ერქვა. ის მძღოლიც იყო. მამაჩემის დიდ ლურჯ ამერიკულ მანქანას ატარებდა, მანქანას სახურავი ეხდებოდა. მახსოვს, რომ მანქანის წინა ნაწილზე არწივის თავი იყო დამაგრებული.

მოგვიანებით სწავლასთან დაკავშირებით დაუსვა კითხვები. ფარიმ უთხრა, რომ ცვლადი სიდიდეებით იყო დაინტერესებული. ყურადღებით უსმენდა; დედას ასე არასოდეს მოუსმენია. ის მიიჩნევდა, რომ მათემატიკა მოსაწყენი საგანი იყო, ხოლო ფარის მათემატიკით გატაცება – გამოცანა. დედას მოჩვენებითი ინტერესიც კი არასოდეს გამოუხატავს. ისე, ერთი შეხედვით ზერელედ, ხუმრობდა და თავის უცოდინარობას დასცინოდა. „ო, ლა, ლა, – სიცილით იტყოდა

ხოლმე, – თავი! თავი! ბზრიალასავით ტრიალებს! მოდი ასე ვქნათ, ახლა მე ჩაის დავასხამ და შენ მიწაზე დაეშვები, d'accord((ფრ.) კარგი.)?“ – ხითხითებდა

და ფარიც ცდილობდა, რომ იუმორით ეპასუხა, მაგრამ ამ ერთი შეხედვით უწყინარ ხუმრობას წვეტიანი წახნაგიც ჰქონდა. ირიბად მიანიშნებდა, რომ მისი ცოდნა ნაკლებსარწმუნოდ, ხოლო გატაცება კი ქარაფშუტულად მიაჩნდა. „ქარაფშუტული? პოეტი მაინც არ იყოს“, – ფიქრობდა ფარი, მაგრამ ხმამაღლა არასოდეს უთქვამს.

ჟულიენს აინტერესებდა, რა იზიდავდა ფარის მათემატიკაში.

– დამამშვიდებელია, – უპასუხა ფარიმ.

– თუ შემაშინებელი – მგონი ეს ზედსართავი უფრო უპრიანია.

– ხანდახან ასეც ხდება. ფარიმ განმარტა, რომ მათემატიკური ჭეშმარიტების მუდმივობა, ცვალებადობისა და ბუნდოვანების არარსებობა სიმშვიდეს იწვევს; და კიდევ იმის ცოდნა, რომ პასუხი ზოგჯერ

რთულად მისახვედრი, მაგრამ მიღწევადია. ზუსტად იცი, რომ პასუხი არსებობს, შეიძლება სადღაც მიჩქმალული, შენგან შორს, ცარცით მიწერილი, მაგრამ არსებობს.

– არაფერი აქვს ცხოვრებასთან საერთო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. აქ პასუხი ან არ არის, ან თუ არის, გაუგებარია.

– ასე გასაგებად ვთქვი? – გაიცინა ფარიმ და სახე ხელსაწმენდში ჩამალა, – ჩემი თავი გიჟი მგონია.

– სულაც არა, – ხელსაწმენდი მოაშორა, – სულაც არა.

– ალბათ რომელიმე შენს სტუდენტს გახსენებ.

რამდენიმე შეკითხვა კიდევ დაუსვა. ეტყობოდა, რომ ანალიტიკური რიცხვთა თეორიის პრაქტიკული ცოდნა ჰქონდა. სულ მცირე, გაკვრით მაინც იცოდა, ვინ იყვნენ კარლ გაუსი და ბერნჰარდ რიმანი. დაბნელებამდე ლაპარაკობდნენ. შემდეგ ყავა დალიეს, მერე ლუდი, ბოლოს ღვინო. გადადების დრო უკვე აღარ იყო; ჟულიენი ოდნავ გადაიხარა ფარისკენ და თავაზიანი, მზრუნველი ტონით ჰკითხა:

– მითხარი, ფარი, ნილა როგორაა?

ფარიმ ლოყები დაბერა და მერე ნელ-ნელა გამოუშვა ჰაერი.

ჟულიენმა გაგებით დაუქნია თავი.

– შეიძლება თავისი წიგნების მაღაზია დაკარგოს, – თქვა ფარიმ.

– რა სამწუხაროა.

– წლების განმავლობაში ცუდად მიდიოდა საქმე. ალბათ დახურავს. არ აღიარებს, მაგრამ ვიცი, რომ მისთვის დიდი დარტყმა იქნება.

– წერს? – აღარ დაუწერია არაფერი.

ჟულიენმა თემა სწრაფად შეცვალა. ფარიმ ამოისუნთქა. არ უნდოდა, რომ მოეყოლა, როგორ ეძალებოდა დედამისი სასმელს, როგორ იბრძოდა ფარი, რომ წამლები დროზე მიეღო. ფარის გაახსენდა, ყოველ ჯერზე, როდესაც ის და ჟულიენი მარტონი რჩებოდნენ, მაშინ, როცა დედა მეორე ოთახში იცვამდა, ჟულიენი ფარის თვალს არ აშორებდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გოგონა ცდილობდა რაღაც ეთქვა. დედა ალბათ ყველაფერს გრძნობდა. ნეტავ, ეს გახდა ჟულიენისა და ნილას დაშორების მიზეზი? თუ ასე იყო, დედას საყვარლის მიმართ ეჭვიანობა ამოძრავებდა და არა შვილის დაცვის სურვილი.

რამდენიმე კვირაში ჟულიენმა ფარის მის ბინაში გადასვლა სთხოვა. ის პატარა ბინაში ცხოვრობდა მარცხენა სანაპიროს მეშვიდე მუნიციპალურ ქვედანაყოფში. ფარი დათანხმდა. კოლეტის აშკარა ანტაგონისტური დამოკიდებულების გამო მის ბინაში გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

ფარის კარგად ახსოვს თავისი პირველი კვირა დღე ჟულიენის სახლში. ერთმანეთთან ჩახუტებულები ტახტზე იწვნენ. ფარი ძილ-ბურანში ნებივრობდა, ჟულიენი ჩაის სვამდა. გრძელი ფეხები ყავის მაგიდაზე შემოეწყო და ჟურნალის ბოლო გვერდზე საავტორო სტატიას კითხულობდა. ჟაკ ბრელის ფირფიტას უსმენდნენ. ფარი დროდადრო მკერდზე ეკვროდა ჟულიენს. ჟულიენი ნაზად კოცნიდა თვალებზე, ყურის ბიბილოზე, ცხვირზე.

– დედას უნდა ვუთხრათ.

ფარიმ იგრძნო, როგორ დაიძაბა ჟულიენი. გაზეთი დაკეცა. საკითხავი სათვალე მოიხსნა და ტახტზე დადო.

– უნდა იცოდეს.

– ჰო, ალბათ, – თქვა მან.

– ალბათ?

– არა, რასაკვირველია, შენ მართალი ხარ. დაურეკე, მაგრამ ფრთხილად დაელაპარაკე, არ აფიქრებინო, რომ ნებართვას ან დალოცვას სთხოვ. ვერც ერთს ვერ მიიღებ. მიახვედრე, რომ უბრალოდ ამბავს ატყობინებ და მოსალაპარაკებლად არ ურეკავ.

– შენთვის ადვილი სათქმელია.

– არ დაგავიწყდეს, რომ ნილა შურისმაძიებელი ქალია. ვწუხვარ, რომ ვამბობ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობაც ასე დამთავრდა. მასში საოცრად ძლიერია შურისძიების სურვილი. ასე რომ, ვიცი, რასაც ვამბობ, არ იქნება ადვილი.

ფარიმ ამოიხვნეშა და თვალები დახუჭა. იმის ფიქრიც კი, რომ დედას უნდა დალაპარაკებოდა, მუცელს ატკივებდა.

ჟულიენმა ზურგზე დაუსვა ხელი.

– ნუ ხარ ასეთი მგრძნობიარე.

ფარიმ მეორე დღეს დარეკა. დედამ უკვე იცოდა.

– ვინ გითხრა?

– კოლეტმა.

აბა, ვინ ეტყოდა, გაიფიქრა ფარიმ.

– მე ვაპირებდი თქმას.

– რასაკვირველია, უნდა გეთქვა. ასეთ რამეს ვერ დამალავ. – გაბრაზდი?

– აქვს ამას მნიშვნელობა?

ფარი ფანჯარასთან იდგა. ჟულიენის ძველი ლურჯი საფერფლის კიდეს უაზროდ აყოლებდა თითს. თვალები დახუჭა.

– არა, მამან, არა აქვს მნიშვნელობა.

– ჰო, ნეტავ, შემეძლოს, რომ გითხრა, გული არ მტკენია-მეთქი.

– შენთვის გულის ტკენა არ მიფიქრია.

– ეგ საკამათო საკითხია.

– რატომ უნდა მინდოდეს შენთვის ტკივილის მოყენება?

დედამ საშინელი ხმით გაიცინა.

– ხანდახან გიყურებ და შენში ჩემს თავს ვერ ვხედავ. რასაკვირველია, ეს მოულოდნელი არ

არის. არც კი ვიცი, როგორი ადამიანი ხარ, ფარი, ვინ ხარ, სისხლით რა მოგდგამს. შენ უცხო ხარ ჩემთვის.

– არ მესმის, რას გულისხმობ, – თქვა ფარიმ.

მაგრამ დედამ ყურმილი დაკიდა.

„ავღანელი ბულბული“ - ნაწყვეტი

ინტერვიუ ნილა ვაჰდათისთან

ინტერვიუ ჩაწერა ეტიენ ბუსტულემ „პარალაქსი 84“ (ზამთარი, 1974) გვ. 38

ეტიენ ბუსტულე: ფრანგული აქ ისწავლეთ?

ნილა ვაჰდათი: ქაბულში, დედა მასწავლიდა. როდესაც პატარა ვიყავი, მხოლოდ

ფრანგულად მელაპარაკებოდა. ყოველდღე გაკვეთილს მიტარებდა. ძალიან გამიჭირდა, ქაბულიდან რომ წავიდა.

ეტიენ ბუსტულე: საფრანგეთში წამოვიდა?

ნილა ვაჰდათი: დიახ. ჩემი მშობლები 1939 წელს გაშორდნენ ერთმანეთს. იმ დროს ათი წლისა ვიყავი. დედას ვერ გამოვყვებოდი, გამორიცხული იყო, რადგან მამაჩემს მეტი შვლი არ ჰყავდა. ასე რომ, დავრჩი. დედა თავის დასთან, აგნესთან, ცხოვრობდა პარიზში. დედის

დანაკლისი რომ შეევსო, მამაჩემმა კერძო მასწავლებელი დაიქირავა. ხელოვნების გაკვეთილები, ჯირითი, რაში არ ჩამაბეს, მაგრამ დედას ვერაფრით შეცვლი.

ეტიენ ბუსტულე: რა ბედი ეწია მას? ნილა ვაჰდათი: გარდაიცვალა, როდესაც ნაცისტები შემოვიდნენ პარიზში. მათ ის არ

მოუკლავთ. მათ აგნესი მოკლეს. დედაჩემი პნევმონიით მოკვდა. მამამ არ გამიმხილა, სანამ მოკავშირეები გაათავისუფლებდნენ პარიზს, მაგრამ იმ დროისთვის მე უკვე ვიცოდი.

ეტიენ ბუსტულე: ცუდ დღეში იქნებოდით.

ნილა ვაჰდათი: ძალიან. განადგურებული ვიყავი. ისე მიყვარდა… ომის შემდეგ მასთან ცხოვრებას ვგეგმავდი.

ეტიენ ბუსტულე: ეს ალბათ ნიშნავს, რომ მამასთან კარგად ვერ გრძნობდით თავს.

ნილა ვაჰდათი: დაძაბული ურთიერთობა გვქონდა. ხშირად ვკამათობდით. ეს მისთვის სიახლე იყო, რადგან სიტყვის შებრუნებას არ იყო მიჩვეული, რასაკვირველია, ქალებისგან. ყველაფერი საკამათო ხდებოდა – რა მეცვა, სად დავდიოდი, რას ვამბობდი, ვისთან ვამბობდი, როგორ ვამბობდი. თანდათან მე უფრო უტიფარი და თავხედი გავხდი, ის კიდევ უფრო მეტად ასკეტური და სასტიკი. ბოლოს ბუნებრივ ოპონენტებად ვიქეცით.

ხითხითებს, ბენდენას უფრო მჭიდროდ იკვანძავს.

ნილა ვაჰდათი: და მერე შეყვარება დავიწყე. მიყვარდებოდა ხშირად, სასოწარკვეთით და ამავე დროს, მამაჩემისთვის სამწუხაროდ, ცუდად შერჩეული ტიპები. ერთხელ ეს ჩვენი დიასახლისის ვაჟი იყო, მეორეჯერ დაბალი რანგის მოხელე, რომელიც მამაჩემის საქმიან დავალებებს ასრულებდა. გაუაზრებელი, აღვირახსნილი ვნება დაწყებისთანავე განწირული იყო. საიდუმლო შეხვედრებს ვაწყობდი და სახლიდან ვიპარებოდი. მამაჩემს აუცილებლად აცნობებდნენ, რომ სადღაც ქუჩაში შემნიშნეს. „ქუჩაში ნავარდობდა“ – ასე ეუბნებოდნენ, ან „ქუჩაში თავს იწონებდა“. მამაჩემი სამძებრო რაზმს აგზავნიდა, რომ სახლში დავებრუნებინე. მერე რამდენიმე დღით ოთახში მკეტავდა. კარის იქითა მხრიდან მეუბნებოდა: მამცირებ, ასე რატომ მამცირებ? როგორ მოვიქცე, რომ მიგახვედრო? ზოგჯერ კითხვას ქამარს ან მუშტს მოაყოლებდა. ოთახში დასაჭერად დამდევდა. ალბათ ფიქრობდა, რომ შეშინებით ჩემს მორჩილებას მიაღწევდა. იმ დროს ბევრს ვწერდი. ლექსები გრძელი, სკანდალური, ახალგაზრდული ვნებით გაჟღენთილი, ასევე, თეატრალური და არაბუნებრივი იყო. დატყვევებული ჩიტები, ბორკილდადებული საყვარლები და რაღაც ამის მსგავს ფრაზებს ვიყენებდი. არ ვამაყობ იმ პერიოდით.

ვხვდები, რომ მოჩვენებითი თავმდაბლობა არ არის მისთვის დამახასიათებელი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ის გულწრფელად აფასებს თავის ადრეული პერიოდის პოეზიას. თუ ეს ასეა, ის სასტიკად დაუნდობელია საკუთარი თავის მიმართ. იმ პერიოდის ლექსები, სინამდვილეში, თარგმანშიც კი გასაოცარია. განსაკუთრებით, თუ მის ახალგაზრდა ასაკს გავითვალისწინებთ. ისინი სულს გიფორიაქებენ, ყოველი მათგანი მდიდარია სახეებით, გრძნობებით, ხედვისა და გამოხატვის მოხდენილი მანერით. ლექსები მარტოობასა და დაუძლეველ სევდას გადმოსცემენ; მის ისტორიას ქმნიან, მის იმედგაცრუებას, ახალგაზრდულ სიყვარულს, აღმაფრენასა და დაცემას, იმედსა და სიყვარულის ტყვეობაში ყოფნას მთელი ბრწყინვალებით აღწერენ. ხშირად იგრძნობა ჰორიზონტის შევიწროების ტრანსცენდენტური შიში, ასევე ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ, რომელსაც კაცის სახე აქვს, სახელი არ ჰქვია და ბოროტია. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს ალუზია მამამისისკენაა მიმართული.

ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, ვეუბნები.

ეტიენ ბუსტულე: და სპარსული პოეზიისთვის დამახასიათებელ რიტმს, რითმას, მეტრს არღვევთ. თავისუფალად მოძრავი სახეები, შემთხვევითი, უმნიშვნელო დეტალების გაძლიერება – ეს რევოლუციური მიდგომაა. თქვენ რომ უფრო მდიდარ ქვეყანაში დაბადებულიყავით, მაგალითად ირანში, ახლა ცნობილი იქნებოდით, როგორც ლიტერატურული დარგის ნოვატორი.

ოდნავ ირონიულად იღიმის.

ნილა ვაჰდათი: წარმოგიდგენიათ?

ეტიენ ბუსტულე: და მაინც, გაოცებული ვარ იმით, რაც ცოტა ხნის წინ თქვით. არ გეამაყებათ ის ლექსები. რომელიმე ნაშრომი თუ იწვევს თქვენში კმაყოფილების განცდას?

ნილა ვაჰდათი: რთული შეკითხვაა. ვფიქრობ დადებითად გიპასუხებდით, საკუთარი თავის შემოქმედებითი პროცესისგან განცალკევება რომ შემეძლოს.

ეტიენ ბუსტულე: ანუ შედეგისა და საშუალებების განცალკევება.

ნილა ვაჰდათი: შემოქმედებითი პროცესი, ჩემი თვალსაზრისით, ჩვეულებრივ ქურდობასთანაა დაკავშირებული. თუ რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს ძირფესვიანად შეისწავლით, მოსიე ბუსტულე, უეჭველად აღმოაჩენთ სხვადასხვაგვარ უღირსობას. როცა ქმნი, სხვათა ცხოვრებას ხელყოფ. ადამიანები უნებლიეთ, გაუცნობიერებლად ხდებიან პროცესის თანამონაწილენი. მათ წადილს, ოცნებებს იპარავ, მათ ნაკლსა და ტანჯვას ჯიბეში იდებ. იმას იღებ, რაც შენ არ გეკუთვნის და ამას გააზრებით აკეთებ.

ეტიენ ბუსტულე: თქვენ ეს კარგად გამოგდით.

ნილა ვაჰდათი: ამას ხელოვნების მაღალი იდეალებისადმი სამსახურისთვის არ ვაკეთებდი, უბრალოდ, სხვა გზა არ მქონდა. ლტოლვა იმდენად ძლიერი იყო, რომ თუ არ დავემორჩილებოდი, ჭკუიდან შევცდებოდი. თქვენ

მეკითხებით, ვამაყობ თუ არა. მიჭირს იმით თავის მოწონება, რაც მორალურად საეჭვო საშუალებებით მოვიპოვე. სხვებმა გადაწყვიტონ, საამაყოა თუ არა.

ჭიქას ცლის და ახლიდან ივსებს.

ნილა ვაჰდათი: კიდევ შემიძლია გითხრათ, რომ ქაბულში არ მაქებდნენ იმის გამო, რასაც ვწერდი. ქაბულშიც ნოვატორად მიმიჩნევდნენ, ოღონდ დაბალი გემოვნების, გარყვნილებისა და ამორალობის ნოვატორად. მამაჩემიც ერთ-ერთი მათგანი იყო. ამბობდა, რომ ჩემი პოეზია ბოზის ბოდვა იყო და მეტი არაფერი. ზუსტად ასე ამბობდა. კიდევ ფიქრობდა, რომ ვუღალატე, მისი ოჯახის სახელი მიწასთან გავასწორე და მისი აღდგენა შეუძლებელი იყო. გამუდმებით მეკითხებოდა, რატომ არ შემეძლო, უბრალოდ წესიერად მოვქცეულიყავი.

ეტიენ ბუსტულე: როგორ პასუხობდით?

ნილა ვაჰდათი: ვეუბნებოდი, რომ არაფრად მიმაჩნდა მისი წარმოდგენა წესიერების შესახებ და რომ არ ვაპირებდი, საკუთარი ხელით ყულფი ჩამომეცვა კისერზე.

ეტიენ ბუსტულე: ეს კიდევ უფრო გააბრაზებდა. ნილა ვაჰდათი: ბუნებრივია.

ვყოყმანობ, სანამ შემდეგს ვეტყვი:

ეტიენ ბუსტულე: მესმის მისი გააფთრების მიზეზი. წარბს ზევით სწევს.

ეტიენ ბუსტულე: ის ოჯახის მამა იყო, პატრიარქი, არა? თქვენ დაუპირისპირდით ყველაფერს, რაც მან იცოდა, რაც მისთვის ძვირფასი იყო. თქვენი ცხოვრებით და ასევე, შემოქმედებით მას ბრძოლა გამოუცხადეთ. მოითხოვდით, რომ ქალებისთვის საზღვრები გახსნილიყო, ჰქონოდათ აზრის გამოთქმის, თვითგამოხატვის სამართლებრივი უფლება. თქვენ კაცების მონოპოლიის ფეხქვეშ გათელვა მოინდომეთ. ხმამაღლა ამბობდით იმას, რის თქმასაც ვერავინ ბედავდა. ამას შეიძლება, ერთი ქალის მიერ მართული რევოლუციაც კი ვუწოდოთ.

ნილა ვაჰდათი: მთელი ეს წლები ვფიქრობდი, რომ სექსზე ვწერდი. ეტიენ ბუსტულე: მაგრამ ეგ ხომ ერთი მთელის რაღაც ნაწილია, არა?

ჩემს ჩანაწერებს ვფურცლავ. რამდენიმე ხაზგასმით ეროტიკულ ლექსს ვიშველიებ: „ეკლები“, „მხოლოდ ლოდინისთვის“, „ბალიში“. ასევე ვამატებ, რომ ეს ლექსები არ არის ჩემს რჩეულ ლექსებს შორის. მათ დელიკატურობა აკლია, მეტისმეტად შიშველია. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სპეციალურად სკანდალისა და შოკის გამოსაწვევად შეიქმნა. ჩემთვის ეს საკამათო თემაა და ავღანეთში გენდერული როლების განაწილების შესახებ გაბრაზებულ გულზე გამოტანილ ვერდიქტს ჰგავს.

ნილა ვაჰდათი: დიახ, გაბრაზებული ვიყავი. საზოგადოებრივი აზრი მაიძულებდა, სექსისგან დამეცვა თავი, ანუ საკუთარი სხეულისგან, რადგან

ქალი ვიყავი. და ქალები, არ იცით, რომ ემოციურად, მორალურად და ინტელექტუალურად უმწიფარი არსებები არიან? თვითკონტროლი აკლიათ, ჰიპერსექსუალობის გამო ფიზიკურ ცდუნებას ვერ უძლებენ და თუ არ შეაკავე, ყოველი აჰმადისა და მაჰმუდის ლოგინში ხტებიან.

ეტიენ ბუსტულე: მაპატიეთ, მაგრამ თქვენ ზუსტად ასე იქცეოდით, არა? ნილა ვაჰდათი: მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებრივ აზრს ვაპროტესტებდი. საოცრად მომხიბვლელად იცინის, სიანცეს და ეშმაკურ გამჭრიახობას ასხივებს. სამხარზე

ხომ არ დამეწვევითო, მეკითხება. ამბობს, რომ ქალიშვილმა მაცივარი ახალი მარაგით შეუვსო. ბოლოს |მთხიი წuყთé6((ფრ.) შებოლილი ლორი.) სენდვიჩს ამზადებს. ღვინის ახალ ბოთლს ხსნის,

სიგარეტს უკიდებს. ჯდება.

ნილა ვაჰდათი: მეთანხმებით თუ არა, რომ ამ საუბრის გამო, კეთილ მეგობრებად უნდა დავრჩეთ?

ვეუბნები, რომ თანახმა ვარ.

ნილა ვაჰდათი: მაშინ ორი სათხოვარი მაქვს. პირველი – სენდვიჩი მიირთვით, მეორე – შეწყვიტეთ ჩემი ღვინის ჭიქის თვალთვალი.

თქმა რად უნდა, ეს ნათქვამი წინასწარვე მიკლავს სურვილს, რომ სმის შესახებ ვკითხო.

ეტიენ ბუსტულე: შემდეგ რა მოხდა?

ნილა ვაჰდათი: 1948 წელს ავად გავხდი. მძიმედ ვიყავი. დეტალებს არ მოვყვები. მამაჩემმა სამკურნალოდ დელიში წამიყვანა. ექვსი კვირის განმავლობაში, სანამ ექიმები ჩემი მკურნალობით იყვნენ დაკავებული, იქ იყო. მითხრეს, რომ შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი. იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. სიკვდილი კარგი კარიერული წინსვლაა ახალგაზრდა პოეტისთვის, არა? უკან რომ დავბრუნდით, სუსტად ვიყავი. რომელ წერაზეა ლაპარაკი, არაფრის თავი არ მქონდა, არც ვჭამდი, არც ვერთობოდი; მომსვლელები გულს მირევდნენ. მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა, ფარდები ჩამომეფარებინა და დამეძინა. ძირითადად ასეც ვიქცეოდი. ბოლოს ნელ-ნელა გამოვძვერი ლოგინიდან და ყოველდღიურობას დავუბრუნდი, ვგულისხმობ გარდაუვალი აუცილებლობების შესრულებას იმისათვის, რომ ფუნქცია შეინარჩუნო და პირობითად ცივილური დარჩე. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დავპატარავდი, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დავტოვე ინდოეთში.

ეტიენ ბუსტულე: მამათქვენი წუხდა?

ნილა ვაჰდათი: პირიქით, უფრო მხნედ გრძნობდა თავს. ფიქრობდა, რომ სიკვდილთან შეტაკება ჩემს უმწიფრობასა და სიჯიუტეს ბოლოს მოუღებდა. არ ესმოდა, რომ თავს დაკარგულად მივიჩნევდი. სადღაც წამიკითხავს, მოსიე ბუსტულე, რომ თუ თოვლის ზვავი მოგიყოლებთ ქვეშ, ძნელია მიხვდე მიმართულებას, წევხარ და არ იცი, საით უნდა თხარო თავის გადასარჩენად.

გინდა, რომ ზევით ამოხვიდე, სინამდვილეში მიმართულება გერევა და შენს თავს სამარეს უთხრი. ზუსტად ასე ვგრძნობდი თავს, ორიენტაციადაკარგული, კომპასის გარეშე დაბნეულობაში გამოკიდებული, დათრგუნვილი. ასეთ მდგომარეობაში დაუცველი ხარ. ალბათ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ, როცა 1949 წელს, მამაჩემს სულეიმან ვაჰდათიმ ჩემი ხელი სთხოვა, დავთანხმდი.

ეტიენ ბუსტულე: თქვენ ოცი წლის იყავით. ნილა ვაჰდათი: ის კი არა. კიდევ მთავაზობს სენდვიჩს, რომელზეც უარს ვამბობ, და ყავას, რომელზეც ვთანხმდები.

როდესაც ჩაიდნით წყალს დგამს ასადუღებლად, მეკითხება, დაქორწინებული ვარ თუ არა. ვპასუხობ, რომ არ ვარ და არც ვაპირებ. მხრის ზევიდან მიცქერს, იღიმის.

ნილა ვაჰდათი: როგორც წესი, ვხვდები ხოლმე. ეტიენ ბუსტულე: ეს სიურპრიზია. ნილა ვაჰდათი: ალბათ შერყევის ბრალია.

ხელი ბენდენასთან მიაქვს.

ნილა ვაჰდათი: ეს მოდის გამო არ მიკეთია. რამდენიმე დღის წინ ფეხი დამიცდა და წავიქეცი. შუბლზე ღია ჭრილობა მაქვს,მაგრამ თქვენ შესახებ ისედაც მივხვდებოდი. ჩემი გამოცდილებით, კაცებს, რომლებსაც ქალების ასე კარგად ესმით, მათთან საერთო არაფერი უნდათ რომ ჰქონდეთ.

ყავას მაწვდის, სიგარეტს უკიდებს და ჯდება.

ნილა ვაჰდათი: მე ჩემი თეორია მაქვს ქორწინებასთან დაკავშირებით, მოსიე ბუსტულე. რაც იმაში გამოიხატება, რომ თითქმის ყოველთვის, ორ კვირაში უკვე იცი, ღირს თუ არა ქორწინების შენარჩუნება. გაოცებული ვარ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ბორკილებდადებული წლობით, ზოგჯერ ათწლეულობით, რამდენი ატყუებს საკუთარ თავს, რამდენს აქვს ცრუ იმედი იმასთან დაკავშირებით, რაც პირველ ორ კვირაში უკვე ნათელია. მე ორი კვირაც არ მჭირდება. ჩემი ქმარი წესიერი კაცი იყო, მაგრამ მეტისმეტად სერიოზული, თავის თავში ჩაკეტილი და უინტერესო. ყველაფერთან ერთად, ჩვენს მძღოლზე იყო შეყვარებული.

ეტიენ ბუსტულე: ეს ალბათ მოულოდნელი იყო. ნილა ვაჰდათი: ამან კიდევ უფრო დაამძიმა სიუჟეტი. სევდამორეული იღიმის.

ნილა ვაჰდათი: მეცოდებოდა. უარესი დროისა და ადგილის შერჩევა ამქვეყნად მისნაირი კაცის მოვლინებისთვის, შეუძლებელია. გულის შეტევით მოკვდა, როცა ჩვენი შვილი ექვსი წლის იყო. შემეძლო ქაბულში დავრჩენილიყავი. სახლი და სიმდიდრე მქონდა, მყავდა მებაღე და ზემოხსენებული მძღოლი. კომფორტულად ცხოვრება შემეძლო, მაგრამ ჩანთები ჩავალაგე და ფარისთან ერთად საფრანგეთში წამოვედი.

ეტიენ ბუსტულე: როგორც უკვე თქვით, ეს თქვენი ქალიშვილისთვის გააკეთეთ.

ნილა ვაჰდათი: ყველაფერი რაც გავაკეთე, მოსიე ბუსტულე, მისთვის გავაკეთე. მთლიანად არც ესმის და ვერ აფასებს, ხანდახან გულის გახეთქვამდე უმადურია, რომ იცოდეს, რა ცხოვრება ელოდა, მე რომ არ…

ეტიენ ბუსტული: ქალიშვილმა იმედი გაგიცრუათ? ნილა ვაჰდათი: მოსიე ბუსტულე, ახლა ვფიქრობ, რომ ის ჩემი სასჯელია.

რთხელ, 1975 წელს, ფარი თავის ახალ ბინაში მიდის და საწოლზე პატარა შეკვრა ხვდება. ერთი წელია, რაც დედა სასწრაფოს მისაღებიდან წამოიყვანა და უკვე ცხრა თვეა, რაც ჟულიენს დაშორდა. ფარი ახლა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთან, ზაჰიასთან, ერთად ცხოვრობს. ზაჰია ალჟირიდანაა. ყავისფერი ხუჭუჭა თმა და მწვანე თვალები აქვს. ის სანდო, ხალისიანი, ენერგიული გოგონაა. მასთან ადვილია ცხოვრება. ზაჰია დანიშნულია. სემესტრის ბოლოს თავის საქმროსთან გადადის.

შეკვრის გვერდით ბარათი დევს. „შეკვრა შენს სახელზეა მოსული. მე სამისთან ვრჩები,

ხვალამდე. Je t’embrasse.((ფრ.) გკოცნი.) ზაჰია“.

ფარი შეკვრას ხსნის. შიგ ჟურნალია. ჟურნალზე ბარათია მიმაგრებული. ბარათზე ფარისთვის კარგად ნაცნობი, შეიძლება ითქვას, ქალურად ლამაზი ხელით წერია: „შეკვრა გაუგზავნეს ნილას, შემდეგ წყვილს, რომელიც ახლა კოლეტის ბინაში ცხოვრობს, ბოლოს მე. კარგი იქნება, თუ საფოსტო მისამართს განაახლებ. გარისკე და წაიკითხე. ვერ გამოვიყურებით სახარბიელოდ. ვწუხვარ. ჟულიენი“.

ფარი ჟურნალს საწოლზე აგდებს. ისპანახის სალათისა და კუსკუსის მომზადებას იწყებს. ღამის პერანგს იცვამს და საჭმელად გაქირავებიდან გამოტანილ პატარა შავ-თეთრ ტელევიზორთან ჯდება. უაზროდ უყურებს სამხრეთ ვიეტნამიდან გუამაში ლტოლვილების თვითმფრინავით გადაყვანას. კოლეტზე ფიქრობს, რომელიც ქუჩაში ამერიკა-ვიეტნამის ომს აპროტესტებდა. კოლეტზე, რომელიც დედამისის დაკრძალვაზე გეორგინებისა და ზიზილების გვირგვინით მივიდა, ფარის გადაეხვია, გადაკოცნა, მერე პოდიუმზე დადგა და დედას ლექსები არაჩვეულებრივად წაიკითხა.

ჟულიენი მსახურებას არ დასწრებია. ფარის დაურეკა და გაუბედავი ხმით უთხრა, რომ პანაშვიდები სევდას ჰგვრის და ვერ იტანს.

– ვინ იტანს? – მგონი, ასე ჯობია, თავს შევიკავებ.

– როგორც გინდა, ისე მოიქეცი, – უთხრა ფარიმ. – არმოსვლით ვერ გამოისყიდი ამ დანაშაულს, ისევე როგორც მე – ჩემი იქ ყოფნით, – გაიფიქრა ფარიმ. შეუძლებელია იმ უგუნური, დაუდევარი საქციელის გამართლება. ღმერთო ჩემო! ფარიმ ყურმილი დაკიდა. იცოდა, რომ მისი რომანი ჟულიენთან დედამისისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ისიც იცოდა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში, ყოველ ჯერზე, როცა ამ საშინელი დანაშაულისა და სინანულის განცდასთან მოუწევდა გამკლავება, ძვლებიც კი ეტკინებოდა. ეს არასოდეს შეწყდებოდა, მისი ცნობიერების სიღრმეში ჩატოვებული ნახევრად ღია ონკანივით სულ იწვეთებდა.

სადილის შემდეგ შხაპს იღებს და მომავალი გამოცდის კონსპექტს ათვალიერებს; ცოტა ხანს ტელევიზორს უყურებს, მერე თეფშებს რეცხავს, სამზარეულოს იატაკს გვის, მაგრამ ვერაფერზე გადააქვს ყურადღება. საწოლიდან ჟურნალი თითქოს დაბალი სიხშირის სიგნალს აგზავნის და თავისკენ ეძახის. საწვიმარს პირდაპირ საშინაო ტანსაცმელზე იცვამს და ლა შაპელის ბულვარზე, სახლიდან რამდენიმე კვარტალის მოშორებით, სასეირნოდ გადის. ცივა. წვიმის წვეთები მაღაზიის ფანჯრებს ეხლება, მაგრამ ფარი სახლში ვერ ისვენებს. ცივი, ტენიანი ჰაერი და ღია სივრცე სჭირდება.

როცა პატარა იყო, უამრავ კითხვას უსვამდა დედას.

– Maman, ქაბულში ბიძაშვილები მყავს? ბიძა და ბიცოლა? ბებია და ბაბუა რატომ არასოდეს ჩამოდიან? შეიძლება წერილი მივწერო? შეიძლება, რომ წავიდეთ მათთან?

მაგრამ ბოლოს მაინც მამამისს უბრუნდებოდა.

– Maman, რა ფერი მოსწონდა ყველაზე მეტად? მითხარი, მამან, კარგად ცურავდა? ბევრი ანეკდოტი იცოდა?

ახსენდება, როგორ დასდევდა ხოლმე მამა ოთახში, დაიჭერდა, ხალიჩაზე დააგორებდა, უღუტუნებდა… ბევრს იცინოდნენ. მისი ლავანდის საპნის სურნელი ახსოვს, პრიალა შუბლი, გრძელი თითები, ლაზურიტის ოვალური საკინძეები, მისი შარვლის ნაკეცები, ხალიჩაზე თამაშისას ჰაერში გაბნეული მტვრის ნამცეცები.

ფარის უნდოდა, რომ დედას მისი დანაწევრებული მოგონებები ერთმანეთთან დაეკავშირებინა, ერთ მთლიან ამბად ექცია, მაგრამ დედა არასოდეს ლაპარაკობდა ბევრს. ის ქაბულში ცხოვრების დეტალებს გაურბოდა. ცდილობდა, რომ ფარი მათი წარსული ცხოვრებისგან შორს ყოფილიყო. ბოლოს ფარიმ კითხვები შეწყვიტა.

ახლა კი აღმოჩნდა, რომ დედამ ამ ჟურნალისტს, ვიღაც ეტიენ ბუსტულეს, უფრო მეტი უთხრა მათი ცხოვრების შესახებ, ვიდრე საკუთარ ქალიშვილს. თუ, არა?

ინტერვიუ სამჯერ გადაიკითხა და არ იცის, რა იფიქროს, რა დაიჯეროს, რა ტყუილია და რა მართალი. ზოგი ადგილი პაროდიას უფრო ჰგავს, ზოგი აშკარა მელოდრამაა, ტყვედქცეული ლამაზმანების განწირული სიყვარულის, მათი ჩაგვრის ამბავი – ასე მგზნებარედ, ერთი ამოსუნთქვით ნაამბობი.

ფარი სამხრეთით, პიგალის მოედნისკენ მიაბიჯებს. სწრაფად დადის. ხელები საწვიმარის ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი. ბნელდება, თავსხმა წვიმაა და კიდევ უფრო მატულობს; წვიმა სახეში ეხეთქება; ფართო ფანჯრებზე წვიმის ფარდებია ჩამოშვებული, შუქნიშნები გადღაბნილი ლაქებივით მოჩანს. ფარის არ ახსოვს, ის კაცი – პაპა, დედამისის მამა, ოდესმე უნახავს თუ არა. მხოლოდ ფოტო ახსოვს – მაგიდასთან ზის და წიგნს კითხულობს. ძალიან ეჭვობს, რომ ის მართლა ერთი ულვაშებგადაგრეხილი არამზადა იყო, როგორც დედა აღწერს. ფარი ამ ისტორიის მიღმა სხვა რამეს ხედავს. მას თავისი ვერსია აქვს.

კაცი შვილის ბედის გამო წუხდა – ქალიშვილის ბედის გამო, რომელიც ძალიან უბედურად გრძნობდა თავს და მოუთოკავი საქციელით საკუთარ ცხოვრებას ანადგურებდა. მამა, გამუდმებული შეურაცხყოფისა და ღირსების შელახვის მიუხედავად, მაინც გვერდზე ედგა შვილს. სამკურნალოდ წაიყვანა ინდოეთში, ექვსი კვირა მასთან ერთად გაატარა. სხვათა შორის, რა დაემართა დედას? რატომ დასჭირდა ოპერაცია? რა გაუკეთეს ინდოეთში? ფიქრობს ფარი და დედამისის ვერტიკალური ნაიარევი ახსენდება. ამას წინათ ფარიმ ზაჰიას ჰკითხა და მან უპასუხა, რომ საკეისრო კვეთა ყოველთვის ჰორიზონტალურია.

და რა უთხრა ინტერვიუერს თავისი ქმრის, ფარის მამის შესახებ? ცილისწამება იყო? თუ მართლა უყვარდა მამამისს ნაბი? თუნდაც მართალი იყოს, ამდენი წლის შემდეგ რა საჭირო იყო სააშკარაოზე გამოტანა? მიზანი რა იყო? ვიღაცისთვის ტკივილის მიყენება, დაბნევა და შეურაცხყოფა? ვისთვის?

რაც შეეხება ფარის, მას არ უკვირს, განსაკუთრებით ჟულიენის შემდეგ, რომ დედამ წრფელად გამოხატა მასთან დამოკიდებულება; არც მის მიერ საკუთარი დედობის შელამაზებულად აღწერა აოცებს.

ტყუილები?

და მაინც…

დედა ნიჭიერი მწერალი იყო. ფარის ყველაფერი წაკითხული აქვს, ყოველი სიტყვა, რაც მან ფრანგულად დაწერა, ყოველი ლექსი, რაც მან ფარსიდან ფრანგულად თარგმნა. მისი პოეზიის ძალა და მშვენიერება უდავოა. მაგრამ თუ დედას ინტერვიუ სიცრუეზეა აგებული, მაშინ ეს სახეები საიდან გაჩნდა? სად იღებს სათავეს ეს წრფელი, ლამაზი, სევდიანი და დაუნდობელი სიტყვები? თუ ნიჭიერი ოინბაზი იყო? ჯადოქარი, რომელიც ჯადოსნური ჯოხის ნაცვლად კალმით ახდენდა სასწაულს, იმ ემოციებით ნუსხავდა ხალხს, თვითონ არასოდეს რომ არ განუცდია. ეს შესაძლებელია?

არ იცის ფარიმ, არ იცის და მორჩა! იქნებ მართლა უნდოდა დედას, რომ ფარის მიწა გამოსცლოდა ფეხებიდან, რომ მისი ცხოვრება თავდაყირა დამდგარიყო, რომ ამქვეყნად უცხოდ ეგრძნო თავი, რომ ეჭვით შეეხედა ყველაფრისთვის, რაც თავისი ცხოვრების შესახებ იცოდა, რომ დაკარგულიყო და ისე ეხეტიალა ამქვეყნად, როგორც ღამით უდაბნოში, სადაც წყვდიადია ჩამოწოლილი, საიდანაც გზას ვერ გაიკვლევ, საიდანაც სიმართლე შორს, სადღაც გაელვებული სინათლის სხივივით ციმციმებს, მასსავით მოუხელთებელია და რაც მეტად უახლოვდები, მით მეტად გშორდება?

იქნებ ეს დედას შურისძიებაა; არა, მხოლოდ ჟულიენის გამო, არა. ფარი აღმოჩნდა მისთვის მთავარი იმედგაცრუება. ეგონა, რომ ფარის არსებობა ბოლოს მოუღებდა გაუთავებელ სმასა და საყვარლების ცვლას, ბედნიერებისკენ მის სასოწარკვეთილ სწრაფვას. ყოველი ახალი ტკივილი ტეხავდა, ასუსტებდა, აბნევდა, ხოლო ბედნიერებას კი უფრო და უფრო ილუზორულს ხდიდა.

– მამან, როგორი გინდოდა, რომ ვყოფილიყავი? – ფიქრობდა ფარი, – რას მოელოდი, როცა შენს საშოში ვიზრდებოდი? – თუ ეს ასე იყო, რა თქმა უნდა.

რა გეგონა, რა ვიქნებოდი? იმედის თესლი? სიბნელიდან სინათლისკენ ნაყიდი ბილეთი? შენი გულის ღია ჭრილობის სახვევი? მე ამას არ ვეყოფოდი, მე საკმარისი ვერ ვიქნებოდი, შენი ტკივილის მალამოდ ვერ გამოვდგებოდი. პირიქით, ტვირთად ვიქეცი, ჩიხში მოგაქციე. ადრე უნდა გეფიქრა. მერე რაღა უნდა გექნა, ლომბარდში ხომ არ ჩამაბარებდი?

ან იქნებ, ეს ინტერვიუ დედას ბოლო ხუმრობაა?

ფარი ლუდის ბარის საჩრდილობელს აფარებს თავს. საავადმყოფოდან, სადაც ზაჰიას პრაქტიკული კურსი უტარდება, რამდენიმე კვარტალი აშორებს. ფარი სიგარეტს უკიდებს. – კოლეტს ხომ არ დავურეკო? – მას შემდეგ, რაც დედა დაკრძალა, კოლეტს მხოლოდ ერთხელ ესაუბრა. პატარები რომ იყვნენ, იმდენ საღეყ რეზინას იტენიდნენ პირში, რომ ყბები სტკივდებოდათ. დედას სარკიანი კარადის წინ სხდებოდნენ და ერთმანეთს თმას უწევდნენ ზევით, მერე ჩამოიშლიდნენ და ივარცხნიდნენ. ფარი ქუჩის გადაღმა მოხუც ქალს ამჩნევს.

ქალს თავზე ცელოთნის საწვიმარი ქუდი ახურავს. ტროტუარს ნელ-ნელა მიუყვება, უკან ბაცი ყავისფერი ტერიერი მიჰყვება. ფარის მოგონებების დიდ ბურუსს პატარა ნაწილი სწყდება და თანდათან ძაღლის სახეს იღებს. ისეთი პატარა ძაღლის კი არა, ამ ქალს რომ მიჰყვება, არამედ დიდი, ბანჯგვლიანი, ჭუჭყიანი ძაღლის, დაჭრილი ყურებითა და კუდით. ვერ ხვდება ფარი, მოგონებაა ეს თუ მოჩვენება. პირველად არ ემართება ასე. ერთხელ დედას ჰკითხა, ძაღლი გვყავდა თუ არა ქაბულშიო. დედამ უპასუხა: – ხომ იცი, ძაღლები არ მიყვარს. უთავმოყვარო ცხოველია, წიხლს ურტყამ და მაინც უყვარხარ. ეს ცოტა დამთრგუნველია.

კიდევ არის რაღაც, რაც დედამ თქვა.

– შენში ჩემს თავს ვერ ვხედავ. არ ვიცი, ვინ ხარ.

ფარი სიგარეტს აგდებს. კოლეტს დაურეკავს. შეუთანხმდება და სადმე ჩაის დასალევად წავლენ. გაიგებს, როგორ არის, ვის ხვდება. ცოტას ფეხით გაივლიან და ვიტრინებს დაათვალიერებენ.

ჰკითხავს ძველ მეგობარს, ხომ არ გადაუფიქრებია ავღანეთში წასვლა.

კოლეტს პოპულარულ მაროკოს სტილის ბარში ხვდება. ინტერიერი იისფერი ქსოვილითა და ნარინჯისფერი ბალიშებითაა გაწყობილი. პატარა სცენაზე ხუჭუჭა ბიჭი უდზეს უკრავს. კოლეტი მარტო არაა. მას ახალგაზრდა კაცი, ერიკ ლაკომბი, ახლავს. მეთვრამეტე მუნიციპალური ქვედანაყოფის ლიცეუმში მუშაობს. მერვე კლასელებს სამსახიობო ხელოვნებას ასწავლის. ერიკი ფარის ეუბნება, რომ ისინი, რამდენიმე წლის წინ, სელაპებზე ნადირობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე შეხვდნენ ერთმანეთს. თავიდან ვერ იხსენებს ფარი, შემდეგ კი ახსენდება, რომ ერიკი ის ბიჭია, ვისაც კოლეტი უმნიშვნელო მიზეზის გამო ასე გამეტებით ეჩხუბა, მკერდზე მუშტებს უბრაგუნებდა. იატაკზე, ფუმფულა მანგოსფერ ბალიშებზე სხედან. ფარის ცოტა უკვირს, კოლეტი და ერიკი ერთად რომ არიან. კოლეტი აქებს და ადიდებს ერიკს; ფარი მალე ხვდება, რომ კოლეტმა ის მისთვის

მოიყვანა. სხვა დროს ფარი ძალიან უხერხულად იგრძნობდა თავს, მაგრამ ახლა მდგომარეობას ის ამსუბუქებს, რომ თვითონ ერიკია შავ დღეში. იბნევა, წითლდება, თავს ისე იქნევს, გეგონებათ, ბოდიშს იხდიდეს. ფარი ერთობა, მოსწონს კიდეც. როდესაც პურის ნაჭერზე შავი ზეთისხილის ტაპენადას(ტაპენადა – წვრილად დაბეგვილი შავი, ყავისფერი ან მწვანე ზეთისხილისგან მომზადებული პოპულარული ფრანგული საუზმე.) უსვამს, ჩუმ-ჩუმად ათვალიერებს. ლამაზს ნამდვილად ვერ უწოდებ. ფერმკრთალია, გრძელი, თხელი თმა კეფაზე რეზინით აქვს დამაგრებული. პატარა ხელები, მეტისმეტად ვიწროცხვირი, წინ წამოწეული შუბლი, უკან შევარდნილი ნიკაპი; მაგრამ სამაგიეროდ, ისეთი ნათელი ღიმილი აქვს… და კიდევ, ყოველი წინადადების ბოლოს თითქოს ბედნიერების ძახილის ნიშანს სვამს. მართალია, ისე ვერ იხიბლება ფარი, როგორც ჟულიენის დანახვისას დაემართა, მაგრამ ხვდება, რომ ახლა ბევრად უფრო კეთილ სახეს უცქერის. მალე იმასაც გაიგებს, რომ ერიკის ღიმილი მისი შინაგანი წესიერების, ყურადღების, თავშეკავებულობის სავიზიტო ბარათივითაა.

1977 წლის გაზაფხულის ერთ სუსხიან დღეს ქორწინდებიან. ეს ის წელია, როდესაც ჯიმი კარტერმა ფიცი დადო. მშობლების ნების საწინააღმდეგოდ, პატარა სამოქალაქო ცერემონიას მართავენ. ერიკი, ფარი და კოლეტი, მეტი არავინაა. ამბობს, რომ ქორწილი ფუფუნებაა და თავს ვერ მისცემს ამის უფლებას. მამამისი, მდიდარი ბანკირი, ხარჯის თავის თავზე აღებას

სთავაზობს. ერიკი მათი ერთადერთი შვილია, ეს მისგან საჩუქარი იქნება, მაგრამ ერიკი უარზეა. არასოდეს უთქვამს, მაგრამ ფარიმ იცის, რომ ერიკმა ამით უხერხულობას აარიდა. ქორწილში მისი მხრიდან არავინ იქნებოდა, არავინ მიაცილებდა საკურთხეველთან, არავინ დაღვრიდა ბედნიერების ცრემლს. როდესაც ავღანეთში წასვლის გეგმას უმხელს, ერიკს გულთან ახლოს მიაქვს. ფარის სჯერა, რომ ჟულიენი ასე ვერასოდეს გაუგებდა.

– ფიქრობ, რომ აყვანილი შვილი ხარ? – ჩემთან ერთად წამოხვალ?

გამგზავრებას ზაფხულში გეგმავენ. ერიკის სკოლაში არდადეგები დაიწყება, ფარი კი ცოტა ხნით შეწყვეტს სადოქტორო თემაზე მუშაობას. ერიკი და ფარი ფარსის კურსებზე ეწერებიან. პედაგოგი მისი ერთ-ერთი მოსწავლის დედაა. ტრანსპორტში ერიკი ყურსასმენებით უსმენს ჩანაწერებს. თვალებს ხუჭავს და ფარსის ენაზე ჩურჩულით, მძიმე ფრანგული აქცენტით იმეორებს მარტივ ფრაზებს. ზაფხულამდე რამდენიმე კვირით ადრე, სწორედ მაშინ, როცა ერიკი ბილეთებისა და საცხოვრებლის დაჯავშნას აპირებს, ირკვევა, რომ ფარი ორსულადაა.

– მაინც შეგვიძლია წავიდეთ, უნდა წავიდეთ, – ამბობს ერიკი. მაგრამ ფარი წინააღმდეგია. – ეს უპასუხისმგებლობა იქნებოდა, – ამბობს ის.

ახლა სტუდიოს ტიპის ბინაში ცხოვრობენ. გათბობა გაფუჭებულია, წყლის მილებს გასდის, კონდიციონერი არა აქვთ, ავეჯი მეორადი ნივთების გროვაში შეარჩიეს.

– აქ ბავშვის ადგილი არ არის, – ამბობს ფარი.

ერიკი ზედმეტ სამუშაოს იღებს. მუსიკას ასწავლის. მუსიკით ის მანამდე იყო გატაცებული, სანამ თეატრზე გააკეთებდა არჩევანს. და იმ დროისათვის, როცა ქულასავით თეთრი, თაფლისფერთვალება იზაბელი გაჩნდა, უკვე პატარა სამოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ ლუქსემბურგის ბაღთან ახლოს. ამჯერად, ერიკის მამისგან დახმარება მიიღეს იმ პირობით, რომ თანხას დაუბრუნებდნენ.

ფარი სამთვიან შვებულებას იღებს. მთელ დროს იზაბელთან ატარებს და თავს ჩიტივით მსუბუქად გრძნობს. როდესაც იზაბელი თვალებში უყურებს, ფარი ბედნიერებას ასხივებს. საღამოობით ერიკი რომ ბრუნდება, პალტოს შემოსასვლელში ტოვებს, ტახტზე მოწყვეტით ეშვება, ფარისკენ ხელებს იწვდის და ამბობს:

– მომეცი, რა, ფარი, დამაჭერინე. ერიკი იზაბელს მკერდზე იხუტებს. ფარი დღის თავგადასავლების მოყოლას იწყებს:

რამდენი რძე დალია ბავშვმა, რამდენჯერ დაიძინა, რას უყურეს ერთად ტელევიზორში, როგორ ითამაშეს, რომელი ახალი ბგერა წარმოთქვა იზაბელმა, ერიკი მოსმენით არასოდეს იღლება.

ავღანეთში წასვლა გადადეს. უნდა ითქვას, რომ ფარი ისე მწვავედ აღარ გრძნობს კითხვებზე პასუხების მიღებისა და ფესვების ძებნის აუცილებლობას. ერიკთან ურთიერთობამ და იზაბელის ამქვეყნად მოვლინებამ ფარის ფეხქვეშ მიწა გაამყარა, თუმცა ისევ ჩანს ბნელი ადგილები, სიცარიელე, პასუხგაუცემელი კითხვები, მაგრამ ფარის სწრაფვა დაოკდა, ჩაცხრა. ის შეგრძნებაც, რომ ვიღაც ძალიან მნიშვნელოვანი აკლდა მის ცხოვრებას, მოჩლუნგდა. ხანდახან კვლავ ახსენებს თავს, თუმცა უფრო და უფრო იშვიათად. არასოდეს ყოფილა ფარი ცხოვრებით ასე კმაყოფილი, არასოდეს უგრძნია ასეთი აღმაფრენა.

1981 წელს, როცა იზაბელი სამი წლისაა და ფარი რამდენიმე თვის ფეხმძიმეა ალენზე, მას მიუნხენში, კონფერენციაზე წასვლა უწევს. ის წარადგენს ნაშრომს, რომლის თანაავტორი თვითონ არის. ნაშრომი ეხება რიცხვთა თეორიის გარეშე მოდულარული რიცხვების გამოყენებას, განსაკუთრებით, ტოპოლოგიასა და თეორიულ ფიზიკაში. დამსწრე საზოგადოება დადებითად აფასებს პრეზენტაციას. პრეზენტაციის შემდეგ ფარი და რამდენიმე მეცნიერი ხმაურიან ბარში შედიან; ლუდს, კრეკერებსა და Weisswurst-ს(ბავარიული სოსისი, მზადდება ხბოს ხორცისა და ლორისგან.) უკვეთავენ. სასტუმროში შუაღამემდე ბრუნდება. არც იცვლის, არც იბანს, ისე ეცემა საწოლე. დილის 2:30-ზე ტელეფონის ხმა აღვიძებს. ერიკი რეკავს.

– იზაბელს სიცხე აქვს, – ამბობს ერიკი, – უცბად ღრძილები დაუსივდა და გაუწითლდა. სულ მცირე შეხებაზეც კი სისხლი სდის, კბილები თითქმის აღარ უჩანს. არ ვიცი, რა გავაკეთო, სადღაც წავიკითხე, რომ შეიძლება…

ფარის უნდა, რომ შეაჩეროს. უნდა, რომ ერიკმა მოკეტოს, არ შეუძლია, ვერ აიტანს რის თქმასაც ერიკი აპირებს, მაგრამ უკვე გვიანაა. ფარის ესმის – ბავშვთა ლეიკემია თუ ლიმფომა? რა განსხვავებაა? ფარი საწოლის კიდეზე გაქვავებული ზის, თავი უფეთქავს, ოფლში იწურება. გაცეცხლებულია

ერიკზე, ამ შუაღამისას ეს საშინელება როგორ ჩააწვეთა? სახლიდან შვიდასი კილომეტრის დაშორებითაა, რა ქნას? თავის საკუთარ სისულელეზე მწარდება. გაშლილი ხელებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეცურა წუხილისა და ტანჯვის მორევში. რა სისულელე იყო! სუფთა სიგიჟე! ეს იდიოტური და ყოვლად უსაფუძვლო რწმენა საიდან მოვიდა? რა იცის, რომ ეს უცნაურობებით სავსე ქვეყანა, რომელსაც ვერავინ აკონტროლებს, არ გაგანდგურებს? რა იცის, რომ იმ ერთადერთს არ წაგართმევს, რომლის დაკარგვასაც ვერ გადაიტან? ამ წუთში უფრო დიდ სისულელედ არაფერი ეჩვენება, ვიდრე დედობაა. „არა, გული გამისკდება, არა, ვერ გადავიტან!“ და მისი ერთი ნაწილი ფიქრობს – „ღმერთო, მიშველე!“ მეორე ნაწილი კი – „ღმერთო, მაპატიე!“ – გამწარებულია იზაბელზე, რომლის გამოც ასე იტანჯება.

– ერიკ, ერიკ, Ecoute mMmoi.((ფრ.) მომისმინე.) დაგირეკავ, ახლა უნდა დავკიდო. ჩანთას იღებს და საწოლზე ცლის, ტელეფონის ნომრების პატარა ბორდოსფერ წიგნაკს

ეძებს. ლიონში ზარს უკვეთავს. კოლეტი ახლა ქმართან, დიდიესთან, ერთად ლიონში ცხოვრობს. მან პატარა ტურისტული სააგენტო გახსნა. დიდიე სამედიცინოზე სწავლობს.

ყურმილს დიდიე იღებს.

– ფარი, ხომ იცი, მე რომ ფსიქიატრიას ვსწავლობ?

– ვიცი, ვიფიქრე იქნებ…

დიდიე რამდენიმე კითხვას უსვამს. წონაში ხომ არ დაუკლია იზაბელს? ღამით ოფლიანობს? უჩვეულო სილურჯეები ხომ არ აღენიშნება სხეულზე? სიცხე აქვს? ბოლოს ის ამბობს, რომ დილით ერიკმა იზაბელი აუცილებლად ექიმთან უნდა წაიყვანოს, მაგრამ რამდენადაც სამედიცინო სკოლის ზოგადი მედიცინის კურსიდან ახსოვს, გინგივოსტომატიტს ჰგავს. ფარი ისე მაგრად უჭერს ყურმილს ხელს, რომ მაჯა სტკივდება.

– გთხოვ, დიდიე, – მოთმინებით ამბობს ის. – ოჰ, ბოდიში, უფრო გასაგებად, უბრალო ჰერპესის სიმპტომებს ჰგავს. – ჰერპესი.

და შემდეგ დიდიე ყველაზე სასიხარულო წინადადებას ამატებს, რაც კი ოდესმე მოუსმენია ფარის:

– იზაბელი მალე კარგად გახდება, ფარი, მე ასე ვფიქრობ.

ფარიმ დიდიე სულ ორჯერ ნახა. ერთხელ კოლეტზე დაქორწინებამდე და მეორეჯერ დაქორწინების შემდეგ, მაგრამ ამ მომენტში ის გულწრფელად უყვარს, ეუბნება კიდეც. ცრემლმორეული იცინის და მშვიდობიან ღამეს უსურვებს. მერე ერიკთან რეკავს. ერიკი დილით ექიმ პერინთან წაიყვანს იზაბელს. ფარის ყურებში ისევ ზარი რეკავს, წვება და გახუნებული მწვანე დარაბებიდან ოთახში შემოჭრილ სინათლეს უსწორებს თვალს. ის დღე ახსენდება, როცა რვა წლის ფარი ფილტვების ანთების დიაგნოზით დააწვინეს საავადმყოფოში. იმ ღამეს დედამ უარი თქვა სახლში წასვლაზე და მთელი ღამე ფარის საწოლის გვერდით, სკამზე გაატარა. ამ წუთში ფარი მისთვის

უცხო, დაგვიანებულ, მაგრამ ძლიერ ნათესაურ კავშირს გრძნობს დედასთან. ვინ იცის, რამდენჯერ მონატრებია ამ წლების განმავლობაში – ქორწინების დღეს, მაშინ როცა იზაბელი გაჩნდა და კიდევ სხვა უთვალავ მომენტში, მაგრამ ისე მძაფრად არასოდეს, როგორც ახლა, ამ საშინელ და საოცარ ღამეს, მიუნხენის სასტუმროს ოთახში.

მეორე დღეს პარიზში ბრუნდება. ერიკს ეუბნება, ალენის შემდეგ ბავშვს აღარ გავაჩენ, მეტი ბავშვი მეტ ტანჯვას მოგვიტანსო.

1985 წელს, როდესაც იზაბელი შვიდი წლისაა, ალენი ოთხის, ხოლო პატარა ტიერი ორის, ფარი პარიზის ერთ-ერთი ცნობილი უნივერსიტეტიდან შეთავაზებას იღებს. ეს ამბავი, აკადემიურ წრეებში, მცირე ხნით, აზრთა შეხლა-შემოხლისა და კამათის საბაბი ხდება. გასაკვირი არაა, რადგან ოცდათექვსმეტი წლის ფარი მთელ ფაკულტეტზე ყველაზე ახალგაზრდა პროფესორია. ფარის მის გარშემო ატეხილი ხმაური მშვიდად გადააქვს. ალბათ დედა ვერასოდეს შეძლებდა ასე. უძლებს, არავის ეპირფერება, არც ვინმეს გულის მოგებას ცდილობს. თავი შორს უჭირავს. აზრადაც არ მოსდის ვინმესთვის რქების დამტვრევა ან ბოღმის გულში ჩადება. სკეპტიკოსებს რა გამოლევს! მაგრამ იმ დროისთვის, როცა ბერლინის კედელი ეცემა, მის აკადემიურ ცხოვრებაში აღმართული კედლებიც ირღვევა. თანდათან თავდაჭერილი ქცევითა და კომუნიკაციის არაჩვეულებრივი უნარით კოლეგების კეთილგანწყობის მოპოვებას ახერხებს. უამრავ მეგობარს იძენს. უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებს ესწრება,

კოქტეილისა და საქველმოქმედო საღამოების სასურველი სტუმარია; სადღესასწაულო წვეულებებზე კი ყოველთვის ერიკთან ერთად დადის. ფარისთვის ერიკის ჩაცმა სახუმარო თემად იქცა, რადგან ყოველთვის ერთსა და იმავე შალის ჰალსტუხს იკეთებს და იდაყვებზე ნაჭერდაკერებულ ველვეტის პიჯაკს იცვამს. სასიამოვნოდ დაბნეული სახით ხალხით გადაჭედილ ოთახში მიდი-მოდის, საუზმეს სინჯავს, ღვინოს წრუპავს. თუ მოასწრო ფარიმ და დაინახა, რომ ერიკი მათემატიკოსების ჯგუფთან ერთად დგას და სადაცაა თავის მოსაზრებას გამოთქვამს სამგანზომილებიანი მრავალფეროვნებისა და დიოფანტურ მიახლოებათა თეორიის შესახებ, მაშინვე მიეჭრება და გაარიდებს იქაურობას. ასეთ წვეულებებზე ფარის აუცილებლად ეკითხებიან ავღანეთის შესახებ.

ერთხელ ოდნავ შეზარხოშებულმა პროფესორმა, სახელად შატლარმა, სთხოვა, მოსაზრება გამოეთქვა ავღანეთის შესახებ.

– რას ფიქრობთ, რა მოხდება, როცა საბჭოთა კავშირი ავღანეთიდან გამოვა? – არ ვიცი, სიმართლე რომ გითხრათ, ავღანელი მხოლოდ გვარით ვარ.

– Non mais, quande-méme,((ფრ.) არა, მაგრამ, მიუხედავად ამისა.) თქვენი ხედვა მაინც უნდა გქონდეთ, არა?

ფარი იღიმის. ასეთ დროს ყველანაირად ცდილობს არასრულფასოვნების განცდა დაფაროს და საუბრის თემა შეცვალოს.

– მხოლოდ ის, რასაც თქვენსავით „Le Monde“-ში ვკითხულობ.

– მაგრამ თქვენ ხომ იქ გაიზარდეთ?

– იქიდან ძალიან პატარა წამოვედი. უკვე შეხვდით ჩემს მეუღლეს? აი, ისიც, ველვეტის პიჯაკში.

ფარი მართალს ამბობს. დიახ, ახალ ამბებს თვალყურს ადევნებს. ჟურნალ-გაზეთებში ყველა სტატიას კითხულობს ომის შესახებ. იცის, რომ დასავლეთი მოჯაჰედებს იარაღით ამარაგებს, მაგრამ ავღანეთმა მის გონებაში უკანა პლანზე გადაინაცვლა. ერთი წუთითაც ვერ იცლის, სახლის საქმემ ძალიან დატვირთა. ახლა ისინი გუიანკურში, პარიზის ცენტრიდან დაახლოებით ოცი კილომეტრის დაშორებით, ლამაზ ხუთოთახიან სახლში ცხოვრობენ. სახლი პატარა გორაკზე, პარკთან ახლოს დგას. პარკში უამრავი სასეირნო ბილიკი და ხელოვნური ტბაა.

ერიკი ახლა, თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, პიესებსაც წერს. ერთ-ერთი პიესა, მსუბუქი პოლიტიკური ფარსი, პარიზში, მერიის გვერდით პატარა თეატრში შემოდგომაზე დაიდგმება. უკვე ახალი პიესაც შეუკვეთეს.

იზაბელი ჩუმი, მაგრამ გონებასხარტი, დაკვირვებული მოზარდია. მნიშვნელოვან ამბებს დღიურში აღწერს და კვირაში ერთ რომანს კითხულობს. შინეიდ ო”კონორი მოსწონს. გრძელი, ჩამოთლილი თითები აქვს, ვიოლონჩელიზე დაკვრას სწავლობს. რამდენიმე კვირაში

ჩაიკოვსკის „სევდიან სიმღერას“ დაუკრავს კონცერტზე. თავიდან უარზე იყო, არ უნდოდა მეცადინეობა; ფარიმ სოლიდარობა გამოუცხადა და რამდენიმე გაკვეთილს თვითონაც დაესწრო, მაგრამ დედის დახმარება უსარგებლო და თან გაუმართლებელიც აღმოჩნდა. უსარგებლო იმიტომ, რომ იზაბელი სწრაფად და დამოუკიდებლად დაეუფლა ინსტრუმენტს, ხოლო გაუმართლებელი კი იმიტომ, რომ ფარის ხელები აატკივა. უკვე ერთი წელია, დილას ხელის მტევნებისა და მაჯების ტკივილით იღვიძებს. მთელი ერთი საათი გაშეშებული აქვს, ვერ ამოძრავებს, შემდეგ ეშვება. ერიკი გამუდმებით არწმუნებს, რომ ექიმთან წასვლა აუცილებელია.

– ჯერ ორმოცდაოთხი წლის ხარ, ფარი, ეს არ არის ნორმალური. როგორც იქნა, ფარი ექიმთან მიღებაზე ეწერება.

ალენს, მათ შუათანა შვილს, რაღაც სხვანაირი, ეშმაკური ხიბლი აქვს. ჭკუას კარგავს საბრძოლო ხელოვნებაზე. დღენაკლული დაიბადა და თერთმეტი წლის ბიჭის თაობაზე, ახლაც პატარაა, მაგრამ რაც სიმაღლეში აკლია, იმას თანდაყოლილი ჟინითა და სისხარტით ინაზღაურებს. მეტოქეები სათანადოდ ვერ აფასებენ, სუსტი აგებულებისა და თხელი ფეხების გამო. ღამღამობით, დასაძინებლად ჩაწოლილი ფარი და ერიკი გაკვირვებულები საუბრობენ ალენის ძლიერი ნებისყოფისა და დაუშრეტელი ენერგიის შესახებ. ფარი არ დარდობს იზაბელსა და ალენზე.

მისი თავის ტკივილი ტიერია. ტიერი ალბათ ბნელ ჩანასახოვან დონეზე, გაუცნობიერებლად გრნობს, რომ მას ამქვეყნად არავინ ელოდა, არავინ გეგმავდა, არავინ იწვევდა. თვალებს წკურავს, ჩუმდება, ღიზიანდება და ნერვულ წრიალს იწყებს ყოველთვის, როცა ფარი რაღაცას ითხოვს მისგან.

ფარი მისი ურჩობის მიზეზს ისევ ურჩობაში ხედავს. ზოგჯერ ტიერის გარშემო სქელი ღრუბელი იყრის თავს. ფარიმ იცის, წინასწარ ხედავს, რომ ეს ღრუბელი მალე გასკდება და იქიდან ნიაღვარივით წამოვა გააფთრებული ფეხების ბაკუნი და ლოყების ცახცახი. ბავშვის ასეთი გაშმაგება აშინებს ფარის, ერიკს კი ხელ-ფეხს უკრავს, საგონებელში ჩავარდნილი უაზროდ იღიმის და თვალებს ახამხამებს. ფარი ინსტინქტურად გრძნობს, რომ ტიერზე წუხილი მისი სახსრების ტკივილივით ქრონიკული იქნება.

ნეტავ, დედა როგორი ბებია იქნებოდა ბავშვებისთვის, განსაკუთრებით, ტიერისთვის? ფარი დარწმუნებულია, რომ დედა საერთო ენას გამონახავდა მასთან. რაღაც კავშირი, მართლაც, არსებობდა მათ შორის. რასაკვირველია, ბიოლოგიურ კავშირს არ გულისხმობს. ახლა ფარის ამაში ეჭვი აღარ ეპარება. ბავშვებმა იციან ბებიის შესახებ. იზაბელი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს. მისი უამრავი ლექსი აქვს წაკითხული.

– რა კარგი იქნებოდა, რომ მენახა, – ამბობს ის. – ისეთი მომხიბვლელი ჩანს, ალბათ დავმეგობრდებოდით, შენ რას ფიქრობ? ერთსა და იმავე წიგნებს წავიკითხავდით, მისთვის ვიოლონჩელიზე დავუკრავდი.

– ბედნიერი იქნებოდა, – ამბობს ფარი, – დარწმუნებული ვარ.

ფარის ბავშვებისთვის თვითმკვლელობის შესახებ არ უთქვამს. ოდესმე ალბათ გაიგებენ, მაგრამ მისგან არა. არ უნდა, რომ ცნობიერებაში ჩაეწვეთოთ აზრი იმის შესახებ, რომ დედას

შვილების მიტოვება შეუძლია, რომ დედას შეუძლია შვილს უთხრას – „შენ არ ხარ საკმარისი“. ფარისთვის ბავშვები და ერიკი ყოველთვის საკმარისი იყო და სულ ასე იქნება.

1994 წლის ზაფხულში ფარისა და ერიკს ბავშვები მაიორკაზე მიჰყავთ. იმ დროს კოლეტის ტურისტული ბიზნესი ყვავის და არდადეგებსაც ის უკეთებს ორგანიზებას. კოლეტი და დიდიე მათ მაიორკაზე ხვდებიან და ორ კვირას ერთად ატარებენ. კოლეტს შვილები არ ჰყავს, მაგრამ ამის მიზეზი ბიოლოგიური დარღვევა არ არის, უბრალოდ მას ასე უნდა. ახლა ფარისთვის შედარებით ხელსაყრელი დროა, რადგან მისი რევმატოიდული ართრიტი კონტროლს ექვემდებარება. ის მეტოტრექსატის ყოველკვირეულ დოზას იღებს, პრეპარატი კარგად გადააქვს. საბედნიეროდ, ბოლო ხანს აღარ უწევს სტეროიდების მიღება და არც უძილობა აწუხებს.

– წონაშიც კარგად მაქვს მომატებული, – ეუბნება ფარი კოლეტს, – ხომ ვიცოდი, რომ ესპანეთში საცურაო კოსტიუმის ჩაცმა მომიწევდა? – იცინის, – რა სისულელეა.

მთელი დღე მოგზაურობენ. ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს სერა-დე-ტრამუნტანას მთებისკენ მიუყვებიან. გზაზე ჩერდებიან და ზეთისხილის ბაღებსა და ფიჭვნარში სეირნობენ. პორჩელას სინჯავენ, ზღვის ქორჭილასგან დამზადებულ არაჩვეულებრივ კერძს – ლუბინას და ბადრიჯნისა და ყაბაყის ჩაშუშულს – ტუმბეტს მიირთმევენ. ტიერი ყველაფერზე უარს აცხადებს. ფარი რესტორნებში მისთვის მაკარონსა და პომიდვრის სოუსს უკვეთავს ყველისა

და ხორცის გარეშე. იზაბელის თხოვნით, რომელიც ბოლო ხანს ოპერითაა გატაცებული, ერთ საღამოს პუჩინის „ტოსკას“ ესწრებიან. ეს განსაცდელი რომ გადაიტანონ, ფარი და კოლეტი ფარულად იაფფასიანი არყით სავსე ვერცხლის მათარას გადასცემენ ერთმანეთს. მეორე აქტის შუაში უკვე კარგად შეზარხოშებული არიან და სკოლის მოსწავლეებივით ხითხითებენ, როცა მსახიობი, რომელიც სკარპიას ანსახიერებს, როლში იყრება.

ერთ დღეს ფარი, კოლეტი, იზაბელი და ტიერი სანაპიროზე მიდიან, თან სამხარი მიაქვთ. დიდიე, ალენი და ერიკი იმ დილას სასეირნოდ სოიერის ყურეს ნაპირზე წავიდნენ. იზაბელს საბანაო კოსტიუმი მოეწონა და გზად მაღაზიაში შედიან. შესვლის დროს ფარი თავის თავს ხედავს სარკეში. ჩვეულებრივ, როცა სარკეში იყურება, ტვინი წინასწარ ამზადებს ფარის, რომ სარკეში თავის სიბერემორეულ თავს დაინახავს. ეს მას ეხმარება და ნაკლებად განიცდის. ახლა სარკეში საკუთარ თავს მოუმზადებელი შეხვდა, შეულამაზებელი სინამდვილე კი ასეთია: სარკიდან შუახნის ქალი უცქერის. ქალს სადა ფართო ბლუზა და საზღვაო ქვედატანი აცვია, რომელიც ბოლომდე არ ფარავს მუხლის თავებზე გადმოფენილ მოდუნებული კანის ნაკეცებს, მზეზე ჭაღარაც უფრო კარგად ჩანს. თვალები შეღებილი აქვს, ტუჩებზე საცხი უსვია, მაგრამ ისე გამოიყურება, ქუჩაში გამვლელი ერთი წამით თუ შეხედავს, მაშინვე გადაიტანს მზერას, ისე, ვითომ შუქნიშანი ან საფოსტო ყუთი იყოს. ასეთი მომენტები ხანმოკლეა, გული ძლივს ასწრებს აჩქარებას, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ წარმოსახვითი ფარი რეალურს შეეჯახოს. – აი, ესაა სიბერე, ეს საშინელი შემთხვევები მაშინ გამოგიჭერს, როცა ყველაზე ნაკლებად ელი, – ფიქრობს ფარი და იზაბელთან ერთად მაღაზიაში შედის. მოგვიანებით, როცა სახლში ბრუნდებიან, კაცები უკვე ჩამოსული არიან.

– მამა ბერდება, – ამბობს ალენი.

ერიკი ბარის უკან დგას, მინის გრძელყელიან ჭურჭელში სანგრიას(სანგრია – ესპანეთსა და პორტუგალიაში გავრცელებული სასმელი, წითელ ღვინოში არეული დაკეპილი ხილი.) ურევს,

მხრებს იჩეჩს და თბილად იღიმის.

– ვიფიქრე, ხელით წაყვანა მომიწევს-მეთქი, ერთი წელიც მომეცი და მომავალ წელს მთელ კუნძულს შემოგარბენინებ, თი0ი pote((ფრ. სალ.) – ჩემო მეგობარო.).

მაიორკაზე აღარასოდეს ბრუნდებიან. ერთი კვირის ჩასულები არც კი არიან პარიზში, რომ ერიკს გულის შეტევა ემართება. ეს მაშინ ხდება, როცა ის სამსახურშია და სცენის გამნათებელს ელაპარაკება. ამჯერად გადააქვს, მაგრამ მომდევნო სამი წლის განმავლობაში კიდევ ორჯერ უტევს. უკანასკნელი შეტევა ფატალურია. ასე რომ, ორმოცდარვა წლის ფარი, დედამისის

მსგავსად, ქვრივდება.

2010 წლის ადრეული გაზაფხულის ერთ დღეს ფარის უცხოეთიდან ურეკავენ. ზარი მოულოდნელი არ არის. ფარი დილიდან თადარიგს იჭერს, იზაბელს სთხოვს, რომ დროზე ადრე წავიდეს. სახლში მარტო დარჩენა უნდა.

იზაბელი და მისი ქმარი, ალბერი, ფარის ოროთახიანი ბინიდან რამდენიმე კვარტალის მოშორებით ცხოვრობენ. ორ დღეში ერთხელ იზაბელი შვილებს სკოლაში ტოვებს, ახალ ხილსა და ბატონს ყიდულობს და ფარის მოსანახულებლად მიდის. ფარი ჯერჯერობით ინვალიდის სავარძელს არაა მიჯაჭვული, თუმცა თავის თავს კარგა ხანია ამისთვის ამზადებს. ავადმყოფობის გამო გასულ წელს ნაადრევად მოუწია პენსიაზე გასვლა, მაგრამ ახლა მარკეტში არავის გაყოლა სჭირდება, სასეირნოდაც მარტო დადის. ყველაზე მეტად ხელები აწუხებს. აღარ იცის, რით უშველოს, დაუმახინჯდა, დაეკრუნჩხა, ცუდ ამინდში ხომ ისეთი ჟღრიალი გააქვთ, გეგონებათ სახსრებში ბროლის ნამსხვრევევი ჰქონდეს ჩაყრილი. გარეთ რომ გადის, აუცილებლად ხელთათმანებს იცვამს, სითბო სიამოვნებს, უფრო მეტად კი, რცხვენია კოჟრების და მოგრეხილი თითების გამოჩენა, რომლებსაც, როგორც ექიმი ამბობს, გედის კისრის მსგავსი დეფორმაცია აქვთ მიღებული.

– ეს ყველაფერი წვრილმანია, – ეუბნება ფარი კოლეტს.

ამ დილას იზაბელმა ლეღვი, საპონი, კბილის პასტა და წაბლის წვნიანით სავსე ჰერმეტულად შეფუთული კონტეინერი მოუტანა. ალბერი რესტორანში უფროს მზარეულად მუშაობს და გეგმავს, რომ მეპატრონეს წაბლის წვნიანის მენიუში შეტანა შესთავაზოს. იზაბელი ჩანთას ალაგებს და დედას ახალი შეკვეთის შესახებ უყვება. ის მუსიკას წერს სატელევიზიო პროგრამებისა და რეკლამისთვის. იმედი აქვს, რომ მალე ფილმისთვისაც დაუკვეთავენ. ამბობს, რომ მინი-სერიალისთვის იწყებს მუსიკის წერას. სერიალის გადაღება მადრიდში მიმდინარეობს.

– აპირებ მადრიდში წასვლას? – ეკითხება ფარი.

– არა, მცირე ბიუჯეტია, წასვლას ვერ დამიფინანსებენ.

– რა სამწუხაროა, ალენთან დარჩებოდი.

– რას ამბობ, დედა? საწყალ ალენს ფეხის გაშლა უჭირს სახლში.

ალენი ფინანსური მრჩეველია. ის მადრიდში, პატარა ბინაში ცხოვრობს ცოლთან და ოთხ შვილთან ერთად. ალენი სისტემატურად უგზავნის დედას ბავშვების სურათებსა და მოკლე

ვიდეო კლიპებს.

– ტიერი ხომ არ შეგხმიანებია? – ეკითხება ფარი იზაბელს.

– არა.

ტიერი აფრიკაშია. ის ჩადის აღმოსავლეთ ნაწილში, დარფურიდან ჩასული ლტოლვილების ბანაკში მუშაობს. ფარიმ ეს იცის, რადგან ტიერი იშვიათად, მაგრამ მაინც გამოდის მასთან კავშირზე. ოჯახის სხვა წევრებთან ტიერს ურთიერთობა არ აქვს. ფარი თავისი ვაჟიშვილის ცხოვრების შესახებ მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ფლობს. მაგალითად, ტიერი ცოტა ხნით ვიეტნამში ცხოვრობდა. ოცი წლისამ ვიეტნამელ ქალზე იქორწინა და მალევე გაშორდა.

იზაბელი ჩაიდანს დგამს ქურაზე და კარადიდან ორ ჭიქას იღებს.

– არა, ამ დილას არა, იზაბელ. მინდა, რომ წახვიდე.

იზაბელი ნაწყენი თვალებით უცქერის. ფარი თავის თავს კიცხავს, ცოტა უხეშად მოუვიდა. იზაბელი ყოველთვის ფაქიზი ბუნებით გამოირჩეოდა.

– ზარს ველოდები და მინდა, რომ არავინ იყოს.

– ზარს? ვისგან?

– მოგვიანებით გეტყვი.

იზაბელი ხელებს იჯვარედინებს და იცინის.

– რაო, დედა, საყვარელი გაიჩინე?

– საყვარელი… ბრმა ხარ? ბოლოს როდის შემომხედე?

– გიყურებ და გადასარევად გამოიყურები.

– მოკლედ, უნდა წახვიდე. შემდეგ აგიხსნი, გპირდები, რომ ყველაფერს მოგიყვები.

– ს”მCCCI9, d’accord. იზაბელი ჩანთას მხარზე იგდებს და პალტოსა და გასაღებს იღებს.

– მაგრამ იცოდე, ძალიან დამაინტერესე.

კაცი, რომელიც დილის 9:30-ზე რეკავს, მარკოს ვარვარისია. ის ფარის სოციალური ქსელის საშუალებით დაუკავშირდა. შეტყობინება ასეთი შინაარსის იყო: „თქვენ პოეტის, ნილა ვაჰდათის ქალიშვილი ხართ? თუ ეს ასეა, თქვენთან საუბარს ვისურვებდი თემაზე, რომელიც ვფიქრობ, რომ ძალიან დაგაინტერესებთ”.

ფარიმ მის შესახებ ინტერნეტში მოიპოვა ინფორმაცია. ის პლასტიკური ქირურგია. ქაბულში

საქველმოქმედო ორგანიზაციაში მუშაობს. ტელეფონზე საუბრის დროს ფარსის ენაზე ესალმება და შემდეგ საუბარსაც ფარსის ენაზე აგრძელებს. ფარი აწყვეტინებს:

– მოსიე ვარვარის, ბოდიშს გიხდით, მაგრამ იქნებ ინგლისურად გავაგრძელოთ?

– რასაკვირველია, მეც ბოდიშს გიხდით. მაგრამ ვიფიქრე… თუმცა, თქვენ ძალიან პატარა იყავით, როცა ქაბულიდან წახვედით, არა?

– დიახ, ასე იყო. – ფარსი აქ შევისწავლე, ასე თუ ისე ვახერხებ კომუნიკაციას. მას მერე, რაც 2002 წელს თალიბებმა ქაბული დატოვეს, აქ ვცხოვრობ. უნდა ვთქვა, რომ ოპტიმიზმით სავსე დღეები იყო.

მშენებლობები განახლდა, დემოკრატიაზე დაიწყეს ლაპარაკი და ასე შემდეგ. ახლა ყველაფერი შეცვლილია. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვემზადებით, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ამბავია.

ფარი მოთმინებით უსმენს მარკოს ვარვარისის ხანგრძლივ მსჯელობას ლოგისტიკური სირთულეების შესახებ, რომელიც ავღანეთში არჩევნების ჩატარების გამო დგას. როგორც მარკოს ვარვარისი ამბობს, არჩევნებს ალბათ ქარზაი მოიგებს. შემდეგ მარკოსი ჩრდილოეთის მიმართულებით თალიბების მიერ განხორციელებული რეიდების, ისლამისტების მიერ მედია საშუალებების შეზღუდვის შესახებ საუბრობს. გაკვრით ეხება ქაბულის ჭარბმოსახლეობის თემას, უძრავი ქონების ფასებს, ბოლოს, სანამ მთავარ საკითხზე გადავა, ამბობს:

– ამ სახლში რამდენიმე წელია ვცხოვრობ. როგორც ვიცი, თქვენც ამ სახლში ცხოვრობდით. – უკაცრავად?

– ეს თქვენი მშობლების სახლი იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს.

– თუ შეიძლება რომ მითხრათ, ვინ?

– სახლის პატრონმა. მას ნაბი ჰქვია. უფრო სწორედ, ერქვა. სამწუხაროდ, ის გარდაიცვალა. გახსოვთ თუ არა?

სახელი ფარის წარმოსახვაში ლამაზი ახალგაზრდა კაცის სახეს იღებს, ბაკენბარდებითა და უკან გადავარცხნილი სქელი შავი თმით.

– დიახ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ სახელი. ის ჩვენი მზარეული და მძღოლი იყო.

– ჰო, ორივე იყო. 1947 წლიდან აქ, ამ სახლში ცხოვრობდა. წარმოგიდგენიათ? სამოცდასამი წლის განმავლობაში, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ერთი თვის წინ გარდაიცვალა. ძალიან

მიყვარდა. ის ყველას უყვარდა. – მესმის.

– ნაბიმ ბარათი დამიტოვა, – ამბობს მარკოსი, – პირობის თანახმად, მისი სიკვდილის

შემდეგ უნდა წამეკითხა. როდესაც გარდაიცვალა, ჩემს ავღანელ კოლეგას ვათარგმნინე. ბარათი-მეთქი, გითხარით, მაგრამ სინამდვილეში წერილია და თანაც ძალიან მნიშვნელოვანი. გეძებდით იმიტომ, რომ თქვენც გეხებათ. ნაბიმ მთხოვა, რომ წერილი პირადად გადმომეცა. სიმართლე გითხრათ, ბევრი გეძებეთ და ბოლოს ინტერნეტის წყალობით მაინც გავარკვიე

თქვენი ადგილსამყოფელი. – იცინის.

ფარის რაღაც კარნახობს, რომ ყურმილი დაკიდოს. გული უგრძნობს, სამყაროს მეორე მხარეს, მოხუცის მიერ ქაღალდზე გადატანილი აღსარება წრფელია. დიდი ხანია იცის, რომ დედა ატყუებდა. და ტყუილმა კიდეც რომ შეატორტმანოს მიწა მის ფეხქვეშ, სიმართლე ის არის, რაც დიდი ხნის წინ დარგო ამ მიწაში, რაც ღრმად ფესვებგადგმული გიგანტური მუხასავით შეურყევლად დგას – ერიკი, შვილები, შვილიშვილები, კარიერა, კოლეტი. ჰოდა, რა აზრი აქვს, ამდენი ხნის შემდეგ რაში სჭირდება? ჯობია, რომ ყურმილი დაკიდოს.

მაგრამ ლაპარაკს აგრძელებს. გულისცემა უჩქარდება, ხელისგულები უოფლიანდება.

– რას… რას ამბობს ბარათში… წერილში?

– პირველ ყოვლისა, იმას, რომ თქვენი ბიძა იყო.

– ჩემი ბიძა.

– უფრო სწორად, ბიძად გერგებოდათ, კიდევ ბევრ სხვა რამეს.

– მოსიე ვარვარის, ხელთ გაქვთ წერილი? მისი ნათარგმნი ვერსია თან გაქვთ?

– დიახ.

– იქნებ წამიკითხოთ? შეგიძლიათ?

– ახლა?

– დიახ, თუ დრო გაქვთ. მე დაგირეკავთ, რომ გადასახადი არ დაგეკისროთ.

– არა, არ არის საჭირო, მაგრამ დარწმუნებული ხართ?

– დიახ, – ამბობს ფარი, – დარწმუნებული ვარ, მოსიე ვარვარის.

მარკოსი კითხულობს. წერილი გრძელია, დრო მიაქვს. როდესაც ამთავრებს, ფარი მადლობას უხდის და ეუბნება, რომ მალე დაუკავშირდება. ყურმილს კიდებს. ყავის მოსახარშ აპარატს რთავს და ფანჯარასთან მიდის. ნაცნობი ხედი იშლება – რიყის ქვით მოკირწყლული ვიწრო ქუჩა, ერთი კვარტალის იქით აფთიაქი, კუთხეში ტავერნა, სადაც ფალაფელს(ფალაფელი – ტრადიციული აღმოსავლური კერძი, რომელიც მუხუდოს მარცვლებისა და სანელებლებისგან მზადდება. გავრცელებულია ძირითადად არაბულენოვან ქვეყნებში.) ამზადებენ, ლუდის ბარი, რომელსაც ბასკების ოჯახი ამუშავებს. ფარის ხელები უკანკალებს, უცნაური რამ ემართება, მართლაც, უცნაური. გეგონებათ, მიწას ნაჯახი დაჰკრა და შავი

ნავთობი ბუყბუყით დაიძრა ზედაპირისკენ. ზუსტად ასე დაიწყეს მისმა მოგონებებმა ფსკერიდან ამოტივტივება. თვალგაშტერებული იცქირება ლუდის ბარის მიმართულებით. საჩრდილობლის ქვეშ გამხდარი წინსაფრიანი მიმტანი მაგიდას სუფრას აფარებს, მაგრამ მის ნაცვლად ფარი პატარა წითელ ოთხთვალას ხედავს, ღრუბლებით მოფენილი ცის ქვეშ თვლების ჭრიალით, ხტუნვა-ხტუნვით მიიწევს წინ; კლდის თხემს გადაივლის, ამომშრალ ხევში ჩაიხრიგინებს, და მერე ისევ ზევით-ქვევით დაჰყვება ჟანგისფერ მთებს, რომლებიც ხან ხელის გაწვდენაზეა ჩამოწოლილი, ხან შორს, ნისლში ჩაკარგული. ტოტებგადახლართულ ხეებს ხედავს, ხეხილის ბაღებს, პწკალებჩაწნულ ვაზის მწკრივებს, რომლებიც პატარა ბრტყელსახურავიან სახლებს აკავშირებს ერთმანეთთან. ნაკადულის პირას ჩაცუცქულ მრეცხვი ქალების რიგს, დიდი ხის ტოტზე ჩამოკიდებულ საქანელას, სოფლის ბიყჭების შიშით მოკუნტულ დიდ ძაღლს და კაცს, შევარდნის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირით. ის არხს თხრის, ოფლიან ზურგზე პერანგი აქვს

მიტმასნილი, იქვე ჩადრიანი ქალი ცეცხლზე შემომდგარი ქვაბისკენაა გადახრილი.

მაგრამ კიდევ რაღაცაა ამ ყველაფრის მიღმა, მისი წარმოსახვის სიღრმეში – მოუხელთებელი აჩრდილი, ვიღაცის გამოსახულება – თბილი და იმავდროულად ძლიერი. თბილი ხელით მისი ხელი უჭირავს, ძლიერ მუხლებზე ფარი ლოყით ეკვრის. სახეს ვერ იხსენებს, უსხლტება, გაურბის. ფარი ისევ გრძნობს სიცარიელეს, მთელი ცხოვრება თან რომ სდევს, ვიღაც აკლია, ვიღაც არ არის…

– ჩემი ძმა, – ამბობს ფარი, თუმცა ვერც კი ხვდება, რომ ლაპარაკობს, და ცრემლიც ღაპაღუპით ჩამოსდის.

უეცრად სპარსული სიმღერის სიტყვები ადგება ენაზე:

მე ვიცნობ პატარა ფერიას,

ღამით ქარი რომ წაიყვანს თან.

კიდევ უნდა იყოს, სტროფი აკლია, დარწმუნებულია, მაგრამ ვერ იხსენებს.

ფარი ჯდება. ფეხზე ველარ დგას. იცდის, სანამ ყავა მოიხარშება. მერე ყავას დალევს, ალბათ სიგარეტსაც მოწევს. სასტუმრო ოთახში გავა და კოლეტს დაურეკავს. იქნებ მეგობარმა ქაბულში მოგზაურობა დაუგეგმოს. ახლა კი ზის. ყავის აპარატი თუხთუხებს. ფარი თვალებს ხუჭავს. ქუთუთოებს მიღმა ერთმანეთზე მიწყობილი გორები ჩნდება, ცა კრიალაა და ლურჯი,

ქარის წისქვილის უკან მზე ჩადის და ბურუსში გახვეული მთების მწკრივი ჰორიზონტს იქით უჩინარდება.

თავი მეშვიდე

2009 წელი მამაშენი მაგარი კაცია.

ადელმა ზევით აიხედა. მალალი მასწავლებელი მისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა. მალალი შუა ხნის ჩასუქებული ქალი იყო; მხრებზე მძივებით მოქარგული იისფერი შალი ჰქონდა მოსხმული. გაიღიმა, თვალები მოწკურა და დაამატა:

– შენ იღბლიანი ბავშვი ხარ. – ვიცი, – უპასუხა ადელმა. – ძალიან კარგი.

ისინი ქალაქის ახლად აშენებული ქალთა სკოლის კიბეზე იდგნენ. მართკუთხედის ფორმის ღია მწვანე შენობას ბრტყელი სახურავი და ფართო ფანჯრები ჰქონდა. ადელის მამამ მოკლე ლოცვა წაიკითხა. შემდეგ იქ მყოფებს შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა. შუადღის თაკარა მზეზე უამრავ ხალხს – თვალებმოყუტულ ბავშვებს, მშობლებსა და მოხუცებს მოეყარათ თავი. მოკლედ, უხეშად რომ დავითვალოთ, მას შადბაღე ნაუს – ახალი შადბაღის ასზე მეტი მცხოვრები უსმენდა.

– ავღანეთი ყოველი ჩვენგანისთვის დედაა, – თქვა ადელის მამამ. სქელი საჩვენებელი თითი ცისკენ ჰქონდა აშვერილი. მისი აქატის ბეჭედი მზეს

ირეკლავდა. – მაგრამ დედა უკვე დიდი ხანია ავადმყოფობით იტანჯება. მას თავისი ვაჟები სჭირდება, რომ ფეხზე წამოდგეს, და

კიდევ უფრო მეტად – ქალიშვილები!

მის სიტყვებს ხმამაღალი შეძახილი და აპლოდისმენტები მოჰყვა. ადელი ხალხს აკვირდებოდა. მამას აღტაცებულები შესცქეროდნენ. ბაბა – ხშირი წარბებითა და შავი წვერით, მაღალი, ძლიერი, ბეჭებგანიერი – ხელებს რომ შლიდა, ლამის მთლიანად დაეფარა სკოლის შესასვლელი. ბაბამ სიტყვა გააგრძელა. ადელმა და ქაბირმა ერთმანეთს შეხედეს. ქაბირი ბაბას ორი მცველიდან ერთ-ერთი იყო. მშვიდად იდგა მის გვერდით და ხელში „კალაშნიკოვი“ ეჭირა. მისი მუქი მზის სათვალე ხალხის სილუეტებს ირეკლავდა. ქაბირი დაბალი, გამხდარი, შეიძლება ითქვას, სუსტი კაცი იყო. მყვირალა ფერის ტანსაცმელი მოსწონდა. იისფერი, ფირუზისფერი, ფორთოხლისფერი პიჯაკები ეცვა ხოლმე. ეგრე ნუ უყურებთ, ძალიან ცდება, ვინც სათანადოდ ვერ აფასებსო, ამბობდა ბაბა.

– ავღანეთის ქალწულებო! – ბაბა-ჯან სიტყვას ასრულებდა. გრძელი, დაკუნთული მკლავები გაშალა. – თქვენ ახლა საპატიო მოვალეობა გეკისრებათ, ისწავლეთ, გულმოდგინეთ იშრომეთ,

წარმატებებს მიაღწიეთ, რომ თქვენით მხოლოდ თქვენმა დედებმა და მამებმა კი არა, ჩვენმა საერთო მშობელმა, ავღანეთმაც იამაყოს. ავღანეთის მომავალი თქვენს ხელთაა და გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ ეს სკოლა ჩემგან მოძღვნილი საჩუქარია. სინამდვილეში თქვენ ხართ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი და ამიერიდან ეს შენობა თქვენს სამსახურში იქნება! ჩემო ახალგაზრდა დებო! თქვენ ხართ ჩვენთვის, ახალი შადბაღისთვის და, რაც მთავარია, მთელი ავღანეთისთვის ღვთისგან ბოძებული საჩუქარი! ღმერთმა დაგლოცოთ!

ამ სიტყვას კიდევ უფრო მეტი აპლოდისმენტები მოჰყვა. – ღმერთმა დაგლოცოთ, მეთაურო საჰიბ!

ბაბამ შეკრული მუშტი ზევით ასწია. ფართოდ იღიმოდა. ადელს სიამაყისგან თვალები მოეცრემლა.

მალალაი მასწავლებელმა ბაბას მაკრატელი მიაწოდა. წითელი ლენტი საკლასო ოთახის შესასვლელთან იყო გაბმული. ხალხმა წინ წამოიწია, რომ უკეთ ედევნებინათ თვალი. ქაბირმა რამდენიმე კაცს მკერდზე ხელის კვრით დაახევინა უკან. აქა-იქ ზევით აწეული მობილური ტელეფონებით ვიდეოს იღებდნენ.

– მოდი, შვილო, შენ გერგო ეს პატივი! – მაკრეტელი ადელს გადასცა. – მე? – თვალები დაახამხამა ადელმა. – მიდი, – თქვა ბაბამ და თვალი ჩაუკრა.

ადელმა ლენტი გაჭრა. ტაშმა იგრიალა, კამერები აჩხაკუნდა, – ალაჰუ აქბარ! (ალაჰუ აქბარ! – (არაბ.) დიდ არს ალაჰი!) – ხმამაღლა ისმოდა.

მერე ბაბა საკლასო ოთახის კართან დადგა. რიგში ჩამწკრივებული რვიდან თხუთმეტ წლამდე გოგონები თითო-თითო შედიოდნენ. ყოველ მათგანს

თეთრი თავსაფარი ეკეთა და ნაცრისფერ-შავ ზოლიანი ფორმა ეცვა. ფორმებიც ბაბამ დაურიგა. ადელი იქვე იდგა, ყველაფერს თვალს ადევნებდა. გოგონები მორცხვად ამბობდნენ თავიანთ სახელებს. ბაბა თბილად უღიმოდა, თავზე ხელს უსვამდა და გამამხნევებელ სიტყვებს არ იშურებდა.

– წარმატებას გისურვებ, ბიბი მარიამ. გულმოდგინედ ისწავლე, ბიბი ჰომაირა. შენით ვიამაყებთ, ბიბი ილჰამ.

მოგვიანებით ბაბა „ოენდ კრუიზერთან“ იდგა და ადგილობრივ მოსახლეებს ხელს ართმევდა. ადელი სიცხისგან ოფლად იღვრებოდა. ბაბა თავისუფალი ხელის თითებით კრიალოსნის მძივებს ათვლიდა ერთმანეთს. ყველას მოთმინებით უსმენდა. ოდნავ წინ იყო გადახრილი, წარბებშეკრული თავს აქნევდა. ქალი იყო თუ კაცი, ყველას მიმართ ყურადღებას იჩენდა, ვინც მასთან მადლობის სათქმელად, პატივისცემის გამოსახატად მიდიოდა. ბევრი მათგანი შესაძლებლობას არ უშვებდა და დახმარებას სთხოვდა – დედა, რომელსაც შვილი ჰყავდა მძიმედ და ქაბულში მისი საოპერაციოდ გადაყვანა იყო აუცილებელი; კაცი, რომელსაც

ფეხსაცმლის სამკერვალოს გახსნა უნდოდა და კრედიტს ითხოვდა; მექანიკოსი, რომელსაც ახალი ხელსაწყოების შეძენა სურდა.

– მეთაურო საჰიბ, გულთან ახლოს თუ მიიტანთ…

– მეტი გზა არ მაქვს, მეთაურო საჰიბ…

ოჯახის წევრების გარდა, ყველა ასე მიმართავდა, „მეთაურო საჰიბ“, თუმცა რუსებმა დიდი ხნის წინ დატოვეს ავღანეთი და ბაბას ათ წელიწადზე მეტია, იარაღი ხელში არ სჭეროდა. სახლში, სასტუმრო ოთახის კედლები სავსე იყო ბაბას ჯიჰადის დღეების ამსახველი, ჩარჩოში ჩასმული სურათებით. ადელს ყოველი მათგანი გულდასმით ჰქონდა შესწავლილი. ერთ-ერთ სურათზე მამა ძველი ჯიპის ფრთას ეყრდნობა, მეორეზე დამწვარი ტანკის კოშკზეა ასული, მკერდზე სავაზნე ლენტი აქვს შემორტყმული, თანამებრძოლებთან ერთად ამაყად დგას, იქვე მათ მიერ ჩამოგდებული ვერტმფრენი გდია. შემდეგ სურათზე ჯავშანჟილეტი აცვია, დახრილია, შუბლით უდაბნოს მიწას ეკვრის და ლოცულობს. იმ დროს გაცილებით გამხდარი იყო. სურათებში ბაბას უკან მხოლოდ მთები და ქვიშა მოჩანს.

ბაბა-ჯან ორჯერ დაჭრეს რუსებმა. ნაიარევები ერთხელ ადელსაც აჩვენა. ერთი, მარცხენა ნეკნების ქვეშ რომელიცაა, ელენთის ფასად დასჯდომოდა. მეორე კი დაახლოებით ცერა თითის სიგრძის ტოლი მანძილით იყო ჭიპს ჩაცდენილი.

– მე იღბლიანი ვარ. მეგობრები მყავს, რომლებმაც ორივე მკლავი, ფეხები, თვალები დაკარგეს, ისეთებიც, რომლებსაც სახე დაეწვათ, მაგრამ ისინი სამშობლოს და ღმერთს ეწირებოდნენ. ესაა ჯიჰადი, თავის შეწირვა. შენს ხელ-ფეხს, თვალებს, სიცოცხლეს სწირავ და ამას სიხარულით აკეთებ, – თქვა ბაბამ, – ჯიჰადი თუ გადაიტანე, ბევრის უფლება და პრივილეგიებიც გაქვს, რადგან ღმერთი ყველაფერს ხედავს. ვინც თავს სწირავს, ის ჯილდოსაც იმსახურებს,

აქ, ამ ცხოვრებაშიც და იქაც, ზევით, – სქელი თითი ჯერ ქვევით დაუშვა და მერე ზევით ასწია.

სურათების თვალიერებისას ადელს ოცნება იტაცებდა და წარმოიდგენდა ხოლმე, რომ ჯიჰადის დროს ბაბას გვერდით თვითონაც იბრძოდა. რუსულ ვერტმფრენებს ერთად ესროდნენ, ტანკებს აფეთქებდნენ, ტყვიების წვიმას თავს არიდებდნენ; მთებში, გამოქვაბულში ცხოვრობდნენ მამა და შვილი – ომის გმირები.

დიდ ჩარჩოში ჩასმულ ფოტოზე მოღიმარი ბაბა-ჯან პრეზიდენტ ქარზაისთან ერთად ქაბულში პრეზიდენტის სასახლის წინ დგას. ეს ფოტო კი ახალია. პატარა ცერემონიაზეა გადაღებული, რომელზეც ბაბა ახალი შადბაღის ქალთა სკოლის გახსნის გამო დააჯილდოვეს. ჯილდო მან ნამდვილად დაიმსახურა. ქალთა სკოლა მისი ბოლოდროინდელი პროექტებიდან ერთ-ერთი იყო. ადელმა იცოდა, რომ ქალაქში უამრავი ქალი იღუპებოდა მშობიარობის დროს, მაგრამ ესეც შეიცვალა, რადგან ბაბამ საავადმყოფო გახსნა. იქ ორი ექიმი და სამი ბებიაქალი მუშაობდა და ხელფასს მათ ბაბა თავისი ჯიბიდან უხდიდა. ახალ შადბაღში ქალაქელებს უფასო სამედიცინო მომსახურების მიღება შეეძლოთ, აცრა ყველა ბავშვს უტარდებოდა. ბაბამ წყლის მაძიებელთა სპეციალისტების ჯგუფიც მოიზიდა. მთელ ქალაქში ჭებს თხრიდნენ. ისიც მოახერხა, რომ ქალაქს ახლა ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდებოდა. მის მიერ გაცემული კრედიტების წყალობით, სულ მცირე ათი საწარმო მაინც გაიხსნა. როგორც ქაბირმა უთხრა

ადელს, ფული უკან, როგორც წესი, არბრუნდებოდა.

ადელს მალალაი მასწავლებლის სიტყვები გაახსენდა. დიახ, თავს იღბლიანად მიიჩნევდა, რადგან ასეთი კაცის შვილი იყო.

სწორედ მაშინ, როცა ბაბა ხალხთან საუბარს ამთავრებდა, ადელმა მისკენ მიმავალი გამხდარი კაცი შენიშნა. კაცს თხელ ჩარჩოში ჩასმული მრგვალი სათვალე ეკეთა, ჭაღარა წვერი და ასანთის ჩამწვარი თავივით წვრილი კბილები ჰქონდა. უკან დაახლოებით ადელის ასაკის ბიჭი მოჰყვებოდა. ბიჭს გახვრეტილი სპორტული ფეხსაცმლებიდან ცერა თითები უჩანდა. ერთმანეთში ჩახვეული თმა თავზე ბუჩქივით ედგა. ჭუჭყით გაზინზლილი ჯინსი მოკლე ჰქონდა, სამაგიეროდ მაისური დასთრევდა მუხლებს ქვევით.

ქაბირი მოხუცს წინ გადაუდგა. – უკვე გითხარი, ახლა მაგის დრო არ არის.

– ერთი-ორ სიტყვას ვეტყვი მეთაურს, – თქვა მოხუცმა.

ბაბამ ადელს მკლავში ხელი გამოსდო და „ლენდ კრუიზერისკენ“ გაუძღვა. უკანა კარი გაუღო და უთხრა:

– წავიდეთ, შვილო, დედა გელოდება.

მანქანაში ადელის გვერდით დაჯდა, კარი დახურა და დაბურული მინა ასწია. ქაბირი მოხუცს რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ადელს აღარ ესმოდა. შემდეგ ქაბირი ჯიპისკენ წამოვიდა, წინა კარი გააღო და მძღოლის ადგილი დაიკავა. „კალაშნიკოვი“ სავარძელზე მიაწვინა და მანქანა დაქოქა.

– რაო? რა გითხრა? – იკითხა ადელმა.

– არაფერი მნიშვნელოვანი.

გზისკენ გაუხვიეს. რამდენიმე ბიჭი მანქანას გამოეკიდა. მალე მთავარ, ხალხმრავალ ქუჩაზე გავიდნენ. ეს ქუჩა ახალ შადბაღს ორ ნაწილად ჰყოფდა. გადატვირთული მოძრაობის გამო მანქანა ძლივს მიიწევდა წინ. ხალხი გზას უთმობდა, შეძახილით და ხელის ქნევით აცილებდა. ადელი ფანჯრიდან იცქირებოდა. ხალხი ჯგუფებად იდგა ქუჩის ორივე მხარეს. მათ უკან ნაცნობი სურათი იშლებოდა: ყასბები მუშტრებს ელოდნენ, დახლების თავზე, კაუყზე, დაკლული საქონელი ეკიდა, სამჭედლოებში მჭედლები ხის ბორბლებს ატრიალებდნენ, ხელის საბერველს ამუშავებდნენ; ხილის გამყიდველები ყურძნის და ბლის ყუთებიდან ბუზებს აქშევდნენ; უბნის პარიკმახერი მოწნულ სკამზე იჯდა და სამართებელს ლესავდა. ჩაიხანებს, ქაბაბის რესტორნებს, ავტომობილების სახელოსნოებსა და მეჩეთს ჩაუარეს. ბოლოს ქაბირმა ქალაქის მთავარი მოედნისკენ გადაუხვია. მოედნის ცენტრში ცისფერი შადრევანი და ცხრა ფუტის სიმაღლის მოჯაჰედის შავი ქანდაკება იდგა. მოჯაჰედი აღმოსავლეთისკენ იყურება, თავზე მოხდენილად ახურავს ჩალმა, მხარზე ტყვიამფრქვევი ჰკიდია. ამ ქანდაკების აგება ბაბამ პირადად შეუკვეთა ქაბულელ მოქანდაკეს.

მთავარი ქუჩიდან ჩრდილოეთით საცხოვრებელი კვარტალი იშლებოდა, სადაც ძირითადად, ვიწრო და მოუკირწყლავი ქუჩები, პატარა ბრტყელსახურავიანი, თეთრი ან ცისფერი სახლები იყო. რამდენიმე მათგანის სახურავზე სატელიტური თეფშები მოჩანდა, აქა-იქ, ფანჯრებზე ავღანური დროშები ფრიალებდა. ბაბამ ადელს უთხრა, ამ სახლების უმრავლესობა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ააშენეს და თითქმის ყველა მოქმედი ბიზნესიც ამ დროს წამოიწყესო. რასაკვირველია, ხშირ შემთხვევაში, მისი თანამონაწილეობით. ახალი შადბაღის მოსახლეობა ბაბას ქალაქის ფუძემდებლად მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ხალხმა სურვილი გამოთქვა, რომ ქალაქისთვის ბაბას სახელი ეწოდებინათ, თუმცა ბაბამ ეს მეტისმეტად დიდ პატივად ჩათვალა და უარი განაცხადა.

აქედან ორი მილის მოშორებით გზა ძველ შადბაღს უერთდებოდა. ადელს არასოდეს ენახა, როგორ გამოიყურებოდა სოფელი ათწლეულების წინ. იმ დროს, როცა ბაბამ ის და დედამისი ქაბულიდან შადბაღში ჩამოიყვანა, ძველი შადბაღი უკვე აღარ არსებობდა. წარსულის ერთადერთი მოწმე ძველი, ძირგამომპალი ქარის წისქვილი იყო. ძველი შადბაღიდან ქაბირმა მარცხნივ გადაუხვია და მთავარი გზიდან ფართო, მოუკირწყლავ, მილის მეოთხედი სიგრძის გზაზე გადავიდა. გზა თორმეტი ფუტის სიმაღლის გალავნით შემოღობილ ტერიტორიამდე მიდიოდა. ადელი და მისი მშობლები ამ გალავნის მიღმა ცხოვრობდნენ. თუ ქარის წისქვილს არ ჩავთვლით, მათი სახლი ერთადერთი შენობა იყო ძველ შადბაღში. ჯიპი სახლისკენ ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა. ადელი უკვე ხედავდა მავთულხლართით გარშემორტყმულ კედლებს. სახლის ჭიშკართან ფორმიანი მცველი იდგა. მან ბაბას სამხედრო სალამი მისცა და ჭიშკარი გააღო. ქაბირმა ჯიპი ხრეშმოყრილი გზით სახლისკენ წაიყვანა.

სამსართულიანი სახლი ხასხასა ვარდისფრად და მომწვანო-ფირუზისფრად იყო შეღებილი. სახლს ცაში აჭრილი სვეტები, წვეტიანი ლავგარდნები, მოაჯირები, მბზინავი მოზაიკით მოპირკეთებული ვერანდები და რკინის რიკულებიანი აივნები ჰქონდა. ცათამბჯენივით სარკისებრი შუშით გაწყობილს, მზეზე ლაპლაპი გაუდიოდა. სახლში ცხრა საძინებელი და შვიდი სააბაზანო იყო. ზოგჯერ, როცა ადელი და ბაბა დახუჭობანას თამაშობდნენ, ადელი მთელი ერთი საათი ეძებდა ხოლმე მამას. ყველა სააბაზანოსა და სამზარეულოში დახლები გრანიტისა და მარმარილოსი იყო. ბოლო ხანს, ბაბა, ადელის გულის გასახარად, საცურაო აუზის მშენებლობაზეც ალაპარაკდა.

ქაბირმა სახლის მაღალი ჭიშკრის გარეთ, წრიულ სამანქანო გზაზე გაიყვანა მანქანა. ძრავა გამორთო.

– ერთი წუთი მოგვეცი, – თქვა ბაბამ.

ქაბირმა თავი დაუქნია და მანქანიდან გადავიდა. ჭიშკრისკენ მარმარილოს საფეხურებს აუყვა და ზარი დარეკა. კარი აზმარეიმ გააღო. აზმარეი მეორე მცველი იყო – დაბალი, ჩაფსკვნილი, ტლანქი ახალგაზრდა. მათ ერთმანეთს რადაც უთხრეს. მერე კიბის თავზე დადგნენ და სიგარეტს მოუკიდეს.

– მართლა უნდა წახვიდე? – ჰკითხა მამას ადელმა. მამა დილით სამხრეთში აპირებდა წასვლას. ჰელმანდში ბამბის მინდვრებს დახედავდა, მერე თავის აშენებულ ფაბრიკაში მუშებს დაელაპარაკებოდა. მოკლედ, ორი კვირა სახლში არ იქნებოდა. ეს დრო ადელს უსასრულობად

ეჩვენა.

ბაბამ ადელს შეხედა. მის გვერდით ადელი ნამცეცივით პატარა ჩანდა. მამას თითქმის მთელი უკანა სავარძელი ეკავა.

– შენ გგონია, მე მინდა წასვლა? ნეტავ დარჩენა შემეძლოს, – თქვა მან.

ადელმა თავი დააქნია.

– დღეს ძალიან ამაყი ვიყავი, მეამაყები, ბაბა.

ბაბამ თავისი მძიმე დიდი ხელი მუხლზე დაადო.

– მადლობა, ადელ, მე ძალიან ვაფასებ შენს აზრს. ასეთ ღონისძიებებზე იმიტომ დამყავხარ, რომ მინდა იცოდე, მინდა გესმოდეს, რომ იღბლიანი, წარმატებული ადამიანები, ისეთები, როგორებიც ჩვენ ვართ, ვალდებული არიან, პასუხისმგებლობა აიღონ.

– უბრალოდ მინდა, რომ ასე ხშირად არ მიდიოდე.

– მეც, შვილო, მეც. ხვალამდე ხომ აქ ვარ. საღამოს, მოგვიანებით დავბრუნდები.

ადელმა თავი დააქნია. თავის ხელებს უყურებდა.

– მისმინე, – მშვიდად თქვა მამამ, – ამ ქალაქში ხალხს ვჭირდები. ჩემი დახმარება სჭირდებათ, რომ ცხოვრებას თავი გაართვან, საცხოვრებელი და

სამუშაო იშოვონ. ქაბულს თავის პრობლემები აქვს. მე თუ არ დავეხმარე ამ ხალხს, სხვა არავინაა, ხალხს კიდევ უფრო გაუჭირდება.

– ვიცი, – ჩაიჩურჩულა ადელმა. ბაბამ მუხლზე ფრთხილად მოუჭირა ხელი.

– შენ ქაბული და შენი მეგობრები გენატრება, ვიცი. შენთვის და დედაშენისთვის რთული აღმოჩნდა აქაურობასთან შეგუება. მე სულ წასული ვარ, ეს შეხვედრები… მთლიანად დაკავებულია ჩემი დრო, მაგრამ… შემომხედე, შვილო…

ადელმა თვალები ასწია და მამას შეჰხედა. კეთილად აციმციმებულ თვალებზე ბაბას ჩარდახივით გადმოფარებოდა სქელი წარბები.

– შენზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ მყავს. შენ გამო დაუფიქრებლად დავთმობ ამ ყველაფერს. შენ გამო სიცოცხლეს დავთმობ, ჩემო შვილო.

ადელმა თავი დააქნია. თვალებზე ცრემლი მოადგა. როდესაც ბაბა ასე ლაპარაკობდა, ადელი გრძნობდა, რომ გული ისე უსივდებოდა, რომ სუნთქვა უჭირდა.

– გესმის ჩემი?

– ჰო, ბაბა-ჯან.

– გჯერა ჩემი?

– მჯერა.

– კარგი, მოდი ახლა და ბაბას აკოცე.

ადელმა კისერზე მოჰხვია ხელები და ბაბამ გულში ჩაიკრა. ადელს გაახსენდა, პატარაობისას, როცა ღამით გაეღვიძებოდა ხოლმე, შიშით აცახცახებული ბაბას მანამ უტყაპუნებდა მხარზე ხელს, სანამ გააღვიძებდა, მერე ბაბა საბანს გადაიხდიდა, ადელს ლოგინში ჩაიწვენდა, ჩაეხუტებოდა, თავზე კოცნიდა და ისევ აძინებდა ხოლმე.

– რამეს ჩამოგიტან ჰელმანდიდან.

– არა, არ არის საჭირო, – თქვა ადელმა. იმდენი სათამაშო ჰქონდა, აღარ იცოდა სად წაეღო. რომელი სათამაშო დაავიწყებდა მამამისის შორს ყოფნას!

მოგვიანებით, კიბეზე რომ ჩადიოდა, ადელი ასეთ სცენას შეესწრო: ზარი დარეკეს და ქაბირმა კარი გამოაღო. გულხელდაკრეფილი შესასვლელში იდგა და ვიღაცას ელაპარაკებოდა. ადელმა ის მოხუცი კაცი იცნო, სკოლასთან რომ ნახა, სათვალით და

ასანთის ჩამწვარი თავივით წვრილი კბილებით. ბიჭიც იქ იყო, თავისი გამოხეული სპორტული ფეხსაცმელებით.

– სად წავიდა? – იკითხა მოხუცმა.

– საქმეზეა, სამხრეთში.

– მითხრეს, რომ ხვალ უნდა წასულიყო.

ქაბირმა მხრები აიჩეჩა.

– როდის ჩამოვა?

– ვინ იცის, ალბათ, ორ-სამ თვეში.

– ჩემთვის ასე არ უთქვამთ.

– ჩემს მოთმინებას საზღვარი აქვს, მოხუცო, – თქვა ქაბირმა და ხელები ჩამოსწია. – დავუცდი.

– აქ ვერ დაუცდი.

– ვიცი, გზაზე დავუცდი. ქაბირმა ფეხი მოინაცვლა.

– როგორც გინდა. იცოდე, რომ მეთაური ძალიან დაკავებულია და არავინ იცის, როდის დაბრუნდება.

მოხუცმა თავი დააქნია და უკან დაიხია. ბიჭი თან გაიყოლა.

ქაბირმა კარი მიხურა.

ადელმა ფარდა გადასწია. მოხუცი და ბიჭი მოხრეშილ გზას ზევით მიუყვებოდნენ. – რატომ მოატყუე? – ჰკითხა ადელმა ქაბირს.

– მამაშენი იმაში მიხდის ფულს, რომ ასეთი მოძალადეებისგან დავიცვა.

– რა უნდოდა? სამუშაო?

– ჰო, რაღაც მსგავსი.

ქაბირი ტახტზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელი გაიხადა. ადელს თვალი ჩაუკრა. ადელს ქაბირი უფრო მოსწონდა, ვიდრე აზმარეი. ის უსიამოვნო ტიპი იყო, ადელს თითქმის არ ელაპარაკებოდა. ქაბირი კი ბანქოს ეთამაშებოდა, ხანდახან ფილმებსაც ერთად უყურებდნენ. ქაბირს კინო უყვარდა და შავ ბაზარზე შეძენილი ფილმების დიდი კოლექცია ჰქონდა. კვირაში დაახლოებით ათ-თორმეტ ირანულ, ფრანგულ, ამერიკულ და, რასაკვირველია, ბოლივუდის ფილმს უყურებდა. ხანდახან, როცა ადელის დედა სხვა ოთახში იყო, ქაბირი „კალაშნიკოვს“ სავაზნე მჭიდს მოაცლიდა და ადელს უფლებას აძლევდა, ავტომატი ხელში დაეჭირა. ჰო, ადელი სიტყვას აძლევდა ქაბირს, რომ ბაბას ამის შესახებ არ ეტყოდა. ისე ეჭირა ხოლმე ავტომატი ხელში, როგორც ეს ნამდვილ მოჯაჰედს შეჰფერის. ახლა „კალაშნიკოვი“ შემოსასვლელ კართან, კედელზე იყო მიყუდებული. ქაბირი ტახტზე წამოწვა და ფეხები სახელურზე შემოაწყო. გაზეთი გადაშალა.

– უწყინარები ჩანდნენ, – თქვა ადელმა. ფარდას ხელი გაუშვა და ქაბირისკენ შებრუნდა, რომელსაც გაშლილი გაზეთიდან მხოლოდ შუბლი მოუჩანდა.

– იქნებ ჩაიზე შემომეპატიჟებინა, – უპასუხა ქაბირმა, – და ნამცხვარიც მიმერთმია? – ნუ დასცინი, – უთხრა ადელმა. – ჰო, უწყინარები ჩანან.

– ბაბა დაეხმარება?

– ალბათ, – ამოიოხრა ქაბირმა, – მამაშენი მდინარესავითაა თავისი ხალხისთვის. გაზეთი ჩამოსწია და გაიცინა, – ეს რა არის? კარგი რა, ადელ, ამას გასულ კვირას ვუყურეთ.

ადელმა მხრები აიჩეჩა და კიბისკენ წავიდა.

– ლორენსი, – დაიძახა ქაბირმა ტახტიდან, – „არაბეთის ლორენსი“, ენტონი ქუინი. – მერე, სანამ ადელი კიბეზე ავიდოდა, დაამატა:

– ყველანი გამომძალველები არიან, ადელ. ნუ წამოეგები მათ ანკესზე, რომ მიუშვა, მამაშენს ბოლო კაპიკსაც დაცინცლავენ და მშრალზე დატოვებენ.

ერთ დილას, როდესაც მამა ჰელმანდში იყო, ადელი მშობლების საძინებელში ავიდა. ოთახიდან ხმამაღალი რიტმული მუსიკა ისმოდა. კარი შეაღო და შევიდა. დედას მოკლე შარვალი და მაისური ეცვა. უზარმაზარი ტელეეკრანის წინ სამი ოფლში გახვითქული ქერა ქალის მოძრაობებს იმეორებდა: ავხტით, ჩავბუქნეთ, ხელები წინ, გავწექით… დედამ ადელი მაგიდის სარკეში დაინახა.

– არ გინდა, რომ შემომიერთდე? – ქოშინით წამოიძახა.

– უბრალოდ დავჯდები, – თქვა ადელმა. ხალიჩაზე დაჯდა და დედამისის წინ და უკან სირბილს უყურებდა.

მას არია ერქვა. ჩამოქნილი ხელ-ფეხი, პატარა, აპრეხილი ცხვირი და ლამაზი სახე ჰქონდა. ქაბირის ბოლივუდის ფილმების კოლექციიდან ერთ-ერთ მსახიობს ჰგავდა. გამხდარი და ნაზი იყო. რაც მთავარია, ძალიან ახალგაზრდა. თოთხმეტი წელი რომ შეუსრულდა, ბაბას ცოლად მაშინ გაჰყვა. ადელს სხვა დედაც ჰყავდა, უფრო ხნიერი, მისი სამი ნახევარძმის დედა. ბაბამ ისინი აღმოსავლეთში, ჯალალაბადში დაასახლა. ადელი მათ სანახავად მხოლოდ თვეში ერთხელ დაჰყავდა. დედამისსა და დედინაცვალს ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდათ, თუმცა, მათგან განსხვავებით, ბიჭები მეგობრობდნენ. როცა ადელი მათთან იყო, ძმებს სად აღარ დაჰყავდათ: პარკებში, ბაზარში, კინოში, ბუზქაშის შეჯიბრზე. ერთად უტევდნენ „ბოროტების სავანეს“ და ზომბებს ხოცავდნენ „გულის ძახილის“ თამაშის დროს. როდესაც ფეხბურთის სამეზობლო მატჩი იმართებოდა, ყოველთვის მათ გუნდში თამაშობდა. ძალიან, ძალიან უნდოდა ადელს, რომ მის ძმებს მასთან ახლოს ეცხოვრათ.

ადელი დედას უცქეროდა. ის ზურგზე იწვა, შიშველი კოჭებით ფეხებშუა გაჩრილი პლასტმასის ცისფერი ბურთი ეკავა და გამართულ ფეხებს ზევით სწევდა, მერე ნელ-ნელა

ქვევით უშვებდა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ადელი მოწყენილობისგან ლამის გაგიჟებულიყო. შადბაღში ორი წლის წინ გადმოვიდნენ და ამ ხნის განმავლობაში ერთი მეგობარიც კი არ შეუძენია. რეგიონში გახშირებული გატაცების შემთხვევების

გამო, ველოსიპედით მარტო ვერ გადიოდა ქალაქში. ზოგჯერ გაძრომას მაინც ახერხებდა, მაგრამ ძალიან შორს არასდროს მიდიოდა. კლასელები არ ჰყავდა, რადგან ბაბა ადგილობრივ სკოლაში სიარულის ნებას არ აძლევდა. „უსაფრთხო გაკვეთილები“ მირჩევნიაო, ამბობდა ხოლმე და ყოველ დილას მასწავლებელი სახლში მოდიოდა. ადელი კითხვით ან საკუთარ თავთან ბურთით თამაშით, ხანდახან კი ქაბირთან

ერთად უკვე ბევრჯერ ნანახი ფილმების ყურებით ირთობდა თავს. უაზროდ დაყიალებდა უზარმაზარი სახლის ფართო მაღალჭერიან დერეფნებსა და ცარიელ ოთახებში, ხანდახან ზედა სართულზე ავიდოდა და თავისი საძინებლის ფანჯრიდან იცქირებოდა; ადგილს ვერ პოულობდა, დიდ სივრცეში, თუმცა ჩაკეტილ, ვიწრო სამყაროში ცხოვრობდა. ზოგჯერ ისე მოსწყინდებოდა ხოლმე, რომ ლამის კბილებით ხე დაეღროღნა.

იცოდა, რომ დედამისიც მარტო გრძნობდა თავს. დედა ცდილობდა, რომ დატვირთული რუტინა ჰქონოდა. დილის ვარჯიში, შემდეგ შხაპი, მერე საუზმე, კითხვა, ბაღში მუშაობა და ნაშუადღევს ინდური სერიალი. როცა ბაბა წასული იყო, და ასე ხშირად ხდებოდა, დედა ნაცრისფერ სვიტერსა და სპორტულ ფეხსაცმელს იცვამდა. სახეზე მაკიაჟს არ იკარებდა, თმას უკან, კეფაზე იკრავდა; სამკაულების ყუთიც კი, რომელშიც ბაბას მიერ დუბაიდან ჩამოტანილ ბეჭდებს, სამაჯურებსა და საყურეებს ინახავდა, იშვიათად თუ გაახსენდებოდა. წამდაუწუმ ქაბულში რეკავდა, საათობით ესაუბრებოდა თავისი ოჯახის წევრებს. ორ-სამ თვეში ერთხელ მისი და და მშობლები ჩამოდიოდნენ. მაშინ კი ეტყობოდა დედას გამოცოცხლება, გრძელ, ჭრელ კაბას ჩაიცვამდა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შედგებოდა და ლოყებს შეიფერადებდა, სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა, მისი სიცილ-კისკისი მთელ სახლში ისმოდა. ასეთ დროს ადელი წარმოიდგენდა ხოლმე, როგორი იყო დედა ადრე, ვიდრე ბაბას გაჰყვებოდა ცოლად. როცა ბაბა შინ არ იყო, ადელი და დედამისი ერთმანეთის მარტოობის შემსუბუქებას ცდილობდნენ. რებუსებს ხსნიდნენ, ადელის ბოლო თაობის ნინტენდო-ზე გოლფს და ჩოგბურთს თამაშობდნენ. მაგრამ ადელს ყველაზე მეტად დედასთან ერთად კბილის საწმენდი ჩხირებისგან სახლების აგება მოსწონდა. დედა სახლის სამ განზომილებიან მოდელს ხაზავდა. მოდელში ყველაფერი იყო გათვალისწინებული: წინკარი, ორფერდა სახურავი, შიდა კიბე და კედლები. ჯერ საძირკველს აგებდნენ, შემდეგ ინტერიერის კედლებსა და კიბეს. ჩხირებს გულმოდგინედ უსმევდნენ წებოს და დროც შეუმჩნევლად გადიოდა. შემდეგ სექციებს გასაშრობად ტოვებდნენ. ერთხელ, როცა ცათამბჯენს აგებდნენ, დედამ თქვა, სანამ ბაბას გავყვებოდი ცოლად, არქიტექტორობაზე ვოცნებობდიო. მერე ადელს მთელი ისტორია მოუყვა.

– სინამდვილეში, ჩემი უფროსი და უნდა ეთხოვა ცოლად. – დეიდა ნარგისი?

– ჰო. ქაბულში, ქუჩაში ნახა ერთხელ და მორჩა, გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღეს სახლში მოვიდა ჩვენთან, ის და მისი ხუთი თანმხლები პირი. ყველას ჩექმები ეცვა. არავის მოუწვევია, თავი თვითონ დაიპატიჟეს.

თავი გააქნია და გაიცინა, თითქოს ძალიან სასაცილო იყო, რაც ბაბამ გააკეთა. გაიცინა, მაგრამ ისე არა, როგორც სხვა დროს, როცა მართლა

სასაცილო რამ ხდებოდა.

– დედაჩემისა და მამაჩემის გამომეტყველება უნდა გენახა. სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ბაბა თავისი კაცებით და ჩემი მშობლები. მე სამზარეულოში ჩაის ვამზადებდი. საქმე ის იყო, რომ ნარგისი დანიშნული ჰყავდა ერთ-ერთ ბიძაშვილს, რომელიც ამსტერდამში საინჟინროზე სწავლობდა. როგორ აპირებთ ნიშნობის ჩაშლასო, იკითხეს მშობლებმა. ამ დროს მე შევედი ოთახში, ლანგრით ჩაი და ტკბილეული შევიტანე. ჩაი დავუსხი და ლანგარი მაგიდაზე დავდე. მამაშენმა თვალი შემავლო და რომ გავდიოდი, გავიგონე:

– მართალი ბრძანდებით, ბატონო, ნიშნობის ჩაშლა არ იქნებოდა სამართლიანი საქციელი, მაგრამ თუ მეტყვით, რომ ესეც დანიშნულია, მაშინ ვიფიქრებ, რომ მე არაფრად მიგაჩნივართ.

მერე გაიცინა და სულ ეს იყო, ასე დავქორწინდითო. ქალმა წებოს ტუბი აიღო. – მოგეწონა?

– სიმართლე გითხრა, შემეშინდა, მაშინ სხვა განცდა არ მქონდა.

– ახლა ხომ მოგწონს? ხომ გიყვარს?

– აბა, რა, რა შეკითხვაა. ერთი წუთითაც არ მინანია, რომ გავყევი.

წებოს ტუბი ისევ დადო და რამდენიმე წამით ჩუმად იყო. შემდეგ:

– ჩვენს ცხოვრებას შეხედე, ადელ, – თქვა მან, – მიმოიხედე, რა ვინანო? – შემდეგ ადელს ნაზად მიეფერა ყურის ბიბილოზე, – ყველაფრს თავი დავანებოთ, შენ ხომ არ მეყოლებოდი!

ადელის დედამ ტელევიზორი გამორთო. აქოშინებული იატაკზე დაჯდა და პირსახოცით ოფლი შეიწმინდა.

– შენ ვერაფრით გაერთე ამ დილით? – ჰკითხა ადელს და ზურგი გამართა, – მე ახლა შხაპს მივიღებ და ვისაუზმებ. მერე ბებიაშენს დაველაპარაკები. აღარ დამირეკავს ერთი-ორი დღეა.

ადელმა ამოიხვნეშა და ფეხზე წამოდგა. მისი ოთახი ერთი სართულით ქვევით, სახლის მეორე ნაწილში იყო. ოთახში შევიდა, ფეხბურთის ბურთი აიღო და ზიდანის ფორმა გადაიცვა. ეს მაისური ბაბამ შარშან, თავის მეთორმეტე დაბადების დღეზე აჩუქა. ქვევით ჩასვლისას დაინახა, რომ ქაბირს გაზეთი საბანივით ეფარა მკერდზე და ეძინა. მაცივარი გამოაღო, ვაშლის წვენი აიღო და გარეთ გავიდა. მთავარი შესასვლელისკენ მოხრეშილ გზას აუყვა. დაცვის ჯიხური ცარიელი დახვდა. ადელმა დაცვის მუშაობის განრიგი იცოდა. ფრთხილად გამოაღო ჭიშკარი, ზღურბლს გადააბიჯა და ჭიშკარი დაკეტა. როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. ზოგჯერ სახლის კედლებში მომწყვდეულს თავი მართლა ციხეში ეგონა.

გალავნის ჩრდილში სახლის უკან გაშენებული ბაღისკენ მიმავალ გზას დაადგა. ბაბა ბაღით ძალიან ამაყობდა. რამდენიმე აკრი მიწა პარალელურ რიგებად იყო დაყოფილი. ვაშლი, მსხალი, გარგარი, ბალი, ლეღვი და მუშმულაც კი ხარობდა. როცა ადელი ბაბასთან ერთად სეირნობდა ბაღში, ბაბა

კისერზე შემოისვამდა ხოლმე და ადელი თავისი ხელით წყვეტდა მწიფე ვაშლს. სახლსა და ბაღს შორის ცარიელი, ან თითქმის ცარიელი მინდორი იყო. მხოლოდ მებაღეების ფარდული იდგა, სადაც სამუშაო ინვენტარი ინახებოდა. ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ ამ მიწაზე ოდესღაც სხვა ცხოვრება დუღდა, მოჭრილი ხის მიწაში ჩარჩენილი ძირკვი იყო. დაკვირვებული თვალი ადვილად მიხვდებოდა, რომ აქ, ოდესღაც, გიგანტური მუხის ხე იდგა. ერთხელ ბაბამ და ადელმა მისი რგოლები დაითვალეს და ბაბამ დაასკვნა, ნამდვილად ჩინგიზ-ხანის ლაშქრობების მომსწრე იქნებოდაო. მერე თავი სინანულით გაიქნია და დაამატა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ამ ხის მომჭრელი, ალბათ სულელი იყოო.

მზე გაალმასებული აცხუნებდა. ცა ისეთი ლურჯი იყო, როგორც იმ ნახატებზე, პატარაობისას ფანქრით რომ ხატავდა ადელი. ვაშლის წვენი ხის ძირკვზე დადგა და ბურთის აკენწვლა დაიწყო, სამოცდარვამდე ავიდა, მიწასთან შეხების გარეშე. ეს მისი საუკეთესო შედეგი იყო. გაზაფხულის მერე ამ შედეგის გაუმჯობესებას ცდილობდა. ოცდარვაზე რომ ავიდა, შეამჩნია, რომ ვიღაც უყურებდა. ის ბიჭი აღმოჩნდა, მოხუცთან ერთად რომ იყო სკოლის გახსნის ცერემონიაზე. ახლა ფარდულის ჩრდილქვეშ ჩაცუცქულიყო.

– აქ რას აკეთებ? – ღრენაგარეული ხმით ჰკითხა ადელმა. ზუსტად ისე, როგორც ქაბირი ელაპარაკებოდა უცნობებს.

– ჩრდილში ვზივარ.

– წესით აქ არ უნდა იყო.

– არც შენ.

– რა?

– არაფერი, ნუ მიაქცევ ყურადღებას, – ბიჭმა ჩაახველა, ხელები გაშალა და წამოდგა. ადელმა ჯიბეებზე შეხედა. იქნებ ხილის მოსაპარად მოვიდა?

ბიჭი ადელს მიუახლოვდა. ცალი ფეხით ბურთი ააგდო, აკენწლა, ქუსლით დაარტყა და ადელს დაუბრუნა. ადელმა ბურთი დაიჭირა და იღლიის ქვეშ ამოიდო.

– ის გონებაჩლუნგი სადაა, მე და მამაჩემს გზის გაღმა თაკარა მზეზე რომ გვაცდევინა? არც ჩრდილი იყო სადმე, ცაზე ღრუბელიც კი არ ჩანდა.

ადელმა იცოდა, რომ ახლა ქაბირს უნდა გამოქომაგებოდა. – არ არის გონებაჩლუნგი.

– „კალაშნიკოვი“ დაგვანახა, არა? ჰო, ზუსტად ასე იყო, – სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა. ადელს შეხედა და თავისი ფეხების წინ დააპურქყა.

– ვხედავ, იმ რქიანის თაყვანისმცემელი ყოფილხარ.

ადელს დრო დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო ვის გულისხმობდა.

– ერთი შეცდომით ვერ განსჯი, ის საუკეთესო იყო, ნამდვილი ჯადოქარი. – უკეთესებიც გვინახავს.

– რა? მაინც ვინ?

– მაგალითად, მარადონა.

– მარადონა? – გაცხარებით თქვა ადელმა, – მარადონა თაღლითი იყო, – ცოტა ხნის წინ, ჯალალაბადში, თავის ძმებთანაც ამ თემაზე ჰქონდა კამათი.

– თაღლითი იყო, „ღმერთის ხელი“ გახსოვს?

– ყველა თაღლითობს და იტყუება.

ბიჭმა დაამთქნარა. უკვე წასვლას აპირებდა. დაახლოებით ადელის სიმაღლე იყო, შეიძლება ოდნავ მაღალი. ასაკითაც მისი ტოლი ჩანდა, მაგრამ რაღაცნაირად დინჯად დადიოდა, გამომეტყველებაც ისეთი ჰქონდა, იფიქრებდით, აღარაფერი დარჩა, რომ არ იცოდეს და არ ენახოს, ან ნეტავ, რამ უნდა გააოცოსო.

– მე ადელი მქვია.

– ღოლამი, – ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ღოლამს ძლიერი, დაკოჟრილი ხელი ჰქონდა. – რამდენი წლის ხარ?

ღოლამმა მხრები აიჩეჩა.

– ცამეტის, ალბათ. შეიძლება თოთხმეტისაც.

– საკუთარი დაბადების დღე არ იცი?

– შენ კი გეცოდინება, შენი, – ჩაიცინა ღოლამმა, – ალბათ თითებზე ითვლი დღეებს.

– არაფერსაც არ ვითვლი, – თავი დაიცვა ადელმა, – თითებზე არ ვითვლი.

– უნდა წავიდე, მამაჩემი მარტო იცდის.

– მე მეგონა, ის კაცი შენი პაპა იყო.

– არასწორად გეგონა.

– გინდა, ჯარიმების დარტყმაზე ვითამაშოთ?

– რას გულისხმობ? პენალტის დარტყმებს?

– ხუთ-ხუთი თითომ.

ღოლამმა კიდევ გადააპურჭყა. თვალები მოჭუტა და გზისკენ გაიხედა, მერე ადელს შეხედა.

ადელმა შენიშნა, რომ სახესთან შედარებით ვიწრო ნიკაპი და წინ გამოჩრილი ორი ღოჯი ჰქონდა, ერთ-ერთი თითქმის მთლიანად ჩამოფშვნოდა. მარცხენა წარბის შუაში პატარა

ნაიარევი ემჩნეოდა. ჰო, და კიდევ, ცოტა ყარდა. მაგრამ თითქმის ორი წელი ისე გავიდა, რომ ადელს თავის ტოლ ბიჭთან არც უთამაშია და არც ულაპარაკია. თუ, რასაკვირველია, ჯალალაბადში ყოველთვიურ ვიზიტებს არ ჩავთვლით. ადელი ცოტა იმედგაცრუებული ჩანდა, მაგრამ ამ დროს ღოლამმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

– ჯანდაბას, მოდი! მე ვარ პირველი!

კარის მაგივრობას ორი ერთმანეთისგან რვა ნაბიჯით დაშორებული ქვა უწევდათ. ღოლამმა ხუთჯერ დაარტყა. ერთი გაიტანა, ორი ააცილა, ორი კი იოლად აიოო ადელმა. ის კიდევ უფრო ცუდი მეკარე აღმოჩნდა, ვიდრე დამრტყმელი. ადელმა ოთხჯერ გაიტანა, ოთხივეჯერ ცრუ მოძრაობით მოატყუა, მეხუთე, უბრალოდ, კარს აცდა.

– ფუ, შენი… – შეიკურთხა ღოლამმა. წელში ორად იყო მოხრილი, ხელისგულებით მუხლისთავებს ებჯინებოდა.

– კიდევ ერთხელ? – ნიშნის მოგების დამალვას ეცადა ადელი. თუმცა, შიგნიდან ისეთ აღმაფრენას გრძნობდა, რომ ცოტა გაუჭირდა.

ღოლამი დათანხმდა, მაგრამ შედეგი კიდევ უფრო სავალალო აღმოჩნდა. ერთი ზუსტი დარტყმა, სულ ეს იყო, მეტი ვერაფერი მოახერხა. ამჯერად ადელს ხუთი დარტყმიდან არცერთი აუცილებია.

– მორჩა, სული უნდა მოვითქვა, – თქვა ღოლამმა. ფეხები ხის ძირკვამდე ძლივს მიათრია, დაჯდა და დაღლილობისგან ამოიგმინა. ადელმა ბურთი იღლიის ქვეშ ამოიდო და გვერდით მიუჯდა.

– ეს რას მიშველის, მაგრამ… – თქვა ღოლამმა და ჯინსის წინა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ერთი ღერიღა იყო დარჩენილი. ასანთი ერთი გაკვრით აანთო, მოუკიდა, ხარბად მოქაჩა და ადელს შესთავაზა. ადელს ლამის სულმა წასძლია, მაგრამ იფიქრა დედა ან ქაბირი სუნს იგრძნობენო და უარი უთხრა.

– ჭკვიანურია, ყოჩაღ, – თქვა და თავი უკან გადასწია.

ცოტა ხანს უაზროდ ილაპარაკეს. მერე ფეხბურთზე გადავიდნენ. ადელისთვის გასაოცრად, ღოლამი სერიოზულად ინფორმირებული აღმოჩნდა. ერთმანეთს საუკეთესო მატჩებისა და გოლების შესახებ მოსაზრებები გაუზიარეს. მერე ორივემ ხუთი ყველაზე მაგარი ფეხბურთელი დაასახელა. ჩამონათვალი ძირითადად დაემთხვა ერთმანეთს. განსხვავება ის იყო, რომ ღოლამის სიაში რონალდო ბრაზილიელი იყო, ადელისაში კი – პორტუგალიელი. არც 2006 წლის ფინალური მატჩისთვის აუვლიათ გვერდი. ადელს მწარედ ახსოვდა თავური დარტყმის ინციდენტი. ღოლამმა თქვა, მთელ მატჩს ბანაკთან ახლოს, ტელევიზორების მაღაზიის წინ შეკრებილ ხალხთან ერთად ვუყურეო.

– ბანაკთან?

– ჰო, იქ, სადაც გავიზარდე, პაკისტანში.

ადელს უთხრა, რომ პირველად იყო ავღანეთში. მთელი ცხოვრება პაკისტანში, ჯალოზაის ლტოლვილთა ბანაკში გაატარა. იქ დაიბადა და გაიზარდა. ჯალოზაი ქალაქივით იყო. კარვების, თიხის ქოხების, პლასტმასისა და ალუმინის ნაჭრებით აგებული სახლების უზარმაზარი ლაბირინთი, ნაგვითა და ქაქით სავსე გასასვლელებით – ქალაქი უფრო დიდი ქალაქის ფაშვში. ის და მისი ძმები (მათზე სამი წლით უფროსი იყო) იქ გაიზარდნენ. პატარა თიხით შელესილ ქოხში ცხოვრობდა ძმებთან, დედასთან და მამასთან ერთად. მამას იყბალი ერქვა. მამამისის დედაც, ბებია ფარვანა, მათთან ცხოვრობდა. მან და მისმა ძმებმა ჯალოზაის ვიწრო ქუჩებში აიდგეს ფეხი, სკოლაშიც იქ დადიოდნენ, ბინძურ გასასვლელებში ჯოხებითა და ძველი ველოსიპედების ჟანგიანი თვლებით თამაშობდნენ, სხვა ლტოლვილ ბავშვებთან ერთად მზის ჩასვლამდე დარბოდნენ, მერე ბებია ეძახდა და სახლში მიდიოდნენ.

– მომწონდა იქ ცხოვრება, – თქვა ღოლამმა, – მეგობრები მყავდა, ხალხს ვიცნობდი, ყველაფერი კარგად იყო. ამერიკაში ბიძა მყავს, მამაჩემის ნახევარძმა, აბდულა ჰქვია. არასოდეს მინახავს, მაგრამ რამდენიმე თვეში ერთხელ ფულს გვიგზავნიდა. ძალიან, ძალიან დიდი დახმარება იყო.

– რატომ წამოხვედით?

– იძულებული ვიყავით. ბანაკი დახურეს. ავღანელები ავღანეთში უნდა ცხოვრობდნენო, გამოაცხადეს. ჰოდა, ბიძაჩემის დახმარებაც შეწყდა. მამაჩემმა გადაწყვიტა, რომ ჩამოვსულიყავით და ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. რაც მთავარია, თალიბებმა პაკისტანის საზღვრებისკენ გადაინაცვლეს, ჩვენ სტუმრები ვართ და პაკისტანის სტუმართმოყვარეობა ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთო. მართალი გითხრა, ძალიან განვიცადე. ეს ქვეყანა, – ღოლამმა ხელი გაიქნია, – უცხოა ჩემთვის. ჩვენი ბანაკის ბავშვებს, რომლებიც ყოფილან აქ, კარგ სიტყვას ვერ დააცდენინებ ავღანეთზე.

ადელს უნდოდა ეთქვა, რომ ღოლამის განცდები მისთვის ნაცნობი იყო. უნდოდა მოეყოლა, როგორ ენატრებოდა ქაბული, მეგობრები, ნახევარძმები, მაგრამ ხვდებოდა, რომ ღოლამს ეს ყველაფერი სიცილადაც არ ეყოფოდა. ბოლოს თქვა:

– ჰო, აქ მოწყენილობისგან შეიძლება გაგიჟდე. მაინც ვერ აცდა ღოლამის დაცინვას. – არ მგონია, რომ ისინიც იმავეს გულისხმობდნენ.

ადელი მიხვდა, რომ კუთხეში მოიმწყვდიეს და გაკიცხეს. ღოლამმა მაგრად მოქაჩა და რგოლები გამოუშვა. ისხდნენ და უცქერდნენ, ნელ-ნელა როგორ ერეოდა კვამლი ჰაერს.

– მოიცადეთ, მოიცადეთ, ჯერ შადბაღის ჰაერი ჩაისუნთქეთ, წყალი გასინჯეთ… – მამაჩემი აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, – ისეთი ცივი და გემრიელი წყალი არასოდეს გაგისინჯავთ, ბიჭებო, – შადბაღზე ხშირად გვიყვებოდა, რომელიც ალბათ ერთი პატარა სოფელი იყო, როცა ის აქ ცხოვრობდა, – ისეთი ყურძენი იცის, ძალიან რომ მოინდომო, სხვაგან მაინც ვერ გაახარებო, – სამოთხე გეგონებოდა, რომ მოგესმინა როგორ აღწერდა ყველაფერს.

– ახლა სად ცხოვრობთ? – ჰკითხა ადელმა.

ღოლამმა სიგარეტის ნამწვი გადააგდო, ცას ახედა, მზეს თვალი მოუწკურა და თქვა:

– ქარის წისქვილთან რომ მინდორია, იცი?

– ჰო.

ადელმა იფიქრა, ამ სიტყვებს რაღაცას მოაყოლებსო, მაგრამ არა, ღოლამი ჩუმად იყო. – მინდორში ცხოვრობთ?

– ახლა, ჰო, – ჩაიჩურჩულა ღოლამმა, – კარავი გვაქვს გაშლილი.

– აქ არავინ გყავთ?

– არა, ზოგი წავიდა და ზოგიც დაიხოცა. მამაჩემს ბიძა ჰყავს ქაბულში, ან ჰყავდა. არავინ იცის, ცოცხალია თუ არა. ბებიაჩემის ძმაა, ნაბი ჰქვია, მდიდარ ოჯახში მუშაობდა, მაგრამ ბებიაჩემს და მას ორმოცდაათი წელია ხმა არ გაუცია ერთმანეთისთვის. ჩათვალე, რომ უცხოები არიან, თუ ცოცხალია, რასაკვირველია. მეტი გზა თუ არ ექნა, წავა მამაჩემი, მაგრამ ჯერ თვითონ უნდა, რომ სცადოს. ეს მისი ქვეყანაა…

რამდენიმე წუთი ჩუმად ისხდნენ ძირკვზე. დროდადრო თბილი ქარი უბერავდა და ხეხილის ფოთლებს აშრიალებდა, – როგორ სძინავთ კარავში, იმ მორიელებით და გველებით სავსე მინდორში? – ფიქრობდა ადელი. არც კი იცოდა, რატომ მოუყვა ღოლამს მისი ოჯახის შადბაღში გადმოსვლის მიზეზების შესახებ. იქნებ იმიტომ, რომ ღოლამს ეფიქრა, არც ისე უდარდელი ცხოვრება აქვს ამ დიდი სახლის ბინადარსო, ან იქნებ ასაკობრივი პირველობის სურვილი მოერია, ან სულაც თანაგრძნობას ეძებდა; მათ შორის მანძილის შემცირება ხომ არ უნდოდა? არ იცოდა, ალბათ ყველაფერი ერთად. არც ის ესმოდა, რატომ უნდოდა ასე ძალიან, რომ ღოლამს მოსწონებოდა. ერთი რამ კი ნათელი იყო, მიზეზი უფრო რთული ჩანდა, ვიდრე მისი მარტოობა და მეგობრის შეძენის სურვილი.

– შადბაღში იმიტომ გადმოვედით, რომ ჩვენი დახოცვა სცადეს, – თქვა მან, – ერთხელ ჩვენს სახლს მოტოციკლი მოუახლოვდა, მოტოციკლისტმა იარაღი გადმოიღო და ტყვიები წვიმასავით წამოვიდა. ვერ დაიჭირეს, მაგრამ არავინ დაშავებულა, მადლობა ღმერთს.

რას მოელოდა მისგან? არ იცოდა, მაგრამ ძალიან გაუკვირდა, რომ ღოლამმა მისი ნათქვამი მშვიდად მიიღო. თვალებმოჭუტული იჯდა და მზეს შესცქეროდა:

– ჰო, ვიცი. – იცი?

– ხალხმა ისიც კი იცის, მამაშენი ცხვირს როდის იჩიჩქნის.

ღოლამმა სიგარეტის ცარიელი კოლოფი ბურთს დააჭყლიტა და ჯინსის წინა ჯიბეში ჩაიდო.

– მამაშენს მტრები ჰყავს, – ამოიოხრა ღოლამმა.

ადელმა ეს იცოდა. მამამ ერთხელ ყველაფერი აუხსნა. 1980-იან წლებში მის გვერდით ბევრი იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ზოგიერთი გზას ასცდა და კორუფციაში ჩაერთო. რადგან ბაბამ უარი თქვა მათ დანაშაულებრივ სქემებში მონაწილეობაზე, ყველანაირად ცდილობდნენ მისთვის ძირი გამოეთხარათ, ტალახი ესროლათ. მის შესახებ უამრავ პატივისშემლახველ ჭორებს ავრცელებდნენ. ბაბა-ჯან ფარივით ეფარებოდა ადელს. მათ სახლში გაზეთებს არ კითხულობდნენ. არც ის უნდოდა ბაბას, რომ ადელს ტელევიზორში ახალი ამბებისთვის ეყურებინა, ან თუნდაც ინტერნეტში მოეძებნა. ღოლამი ადელისკენ გადაიხარა და თქვა:

– ისიც გამიგონია, რომ მამაშენი კარგი ფერმერია.

ადელმა მხრები აიჩეჩა.

– შენ თვითონ ხედავ, აქ სულ რამდენიმე აკრი ხეხილის ბაღია. ჰო, კიდევ ჰელმანდში ბამბის პლანტაციები, მე როგორც ვიცი, ფაბრიკისთვის.

ღოლამმა ადელს თვალებში შეხედა, სახეზე ნელ-ნელა მოედო ღიმილი და ჩაფშვნილი ღოჯი გამოუჩნდა.

– ბამბის პლანტაციები, არა? ნამდვილი შედევრი ხარ. არც კი ვიცი, რა გითხრა. ადელმა მაინდამანც კარგად ვერ გაიგო, რა უთხრა ღოლამმა. ბურთი ააგდო და თქვა: – რევანშზე არ წამოხვალ?

– რატომაც არა. ნაძლევს ვდებ, რომ ერთ გოლსაც ვერ გაიტან.

ახლა ადელმა გაიცინა.

– აბა, რაზე ვთამაშობთ?

– ზიდანზე, რა თქმა უნდა.

– და მე თუ მოვიგებ? არა, „თუ“ კი არა, მე რომ მოვიგებ?

– შენს ადგილზე, – თქვა ღოლამმა, – მაგ შესაძლებლობაზე არც ვიფიქრებდი. ბრწყინვალე ორთაბრძოლა გაიმართა. ღოლამი ხან მარცხნივ გადაქანდებოდა, ხან

მარჯვნივ, ყველა დარტყმა მოიგერია. ზიდანის მაისურს რომ იხდიდა, ადელი გაბითურებულად გრძნობდა თავს. ისე როგორ მოატყუებინა თავი, ყველაზე ძვირფასი ნივთის დათმობამ რომ

მოუწია? გაიხადა და გადასცა. ცრემლი მოაწვა, ძლივს შეიკავა თავი.

ღოლამი საკმაოდ ტაქტიანი აღმოჩნდა და იქვე, ადელის თანდასწრებით, არ გადაიცვა მაისური. რომ მიდიოდა, გაიცინა და ადელს გასძახა:

– მამაშენი მართლა სამი თვით არ წასულა, არა? – ხვალ გადაგიხდი და გამოვისყიდი მაისურს, – თქვა ადელმა. – ვიფიქრებ მაგაზე.

ღოლამი მთავარი გზისკენ წავიდა. ცოტა ხნით შეჩერდა, ჯიბიდან დაჭმუჭნილი სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ადელის სახლის კედლისკენ ისროლა.

ყოველ დილას, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში, დილის გაკვეთილების შემდეგ ადელი ბურთს იღებდა და სახლიდან გადიოდა. ორჯერ მოახერხა და შეიარაღებულ დაცვას გაუძვრა ხელიდან. მერე ერთ-ერთმა გამოიჭირა და სახლში დააბრუნა. ცოტა ხანში ისევ გამოვიდა სახლიდან. ხელში იპოდ და მაჯის საათი ეჭირა. მერე საქმე აეწყო. მცველი ფარულად აპარებდა ხოლმე იმ პირობით, რომ არ გაბედავდა და ერთი ნაბიჯითაც კი არ გასცდებოდა ხეხილის ბაღის შესასვლელს. რაც შეეხება, დედასა და ქაბირს, ისინი ვერც ამჩნევდნენ ადელის ხანმოკლე გაუჩინარებას. ესეც დიდ სახლში ცხოვრების ერთ-ერთი უპირატესობა!

ადელი სახლის უკან, ბებერი ხის ძირკვთან ახლოს თამაშობდა ხოლმე მარტო და იმედი ჰქონდა, რომ ერთხელაც მისკენ სეირნობით მომავალ ღოლამს დაინახავდა. ხან ბურთს კენწლავდა, ხან იჯდა და უყურებდა, როგორ სერავდა ცას რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავი, ხან უბრალოდ კენჭებს ისროდა, მაგრამ თვალი მაინც მოხრეშილი გზისკენ ეჭირა. ცოტა ხანში ბურთს აიღებდა და სახლში ბრუნდებოდა.

ერთ დღესაც ღოლამი გამოჩნდა. ხელში ქაღალდის პარკი ეჭირა.

– სად დაიკარგე? – ვმუშაობდი, – თქვა ღოლამმა.

ის და მამამისი აგურების დასამზადებლად დაუქირავებიათ რამდენიმე დღით. ღოლამს დუღაბის მოზელვა ევალებოდა. წყლითსავსე სათლებს, ცემენტისა და სამშენებლო ქვიშის ტომრებს წინ და უკან ვათრევდი, ოთხთვალაზე დუღაბს ვურევდი თოხით, წყალს და ქვიშას ვამატებდი, ისევ ვურევდი და ასე იქამდე, სანამ ერთგვაროვან, შეკრულ მასას მივიღებდი, მერე ოთხთვალას აგურის დამწყობებთან მივაგორებდი და ახალი მასის მოზელას ვიწყებდიო. ხელები გაშალა და ადელს წყლულები აჩვენა.

– ვაჰ, – სულელურად წამოიძახა ადელმა, მეტი ვერაფერი მოიფიქრა. ერთხელ ქაბულში, სახლის უკანა ეზოში, მებაღე ვაშლის ნერგებს რგავდა და ადელი რამდენიმე ნერგის დარგვაში დაეხმარა. სულ ეს იყო, რაც ოდესმე თავისი ხელით გაუკეთებია.

– შენთვის სიურპრიზი მაქვს, – თქვა ღოლამმა, პარკიდან ზიდანის მაისური ამოიღო და ადელს ესროლა.

– ვერაფერი გავიგე, – თქვა ადელმა. გაოცებასა და აღტაცებას ვერ მალავდა.

– ამასწინათ ქალაქში ერთი ბიძი ვნახე, ეს მაისური ეცვა, – დაიწყო ღოლამმა, თან ხელით ადელს ანიშნებდა ბურთი მომეციო. ადელმა ბურთი ესროლა, ღოლამმა მკერდით აკენწვლა დაიწყო და მოყოლა გააგრძელა.

– აზრზე ხარ? მივედი და ვეუბნები, ეი, ბიჭო, ჩემი ძმაკაცის მაისური გაცვია-მეთქი. გიჟივით შემხედა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, გვერდზე გავიყვანე. ბოლოს მეხვეწებოდა, წაიღე ეს მაისური და წადიო. – აგდებული

ბურთი დაიჭირა, გადააწიტა და გაიცინა, – ჰო, მართალია, ერთი-ორი დღით ადრე მაისური ჩემგან იყიდა.

– რა გამოდის? თუ მიჰყიდე, ესე იგი მისი იყო.

– რა? აღარ გინდა? რა არ ვქენი, შენთვის რომ დამებრუნებინა. ხომ არ გგონია, რომ იმას ხელი არ გაუნძრევია? ერთი-ორი მეც მაგრად მომხვდა.

– მაინც… – ჩაიბურტყუნა ადელმა.

– გარდა ამისა, მოგატყუე და თავს ცუდად ვგრძნობდი. ჰოდა, გიბრუნებ, ძმაო. ეს კი… – ფეხებზე დაიხედა. ახალი თეთრით გაწყობილი, ლურჯი სპორტული ფეხსაცმელი ეცვა.

– ის ბიჭი როგორ არის ახლა? – ჰკითხა ადელმა.

– ნუ გეშინია, არ მოკვდება, ახლა რა ვქნათ, დებატები მოვაწყოთ თუ ვითამაშოთ? – მამაშენიც აქ არის?

– არა, დღეს არა. ქაბულშია, სასამართლოში. მოდი, დავიწყოთ.

ცოტა ხანი თამაშობდნენ. მერე გაისეირნეს. ადელმა მცველისთვის მიცემული სიტყვა გატეხა და ღოლამთან ერთად ხეხილის ბაღში შევიდა. მწიფე მუშმულას სამზარეულოდან წამოღებული ფანტა დააყოლეს. მალე მათი შეხვედრები ყოვედღიურობად იქცა. ხან ბურთით თამაშობდნენ, ხან ხეების რიგებს შორის დასდევდნენ ერთმანეთს, ხან სპორტსა და ფილმებზე საუბრობდნენ. როცა არაფერი ჰქონდათ სათქმელი, ჩუმად ისხდნენ და ახალ შადბაღს გადაჰყურებდნენ. შორს გორები და ნისლში ჩაძირული მთები მოჩანდა. და ეს ყველაფერი კარგი იყო.

თვალებს გაახელდა თუ არა, ღოლამზე ფიქრს იწყებდა. ერთი სული ჰქონდა, რომ ბილიკზე მომავალი დაენახა და მისი ბოხი, დამაჯერებელი ხმა გაეგო. დილის გაკვეთილებზე დაბნეული იჯდა, ღოლამთან თამაშის მეტი აღარაფერი აინტერესებდა. ძალიან წუხდა და ეშინოდა, რომ ერთ დღესაც ღოლამს დაკარგავდა. ვაითუ, იყბალმა საცხოვრებელი ადგილი ვერ გამოძებნა, ვაითუ, ქალაქში სტაბილური სამსახურიც ვერ იშოვა, მერე ხომ წავლენ აქედან, სხვა ქალაქში

დაიწყებენ ბედის ძიებას. ადელი უშვებდა, რომ ასეც შეიძლებოდა მომხდარიყო და თავის გამაგრებას ცდილობდა.

ერთხელ, ძირკვზე რომ ჩამოსხდნენ, ღოლამმა ჰკითხა: – ადელ, ქალთან ნამყოფი ხარ?

– ნამყოფი? იმას გულისხმობ…

– ჰო, ჰო, იმას ვგულისხმობ.

უცებ სიცხისგან ყურები აეწვა. რომ მოიტყუოს? მაგრამ არა, ღოლამი ერთი შეხედვით ხვდება ყველაფერს.

– შენ? – ბოლოს ჩაიჩურჩულა.

ღოლამმა სიგარეტს მოუკიდა და ადელს შესთავაზა. ადელმა მიმოიხედა. მცველი ხომ არ უთვალთვალებს, ან იქნებ ქაბირს მოეპრიანა გარეთ გამოსვლა. როგორც კი მოქაჩა, ხველა აუტყდა. ღოლამს გაეცინა და ზურგზე ხელი დაარტყა.

– ჰო თუ არა? – ხველებისგან ცრემლმომდგარი თვალებით შეხედა ადელმა.

– ბანაკში ერთი მეგობარი მყავდა, – იდუმალი ხმით თქვა ღოლამმა, – ჩემზე უფროსი იყო. ერთხელ, ფეშავარში, საროსკიპოში წამიყვანა.

მთელი ამბავი მოჰყვა. პატარა, ბინძური ოთახი იყო, ნარინჯისფერი ფარდებით და დაბზარული კედლებით. ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა. ვირთხები თავის ნებაზე დარბოდნენ. გარედან რიქშების რახრახის და მანქანების გუგუნის ხმა ისმოდა. ლეიბზე ახალგაზრდა გოგონა იწვა. თეფშით ბირიანი(ბირიანი – კერძი, რომელიც, ძირითადად, ბრინჯით, სანელებლებითა და ბოსტნეულით მზადდება. ბირიანის ხორცითაც ამზადებენ.) ედგა წინ. უკვე ამთავრებდა ჭამას. ღეჭავდა და უაზრო თვალებით უყურებდა. მკრთალ შუეზეც კი ჩანდა, რომ გოგონას ლამაზი სახე ჰქონდა, დაახლოებით ღოლამის ასაკისა იყო. ბრინჯის დარჩენილ მარცვლებს ნაანის გადაკეცილი ნაჭრით მოუყარა თავი და ბოლო ლუკმა პირში ჩაიდო. მერე თეფში გასწია, დასვრილი თითები შარვლის ტოტზე გაისვა და ჩაიხადა.

ადელი მოჯადოებული უსმენდა. ასეთი მეგობარი არასოდეს ჰყოლია. ღოლამმა ცხოვრების შესახებ უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ადელის ძმებმა, რომლებიც მასზე რამდენიმე წლით უფროსები იყვნენ. და ადელის ქაბულელი მეგობრები? ყველა ტექნოკრატების, ოფიციალური პირების, მინისტრების შვილები იყვნენ. მათი ცხოვრება ადელის ცხოვრების ვარიაცია იყო, მეტი არაფერი. თვალის ერთი გადავლებით, ღოლამის ყოფა დაბრკოლებებით, გაჭირვებით, მოულოდნელობით, მაგრამ, ამასთანავე, თავგადასავლებით სავსე ჩანდა. ის ადელისთვის უცნობ, მისგან მოწყვეტილ სამყაროში ცხოვრობდა, თუმცა, ამ სამყაროში შესასვლელი კარი იქვე, ერთ გადაფურთხებაზე იყო. ღოლამის ისტორიებს რომ უსმენდა, საკუთარი ცხოვრება კიდევ უფრო უფერული ეჩვენებოდა.

– მერე რა ქენი? – ჰკითხა ადელმა, – ბოლოს და ბოლოს, შეუდე?

– არა, რუმიზე ვსაუბრობდით და ჩაის ვწრუპავდით. შენ როგორ ფიქრობ, რას ვიზამდი? ადელი წამოწითლდა.

– როგორი იყო?

მაგრამ ღოლამი სხვა თემაზე გადავიდა. მათი საუბრის თავისებურება ასეთი იყო, სალაპარაკო თემას ყოველთვის ღოლამი ირჩევდა. ისეთი ეშხით იწყებდა თხრობას, რომ

ადელი დატყვევებული უსმენდა. მერე უცებ ინტერესს კარგავდა და სხვა ამბავზე გადადიოდა. ახლაც, იმის მაგივრად რომ დაწყებული ამბავი ბოლომდე მიეყვანა, თქვა:

– ბებიაჩემი ამბობს, რომ საბურმა, ანუ პაპაჩემმა, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ხეს მოჭრიდა, ასეთი ამბავი მოუყვა. თურმე, ამ ხის წინ უნდა დაგეჩოქა, შენი ოცნება ჩურჩულით გაგემხილა და თუ ხე შენი ოცნების ასრულებას მოისურვებდა, მაშინ ზუსტად ათ ფოთოლს გადმოგაყრიდა თავზე.

– არასოდეს მსმენია, – თქვა ადელმა.

– ჰო, ვინ გეტყოდა?

ადელი მხოლოდ ახლა მიხვდა, რა თქვა ღოლამმა. – მოიცა, ჩვენი ხე პაპაშენმა მოჭრა?

ღოლამმა თვალებში შეხედა.

– თქვენი ხე? ეს ხე თქვენი არაა.

– რას ამბობ?

ღოლამმა კიდევ უფრო ღრმად ჩახედა თვალებში. ამ წუთში პირველად შენიშნა ადელმა, რომ მისი მეგობრის სახიდან ჩვეული უდარდელობა, ხალისი და დამახასიათებელი ღიმილი გაქრა. სრულიად გადასხვაფერდა; შემაშფოთებლად სერიოზული, ზრდასრული კაცის გამომეტყველება ჰქონდა.

– ეს ხე და მიწაც, ორივე, ჩემი ოჯახის საკუთრება იყო. თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მამაშენმა სახლი ჩვენს მიწაზე მაშინ ააშენა, როცა ომის გამო პაკისტანში გაქცევა მოგვიხდა, – ხელი ბაღისკენ გაიშვირა, – აქ ხალხი ცხოვრობდა, სახლები ჰქონდათ. მამაშენმა ბულდოზერით გადაუარა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა. ჩვენი სახლიც აქ იდგა. სახლი, სადაც მამაჩემი დაიბადა და გაიზარდა.

ადელმა თვალები დაახამხამა.

– ჩვენი მიწა თავისად გამოაცხადა და ეს წამოჭიმა, – მწარედ ჩაიცინა და ცერა თითი სახლისკენ გაიშვირა.

ადელს გული გამალებით უცემდა. – მე მეგონა მეგობრები ვიყავით. რატომ ცრუობ ასე სასტიკად?

– გახსოვს, მოტყუებით ზიდანის მაისური რომ წაგართვი? – ლოყები შეეფაკლა ღოლამს, – კინაღამ იტირე. არ მითხრა, არაო, დაგინახე. და ეს რაღაც მაისურის გამო. წარმოიდგინე, რა გადაიტანა ჩემმა ოჯახმა, როცა პაკისტანიდან მთელი დღის მგზავრობის შემდეგ ავტობუსიდან გადმოსულებმა, თავის მიწაზე ეს რაღაც დაინახეს. მერე ის იისფერ კოსტიუმში გამოწყობილი გონებაჩლუნგი, საკუთარი მიწიდან რომ გაგვყარა.

– მამაჩემი ქურდი არ არის! – შეუტია ადელმა, – ნებისმიერს ჰკითხე ახალ შადბაღში, ჰკითხე რა გააკეთა თავისი ქალაქისთვის!

ის დღე გაახსენდა, როცა ბაბა ქალაქის მეჩეთის იატაკზე ფეხმორთხმით იჯდა და ხალხს იღებდა. წინ ჩაის ჭიქა ედგა, ხელში კრიალოსანი ეჭირა. რიგი მისი ბალიშიდან მთავარ შესასვლელამდე იყო გაჭიმული – ტალახში

ამოგანგლული კაცები, უკბილო დედაბრები, ახალგაზრდა ქვრივები ბავშვებთან ერთად. ყოველ მათგანს თავისი გასაჭირი ჰქონდა. მოთმინებით იცდიდნენ, რომ ბაბასთვის დახმარება ეთხოვათ. ზოგს სამსახური სჭირდებოდა, ზოგი სახლის გადასახურად, სარწყავი არხის გასაყვანად ან ბავშვის საკვების შესაძენად მცირე სესხს ითხოვდა. ბაბა გულდასმით უსმენდა ყველას, თავს უქნევდა, თითქოს ყოველი მათგანი ისეთივე ძვირფასი იყო მისთვის, როგორც საკუთარი ოჯახი.

– მართლა? აბა, მამაჩემს საიდან აქვს მეპატრონის საბუთი? – თქვა ღოლამმა, – სწორედ დღეს წაიღო სასამართლოში.

– დარწმუნებული ვარ, მამაშენი ბაბას თუ დაელაპარაკება…

– მამაშენი არ დაელაპარაკება მამაჩემს. ის არასოდეს აღიარებს იმას, რაც ჩაიდინა. ვერ ხედავ, გვერდს გვივლის, გეგონება ძაღლების ხროვა ვიყოთ.

– არა, ძაღლების ხროვა არ ხართ, – თქვა ადელმა, – გამომძალველები ხართ, ქაბირი მართალი იყო, – ცდილობდა, რომ ხმა არ აკანკალებოდა, – უნდა მივხვედრილიყავი.

ღოლამი ფეხზე წამოდგა. ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა, მერე შეჩერდა.

– იცოდე, რომ შენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უცოდველი პატარა ბიჭი ხარ, მაგრამ სხვა დროს, როცა მამაშენი ჰელმანდში წასვლას დააპირებს, სთხოვე, რომ წაგიყვანოს, ერთი გაჩვენოს, რისი პლანტაციები აქვს. მიგანიშნებ, რომ ბამბა ნამდვილად არაა.

იმ საღამოს, ვახშამამდე, ადელი თბილი ქაფიანიწყლის აბაზანას იღებდა. ქვედა სართულიდან ტელევიზორის ხმა ამოდიოდა. ქაბირი ძველ ფილმს უყურებდა. ადელს მთელი დღე ბოღმა ახრჩობდა. ახლა კი თითქოს გათავისუფლდა, თითქოს ბრაზი წყალმა წაიღო. იქნებ

მეტისმეტად უხეშად მოექცა ღოლამს? ერთხელ ბაბამ უთხრა, რაც არ უნდა გააკეთო, ღარიბები მდიდრებზე მაინც ცუდად ლაპარაკობენ, ეს ბუნებრივიცაა, რადგან საკუთარი ცხოვრებით იმედგაცრუებული არიან. ეს ასეა და ვერაფრით შეცვლი. უბრალოდ, არ უნდა დაადანაშაულო და ეცადო გაუგოო.

არც ისე გულუბრყვილო იყო ადელი. იცოდა, რომ ცხოვრება ბევრს ექცეოდა უსამართლოდ. საძინებლის ფანჯრიდან ერთი გადახედვა და ნათელი იყო ყველაფერი. ისიც ესმოდა, რომ ამის გაცნობიერება ვერაფერი შველა იყო ღოლამისნაირი ხალხისთვის. იქნებ რეალურ, ხორციელ დამნაშავეს ეძებენ, რომლისკენაც გაჭირვების დროს ხელს გაიშვერენ; როცა მოესურვებათ – ბოღმასაც გადმოანთხევენ, დაწყევლიან და შეაჩვენებენ. იქნებ ბაბა მართალი იყო, როცა ამბობდა, ამ ხალხს თანაგრძნობა სჭირდება და არა გასამართლება. ყველაზე უკეთესი გამოსავალი კი პასუხის სიკეთით გაცემაა. წყლის ზედაპირზე ქაფის პატარა ბუშტუკები სკდებოდა, ადელი ფიქრმა გაიტაცა. როგორ შეეძლო ბაბას სკოლები, საავადმყოფოები, სახლები ეშენებინა, მაშინ როცა ხალხი ასეთ ბოროტ ჭორებს ავრცელებდა მის შესახებ?! ტანს რომ იმშრალებდა, კარი დედამისმა შეაღო.

– ვახშმად არ ჩამოხვალ?

– არ მშია.

– მოდი, დაჯექი, თმას შეგიმშრალებ, – თქვა დედამ და საკიდიდან პირსახოცი ჩამოხსნა.

– მე თვითონ, – თქვა ადელმა.

დედა მის უკან იდგა, სარკეში ადელს აკვირდებოდა.

– ხომ კარგად ხარ, ადელ?

ადელმა მხრები აიჩეჩა. დედამ მხარზე დაადო ხელი. თითქოს ელოდა, რომ ადელი თავს გადმოხრიდა და ლოყას მიუშვერდა. მაგრამ არა, არც უფიქრია.

– დედა, მამას ფაბრიკა თუ გინახავს ოდესმე?

დედა წამით დაფიქრდა. შემდეგ კი თქვა:

– რასაკვირველია, შენც ხომ გინახავს?

– არა, სურათებს არ ვგულისხმობ. იქ თუ ყოფილხარ?

– როგორ? – სარკეში თავი გააქნია დედამ, – ხომ იცი, რომ ჰელმანდი უსაფრთხო ადგილი არაა. მამაშენი არასოდეს გარისკავს ჩვენს იქ წაყვანას.

ადელმა თავი დააქნია.

ტელევიზორიდან ქვემეხების გრუხუნის და მეკობრეების ღრიალის ხმა ისმოდა.

სამი დღის შემდეგ ღოლამი ისევ გამოჩნდა. ადელისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა და შეჩერდა.

– კარგია, რომ მოხვედი, – თქვა ადელმა, – შენთვის რაღაც მაქვს.

ძირკვიდან ქურთუკი აიღო. ბოლო შეხლა-შემოხლის შემდეგ ყოველდღე თან დაჰქონდა. შოკოლადისფერი ტყავის ქურთუკი იყო, შიგნიდან ცხვრის ბეწვი ჰქონდა გამოკრული, კაპიუშონი ელვით ეხსნებოდა. ღოლამს გაუწოდა.

– მხოლოდ რამდენჯერმე მეცვა, ცოტა დიდია ჩემთვის, შენ კარგად გექნება.

ღოლამი გაუნძრევლად იდგა.

– გუშინ ქაბულში წავედით ავტობუსით. სასამართლოში ვიყავით, – ისე თქვა, ემოცია არ გამოუმჟღავნებია, – თუ მიხვდები, მოსამართლემ რა გვითხრა? პატარა ხანძარი გაჩნდა და თქვენი მესაკუთრეობის საბუთი დაიწვაო. მორჩა, აღარ არის, განადგურდა.

ადელმა ნელ-ნელა დაუშვა ხელი.

– საბუთების გარეშე ვერაფერს ვეღარ გავაკეთებო, დაამატა. იცი, მაჯაზე რა ეკეთა? ახალი ოქროს საათი, მანამდე არასოდეს ჰკეთებია.

ადელმა თვალები დაახამხამა.

ღოლამმა მზერა ქურთუკზე გადაიტანა – განმკითხავი, დანასავით ბასრი, შეუბრალებელი მზერა, ისეთი, სირცხვილს რომ გაგრძნობინებს. ადელი თითქოს დაპატარავდა, მის ხელში ქურთუკი უცებ ქრთამად გადაიქცა.

ღოლამი შებრუნდა და გზისკენ სწრაფი, საქმიანი ნაბიჯით წავიდა.

იმავე საღამოს ბაბა დაბრუნდა და დიდი წვეულება გამართა. ადელი მამამისის გვერდით, იატაკზე გაშლილი სუფრის თავში იჯდა. მამა ზოგჯერ ასე, იატაკზე ჯდომას და ხელით ჭამას ირჩევდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუმრად ჯიჰადის დროინდელ თანამებრძოლებს ელოდა. იმ დღეებს მახსენებს, გამოქვაბულებში რომ ვცხოვრობდითო, ხუმრობდა ხოლმე. ქალები სასადილო ოთახში მაგიდასთან ისხდნენ, კოვზებითა და დანა-ჩანგლით მიირთმევდნენ. სუფრის თავში დედა იჯდა. მარმარილოს კედლებს მათი ჭორაობის ექო ადელის ყურამდე მიჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი, თეძოგანიერი, წითელთმიანი ქალი ბაბას მეგობარზე იყო დანიშნული. ცოტა ხნის წინ დედას ციფრული კამერით დუბაიში, საქორწინო მაღაზიაში გადაღებული სურათები აჩვენა.

სადილის შემდეგ, ჩაის სმის დროს, ბაბამ ომის ამბები გაიხსენა. ერთხელ მათ დანაყოფს საბჭოთა ავტოკოლონა შეუტყუებია და ალყაში მოუქცევია. ყველა ყურადღებით უსმენდა.

– როცა სასროლ ზონაში შემოვიდნენ, – ჰყვებოდა ბაბა-ჯან და თან ადელს თმაზე უსვამდა

ხელს, – ცეცხლი გავუხსენით. მეთაური მანქანა ავაფეთქეთ, მერე კიდევ რამდენიმე ჯიპი. ვიფიქრე, უკან დაიხევენ-მეთქი, მაგრამ ის ბოზის შვილები გაჩერდნენ, მანქანებიდან გადმოვიდნენ და წაგვაყარეს. წარმოგიდგენიათ?

სტუმრებმა თავების ქნევა ატეხეს. ადელმა იცოდა, რომ ამ კაცების უმეტესობა მოჯაჰედი იყო.

– რაოდენობით ჩვენ მეტნი ვიყავით, ალბათ სამი-ერთზე, მაგრამ მძიმე შეიარაღება ჰქონდათ. ცოტა ხანში ისინი გადმოვიდნენ შეტევაზე. პოზიციები დავთმეთ, ყველა გაიფანტა, მე და ის ტიპი, მოჰამადი, თუ რაც ერქვა, ერთად გავიქეცით. ვენახში მივრბივართ, ოღონდ ისეთში კი არა, ვაზი სარზე ახვეული როა, არა, პირდაპირ მიწაზე იყო გაწოლილი. ტყვიები წვიმასავით ცვივა და თავქუდმოგლეჯილები გადასარჩენად გავრბივართ. უცებ რაღაცას გამოვედეთ და ორივე დავეცით. წამოვხტი და ისევ გავიქეცი, მაგრამ ის, მოჰამადი, თუ რაც ერქვა, არ ჩანდა. მოვტრიალდი და დავუყვირე: ადექი, შე ვირიშვილო!

ბაბა შეჩერდა, ალბათ მეტი ეფექტისთვის, პირზე სიცილის შესაკავებლად ხელი აიფარა.

– მერე უცებ წამოხტა და გაიქცა. თვალებს არ ვუჯერებდი, იმ ნაბიჭვარს ბლომად ყურძნის მტევნები დაეთრია, ორივე მკლავზე გადაეკიდა და ისე გარბოდა.

სიცილი ატყდა. ადელსაც გაეცინა. ბაბამ ადელი თავისკენ მიიზიდა და ზურგზე მოეფერა. ვიღაცამ თავისი თავგადასავლის მოყოლა დაიწყო. ბაბა სიგარეტს დასწვდა, მაგრამ მოკიდება ვეღარ მოასწრო, რადგან სახლში ფანჯრის მტვრევის ხმა გაისმა.

სასადილო ოთახში ქალები აკივლდნენ. რკინის საგანმა მარმარილოს იატაკზე გაიწკრიალა, ალბათ ჩანგალი ან დანა იყო. კაცები ფეხზე წამოიჭრნენ. ქაბირი და აზმარეი ოთახში იარაღშემართული შემოვარდნენ.

– ხმა შემოსასვლელიდან მოდიოდა, – თქვა ქაბირმა, – როგორც კი სიტყვა დაასრულა, შუშის მსხვრევის ხმა ისევ გაისმა.

– აქ მოიცადეთ, მეთაურო საჰიბ, ჩვენ გავალთ და ვნახავთ, – თქვა აზმარეიმ.

– დაწყევლოს ღმერთმა, – საკუთარ ჭერქვეშ დამალვას არ ვაპირებ, – თქვა ბაბამ და შემოსასვლელისკენ წავიდა. უკან ადელი, აზმარაი, ქაბირი და ყველა მამრობითი სქესის სტუმარი გაჰყვა.

ქაბირი ბუხართან დაიხარა და არმატურის ნაჭერი აიღო, ზამთარში ცეცხლის საჩხრეკად იყენებდნენ ხოლმე. დედამ ადელთან მიირბინა. სახეზე ფერი არ ედო, ძალიან დაძაბული იყო. ამ დროს კიდევ ერთი ფანჯრის შუშა ზრიალით ჩამოიფშვნა. წითელთმიანმა ქალმა, იმან, საპატარძლო რომ იყო, კივილი მორთო. გარეთ ვიღაც ყვიროდა.

– როგორ მოახერხეს საგუშაგოს გამოვლა? – ადელის უკან იკითხა ვიღაცამ.

– არა, მეთაურო საჰიბ, არა! – დაიყეფა ქაბირმა. ბაბამ ყურადღება არ მიაქცია და კარი

გააღო.

უკვე ბინდდებოდა, მაგრამ ზაფხული იყო და ცას ჯერ კიდევ შერჩენოდა მკრთალი ყვითელი ნათება. შორს ახალი შადბაღი ციმციმებდა. ჰორიზონტის გასწვრივ ჩამწკრივებული გორები ჩამუქდნენ. მალე ღამე შთანთქავდა ყველაფერს. თუმცა ჯერ არ ბნელოდა, უფრო სწორად, ისე არ ბნელოდა, რომ ადელს კიბის ბოლოს მოხუცი ვერ დაენახა. მოხუცს ორივე ხელში ქვა ეჭირა.

– ზევით აიყვანე, – გადაულაპარაკა ბაბამ ცოლს, – ახლავე აიყვანე!

დედამ ადელს მხრებზე ხელი მოჰხვია და კიბისკენ წაიყვანა, შემდეგ დერეფანი გადაკვეთეს და მთავარ საძინებელში შევიდნენ. დედამ კარი ჩაკეტა, ფარდები ჩამოაფარა, ტელევიზორი ჩართო. ადელი საწოლთან მიიყვანა და ერთად ჩამოსხდნენ. ეკრანზე ორი არაბი უზარმაზარი მანქანების შეკეთებით იყო დაკავებული. ორივეს კურტა(კურტა – გრძელკალთიანი ზედა ტანსაცმელი, რომელიც გავრცელებულია ინდოეთში, პაკისტანში, ავღანეთსა და აზიის სხვა რამდენიმე ქვეყანაში.) ეცვა და ნაქსოვი ქუდი ეხურა.

– რას უზამს მოხუცს? – ადელს მთელი სხეული უცახცახებდა, – დედა, რას უზამენ მოხუცს?

დედას სახეზე უცნაურმა ჩრდილმა გადაურბინა და უეცრად ადელი მიხვდა, რაც უნდა ეთქვა დედას ახლა, სიმართლე არ იქნებოდა.

– დაელაპარაკება, – აკანკალებული ხმით თქვა დედამ, – მიზეზს გაარკვევს, ასე იქცევა ხოლმე ყოველთვის, ჯერ მიზეზს გაარკვევს და შემდეგ მოელაპარაკება.

ადელმა თავი გააქნია. ახლა გულამოსკვნილი ტიროდა. – რას უზამს მოხუცს, დედა? რას უზამს მოხუცს? დედა გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდება, არავინ დაზიანდება.

მაგრამ რაც მეტს ლაპარაკობდა დედა, მით მეტად ქვითინებდა ადელი. ბოლოს დაქანცულს დედის კალთაში ჩაეძინა.

„ყოფილი სამხედრო მეთაური სიკვდილს გადაურჩა“.

ადელმა ეს სტატია მამამისის ოთახში, მის კომპიუტერში წაიკითხა. სტატია თავდასხმას ასე აღწერს: ულმობელი თავდასხმა, რომელიც „თალიბებთან კავშირში ეჭვმიტანილი ყოფილი ლტოლვილის მიერ იქნა ორგანიზებული“. იმავე სტატიაში ადელის მამის ციტატაა მოყვანილი, სადაც ის ამბობს, რომ შიში იპყრობს საკუთარი ოჯახის დაუცველობისა და „განსაკუთრებით კი ჩემი პატარა უცოდველი ვაჟიშვილის გამო“. სტატიაში არაფერია ნათქვამი დამნაშავის ვინაობისა და მისი სასჯელის ზომის შესახებ.

ადელმა კომპიუტერი დახურა. იცოდა, ეკრძალებოდა მისი გამოყენება, მაგრამ საზღვარი გადაკვეთა და მაინც შევიდა მამამისის ოთახში. ერთი თვის წინ აზრადაც არ მოუვიდოდა ამის გაკეთება. თავის ოთახამდე ფეხები ძლივს მიათრია. საწოლზე გადაწვა, ჩოგბურთის ბურთი აიღო და კედელს მიახეთქა: ბრახ! ბრახ! ბრახ! ცოტა ხანში დედამისმა შემოჰყო თავი, გაჩერდიო, სთხოვა, მაგრამ ადელი ისევ აგრძელებდა: ბრახ! ბრახ! ბრახ! დედა ერთი წუთით ღია კარში იდგა, მერე იქაურობას გაეცალა.

ერთი შეხედვით არაფერი შეცვლილა. ადელის ყოველდღიური ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. იმავე დროს იღვიძებდა, იბანდა, მშობლებთან ერთად საუზმობდა, მერე მასწავლებელი გაკვეთილებს უტარებდა; სამხარის შემდეგ ქაბირთან ერთად ფილმებს უყურებდა ან ვიდეო თამაშებით ერთობოდა.

და მაინც, ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო. ღოლამმა კარი მხოლოდ შეუღო, ბაბამ კი ხელის კვრით შეაგდო ღია კარში. ადელის გონებაში მიძინებული მექანიზმის ყველა კბილანა მოძრაობაში მოვიდა. თითქოს ერთ ღამეში სამყაროს აღქმის ახალი გრძნობა შეიძინა. ახლა იმასაც ხედავდა, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ცხვირწინ უტრიალებდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა. მაგალითად, აშკარა იყო, დედამისი რაღაცას მალავდა. ერთი შეხედვა და მაშინვე მიხვდებოდით, გულმოდგინედ ცდილობდა, შეეფუთა, ჩაეკეტა, ბოქლომი დაედო და გამლიერებული დაცვის ქვეშ შეენახა საიდუმლო. დაახლოებით ისე, როგორც ადელი და თვითონ ცხოვრობდნენ ამ

სახლში. პირველად ახლა დაინახა ადელმა მამამისის სახლი ისე, როგორც სხვები ხედავდნენ: შემზარავად მახინჯი, შეურაცხმყოფელი, უსამართლობისთვის დადგმული ძეგლი. მიხვდა, რომ ადამიანებს, რომლებიც მამამისს პატივს სცემდნენ, მისი გულის მოგებას, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ, მხოლოდ შიში ამოძრავებდათ. მიხვდა და იფიქრა, ღოლამმა რომ იცოდეს, რასაც განვიცდი, ჩემით ნამდვილად იამაყებდაო. მისი ცხოვრების გარშემო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ძალები ტრიალებდა, ვიდრე წარმოედგინა.

პირველად გააცნობიერა, რომ ერთ კაცში უამრავ ერთმანეთის გამომრიცხავ სიმართლეს შეეძლო თანაცხოვრება, და არა მხოლოდ მამამისში, დედამისსა ან ქაბირში, არამედ მასშიც.

ეს უკანასკნელი აღმოჩენა ყველაზე მეტად აოცებდა ადელს. იცოდა, რასაც სჩადიოდა მამამისი, ჯერ ჯიჰადის სახელით, შემდეგ „თავგანწირვისთვის დამსახურებული ჯილდოს“ გამო, იცოდა და შეძრული იყო. ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც. იმ საღამოს შემდეგ, როდესაც ფანჯარაში ქვა შემოვარდა, ოთახში მამამისის შემოსვლისთანავე მუცლის გვრემა ეწყებოდა. საკმარისი იყო, გაეგონა, როგორ უყეფდა ვიღაცას მობილურში, ან თუნდაც, როგორ ღიღინებდა აბაზანაში, რომ ლამის კრუნჩხვა დამართოდა; სიმშრალისგან ყელი საშინლად სტკივდებოდა. ძილის წინ მამა კოცნიდა, ადელი კი ინსტინქტურად უკან იხევდა. ღამე კოშმარები ტანჯავდა. ესიზმრებოდა, თითქოს ბაღის პირას იდგა და უცქეროდა, როგორ აწყდებოდა ხეებს ლითონის მათრახი, ზევით-ქვევით მოძრაობდა, წამიერად გაიელვებდა და ისევ უჩინარდებოდა, ადამიანის ძვლების მტვრევისა და ხორცის დაგლეჯის ხმა ესმოდა. გულში გაჩხერილი გმინვით ეღვიძებოდა, ცრემლები წვიმასავით ცვიოდა თვალებიდან.

და მაინც.

და მაინც.

რაღაც სხვაც ხდებოდა. ის, რაც გაიგო და გააცნობიერა, არსად დაკარგულა, არ გაფერმკრთალებულა მის გონებაში, მაგრამ ნელ-ნელა თანამოაზრის ძიება დაიწყო. სხვა საპირისპირო დინება გამოჩნდა მის ცნობიერებაში, რომელიც პირველს არ დევნიდა, უბრალოდ, მის გვერდით იკავებდა ადგილს. ადელი გრძნობდა, რომ მისი მეორე, სირთულეებით სავსე „მე“ იღვიძებდა. იცოდა, რომ ის ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მიიღებდა სიახლეს, რომელიც ახლა შიშველ ტანზე გადაცმული შალის სვიტერივით იკბინებოდა. წინასწარ ხედავდა ადელი, რომ ერთ დღესაც დედამისივით დათანხმდებოდა მოვლენათა მსვლელობას. ცოტა ხნის წინ ადელი დედაზე გაბრაზებული იყო. ახლა უფრო ადვილად შეეძლო პატიება. რა ექნა? იქნებ მასაც ეშინოდა მამამისის? ან იქნებ ფუფუნებაში ცხოვრება ხარკს ითხოვდა? შეიძლება, მაგრამ მაინც ეგონა ადელს, რომ დედამისმაც იმ მიზეზით მიიღო ცხოვრება, ისეთი როგორიც იყო, რა მიზეზითაც თვითონ მიიღებდა მალე. რა არჩევანი ჰქონდათ? საკუთარ ცხოვრებას ვერ გაექცეოდა, ისევე როგორც ღოლამი ვერ გაექცა თავისას. ადამიანები ყველაზე უფრო დაუჯერებელ რაღაცებთან თანაცხოვრებას

სწავლობენ. თვითონაც ასე იცხოვრებს. ეს მისი ცხოვრებაა. ასეთია მისი მამა, დედა და ასეთია თვითონ.

იცოდა ადელმა, რომ მამა აღარასოდეს ეყვარებოდა ისე, როგორც უყვარდა, ველარასოდეს იგრძნობდა ბედნიერებას ძილის წინ მის ძლიერ მკლავებში მოქცეული. ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო ახლა. მაგრამ ისწავლის, როგორ შეიყვაროს ახლიდან. რთული იქნება, თუმცა შეძლებს. ადელი გრძნობდა, რომ ბავშვობა ხტუნვა-ხტუნვით ეცლებოდა ხელიდან. მალე ზრდასრული კაცი იქნება. მერე მორჩა, უკან ველარავინ ბრუნდება. კაცობა იმას ჰგავს, რაც მამამისმა ერთხელ ომის გმირის შესახებ თქვა: ერთხელ თუ გახდი, მთელი ცხოვრება გმირი ხარ და გმირად კვდებიო.

ღამღამობით დასაძინებლად ჩაწოლილი ადელი ხშირად ფიქრობდა ხოლმე, რომ ერთ დღეს, იქნებ მომდევნო დღესაც, ან იქნებ ერთ კვირაში სახლიდან გავიდოდა და ქარის წისქვილისკენ გაუდგებოდა გზას. იმ მინდორში, სადაც კარავში ღოლამის ოჯახი ცხოვრობდა, აღარავინ დახვდებოდა. გზის პირას დადგებოდა და წარმოიდგენდა: ღოლამი, მისი დედა, ბებია, ძმები თოკით შეკრული ნივთების ფუთებს ეზიდებიან და სოფლის მტვრიან გზას მიჰყვებიან. ალბათ სადმე გასაჩერებელსაც იპოვიან. ოჯახის უფროსი ახლა ღოლამია. დღესა და ღამეს მუშაობაში ასწორებს, ახალგაზრდობას არხების თხრაში, აგურების დამზადებასა და მოსავლის აღებაში ატარებს. მერე თანდათან სახეგამომხმარ, წელში მოხრილ კაცად იქცევა, ისეთად, ადელს მიწისმხვნელი რომ წარმოუდგენია.

ცოტა ხნით მინდორში დარჩება. ახალ შადბაღზე ჩამოწოლილ გორაკებსა და მთებს გახედავს. მერე ჯიბიდან ძველ, შუაზე გადატეხილი სათვალის მარცხენა ნაწილს ამოიღებს. სათვალის შუშის ნახეთქები ობობას ქსელივითაა დაქსაქსული, ჩარჩოზე სისხლი აქვს შემხმარი. ეს სათვალე ადრე ბაღში სეირნობის დროს იპოვა. დამტვრეულ სათვალეს იქვე თხრილში ჩააგდებს და სახლისკენ გაბრუნდება. ზუსტად იცის, რასაც იგრძნობს – შვებას.

თავი მერვე

შემოდგომა, 2010 წელი

საღამოს საავადმყოფოდან სახლში ვბრუნდები და საძინებელში შევდივარ. ავტომოპასუხეზე თალიას შეტყობინება მხვდება. ფეხსაცმელს ვიხდი, ჩემს მაგიდასთან ვჯდები და ვუსმენ. ავად ვარ, გრიპი მაქვს, ნამდვილად დედაშენისგან გადამედოო. მერე ჩემს ამბავს კითხულობს. აინტერესებს, როგორ მიდის საქმე ქაბულში. ბოლოს, სანამ საუბარს დაამთავრებს, ამბობს: „ოდი გაუჩერებლად წუწუნებს. შენ არაფერს გეტყვის, ამიტომ მე მინდა, რომ გთხოვო. რა მოხდება, რომ დაურეკო? შენც კარგი ვირი ხარ!“

ვიღიმი. თალია.

მისი ფოტო ჩემს მაგიდაზე დევს. წლების წინ გადავუღე ტინოსზე. ფოტოზე თალია ქვაზე ზის, კამერისკენ ზურგით. სურათი ჩარჩოში ჩავსვი, თუმცა დაკვირვებული თვალი ფოტოს მარცხენა ქვედა კუთხეში მაინც შენიშნავს

ყავისფერ ლაქას. ეს იმ გიჟმაჟი იტალიელი გოგოს წყალობით, რომელმაც დიდი ხნის წინ სურათის დაწვა სცადა.

ლეპტოპს ვრთავ და წინა დღის ოპერაციების შედეგების ჩამოწერას ვიწყებ. ჩემი ოთახი ზედა სართულზე განლაგებული სამი საძინებლიდან ერთ-ერთია. ამ სახლში 2002 წლიდან ვცხოვრობ. ანუ მას შემდეგ, რაც ქაბულში ჩამოვედი. ოთახის ფანჯარა ბაღს გადაჰყურებს. ჩემი მაგიდა ფანჯრის წინ დგას. აქედან მუშმულას ხეები მოჩანს, მე და ნაბიმ, ჩემმა ძველმა მეგობარმა, რამდენიმე წლის წინ დავრგეთ. ნაბი უკანა კედლის გასწვრივ ცალკე მდგომ პატარა შენობაში ცხოვრობდა. მისი სიკვდილის შემდეგ შენობა გადავღებეთ და ერთი ჰოლანდიელი ახალგაზრდა შევასახლეთ. ის ადგილობრივ სკოლებს კომპიუტერული სისტემის გამართვაში ეხმარება. მარჯვნივ სულეიმან ვაჰდათის1940 წელს გამოშვებული შევროლე ათწლეულებია უმოძრაოდ დგას. ქვას რომ ხავსი მოედება, ისეა, ჟანგით მთლიანად დაფარული. ახლა წუხანდელი თოვლის საფარი ახურავს. წელს უცნაურად ადრე დაზამთრდა. ნაბის სიკვდილის შემდეგ მანქანის ჯართში ჩაბარება მინდოდა, მაგრამ ბოლოს გულმა არ გამიშვა. მგონია, რომ ამ სახლის წარსულის, მისი ისტორიის მნიშვნელოვანინაწილია.

წერას ვამთავრებ და საათზე ვიყურები. უკვე საღამოს ცხრა საათი და ოცდაათი წუთია. საბერძნეთში ახლა შვიდი საათია.

„რა მოხდება, დედაშენს რომ დაურეკო? შენც კარგი ვირი ხარ!“

დარეკვას თუ ვაპირებ, აღარ ღირს გადადება. მახსოვს, თალიამ ერთ-ერთ წერილში მითხრა, სულ უფრო და უფრო ადრე წვება დასაძინებლადო. ჰაერს ღრმად ვისუნთქავ, თავს

ვიმხნევებ და ტელეფონს ვიღებ.

თალიას 1967 წლის ზაფხულში შევხვდი. მაშინ თორმეტი წლის ვიყავი. ის და დედამისი, მადალინი, ტინოსზე ჩვენს მოსანახულებლად ჩამოვიდნენ. უკვე თხუთმეტი წელია, მე და ჩემს მეგობარს ერთმანეთი არ გვინახავსო, თქვა დედაჩემმა. დედას ოდელია ჰქვია. მადალინი ჩვიდმეტი წლისა კუნძულიდან ათენში გადავიდა და იქ, ასე ვთქვათ, საკმარისად წარმატებული მსახიობი გახდა.

– არ გამკვირვებია, როდესაც მისი მსახიობობის შესახებ შევიტყვე, – თქვა დედამ, – ისეთი მომხიბვლელი იყო, გულგრილს არავის ტოვებდა. აი, რომ ნახავ, შენ თვითონ დარწმუნდები.

– რატომ არასოდეს გიხსენებია? – ვკითხე დედას. – არ მიხსენებია? დარწმუნებული ხარ? – დარწმუნებული ვარ.

– ალბათ დავიფიცე, რომ არ მეხსენებინა. – შემდეგ დაამატა, – ქალიშვილი ჰყავს, თალია. გულისხმიერება გამოიჩინე, უბედური შემთხვევა გადაიტანა, ძაღლმა უკბინა, ნაიარევი აქვს სახეზე.

დედას მეტი არაფერი უთქვამს. მეც აღარაფერი მიკითხავს, აზრი არ ჰქონდა. ის, რაც გავიგე, ბევრად საინტერესოდ მეჩვენა, ვიდრე მადალინის სამსახიობო

წარსული. ეჭვი მქონდა, რომ ნაიარევი გოგონას თვალში მოსახვედრ ადგილას ჰქონდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. აშკარად რაღაც სერიოზული იყო, რაც განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვდა. ერთი სული მქონდა, ჩემი თვალით მენახა ყველაფერი.

– მე და მადალინი ერთმანეთს ღვთისმსახურების დროს შევხვდით, – თქვა დედამ, – იმ წუთიდან განუყრელი გავხდით. გაკვეთილებზე, შესვენებაზე, ეკლესიაში თუ ქერის ყანაში, ხელს არ ვუშვებდით ერთმანეთს. ფიცი დავდეთ, რომ მთელ ცხოვრებას დებივით ერთად გავატარებდით. მაშინაც კი, როცა საკუთარ ოჯახებს მოვეკიდებოდით, ერთმანეთის მეზობლად ვიცხოვრებდით და თუ რომელიმე ჩვენგანის ქმარი სხვაგან გადასვლას მოინდომებდა, აუცილებლად გაშორებას მოვითხოვდით.

მახსოვს, როდესაც დედა ამ ამბავს მიყვებოდა, სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა, ახლა თითქოს თავს შორს იჭერდა ახალგაზრდული აღმაფრენის, გაუაზრებელი დაპირებებისა და ფიცისგან. თუმცა, მის სახეზე მაინც შენიშნავდით გამოუთქმელი ტკივილისა და იმედგაცრუების კვალს, რომელსაც დედა სიამაყის გამო არასოდეს აღიარებდა.

მადალინი ასაკით მასზე ბევრად უფროსი, მაგრამ მდიდარი კაცის ცოლი იყო. ბატონმა ანდრეას გიანაკოსმა წლების წინ თავისი მეორე, და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უკანასკნელი ფილმი გადაიღო. შემდეგ სამშენებლო საქმეს მიჰყო ხელი. ახლა ათენში დიდი კომპანიის მეპატრონე ყოფილა. ბატონ გიანაკოსს და მადალინს ცოტა ხნის წინ უჩხუბიათ. ამის შესახებ დედას არაფერი უთქვამს, მაგრამ მე ვიცი. მადალინის წერილი, რომელშიც დედას ჩამოსვლის შესახებ ატყობინებდა, ჩუმად წავიკითხე.

„თანდათან გაუსაძლისი ხდება ანდრეასთან ცხოვრება, აღარ შემიძლია მისი მემარჯვენე მეგობრებისა და საბრძოლო მუსიკის ატანა. სულ ჩუმად ვარ. ხმასაც არ ვიღებ, როცა იმ სამხედრო ავაზაკებს, რომლებიც ჩვენს დემოკრატიას მასხრად იგდებენ, ხოტბას ასხამენ. ერთი სიტყვაც რომ ვთქვა მათ საწინააღმდეგოდ, დარწმუნებული ვარ, კომუნისტად ან ანარქისტად გამომაცხადებენ. მერე ანდრეასსაც კი არ ეყოფა გავლენა, რომ პატიმრობიდან დამიხსნას. თუმცა, შეიძლება თავიც არ შეიწუხოს. ზოგჯერ მგონია, რომ განზრახ ცდილობენ ჩემს მწყობრიდან გამოყვანას. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მენატრები, როგორ მინდა ახლა შენთან ყოფნა, ჩემო ოდი…“

იმ დღეს, როცა ჩვენი სტუმრები უნდა ჩამოსულიყვნენ, დედა ადრე ადგა, სახლი დაალაგა. ჩვენ გორაკის ფერდობზე პატარა სახლში ვცხოვრობდით. ტინოსზე უამრავი სხვა სახლის მსგავსად, ისიც ქვით ნაგები და კირიანი წყლით შეთეთრებული იყო. რომბის ფორმის წითელი კრამიტის ბრტყელი სახურავი ჰქონდა. ზედა სართულზე დედაჩემის და ჩემს საერთო საძინებელში პირდაპირ ვიწრო კიბიდან შევდიოდით. ოთახს კარი არა, მაგრამ ნახევარწრიული ფანჯარა და ვიწრო, რკინის მოაჯირიანი აივანი ჰქონდა, საიდანაც სხვა სახლების სახურავები, ზეთისხილის ხეები, თხები, მიხვეულ-მოხვეული შუკები, თაღებიანი გასასვლელები და რასაკვირველია, ეგეოსის ზღვა მოჩანდა. ზაფხულში, დილაობით, ზღვა ლურჯი და მშვიდი იყო;

ნაშუადღევს, როგორც კი ჩრდილოეთის ქარი, მელტემი, დაუბერავდა, ქაფი თეთრად ღებავდა.

როდესაც სახლის დალაგებას მორჩა, გამოსასვლელი ტანსაცმელი ჩაიცვა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიიჩნევდა, რადგან ამ ტანსაცმელს მაშინ იცვამდა, როცა თხუთმეტ აგვისტოს ხარების სახელობის ეკლესიაში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე მიდიოდა. ყოველ ზაფხულს ტინოსზე მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთიდან უამრავი პილიგრიმი ჩამოდის ტაძრის ცნობილი ხატის მოსალოცად. ერთი ფოტო გვაქვს სახლში – დედას თავისი გამოსასვლელი კაბა აცვია, გრძელი, ფორმადაკარგული, მოჟანგისფრო-ოქროსფერი, მრგვლად ამოჭრილი გულით. ზედ – მომდგარი სვიტერი, ფეხებზე – წინდები და დიდი, შავი, მოუხერხებელი ფეხსაცმელი. ამ სურათზე დედა მკაცრი ქვრივის განსახიერებაა. სქელი წარბებით, აპრეხილი ცხვირით, გაშეშებული სახითა და კუშტი გამომეტყველებით თვითონ ჰგავს პილიგრიმს. სურათზე მეც ვარ. თეთრი პერანგი, მოკლე შარვალი და მუხლებამდე წინდები მაცვია. ისე ვიღუშები, ადვილად მიხვდებით, რომ წინასწარ გამაფრთხილეს, არ გაიცინო და არ გაინძრეო. სურათის გადაღებამდე დედამ პირი დამბანა და თმა სველი სავარცხლით დამვარცხნა, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. ფოტოზეც კი ჩანს, რომ მაინცდამაინც დიდ სიამტკბილობაში არ ვართ მე და დედაჩემი. ერთმანეთის გვერდით ვდგავართ და ოდნავადაც კი არ ვეხებით ერთმანეთს.

იქნებ სხვები ვერც ამჩნევენ, მე კი ყოველთვის ერთნაირი განცდა მაქვს. ბოლოს ეს სურათი ორი წლის წინ ვნახე. ისევ ის ვიგრძენი, რაც ყოველთვის – დაძაბულობა, მოუთმენლობა, გაუბედაობა. რას იზამ, მეტს ვერაფერს ვხედავ, გარდა ერთმანეთთან მხოლოდ გენეტიკური ვალდებულებებით დაკავშირებული ორი ადამიანისა, რომლებიც განწირული არიან იმისთვის, რომ თავგზა აუბნიონ და იმედი გაუცრუონ ერთმანეთს. რაც მთავარია, თითოეული ღირსების საქმედ მიიჩნევს მეორის გამოწვევას.

საძინებლის ფანჯრიდან დავინახე, როგორ გაემართა დედაჩემი ტინოსის საბორნე პორტის მიმართულებით. თავსაფარი ნიკაპის ქვეშ ჰქონდა განასკვული. თავაწეული მიაბიჯებდა.

სუსტი, წვრილძვალა, ბავშვური აღნაგობის ქალი იყო, მაგრამ ისე დადიოდა, რომ ჯობდა მისთვის გზა არ გადაგეკვეთათ. მახსოვს, როგორ მივყავდი სკოლაში – ადრე მასწავლებლად მუშაობდა, ახლა პენსიაზეა – დედებს ბავშვები ხელჩაკიდებული დაჰყავდათ. დედაჩემი კი ამბობდა, სხვა მოსწავლეებისგან ვერ გამოგარჩევო და წინ თავაწეული მიმიძღოდა, ხელით ბლუზის საყელო ეჭირა. საუზმის ყუთით ხელში, მის უკან მივჩანჩალებდი და ვცდილობდი, რომ არ ჩამოვრჩენოდი. კლასში ყოველთვის უკანა მერხზე ვიჯექი. მახსოვს, როგორ იდგა დაფასთან. აბა, გაებედა ვინმეს და წესრიგი დაერღვია! ერთი განმკიცხველი მზერა და მოსწავლე ადგილზე შეშდებოდა. მზერაც არის და მზერაც, გეგონებოდათ, შურდულით ქვას ისროდა, თან არასოდეს აცდენდა, ქირურგიული სიზუსტით არტყამდა მიზანში. კაცის შუაზე გაპობაც კი შეეძლო ავი გამოხედვითა და მრავლისმთქმელი მდუმარებით.

დედას ყველაზე მეტად ერთგულების სწამდა, თუნდაც საკუთარი თავის უარყოფის ხარჯზე. თუნდაც კი არა, განსაკუთრებით საკუთარი თავის უარყოფის ხარჯზე. კიდევ სჯეროდა, რომ სიმართლის თქმა ყოველთვის სჯობდა უთქმელობას. ფიქრობდა, რომ სიმართლე შელამაზების გარეშე უნდა ითქვას. რაც მეტად უსიამოვნოა სიმართლე, მით მალე უნდა გამჟღავნდეს. ვერ იტანდა სუსტებს და ასე ვთქვათ, უხერხემლოებს. თვითონ უსაზღვრო ნებისყოფისა და ძალის პატრონი იყო, და არის; პირდაპირი, დაუნდობელი ქალი, რომელთანაც არასოდეს მოგინდება კამათი. მართალი გითხრათ, კარგად ვერ ვხვდები, ასეთი დაიბადა თუ ცხოვრებამ აიძულა, ხასიათი შეეცვალა. ქმარი გათხოვებიდან ერთ წელიწადში გარდაეცვალა და ჩემი გაზრდა მარტოს მოუწია.

მისი წასვლის შემდეგ ჩამეძინა. ცოტა ხანში ქალის მაღალმა, ზარივით ხმამ გამაღვიძა. საწოლზე წამოვჯექი. აი, ისიც, თავისი ტუჩის საცხით, სუნამოთი, კოხტად მოყვანილი ტანით. ავიახაზების რეკლამის სახეს ჰგავდა, პატარა შლაპის პირბადიდან მიღიმოდა. შუა ოთახში იდგა. მომწვანო-ნეონისფერი მოკლე კაბა ეცვა, მის ფეხებთან სამგზავრო ტყავის ჩანთა იდო, წითელი თმა და გრძელი კიდურები ჰქონდა. ზევიდან დამცქეროდა, იცინოდა და გაბრწყინებული სახით, თავდაჯერებული, ხალისიანი ხმით ლაპარაკობდა.

– ესე იგი, შენ ხარ ოდის პატარა მარკოსი! რომ არ უთქვამს, ასეთი ლამაზი თუ იყავი? ოჰ, შენს თვალებში ოდის ვხედავ! მე მგონი, მართლაც, ერთნაირი თვალები გაქვთ, ალბათ უთქვამთ შენთვის, არა? ისე მინდოდა შენი ნახვა, მე და დედაშენი… ჩვენ… ოჰ, დედა გეტყოდა… ალბათ ხვდები, როგორი აღელვებული ვარ ახლა, შენ რომ გხედავ, შენ რომ გიყურებ, შენ – მარკოს ვარვარის! მე მადალინ გიანაკოსი ვარ და მინდა გითხრა, რომ ძალიან მიხარია შენი ნახვა.

იდაყვამდე აწეული პრიალა, კრემისფერი ხელთათმანი გაიძრო. ასეთი ხელთათმანები მხოლოდ ჟურნალის ფოტოებზე მენახა – ელეგანტურ ქალებს ოფიციალურ წვეულებებზე აცვიათ. ოპერის თეატრის ფართო კიბეზე დგანან და ეწევიან ან შავი პრიალა მანქანიდან გადმოდიან, სახე ფოტოაპარატების ციმციმა შუქით აქვთ განათებული. ხელთათმანებს რომ იძრობდა, ყოველ თითთან მეორე ხელის მიშველება მოუხდა. შემდეგ ოდნავ წელში მოიხარა და ხელი გამომიწოდა.

– მოხიბლული ვარ, – თქვა მან, – ეს კი ჩემი ქალიშვილია, თალია. საყვარელო, მიესალმე მარკოს ვარვარისს.

ოთახის შემოსასვლელში დედაჩემის გვერდით იდგა. ცარიელი თვალებით მიყურებდა. გამხდარი, ფერმკრთალი გოგო იყო. თხელი თმა ჰქონდა. სულ ეს არის, მეტი არაფრის თქმა შემიძლია. ვერც მისი კაბის ფერს გეტყვით, ვერც იმას, ეცვა თუ არა საერთოდ კაბა, ფეხსაცმლის სტილზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ან საათი ეკეთა თუ არა. ყელსაბამი? ბეჭედი? საყურე? არაფერი ვიცი. წარმოიდგინეთ, რესტორანში რომ იყოთ და უცებ ვიღაც გაშიშვლდეს, თქვენს მაგიდაზე ახტეს და ჩაროზის კოვზებით ჟონგლიორობა დაიწყოს. ძალიანაც რომ მოინდომოთ, მის მეტს ვერაფერს დაინახავთ. ზუსტად ასეთი

ეფექტი ჰქონდა გოგონას სახის ქვედა ნაწილზე აფარებულ ნიღაბს. სრულიად გამორიცხავდა სხვა რამეზე დაკვირვებას და შემჩნევას.

– თალია, ძვირფასო, მიესალმე, თავაზიანობა გამოიჩინე. მომეჩვენა, რომ თავი ოდნავ დამიკრა. – გამარჯობა, – გახეშეშებული ენა ძლივს მოვატრიალე.

ჰაერში ელექტროტალღები დატრიალდა. თითქოს დავიმუხტე რაღაცით, რაც მაღელვებდა და იმავდროულად მაშინებდა. თითქოს ჩემ შიგნით რაღაც გასკდა და ზევით ტრიალ-ტრიალით წამოვიდა. ვიდექი და გაშტერებული ვუყურებდი. თვალს ვერაფრით ვაშორებდი უკან, კეფაზე ორი ზონრით შეკრულ ცისფერ ნიღაბს და მის პირთან ვიწრო ჰორიზონტალურ ნახეთქს. ზუსტად ვიცოდი, რომ იმ წუთში ვერ გავუძლებდი იმის შეხედვას, რაც ნიღბის მიღმა იმალებოდა, თუმცა ვერც იმას ავიტანდი, რომ არასოდეს მენახა. მორჩა, ჩემი ცხოვრება ჩვეულ რიტმს ვეღარ დაუბრუნდებოდა, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავდი, რა იყო ასეთი საშინელი, რას მალავდა ნიღაბი, რისგან გვიცავდნენ, რას გვარიდებდნენ. მაგრამ იქნებ ეს ნიღაბი თალიას იცავდა ჩვენგან? ამაზე აღარ მიფიქრია, ყოველ შემთხვევაში, იმ დღეს, როდესაც პირველი თავბრუდამხვევი და ტკივილით სავსე შეხვედრა შედგა.

მადალინი და თალია ზედა სართულზე დარჩნენ და ჩანთების ამოლაგება დაიწყეს. დედა სამზარეულოში პალტუსს ამზადებდა ვახშმისთვის. მე 0IIIıIX6§ kafés-ის(ბერძნული ყავა, რომელსაც, ტრადიციულად, სპილენძის ჭურჭელში, გაზქურაზე ან ცხელ ქვიშაზე ამზადებენ.) მომზადება დამავალა. შემდეგ ზევით ატანაც მე მთხოვა. ესეც შევასრულე. ლანგარზე პატარა თეფშით პასტელი(პასტელი – ბერძნული დესერტი.) დავდე და ზევით ავედი.

უკვე ათწლეულებია გასული და სირცხვილის განცდა იმის გამო, რაც შემდეგ მოხდა, თბილი წებოვანი სითხესავით მაქვს მეხსიერებაში ჩაღვრილი. დღემდე ზუსტად, როგორც ფოტოზე აღბეჭდილს, ისე წარმოვიდგენ ამ სცენას. მადალინი ეწევა, საძინებლის ფანჯარასთან დგას, მრგვალი, ყვითელშუშებიანი მზის სათვალე უკეთია, ცალი ხელი თეძოზე უდევს და ზღვას გასცქერის, ტერფები გადაჯვარედინებული აქვს, მისი პატარა ქუდი სარკის წინ, მაგიდაზე დევს. სარკეში თალია ჩანს, საწოლის კიდეზე ზის, დახრილია, რაღაცას აკეთებს, ალბათ ფეხსაცმლის ზონარს იხსნის, ვხედავ, რომ ნიღაბი მოუხსნია, იქვე, მის გვერდით გდია საწოლზე. ხერხემალში სიცივე მივლის, ვცდილობ, რომ თავი შევიკავო, მაგრამ ხელები მიკანკალებს, ფაიფურის ჭიქები თეფშებს ეხლება და წკრიალებს. ხმა მადალინს ჩემკენ აბრუნებს, თალია თავს სწევს, მე მას სარკეში ვხედავ. ლანგარი ხელიდან მისხლტება, ფაიფურის ჭურჭელი იმსხვრევა, სითხე იღვრება, ლანგარი ბზრიალით ეშვება კიბეზე. და ქაოსი… მე დაოთხილი ფაიფურის ნამსხვრევებს ვკრეფ, მადალინი ამბობს: – ოჰ, ღმერთო, ოჰ,

ღმერთო, – დედა ზევით ამორბის, ყვირის, – რა მოხდა? რა დააშავე, მარკოს?

– ძაღლმა უკბინა სახეზე, – გამაფრთხილა დედამ, ნაიარევი აქვსო. არ უკბენია, ძაღლმა თალიას სახე მოაჭამა. ალბათ არის სიტყვები, რომელთა საშუალებით შეიძლება ის აღვწერო, რაც დავინახე, მაგრამ ნაიარევი ნამდვილად არაა მათ შორის.

მახსოვს, როგორ მტაცა დედაჩემმა ხელი, თავისკენ შემატრიალა, შემაჯანჯღარა:

– რა იყო? რა დაგემართა? – მერე მისი მზერა ჩემს თავს ასცდა და იქვე გაიყინა. სიტყვები პირზე შეახმა, ხელებჩამოყრილი, გამოცარიელებული თვალებით იყურებოდა. და იმ წუთში წარმოუდგენელი უცნაურობის მოწმე გავხდი, ისეთი რამ მოხდა, ჯამბაზის ფორმაში გადაცმული მეფე კონსტანტინე ჩვენს კართან ატუზული რომ დამენახა, უფრო ნაკლებად გამიკვირდებოდა – დედაჩემს მარჯვენა თვალიდან ერთადერთი ცრემლი ჩამოუგორდა.

– როგორი იყო? – მეკითხება დედა. – ვინ? – ვინ და ის ფრანგი ქალი. შენი სახლის პატრონის დისშვილი, პროფესორი პარიზიდან.

ყურმილი მეორე ყურთან გადამაქვს. მიკვირს, რომ ახსოვს. მთელი ცხოვრება ისეთი განცდა მაქვს, თითქოს დედაჩემისთვის ნათქვამი სიტყვები ჰაერში იფანტება, ისე, რომ მის ყურს ვერ სწვდება. ჩვენ შორის ატმოსფერული დაბრკოლებებია, ცუდი კავშირი. ზოგჯერ, როდესაც ქაბულიდან ვრეკავ, მგონია, რომ ყურმილი ფრთხილად დადო, სადღაც გავიდა და რომ საკონტინენტთაშორისო სიცარიელეს ველაპარაკები, თუმცა მის ყოფნას ვგრძნობ, მისი სუნთქვა მესმის. ხანდახან საავადმყოფოს ამბებს ვუყვები. მაგალითად, პატარა ბიჭის შესახებ, რომელიც მამამ ხელში აყვანილი შემოიყვანა, სისხლში ცურავდა, ლოყაში ნაღმის ნამსხვრევი ჰქონდა ჩარჩენილი, ცალი ყური მთლიანად მოგლეჯილი. კიდევ ერთი მსხვერპლი – ცუდ დროს, ცუდ დღეს, ცუდ ქუჩაზე თამაშობდა… ვუყვები და მესმის, უცბად ყურმილს ახეთქებს, მისი ხმა სუსტდება, ნაბიჯების ხმა მესმის, აშკარად იატაკზე რაღაცას მიათრევს, ხმაჩაწყვეტილი ვიცდი, ბოლოს ბრუნდება, სუნთქვა ცოტა აჩქარებული აქვს და მიხსნის:

– გარკვევით ვუთხარი, მირჩევნია, რომ ვიდგე. თალია, მინდა რომ ფანჯარასთან ვიდგე და ზღვას ვუყურო, როცა მარკოსს ველაპარაკები, მაგრამ რას მპასუხობს? „თავს ნუ იტვირთავ, ოდი, ჯობია დაჯდე“, და მერე სავარძელს მოათრევს, იმ დიდ ტყავის სავარძელს, შარშან რომ მიყიდა. ღმერთო, რა ღონიერია, რომ იცოდე რამხელაა ის სავარძელი.

ბოლოს ვითომ განაწყენებული ამოიხვნეშებს და მთხოვს, რომ დაწყებული ამბავი გავაგრძელო, მაგრამ მე წონასწორობას ვკარგავ, ვგრძნობ, რომ დამტუქსეს, გამკიცხეს, უფრო მეტიც, მგონი ღირსი ვარ, დამნაშავე ვარ იმაში, რაც არასოდეს ჩამიდენია. კიდეც რომ გავაგრძელო დაწყებული ამბავი, რა აზრი აქვს, წვრილმანად იქცა, არც კი შეედრება დედასა და თალიას შორის გათამაშებულ სავარძლის დრამას.

– რა ერქვა? ფარი თუ რაღაც, არა?

დედას ნაბის შესახებ მე მოვუყევი. მისი ცხოვრების შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია აქვს. მაგრამ იცის, რომ ჩემი კარგი მეგობარი იყო. ისიც იცის, რომ ნაბიმ ანდერძით სახლი ფარის დაუტოვა, რომ ფარი საფრანგეთში გაიზარდა. ნილა ვაჰდათის შესახებ არაფერი მითქვამს. ნილას გაქცევა მას შემდეგ, რაც მის ქმარს ტვინის ინსულტი განუვითარდა, სულეიმანის სარეცელთან დარჩენილი ნაბი და მის მოვლაში გატარებული ათწლეულები

და კიდევ „ის ამბავი“ – არაფერი გამიმხელია, რადგან ვიცოდი, ისე შემომიტრიალდებოდა, თავბედი საწყევლი გამიხდებოდა და საკუთარ თავს განაჩენს გამოვუტანდი.

– ჰო, ფარი. კარგი ქალია, – ვამბობ მე, – თბილი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერია.

– რა არის? ქიმიკოსია?

– არა, მათემატიკოსი, – ვამბობ და ლეპტოპს ვხურავ. ისევ თოვს. პაწაწა მსუბუქი ფანტელები სიბნელეში ტრიალებენ და ჩემს ფანჯარას ეხეთქებიან.

დედაჩემს ფარი ვაჰდათის ქაბულში ჩამოსვლის შესახებ ვუყვები. გასულ ზაფხულს ჩამოვიდა. მართლაც, ძალიან სასიამოვნო ქალია, ნაზი, ფაქიზი, გამხდარი, ჭაღარა თმით, მაღალი კისრით, ზედ აყოლებული ლურჯი ძარღვებითა და ძალიან თბილი ღიმილით, რომლის დროსაც დაშორიშორებული კბილები მოუჩანს. თავის ასაკთან შედარებით ცოტა მოტეხილია. რევმატიული ართრიტი, ხელებზე კოჟრები, თუმცა ხელები ჯერ ისევ ასრულებდნენ თავის ფუნქციას. ჩემი დრო ახლოვდება და ამის შესახებ ვიციო, თქვა მან. მისმა ნათქვამმა დედაჩემზე და „მის დროზე“ დამაფიქრა.

ფარი ვაჰდათი ერთი კვირით დარჩა ქაბულში. როცა პარიზიდან ჩამოფრინდა, ექსკურსია მოვუწყე. ფარიმ ბოლოს ეს სახლი 1955 წელს ნახა. იმდენად ცხადი იყო მისი მოგონებები, რომ გაოცებას ვერ მალავდა. ყველაფერი ახსოვდა, სახლის განლაგება, ორი საფეხური სასადილო ოთახსა და საერთო ოთახს შორის, სადაც თურმე დილაობით ხშირად ჯდებოდა და წიგნს კითხულობდა. ცოტა სახლის ზომამ შეაცბუნა, რადგან ბევრად პატარა აღმოჩნდა, ვიდრე მის მეხსიერებაში ჩარჩენილი ვერსია. ზედა სართულზე რომ ავედით, თავის საძინებელს დახმარების გარეშე მიაგნო. ახლა ამ ოთახში ჩემი გერმანელი კოლეგა ცხოვრობს. ის მსოფლიო სასურსათო პროგრამაშია ჩართული. მახსოვს, როგორ აუჩქარდა ფარის სუნთქვა, როდესაც ოთახის კუთხეში პატარა კარადა დაინახა. მისი ბავშვობისდროინდელი რამდენიმე გადარჩენილი ნივთიდან, ეს კარადა ერთ-ერთი იყო. მე მის შესახებ ნაბის წერილიდან ვიცოდი. კარადის წინ ჩაიცუცქა და კარზე დახატულ გახუნებულ ყვითელ ჟირაფებსა და გრძელკუდიან მაიმუნებს გადაუსვა ხელი. ზევით ამოიხედა და მის თვალზე ცრემლი შევნიშნე. შემდეგ მორცხვად, ბოდიშის მოხდით მკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა კარადის პარიზში გაგზავნა. ეს ერთადერთი ნივთი იყო, რომლის წაღებაც უნდოდა. მე თვითონ გადავიხდიო, თქვა. ვუთხარი, რომ სიამოვნებით შევუსრულებდი თხოვნას. ბოლოს, კარადის გარდა, რომელიც მისი გამგზავრების შემდეგ მალევე გავაგზავნე პარიზში, ფარი ვაჰდათიმ საფრანგეთში სულეიმან ვაჰდათის ჩანახატების ალბომი, ნაბის წერილი და ნილას რამდენიმე ლექსი წაიღო. კიდევ ერთი რამ, რაც ფარიმ ქაბულში ყოფნის დროს მთხოვა, შადბაღში წაყვანა იყო. უნდოდა, თავისი თვალით ენახა ადგილი, სადაც დაიბადა და იმედი ჰქონდა, რომ თავის ნახევარძმას, იყბალს, ნახავდა.

– ალბათ გაყიდის, – ამბობს დედა, – ახლა სახლი მისია.

– მან მითხრა, რომ რამდენ ხანსაც მომესურვება, იმდენ ხანს შემიძლია დავრჩე, რასაკვირველია, ქირის გარეშე.

თითქოს ვუყურებდე, ისე ნათლად წარმომიდგენია დედას მოკუმული პირი და სკეპტიკური გამომეტყველება. ის კუნძულელია. ალმაცერად უყურებს დიდ მიწაზე მცხოვრებთა ქმედებების მამოძრავებელ ძალებს. კეთილი ნების აშკარა გამოვლენაც კი ეჭვს იწვევს მასში. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც უკვე პატარა ბიჭობაში მქონდა გადაწყვეტილი ტინოსიდან წასვლა მაშინვე, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა. ყოველთვის იმედგაცრუება მიპყრობს, როდესაც ხალხი დედაჩემის მსგავსად მსჯელობს.

– სამტრედის საქმე როგორ მიდის? – ვეკითხები დედას, თემა რომ შევცვალო. – დამღალა და ცოტა ხნით თავი დავანებე.

ექვსი თვის წინ დედას ათენში ნევროპათოლოგმა დიაგნოზი დაუსვა. დაჟინებით ვითხოვდი, რომ დედა ექიმთან წასულიყო მას შემდეგ, რაც თალიამ მითხრა, ნერვული ტიკები დაეწყო და ყველაფერი ხელიდან უვარდებაო. ბოლოს თალიამ დაიყოლია და წაიყვანა. ექიმთან ვიზიტის შემდეგ დედამ ენერგიის მოზღვავება იგრძნო და აქტიური ცხოვრება დაიწყო. ეს ყველაფერი თალიას ელექტრონული წერილებიდან ვიცი. დედას სახლი გადაუღებავს, ონკანები შეუკეთებია, ზედა სართულზე ახალი საკუჭნაოს აშენება და სახურავის დამსკდარი ფილების შეცვლაც კი მოუნდომებია, მაგრამ საბოლოოდ, თალიას შეუჩერებია. მადლობა ღმერთს! ახლა ეს სამტრედე! წარმომიდგენია, როგორ აჭედებს და აშალაშინებს ფიცრებს ხელებდაკაპიწებული, ოფლში გაწუწული დედაჩემი. საკუთარ მომაკვდავ ნეირონებს ეჯიბრება, უნდა, რომ ბოლო წვეთამდე ამოწუროს, სანამ ჯერ კიდევ დროა.

– როდის ჩამოდიხარ? – მეკითხება დედა.

– მალე, – შარშანაც ზუსტად ასე ვუპასუხე იმავე კითხვაზე. ორი წელია ტინოსზე აღარ ვყოფილვარ. მცირე პაუზა და მერე მეუბნება:

– ძალიან ნუ გადადებ, მინდა რომ გნახო, სანამ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შემაერთებენ.

იცინის. ასეთი ჩვევა აქვს. ხუმრობს, მასხრად იგდებს კარს მომდგარ უბედურებას. საკუთარი თავის შეცოდება ხომ საერთოდ გამორიცხულია. ამ თვისებას პარადოქსული გვერდითი მოვლენები ახასიათებს – თითქოს ამცირებს და იმავე დროს ზრდის იმის მნიშვნელობას, რაც უნდა მოხდეს.

– შობისთვის ჩამოდი, თუ შეძლებ, ოთხ იანვარს მაინც ნუ გადააცილებ, – მეუბნება დედა.

თალია ამბობს, რომ ამ დღეს საბერძნეთში მზის დაბნელებას ელოდებიან. ინტერნეტში წაუკითხავს. ერთად ვუყურებთ, თუ ჩამოხვალო.

– ვეცდები, დედა, – ვამბობ მე.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ერთ დღეს ახალგაღვიძებულზე აღმოვაჩინე, რომ ჩვენს სახლში გარეული ცხოველი შემოხეტიალდა. უსაფრთხო ადგილი არსად იყო. ყოველ კუთხეში, ყოველ მოსახვევში ვაწყდებოდი, დამდევდა, მეპარებოდა. წამდაუწუმ ხელსახოცით იწმენდდა პირიდან ჩამოსულ დორბლს. ჩვენი სახლის მცირე ზომა შეუძლებელს ხდიდა მისთვის თავის არიდებას. განსაკუთრებით ჭამის დროს მეშინოდა. მინდოდა თუ არ მინდოდა, მთელი სცენა უნდა ამეტანა, თალია ფრთხილად სწევდა ნიღბის ბოლოს ზევით და პირთან საჭმელი მიჰქონდა. მუცლის გვრემა მეწყებოდა, როცა იმ სცენას ვუყურებდი და ის ხმა მესმოდა. ხმაურით ჭამდა. ნახევრად დაღეჭილი საჭმლის ნაწილები ნერწყვთან ერთად პირიდან სცვიოდა და თეფშზე, მაგიდაზე ან იატაკზე ეცემოდა. დედამისი აიძულებდა, რომ წვნიანები საწრუპი მილით მიეღო. მადალინს ჩანთა ასეთი მილების მარაგით ჰქონდა სავსე. თხვლეპა-თხვლეპით სვამდა ბულიონს, ნიღაბი ულაქავდებოდა, წვენი ყბიდან კისერზე ჩასდიოდა. პირველად, როცა ბოდიში მოვიხადე და სუფრის დატოვება მოვინდომე, დედამ საშინელი მზერით დამტუქსა. ასე რომ, მას შემდეგ ვცდილობდი, არ დამენახა და არც გამეგო. ეს სულაც არ იყო ადვილი. სამზარეულოში შევიდოდი და იქ მხვდებოდა, მადალინი ლოყაზე მალამოს უსვამდა, რომ არ გაღიზიანებოდა. გონებაში დღეებს ვითვლიდი, ვიცოდი, რომ მადალინი და თალია ოთხი კვირით აპირებდნენ დარჩენას.

რა კარგი იქნებოდა, მადალინი მარტო რომ ჩამოსულიყო. ძალიან მომწონდა. პატარა ოთხკუთხა უკანა ეზოში ოთხნი ვსხდებოდით ხოლმე. ყავას სვამდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. სახეზე ჩვენი ზეთისხილის ხისა და თავისი ძველმოდური ოქროსფერი ჩალის ქუდის ჩრდილი დასთამაშებდა. ამ ქუდში, წესით, სასაცილო უნდა ყოფილიყო. ნებისმიერი სხვა ქალი, მაგალითად, დედა, აუცილებლად სასაცილო იქნებოდა. მაგრამ ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ელეგანტურობა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ეძლეოდა, თითქოს გენეტიკურად თანდაყოლილი უნარი ყოფილიყოს, აი, იმის მსგავსი, ვიღაცას რომ შეუძლია ენა მილივით დაახვიოს. მადალინთან საუბრისას არ მოიწყენდით. მისგან ამბები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. ერთ დილას ანკარაში მოგზაურობის შესახებ მოგვიყვა. ენგური სუს ნაპირზე ვსეირნობდი და რახით შეზავებულ მწვანე ჩაის ვსვამდიო. მერე ის დრო გაიხსენა, როცა თავის მეუღლესთან ერთად კენიაში სპილოებით იმოგზაურა. ეკლიან აკაციებს შორის დავდიოდით, ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად სიმინდის ფაფას, ქოქოსსა და ბრინჯს გეახლებოდითო.

მადალინის ამბებმა ძველი მოუსვენრობა გააღვიძა ჩემში, სურვილი იმისა, რომ თავით გადავშვებულიყავი დიდი ცხოვრების მორევში, არაფრის მშინებოდა. ჩემი ცხოვრება ტინოსზე დამანგრევლად ერთგვაროვანი იყო. წინასწარ ვხედავდი, როგორ იშლებოდა ჩემ თვალწინ ცხოვრების გაუთავებელი უაზრობა. ბავშვობის უმეტესი წლები ტინოსზე ლასლასით სიარულში გავატარე, ასე მეგონა, მე კი არა, ჩემ მაგივრად სხვა ცხოვრობდა, ჩემი შემცვლელი, მე სადღაც სხვაგან ვიყავი და ვიცდიდი, რომ ჩემს ფერმკრთალ, ცარიელ თავს შევრწყმოდი. საკუთარ სახლში დევნილად ვგრძნობდი თავს.

მადალინი ახლა იმას ჰყვებოდა, როგორ სეირნობდა ანკარაში კუგულუ პარკში და როგორ ტკბებოდა პრიალა წყალზე გედების სრიალით.

– უკვე ზედმეტი მომდის, – თქვა მადალინმა სიცილით.

– სულაც არა, – თქვა დედამ.

– ეს ძველი ჩვევაა. ბევრს ვლაპარაკობ, ყოველთვის ბევრს ვლაპარაკობდი. გახსოვს, რამდენჯერ ჩამიგდიხარ ცუდ დღეში გაკვეთილებზე ჭორაობის გამო? შენ არასოდეს არაფერს აშავებდი, ოდი, ისეთი ბეჯითი, პასუხისმგებლობით სავსე იყავი.

– შენი ამბები საინტერესოა, საინტერესო ცხოვრება გაქვს. – ჩინური წყევლაა, ხომ იცი, – თვალები გადაატრიალა მადალინმა. – მოგეწონა აფრიკა? – ჰკითხა დედამ თალიას.

თალიამ ლოყაზე ცხვირსახოცი აიფარა და არ უპასუხა. გამიხარდა. ცუდად მხდიდა მისი ლაპარაკი, თლიფინისა და ბუყბუყის უცნაური, სველი ნაზავი.

– ოჰ, თალიას არ უყვარს მოგზაურობა, – ისე თქვა მადალინმა, თითქოს ურყევ ჭეშმარიტებას ამბობდა, თან სიგარეტი ჩასრისა, – არ იზიდავს.

– არც მე, – უთხრა დედამ თალიას, – სახლში ყოფნა მიყვარს. ვერასოდეს ვიპოვე სერიოზული მიზეზი ტინოსის დასატოვებლად.

– მე კი – დასარჩენად, – შენ გარდა, ბუნებრივია, – დედას მაჯაზე შეეხო. – იცი, რისი

მეშინოდა ყველაზე უფრო, აქედან რომ წავედი? ყველაზე მეტად რას ვდარდობდი? არ ვიცოდი შენ გარეშე როგორ მეცხოვრა, ვფიცავ, ასე იყო. ძალიან მეშინოდა.

– როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად მოახერხე, – უთხრა დედამ და თალიას მზერა თანდათან მოაშორა.

– არა, შენ არ გესმის, – თქვა მადალინმა და მეგონა, მე მომმართავდა, რადგან თვალს არ მაშორებდა. – დედაშენის გარეშე თავს ვერ გავართმევდი, მან გადამარჩინა.

– ახლა კი აჭარბებ, – თქვა დედამ.

თალიამ თავი ასწია. თვალები მოჭუტა. ლურჯ ცაზე თვითმფრინავი გრძელი ორთქლის კუდით ტრაექტორიას ხაზავდა.

– ვისგან გადამარჩინა? მამაჩემისგან, – ველარ ვხვდებოდი, ვის მიმართავდა. – ის ბოროტი დაიბადა. გადმოკარკლული თვალები და სქელი, მოკლე კისერი ჰქონდა. ზედ საშინელი შავი ხალი ეჯდა. და მუშტები, აგურებივით მუშტები. შემოსასვლელში მისი ნაბიჯების და გასაღების გაჩხაკუნების ხმა იყო საკმარისი ჩემი გულის გასახეთქად. რომ ცოფდებოდა, ჰაერს ისრუტავდა და თვალებს ხუჭავდა, თითქოს ფიქრობდა. სახეზე ხელს ჩამოისვამდა და იტყოდა: – კარგი, გოგო, კარგი, – და ვიცოდი, რომ ქარიშხალი უნდა

ატეხილიყო, ვერაფერი შეაჩერებდა, ვერავინ მიშველიდა. ზოგჯერ უბრალოდ სახეზე ხელს რომ მოისვამდა ან ამოიხვნეშებდა, თვალთ მიბნელდებოდა. ასეთ კაცებს მერეც შევხვედრივარ, სამწუხაროდ. ნეტავ, ასე არ ყოფილიყო. ერთი რამ კი ვისწავლე, ცოტა თუ დაუკვირდებით, ადვილად მიხვდებით, რომ ისინი,

გაწიე-გამოწიე, მაინც ერთნაირები არიან. ზოგი ცოტა უფრო დახვეწილია, მომხიბვლელიც კი, ადვილად შეიძლება გაგასულელონ. სინამდვილეში ისინი საკუთარ ბოღმაში ჩამხრჩვალი უბედური პატარა ბიჭები არიან. თავს მოტყუებულებად გრძნობენ. არავის უზრუნია მათზე, არავის ჰყვარებია საკმარისად. რასაკვირველია, მოელიან, რომ შეგიყვარდება. უნდათ, რომ ვიღაცამ ხელში აიყვანოს, დაარწიოს, გაამხნევოს. ყველაზე დიდი შეცდომა მათი შეყვარებაა. ისინი სიყვარულს ვერ იღებენ, იმას ვერ იღებენ, რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ. და ამის გამო სძულხარ, სიძულვილიც არ ჰყოფნით, მერე იწყება გაუთავებელი სინანული, ბოდიშები, დაპირებები, სიტყვის გატეხვა და საზიზღრობა. ჩემი პირველი ქმარი ასეთი იყო.

გავოგნდი. არავის არასდროს ასე არ უსაუბრია ჩემი თანდასწრებით. დედაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არც ერთ ჩემს ნაცნობს არასოდეს გაუშიშვლებია თავისი მძიმე ხვედრი. დაბნეული და მისი გულწრფელობით მოხიბლული ვიყავი. პირველი ქმარი რომ ახსენა, მაშინ შევნიშნე, რომ მის სახეზე ჩრდილი ჩამოწვა. წუთიერი გამოვლენა რადაც ბნელის, მტკივნეულის, სირცხვილის. როგორ არ შეეფერებოდა ეს გამომეტყველება მის ხალისიან საუბარს, ხუმრობას და გოგრისფერი ყვავილებით მოჩითულ, თავისუფლად გაშვებულ კაბას. მახსოვს, მაშინ გავიფიქრე, კარგი მსახიობი უნდა იყოს, რადგან ასე ოსტატურად შეუძლია დიდი ტკივილისა და იმედგაცრუების დასაფარად მხიარულება ნიღაბივით აიფაროს-მეთქი. ჩემი თავით კმაყოფილიც კი დავრჩი, ასეთი ჭკვიანური დასკვნა რომ გავაკეთე.

მოგვიანებით, როცა ცოტა წამოვიზარდე, ეს ყველაფერი ცოტა საეჭვო მეჩვენა. ამ საუბარს რომ ვიხსენებდი, ვგრძნობდი, რომ პირველი ქმრის ხსენების დროს გაკეთებული პაუზა, შემდეგ დახრილი თვალები, ყელში მოწოლილი ბურთი და ტუჩების ოდნავ ცახცახი მთლად წრფელი არ იყო და რაღაც მიზანს ემსახურებოდა; ეს მის მოჭარბებულ ენერგიას, ხუმრობას, ძლიერ მომხიბვლელობას და მის მიერ აგდებით ნათქვამ ფრაზებსაც ეხება. მისი ნათქვამი პარაშუტის სიმსუბუქით ფრენა-ფრენით ეშვებოდა და თან ყოველთვის თვალის ჩაკვრა და ღიმილი ახლდა. იქნებ გათამაშებული იყო ყველაფერი და იქნებ არც. დავიბენი. ველარ ვხვდებოდი, რა იყო დადგმული და რა რეალური, ეს კი სულ მცირე, იმას მაფიქრებინებდა, რომ ძალიან საინტერესო მსახიობი იყო.

– რამდენჯერ შემომირბენია ამ სახლში, ა, ოდი? – თქვა მადალინმა. ისევ სიცილით, – საწყალი შენი მშობლები… ეს სახლი ჩემი ნავსაყუდელი იყო, ჩემი თავშესაფარი, ჰო, პატარა კუნძული დიდ კუნძულზე.

– შენ აქ ყველა ხელგაშლით გეგებებოდა, – თქვა დედამ.

– ჩემს ცემა-ტყეპას დედაშენმა მოუღო ბოლო. უთქვამს ეს შენთვის?

– არა.

– არც მიკვირს. ასეთია დედაშენი – ოდელია ვარვარისი.

დედა მუხლებზე მიფარებული წინსაფრის კიდეს შლიდა და კეცავდა. სახეზე მეოცნებე გამომეტყველება ჰქონდა.

– ერთ ღამეს მოვედი, ენიდან სისხლი მდიოდა, საფეთქელთან თმა მქონდა მოგლეჯილი,

ყური ტკივილისგან მიფეთქავდა… ამჯერად თავისი ტორებით მომდგა. რა დღეში ვიყავი! რა დღეში!

ისეთი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, მსუყე, გემრიელი საჭმელის მომზადების წესს აღწერდა, ან საინტერესო რომანს ჰყვებოდა.

– დედაშენი არაფერს მეკითხება, ისედაც იცის. უბრალოდ დგას და აკანკალებული მიყურებს. ახლაც მახსოვს, ოდი, – თქვა მან, – საკმარისია, მამაშენთან მივდივართ, მოდი. მე ვედრებას ვიწყებ. არა, ოდი, ორივეს დაგვხოცავს, მაგრამ დედაშენის ამბავი ხომ იცი!

– ვიცი, – ვთქვი მე. დედამ ალმაცერად გადმომხედა.

– არ მისმენდა. ისე იყურებოდა, როგორც სჩვევია. იცი, ალბათ ეს გამოხედვა. ადგილიდან მოწყდა, მაგრამ მანამდე მამამისის სანადირო თოფი აიღო. მთელი გზა ვეხვეწებოდი, რომ შეჩერებულიყო. ძალიან არ მომხვედრია-მეთქი, ვეუბნებოდი. კარში შევდივართ და მამაჩემი შუა გზაში დგას, ოდიმ თოფი შემართა, ლულა ნიკაპთან მიაბჯინა და უთხრა:

– ერთხელ კიდევ ახლებ ხელს და ამ იარაღით პირდაპირ სახეში გესვრი და ისე გამოგასალმებ სიცოცხლესო. მამაჩემი თვალებს ახამხამებს, ენა უვარდება, ხმას ვერ იღებს. ყველაზე მაგარი რა იყო იცი, მარკოს? ქვევით დავიხედე და მის შიშველ ფეხებთან პატარა გუბე დავინახე, თანდათან ზომაში მატულობდა. ალბათ ხვდები, რა გუბეზეც ვლაპარაკობ.

მადალინმა თმა უკან გადაიყარა, სანთებელა გააჩხაკუნა და თქვა: – და ეს, ჩემო ძვირფასო, ნამდვილი ამბავია.

ამის დამატება არც იყო საჭირო. ისედაც ვიცოდი, რომ ნამდვილი ამბავი იყო. დედაჩემის უპირობო, შმაგი ერთგულება, უსაზღვრო გამბედაობა, მისი იმპულსურობა, მისი სურვილი, რომ ამქვეყნად უსამართლობას შებრძოლებოდა, გზააბნეულები დაეცვა, ადვილად ამოვიცანი. უფრო მეტიც, ისეთი უხმო გმინვა მიაყოლა ბოლო დეტალს, რომ მეტი არაფრის ცოდნა არ მჭირდებოდა. მისთვის მიცვალებულის აუგად ხსენება მიუღებელი და საწყენიც კი იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში და საერთოდაც, მიაჩნდა, რომ უღირსი ადამიანიც კი სიკვდილის შემდეგ პატივისცემას იმსახურებს. განსაკუთრებით, თუ ოჯახის წევრია.

დედამ ადგილი მოინაცვლა და თქვა:

– ვიცით, რომ მოგზაურობა არ გიყვარს, მაგრამ გვითხარი, თალია, რისი კეთება მოგწონს?

ყველამ თალიასკენ გავიხედეთ. ჩვენ გარშემო მზის სხივები ალაგ-ალაგ, ლაქებად ეცემოდა მიწას. მადალინი იჯდა და ლაპარაკობდა. მის მრავალ უნარებს შორის ერთ-ერთი ის იყო, რომ ადვილად შეეძლო ხალხის ყურადღების მიპყრობა. ისე ჩაგითრევდათ თავის მორევში, გზას ვეღარ იპოვიდით თავის დასაღწევად. თალია ვიღას ახსოვდა. იმასაც ვუშვებდი, რომ საჭიროებით ნაკარნახევ, წინასწარ დამუშავებულ ხერხს მიმართავდა. მშვიდ ქალიშვილს დედა ჩრდილივით ეფარებოდა და ხარბად ისრუტავდა გარშემომყოფების ყურადღებას. ისიც შეიძლება, რომ ეს სიკეთის აქტი იყო და მას შვილის დაცვის სურვილი ამოძრავებდა.

თალიამ რაღაც ჩაიბურდღუნა.

– ცოტა ხმამაღლა, ძვირფასო, – ურჩია მადალინმა.

თალიამ ჩაახველა. ლორწოს ბუყბუყი გაისმა.

– მეცნიერება.

მისი თვალების ფერი პირველად შევნიშნე. გაზაფხულის საძოვრებივით მწვანე თვალები ჰქონდა, ნახშირივით შავი თმა და კიდევ დედამისივით უზადო კანი. იქნებ ოდესღაც ლამაზიც იყო, უფრო მეტიც, დედამისივით მშვენიერი.

– მზის საათის შესახებ უთხარი, ძვირფასო, – თქვა მადალინმა.

თალიამ მხრები აიჩეჩა.

– მზის საათი ააგო, – თქვა მადალინმა, – ჩვენს უკანა ეზოში. გასულ ზაფხულს. არავინ დახმარებია. არც ანდრეასი და მით უმეტეს, არც მე, – ჩაიცინა.

– ეკვატორული თუ ჰორიზონტალური? – ჰკითხა დედამ.

თალიას თვალებში გაოცებამ გაიელვა. უეცრად რაღაც იცნო. გეგონებოდათ, უცხო ქვეყანაში ხალხით გადაჭედილ ქუჩაში სეირნობდა და მოულოდნელად მის ყურს მშობლიურ ენაზე ნათქვამი სიტყვა მისწვდა.

– ჰორიზონტალური, – თქვა უცნაური, სველი ხმით.

– გნომონად რა გამოიყენე?

თალიამ დედაჩემს შეხედა.

– საფოსტო ბარათი დავჭერი.

პირველად მაშინ მივხვდი, რომ ურთიერთობა აეწყობოდათ.

– პატარა რომ იყო, სათამაშოებს ნაწილებად შლიდა, – თქვა მადალინმა, – მექანიკური სათამაშოები მოსწონდა, შიგნით რომ უცნაური მოწყობილობები აქვთ, მაგრამ არ თამაშობდა, არა, საყვარელო? როგორც კი მივცემდით

სათამაშოს, მაშინვე ტეხავდა, შუაზე ხსნიდა, არ იცით, როგორ ვბრაზობდი, მაგრამ ანდრეასი მეუბნებოდა, მის სანაქებოდ უნდა ითქვას, ნუ აუკრძალავ, ეს მის გონიერებაზე მიანიშნებსო.

– თუ გინდა, ერთად ავაგოთ მზის საათი, – უთხრა თალიას დედამ.

– არ მინდა, უკვე ვიცი.

– როგორ იქცევი, საყვარელო, – თქვა მადალინმა. ჯერ გამართა და მერე მოხარა ფეხი, თითქოს საცეკვაოდ ემზადებოდა, – დეიდა ოდის უნდა, რომ დაგეხმაროს.

– მაშინ რამე სხვა გავაკეთოთ, – თქვა დედამ.

– ოჰ, ოჰ, – წამოიძახა მადალინმა, სიგარეტის კვამლი სწრაფად, სტვენა-სტვენით ამოუშვა, – როგორ დამავიწყდა! შენთვის არ მითქვამს, ოდი, ახალი ამბავი მაქვს. აბა, თუ მიხვდები!

დედამ მხრები აიჩეჩა. – კინოს ვუბრუნდები! როლი შემომთავაზეს, მთავარი, დიდ პროექტში! წარმოგიდგენია? – გილოცავ! – უსიცოცხლო ხმით თქვა დედამ.

– სცენარი თან მაქვს. წაგაკითხებ, ოდი, მაგრამ ვშიშობ, არ მოგეწონება, იცოდე, ეს გამანადგურებს, არ უნდა მეთქვა, ვერ გადავიტან. გადაღება შემოდგომაზე იწყება.

მეორე დღეს საუზმის შემდეგ დედამ გვერდზე გამიყვანა. – რა არის ეს? რა გემართება? არაფერი მესმის-მეთქი, ვუთხარი.

– შეეშვი ამ სისულელეს, მორჩი! არ გიხდება, – თქვა მან. ჩვევად ჰქონდა, თვალებს მოწკურავდა და თავს ოდნავ გვერდზე გადახრიდა. ეს გამოხედვა დღემდე მოქმედებს ჩემზე.

– არ შემიძლია, დედა, ნუ მაიძულებ.

– და რატომ არ შეგიძლია? ამიხსენი.

თავისთავად აღმომხდა, სანამ რამეს მოვიფიქრებდი:

– ურჩხულია.

დედას პირი დაუპატარავდა. გაბრაზებული კი არა, იმედგაცრუებული მიცქერდა. თითქოს მთელი სასიცოცხლო ძალა ერთბაშად დაეშრიტა. ამ გამოხედვაში კიდევ იგრძნობოდა ერთი რამ – მარცხი. ფარხმალდაყრილი მოქანდაკესავით ჩაქუჩსა და საჭრეთელს ჰყრის, რადგან ვერაფერს გახდა ურჩი ქვის ნატეხთან, ვეღარასოდეს გამოჩორკნის იმას, რაც ჩაიფიქრა.

– მან საშინელება გადაიტანა. ერთი გავიგო, რომ კიდევ დაუძახე ეგ სახელი, ნახავ, რაც მოგივა.

ოდნავ მოგვიანებით მე და თალია კედლებს შუა მოქცეულ ქვაფენილზე მივაბიჯებდით. რამდენიმე ნაბიჯით წინ ვუსწრებდი. არ მინდოდა,

ჩამვლელებს ან, ღმერთო მაპატიე,

შემთხვევით ჩემს სკოლელ ბიყებს შევხვედროდი და ეფიქრათ, რომ ერთად ვიყავით. ყველა შემთხვევაში მიხვდებოდნენ, მაგრამ მანძილი ხაზს უსვამდა, რომ მაინცდამაინც არც მსიამოვნებდა და არ მეხალისებოდა მასთან ერთად სიარული. კიდევ კარგი, თალია დაწევას არ ცდილობდა. ბაზრიდან სახლში მომავალ დაღლილ, მზეზე გარუჯულ გლეხებს ჩავუარეთ. სახედრებს გაუყიდავი პროდუქტით სავსე მოწნული კალათები ჰქონდათ აკიდებული, ბილიკზე ჩლიქების პაკაპუკით მიდიოდნენ. გლეხების უმეტესობას ვიცნობდი, მაგრამ ახლა თავი დახრილი მქონდა და ვცდილობდი, თვალი ამერიდებინა.

თალია სანაპიროზე წავიყვანე. კლდოვანი სანაპირო ავირჩიე. იქ ხშირად დავდიოდი ხოლმე და ვიცოდი, რომ ნაკლები ხალხი იქნებოდა, ვიდრე აგიოს რომანოსზე. შარვლის ტოტები ავიკეცე. ერთი ლოდიდან მეორეზე ვხტოდი. ბოლოს ერთ დიდ ქვაზე გავჩერდი. ქვას ტალღები ეხეთქებოდა და მერე ისევ უკან იხევდა. ფეხსაცმელი გავიხადე, ქვებს შორის დაბალ წყალში ჩავდექი. კიბორჩხალა დაფრთხდა და ფეხებშორის გამიძვრა. თალია იქვე, ლოდზე მოკალათდა. ჩუმად ვისხედით. ოკეანე ხმაურით უტევდა კლდეებს. სუსხიან ქარს ზუზუნით მოჰქონდა მარილის არომატი. მომწვანო-ლურჯ წყალს ფრთებგაშლილი ვარხვი დასტრიალებდა თავს. ორი ქალი ერთმანეთის გვერდით იდგა დაბალ წყალში. ქვედატანები მუხლებამდე ჰქონდათ აწეული. დასავლეთით კუნძული ჩანდა – თეთრი სახლები, ქარის წისქვილები, ქერის მწვანე ყანები, მკრთალი ყავისფერი მთები, სადაც ნაკადულები იღებდნენ სათავეს. მამაჩემი მთაში მოკვდა. მწვანე მარმარილოს კარიერზე მუშაობდა. როცა დედა ჩემზე ექვსი თვის ფეხმძიმე იყო, ფრიალო კლდეზე ასრიალებულა და ასი ფუტის სიმაღლიდან გადავარდნილა. თურმე უსაფრთხოების ღვედის შეკვრა დავიწყებია.

– შეწყვიტე, – თქვა თალიამ.

ძველ, მოთუთიებულ სათლში კენჭებს ვყრიდი. უცებ შევკრთი. ავაცილე. – შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

– პირფერობას მორჩი. შენზე მეტად მე არ მინდა.

ქარი თმას უწეწავდა. ნიღაბი ხელით ეჭირა. ვიფიქრე, ალბათ ასე ცხოვრობს, სულ ეშინია, რომ ქარი ნიღაბს მოსტაცებს და გაშიშვლებული სახით მოუწევს გამოდევნება. არაფერი

ვუპასუხე. კენჭი ვისროლე და ავაცილე. – ვირი ხარ, – თქვა მან.

ცოტა ხანში წამოდგა. არ შევიმჩნიე. ვითომ დარჩენას ვაპირებდი. მერე თვალი გავაპარე და დავინახე, რომ გზისკენ მიდიოდა. ფეხსაცმელი ჩავიცვი და უკან გავედევნე.

რომ დავბრუნდით, დედა სამზარეულოში ბამის კეპავდა. მადალინი იქვე იჯდა. ფრჩხილებზე ლაქს ისვამდა და ეწეოდა. ლამბაქზე აფერფლებდა. უცებ შემეშინდა, ეს ლამბაქი ფაიფურის ჭურჭლის კომპლექტის ნაწილი იყო. დედაჩემმა ბებიამისისგან მემკვიდრეობით მიიღო. მთელ მის ავლადიდებაში

ამ სერვიზზე ძვირფასი არაფერი იყო. ჭერთან მიბჯენილ ბოლო თაროზე ინახავდა და შეიძლება ითქვას, არასოდეს იყენებდა.

მადალინი ნაფაზებს შორის ფრჩხილებს სულს უბერავდა და სამხედრო გადატრიალების შესახებ ლაპარაკობდა. იმ წელს სამმა პოლკოვნიკმა – პატაკოსმა, პაპადოპულოსმა და მაკარეზოსმა ათენში სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს. მადალინი ამბობდა, რომ პირადად იცნობდა ერთ დრამატურგს, „ძალიან, ძალიან კარგ კაცს“, რომელიც მავნებლური კომუნისტური საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს.

– სისულელეა, რასაკვირველია! უბრალოდ სისულელე! იცი, ხალხი რომ აალაპარაკოს, რას აკეთებს საბერძნეთის სამხედრო პოლიცია? – ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს სამხედრო პოლიციელები სადღაც ახლოს იყვნენ ჩასაფრებული.

– ხალხს უკან მილს უკეთებენ და შიგ დიდი ნაკადით წყალს უშვებენ. მართლა ასეა, ოდი, ვფიცავ. ჩვრებს ყველაზე საზიზღარ სიბინძურეში – ადამიანის ყველაზე მყრალ სიბინძურეში – ალბობენ და ხალხს პირში სტენიან.

– საშინელებაა, – ემოციის გარეშე თქვა დედამ.

საინტერესო იყო, უკვე დაღალა თუ არა დედა მადალინმა თავისი გაზვიადებული პოლიტიკური მოსაზრებებით, პარტიული შეხვედრების ამბებით, რომელსაც ის და მისი მეუღლე ესწრებოდნენ, პოეტებით, ინტელექტუალებით, მუსიკოსებით, ვისთანაც ერთად შამპანურს სვამდა, უცხო ქალაქებით, სადაც უმიზნოდ მოგზაურობდა, ბირთვულ კატასტროფაზე, ჭარბმოსახლეობასა და ჰაერის დაბინძურებაზე გამოთქმული მოსაზრებებით. დედას მადალინი ნებაზე ჰყავდა მიშვებული, შემწყნარებლურად ექცეოდა. ღიმილით, ოდნავ დაბნეული უსმენდა მის ლაპარაკს, მაგრამ ვიცოდი, რომ მასზე კარგი წარმოდგენა არ ჰქონდა. დედა ხვდებოდა, რომ მადალინი ბაქიბუქობდა, თამაშობდა და ამის გამო უხერხულობას განიცდიდა.

ეს არის, რაც დედაჩემის მიერ ჩადენილ სიკეთეს ხიბლს უკარგავს, მის სიმამაცესა და სხვების გადარჩენის სურვილს ჩრდილავს – ვალში გაგდებს, თავის მოთხოვნებს გიყენებს, ტვირთს გკიდებს. სიკეთეს ვალუტასავით იყენებს, გაცვლით გარიგებას აწარმოებს, სანაცვლოდ მორჩილებასა და ერთგულებას ითხოვს. ახლა ვხვდები, წლების წინ რატომ წავიდა მადალინი. თოკი, რომელმაც ოდესღაც მორევიდან ამოათრია, კისერზე ყულფივით შემოეჭირა. დედას ბოლოს მაინც იმედს უცრუებს ყველა, ჩემი ჩათვლით. ვალს ვერავინ უბრუნებს ისე, მას რომ უნდა. თავს იმით ინუგეშებს, რომ მართალია. კმაყოფილებას განიცდის, რადგან სტრატეგიულ უპირატესობას ფლობს და ხელის ერთი მოსმით შეუძლია განაჩენის გამოტანა.

სევდას მგვრის ეს ყველაფერი. მესმის, რა სჭირდება, რა აღელვებს, ვიცი, სიმარტოვის ეშინია, თავზარს სცემს იმაზე ფიქრი, რომ მიაგდებენ, მიატოვებენ. და ჩემზე როგორ მეტყველებს ეს ამბავი? ზუსტად ვიცი, რას გრძნობს, რა უნდა, მაგრამ განზრახ გავურბივარ. ოცდაათი წელია ოკეანე,

კონტინენტი ან, უფრო სწორად, ოკეანეები და კონტინენტები მაშორებს მასთან.

– ხუნტა ვერც ხვდება, რამდენი ირონიაა მათ საქციელში, – აგრძელებს მადალინი, – ხალხს ასე მოექცე საბერძნეთში, იქ, სადაც დემოკრატიის აკვანი დაირწა… ოჰ, მოხვედით? როგორ გაერთეთ? რას აკეთებდით?

– სანაპიროზე ვთამაშობდით.

– კარგი იყო? გაერთეთ? – ძალიან, – თქვა თალიამ.

დედამ სკეპტიკური მზერა ჩემგან თალიაზე გადაიტანა. სამაგიეროდ, მადალინი ბედნიერებას ასხივებდა, ტაშიც კი დაუკრა.

– რა კარგია! აღარ მომიწევს თქვენს ურთიერთობაზე დარდი. ახლა შეიძლება, მე და ოდიმ ერთმანეთს დავუთმოთ დრო. რას იტყვი, ოდი? იმდენი დრო გვაქვს ასანაზღაურებელი!

დედამ თავშეკავებულად გაიღიმა და კომბოსტოს თავს დასწვდა.

იმ დღიდან მე და თალია ერთმანეთს მიგვანდეს და თავი დაგვანებეს. კუნძულის შესწავლა, სანაპიროზე თამაში, ერთმანეთის გართობა – სულ ეს იყო, რაც ჩვენ მოგვეთხოვებოდა. დედა სენდვიჩებს გვიწყობდა ჩანთაში და საუზმის შემდეგ სახლიდან გავდიოდით. თვალს მოვეფარებოდით თუ არა, ერთმანეთისგან შორიახლოს ვაგრძელებდით გზას. სანაპიროზე რომ ჩავიდოდით, პერანგს ვიხდიდი და ვცურავდი, ან ლოდზე გავწვებოდი ხოლმე. თალია კენჭებს აგროვებდა და ლოდიდან ლოდზე ხტოდა. უნდა ვთქვა, რომ მაღალი ტალღების გამო ეს სახიფათო იყო. მერე ვენახებისა და ქერის ყანებისკენ გველივით დაკლანილ საცალფეხო ბილიკს გავუყვებოდით ხოლმე, თან საკუთარ ჩრდილებს ვუყურებდით და ჩვენ-ჩვენ საფიქრალს ვფიქრობდით. უმეტესად, უბრალოდ დავხეტიალობდით. იმ დროს ტინოსზე ტურისტული ინდუსტრია ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. მთელი კუნძული სოფელივით იყო. ხალხს თავი ძროხებით, თხებით, ზეთისხილითა და ხორბლით გაჰქონდა. გვწყინდებოდა. ჩამოვსხდებოდით სადმე ხის ან ქარის წისქვილის ჩრდილქვეშ და ჩუმად ვჭამდით სენდვიჩებს, თან ხეობებს, ეკლიანი ბუჩქებით სავსე მინდვრებს, მთებს და ზღვას ვუცქერდით.

ერთ დღეს ქალაქისკენ წავედი. ჩვენ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთით ვცხოვრობდით, ქალაქ ტინოსისგან რამდენიმე მილის დაშორებით. ქალაქში ერთი მაღაზია ვიცოდი, სადაც ათასი წვრილმანი და ძველმანი იყიდებოდა. მისი მეპატრონე, ბატონი რუსო, ქვრივი იყო. ამ მაღაზიის ვიტრინაში ნებისმიერ დროს დაინახავდით უამრავ ნივთს: 1940 წელს გამოშვებულ საბეჭდ მანქანას, ტყავის სამუშაო ფეხსაცმელს, ფლუგერს, მცენარის ძველ სადგამს, უზარმაზარ ცვილის სანთელს, ჯვარს და რასაკვირველია, ხარების ხატის ასლებს. თითბერის გორილას ნახვაც კი შეიძლებოდა. მეპატრონე ფოტოგრაფიც იყო და მაღაზიის უკან ფოტოლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი. ტინოსზე ხატის მოსალოცად ჩამოსულ პილიგრიმებს ის სურათებს უღებდა და ფირს ჰყიდდა. მსურველებს თავის ლაბორატორიაში ზედმეტი გადასახადის ფასად ფირებს უმჟღღავნებდა. ერთი თვის წინ

ფოტოაპარატი შევნიშნე მაღაზიის ვიტრინაში. აპარატი გაცვეთილ ჟანგისფერ ბუდეში იჯდა. რამდენიმე დღეში ერთხელ ჩავუვლიდი ხოლმე ვიტრინას და კამერას ვაკვირდებოდი. წარმოვიდგენდი, რომ მხარზე ფოტოაპარატის ბუდე მაქვს გადაკიდებული, ინდოეთში ვარ და ბრინჯის ყანებსა და ჩაის პლანტაციებს სურათებს ვუღებ. ისე, როგორც ნატიონალ გეოგრაპჰიც-ის ფურცლებზე მინახავს. მერე აქლემით, ძველი სატვირთო მანქანით ან ფეხით ვმოგზაურობ. სურათებს ვუღებ ინკების ბილიკს, პაპანაქება სიცხეში პირამიდებს და სფინქსებს შევცქერი. ფოტოებს ვიღებ. შემდეგ ჟურნალის პრიალა ფურცლებს ვშლი, ჩემი გადაღებული ფოტოებია დაბეჭდილი. ამ ოცნებამ მიმიყვანა რუსოს მაღაზიასთან. დაკეტილი დამხვდა. შუბლი ვიტრინას მივაბჯინე და ისევ

ოცნებამ წამიღო. – რას უყურებ? ცოტა უკან დავიწიე. სარკიდან თალია მიცქერდა, მარცხენა ლოყას ხელსახოცით იწმენდდა. – ფოტოაპარატს. – C3 არგუსს ჰგავს. – შენ რა იცი?

– ეს, ბოლო ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, ოცდათხუთმეტმილიმეტრიანებს შორის მსოფლიოში ყველგან ყველაზე კარგად იყიდება, – თქვა ოდნავ გაღიზიანებულმა თალიამ, – რა საყურებელია, უშნოა, აგურს ჰგავს. ფოტოგრაფობა გინდა, როცა გაიზრდები? დედაშენი ასე ამბობს.

შემოვტრიალდი. – დედაჩემმა გითხრა? – მერე რა?

მხრები ავიჩეჩე. ცოტა დავიბენი. დედამ ამის შესახებ თალიასთან ისაუბრა? ნეტავ როგორ თქვა? ალბათ დაცინვის ხერხების თავისი არსენალიდან შეარჩია რაღაც, რასაც მაშინ იყენებდა, როცა უნდოდა, რომ ხაზი გაესვა, რამდენად გაზვიადებული ან ფუქსავატური იყო მოსაზრება. დედას უნარი ჰქონდა, შენს თვალწინ ჩაეკლა აღმაფრენა. „მარკოსს უნდა, რომ ქვეყანა შემოიაროს და თავის ობიექტივზე აღბეჭდოს“.

თალია ტროტუარზე ჩამოჯდა და მუხლებზე კაბა გადაიფარა. ცხელოდა. მზე ისე იკბინებოდა, თითქოს კბილები ჰქონდა. მოხუცებული წყვილის გარდა, რომელიც ძლივძლივობით დაჩანჩალებდა, გარეთ თითქმის არავინ იყო. ქმარს – დემისს, თუ რაღაც ამგვარს – ნაცრისფერი ბრტყელი ქუდი ეხურა და სეზონისთვის შეუფერებელი ყავისფერი ტვიდის ჟაკეტი ეცვა. გაყინული ფართოდ გახელილი თვალებით იცქირებოდა. ასეთი გამომეტყველება ხშირად აქვთ მოხუცებს. გაოცებული არიან საზიზღარი სიურპრიზით, რასაც სიბერე ჰქვია. წლების შემდეგ, სამედიცინო სკოლაში მივხვდი, რომ პარკინსონის დაავადება ჰქონდა. გვერდით ჩაგვიარეს და ხელი დაგვიქნიეს. პასუხად მეც დავუქნიე ხელი. დავინახე, რომ თალია შენიშნეს. ნაბიჯები შეანელეს, შემდეგ გაგვეცალნენ.

– აპარატი გაქვს? – მკითხა თალიამ. – არა.

– ოდესმე გადაგიღია ფოტო?

– არა.

– და ფოტოგრაფი გინდა რომ გამოხვიდე? – უცნაურია?

– ცოტა.

– პოლიციელობა მინდა-მეთქი, რომ მეთქვა, ისიც უცნაური იქნებოდა? აუცილებლად ვინმე უნდა დავიჭირო და ხელბორკილი დავადო, რომ პოლიციელობა მინდოდეს?

დავინახე, როგორ შეეპარა სითბო თვალებში. რომ შეძლებოდა, აუცილებლად გაიღიმებდა.

– ჭკვიანი ვირი ხარ, – თქვა მან, – გირჩევ, დედაჩემთან არ ახსენო აპარატი, თორემ გიყიდის. ის მზადაა, რომ გასიამოვნოს.

ცხვირსახოცით ისევ შეიმშრალა ლოყა. – მაგრამ ოდელია ამას არ დაუშვებს, ალბათ ხვდები.

მიკვირდა, ასე ცოტა ხანში როგორ მოახერხა და ზუსტად გაერკვა ყველაფერში. ალბათ ნიღბის უპირატესობა ესაა, გფარავს, აკვირდები, სწავლობ.

– მაინც უკან დაგაბრუნებინებს.

ამოვიოხრე. მართალი იყო. დედა ასე მარტივად სარგებლის მიღებას არ დაუშვებდა. განსაკუთრებით, თუ საქმე ფულს ეხებოდა.

თალია წამოდგა და კაბიდან მტვერი ჩამოიფერთხა.

– მითხარი, სახლში ყუთი გაქვს?

მადალინი დედასთან ერთად სამზარეულოში ღვინოს წრუპავდა. მე და თალია ზევით ვიყავით. ფეხსაცმლის ყუთს შავი მარკერებით ვღებავდით. ყუთი მადალინის ახალი ლაიმისფერ-მწვანე გამოსასვლელი ფეხსაცმლის იყო. ფეხსაცმელი ჯერ ისევ ქსოვილში იყო გახვეული.

– სად აპირებდა ამ ფეხსაცმლის ჩაცმას? – ვკითხე მე.

ქვედა სართულიდან მადალინის ხმა ამოდიოდა. სამსახიობო ხელოვნების კურსების

შესახებ ჰყვებოდა. ერთხელ ინსტრუქტორს უთხოვია, ქვაზე უძრავად გაშეშებული ხვლიკი განასახიერეო. თქვა და თან გულიანად გაიცინა.

მე და თალია უკვე მეორე ფენას ვუსვამდით. თალიამ თქვა, მესამეც საჭიროა, რომ ლაქები არ დაემჩნეს, შავი საღებავი ერთგვაროვნად და თანაბრად უნდა განაწილდესო.

– სულ ეს არის ფოტო აპარატი, მეტი კი არაფერი, – თქვა თალიამ, – შავი ყუთი პატარა ხვრელით, რომ სინათლე შევიდეს და საგანი, რომელიც სინათლეს აირეკლავს. ნემსი მომეცი.

დედაჩემის ნემსი მივაწოდე. ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, არ მჯეროდა, რომ სახლში ფოტოაპარატის დამზადება შეიძლებოდა. მეტი არაფერი იყო საჭირო? ფეხსაცმლის ყუთი და ნემსი? მაგრამ თალია ისეთი

შემართებითა და თავდაჯერებით მიუდგა საქმეს, იძულებული ვიყავი, რომ დამეშვა ამის შესაძლებლობა. თალიამ მელე დამარწმუნა, რომ ისეთი რაღაცები იცოდა, რაზეც მე წარმოდგენა არ მქონდა.

– გამოვითვალე, – თქვა თალიამ, თან ყუთი ფრთხილად გაჩხვლიტა ნემსით. ლინზის გარეშე საჭირო ზომას ვერ მივიღებთ, ყუთი ძალიან გრძელია, სიგანე კი ისეთია, როგორიც საჭიროა. მთავარია, ხვრელის ზომა დავიცვათ. ჩემი გათვლებით, დაახლოებით 0.6 მილიმეტრი უნდა იყოს. ახლა საფარი გვჭირდება.

ქვევით მადალინის ხმამ დაიწია. ჩურჩულებდა. არ მესმოდა, რას ამბობდა, მაგრამ აშკარად უფრო ნელა ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვას ტკეპნიდა, მკაფიოდ გამოთქვამდა. წარმოვიდგინე, რომ წინ არის გადაწეული, იდაყვებით მუხლებს ეყრდნობა, დედას თვალდაუხამხამებლად უყურებს. წლების შემდეგ კარგად შევისწავლე ლაპარაკის ეს მანერა. როცა ადამიანები ასე ლაპარაკობენ, ისინი რაღაცას ამხელენ, აღიარებენ, სინამდვილეს აშიშვლებენ, თანამოსაუბრეს რაღაცას სთხოვენ. ასე ლაპარაკობენ სამხედრო პირები, როდესაც მავანის და მავანის კართან უბედური შემთხვევის სათქმელად მიდიან; იურისტები, როცა კლიენტებს თანამშრომლობის სიკეთეში არწმუნებენ; პოლიციელები, რომლებიც დილის სამ საათზე მანქანას აჩერებენ; მოღალატე ქმრები… მე თვითონ რამდენჯერ მისაუბრია ასე ქაბულში, საავადმყოფოში, რამდენჯერ დამირწმუნებია ოჯახები ოთახში გამომყოლოდნენ, წყნარად დამსხდარიყვნენ. მეც მათთან ერთად ვჯდებოდი და ძალას ვიკრებდი, რომ მათთვის ავადმყოფის მდგომარეობა შემეტყობინებინა.

– ანდრეასზე ჰყვება, – თქვა თალიამ, – შემიძლია დაგენაძლევო, დიდი ჩხუბი ჰქონდათ. ეგ წებოვანა და მაკრატელი მომაწოდე.

– რა კაცია? ჰო, გარდა იმისა, რომ მდიდარია?

– ვინ, ანდრეასი? – არა უშავს, კარგი კაცია. ბევრს მოგზაურობს. როცა სახლშია, სულ სტუმრები ჰყავს. მნიშვნელოვანი ტიპები, ხომ იცი, მინისტრები, გენერლები. ბუხართან სვამენ და მთელი ღამე ლაპარაკობენ, უმეტესად ბიზნესსა და პოლიტიკაზე. მათი ლაპარაკი ჩემს ოთახში ისმის. როცა სტუმრები ჰყავს, ქვევით არ მიშვებენ, მაგრამ საჩუქრებს ყიდულობს ხოლმე ჩემთვის. რეპეტიტორების ფულს იხდის და კარგად მექცევა.

მუყაოს სამკუთხედი ნაჭერი ხვრელის ზევით დააწება. ეს ნაჭერიც წინასწარ შევღებეთ შავად.

ქვევით სიწყნარე იყო. გონებაში მთელი სცენის ქორეოგრაფია დავდგი. მადალინი უხმოდ ტირის, ხელში ცხვირსახოცი უჭირავს და პლასტელინივით ათამაშებს. დედა ვერაფერი დიდი დახმარებაა, დაძაბული სახით, გაშეშებული ზის, სახეზე ოდნავ, მაგრამ მაინც ღიმილი ეტყობა;

გეგონებათ, ენის ქვეშ რაღაც მჟავე აქვს ამოდებული და ნელ-ნელა დნება. დედა ვერ იტანს, როცა სხვისი თანდასწრებით ტირიან. მათი დასიებული თვალების და მავედრებელი გამომეტყველების შეხედვაც კი არ უნდა. მისი

აზრით ტირილი სისუსტის გამოხატულებაა, ყურადღების მიქცევის მოურიდებელი ხერხი, ამას დედა ვერ მიიღებს, თანაგრძნობას ვერავის გაუწევს. რომ წამოვიზარდე, მივხვდი, ეს არ იყო დედაჩემის ერთადერთი ძლიერი მხარე. მწუხარება შენთან უნდა დარჩეს, დროშასავით კი არ უნდა აფრიალოო, – ამბობდა დედა. ერთხელ, პატარა რომ ვიყავი, ვკითხე, იტირა თუ არა, როცა მამაჩემი კლდიდან გადმოვარდა.

– დასაფლავებაზე? არა, არ მიტირია.

– რატომ? არ იყავი დამწუხრებული?

– იმიტომ, რომ სხვისი საქმე არ იყო, დამწუხრებული ვიყავი თუ არა.

– მე რომ მოვკვდე, იტირებ, დედა?

– იმედი ვიქონიოთ, რომ ამის გარკვევა არასოდეს მოგვიწევს.

თალიამ ფოტოქაღალდის კოლოფი აიღო და ფანარის მოსატანად გამაგზავნა. დედაჩემის საკუჭნაოში გადავინაცვლეთ. კარი ჩავკეტეთ და ღრიჭოები პირსახოცებით დავგმანეთ. სრულ სიბნელეში რომ ავღმოვჩნდით, ფანარი ჩავრთეთ, რომელსაც წინასწარ რამდენიმე ფენა წითელი ცელოფანი გადავაკარით. მკრთალ სინათლეზე მხოლოდ თალიას თხელ თითებს ვხედავდი. მან ფოტოფირი ყუთში ხვრელის წინ ჩაამაგრა. ფირი ერთი დღის წინ რუსოს მაღაზიაში ვიყიდეთ. დახლთან რომ მივედით, ბატონმა რუსომ თალიას სათვალის ზევიდან გადმოხედა და თქვა: – დაყაჩაღება იყო? – თალიამ საჩვენებელი თითი მისკენ გაიშვირა და ცერა თითით ჩახმახი შეაყენა.

თალიამ ყუთს სახურავი დაახურა, ხვრელი დაფარა და სიბნელეში თქვა:

– ხვალ შენი კარიერა იწყება, პირველ ფოტოს გადაიღებ.

ვერ გეტყვით, ხუმრობდა თუ არა.

ფოტოსესიისთვის სანაპირო შევარჩიეთ. ფეხსაცმლის ყუთი ბრტყელ ლოდზე დავდეთ და თოკით დავამაგრეთ. თალიამ მითხრა, როცა საფარს ავხდიდით, ყუთის გამოძრავება დაუშვებელიაო. მერე გვერდით დამიდგა, ყუთს ზევიდან ისე დახედა, თითქოს ფოტოკამერის ხედის მაძიებელში იყურებოდა.

– გადასარევი კადრია, – თქვა მან.

– თითქმის. მოდელი გვჭირდება, – ვთქვი მე.

შემომხედა. მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი.

– არა, მე არა.

ცოტა ვიკამათეთ და ბოლოს დამთანხმდა. მხოლოდ იმ პირობით, რომ კადრში სახე არ გამოჩნდებოდა. ფეხსაცმელი გაიხადა. კამერიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ლოდები იყო ჩამწკრივებული. ზედ აძვრა, ხელები ბაგირზე მოსიარულესავით ჰქონდა გაშლილი, მერე ერთი ლოდი შეარჩია, რომელიც სამხრეთისკენ – სიროსისა და კითნოსისკენ – იყურებოდა და

დაჯდა. თმა გაიშალა, რომ კეფაზე ნიღბის შესაკრავი ზონრები დაემალა. მხრის ზევიდან გადმომხედა და მითხრა:

– დაიმახსოვრე, ას ოცამდე უნდა დაითვალო. სახე ზღვისკენ მიაბრუნა.

ყუთისკენ დავიხარე. თალიას ზურგს ვუცქერდი, მის გარშემო უამრავ ლოდებს შორის წყალმცენარეები მკვდარი გველებივით ჩახლართოდნენ ერთმანეთს, შორს პატარა საბუქსირე გემი ტივტივებდა, მოქცევა ძლიერდებოდა, კლდოვან ნაპირს წყალი აწყდებოდა და ისევ უკან იხევდა. ყუთის ხვრელს საფარი მოვხსენი და თვლა დავიწყე.

ერთი… ორი… სამი… ოთხი… ხუთი…

საწოლში ვწევართ. ტელევიზორის ეკრანზე აკორდეონისტების წყვილი დუეტში უკრავს, მაგრამ ჯანამ ხმას დაუწია. შუადღის მზე ფარდაში იჭრება, ზოლებად ეცემა პიცა „მარგარიტას“ნარჩენებს. ნომერში შევუკვეთეთ. მაღალმა, გამხდარმა კაცმა მოგვიტანა. მონდომებით დავარცხნილი სლიპინა თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი, თეთრი პიჯაკი ეცვა და შავი ჰალსტუხი ეკეთა. ოთახში მაგიდა შემოაგორა, ზედ თხელი შუშის ლარნაკი იდგა ერთი წითელი ვარდით. პიცაზე დამხობილი თაღოვანი თავსახური დიდის ამბით ახადა, ხელი ისე მოიქნია, როგორც ჯადოსანმა, რომელმაც ეს ესაა ცილინდრიდან კურდღელი ამოიყვანა.

ჩვენ გარშემო დაჭმუჭნილ ზეწრებზე ფოტოებია მიმოფანტული, ჯანას ვათვალიერებინებ. ფოტოებზე ძირითადად ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჩემი მოგზაურობაა აღბეჭდილი – ბელფასტი, მონტევიდეო, ტანჟერი, მარსელი, ლიმა, თეირანი. კოპენჰაგენის კომუნაში გადაღებულ ფოტოს ვაჩვენებ, რომელსაც ცოტა ხნით შევუერთდი. დანიელი ბიტნიკების გვერდით ვცხოვრობდი, მათსავით დაგლეჯილი მაისურები მეცვა და ნაქსოვი ქუდი მეხურა. ბიტნიკებმა თვითმმართველი კომუნა შექმნეს ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე.

– სად ხარ? – მეკითხება ჯანა, – შენ არ ჩანხარ ამ ფოტოებზე.

– მე ობიექტივის მიღმა ყოფნა მირჩევნია, – ვამბობ მე და ეს სიმართლეა. ასობით ფოტო გადავიღე და ვერცერთში მიპოვით. ფირს როცა ვაბეჭდინებ, ყოველთვის ორ ეგზემპლარს ვუკვეთავ. ერთს ჩემთვის ვიტოვებ, მეორეს კი სახლში, თალიასთან ვგზავნი.

ჯანას აინტერესებს, რა სახსრებით ვმოგზაურობ. ვუხსნი, რომ მემკვიდრეობით მიღებული ფულით ვიხდი. ესეც სიმართლეა, ოღონდ ნაწილობრივ. თალიამ მიიღო მემკვიდრეობა. ანდრეასის ანდერძში მადალინი, ცნობილი მიზეზების გამო, ნახსენებიც კი არ იყო. სამაგიეროდ თალია იყო. მან თავისი ფულის ნახევარი მე მომცა. უნივერსიტეტში უნდა

ვისწავლო, ხარჯი ამ ფულით უნდა დავფარო. რვა… ცხრა… ათი…

ჯანა იდაყვებს დაეყრდნო და საწოლის მეორე მხარეს გადაიწია. მისი პატარა მკერდი კანზე მომეალერსა. კოლოფს გადასწვდა და სიგარეტს მოუკიდა. ჯანას ერთი დღით ადრე პიაცა-დი-სპანიაზე შევხვდი. ქვის საფეხურზე ვიჯექი.

მოედნიდან გორაკამდე, სადაც ეკლესია დგას, ქვის საფეხურები ადის. ამოაბიჯა და იტალიურად გამომელაპარაკა. ჩვეულებრივი ლამაზი გოგო იყო. ასეთი ბევრი მინახავს, რომის ეკლესიებში და მოედნებზე უმიზნოდ დახეტიალობენ. ბევრს ეწევიან და ხმამაღლა იცინიან. თავი გავაქნიე და ვთქვი: – რა მკითხეთ? გაეღიმა: – ოჰ, – და მძიმე იტალიური აქცენტით ინგლისურად მკითხა: – სიგარეტი? სანთებელა? არა-მეთქი, თავი გავაქნიე და ჩემი აქცენტით დამძიმებული ინგლისურით ვუთხარი, რომ არ ვეწეოდი. გაიცინა. თვალები უციმციმებდა. გვიანი დილის მზე შარავანდედივით ედგა გაბრწყინებულ სახეზე.

ცოტა ხნით ვთვლემ. ნეკნებში მისი ხელის ჩხვლეტას ვგრძნობ და ვიღვიძებ.

– La tua ragazza? შენი მეგობარი გოგონაა? – მეკითხება. თალიას სურათი იპოვა, ის, წლების წინ ხელნაკეთი ფოტოაპარატით სანაპიროზე გადაღებული.

– არა, – ვპასუხობ მე.

– დაა?

– არა.

— La tua cugina? ბიძაშვილია?

თავს ვაქნევ. ფოტოს აკვირდება, თან ღრმა ნაფაზებს არტყამს.

– არა, – ამბობს უეცრად. ჩემდა გასაოცრად, გაბრაზებული ტონით, – ქუესტა 6 ლა ტუა რაგაზზა! ეს შენი მეგობარი გოგონაა! ჰო, მე ასე ვფიქრობ. მატყუარა ხარ!

და შემდეგ, თვალებს არ ვუჯერებ! სანთებელას ანთებს და ფოტოს ცეცხლს უკიდებს. თოთხმეტი… თხუთმეტი… თექვსმეტი… ჩვიდმეტი…

ავტობუსის გაჩერებისკენ უკვე ნახევარი გზა მაქვს გავლილი, როცა ვხვდები, რომ შეიძლება ფოტო დავკარგე. უკან უნდა დავბრუნდე, არჩევანი არ მაქვს. უნდა დავბრუნდე-მეთქი. ალფონსო, გამხდარი ძარღვიანი იVყმ80((ესპ.) ჩილეში უწოდებენ სოფლის მცხოვრებს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული.), რომელიც ჩვენს ჩილელ არაფორმალურ გიდად მოიაზრება, გაოცებული სახით უყურებს გარის. გარი ამერიკელია. ჩვენ სამს შორის გარია ლიდერი. ჭუჭყიანი ქერა თმა და აკნეთი დაბინძურებული სახე აქვს. შეხედავთ თუ არა, მაშინვე მიხვდებით, როგორ ცხოვრებას ეწევა. გარი საზიზღარ ხასიათზეა. ამას შიმშილი ემატება, კიდევ უალკოჰოლობა და საშინელი გამონაყარი წვივზე – ერთი დღის წინ რაღაც

ბუჩქს გამოედო და გაიკაწრა. ორივე მათგანს სანტიაგოში ხალხმრავალ ბარში შევხვდი. Piscolas((ესპ.) გამაგრილებელი სასმელი, ერთგვარი კოქტეილი.) რამდენიმე რაუნდის შემდეგ, ალფონსომ სალტო დელ აპოკინდოში ჩანჩქერის სანახავად წასვლა შემოგვთავაზა, სადაც, თურმე, მამამისს დაჰყავდა, როცა პატარა იყო. ლაშქრობაში მეორე დღესვე წავედით და ღამით ჩანჩქერთან დავბანაკდით. ბალახს ვეწეოდით, წყალი ღრიალებდა,

თავზე უზარმაზარი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაგვცქეროდა. ახლა უკან ვბრუნდებოდით, დაღლილობისგან

ფეხებს ძლივს მივათრევდით. კარლოს დე აპოკინდოში ავტობუსში უნდა ჩავმსხდარიყავით. გარი თავის კორდოვულ ქუდს უკან იგდებს და შუბლს ცხვირსახოცით იწმენდს. – სამი საათის გზაა უკან გასავლელი, მარკოს, – ამბობს ის. — Tres horas, hagale comprender!((ესპ.) სამი საათი, გააგებინე!) – იმეორებს ალფონსო. – ვიცი. – და მაინც ბრუნდები? – ჰო.

– Para ყიმ ICI0272((ესპ.) ერთი ფოტოსთვის?) – აზუსტებს ალფონსო.

თავს ვუქნევ. ჩუმად ვარ. ვიცი, რომ ვერ გაიგებენ. თავადაც არ ვარ დარწმუნებული, რომ მესმის, რასაც ვაკეთებ.

– იცი, რომ შეიძლება დაიკარგო?

– ვიცი.

– აბა, ბედნიერად, ამიგო, – ამბობს გარი და ხელს მართმევს.

– C5 Vი 00890 ICC0,I((ესპ.) შეშლილი ბერძენია.) – ამბობს ალფონსო.

ვიცინი. პირველი შემთხვევა არაა, როცა გადარეულ ბერძენს მეძახიან. ერთმანეთს ხელს ვართმევთ. გარი ზურგჩანთის ღვედებს ასწორებს. მერე ტრიალდებიან და მთებში ჩაკეცილ გზას მიუყვებიან. მკვეთრ მოსახვევში გარი კიდევ ერთხელ უკანმოუხედავად მიქნევს ხელს. ისევ იქით მივდივარ, საიდანაც მოვედი. ოთხი საათი დამჭირდა. როგორც გარიმ იწინასწარმეტყველა, გზა ამებნა და დავიკარგე. ნაბანაკევამდე ძლივს მივათრევ ფეხებს. ქანცგაწყვეტილი ვარ. ყველგან ვეძებ, ბუჩქებში, ქვების ქვეშ, მაგრამ ამაოდ. თანდათან შიში მიპყრობს. უკვე ვცდილობ, რომ უარესს შევეგუო და ამ დროს დამრეც ფერდობზე ბუჩქებს შორის რაღაც თეთრს ვხედავ. ფოტო მაყვლის ბუჩქების ხლართებშია მოქცეული. ფრთხილად ვიღებ, მტვერს ვფერთხავ. თვალზე ცრემლი მადგება.

ოცდასამი… ოცდაოთხი… ოცდახუთი…

კარაკასში ხიდის ქვეშ ვათევ, ბრიუსელში – სტუდენტების საერთო საცხოვრებელში. ზოგჯერ ჯიბეზე ხელს გავიკრავ ხოლმე და კარგ სასტუმროში ვქირაობ ოთახს. აბაზანაში ვნებივრობ, ვიპარსავ, საუზმეს ხალათში ჩაცმული მივირთმევ, ფერად ტელევიზორს ვუყურებ. ქალაქები, გზები, სოფლები. ხალხი, რომელსაც ვხვდები – მათი სახეები თანდათან ფერმკრთალდება. ჩემს თავს ვეუბნები, რომ რაღაცას ვეძებ, მაგრამ სულ უფრო მეტად ვგრძნობ, რომ უბრალოდ დავეხეტები. ვუცდი რაღაცას, რაც მთლიანად შეცვლის ჩემს ცხოვრებას, რაღაცას, რისკენაც ცხოვრებას მივყავარ.

ოცდათოთხმეტი… ოცდათხუთმეტი… ოცდათექვსმეტი…

მეოთხე დღე ინდოეთში. გზააბნეულ საქონელს ვერევი და ბინძურ ქუჩაზე მივბარბაცებ. ჩემს ფეხქვეშ მიწა იზნიქება. მთელი დღეა გული მერევა. კანი გამიყვითლდა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი ცოცხლად მატყავებს. ველარ ვმოძრაობ და გზის პირას ვწვები. მოხუცი კაცი

თუჯის დიდ ქვაბში რაღაცას ურევს. მის გვერდით გალია დგას. გალიაში ლურჯ-წითელი თუთიყუში ზის. მუქკანიანი გარე მოვაჭრე ცარიელი მწვანე ბოთლებით სავსე ურიკას მოაგორებს. ამის მეტი არაფერი მახსოვს.

ორმოცდაერთი… ორმოცდაორი…

დიდ ოთახში ვიღვიძებ. ჰაერს სიცხე ამძიმებს და კიდევ დამპალი ნესვის სუნი. ორადგილიან რკინის საწოლზე ვწევარ. ზამბარები არ აქვს, თხელი წიგნის სისქე მატრასი პირდაპირ რკინის ჩარჩოზეა დაგებული. ოთახი სავსეა ასეთი საწოლებით. ლოგინებიდან გადმოყრილ გაძვალტყავებულ მკლავებს ვხედავ, დალაქავებული თეთრეულიდან გამოჩრილ ჯოხებივით წვრილ ფეხებს, დაღებულ უკბილო პირებს, ჭერში გაშეშებულ ვენტილატორს, კედლებზე ობის ლაქებს. ღია ფანჯრიდან მყრალი ჰაერი შემოდის. მზის შუქი თვალებს მყრის. მედმა – ჩაფსკვნილი, უჟმური მაჰმადიანი, სახელად გული – მეუბნება, რომ მალე შეიძლება ჰეპატიტით მოვკვდე.

ორმოცდათხუთმეტი… ორმოცდათექვსმეტი… ორმოცდაჩვიდმეტი…

ჩემს ზურგჩანთას ვითხოვ.

– რომელი ზურგჩანთა? – გულგრილად ამბობს გული.

ტანსაცმელი, ფული, წიგნები, ფოტოაპარატი – ყველაფერი დაკარგულია.

– სულ ეს არის, რაც ქურდმა დაგიტოვა, – დამტვრეული ინგლისურით მეუბნება გული. თითს

ფანჯრის რაფისკენ იშვერს. ფოტოა. თალია – გაშლილ თმას ქარი უწეწავს. მის გარშემო ქაფიანი წყალი დგაფუნებს, ლოდზე ფეხშიშველი დგას. წინ ეგეოსის ზღვაა. ყელში რაღაც მეჩხირება. არ მინდა აქ სიკვდილი, უცხო ხალხს შორის, მისგან ასე შორს. ფოტოს ფანჯრის მინასა და ჩარჩოს შორის ვამაგრებ.

სამოცდაექვსი… სამოცდაშვიდი… სამოცდარვა…

ჩემ გვერდით საწოლში ბიჭს მოხუცის სახე აქვს. ღონემიხდილი, გამხმარი, დაღარული.

მუცლის ქვედა ნაწილზე ბოულინგის ბურთის ტოლი სიმსივნე აზის. როგორც კი მედმა ეხება, სიმწრისგან თვალებს ხუჭავს და პირიდან ჩუმი, არაადამიანური გმინვა ამოსდის. ამ დილას ერთ-ერთი მედმა ცდილობს წამლები ჩააყლაპოს, მაგრამ ბიჭი თავს აქეთ-იქით აქნევს, ყელიდან ხის ფხეკის მსგავსი ხმა ისმის. ბოლოს მედმა პირს ძალით უღებს და აბებს ტენის. მედმა გადის, ბიჭი თავს ჩემკენ ატრიალებს, ერთმანეთს ვუყურებთ, თვალიდან პატარა ცრემლი სწყდება და ლოყაზე ჩამოსდის.

სამოცდათხუთმეტი… სამოცდათექვსმეტი… სამოცდაჩვიდმეტი…

ტანჯვა და სასოწარკვეთილება აქ ტალღას ჰგავს. საწოლებიდან მოდის, ობიან კედლებს ეხეთქება და ისევ შენკენ ტრიალდება. შეიძლება დაიხრჩო. უმეტესად მძინავს. თუ არა და, დროს ტანის ქავილში ვატარებ. მერე დანიშნულების მიხედვით აბებს ვიღებ. აბები ძილს მგვრის. ხანდახან

პალატის ფანჯრიდან ხმაურიან ქუჩას ვუცქერ, მზის სხივები ბაზრებისა და ქუჩის უკან ჩამალული ჩაიხანების სახურავებზე დახტის. ბავშვები ტროტუარზე კენჭობანას თამაშობენ, კენჭები ბინძურ თხრილებში ცვივა. მოხუცი ქალები სახლების წინ სხედან. ჭილოფის საფენებზე ფეხმორთხმული გარე მოვაჭრეები ქოქოსის კაკლებს ფხეკენ, გამვლელებს ხავერდას გირლანდებს სთავაზობენ. პალატაში ვიღაც გულისგამგმირავად კივის. ისევ ვიძინებ.

ოთხმოცდასამი… ოთხმოცდაოთხი… ოთხმოცდახუთი…

გავიგე, რომ ბიჭს მანაარი ჰქვია – შუქურას ნიშნავს. დედა მეძავი ჰყავდა, მამა – ქურდი. ბიძასთან და ბიცოლასთან ცხოვრობდა. ბიძა სცემდა. არავინ იცის რა, მაგრამ რაღაც კლავს. მის მოსანახულებლად არავინ მოდის და როცა მოკვდება, ერთ კვირაში, ერთ თვეში, ან ყველაზე მეტი, ორ თვეში, მის გვამს არავინ წაიღებს, არავინ იგლოვებს, არავის ემახსოვრება. ვუყურებ ხოლმე, როცა სძინავს, ჩაცვენილ საფეთქლებს, ტანთან შედარებით მეტისმეტად დიდ თავს, ქვედა ტუჩზე მუქ ნაიარევს. გულმა, მედძმამ, მითხრა, რომ თურმე დედამისის სუტენიორს მის ტუჩზე სიგარეტის ჩაქრობა ჰქონდა ჩვევად. ვცდილობ, ინგლისურად დაველაპარაკო, მერე რამდენიმე სიტყვას ურდუს ენაზე ვამბობ, მაგრამ მხოლოდ თვალებს ახამხამებს. ზოგჯერ ხელის მოძრაობებით კედელზე ჩრდილის ცხოველებს გამოვსახავ, იქნებ როგორმე მისი ღიმილი დავიმსახურო.

ოთხმოცდაშვიდი… ოთხმოცდარვა… ოთხმოცდაცხრა…

ერთ დღეს მანაარი ხელს ფანჯრისკენ იშვერს. თვალს მის თითს ვაყოლებ, თავს ვწევ, ვათვალიერებ, მაგრამ ღრუბლებში გახვეული ლურჯი ცის ნაგლეჯის გარდა, ვერაფერს ვხედავ. ქვევით ქუჩის ტუმბოდან ამოტყორცნილ წყლის ჭავლში ბავშვები ჭყუმპალაობენ, ავტობუსი გამონაბოლქვს ისვრის. შემდეგ ვხვდები, რომ თალიას ფოტოსკენ მიმანიშნებს. ფანჯრის ჩარჩოდან ვიღებ და ვაწვდი. დამწვარი კუთხით უჭირავს, სახესთან ახლოს მიაქვს და დიდხანს დასცქერის. ოკეანე ხომ არ იქცევს მის ყურადღებას? მარილიანი წყალი თუ გაუსინჯავს, ნეტავ, ან თავბრუ თუ დახვევია, როცა მიქცევის დროს წყალი ფეხებიდან გეცლება? სახეს ვერ ხედავს, მაგრამ იქნებ მონათესავე სულს გრძნობს მასში. ისეთს, ტკივილი რომ იცის, რა არის. ხელს სწევს და ფოტოს მიბრუნებს. თავს ვაქნევ, – არა, გქონდეს. სახეზე უნდობლობის ჩრდილი ეცემა. მე ვიღიმი. დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ, მგონი, ღიმილს მიბრუნებს.

ოთხმოცდათორმეტი… ოთხმოცდაცამეტი… ოთხმოცდათოთხმეტი…

ჰეპატიტს ვამარცხებ. უცნაურია, ვერ ვხვდები, გულს იმედი გაუცრუვდა თუ ესიამოვნა, რომ შეცდა. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ გაოცებულია, როცა ვთხოვ, მოხალისედ დამტოვოს. თავს სწევს, იღუშება. ბოლოს ერთ-ერთ უფროს მედძმას ვუთანხმდები.

ოთხოცდაჩვიდმეტი… ოთხმოცდათვრამეტი… ოთხმოცდაცხრამეტი…

სააბაზანო ოთახი შარდისა და გოგირდის სუნით ყარს. ყოველ დილას შიშველი მანაარის სხეულს მკლავზე ვიწვენ და სააბაზანოში შემყავს.

ვცდილობ, რომ არაფერი ვატკინო. ჩემამდე ერთი მოხალისე ზურგზე ბრინჯის ტომარასავით მოიგდებდა ხოლმე. სკამზე ფრთხილად ვსვამ და ვუცდი, როდის მოითქვამს სულს. პატარა, სუსტ სხეულზე თბილ წყალს ვავლებ. წყნარად ზის. მოთმინებას იჩენს. ხელის გულები მუხლებზე უწყვია, თავი ჩაქინდრული აქვს. შეშინებულ, გაძვალტყავებულ მოხუცს ჰგავს. საპნიან ღრუბელს გულმკერდზე ვუსვამ, შემდეგ ხერხემალზე, ზვიგენის ლაყუჩებივით ამოყრილ ბეჭებზე. მერე თავის საწოლში ვაწვენ, წამლებს ვასმევ. შვებას ჰგვრის წვივებისა და ტერფების დაზელა, ფრთხილად ვუკეთებ მასაჟს. იძინებს. მისი ბალიშიდან თალიას სურათის კუთხე ჩანს.

ას ერთი… ას ორი… ას სამი…

გარეთ გავდივარ. დიდხანს უაზროდ დავეხეტები ქალაქის ქუჩებში, ოღონდ საავადმყოფოს მოვშორდე, ოღონდ მომაკვდავების კოლექტიური სუნთქვა აღარ გავიგონო… მტვრიან ქუჩებში ბინდდება. გრაფიტით დადღაბნილ კედლებს შორის მივაბიჯებ. ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ თუნუქით გადახურულ დახლებს ვცდები. პატარა გოგოებს თავზე ნეხვით სავსე კალათები ადგათ, გამჭვარტლული ქალები უზარმაზარ ალუმინის ქვაბებში ძონძებს ხარშავენ. ერთმანეთში გადახლართული ვიწრო ქუჩების ლაბირინთში გაბმული ბევრს ვფიქრობ მანაარზე, რომელიც სიკვდილს ელოდება მასსავით სახიჩრებით სავსე ოთახში, თალიაზე, რომელიც ლოდზე ზის და ზღვისკენ იყურება. ვგრძნობ, რომ რაღაც მექაჩება, მითრევს, როგორც წყლისქვეშა დინება, მინდა, რომ წამიღოს, ჩამყლაპოს. მინდა, რომ უარი ვთქვა ჩემს თავზე, ჩემს ყოფაზე, თავიდან მოვიშორო, ტყავიდან ამოვძვრე, გველივით კანი შევიცვალო და იქვე მივაგდო.

ვერ ვიტყვი, რომ მანაარმა შეცვალა ჩემი ცხოვრება. არა. კიდევ ერთი წელი ვიყიალე ამქვეყნად, სანამ ბოლოს ათენის ბიბლიოთეკაში, კუთხის მაგიდასთან დავჯდებოდი და სამედიცინო სკოლის განაცხადს დავუწყებდი კირკიტს. მანაარიდან აპლიკაციამდე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ორი კვირა, რომელიც დამასკოში გავატარე, ორი მოღიმარი, თვალებშეღებილი, ოქროსკბილებიანი ქალის გარდა, არაფერს მახსენებს. კაიროში, ნახევრად დანგრეული სახლის სარდაფში, სამი თვე ვიცხოვრე, სახლის მეპატრონე ერთთავად ჰაშიშით იყო გაბრუებული. ისლანდიაში თალიას ფულს ავტობუსებით მგზავრობაში ვხარჯავდი. მიუნხენში პანკების ჯგუფს ავეტორდიალე. 1977 წელს ბილბაოში ანტიბირთვულ პროტესტს შევუერთდი და იდაყვი

გავიტეხე.

მაგრამ მშვიდ მომენტებში, ავტობუსის უკანა სკამზე ან სატვირთოს ძარაზე, ფიქრით ყოველთვის მანაარს ვუბრუნდები. მისი ბოლო დღეების ტანჯვა და ჩემი უმწეობა ყველაფერს, რაც გამიკეთებია, ან რისი გაკეთებაც მომავალში მინდა, აზრს უკარგავს. ისეთსავე

უმნიშვნელოს ხდის, როგორც ძილის წინ დადებული ფიცია, რომელიც გაღვიძებულს აღარც კი გახსოვს.

ას ცხრამეტი… ას ოცი… სახურავს ვაფარებ.

იმ ზაფხულის ერთ ღამეს გავიგე, რომ მადალინი ათენში მიემგზავრებოდა და თალიას ჩვენთან ტოვებდა, ცოტა ხნით.

– სულ რამდენიმე კვირით, – თქვა მან.

ოთხივე ერთად ვსადილობდით. დედამ და მადალინმა თეთრი ლობიოს წვნიანი მოამზადეს. თალიას შევხედე. მაინტერესებდა, მე ვიყავი ერთადერთი, ვისთვისაც მადალინის გამგზავრება სიახლე იყო, თუ – არა. როგორც აღმოჩნდა, ყველამ ყველაფერი იცოდა. თალია მშვიდად იჯდა, ცალი ხელით ნიღაბს იწევდა და მეორეთი წვნიანი მიჰქონდა პირთან. იმ დროისთვის, მისი ჭამისა და ლაპარაკის მანერა უკვე აღარ მაწუხებდა. ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტად არა, ვიდრე, დავუშვათ, მოხუცს რომ ეჭამა ცუდად მორგებული კბილების პროთეზით, დედაჩემს, მაგალითად, წლების შემდეგ.

მადალინმა თქვა, რომ თალიას წასაყვანად ვიღაცას გამოაგზავნიდა, როგორც კი გადაღება დასრულდებოდა; მისი თქმით, ალბათ შობის დადგომამდე ბევრად ადრე.

– მოდი, ყველა ერთად ჩამოდით ათენში, – სახე მისთვის დამახასიათებელმა მხიარულებამ გაუბრწყინა, – პრემიერაზე ერთად წავალთ! გადასარევი იქნება, არა, მარკოს? ოთხივე ერთად, ლამაზად ჩაცმულები, მედიდური სახით შევაბიჯებთ კინოთეატრში!

დავეთანხმე, კარგი იქნება-მეთქი, მაგრამ კინოთეატრში საგანგებოდ გამოწყობილი დედაჩემი ვერაფრით წარმოვიდგინე. მადალინმა გააგრძელა: – ყველაფერი კარგად იქნება, რამდენიმე კვირაში სკოლა გაიხსნება, თალია სწავლას დაუბრუნდება – რასაკვირველია, სახლში, დედასთან; წერილებს, ბარათებს და ფილმის გადასაღები მოედნის ფოტოებს გამოგიგზავნით.

კიდევ ბევრი რამ თქვა, მაგრამ აღარაფერი გამიგონია. უსაზღვრო შვება ვიგრძენი, სიხარულისგან თავბრუ დამეხვა. ზაფხულის დასრულების შიში მუცელში კვანძივით მქონდა გამონასკვული, ყოველდღე უფრო და უფრო მიჭერდა, გასაქანს არ მაძლევდა. ვცდილობდი, დამშვიდობების დღისთვის თავი წინასწარ შემემზადებინა. დილაობით ერთი სული მქონდა, სამზარეულოს მაგიდასთან თალია დამენახა, მისი უცნაური ხმა გამეგო. საუზმე დამთავრებული არ გვქონდა, რომ უკვე გარეთ ვიყავით გავარდნილი. ხეებზე ავდიოდით, ქერის ყანაში საბრძოლო ყიჟინით დავდევდით ერთმანეთს, დამფრთხალი ხვლიკები ფეხებში გვედებოდნენ, გამოქვაბულებში გამოგონებულ საგანძურს ვმალავდით, ისეთ ადგილებს ვეძებდით, სადაც მთებს ხმამაღალი ექო ჰქონდათ. ჩვენი თვითნაკეთი აპარატით ქარის წისქვილებსა და სამტრედეებს ფოტოებს ვუღებდით, მერე გასამჟღავნებლად ბატონ რუსოსთან მიგვქონდა. ზოგჯერ რუსოს ბნელ ოთახში შევყავდით და სხვადასხვა სამჟღავნისის, ფიქსატორის, ფოტო აბაზანის შესახებ გვიყვებოდა.

იმ ღამეს, როცა მადალინმა თავისი გამგზავრების შესახებ გამოაცხადა, დედასთან ერთად სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა და ერთი ბოთლი ღვინო გახსნა. უმეტესად მადალინი სვამდა. მე და თალია ზევით ვიყავით და ნარდს

ვთამაშობდით. თალიას კარგი პოზიცია ჰქონდა, ქვების თითქმის ნახევარი უკვე თავის მხარეს ჰქონდა გადაზიდული.

– საყვარელი ჰყავს, – თქვა თალიამ და კამათელი გააგორა.

წამოვხტი.

– ვინ? როგორ ფიქრობ, ვინ არის?

ზაფხულის განმავლობაში ვისწავლე, რომ თალიას სახის გამომეტყველება მისი თვალების საშუალებით წამეკითხა. ახლა ისე მიყურებდა, თითქოს სანაპიროზე ვიდექით და მეკითხებოდა, ზღვა სად არისო. ვეცადე, რომ აზრზე მალე მოვსულიყავი.

– ვიცი, ვინც არის, – ვთქვი მე. ლოყებზე ალმური მომედო, – ვინ არის მისი… ხომ იცი…

როცა თორმეტი წლისა ვიყავი, ჩემს ლექსიკონში სიტყვა „საყვარელი“ არ იყო.

– ვერ ხვდები? რეჟისორი.

– მეც მაგის თქმას ვაპირებდი.

– ელიასი. უნდა ნახო, თმა ისე აქვს უკან გადაგლესილი, გეგონება 1920-იანი წლები იყოს. თხელ ულვაშს ხომ ნულარ იტყვი, ჰგონია, რომ პეწს მატებს. სასაცილო კაცია. თავი ძალიან მაგარ რეჟისორად მიაჩნია. რაც მთავარია, დედაჩემიც ასე ფიქრობს. ერთი განახა, რა მორიდებული და მორჩილია, როცა მასთან ერთადაა. გენიოსი ჰგონია. ლამის მოიხაროს მის წინაშე, მზადაა, რომ თავს შემოევლოს. არ მესმის, რატომ ვერ ხედავს, სინამდვილეში რასაც წარმოადგენს.

– ცოლად გაყოლას აპირებს?

თალიამ მხრები აიჩეჩა.

– ცუდი გემოვნება აქვს, ყველაზე უარესი, – ხელში კამათელი აიღო, დაფიქრდა, – ანდრეასს თუ არ ჩავთვლით. კარგი კაცია, საკმარისად კარგი, მაგრამ დედა, რასაკვირველია, ეყრება. ყოველთვის ვიღაც ნაბიჭვრები უყვარდება.

– მამაშენს გულისხმობ?

ცოტა მოიღუშა.

– მამაჩემი შემთხვევითი ნაცნობი იყო. ამსტერდამის რკინიგზის სადგურში შეხვდა. მხოლოდ ერთი დღე გაატარეს ერთად. აზრზე არ ვარ, ვინ არის და რაც მთავარია, დედაჩემმაც

არ იცის.

– უფ, მახსოვს, რომ თავის პირველ ქმარზე ჰყვებოდა. მგონი, სვამდა… ვიფიქრე…

– ჰო, ეგ დორიანი იქნებოდა, – თქვა თალიამ, – ეგეც მაგარი იყო, – კიდევ ერთი კოჭი გადაიტანა თავის მხარეს, – სცემდა, თვალის დახამხამებაში შეეძლო, კარგი კაციდან ურჩხულად ქცეულიყო; უცებ ამინდი რომ იცვლება, ისე. უმეტესად მთვრალი იყო და სახლში იწვა. ტვინი უბრუნდებოდა, როცა სვამდა, ყველაფერი ავიწყდებოდა. ერთხელ ქურა დარჩა ჩართული და მთელი სახლი კინაღამ გადაბუგა, – კოჭებით პატარა კოშკი ააგო. ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, გვერდებს უსწორებდა.

– ერთადერთი, რაც დორიანს უყვარდა, აპოლო იყო – ძაღლი. ყველა მეზობლის ბავშვს ეშინოდა მისი, თუმცა არავის ენახა, მხოლოდ ყეფა ესმოდათ და ესეც საკმარისი იყო. უკანა ეზოში ჰყავდა დაბმული. ცხვრის ხორცის დიდი ნაჭრებით კვებავდა.

მეტი აღარაფერი უთქვამს. დანარჩენი ადვილად წარმოვიდგინე. დორიანი გაითიშა, აშვებული ძაღლი ეზოში დაეხეტებოდა, სახლის კარი ღია იყო.

– რამდენი წლის იყავი?

– ხუთის.

მერე ის ვკითხე, რაც მთელი ზაფხულის განმავლობაში თავში მიტრიალებდა. – არაფერი არსებობს… რამეს ვერ გააკეთებენ?

თალიამ მზერა სხვაგან გადაიტანა.

– ნულარ შემეკითხები, გთხოვ, – მძიმედ თქვა თალიამ და ვიგრძენი, რა მტკივნეული იყო მისთვის, – ძალას მაცლის გახსენება.

– ბოდიშს გიხდი, – ვთქვი მე. – როდისმე გეტყვი.

და მითხრა. მოგვიანებით. წარუმატებელი სასწრაფო ოპერაცია, სავალალო პოსტოპერაციული ინფექცია, სეფსისი, თირკმლის უკმარისობა, ღვიძლის უკმარისობა. ქირურგები იძულებული გახდნენ, გადანერგილი ქსოვილი ისევ მოეშორებინათ, ქსოვილთან ერთად მისი მარცხენა ლოყის ნარჩენი და კიდევ ყბის ძვლის ნაწილი. გართულებებმა სამი თვე საავადმყოფოში გამოამწყვდია. კინაღამ მოკვდა, წესით უნდა მომკვდარიყო. ამის შემდეგ ექიმებს სათოფეზე არ იკარებდა.

– თალია, – ვთქვი მე, – ბოდიშს გიხდი, მრცხვენია ჩვენი შეხვედრის პირველი დღის გამო.

შემომხედა. თვალები ისევ მხიარულად აუციმციმდა.

– უნდა გრცხვენოდეს, მაგრამ სანამ ყველაფერს იატაკზე დაანარცხებდი, უკვე ვიცოდი. – რა იცოდი? – რა და, ვირი რომ ხარ.

მადალინი სწავლის დაწყებამდე ორი დღით ადრე წავიდა. მოხდენილ ტანზე შემოტმასნილი ყვითელ-კარაქისფერი უსახელოებო კაბა ეცვა, რქის ჩარჩოში ჩამჯდარი მზის სათვალე ეკეთა, თმაზე თეთრი აბრეშუმის თავსაფარი ჰქონდა წაკრული. ისე იყო ჩაცმული, თითქოს ეშინოდა, სხეულის რომელიმე ერთი ნაწილი არ დაჰკარგვოდა და ცდილობდა ერთად შეეკრა, რომ

ნაჭერ-ნაჭერ არ დაშლილიყო. ტინოსის საბორნე პორტში ყველას გადაგვეხვია. თალიას მაგრად ჩაეხუტა, ტუჩები კეფაზე დააწება და დიდხანს კოცნიდა. სათვალე არ მოუხსნია.

– ჩამეხუტე, – მომესმა მისი ჩურჩული. თალია უსიტყვოდ დაემორჩილა.

ბორანმა ამოიგმინა და დაიძრა. მიდიოდა და აქაფებულიწყლის კვალს ტოვებდა. მე მეგონა, მადალინი დიდ ხანს იდგებოდა ბორნის ბაქანზე, ბევრჯერ დაგვიქნევდა ხელს, ბევრ საჰაერო კოცნას გამოგვიგზავნიდა. შევცდი. სწრაფად შებრუნდა და ადგილი დაიკავა. მერე უკან აღარც მოუხედავს.

სახლში რომ დავბრუნდით, დედამ გვთხოვა, რომ დავმსხდარიყავით. თვითონ ჩვენ წინ დადგა და თქვა:

– თალია, მინდა რომ იცოდე, ამ სახლში ნიღბის ტარება აღარ მოგიწევს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შვილის და ჩემ გამო, მაგრამ გეკეთოს, თუ შენთვის ასე უფრო მოსახერხებელია. ამასთან დაკავშირებით მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

უცბად გამინათდა გონება და იმას მივხვდი, რაც დედაჩემმა დიდი ხნით ადრე დაინახა. თალია ნიღაბს იმიტომ ატარებდა, რომ მადალინისთვის უხერხულობა და სირცხვილი აერიდებინა.

თალია დიდი ხნის განმავლობაში იჯდა გაუნძრევლად, სიტყვა არ დაუძრავს. შემდეგ ნელ-ნელა ორივე ხელი ასწია, კეფაზე შეკრული ზონრები შეიხსნა და ნიღაბი ჩამოიხსნა. პირდაპირ სახეში ვუყურებდი. ვიგრძენი, ჩემდაუნებურად როგორ მიბიძგებდა რაღაც, რომ შევმხტარიყავი ისე, როგორც შეხტებოდით, მოულოდნელად კივილი რომ გაგეგონათ. მაგრამ არა. თავი შევიკავე. ისე ვუცქერდი, თვალიც არ დამიხამხამებია.

დედამ გადაწყვიტა, რომ მეც სახლში მემეცადინა, სანამ მადალინი დაბრუნდებოდა. თალიას აღარ მოუწევდა სახლში მარტო ყოფნა. საღამოობით, სადილის შემდეგ, გაკვეთილებს გვიტარებდა. საშინაო დავალება დილით უნდა შეგვესრულებინა, მაშინ, როდესაც თვითონ სკოლაში იყო. თითქოს არა უშავდა, თეორიულად ამ გეგმას უნდა ემუშავა.

მაგრამ მეცადინეობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დედა შინ არ იყო, შეუძლებელი აღმოჩნდა. მალე თალიას სახიჩრობის ამბავი მთელ კუნძულს მოედო. ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილს ხალხი ჩვენს კართან მოჰყავდა. კაკუნის ხმა არ წყდებოდა. იფიქრებდით, რომ კუნძულზე ერთბაშად ამოიწურა ხახვის, ნივრის, მარილის მარაგი და ჩვენი სახლი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ყველაფერის შოვნა შეიძლებოდა. შეიძლება ითქვას, არც კი ცდილობდნენ განზრახვის დამალვას. კარს გავაღებდი და თვალებგაფაციცებულები, კისერწაგრძელებულები, თითის წვერებზე იწევდნენ, რომ თალია დაენახათ. უმეტესი მათგანი მეზობელი სულაც არ იყო. რამდენიმე მილი ჰქონდა გამოვლილი, რომ ერთი ჭიქა შაქარი ეთხოვა. რასაკვირველია, სახლში არასოდეს ვუშვებდი და კმაყოფილებასაც განვიცდიდი, როცა ცხვირწინ კარს ვუხურავდი. მაგრამ ეს ყველაფერი სევდას მგვრიდა, გულს მიმძიმებდა. კიდევ უფრო მარწმუნებდა იმაში, რომ თუ აქ

დავრჩებოდი, ეს ხალხი იმდენს იზამდა, გავლენას მოახდენდა ჩემზე და ბოლოს ერთ-ერთი მათგანი გავხდებოდი. ბავშვები კიდევ უფრო ცუდად იქცეოდნენ. თავზე ხელი ჰქონდათ აღებული. ყოველდღე ერთს მაინც წავატანდი ხოლმე ხელს. სახლთან ჩუმად მოიპარებოდნენ და კედლებზე ძვრებოდნენ. ვზივართ მე და თალია და ვმეცადინეობთ. უცებ თალია ბეჭზე ფანქარს მიტყაპუნებს, ვტრიალდები და ფანჯრის შუშაზე მობჯენილ ერთს კი არა, ზოგჯერ რამდენიმე სახეს ვხედავ. საქმე იმდენად ცუდად მიდიოდა, რომ ზევით ასვლა და ფარდების ჩამოფარება გვიწევდა. ერთხელ ჩემს სკოლელ პეტროსს და მის სამ მეგობარს კარი გავუღე. თალიასთვის შეხედვის სანაცვლოდ ერთი მუჭა ხურდა ფული შემომთავაზა. უარი ვუთხარი. ცირკში ხომ არ გგონია შენი თავი-მეთქი. ბოლოს მეტი გზა არ

მქონდა და დედას მოვუყევი ყველაფერი. სახეზე სისხლი მოაწვა, კრიჭა შეეკრა.

მეორე დილას მაგიდაზე ჩვენი წიგნები და ორი სენდვიჩი დაგვხვდა. თალია ჩემზე ადრე მიხვდა და უცებ ფოთოლივით მოწყდა. წასვლის დრო რომ მოვიდა, წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

– არა, დეიდა ოდი, არა.

– ხელი მომეცი.

– არა, გთხოვთ.

– ხელი მომეცი.

– არ მინდა წასვლა.

– გვაგვიანდება.

– ნუ მაიძულებთ, დეიდა ოდი.

დედამ ხელი მოჰკიდა და ფეხზე წამოაყენა. მისკენ დაიხარა, თვალი თვალში გაუყარა. ეს მზერა ნაცნობი იყო ჩემთვის. ამქვეყნად ვერაფერი შეაცვლევინებდა გადაწყვეტილებას.

– თალია, – თბილი და ამავე დროს მტკიცე ხმით თქვა დედამ, – მე შენ გამო არ მრცხვენია.

სახლიდან სამნი გავედით. პირმოკუმული დედა თითქოს ძლიერ ქარს აპობდა, პატარა

ფეხებს სწრაფად ამუშავებდა, წინ მოკლე ნაბიჯებით მიიწევდა. ალბათ წლების წინ ასეთივე შემართებით მივარდა იარაღით ხელში მადალინის მამასთან.

ხალხმა თვალები ჭყიტა და ოხვრა დაგვადევნა, როცა მიხვეულ-მოხვეულ საცალფეხო გზაზე ჩავიქროლეთ. ზოგი შეჩერდა და მოგვაშტერდა, ზოგმა თითი გამოიშვირა. ვცდილობდი, მათკენ არ გამეხედა. თვალის კუთხით

მხოლოდ ერთმანეთში არეულ ფერმკრთალ სახეებსა და დაღებული პირების ერთ დიდ ლაქას ვხედავდი.

ბავშვები სკოლის ეზოში გაიფანტნენ, გზა დაგვითმეს. ჩემს ყურს გოგონების კივილის ხმა მისწვდა. გაქანებული ბურთი კეგლის ფიგურებს შორის რომ შეგორდება, დედა ისე შეგრიალდა ეზოში. თან თალიას მიათრევდა. ეზოს კუთხეში გრძელი სკამი იდგა. დედა გზას იქით იკვლევდა. სკამზე ავიდა, თალიაც აიყვანა და სასტვენს სამჯერ ჩაჰბერა. ყველამ ხმა გაკმინდა.

– ეს თალია გიანაკოსია! – დაიყვირა დედამ, – დღეიდან… – შეჩერდა, – ვინც ახლა ტირის, პირი მოკეტოს, სანამ მართლა ტირილის მიზეზი მიმიცია… დღეიდან თალია ჩვენი სკოლის მოსწავლეა. მოველი, რომ წესიერად და ღირსეულად მოექცევით. თუ ჩემს ყურამდე მოაღწევს, რომ რომელიმე დასცინის, იცოდეთ, ვინც არ უნდა იყოს, მწარედ ინანებს. და იცით, რომ ასე იქნება! ამასთან დაკავშირებით მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

სკამიდან ჩამოვიდა. თალიას ხელი ჩასჭიდა და საკლასო ოთახისკენ გაემართა. იმ დღის შემდეგ თალიას ნიღაბი არც სახლში უტარებია და არც კარში.

იმ წელს, შობამდე რამდენიმე კვირით ადრე, მადალინისგან წერილი მივიღეთ. მოულოდნელი გარემოებების გამო გადაღება გადადებულა. პირველი, დამდგმელი ოპერატორი – დო – თალიამ მე და დედას მნიშვნელობა აგვიხსნა – გადასაღებ მოედანზე ხარაჩოებიდან ჩამოვარდნილა და მკლავი სამ ადგილას მოუტეხია. მეორე, ამინდის გამო ბუნებაში გადაღება შეუძლებელი გამხდარა.

„ასე რომ, როგორც ამბობენ, მოლოდინის რეჟიმში ვართ. ცუდი არ იქნებოდა, თქვენთან შეერთებას რომ არ უშლიდეს ეს ხელს (რისიც დიდი იმედი მქონდა), რადგან სცენარში ზოგიერთი შეუსაბამობის შესწორების საშუალებას გვაძლევს. განადგურებული ვარ, ჩემო ძვირფასებო. ყველა ისე ძალიან მენატრებით, განსაკუთრებით შენ, თალია, ჩემო სიყვარულო. დღეებს ვითვლი, ვიდრე გვიან გაზაფხულზე გადაღება წარმატებით დამთავრდება და ისევ შევძლებთ ერთად ყოფნას. ყოველდღე, ყოველ წუთს მახსოვხართ, გულით დაგატარებთ“".

– არ ბრუნდება, – გულგრილად თქვა თალიამ და დედას წერილი დაუბრუნა.

– დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება, – გაოგნებულმა ვთქვი. დედასკენ მივბრუნდი. ვუცდიდი, რომ რამე ეთქვა, თუნდაც ერთი-ორი სიტყვა გასამხნევებლად. მაგრამ დედამ წერილი დაკეცა, მაგიდაზე დადო და ყავისთვის წყლის ასადუღებლად გავიდა. ჩემთვის გავიფიქრე, რა უსულგულობა იყო დედაჩემის მხრიდან, ცოტა მაინც დაემშვიდებინა თალია, თუნდაც დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მადალინი ჩამოსვლას არ აპირებდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ თალიას და დედას უკეთ ესმოდათ ერთმანეთის, ვიდრე მე რომელიმე მათგანის. დედა მეტისმეტად დიდ პატივს სცემდა თალიას იმისთვის, რომ მასთან პირფერობა

დაეწყო. ტყუილით მას შეურაცხყოფას არ მიაყენებდა.

გაზაფხული მთელი თავისი მწვანე ბრწყინვალებით შემოვიდა და წავიდა. მადალინისგან ბარათი და ახალი, როგორც ეტყობოდა, ნაუცბადევად დაწერილი წერილი მივიღეთ. გადასაღებ მოედანზე ახლა სხვა სირთულეები წარმოქმნილა. ამჯერად საქმე სპონსორებს ეხებოდა, რომლებიც გადადების გაუთავებელი გადადების გამო დაფინანსების შეწყვეტით იმუქრებოდნენ. ამ წერილში, წინა წერილისგან განსხვავებით, მადალინი ჩამოსვლის თარიღზე არაფერს ამბობდა.

1968 წლის ადრეული ზაფხულის ერთ თბილ შუადღეს მე, თალია და გოგონა, სახელად დორი, სანაპიროზე წავედით. უკვე ერთი წელი იყო გასული, რაც თალია ჩვენთან, ტინოსზე ცხოვრობდა. ახლა მისი სახიჩრობა აღარ იწვევდა ჩურჩულსა და დაჟინებულ მზერას. ცნობისმოყვარეობა ისევ წრეზე ტრიალებდა მის ირგვლივ და ეს არასოდეს შეიცვლებოდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ შენელდა. ახლა თალიას თავისი მეგობრები ჰყავდა, დორი მათ შორის. მეგობრები, რომლებსაც აღარ აფრთხობდათ მისი გარეგნობა, რომლებთანაც საუზმობდა, ჭორაობდა, გაკვეთილების შემდეგ თამაშობდა, მეცადინეობდა. წარმოუდგენელია, მაგრამ თალია, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივად ცხოვრობდა. უნდა ვაღიარო, რომ აღტაცებას ვერ ვმალავდი, რადგან კუნძულელებმა თალია მალე მიიღეს თავისიანად.

იმ დღეს სამივე საცურაოდ ვემზადებოდით, მაგრამ წყალი ცივი იყო და ბოლოს ქვებზე თვლემას დავჯერდით. როცა მე და თალია სახლში დავბრუნდით, დედა სამზარეულოში სტაფილოს თლიდა. მაგიდაზე გაუხსნელი წერილი იდო.

– შენი მამინაცვლისგანაა, – თქვა დედამ.

თალიამ წერილი აიღო და ზევით ავიდა. რომ ჩამოვიდა, წერილი მაგიდაზე დააგდო, დაჯდა, სტაფილო და დანა აიღო.

– უნდა, რომ სახლში დავბრუნდე. – მესმის, – თქვა დედამ. მომეჩვენა, რომ ხმა ოდნავ აუკანკალდა.

– უფრო სწორად, სახლში არა. ინგლისში კერძო სკოლას მოელაპარაკა და შემოდგომაზე სწავლის დაწყება შემიძლია. ფულს გადავიხდიო, ამბობს.

– დეიდა მადალინის შესახებ რას გწერს? – ვკითხე მე. – წავიდა, ელიასთან ერთად გაიქცა. – ფილმზე რა იცის?

დედამ და თალიამ ერთმანეთს შეხედეს და მერე მე გადმომხედეს. მივხვდი, რომ დიდი ხნით ადრე იცოდნენ ყველაფერი.

2002 წლის ერთ დილას, ანუ ოცდაათი წლის შემდეგ, იმ დროს, როცა ქაბულში

წასასვლელად ვემზადები, გაზეთში მადალინის ნეკროლოგს ვაწყდები. ნეკროლოგის მიხედვით, მისი გვარი კურისია. ფოტოზე მოხუცი თვალუჟუჟუნა ქალი ჩემთვის ნაცნობი ღიმილით იცქირება, კიდევ ეტყობა

გარდასული მშვენიერების კვალი. სურათის ქვეშ მოკლე აბზაცი ამბობს, რომ ხანმოკლე სამსახიობო კარიერის შემდეგ მან, 1980 წელს, საკუთარი თეატრი დააარსა. თეატრის დასმა ბევრჯერ დაიმსახურა კრიტიკოსების მაღალი შეფასება. განსაკუთრებით კი პიესებითვის, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ იხსნებოდა სცენიდან: იუჯინ ო”ნილის „ხანგრძლივი მოგზაურობა ღამისკენ“, ჩეხოვის „თოლია“ და დიმიტრიოს მპოგრისის „ვალდებულებანი“. ათენის ხელოვანთა საზოგადოებაში მადალინს მისი ქველმოქმედებით, გონებამახვილობით, მაღალი გემოვნებით, მდიდრული წვეულებებით გამოარჩევდნენ. კიდევ იმით, რომ გამოუცდელ დრამატურგებს თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას აძლევდა. ემფიზემასთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა. ნეკროლოგი არაფერს ამბობს მეუღლისა და შვილების შესახებ. კიდევ უფრო გაოცებული ვარ, როცა ვკითხულობ, რომ თურმე, ოცი წლის განმავლობაში ათენში, კოლონაკიში ცხოვრობდა, ჩემი სახლიდან რამდენიმე კვარტალის მოშორებით.

გაზეთს გვერდზე ვდებ. ვგრძნობ, რომ მაღიზიანებს ქალი, რომელიც უკვე ოცდაათი წელია არ მინახავს. უსიამოვნო განცდა მეუფლება მთელ მის ამბავთან დაკავშირებით. ყოველთვის მეგონა, რომ მშფოთვარე, გზაარეული ცხოვრება ჰქონდა – მძიმე წლები, უიღბლობა, დაცემა და წამოდგომა, სინანული, შემთხვევითი საყვარლები, სასოწარკვეთილება. ვფიქრობდი, რომ საკუთარ თავს ანადგურებდა, გაუთავებელი სმით ტრაგიკული სიკვდილისკენ ექაჩებოდა. ხანდახან იმასაც ვუშვებდი, რომ მან ეს ყველაფერი წინასწარ იცოდა და თალიას ტინოსზე დატოვების მიზანი მისი გარდაუვალი უბედურებისგან დახსნა იყო. მაგრამ ახლა ზუსტად ისე ვხედავდი მადალინს, როგორც დედაჩემი: მადალინი კარტოგრაფივით ზის და მშვიდად ხაზავს თავისი მომავლის რუკას, ზუსტად ავლებს საზღვრებს, ტვირთადქცეულ ქალიშვილს ამ საზღვრების მიღმა ტოვებს. ყველაფერი ბრწყინვალედ გამოუვიდა, ყოველ შემთხვევაში, ამ ნეკროლოგისა და მისი ცხოვრების მოკლე აღწერილობიდან ჩანს, რომ ბევრს მიაღწია, პატივი და დიდება დაიმსახურა.

არა, ვერ მივიღებ მის წარმატებას, ყველაფრისგან თავი დაიძვრინა, ეს წარმოუდგენელია. სად არის სამართალი? დამსახურებული სასჯელი? და მაინც, გაზეთს ვკეცავ და ეჭვი მღრღნის,იქნებ ზედმეტად მკაცრად განვიკითხავ მადალინს? იქნებ ჩვენ შორის არც ისე დიდი სხვაობაა? განა ორივეს ერთნაირად არ გვინდოდა გაქცევა, საკუთარი თავის ახლიდან პოვნა, ახალ პიროვნებებად ჩამოყალიბება? დაბოლოს, განა ორივემ ერთნაირად არ გავწყვიტეთ ღუზის ჯაჭვები, ქვევით რომ გვექაჩებოდა? ჩემს თავს დავცინი, არა, არაფერი მაქვს მასთან საერთო, მაგრამ იქნებ გაბრაზებით უბრალოდ შურს ვნიღბავ, მას ყველაფერი უკეთ გამოუვიდა, ვიდრე მე.

გაზეთს ვისვრი. თალია ამ ამბავს ჩემგან ვერ გაიგებს.

დედამ სტაფილოს ნათალი დანით მაგიდიდან ჯამში გადმოყარა. ვერ იტანდა, როცა ხალხი საჭმელს ყრიდა. ნათალით ალბათ ჯემს მოადუღებს.

– მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევს, თალია, – თქვა დედამ.

ჩემდა გასაოცრად, თალია ჩემკენ მობრუნდა და მკითხა:

– შენ რას იზამდი, მარკოს?

– ოჰ, მე ვიცი, ეგ რას იზამდა, – სწრაფად თქვა დედამ.

– წავიდოდი, – თალიას ვუპასუხე და დედას ვუყურებდი. აჯანყებულის როლი დიდი სიამოვნებით გავითამაშე. მთავარი ისაა, რომ, მართლაც, ასე ვფიქრობდი. თავის შეკავება ვერც კი წარმომედგინა. მე რომ ვყოფილიყავი, ორივე ხელით ჩავებდაუჭებოდი ამ შესაძლებლობას. კერძო განათლება, თანაც ლონდონში.

– იფიქრე ამასთან დაკავშირებით, – თქვა დედამ.

– უკვე ვიფიქრე, – ყოყმანით თქვა თალიამ. დედას თვალებში შეხედა და კიდევ უფრო გაუჭირდა პასუხის გაცემა, – მაგრამ ამის დაშვებაც კი არ მინდა.

დედამ დანა დადო. თითქოს ნელ-ნელა ამოისუნთქა. სუნთქვა ჰქონდა შეკრული? თუ ასე იყო, მისი შეუდრეკელი გამომეტყველებთ ვერ მიხვდებოდით, რომ შვება იგრძნო.

– პასუხი დადებითია, რასაკვირველია, დიახ.

თალია მაგიდას გადასწვდა და დედას მაჯაზე ხელი მოუჭირა.

– მადლობელი ვარ, დეიდა ოდი.

– მხოლოდ ერთხელ ვიტყვი, – ვთქვი მე, – შეცდომას უშვებთ, ორივე შეცდომას უშვებთ.

შემოტრიალდნენ და შემომხედეს.

– გინდა, რომ წავიდე, მარკოს? – მკითხა თალიამ.

– ჰო, – ვთქვი მე, – მომენატრები, ძალიან მომენატრები და შენ ეს იცი, მაგრამ არ შეიძლება კერძო სკოლაში განათლების მიღების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება. მერე უნივერსიტეტში გააგრძელებ სწავლას. შეგიძლია მკვლევარი გამოხვიდე, მეცნიერი, პროფესორი, გამომგონებელი. ეს არ გინდოდა? შენ ყველაზე ჭკვიანი ხარ მათ შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. შეგიძლია ის გამოხვიდე, რაც მოგესურვება.

გავჩუმდი.

– არა, მარკოს, – მძიმედ თქვა თალიამ, – არ შემიძლია.

ისეთი დარწმუნებით თქვა, რომ შეკამათების ყველა გზა მოიჭრა.

მხოლოდ წლების შემდეგ, როდესაც უკვე პლასტიკურ ქირურგად ვმუშაობდი, მივხვდი, რომ

მაშინ, სამზარეულოში, როცა თალიას ლონდონში სწავლის უპირატესობაში ვარწმუნებდი, რაღაც ვერ გავიგე. მერე ჩავწვდი იმას, რომ ცხოვრება სულში არ გიყურებს, არად დაგიდევთ

ძვლებითა და კანით შენიღბულ შენს იმედებს, ოცნებებს, სევდას. რა მარტივი, აბსურდული და ამასთანავე სასტიკია ყველაფერი! ჩემმა პაციენტებმა ეს იცოდნენ. ხედავდნენ, როგორი იყო და ხვდებოდნენ, როგორი იქნებოდა მათი ხვედრი, ძვლის სტრუქტურის სიმეტრიაზე, თვალებს შორის მანძილზე, ყბის სიგრძეზე, ცხვირის მოყვანილობასა და შუბლის ძვლის ფორმაზე რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული.

სილამაზე უზარმაზარი, მაგრამ დაუმსახურებლად, ალალბედზე მიღებული საჩუქარია.

და პროფესიად ვირჩევ პლასტიკურ ქირურგიას, რადგან მინდა, რომ: თალიასნაირების ხვედრი სხვებისას გავუთანაბრო, სკალპელის ყოველი მოძრაობით შემთხვევითი უსამართლობა გამოვასწორო, მსოფლიო წესრიგს შევეწინააღმდეგო, რომელსაც სამარცხვინოდ მივიჩნევ, და რომლის დროსაც შეიძლება ძაღლის ნაკბენმა გოგონას მომავალი წაართვას, გარიყოს, დაცინვის საგანი გახადოს.

სულ მცირე, ამ მიზეზებს ვუსახელებ ჩემს თავს. თუმცა ვფიქრობ, რომ პლასტიკური ქირურგიის არჩევას სხვა საფუძველიც ჰქონდა. ფული, მაგალითად, ავტორიტეტი, სოციალური მდგომარეობა. იმის თქმა, რომ მხოლოდ თალიას გამო მივიღე გადაწყვეტილება, მომხიბვლელი, თუმცა მეტისმეტად მარტივი, კეთილშობილური და გასაგები იქნებოდა. თუკი რამ ვისწავლე ქაბულში, ერთი ისაა, რომ ადამიანის საქციელი ქაოტური და იმპულსურია, მას არაფერი აქვს საერთო სიმეტრიულ თანმიმდევრულობასთან. ამ კანონზომიერებას მე კარგად ვერგები. ჩემი ცხოვრების ამბავი მიედინება და თანდათან ფორმას იძენს, ისე მჟღავნდება, როგორც ფოტო ლაბორატორიაში – სახეები თანდათან ისახება, ზევით იწევს და ბოლოს სიკეთე გამოაქვს სააშკარაოზე; ეს ის არის, რისი დანახვაც მინდოდა ჩემს თავში, რაც მაძლებინებს და მაძლიერებს.

პრაქტიკული სამუშაოს ნახევარი ათენში ნაოჭების გასწორებას, წარბების აწევას, სახეების გადაჭიმვას, მოჯღანული ცხვირების ახლიდან გამოძერწვას დავუთმე; მეორე ნახევარი კი იმის კეთებას, რაც მართლა მინდოდა: მსოფლიოს გარშემო ფრენა – ცენტრალური ამერიკა, ტროპიკული აფრიკა, სამხრეთ აზია და შორეული აღმოსავლეთი – ბავშვებთან მუშაობა, მათი კურდღლის ტუჩების, მგლის ხახის გამოსწორება, სახეებიდან სიმსივნეების მოშორება, დაზიანებების აღდგენა. ათენში ჩემი სამუშაო არ მაკმაყოფილებდა, მაგრამ კარგად მიხდიდნენ, რაც საშუალებას მაძლევდა, კვირებისა და თვეების განმავლობაში მემოგზაურა და ჩემი საქმე ანგარების გარეშე მეკეთებინა.

შემდეგ, 2002 წელს, ჩემს ოფისში ტელეფონის ზარი გაისმა. ნაცნობი ქალი, სახელად ამრა ადემოვიჩი, მირეკავდა. ამრა ბოსნიელი მედდა იყო. ჩვენ ერთმანეთს ლონდონში, კონფერენციაზე შევხვდით და შემდეგ კვირის ბოლო სასიამოვნოდ გავატარეთ. ამ შეხვედრას გაგრძელება არ მოჰყოლია, ორივეს ასე გვაწყობდა. თუმცა კონტაქტი არ გაგვიწყვეტია, დროგამოშვებით სხვადასხვა ღონისძიებებზე ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. მითხრა, რომ ქაბულში საქველმოქმედო ორგანიზაციაში მუშაობდა. ამ ეტაპზე ბავშვთა პლასტიკურ ქირურგს ეძებდნენ – კურდღლის ტუჩის, ჭურვის ნამსხვრევებით ან ტყვიებით

მიყენებული ჭრილობების და სხვა ასეთი რაღაცების გამოსასწორებლად. მაშინვე დავთანხმდი. სამი თვე ვაპირებდი დარჩენას. 2002 წლის გვიან გაზაფხულზე გავემგზავრე. უკან აღარ დავბრუნებულვარ.

თალიას საბორნე პორტიდან მოვყავარ. მწვანე შალის შარფი უკეთია. ჯინსი, სვიტერი და

გახუნებული ვარდისფერი პალტო აცვია. ახლა თალია გრძელ თმას ატარებს. გაშლილი, მხრებზე დაფენილი თმა შუაზე აქვს გაყოფილი. სულ გათეთრებულა. ვხედავ და ვკრთები, გაოცებული ვარ, სწორედ მისი თმის სითეთრე მაკრთობს და არა მისი სახის ქვედა ნაწილის სიმახინჯე. ოცდათხუთმეტს რომ გადააბიჯა, თალიას ჭაღარა მაშინ გაერია. მომდევნო ათწლეულის დასასრულს კი თმა ბამბასავით თეთრი ჰქონდა. ვიცი, მეც შევიცვალე, ღიპი ჯიუტად მეზრდება, თმის ხაზმა შუბლზე აშკარად უკან გადაიწია. მაგრამ საკუთარი სხეულის ჭკნობა თანდათანობით ხდება; შეუმჩნევლად, ვერაგულად გეპარება. თალიას თეთრი თმა სიბერისკენ მისი განუხრელი, გარდაუვალი სვლის უტყუარი დასტურია, და ესე იგი, ჩემი სიბერის დასტურადაც გამოდგება.

– შეგცივდება, – მეუბნება ის და კისერზე მჭიდროდ იხვევს შარფს.

იანვარია. კარგა ხანია, რაც გათენდა. ცა მოღუბლული და რუხია. გრილი ნიავი გამხმარ ფოთლებს აქეთ-იქით ჰყრის.

– სიცივე შენ ქაბულში უნდა ნახო, – ვამბობ და ჩემოდანს ვიღებ. – მოშინაურდი, ექიმო, ავტობუსი თუ ფეხით გასეირნება? რომელს ირჩევ? – მოდი, გავისეირნოთ, – ვამბობ მე.

ჩრდილოეთისკენ მივემართებით. ქალაქ ტინოსის გავლით მივდივართ. ნავები და იახტები შიდა ნავსადგურში ღუზაზე დგანან. ჯიხურებში მაისურებსა და საფოსტო ბარათებს ყიდიან. გარე კაფეებში ხალხი პატარა მრგვალ მაგიდებს შემოსხდომია. ყავას წრუპავენ, გაზეთებს კითხულობენ, ჭადრაკს თამაშობენ. მიმტანები სადილისთვის ვერცხლისფერი ჭურჭლით აწყობენ მაგიდებს. ერთ-ორ საათში სამზარეულოდან შემწვარი თევზის სუნი გამოვარდება.

თალია ენერგიულად მიყვება თეთრი ბუნგალოების შესახებ, რომლებსაც ქალაქ ტინოსის სამხრეთით, ხედით მიკონოსსა და ეგეოსზე, აშენებენ. ალბათ ბოლოს ტურისტებითა და მდიდარი მცხოვრებლებით შეივსება. ისინი 1990 წლიდან ყოველ ზაფხულს ჩამოდიან. ბუნგალოებს საცურაო აუზები და გამაჯანსაღებელი ცენტრები ექნება.

თალია წლების განმავლობაში მიგზავნის ელექტრონულ ფოსტას. თანმიმდევრულად აღწერს ტინოსზე მიმდინარე ცვლილებებს. სანაპიროზე აშენებულ სასტუმროებს სატელიტური თეფშებითა და ინტერნეტით, ღამის კლუბებს, ბარებს, ტავერნებს, რესტორნებსა და მაღაზიებს ტურისტებისთვის, ტაქსებს, ავტობუსებს, უამრავ ხალხს, უცხოელ ქალებს, რომლებიც წელზევით შიშვლები ირუჯებიან. ახლა გლეხები სახედრების ნაცვლად პიკაპს ატარებენ, ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც დარჩნენ. უამრავმა მათგანმა დიდი ხნის წინ

დატოვა აქაურობა. თუმცა ახლა ბევრი უკან დაბრუნდა და სიბერეს კუნძულზე ატარებს.

– ოდის არ მოსწონს, – ამბობს თალია, ტინოსის სახეცვლილებას გულისხმობს. ცოტა ხნის წინ ამის შესახებაც მომწერა. ხნიერი კუნძულელები ეჭვის თვალით უყურებენ ახალმოსულებს და ცვლილებებსაც, რომლებიც მათ თან მოაქვთ.

– როგორც გატყობ, შენთვის სულერთია ეს ყველაფერი, – ვამბობ მე.

– რა აზრი აქვს იმაზე წუწუნს, რაც გარდაუვალია, – შემდეგ ამატებს: – ოდი ამბობს, არ მიკვირს, ასე რომ ფიქრობ, შენ აქ არ დაბადებულხარო, – ხმამაღლა, გულიანად იცინის, – კაცმა რომ თქვას, მეგონა ტინოსზე ორმოცი წლის ცხოვრების შემდეგ დავიმსახურე ამის უფლება, მაგრამ თურმე ასე არაა.

თალიაც შეიცვალა. ზამთრის პალტოშიც კი ეტყობა, რომ თეძოები გაუგანივრდა, მაგრამ ფუმფულა კი არა, ჩაფსკვნილი გახდა. ახლა აშკარად უფრო გაბედულია, ეშმაკურად დამცინავიც, როდესაც ჩემს საქმიანობაზე ლაპარაკობს. ეჭვი მაქვს, მაინცდამაინც არ მოსწონს, რასაც ვაკეთებ. მისი გაბრწყინებული თვალები, ახლებურად გულიანად სიცილი, აღაჟღაჟებული ლოყები, ერთი შეხედვით, გლეხის ცოლს ამსგავსებს. „მარილი ქვეყნისა“(მათე 5.13-19 – თქუენ ხართ მარილი ქუეკნისა… ნათელი სოფლისა.), რომლის ოდნავ უხეშად გამოხატული მეგობრობა მხოლოდ მის სიძლიერეზე, სიმტკიცეზე მიუთითებს და სულელი უნდა იყო, ეჭვქვეშ რომ დააყენო.

– შენი ბიზნესი როგორ მიდის? – ვეკითხები, – კიდევ მუშაობ? – ისე რა, – ამბობს თალია, – ხომ იცი, რა დროა.

ორივე თავს ვაქნევთ. ქაბულიდან თვალს ვადევნებდი ახალ ამბებს საბერძნეთში მკაცრი ფინანსური ზომების გატარების შესახებ. ჩნნ-მა ისიც გადმოსცა, როგორ უშენდნენ ქვებს შენიღბული ბერძნები პოლიციელებს პარლამენტის შენობის გარეთ. ფარებითა8ზ#160;დაზ#160;რკინის მუზარადებით აღჭურვილი პოლიციელები ხელჯოხებითა და ცრემლსადენი გაზით გაუსწორდნენ.

თალიას ბიზნესი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არასოდეს ჰქონია. ციფრული ერის დადგომამდე ის, ძირითადად, ხელმარჯვე ოსტატის სახელით იყო ცნობილი. სახლებში დადიოდა, ხალხის ტელევიზორების ელექტროტრანზისტორებს რჩილავდა, ძველი რადიომიმღებების კონდენსატორებს ცვლიდა. იძახებდნენ, რომ მაცივრების თერმოსტატები შეეკეთებინა, დაზიანებული წყალგაყვანილობა აღედგინა. იმდენს უხდიდნენ, რამდენიც შეეძლოთ და თუ არ შეეძლოთ, უფასოდ ემსახურებოდა.

– სინამდვილეში ფული არ მჭირდება. ისევ ის ძველი ინტერესი მამუშავებს, სასიამოვნო მღელვარება, როცა რაღაცას ვშლი და ვხედავ, შიგნით რა ხდება, – მითხრა მან.

ახლა კი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომელივითაა. ყველაფერი, რაც იცის, თვითონ ისწავლა. უმცირესი გადასახადის ფასად კომპიუტერებს დიაგნოზს უსვამს, ინტერნეტ

პროტოკოლს ცვლის, აპლიკაციებს არეგულირებს, დაკიდებულს ააქტიურებს, შენელებულს აჩქარებს, პროგრამებს აახლებს, ჩართვის პროგრამის ხარვეზებს ასწორებს. რამდენჯერ დამირეკავს გამწარებულს მისთვის ქაბულიდან და ჩემს გაყინულ Iბმ-თან დაკავშირებით დახმარება მითხოვია.

დედაჩემის სახლთან ცოტა ხნით ეზოში, ზეთისხილის ხის ქვეშ ვდგებით. დედაჩემის დაუოკებელი შრომის შედეგს ვხედავ – გადაღებილი კედლები, დაუმთავრებელი სამტრედე,

ჩაქუჩი და ხის კუნძზე ლურსმნების თავახდილი ყუთი. – როგორ არის? – ვეკითხები მე.

– ოჰ, იკაწრება, როგორც ყოველთვის. ამიტომაც დავამონტაჟე ეს. – ხელს სახურავზე წამოსკუპებული სატელიტური თეფშისკენ იშვერს. – უცხოურ სერიალებს ვუყურებთ. არაბული ყველაზე უკეთესია, ან უარესი, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სიუჟეტებს ვარჩევთ. ასეთ დროს მე არ მერჩის, – კარს აღებს, – კეთილი იყოს შენი სახლში მობრძანება, ახლა საჭმელს მოგიმზადებ.

რა უცნაურია, ისევ სახლში ვარ! რამდენიმე უცხო საგანს ვხედავ, ნაცრისფერი ტყავის სავარძელი სასტუმრო ოთახში და მოწნული მაგიდა ტელევიზორის გვერდით. სხვა დანარჩენი მეტ-ნაკლებად ისევ ისეა, როგორც იყო. სამზარეულოს მაგიდაზე ახლა ბადრიჯნებითა და მსხლებით მოხატული მუშამბაა გადაფარებული; გარშემო სწორზურგიანი სკამები აქვს შემოწყობილი; ნავთის ძველი სანათი მოწნული სახელურით, კვამლისგან გამჭვარტლული დაკბილული საკვამური; ჩემი და დედას ფოტო, მე თეთრი პერანგი მაცვია, დედას თავისი გამოსასვლელი კაბა – სასტუმრო ოთახში ბუხრის თავზე, ზედა თაროს ქვეშ კიდია; დედას ფაიფურის სერვიზი ისევ ისე აწყვია ბოლო თაროზე.

და მაინც, ჩემოდანს ვაგდებ და ვგრძნობ, რომ ჩემსა და ამ ყველაფერს შორის დიდი ხვრელია. დედაჩემისა და თალიას ათწლეულობით თანაცხოვრება ცარიელი ბნელი სივრცეა ჩემთვის. მე არ ვიყავი. არ ვესწრებოდი ამ მაგიდაზე გაწყობილ სუფრებს, არ ვიცი, რაზე იცინოდნენ, რაზე კამათობდნენ, როდის სწყინდებოდათ, რით იყვნენ ავად; გამოტოვებული მაქვს მარტივი რიტუალების ჯაჭვის უამრავი რგოლი, რაც საბოლოოდ ცხოვრებას ქმნის. ჩემი ბავშობის სახლში დაბნეული შევდივარ, თითქოს რომანის დასასრულს ვკითხულობ, რომლის კითხვა ოდესღაც დავიწყე და მერე მივაგდე, აღარ დავამთავრე.

– ერბოკვერცხზე რას იტყვი? – მეკითხება თალია და ჭრელ ზონრებიან წინსაფარს იფარებს, თან ტაფაზე ზეთს ასხამს. სამზარეულოში თავდაჯერებული მოძრაობს, ისე როგორც დიასახლისს შეჰფერის.

– ჰო, კარგი იქნება. დედა სად არის?

– სძინავს. მძიმე ღამე ჰქონდა.

– უცებ დავხედავ.

თალია უჯრიდან ვისკის იღებს.

– გააღვიძებ და ჩემთვის მოგიწევს პასუხის გაცემა, ექიმო.

საძინებელში ფეხაკრეფით ავდივარ. ოთახში ბნელა. სინათლის ერთადერთი წაგრძელებული სხივი ჩამოფარებულ ფარდებს შორის ძვრება და დედას საწოლს ეცემა. ჰაერი ავადმყოფობის სუნითაა გაჟღენთილი; სუნსაც ვერ იტყვი, უფრო მისი ფიზიკური არსებობით. ეს

ყველა ექიმისთვის კარგად ნაცნობი განცდაა. ავადმყოფობა ორთქლივით მთელ სივრცეს ედება. შესასვლელში ვდგები და ვცდილობ, სიბნელეს თვალი შევაჩვიო. საწოლის გვერდით,

თალიას მხარეს, ანუ იმ მხარეს, სადაც ადრე მე მეძინა, პატარა კარადაზე ოთხკუთხა ფოტოს ციფრული ჩარჩო ფერადად ირეკლავს სინათლის სხივს. ფოტოზე ბრინჯის ყანებსა და ნაცრისფერი ფილებით გადახურულ ხის სახლებს ხალხმრავალი ბაზარი ცვლის, სადაც კაუჭებზე გატყავებული თხები კიდია, მოშორებით მუქკანიანი კაცი ტალახიანი მდინარის პირასაა ჩაცუცქული და თითით კბილებს ისუფთავებს.

სკამს დედაჩემის მხარეს ვდგამ. სიბნელეს თვალი მიეჩვია და ახლა ვხედავ. ვჯდები და დედას ვუყურებ. ვგრძნობ, რომ შიგნით რაღაც მწყდება. როგორ დაპატარავებულა! ყვავილებიანი ღამის პერანგი მოჩაჩული აქვს ვიწრო მხრებსა და გაბრტყელებულ მკერდზე. იმას აღარ ვამბობ, როგორ გამოიყურება. პირი ღია აქვს, ქვევით ჩამოვარდნილი; თითქოს ცუდ სიზმარს ხედავს. რაღაც არ მომწონს, ძილში პროთეზი უმოძრავებს, ქუთუთოები უთრთის. ცოტა ხანს გაუნძრევლად ვზივარ. ჩემს თავს ვეკითხები: რას მოელოდი? მესმის, როგორ წიკწიკებს კედლის საათი, როგორ ჩხაკუნებს თალიას ბრტყელი კოვზი ტაფაზე. ამ ოთახში დედაჩემის ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო ნივთების ნუსხა ასეთია: კედელზე დამაგრებული ბრტყელი ტელევიზორი, კუთხეში კომპიუტერი, საწოლის გვერდით პატარა კარადაზე „სუდოკუს“ დაუმთავრებელი პარტია, გვერდებს შორის სანიშნედ ჩადებული სათვალე, დისტანციური მართვის პულტი, ხელოვნური ცრემლის ბოთლი, სტეროიდული საცხის ტუბი, პროთეზის წებოს ტუბი, აბების პატარა შუშა; იატაკზე მონაცრისფრო-ჩალისფერი რბილი ფლოსტები – ასეთს ადრე არაფრით ჩაიცვამდა – საფენების თავახდილი ყუთი. ამ ნივთებს დედაჩემთან ვერაფრით ვაკავშირებ. ასე მგონია, ისინი ჩემთვის უცნობ, უცოდველ, უწყინარ ადამიანს ეკუთვნის, ისეთს, რომელზეც ვერასოდეს გაბრაზდები.

საწოლის მეორე გვერდზე ციფრული ჩარჩო ისევ ცვლის სურათს. რამდენიმე ფოტოს ერთად ვათვალიერებ და უცებ ვხვდები, რომ ეს ჩემი გადაღებული ფოტოებია, მაშინ როცა იქ ვიყავი… როდის? როცა ქვეყანას გარშემო ვუვლიდი. ყოველთვის ორ პირს ვაბეჭდინებდი და ერთს თალიას ვუგზავნიდი. და ინახავდა. მთელი ეს წლები. თალია… სიყვარული თაფლივით ტკბილი, სულში მეღვრება. ჩემი ნამდვილი და, ჩემი „მანაარი“.

ქვედა სართულიდან მისი ხმა მესმის. მეძახის.

ფრთხილად ვდგები. ოთახიდან რომ გამოვდივარ, რაღაც თვალს მტაცებს. რაღაც ჩარჩოში ჩასმული კედელზე საათის ქვეშ კიდია. კარგად ვერ ვარჩევ, რა არის. ჩემს მობილურს სახურავს ვხდი და ვერცხლისფერ შუქზე ვათვალიერებ.

„ასსოციატედ პრესს“-ის სტატიაა. იმ საქველმოქმედო ორგანიზაციის შესახებ წერენ, რომელშიც ქაბულში ვმუშაობ. მახსოვს ეს ინტერვიუ. ჟურნალისტი სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კორეელი ამერიკელი იყო. ოდნავ ენა ებმოდა. მერე ყავისფერი ბრინჯით, ქიშმიშითა და ცხვრის ხორცით შეზავებული ფლავი „ქაბული“ მივირთვით. სტატიის შუაში ჯგუფური ფოტოა. მე და რამდენიმე ბავშვი, ჩვენ უკან ზურგზე ხელებდაწყობილი, წელში გამართული, ერთდროულად მრისხანე, მორცხვი და დარბაისელი ნაბი დგას. ავღანელები ხშირად გამოიყურებიან სურათზე ასე. ფოტოზე ამრაცაა, თავის ნაშვილებ გოგონასთან, როშისთან ერთად. ყველა ბავშვი იცინის.

– მარკოს.

მობილურს ვხურავ და ქვევით ჩავდივარ.

თალია მაგიდაზე ჭიქა რძეს და თეფშით ცხელ-ცხელ პომიდვრიან ერბოკვერცხს დგამს. – ნუ ღელავ, შაქარი უკვე ჩავყარე.

– ყველაფერი გახსოვს.

ჯდება. წინსაფრის მოსახსნელად თავს არ იწუხებს. მაგიდას მკლავებით ეყრდნობა და მიყურებს, ერბოკვერცხს როგორ შევექცევი. დროგამოშვებით ცხვირსახოცით ლოყას იმშრალებს. რამდენჯერ ვეცადე დამერწმუნებინა, რომ საშუალება მოეცა, მის სახეზე მემუშავა. 1960 წლის შემდეგ პლასტიკური ქირურგია იმდენად წინ წავიდა, ვიცოდი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შემეძლო მისი სახის დაზიანებული ნაწილის აღდგენა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, იუარა. – ეს არის, რაც ვარ, – მითხრა თალიამ. რა პასუხი გამცა? ბუნდოვანი, არადამაკმაყოფილებელი, ან რას გულისხმობდა? კარგად ვერ გავიგე. ცოტა არ იყოს, ღვარძლიანი ფიქრი აღმეძრა. სიკვდილმისჯილებს პირობით რომ ათავისუფლებენ, გარეთ გამოსვლის ეშინიათ, შიშით ძრწიან ცხოვრების წინაშე, რომელიც მავთულხლართების აქეთა მხარეს, სათვალთვალო კოშკურების არეალს მიღმა ელით. ასე ემართება თალიასაც- მეთქი, გავიფიქრე.

ჩემი შეთავაზება ახლაც ძალაშია. ვიცი, არასოდეს დამთანხმდება, მაგრამ ამჯერად მისი მესმის. მართალი იყო, როცა ამბობდა, ეს არის, რაც ვარო. თავს ვერ მოვიტყუებ და ვერ ვიტყვი, რომ ვხვდები, როგორია ყოველდღე ამ სახიჩარი სახის სარკეში ყურება, რა ძალისხმევას უნდა მოუხმო, რა მოთმინება უნდა გქონდეს, როგორ უნდა ეცადო, რომ ბოლოს შენად მიიღო. ეს თანდათანობით, წლების განმავლობაში ხდება, ისეთივე ნელი პროცესია, როგორიც, ვთქვათ, ტალღების გამუდმებული დარტყმით სანაპიროს ლოდების ფორმის გამოძერწვა. ძაღლს ერთი წუთი დასჭირდა, რომ თალიას სახე დაემახინჯებინა, თალიას კი მთელი ცხოვრება, რომ ეს სახე თავის ნაწილად ექცია. თალია არ დაუშვებს, რომ ჩემმა დანამ ეს კავშირი დაარღვიოს, ძველ ჭრილობას ზევიდან ახალი დაუმატოს.

მაინცდამაინც მშიერი არ ვარ, მაგრამ მადიანად ვყამ. ვიცი, რომ თალიას სიამოვნებს. – გემრიელია, თალია, – ვეუბნები მე.

– აბა, მითხარი, ღელავ?

– რას გულისხმობ?

უკან ტრიალდება და სამზარეულოს დახლის უჯრას აღებს. ოთხკუთხაშუშიან სათვალეს იღებს. ერთი წუთი და აზრზე მოვდივარ. მახსენდება – მზის დაბნელება.

– ოჰ, რასაკვირველია.

– თავიდან ვფიქრობდი, პატარა ხვრელიდან ვუყურებთ-მეთქი, მაგრამ ოდიმ მითხრა, ჩამოდისო და ჩემს თავს ვუთხარი, ყველაფერი კარგად უნდა გავაკეთო-მეთქი.

ცოტა ხანი მზის დაბნელებაზე ვლაპარაკობთ. თალია ამბობს, რომ ხვალ დილას დაიწყება

და ნაშუადღევისთვის დამთავრდება. ამინდის პროგნოზიც შეამოწმა. კუნძულზე ღრუბლიან დღეს არ ელიან. კიდევ ერთ კვერცხზე რას იტყვიო და დიდი სიამოვნებით-მეთქი, ვპასუხობ. მერე ახალ ამბებს მიყვება. იქ, სადაც რუსოს ლომბარდი იყო, ახლა ინტერნეტ-კაფე გაუხსნიათ.

– ზევით სურათები და სტატია ვნახე, – ვეუბნები მე.

ხელით პურის ნაფხვენებს უყრის თავს, მხრის ზევიდან პირდაპირ ჭურჭლის ნიჟარაში ყრის, უკან არც იყურება.

– ჰო, ადვილი იყო, დავასკანერე და ავტვირთე, მეტი არაფერი. ფოტოების ორგანიზება კი გამიჭირდა. შენ მხოლოდ ფოტოებს გზავნიდი, მინაწერების გარეშე. მას უნდოდა, რომ ქვეყნების მიხედვით ყოფილიყო დაწყობილი, დაჟინებითითხოვდა.

– ვის?

– ვისო, მეკითხება, – ხვნეშის, – ვის და ოდის, სხვას ვის?

– ეს მან მოიფიქრა?

– სტატიაც მან იპოვა ინტერნეტში.

– დედაჩემი ინტერნეტში მეძებს?

– არ უნდა მესწავლებინა, ახლა ველარ ვაჩერებ, – იცინის, – ყოველდღე ამოწმებს, რამე რომ

არ გამორჩეს შენ შესახებ. ასე რომ, იცოდე, ინტერნეტსივრცეში მიმდევრები გყავს, მარკოს ვარვარის.

დედა ქვევით ნაშუადღევს ჩამოდის. ლურჯი ხალათი და ის რბილი ფლოსტები აცვია, მე რომ არ მომეწონა. თმა დაუვარცხნია. შვება ვიგრძენი, კიბეზე თავისუფლად მოძრაობს. მკლავებს

შლის და ჩემკენ მოემართება, ნამძინარევ სახეზე ღიმილი დასთამაშებს. ყავის დასალევად პატარა მაგიდასთან ვსხდებით.

– თალია სად არის? – მეკითხება და თან ყავას სულს უბერავს.

– გავიდა, ხვალისთვის რამე გემრიელს იყიდის. ეს შენია, დედა? – ახალი სავარძლის უკან, კედელზე მიყუდებული ხელჯოხისკენ ვუთითებ. თავიდან არ შემიმჩნევია.

– ოჰ, არც კი ვხმარობ, მხოლოდ ცუდ დღეებში თუ მოვკიდებ ხელს, ან თუ გრძელი გზა მაქვს გასავლელი, ისიც იმიტომ, რომ უფრო მშვიდად ვიყო, – თავისუფლად ლაპარაკობს. ამიტომაც ვხვდები, რომ ბევრად მეტადაა დამოკიდებული ჯოხზე, ვიდრე აღიარებს, – მე შენზე დარდი მაწუხებს, ისეთი ამბები მოდის იმ საშინელი ქვეყნიდან. თალია მოსმენას მიკრძალავს, აღელდები და ამით არაფერი შეიცვლებაო, ამბობს.

– ჰო, არის ხოლმე რაღაც შემთხვევები, მაგრამ ძირითადად ხალხი ჩვეულებრივად ცხოვრობს. მე ფრთხილად ვარ, დედა.

რასაკვირველია, არ ვუყვები, როგორ დაცხრილეს ჩვენი ქუჩის გადაღმა სასტუმრო სახლი, არც იმას, ამას წინათ უცხოელ ჰუმანიტარული დახმარების მუშაკებს რომ შეუტიეს, არც იმას, სიფრთხილეში რას ვგულისხმობ. ბოლო დროს ცხრა მილიმეტრიანი პისტოლეტის გარეშე მანქანით არ ვმოძრაობ. თუმცა მესმის, რომ ამას არ უნდა ვაკეთებდე.

დედა ყავას სინჯავს. ოდნავ იჭმუხნება. არ მაიძულებს ლაპარაკს. ვერ ვხვდები, ეს კარგია თუ ცუდი. დარწმუნებული არ ვარ, უბრალოდ, როგორც მოხუცებს სჩვევიათ, მოეშვა და თავის ფიქრში წავიდა, თუ ტაქტიკაა, რომ შემაჩეროს, არაფერი მათქმევინოს ისეთი, რაც ააღელვებს.

– შობისთვის გელოდებოდით, – ამბობს ის.

– თავი ვერ დავაღწიე საქმეებს, დედა.

თავს აქნევს.

– ახლა აქ ხარ, მთავარი ესაა.

ყავას ვწრუპავ. მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავი, მე და დედა ყოველ დილას წყნარად,

თითქმის უხმოდ ვსაუზმობდით ამ მაგიდასთან. მერე სკოლაში მივდიოდით, მაშინაც ერთი-ორ სიტყვას თუ ვეტყოდით ერთმანეთს.

– იცი რა, მეც ვდარდობ, დედა, შენზე.

– არ არის საჭირო. მე ჩემს თავს ძალიან კარგად ვუვლი, – ძველმა სიამაყემ ჩამოწოლილ ნისლში მკრთალი სინათლის სხივივით გაიელვა.

– ჰო, მაგრამ როდემდე? – მანამდე, სანამ შევძლებ.

– და რომ ვეღარ შეძლებ, მაშინ რა იქნება? – კი არ ვიწვევ, უბრალოდ ვეკითხები, რადგან მაინტერესებს, ჩემი როლი როგორ აქვს წარმოდგენილი.

ყავას ერთ კოვზ შაქარს უმატებს, ნელა ურევს.

– სასაცილოა, მარკოს, მაგრამ ყველაფერი უკუღმა ხდება. კაცი ფიქრობს, რომ იმისთვის ცხოვრობს, რაც უნდა. სინამდვილეში კი მის ცხოვრებას ის მართავს, რისიც ეშინია, რაც არ

უნდა. – ვერ მოგყვები, დედა, ვერ გავიგე.

– კარგი, მოდი, შენი მაგალითი ავიღოთ. წახვედი და სხვაგან მოიწყვე ცხოვრება. აქ ჩარჩენის გეშინოდა; გეშინოდა, რომ ჩემ გამო ვერსად წახვიდოდი. ან თალია. თალია აქ

იმიტომ დარჩა, რომ ხალხის თვალის ეშინოდა.

ვუყურებ, როგორ აგემოვნებს ყავას, როგორ იმატებს კიდევ ერთ კოვზ შაქარს. მახსენდება, რომ ბიჭობაში მასთან შესაკამათებლად ძალას ვერასოდეს ვპოულობდი. ისე ლაპარაკობდა, თავის სიმართლეს უბრალოდ და პირდაპირ ისე შემომაორთქლებდა, რომ სივრცეს არ ტოვებდა წინააღმდეგობის გასაწევად. სანამ რამეს ვეტყოდი, უკვე დამარცხებულად ვგრძნობდი თავს და ყოველთვის უსამართლობის განცდა მეუფლებოდა.

– შენ, დედა, შენ რისი გეშინია? რა არ გინდა?

– ტვირთად რომ ვიქცე.

– არ იქცევი.

– მართალი ხარ, მარკოს.

ეს ორაზროვანი ფრაზა მაშფოთებს. გონებაში ნაბის წერილი მიტივტივდება, მისი სიკვდილის შემდგომი აღსარება. პაქტი, რომელიც სულეიმან ვაჰდათიმ მასთან გააფორმა. თავიდან ვერ ვიცილებ იმაზე ფიქრს, რომ შეიძლება დედამ თალიასთან დადოს მსგავსი შეთანხმება, თუ, რასაკვირველია, როცა დრო მოვა, მას აირჩევს მხსნელად. ვიცი, თალია გაუძლებს, ის ახლა ძლიერია, ის გადაარჩენს დედას.

დედა მაკვირდება, ჩემს გამომეტყველებას სწავლობს.

– ახლა შენ შენი ცხოვრება გაქვს, მარკოს, – უფრო რბილად ლაპარაკობს. საუბრის თემას ცვლის. თითქოს ჩემს ტვინში ჩაიხედა, ჩემი წუხილის მიზეზს მიხვდა. პროთეზის, საფენების და რბილი ფლოსტების გამო სათანადოდ ვერ შევაფასე. ახლაც ისევ ისე ფლობს უპირატესობას, როგორც ადრე და ეს ყოველთვის ასე იქნება.

– არ მინდა, რომ დაგამძიმო.

ახლა კი იტყუება, მაგრამ კეთილი ტყუილია. მე არ დამამძიმებს, მან ეს კარგად იცის. მე აქ არ ვარ, ათასობით კილომეტრი მაშორებს მასთან. თალიაზე გადავა მთელი სიმძიმე, ტვირთი, უსიამოვნება, მაგრამ მეც მრთავს ამ საქმეში, მეც მაძლევს როლს, რომელიც არ დამიმსახურებია, რომლის დამსახურება არც კი მიცდია.

– ასე არ მოხდება, – სუსტი ხმით ვამბობ მე.

დედა იღიმის.

– მართლა, შენ საქმეზე გამახსენდა, შენ იცი, არ მინდოდა იმ ქვეყანაში რომ წასულიყავი.

– ჰო, ვხვდებოდი.

– არ მესმის, რატომ წახვედი. რატომ მიატოვე ყველაფერი, სამსახური, ფული, სახლი

ათენში, ყველაფერი, რისთვისაც იწვალე და იქ, იმ სასტიკ მხარეში რამ წაგიყვანა? – მქონდა მიზეზი.

– ვიცი, – ყავის ჭიქა პირთან მიაქვს და ისევ დგამს, – მაინცდამაინც არ მეხერხება ასე ლაპარაკი, მაგრამ ის მინდა გითხრა, რომ კარგი კაცი დადექი, ვამაყობ შენით.

საკუთარ ხელებს დავცქერი. ვგრძნობ, როგორ მეღვრება სულში მისი სიტყვები. გაოგნებული ვარ. მოუმზადებელი ვხვდები მის ნათქვამს, მის თვალებში ჩამდგარ თბილ სხივს. არ ვიცი რა ვუპასუხო, დავიბენი.

– მადლობა, დედა, – მხოლოდ ამას ვახერხებ. ცოტა ხნით ჩუმად ვსხედვართ. ჩვენ შორის მძიმე ჰაერში დაკარგული წლები, გაშვებული შესაძლებლობებია გამოკიდებული.

– რაღაც მინდა გკითხო, – ამბობს დედა. – რა არის, დედა?

– ჯეიმს პარკინსონი, ჯორჯ ჰანტინგტონი, რობერტ გრეივსი, ჯონ დაუნი, ახლა კიდევ ეს ჩემი ლუ გერიგი… დაავადებათა სახელწოდებების მონოპოლიზაცია როგორღა მოახერხეს კაცებმა?

ერთმანეთს თვალების ხამხამით ვუყურებთ. მერე იცინის და მეც ვყვები, თუმცა შიგნიდან ნაწილ-ნაწილ ვარ დაფლეთი-ლი.

მეორე დილას გარეთ შეზლონგებზე ვართ წამოწოლილი. დედას სქელი შარფი უკეთია, რუხი ქურთუკი აცვია. სუსხია. ფეხები მატყლის საბნით აქვს დათბილული. ყავას ნება-ნება ვსვამთ. დროდადრო გამომცხვარ დარიჩინიან კომშს გეახლებით; თალიამ საგანგებოდ ამ დღისთვის იყიდა. სპეციალური სათვალეები გვიკეთია და ცას შევცქერით. მზეს ჩრდილოეთის მხარე უკვე მოკბეჩილი აქვს. ახლა თალიას აპპლე-ის ლოგოტიპს ჰგავს. ის დროგამოშვებით კომპიუტერს ხსნის და ინტერნეტფორუმში კომენტარებს ტოვებს. ქუჩის ფეხით სავალ ნაწილზე და სახლის სახურავებზე ჩამომსხდარი ხალხი მოვლენას თვალს ადევნებს. ზოგი ოჯახი კუნძულის მეორე მხარეს გადავიდა, სადაც საბერძნეთის ასტრონომიულმა საზოგადოებამ ტელესკოპი დაამონტაჟა.

– კულმინაცია როდისაა მოსალოდნელი? – ვკითხულობ მე.

– დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, – ამბობს თალია. სათვალეს შუბლზე იწევს და საათს უყურებს, – კიდევ ერთ საათამდეა დარჩენილი, – მღელვარებისგან ხელებს იფშვნეტს, რაღაცას გამალებით ბეჭდავს.

ორივეს ვუცქერ. დედა – თავისი მუქი სათვალით, ლურჯად დაძარღვული, მკერდზე აკრული ხელებით და თალია – ნაქსოვი ქუდიდან ჩამოგდებული თეთრი თმით. ის გიჟივით უკაკუნებს ღილაკებს.

„კარგი კაცი დადექი“.

წინა ღამეს ტახტზე წამოწოლილი დედაჩემის სიტყვებზე ვფიქრობდი. მერე ფიქრით მადალინს მივწვდი. მახსოვს, პატარაობისას როგორ მაკლდა ყველაფერი, რასაც დედა, სხვა დედებისგან განსხვავებით, არ აკეთებდა. სეირნობისას ხელს არ მკიდებდა, კალთაში არ მისვამდა, არც ზღაპრებს მიკითხავდა ძილის წინ და არც მკოცნიდა. ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ წლების განმავლობაში საკუთარი ბოღმით დაბრმავებული ვერ აღვიქვამდი, ვერ ვაფასებდი მეორე, უფრო დიდ სიმართლეს – დედა არასოდეს მიმატოვებდა. ეს მისი ნება, რკინასავით მტკიცე რწმენა იყო, ის არასოდეს, არასოდეს მომექცეოდა ისე, როგორც მადალინი მოექცა თალიას. დედაჩემი იყო და არ მიმატოვებდა. არაფერი იყო უჩვეულო, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამისთვის მე მას მადლობას არ ვუხდიდი, ისევე როგორც მზეს არ უხდიან ნათებისთვის მადლობას.

– შეხედეთ! – ყვირის თალია.

უეცრად ჩვენ გარშემო – მიწაზე, კედლებზე, ტანსაცმელზე – პატარა მანათობელი ნამგლები გამოისახა, ნახევარმთვარის ფორმის მზე ჩვენი ზეთისხილის ხის ფოთლებში იყყიტება, ჩემს ყავის ჭიქაში ნახევარმთვარე ციმციმებს, მეორე ჩემი ფეხსაცმლის ზონარზე ცეკვავს.

– ოდი, ხელები მაჩვენე, – ამბობს თალია, – ჩქარა!

დედა ხელებს შლის. თალია ჯიბიდან კვადრატულ მრავალწახნაგა შუშის ნაჭერს იღებს და

დედას გაშლილი ხელისგულის ზევით უჭირავს. უცებ, დედაჩემის დამჭკნარ ხელისგულზე უამრავი პაწაწა ნამგალა ცისარტყელა იწყებს ციმციმს.

– შეხედე, მარკოს! – დედა გულიანად, პატარა გოგოსავით იცინის. ასე წრფელად, ასე გულუბრყვილოდ არასოდეს უცინია.

სამივე ვსხდებით. დედაჩემის ხელისგულზე პაწია მთრთოლვარე ცისარტყელებს ვუცქერთ და ვგრძნობ, როგორ მერევა სევდა, ტკივილი ყელში კლანჭებით მიჭერს.

„კარგი კაცი დადექი“. „ვამაყობ შენით, მარკოს“.

ორმოცდათხუთმეტი წლის ვარ. მთელი ცხოვრება ამ სიტყვებს ველი. უკვე გვიანია? ჩემთვის, ჩვენთვის? იქნებ მე და დედამ დიდი დრო დავკარგეთ ფუჭად? გულის სიღრმეში ვფიქრობ, ჯობია, ისე გავაგრძელოთ ცხოვრება, თითქოს ვერ ვხვდებით, რომ ერთმანეთს ვერასდროს ვეწყობოდით. ასე ნაკლებად მტკივნეულია. ყოველ შემთხვევაში, უკეთესია, ვიდრე მისი დაგვიანებული საჩუქარი – ოდნავ შესამჩნევი, წამიერი გაელვება იმისა, რაც შეიძლება ჩვენ შორის ყოფილიყო. ცვლილება მხოლოდ სინანულს მოიტანს.

რა არის კარგი სინანულში? – ვეკითხები ჩემს თავს, – არაფერი. დაკარგულის ანაზღაურება შეუძლებელია.

და მაინც, როცა დედა ამბობს:

– შეხედე, მარკოს, ხომ ლამაზია?

– ჰო, დედა, ლამაზია, – თითქოს გულის კარი მეხსნება, ვიხრები და მის ხელს ხელებში ვიქცევ.

თავი მეცხრე

ზამთარი, 2010 წელი

პატარაობისას მე და მამას ძილისპირული რიტუალი გვქონდა. „ბისმილლას“(ბისმილლა – (არაბ.) ღმერთის სახელით, სახელითა ალაჰისა.) თორმეტჯერ ვიტყოდი თუ არა, საწოლში მიკრავდა ხოლმე თავს. გვერდით ჩამომიჯდებოდა და ხელებით ჩემი თავიდან ცუდი სიზმრების გამოდევნას იწყებდა. თითებს შუბლიდან საფეთქლებისკენ ამოძრავებდა, მერე ყურებს უკან გადადიოდა, მერე კეფაზე, და ბოლოს ‚პუჰ“ დაიძახებდა, გეგონებოდათ, ბოთლიდან საცობი ამოვარდაო. გამოდევნილ სიზმრებს ერთიმეორის მიყოლებით უხილავ ტომარაში ყრიდა და თავს მაგრად უკრავდა ბაწრით. შემდეგ ჰაერში ბედნიერ სიზმრებს ეძებდა, რომ ცუდი სიზმრები ჩაენაცვლებინა. ვუცქერდი ხოლმე როგორ დადიოდა აწეული თავით წარბშეკრული ოთახის გარშემო, თითქოს ცდილობდა, შორიდან მომავალი მელოდია გაეგონა. სუნთქვაშეკრული ვუცდიდი იმ წუთს, როცა მამა გაიღიმებდა და წაიმღერებდა: აი, ისიც! ხელისგულებს შეუშვერდა და იცდიდა, როდის დაეშვებოდა ჰაერიდან მომწყდარი ფოთოლივით კონწიალ-კონწიალით კეთილი სიზმარი. მერე ჩუმად, ძალიან მშვიდი ხმით ჩამოთვლიდა ცხოვრების საუკეთესო, ყველაზე სასურველ, მაგრამ ფაქიზ, ადვილად დასაკარგ რაღაცებს. ჩემკენ დაიხრებოდა, ხელისგულებს შუბლზე დამადებდა და ბედნიერებას ჩემი თავისკენ აძლევდა გზას.

– ამაღამ რა დამესიზმრება, ბაბა? – შევეკითხებოდი.

– ოო, ამაღამ განსაკუთრებული სიზმარი გელის, – მეტყოდა და მოყოლას იწყებდა. ყვებოდა და თან თხზავდა. ერთ სიზმარში მსოფლიოში გამოჩენილი მხატვარი გავხდი, მეორეში მოჯადოებული კუნძულის დედოფალი, თავზე მფრინავი გვირგვინი მედგა. ჩემი საყვარელი დესერტის – ჰ)6II-0-ს((ამერ.) ჟელეს ტკბილი დესერტი.) სიზმარიც კი მაჩუქა. თუ მოვისურვებდი, ჯადოსნური კვერთხის ერთი მოქნევით ყველაფერს ჰ)6II-0-დ გადავაქცევდი: სკოლის ავტობუსებს, ცათამბჯენებს, მთელ წყნარ ოკეანეს; ისეთი სიზმარიც მქონდა, რომელშიც მეტეორს ნაწილებად ვფშვნიდი და სამყაროს განადგურებისგან ვიხსნიდი.

მამაჩემი, რომელიც მამამისზე ცოტას ლაპარაკობდა, ამბობდა, რომ თხრობის უნარი მისგან ერგო მემკვიდრეობით. თურმე პატარაობისას, თუ კარგ ხასიათზე იყო, რაც იშვიათად ხდებოდა, ბავშვებს დასხამდა და ფერიებზე, ჯინებსა და დევებზე უყვებოდა ზღაპრებს.

ხანდახან მამას როლს ვუცვლიდი. თვალებს დახუყჭავდა, მე ხელისგულებს შუბლიდან ქვევით, ჯაგარივით წვერზე და ხეშეშ ულვაშზე ჩამოვუსვამდი.

– აბა, ამაღამ რა იქნება ჩემი სიზმარი? – ჩურჩულით შემეკითხებოდა, ჩემს ხელებს სახიდან მოიშორებდა და სახეს ღიმილი გაუნათებდა. იცოდა, რომ ყოველთვის ერთსა და იმავე, მისი და მისი უმცროსი დის სიზმარს ვჩუქნიდი – აყვავებული ვაშლის ხის ქვეშ წვანან, თვალზე რული

ეკიდებათ; მზე ლოყებს უთბობს, ბალახსა და ფოთლებს დაჰნათის, ვაშლის ყვავილის კუნწულებს შორის იჭყიტება.

ერთადერთი შვილი ვიყავი. მე რომ გავჩნდი, ჩემმა მშობლებმა, რომლებიც ერთმანეთს პაკისტანში შეხვდნენ, კიდევ ერთხელ სცადეს ბედი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რადგან იმ დროს უკვე ორმოცს უკაკუნებდნენ. მახსოვს, სამეზობლოსა თუ სკოლაში, ყველა ბავშვის მშურდა, ვისაც უმცროსი და ან ძმა ჰყავდა. გაოცებას ვერ ვმალავდი, ისე ექცეოდნენ ერთმანეთს. ვერც კი ხვდებოდნენ, რა იღბლიანები იყვნენ. ძაღლებივით იღრინებოდნენ, ხან ჩქმეტდნენ, ხან სცემდნენ, ღალატობდნენ, დასცინოდნენ ერთმანეთს. ბავშვობა დედმამიშვილზე ოცნებაში გავატარე. როგორ მინდოდა, ტყუპისცალი მყოლოდა! ის, ვინც აკვანში ჩემ გვერდით იტირებდა, დაიძინებდა, დედაჩემის რძით გაიზრდებოდა. ვინც უპირობოდ, მთელი გულით მეყვარებოდა, ვის თვალებშიც ჩემი თავის დანახვას შევძლებდი.

ჰოდა, ბაბას უმცროსი და, ფარი, ჩემი საიდუმლო მეგობარი, ჩემი უხილავი და გახდა. და, რომელზეც ვოცნებობდი. მე მას ყველგან ვხედავდი, ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. დილით კბილებს რომ ვიხეხავდი, სარკეში ჩემ გვერდით იდგა, ერთად ვიცვამდით, სკოლაში ერთად მივდიოდით, საკლასო ოთახში მერხზე ჩემთან ახლოს იჯდა, დაფას ვუყურებდი და თვალის კუთხიდან მისი შავი თმისა და თეთრი სახის გამოსახულებას ვხედავდი. შესვენებაზე სათამაშოდ ერთად გავდიოდით. როცა სასრიალოზე ვეშვებოდი ან ღერძიდან ღერძზე ვხტოდი, ჩემს ზურგს უკან იდგა. გაკვეთილების შემდეგ სამზარეულოს მაგიდასთან ვსხდებოდით. მე ვხატავდი, ის კი იჯდა და მიცდიდა, ფანქრით რაღაცას ჯღაბნიდა, ხან დგებოდა, ფანჯარასთან მიდიოდა და გარეთ იყურებოდა. მერე ერთად გავვარდებოდით ხოლმე გარეთ და ჩვენი ტყუპი ჩრდილები სახტუნაო თოკზე ერთად ხტოდნენ.

ჩვენი თამაშების შესახებ არავინ იცოდა. მამაჩემისთვისაც კი არ მითქვამს. ეს ჩემი საიდუმლო იყო. ხანდახან, როცა მარტო ვიყავით, ყურძენს ვჭამდით და ვჭორაობდით. ვლაპარაკობდით ბიყების შესახებ, ერთმანეთს ვუმხელდით, რომელი ბავშვი, ბურბუშელა, მულტიპლიკაციური ფილმი მოგვწონდა და რომელი არა, ან რომელი მასწავლებელი იყო ყველაზე მკაცრი. ორივეს ერთი ფერი მოგვწონდა (ყვითელი), ორივეს ერთნაირი ნაყინი გვიყვარდა (ალუბლის), ერთ ტელესერიალს ვუყურებდით (ალფს“,ალფი“ – პოპულარული ამერიკული ტელესერიალი. ტელეეკრანებზე გადიოდა 1986-1990 წლებში.)) და ორივეს გვინდოდა, რომ მხატვრები გამოვსულიყავით.

ჩემს წარმოდგენაში ის ზუსტად ჩემნაირი იყო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს, ტყუპები ვიყავით. ზოგჯერ, შეიძლება

ითქვას, რომ ცხადად ვხედავდი. რამდენჯერმე მისი დახატვაც ვცადე. ყოველთვის ჩემნაირ, ოდნავ ასიმეტრიულად განლაგებულ მწვანე თვალებს ვუხატავდი, შავ ხუჭუჭა თმას, ერთმანეთზე გადაბმულ ქვევით ჩამოშვებულ წარბებს. ვინმეს თუ კითხვა გაუჩნდებოდა, ვპასუხობდი, რომ ჩემს თავს ვხატავდი.

მამაჩემის დის დაკარგვის ამბავი მოციქული მუჰამედის ისტორიასავით ზეპირად ვიცოდი. მერე, როცა მშობლებმა ჰეიუორდის მეჩეთის საკვირაო სკოლაში შემიყვანეს, მოციქულის შესახებ ყველაფერი ახლიდან ვისწავლე. ფარის ამბების მოსმენით არ ვიღლებოდი. კვლავ და კვლავ, ყოველღამე ვთხოვდი მამას, ყველაფერი ახლიდან მოეყოლა. მასთან უცნაურ მიზიდულობასა და სიახლოვეს ვგრძნობდი. ჩვენ ერთი სახელი გვერქვა. იქნებ ეს იყო ბუნდოვანი, საიდუმლოებით მოცული და ამასთანავე ნამდვილი, ცხოველმყოფელი კავშირის

მიზეზი? რატომ განვიცდიდი ასეთ სიახლოვეს? ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მასთან ერთად მეც გადავიტანე ყველაფერი. მოვლენათა უცნაურად განვითარებამ, რომლისაც ბოლომდე არ მესმოდა, ერთმანეთს გადაგვხლართა. ჩვენი სახელისა და ოჯახური კავშირის გარდა, კიდევ იყო რაღაც, რაც გვაერთიანებდა, თითქოს რებუსის ამოხსნას მხოლოდ ჩვენ ორნი ვაკლდით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ კიდევ უფრო დიდი ყურადღებით მოვუსმენდი მის ამბავს, საკუთარი თავის შესახებაც რაღაცას აღმოვაჩენდი.

– როგორ გგონია, მამაშენი მოწყენილი იყო ფარის გაყიდვის შემდეგ?

– ზოგს სევდის შენიღბვა კარგად გამოსდის. მამაჩემიც ასეთი იყო. ერთი შეხედვით ვერ იტყოდი, სევდიანიაო. ის პირქუში კაცი იყო. მე მაინც ვფიქრობ, რომ ძალიან განიცდიდა და შიგნიდან სევდა ჭამდა.

– და შენ, მამა?

მამაჩემი გაიღიმებდა და მეტყოდა:

– მე რატომ უნდა ვიყო სევდიანი, მე ხომ შენ მყავხარ?

მიუხედავად ჩემი ასაკისა, ვხვდებოდი, რომ სევდა თანდაყოლილი ლაქებივით ჰქონდა სახეზე მოდებული. ამდაგვარი საუბრების დროს ჩემი წარმოსახვა გამალებით მუშაობდა. წარმოვიდგენდი, რომ ფულს ვაგროვებ, ერთ დოლარსაც კი არ ვხარჯავ. არც კანფეტებს ვყიდულობ, არც საწებებლებს და როცა ჩემი გოჭის ფორმის ყულაბა ივსება, თუმცა გოჭი კი არა, კლდისნაპირას ჩამომჯდარი სირინოზია, ვტეხავ და მთელ ფულს მამას უმცროსი დის ძებნას ვახმარ. სადაც არ უნდა იყოს, როცა არ უნდა იყოს, აუცილებლად გამოვისყიდი, ბაბას დავუბრუნებ და გავაბედნიერებ. ამქვეყნად უფრო მეტად არაფერი მინდოდა, ვიდრე მისი სახიდან სევდის განდევნა.

– აბა, ამაღამ რა სიზმარი გვაქვს?

– ხომ იცი.

– ვიცი, – ღიმილით იტყოდა. – ბაბა?

– ჰო.

– კარგი და იყო?

– ყველაზე კარგი.

ლოყაზე მაკოცებდა, საბანს კისრამდე დამაფარებდა და კარისკენ წავიდოდა. სანამ

სინათლეს ჩააქრობდა, შეჩერდებოდა და იტყოდა:

– ყველაზე კარგი, – და დაამატებდა, – შენსავით.

ვიცდიდი, რომ გასულიყო. როგორც კი კარს გაიხურავდა, საწოლიდან ჩამოვსრიალდებოდი, კიდევ ერთ ბალიშს მოვიტანდი და ჩემი ბალიშის გვერდით დავდებდი. ყოველდამე მკერდში ტყუპი გულების ცემით ვიძინებდი.

საათს ვუყურებ. უკვე პირველის ნახევარია. ოლდ ოკლანდ როუდისკენ ვუხვევ. სან-ფრანცისკოს საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელად სულ მცირე ორმოცი წუთი

მჭირდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ 101-ე გზაზე სარემონტო სამუშაოებმა და ავტოსაგზაო შემთხვევებმა ხელი არ შემიშალა. ის მაიმედებს, რომ საერთაშორისო რეისია და საბაჟო შემოწმება რამდენიმე წუთს მომაგებინებს. მარცხენა მხარეს ვიჭერ და „ლექსუსს“ ოთხმოცით მივარბენინებ.

მახსოვს, ერთი თვის წინ ბაბას გონება ისევ დალაგდა, ჩვეულ კალაპოტში დაიწყო დინება, მაგრამ სულ რამდენიმე წამში ყველაფერი ისე გასკდა, როგორც ოკეანის ბნელ, ცივ ფსკერზე ჰაერის პაწაწინა ბუშტი. საუზმის მიტანა დამაგვიანდა. გასაშლელი სავარძლიდან გამომხედა და ოდნავ კრიტიკული ტონით მითხრა, რომ დაუდევრობა გენეტიკურად მომდგამდა.

– დედაშენივით, ღმერთმა ნათელში ამყოფოს იმისი სული.

მერე თითქოს უნდოდა, რომ დავემშვიდებინე:

– ადამიანს ერთი ნაკლი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს.

– გამოდის, რომ ჩემი ნაკლი ღმერთის საჩუქარია, არა? – ვთქვი და ლობიოთი და ბრინჯით სავსე თეფში მუხლებზე დავუდგი, – განწირული ვარ სიზარმაცისთვის. იმედი მაქვს, ღმერთს არ ეხალისებოდა ჩემი ამ ნაკლით დასაჩუქრება.

ბაბამ ჩემი ხელებისკენ გამოიწია:

– შენ მან სრულყოფილებასთან დაგაახლოვა.

– კარგი, თუ გინდა სიხარულით გაგიმხელ კიდევ რამდენიმე ნაკლს.

– შენ რა, აქამდე მალავდი?

– ჰო, მაგრამ მაშინ გეტყვი, მოხუცი და უმწეო რომ იქნები.

– მოხუცი და უმწეო ვარ.

– არა, ახლა იმიტომ ამბობ, რომ შემეცოდო.

რადიოს ვრთავ. ხან ჯაზს ვუსმენ, ხან ქანთრის, ხან ვიღაცის ლაპარაკს. ბოლოს ვთიშავ.

მოუსვენრობა მიპყრობს, ვღელავ. ტელეფონს ვიღებ და სახლის ნომერს ვკრეფ. გახსნილი მობილური კალთაში მიგდია.

– დიახ?

– სალამი, ბაბა, მე ვარ.

– ფარი?

– ჰო, ბაბა. ყველაფერი რიგზეა? შენ და ჰექტორი რას შვრებით?

– კი, ყველაფერი კარგადაა. ძალიან კარგი ახალგაზრდაა. კვერცხი შემიწვა. მერე გაფიცხებულ პურთან ერთად გეახელით. სად ხარ?

– მანქანაში. – რესტორანში მიდიხარ? დღეს შენი ცვლაა? – არა, ბაბა, აეროპორტში მივდივარ. ვიღაცას უნდა დავხვდე.

– კარგი, დედაშენს ვთხოვ, რომ სამხარი მოგვიმზადოს. ალბათ რესტორნიდან წამოიღებს რამეს.

– კარგი, ბაბა. კიდევ კარგი, აღარ ახსენა. ზოგჯერ გაუთავებლად ერთსა და იმავეს მეკითხებოდა.

– რატომ არ მეუბნები, ფარი, სად არის დედაშენი? ოპერაციას უკეთებენ? სადმე წავიდა? ავღანეთშია? მეც მივდივარ, მორჩა! ქაბულში მივდივარ, შენ ვერ შემაჩერებ.

გააფთრებული ბაბა ბოლთას სცემს, მე უკან დავყვები და ტყუილებით ვკვებავ. მერე ვცდილობ, ყურადღება სახლის სარემონტო სამუშაოების კოლექციაზე ან სხვა ტელეგადაცემაზე გადავატანინო. ხანდახან გამომდის. უმეტესად კი შეუვალია, არ ჭრის ჩემი ხრიკები. ღელავს, ცრემლებამდე მიდის, ბოლოს ისტერიის შეტევა ეწყება. თავში იცემს, სავარძელს აქეთ-იქით ახეთქებს, ქვითინებს, ფეხები უკანკალებს. ბოლოს „ატივანს“ ვაძლევ. ვუცდი, როდის მოერევა რული. და მერე ღონეგამოცლილი მოწყვეტით ვეცემი ტახტზე, სულს ძლივს ვითქვამ, ტირილამდე ვარ. სევდიანი ვუცქერ შემოსასვლელ კარს, მის უკან ღია სივრცეა, მინდა, რომ ავდგე, ზღურბლს გადავაბიჯო, გარეთ გავიდე და მერე უბრალოდ გზა გავაგრძელო. ამ დროს ბაბა ძილში კვნესის. აზრზე მოვდივარ, დანაშაულის განცდა მკლავს.

– ჰექტორთან დამალაპარაკე, ბაბა. ყურმილს აწვდის. ტელეთამაშის მონაწილეები გუგუნებენ, ბოლოს ტაშის ხმა ისმის.

– გაუმარჯოს, გოგონი.

ჰექტორ ჯუარეზი ქუჩის გადაღმა ცხოვრობს. დიდი ხანია მეზობლები ვართ. ბოლო რამდენიმე წელია ვმეგობრობთ. კვირაში რამდენჯერმე შემოგვივლის ხოლმე. სწრაფი კვების უვარგის საჭმელს ვჭამთ და გვიან ღამემდე სულელურ ტელეგადაცემებს ვუყურებთ, უმეტესად რეალითი შოუს. ცივ პიცას ვღეჭავთ, ეკრანზე ვიღაცების მანჭვა-გრეხასა და მასხარაობას ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით ვადევნებთ თვალს. ჰექტორი მეზღვაური იყო. სამხრეთ ავღანეთში მსახურობდა. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების დროს მძიმე დაზიანება მიიღო. როცა, ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნდა, მის შესაგებებლად მთელი კვარტალი გარეთ გამოვიდა. მშობლებმა წინა ეზოს კედელზე წარწერა გააკრეს: „კეთილი იყოს შენი სახლში დაბრუნება!“. იქაურობა ბუშტებითა და უამრავი ყვავილით მორთეს. როცა ჰექტორის მშობლების მანქანა სახლს მოუახლოვდა, ხალხმა ტაში დასცხო. რამდენიმე მეზობელმა ღვეზელი გამოაცხო. ვიღაცები ჰექტორს მადლობას უხდიდნენ: „ღმერთმა დაგლოცოს! აბა, გამაგრდი!“. ჰექტორის მამა, ცეზარი, რამდენიმე დღეში ჩვენთან მოვიდა და ჩვენთანაც ზუსტად ისეთივე გზა მოვაწყვეთ ინვალიდის ეტლის სამოძრაოდ, როგორიც თავის სახლში ჰქონდა. იქვე ამერიკის დროშაც დავამაგრეთ. მახსოვს, როცა ვმუშაობდით, სურვილი გამიჩნდა, ცეზარისთვის ბოდიში მომეხადა, იმის გამო, რაც ჰექტორს მამაჩემის სამშობლოში დაემართა.

– გაუმარჯოს, – ვამბობ მე, – ვიფიქრე მოვიკითხავ-მეთქი.

– აქ ყველაფერი რიგზეა, – ამბობს ჰექტორი. ვჭამეთ, „სამართლიან ფასებს“ ვუყურეთ. მერე „ბორბალს“ და ახლა მალე „სიძულვილი“ დაიწყება.

– ოჰ, ვწუხვარ.

– რისთვის მიჯა((ესპ. შემოკლ.) „მი ჰიჯა“ – ჩემი ქალიშვილი, ჩემი ქალი, ჩემი გოგო.)? მაგარ დროს ვატარებთ, არა, აბე?

– მადლობელი ვარ, ერბოკვერცხი შეგიწვავს მისთვის, – ვეუბნები მე.

– სინამდვილეში ბლინები, – ხმადაბლა ამბობს ჰექტორი, – ძალიან მოეწონა. თუ მიხვდები რამდენი ჭამა? ოთხი ცალი.

– ვალში ვარ შენთან.

– ეი! მაგრა მომეწონა შენი ახალი ნახატები. ბავშვი როა, ის ყველაზე უფრო. აბემ მაჩვენა. ამაყობს შენით, მეც, აბა, რა!

ვიცინი და მანქანა გვერდზე გადამყავს. ჩემ უკან მომავალს გზას ვუთმობ. – ახლა უკვე ვიცი, რა გაჩუქო საშობაოდ. – ერთი კიდევ გამახსენე, გოგონი, რატომ არ შეიძლება ჩვენი დაქორწინება? – ამბობს

ჰექტორი. შორიდან ბაბას ბუზღუნი მესმის. ჰექტორი იცინის, – ნუ გამიბრაზდები, აბე, ვხუმრობ. ხეიბარი ვარ, ხომ იცი?

მერე მე მომმართავს. – მგონი, მამაშენისგან პუშტუნობა გადამედო. ვახსენებ, რომ ბაბასთვის დილის აბების მიცემა არ დაავიწყდეს და ყურმილს ვკიდებ.

ეს იმას ჰგავს, რადიოწამყვანის ფოტო რომ ნახო. მანქანაში ზიხარ და უსმენ, შენ წარმოდგენაში სახეს აძლევ, სინამდვილეში კი სულ სხვანაირია. ის მოხუცია, უფრო სწორად, ხანში შესული. ეს, რასაკვირველია, ვიცოდი. გამოვითვალე კიდეც. სამოცს ალბათ უკვე გადასცდა. მაინც ძნელია ამ გამხდარი ჭაღარათმიანი ქალის იმ პატარა გოგონასთან დაკავშირება, გონების თვალით მთელი ცხოვრება რომ ვხედავდი. ჩემს წარმოსახვაში ის სამი წლის იყო, შავი ხუჭუჭა თმა და ჩემსავით თითქმის გადაბმული წარბები ჰქონდა. ის უფრო მაღალია, ვიდრე მოველოდი. სენდვიჩის ჯიხურთან სკამზე ზის. შემცბარი აქეთ-იქით იყურება, გეგონებათ, გზა აერია და არ იცის, საით წავიდეს. მოხდენილი ქალია, ვიწრო ბეჭებითა და სასიამოვნო სახით. უკან გადავარცხნილი თმა ყაისნაღით მოქსოვილი სარტყლით აქვს დამაგრებული. ნეფრიტის საყურეები უკეთია, გაცრეცილი ჯინსი და მოვარდისფრო-ნარინჯისფერი გრძელი ჟაკეტი აცვია. ყვითელი შარფი მოხდენილად აქვს მოგდებული კისერზე. ევროპული დახვეწილობა ეტყობა. ყვითელი შარფის შესახებ წინასწარ ვიცოდი, ბოლო ელექტრონულ წერილში მომწერა.

ჯერ არ შევუმჩნევივარ. მცირე ხნით ხალხს ვერევი და შორიდან ვუცქერ. მგზავრები ბარგით დატვირთულ ურიკებს მიაგორებენ. ქალაქის ტაქსის მძღოლები დამკვეთებს კისერზე ჩამოკიდებული ტრაფარეტებით ხვდებიან. გული ლამის მკერდიდან ამომმვარდეს. ჩემთვის ვფიქრობ: ის არის, ის არის, მართლა ის არის. მერე ერთმანეთს თვალებით ვხვდებით. სახეზე ეტყობა, რომ მიცნო. ხელს მიქნევს.

სკამს ვუახლოვდები. მუხლებში სისუსტეს ვგრძნობ. ზუსტად მამაჩემისნაირად იცინის. ერთი განსხვავება ისაა, რომ ზედა წინა კბილები ბრინჯის მარცვლის ტოლი მანძილით აქვს ერთმანეთთან დაშორიშორებული და ოდნავ მარცხნივ გადახრილი. იცინის და სახეზე ნაკეცები უჩნდება, თვალები თითქმის ეხუჭება. თავს გვერდზე ხრის. ფეხზე დგება და მის ხელებს ვხედავ. დაკორძილი სახსრები, ცერა თითიდან გარეთ გადაბრეცილი თითები, მაჯებზე მუხუდოს მარცვლის სიმსხო წანაზარდები. მუცელი გვრემას მიწყებს, ეტყობა, ძალიან სტკივა.

ერთმანეთს ვეხვევით. ლოყებზე მკოცნის. მისი კანი თექასავით რბილია. შემდეგ ოდნავ მშორდება და მათვალიერებს. ხელები ჩემს მხრებზე უწყვია. სახეში მიყურებს, ისე, თითქოს ნახატს აფასებდეს. თვალები ენამება. ბედნიერებას ასხივებს.

– ბოდიშს გიხდით დაგვიანებისთვის.

– არაფერია, – ამბობს ის. – ბოლოს და ბოლოს, შენთან ვარ! ისე მიხარია! – ფრანგული აქცენტი ახლა კიდევ უფრო ძლიერად იგრძნობა, ვიდრე ტელეფონში.

– მეც ძალიან მიხარია, როგორ იმგზავრეთ?

– წამალი მივიღე. ვიცოდი, რომ სხვანაირად ვერ დავიძინებდი, მეტისმეტად აღელვებული და ბედნიერი ვარ.

სახეგაბრწყინებული მიღიმის. თვალს არ მაშორებს. თითქოს ეშინია, ვაითუ იქით გაიხედოს და სასწაული დასრულდეს. ასე გრძელდება, ვიდრე ჩვენს თავზე ხმამაღლამოლაპარაკე ჩაირთვება და მგზავრებს ურჩევს, უპატრონოდ დარჩენილი ბარგის შესახებ განაცხადონ. მერე ოდნავ ეშვება.

– აბდულამ უკვე იცის, რომ ჩამოვედი? – მან იცის, რომ სახლში სტუმარი მიმყავს.

მოგვიანებით, როდესაც მანქანაში ვსხდებით, შეფარვით ვუცქერ. უცნაურია, ზღაპარს ჰგავს, ფარი ვაჰდათი ჩემს მანქანაში ჩემგან ორი ინჩის დაშორებით ზის! ცხადად ვხედავ – კისერზე შემოხვეული ყვითელი შარფი, მოკლე თხელი თმა, მარცხენა ყურთან ყავისფერი ხალი – შემდეგ თითქოს ნისლში ეხვევა, თითქოს დაბინდული სათვალიდან ვხედავ. თავბრუ მესხმის.

– ხომ კარგად ხარ? – მეკითხება და უსაფრთხოების ღვედს იკრავს.

– მგონია, რომ ახლა გაუჩინარდებით.

– ოოჰ, ვწუხვარ.

– ცოტა დაუჯერებელია… – ნერვულად ვიცინი, – რომ მართლა არსებობთ და აქ ხართ.

– ოჰ, ჩემთვისაც, ჩემთვისაც უცნაურია. ხომ წარმოგიდგენია, მთელი ცხოვრების განმავლობაში არ შევხვედრივარ ვინმეს, ვისაც ჩემი სახელი ჰქვია.

– მეც ასევე, – მანქანას ვქოქავ, – თქვენი შვილების შესახებ მომიყევით.

სანამ მანქანის სადგომიდან გამოვალთ, მათ შესახებ მიყვება. შვილების სახელებს ისე ახსენებს, გეგონებათ მთელი ცხოვრებაა მათ ვიცნობ, თითქოს ერთად გავიზარდეთ, თითქოს ყოველ ზაფხულს ერთად ვატარებდით ზღვისპირა კურორტებზე, თითქოს ნიჟარების ყელსაბამებს ერთად ვაგებდით და ერთმანეთს ქვიშაში ვმარხავდით. ნეტავ მართლა ასე ყოფილიყო.

ალენზე მიყვება. – ჩემს ვაჟს, შენს ბიძაშვილს, – ამატებს, – და მის ცოლს, ანას, მეხუთე შვილი, პატარა გოგონა შეეძინათ. საცხოვრებლად ვალენსიაში გადავიდნენ და როგორც იქნა, სახლი იყიდეს. ბოლოს და ბოლოს, თავი დააღწიეს იმ საძაგელ სახლს, მადრიდში რომ ჰქონდათ. ფარის სიყრმის შვილი, იზაბელი, მუსიკას წერს, ძირითადად ტელესერიალებისთვის, თუმცა სულ ახლახან მხატვრული ფილმისთვისაც შეუკვეთეს. იზაბელის ქმარი, ალბერტი, პარიზის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში უფროს მზარეულად მუშაობს.

– თქვენ რესტორანი გაქვთ, არა? – მეკითხება ფარი. – მგონი, წერილში მწერდი ამის შესახებ.

– ჩემს მშობლებს ჰქონდათ. მამაჩემი სულ ოცნებობდა, რომ რესტორანი ჰქონოდა. მე უბრალოდ ვეხმარებოდი, მაგრამ რამდენიმე წლის წინ დედა გარდაიცვალა, ხოლო მამაჩემი… დაუძლურდა და გაყიდვა მომიხდა.

– ოჰ, ძალიან ვწუხვარ. – არა უშავს, რესტორანი მაინც არ იყო ჩემი საქმე. – მეც ასე მგონია, შენ ხომ მხატვარი ხარ.

მე მოვუყევი, როდესაც პირველად ვესაუბრე ტელეფონით. მკითხა, რას საქმიანობო და ვუთხარი, რომ სამხატვრო სკოლაში სწავლაზე ვოცნებობდი. – სინამდვილეში მონაცემთა ბაზის ოპერატორი ვარ.

ყურადღებით მისმენს. ვუხსნი, რომ ვმუშაობ დაწესებულებაში, რომელიც „ფორტუნა 500“-ის(მაღალშემოსავლიანი კორპორაციების სია, რომელსაც ამერიკული ჟურნალი „ფორტუნა“ ყოველწლიურად აქვეყნებს.) სიაში შესული მაღალშემოსავლიანი კომპანიების მონაცემებს ამუშავებს. ჩემი საქმე ბლანკების, ბროშურების, ქვითრების, მომხმარებელთა ელექტრონული მისამართების სიის შედგენაა. მთავარია, ბეჭდვა იცოდე. კარგადაც მიხდიან.

– მესმის, – ცოტა ხანს ფიქრობს და შემდეგ მეკითხება, – გაინტერესებს ეს სამუშაო?

გეზი სამხრეთისკენ გვიჭირავს. გზად რედვუდ სითი უნდა გავიაროთ. მისკენ ვიხრები, მაღალი შენობისკენ თითს ვიშვერ და ფანჯრიდან ვახედებ.

– იმ მაღალ შენობას ხედავთ, ლურჯი აბრა რომ აქვს?

– დიახ.

– მანდ დავიბადე.

– Ah, bon?((ფრ.) ნამდვილად?) – კისერს აბრუნებს და ფანჯარაში იყურება. – გაგიმართლა.

– რატომ?

– იცი, საიდანაც ხარ.

– მგონი, დიდი ყურადღება არასოდეს მიმიქცევია.

– ბაჰ, რასაკვირველია, მაგრამ ამის ცოდნა მნიშვნელოვანია. უნდა იცოდე შენი ფესვები, შენი ცხოვრება სად დაიწყო. თუ არა და, საკუთარი ცხოვრება არარეალური გეჩვენება.

თავსატეხივითაა. Vოუს ცომპრენეზ?((ფრ.) მიმიხვდით?) თითქოს ისტორიის დასაწყისი გამოტოვე, სადღაც შუაში ხარ, ცდილობ, მაგრამ რთულია გზის გაგნება.

ალბათ ბაბაც ასე გრძნობს თავს. მთელი მისი ცხოვრება გამოტოვებული ამბების ორომტრიალია, ერთმანეთში გადახლართული ისტორიების ლაბირინთი, რომელშიც როგორმე უნდა გაიარო.

რამდენიმე მილს სიჩუმეში გავდივართ.

– მაინტერესებს თუ არა ჩემი სამუშაო? – ვამბობ მე, – ერთ დღეს სახლში რომ დავბრუნდი, სამზარეულოში ონკანი დამხვდა მოშვებული, იატაკზე გატეხილი ჭიქის ნამსხვრევები ეყარა, გაზის ქურა ჩართული იყო. მაშინ

მივხვდი, რომ მისი მარტო დატოვება აღარ შეიძლებოდა. მომვლელს ვერ ვიქირავებდი და ამიტომ ისეთი სამსახურის ძებნა დავიწყე, სახლიდან გაუსვლელად რომ შევძლებდი მუშაობას. ასე რომ, ამ ამოცანის ამოხსნის დროს სიტყვა „საინტერესოს“ დიდი დატვირთვა არ აქვს.

– სამხატვრო სკოლა მოიცდის. – მეტი რა გზაა.

როგორ არ მინდა, რომ თქვას, მამაშენს გაუმართლა შენნაირი ქალიშვილი რომ ჰყავსო. შვებას ვგრძნობ, რადგან მხოლოდ თავს აქნევს, თვალს გაქცეულ საგზაო ნიშნებს ადევნებს. სხვები, განსაკუთრებით კი ავღანელები, ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ ბაბას ძალიან გაუმართლა, რომ მისთვის ნამდვილი ღვთის წყალობა ვარ. ჩემზე ლაპარაკისას აღტაცებას ვერ მალავენ, ლამის წმინდანად გამომაცხადონ. ქალიშვილი, რომელმაც გმირულად თქვა უარი ბრწყინვალე, უზრუნველ ცხოვრებაზე და ოჯახისა და მამის მოვლა აირჩია. – დედა არ ეყოფოდა? – თანაგრძნობით, ტირილგარეული ხმით ამბობენ ისინი. – რამდენი წელი უვლიდა, რა საშინელება იყო. ახლა კი მამა. ძალიან ლამაზი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მთხოვნელი ჰყავდა. აი, ის ამერიკელი, მზის ბატარეებით რომ ვაჭრობს. შეეძლო ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ არა, იმათ გამო უარი თქვა. თავი გაწირა. ოჰ, ოჰ, ნეტავ ყველა მშობელს ჰყავდეს ასეთი შვილი! მაქებენ და მადიდებენ შემართების გამო, გაოცებული არიან ჩემი სიმამაცითა და სულგრძელობით. თითქოს მარტომ მოვახერხე და დავძლიე ფიზიკური სიმახინჯე, ან თითქოს მარტომ დავამარცხე მეტყველების თანდაყოლილი დეფექტი.

მაგრამ ამბის ამ ვერსიაში ჩემს თავს ვერ ვცნობ. მაგალითად, ვხედავ, დილაობით, როგორ ზის ბაბა თავის საწოლზე, წირპლიანი თვალებით მიყურებს და მიცდის, როდის ამოვაცმევ გამხმარ, ლაქიან ფეხებზე წინდებს. ჩემს სახელს ბურტყუნით იმეორებს და უცოდველ სახეს იღებს. ცხვირს ისე ჭმუხნის, გაწუწულ, შეშინებულ მღრღნელს ემსგავსება. ამ დროს ვერ ვიტან. ვერ ვიტან ისეთს, როგორიც ახლა არის. ვერ ვიტან ჩემი არსებობის საზღვრების შევიწროებისთვის, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლების გაფლანგვისთვის. არის დღეები, როცა მეტი არაფერი მინდა, ოღონდ მისი ჭირვეულობისა და უსუსურობისგან გავთავისუფლდე. არაფრით ვგავარ წმინდანს.

მეცამეტე ქუჩაზე გავდივარ. კიდევ რამდენიმე მილს გავივლით, სახლთან მისასვლელ გზაზე, ბივერ-ქრიკ-ქორთ-ზე გავალთ და ძრავას გამოვრთავ.

ფარი ფანჯრიდან უყურებს ჩვენს ერთსართულიან სახლს. მანქანის სადგომს საღებავი სცვივა, ფანჯრის ჩარჩოები ზეთისხილისფრადაა შეღებილი, სახლის შესასვლელი კარის ორივე

მხარეს ლომის საშინელი ქანდაკებები დგას – მამაჩემს მოსწონს და გულმა არ გამიშვა, რომ მომეშორებინა, თუმცა შეიძლება ვერც კი შეემჩნია. ამ სახლში 1989 წლიდან ვცხოვრობთ. ანუ იმ დროიდან, როცა მე შვიდი წლის ვიყავი. ბაბამ მეპატრონისგან 1993-ში გამოისყიდა. დედაჩემი, შობის დადგომამდე ერთი დღით ადრე, მშვიდ მზიან დილას, აქ გარდაიცვალა. მისი თხოვნით საავადმყოფოდან მოტანილი საწოლი სასტუმრო საძინებელში დავდგი. ამ

საწოლში გაატარა ცხოვრების ბოლო სამი თვე. აქედან კარგი ხედია, განწყობას მიმაღლებსო, ამბობდა. ფეხები გასივებული და გაშავებული ჰქონდა. იწვა და მთელი დღე წლების წინ ჩიხში თავის ხელით დარგულ ნეკერჩხლებს, ვარსკვლავებივით ციმციმა ყვავილების კვლებს, კენჭებით

მოკირწყლულ ბილიკებს უცქეროდა, და კიდევ მთებს, რომლებიც შუადღისას, მზიან ამინდში, მთლიანად ოქროსფრად იმოსებოდნენ.

– ძალიან ვღელავ, – ხმადაბლა ამბობს ფარი.

– მესმის, – ვპასუხობ, – ორმოცდათვრამეტი წლის შემდეგ…

ფარი მუხლებზე დაწყობილ საკუთარ ხელებს დასცქერის.

– თითქმის არაფერი მახსოვს, არც მისი სახე, არც მისი ხმა. მხოლოდ ის ვიცი, რომ მთელი ცხოვრება რაღაც მაკლდა. რაღაც კარგი… ოჰ, არც კი ვიცი, როგორ ვთქვა, სულ ეს არის.

თავს ვუქნევ. არ ვეუბნები, რა კარგად მესმის ყველაფერი, არც იმას ვეკითხები, ჰქონდა თუ არა წარმოდგენა ჩემი არსებობის შესახებ. ისედაც ნათელია.

ხელით შარფის გამოძენძილ ბოლოს აწვალებს.

– როგორ გგონია, შესაძლებელია, რომ გამიხსენოს?

– სიმართლე გაინტერესებთ?

– რასაკვირველია, – თვალს არ მაცილებს.

– ჯობია, რომ არ გაგიხსენოთ, – მამაჩემის ექიმის, ბაშირის სიტყვები გამახსენდა. მისი აზრით, მამას მშვიდი რეჟიმი, წესრიგი სჭირდებოდა, პროგნოზირებადი ცხოვრება, მოულოდნელობების გარეშე.

მანქანის კარს ვაღებ.

– იქნებ ერთი წუთი მანქანაში დაიცადოთ? მეგობარს გავაგზავნი სახლში და მერე თქვენ და ბაბა შეხვდებით ერთმანეთს.

სახეზე ხელებს იფარებს. არ მინდა, დავინახო, როგორ მოსცდის ცრემლი. თერთმეტი წლის რომ ვიყავი, ჩემი სკოლის ყველა მეექვსეკლასელი მონტერეის აკვარიუმში

ექსკურსიაზე წავიდა ღამისთევით. ბავშვებს მთელი კვირის განმავლობაში მეტი სალაპარაკო არ ჰქონდათ. ბიბლიოთეკაში, შესვენების დროს „ოთხი კვადრატის“ თამაშისას, გაუჩერებლად

ბჭობდნენ იმაზე, თუ რას გააკეთებდნენ, რითი გაერთობოდნენ. როგორც კი აკვარიუმი დაიკეტება, ღამის პერანგების ამარა გამოვარდებიან გარეთ და თავჩაქუჩა თევზებს, სკაროსებს, ზღვის ცხენებსა და კალმარებს შორის ირბენენ. მასწავლებელმა გვითხრა, რომ სასადილო აკვარიუმის გარშემო მოეწყობოდა. სადილად არაქისის კარაქი და ჯემის სენდვიჩები ან მაკარონი

ყველით იქნებოდა, შემდეგ ნამცხვარი და ვანილის ნაყინი. ღამით ბავშვები საძილე ტომრებში შეძვრებიან, მასწავლებლები ძილისპირულ ზღაპრებს წაუკითხავენ, დაბოლოს, ყველა ერთად მაღალ წყალმცენარეებს შორის ლივლივით მცურავ სარდინებს, კატისებრ ზვიგენებსა და ზღვის ცხენებს შორის დაიძინებს. ხუთშაბათს კიდევ უფრო გამძაფრდა მოლოდინი. ყველაზე ცელქი მოსწავლეებიც კი სანიმუშოდ იქცეოდნენ. იცოდნენ, რომ ურჩობა ექსკურსიის ფასად დაუჯდებოდათ.

მძაფრსიუჟეტიან ფილმს ხმა რომ გამოურთო და უყურო, ისე აღვიქვამდი ყველაფერს. მთელი ამ მხიარული ორომტრიალისგან განზე ვიდექი. საზეიმო განწყობა მე არ მეხებოდა. ასე ხდებოდა ხოლმე ყოველ დეკემბერსაც, როცა ჩემს კლასელებს სახლებში თავის ნაძვის ხეებთან, ბუხრის თავზე გადმოკიდებულ წინდებთან და საჩუქრების პირამიდებად აღმართულ გროვასთან მიუხაროდათ. მასწავლებელს ვუთხარი, რომ ექსკურსიაზე ვერ მივდიოდი. რატომო, მკითხა და ვუპასუხე, კვირის ბოლოს მაჰმადიანური დღესასწაულია-მეთქი. არ ვიცი, დამიჯერა თუ არა.

ექსკურსიის დღეს მშობლებთან ერთად სახლში ვიყავი და „მან მკვლელობა დაწერას“ ვუყურებდი. ვცდილობდი, რომ ყურადღების კონცენტრაცია მომეხდინა, მაგრამ ფიქრი გამირბოდა. ახლა ჩემს კლასელს ხელში ფარანი უჭირავს და უზარმაზარი გველთევზას კონტეინერის შუშაზე შუბლი აქვს მიჭერილი, გავიფიქრე და გულში რაღაც ჩამწყდა. ტახტზე გადავწექი. მეორე ტახტზე ბაბა პირში მოხალულ არაქისს იყრიდა და ანჯელა ლენსბერის ხუმრობაზე იცინოდა. მის გვერდით დედა იჯდა, მოღუშული სახით, ჩაფიქრებული მიცქერდა, მაგრამ როცა თვალებში შემხედა, შეფარვით გამიღიმა. თავს ძალა დავატანე და ღიმილი დავუბრუნე. იმ ღამეს მესიზმრა, ვითომ ოკეანეში შევედი, ათასფერი ჩრდილი ირეოდა ერთმანეთში – მწვანე, ლურჯი, ცისფერი, საფირონისფერი, ფირუზისფერი, ზურმუხტისფერი. წყალი ნება-ნება ირწეოდა ჩემს თეძოებთან, ფეხებთან თევზების ლეგიონები დასრიალებდნენ, თითებისკენ ჩაიქროლებდნენ, წვივებზე მჩხვლეტდნენ, თეთრ ქვიშაზე ფერადი ელვასავით ანათებდნენ. მთელი ოკეანე ჩემი საკუთარი აკვარიუმი იყო.

იმ კვირას მამამ მოულოდნელი საჩუქარი გაგვიკეთა. რესტორანი დაკეტა, რაც ადრე არასოდეს მომხდარა, მე და დედა მანქანაში ჩაგვსვა და მონტერეის აკვარიუმში წაგვიყვანა. გზაში გაუთავებლად გვახსენებდა, რომ წინ დიდი დღე გველოდა. ყველაფერი აინტერესებდა, გასაკუთრებით კი ზვიგენების ნახვა უნდოდა. სადილად რა ვჭამოთ? ვუსმენდი და თან ვისხენებდი: პატარა რომ ვიყავი, ხშირად დავყავდი ხოლმე კელლის პარკსა და იაპონურ ბაღში ჩვენს სახლთან ახლოს. ცოცხალ კუთხეში საათობით ვათვალიერებდით კოის(კოი – სატბორე ან დეკორატიული თევზი.) ნაირსახეობებს, თითოეულს სახელს ვარქმევდით. მახსოვს, ბაბას ხელს ჩაბღაუჭებული ვიდექი და ვფიქრობდი, რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო, ბაბას გარდა, არავინ არასდროს დამჭირდება-მეთქი.

მონტერეის აკვარიუმში ექსპონატებს მოჩვენებითი გულმოდგინებით ვათვალიერებდი. ვცდილობდი, ბაბას კითხვები თევზების სახეობების შესახებ

უპასუხოდ არ დამეტოვებინა. იქაურობა მეტისმეტი სინათლისგან კაშკაშებდა, ხალხი ძალიან ხმაურობდა და საინტერესო

ექსპონატებთან უზარმაზარი რიგები იდგა. ამ ყველაფერს საერთო არაფერი ჰქონდა ჩემს წარმოსახვაში დახატულ ექსკურსიასთან. დავიღალე, დამტანჯა ძალით ღიმილმა და იმაზე ფიქრმა, რომ როგორმე ისე მოვქცეულიყავი, თითქოს ძალიან მომწონდა იქ ყოფნა. ერთი საათის შემდეგ მუცელი ამტკივდა და წამოვედით. მანქანაში ბაბა მოღუშული სახით მიყურებდა, რაღაცის თქმასაც აპირებდა, მაგრამ თვალები დავხუჭე. ვითომ მეძინა.

მომდევნო წელს, საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის გოგონებმა თვალებისა და ტუჩების შეღებვა დაიწყეს. „BoyzIIMen“-ის კონცერტებზე დადიოდნენ, სკოლაში მოწყობილ ცეკვის საღამოებს ესწრებოდნენ, „Great America“-ს(40 ჰექტარზე გადაჭიმული გასართობი პარკი კალიფორნიაში.) ჩქაროსნულ გორაკებზე თავდაყირა ტრიალის დროს წივილ-კივილით იკლებდნენ იქაურობას; ჩემმა კლასელებმა ბედი კალათბურთსა და სპორტსმენების მხარდასაჭერ ცეკვებშიც სცადეს. ესპანურის გაკვეთილზე ჩემ უკან ერთი გოგონა იჯდა. ფერმკრთალი, ჭორფლიანი სახე ჰქონდა. გოგონა ცურვის გუნდში ჩაწერას აპირებდა. ერთხელაც, როცა ზარი დაირეკა და მერხებიდან ჩვენ-ჩვენი ნივთების ალაგება დავიწყეთ, მომიტრიალდა და იქნებ შენც გეცადაო, მითხრა. ის კი არ იცოდა, რომ ჩემი მშობლები თავებს ცოცხლად დაიმარხავდნენ, თუ გავბედავდი და ხალხში საცურაო კოსტიუმით გამოვჩნდებოდი. მეც არ ვიკლავდი მაინცდამაინც თავს. ჩემი სხეულის გამოჩენა მრცხვენოდა კიდეც. წელზევით გამხდარი ვიყავი, სამაგიეროდ სხეულის ქვედა ნაწილი თვალშისაცემად სქელი მქონდა. ალბათ მიზიდულობის ძალამ ჩემი სხეულის მთელი სიმძიმე ფეხებისკენ ჩაქაჩა. ისე გამოვიყურებოდი, ბავშვის აწყობილი გეგონებოდით, ხომ იცით, ფიგურების სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთში რომ ურევენ და ფიგურის ერთ ნაწილს შესაფერის მეორე ნაწილთან აწყვილებენ. უფრო სწორად, შეცდომით აწყვილებენ და მერე ყველა ერთად იცინის. დედა მეუბნებოდა, მსხვილძვალა ხარ, დედაჩემსაც ზუსტად ასეთი აღნაგობა ჰქონდაო. მერე გაჩერდებოდა ხოლმე. ალბათ ხვდებოდა, რომ „მსხვილძვალა“ ის სიტყვა არ იყო, ახალგაზრდა გოგოს რომ გახარებოდა.

დიდხანს ვცდილობდი, მამაზე გავლენა მომეხდინა, რომ ნება მოეცა, ხელბურთზე მევლო, მაგრამ ფაქიზად მომხვია მკლავები, ჩემი სახე ხელებში მოიქცია და მითხრა: – ვარჯიშზე ვინ გატარებს? თამაშზე ვინ წაგიყვანს? ეს ჩვენთვის ფუფუნებაა, ნეტავ, შენი მეგობრების მშობლებივით გვქონდეს ცხოვრება აწყობილი. ჩვენ თავი უნდა გავიტანოთ, არ დავუშვებ, რომ ისევ სოციალური დახმარების იმედზე დავრჩეთ. ასეა, ჩემო საყვარელო, და ვიცი, რომ გესმის.

მართალია, როგორც თვითონ ამბობდა, თავის გასატანად იბრძოდა, მაგრამ ქემბელში ფარსის კურსზე მაინც ჩამწერა. ყოველ სამშაბათს, სკოლის შემდეგ ფარსის გაკვეთილებს ვესწრებოდი. თევზი რომ აიძულო, დინების საწინააღმდეგოდ იცუროს, ისე ვაცოდვილებდი კალმისტარს მარჯვნიდან მარცხნივ. ვევედრებოდი ბაბას, შეეწყვიტა ჩემი წვალება, მაგრამ პასუხი მზად ჰქონდა: – შენი კულტურა შენი სახლია, ენა კი შესასვლელი კარისა და ყველა

სხვა ოთახის გასაღები. ენის გარეშე დაიკარგები, უსახლკაროდ და იდენტობის გარეშე დარჩები.

და კვირა დღეები. თავზე ბამბის ქსოვილის თეთრ თავსაფარს ვიფარებდი და ბაბას ჰეიუორდის მეჩეთში ყურანის გაკვეთილზე მივყავდი. ოთახი, სადაც, ჩემ გარდა, კიდევ ათ გოგოს უტარდებოდა გაკვეთილი, პატარა იყო, კონდიციონერის გარეშე. ყველაფერთან ერთად გაურეცხავი საცვლების სუნით ყარდა. ფანჯრები ზევით, ჭერთან იყო გამოჭრილი, ისე, როგორც ფილმებში, ციხეების საკნებშია. გაკვეთილებს ფრიმონტელი ბაყალის ცოლი გვიტარებდა.

ყველაზე მეტად მოციქულის ცხოვრება მომწონდა. ის ბავშვობაში უდაბნოში ცხოვრობდა. გამოქვაბულში ანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და წმინდა წიგნის სტროფების წაკითხვა უბრძანა. ყველა, ვისაც ხვდებოდა, გაოცებული იყო მისი კეთილი, გასხივოსნებული სახით. ეს საინტერესოდ მეჩვენებოდა, იმ გრძელ სიაზე კი რა გითხრათ, მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე რომ გვიკითხავდა. სიაში ჩამოთვლილი იყო უამრავი რამ, რისგანაც, რადაც არ უნდა დაგვჭდომოდა, თავი შორს უნდა დაგვეჭირა, თუკი გვინდოდა, რომ უბიწო მაჰმადიან გოგონებად დავრჩენილიყავით და დასავლურ კულტურას ჩვენზე დაღი არ დაესვა. პირველ ყოვლისა, ყველაზე მეტად, ბიჭებს უნდა მოვრიდებოდით, მერე რეპ მუსიკას, მადონას, სერიალ „მელროსე პლაცე“-ს, მოკლე შარვლებს, ცეკვას, ცურვას, აოკოჰოლს, ლორს, პეპერონის, „ჰარამ(ჰარამ – (არაბ.) ის, რასაც რჯული კრძალავს, ანუ არ არის ნებადართული.)-ბურგერს“ და ასე შემდეგ. იატაკზე ვიჯექი, სიცხისგან ოფლი მდიოდა, ფეხები მოდუნებული მეწყო და ვოცნებობდი, რომ თავსაფარი მომეხსნა. აბა, რას მოვიხსნიდი მეჩეთში! ფანჯრებს ავხედავდი ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ცის პატარა ნაგლეჯი მოჩანდა. ერთი სული მქონდა, იქიდან გამოვსულიყავი. როგორც კი სახეზე სუფთა ჰაერი შემეხებოდა, შვებას ვგრძნობდი, დაახლოებით ისე, მჭიდროდ შეკრული თმა რომ ჩამოიშალო.

მაგრამ მანამდე ერთადერთი გამოსავალი გონების სადავეების მიშვება იყო. ხანდახან ვიჯექი და ჯერემი უორიკზე, მათემატიკის კლასის მოსწავლეზე, ვფიქრობდი. ჯერემის წვრილი ლურჯი თვალები ჰქონდა, თეთრი აფრიკელივით გამოიყურებოდა. გულჩათხრობილი იყო. გიტარაზე უკრავდა. სკოლაში ჩატარებულ ნიჭიერთა კონკურსზე ერთ-ერთ ჯგუფთან ერთად გამოვიდა. „ამომავალი მზის სახლის“ ხმაურიანი ვერსია შეასრულეს. გაკვეთილებზე ოთხი რიგით ჯერემის უკან და მარცხნივ ვიჯექი. ზოგჯერ წარმოვიდგენდი, რომ კისერზე ხელს მხვევდა და მკოცნიდა. ისე მიახლოვდებოდა, რომ მისი სახე მთელ ქვეყანას ფარავდა. სასიამოვნო გრძნობა ბუმბულივით ნაზად მედებოდა ხელებზე, ფეხებსა და მუცელზე. რასაკვირველია, ჩვენ შორის არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. არასოდეს! იქნებ ამჩნევდა კიდეც ჩემს არსებობას, მაგრამ ერთხელაც არ გამოუმჟღავნებია. მე ასე მერჩივნა, იმას მაინც ვიფიქრებდი, რომ უბრალოდ არ მოვწონდი და მეტი მიზეზი არ არსებობდა.

ზაფხულობით ჩემი მშობლების რესტორანში ვმუშაობდი. უფრო პატარა რომ ვიყავი, მაგიდების გადაწმენდა, ზედ თეფშების, ვერცხლისფერი დანა-ჩანგლისა და ქაღალდის ხელსაწმენდების დაწყობა მიყვარდა. პატარა მრგვალ ლარნაკებში თითო წითელ გერბერას ვაწყობდი და თითოეული მაგიდის

შუაში ვდგამდი. საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ოჯახს ძალიან ვჭირდებოდი. სხვა ვინ შეამოწმებდა, სავსე იყო თუ არა სამარილეები და საწიწაკეები. მე რომ არა, ჩვენი საქმე ნაწილებად დაიშლებოდა.

უფროსკლასელი რომ გავხდი, ჩვენს „ქაბაბის სახლში“ გატარებული დღეები უკვე ცხელი და დაუსრულებელი მეჩვენებოდა. ის, რაც აქამდე მომწონდა, ჩემს თვალში გაფერმკრთალდა: კუთხეში სოდიანი წყლის ძველი აპარატი, მაგიდებზე გადაფარებული მუშამბა, დალაქავებული ჭიქები, მენიუში შეტანილი ცუდად შერჩეული სახელები – ქაბაბი „ქარავანი“, ფლავი „ხაიბერის უღელტეხილი“, წიწილა „აბრეშუმის გზა“, National Geographic-იდან ამოღებული სურათი, ზედ ავღანელი გოგონას სახით, გოგონა ისე იცქირებოდა, გეგონებოდათ ბრძანება გასცა, ყოველი ავღანური რესტორნის კედლებზე ჩემი სურათი გამოფინეთო. ამ სურათის გვერდით ბაბამ ჩემი ნახატი დაკიდა. მეშვიდე კლასში რომ ვიყავი, ჰერათის დიდი მინარეთი დავხატე. მახსოვს, როგორ ვამაყობდი, გული სიხარულით მევსებოდა, როცა ვხედავდი, რა გემრიელად მიირთმევდნენ ჩვენი მომხმარებლები ჩემი ნამუშევრის ქვეშ ცხვრის ხორცის ქაბაბს.

შუადღისას მე და დედაჩემი სამზარეულოსა და მაგიდებს შორის წინ და უკან დავრბოდით. ვის აღარ ვემსახურებოდით: სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლებს, ქალაქის მმართველობის წარმომადგენლებს, პოლიციელებს. ბაბა სალაროსთან იდგა, ცხიმით დალაქავებული თეთრი პერანგის შეხსნილი ღილის უკან გაჭაღარავებული ბალანი უჩანდა. სახეზე კმაყოფილება ეწერა, თავის სქელ, თმიან მკლავებს შლიდა და ყველა მომსვლელს მხიარულად ესალმებოდა. გამარჯობა, ბატონო, მობრძანდით, ქალბატონო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს „ქაბაბის სახლში“, შეიძლება თქვენი შეკვეთა მივიღო? მის შემხედვარეს გული მიკვდებოდა, ვერ ხვდებოდა, რომ შუა აზიელ მასხარას ჰგავდა რომელიღაც იაფფასიანი კომედიიდან. ამას თან ისიც ერთვოდა, რომ ყოველი შეკვეთის მაგიდასთან მიტანის დროს, სპილენძის ზარს აწკარუნებდა. თავიდან ეს ტრადიცია ხუმრობით დაიწყო. ბაბამ ზარი სალაროს დახლის უკან დაჰკიდა. ახლა კი ყოველ მაგიდას, რომელსაც ვემსახურებოდით, ზარით ესალმებოდა. ჩვენი ყოველდღიური მომხმარებლები მიჩვეული იყვნენ, ყურს აღარ ჭრიდათ, ახლები კი ფიქრობდნენ, რომ ეს უცნაურობა ჩვენი რესტორნის დამატებითი ხიბლი იყო, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

– ზარის რეკვა აღარ მოგწონს, – თქვა ერთხელ ბაბამ. მაშინ დამამთავრებელი კლასის გაზაფხულის მეოთხედი იყო. რესტორანი დავკეტეთ და მანქანაში ჩავსხედით. დედას ველოდებოდით, მჟავიანობის შემამცირებელი აბები დარჩა და მოსატანად შებრუნდა. ბაბას სახე გაქვავებულივით ჰქონდა. მთელი დღე ცუდ ხასიათზე იყო. წამოჟინჟღლა, გვიანი იყო, მანქანის სადგომზე მხოლოდ კფჩ-ის რამდენიმე მოძრავი კაფე იდგა. ქიმწმენდასთან ახლოს, პიკაპის ფანჯრიდან ორი ბიჭი აბოლებდა, კვამლი სპირალისებურად იკლაკნებოდა.

– კარგი იყო, სანამ სავალდებულოდ იქცეოდა, – ვთქვი მე. – ჰო, როგორც სხვა ყველაფერი, – მძიმედ ამოიოხრა.

გამახსენდა, როგორ მიხაროდა, როცა პატარაობისას ბაბა ხელში ამიყვანდა და ზარს ჩამოვკრავდი. ბაბამ მანქანის გათბობა ჩართო.

– ბალტიმორამდე შორია.

– ნებისმიერ დროს შეგიძლია ჩამოფრინდე, – უცებ გამოვცოცხლდი.

– ნებისმიერ დროს, – ირონიულად ჩაიცინა ბაბამ, – ფარი, მე ქაბაბით გამაქვს თავი. – მაშინ მე ჩამოვალ ხოლმე.

ბაბამ თვალები ჩემკენ გადმოატრიალა და დაღლილი მზერით შემხედა. მისი სევდა ისე ჩამოწვა, როგორც მანქანის ფანჯრებს მიღმა სიბნელე. მთელი თვის განმავლობაში ფოსტას ყოველდღე ვამოწმებდი. დავინახავდი თუ არა საფოსტო მანქანას, გული იმედით მევსებოდა. ფოსტა სახლში შემომქონდა, თვალებს ვხუჭავდი და ვფიქრობდი: ახლა იქნება, ნამდვილად იქნება. თვალს გავახელდი და ხელში ქვითრები, კუპონები და ლატარიის გათამაშების შემოთავაზება მრჩებოდა. გასულ სამშაბათს კი წერილს კონვერტი შემოვახიე და ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს, ის სიტყვები ვიხილე, ამდენ ხანს რომ ველოდი: „მოხარული ვარ,

გაცნობოთ, რომ თქვენ…“ სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე, ისე ვყვიროდი, ლამის იოგები დამეგლიჯა, ცრემლი თავისთავად ჩამომდიოდა. ჩემმა გონებამ მყისიერად დახატა სურათი: გალერეაში ჩემი ნახატების გამოფენის გახსნის საღამოა, შავი, სადა, ელეგანტური კაბა მაცვია, გარს მეცენატები და წარბშეკრული კრიტიკოსები მახვევია, ვიღიმი და კითხვებზე ვპასუხობ, ჩემი თაყვანისმცემლები აღფრთოვანებით ათვალიერებენ ნახატებს, თეთრხელთათმნიანი მსახურები სტუმრებს ღვინოს უსხამენ, პატარა ოთხკუთხა ნაჭრებად დაჭრილ, ფენოვან ფირფიტებში გამოხვეულ, კამით ან სატაცურით გაწყობილ ორაგულს სთავაზობენ. ისეთი

აღტაცებული ვიყავი, ლამის ვიღაც უცნობს დავტაკებოდი და საცეკვაოდ გამომეწვია. – დედაშენზე ვდარდობ, – თქვა ბაბამ. – გპირდები, რომ ყოველ საღამოს დაგირეკავთ, ხომ იცი, რომ დაგირეკავთ.

ბაბამ თავი დამიქნია. უეცრად ქარმა დაუბერა, მანქანების სადგომის შესასვლელთან ნეკერჩხლები აწრიალდნენ.

– იფიქრე იმაზე, რაზეც ვილაპარაკეთ? – კოლეჯს გულისხმობ?

– იქნებ ერთი ან ორი წელი დაგეცადა, დრო მიეცი, რომ შეეჩვიოს და მერე ახლიდან ჩააბარე საბუთები.

სიბრაზისგან ავცახცახდი.

– ბაბა, ხალხმა ჩემი გამოცდის შედეგი, ნიშნების ფურცელი შეაფასა, ჩემი ნამუშევრები შეისწავლა და მხოლოდ მიღების კი არა, დაფინანსების ღირსად ჩათვალა. ეს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო ხელოვნების ინსტიტუტია, სკოლა კი არ არის, უარი რომ ვთქვა. ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება წარმოუდგენელია.

– მართალი ხარ, – თქვა მან. წელში გასწორდა. ხელისგულები მოამრგვალა, პირთან მიიტანა და თბილი ჰაერი ჩაბერა, – ყველაფერი მესმის და რასაკვირველია, მიხარია.

ვხედავდი, როგორ განიცდიდა. სახეზე შიში ეწერა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემ გამო არ ეშინოდა. ვერც წარმოედგინა, თუ რამე შეიძლება გამჭირვებოდა ათასობით მილით სახლიდან მოშორებულს. მას სხვა რამის ეშინოდა: ჩემი დაკარგვის, ჩემი წასვლით მისთვის უბედურების მოტანის, მისი გულის ღია ყრილობაზე ახალი ტკივილის დამატების და კიდევ, ჩემი გაძლიერების; თუ მოვისურვებდი, ისე დავაცხრებოდი თავს, როგორც დობერმანი კატის კნუტს.

ფარიზე ფიქრი დავიწყე. იმ დროისთვის ჩემი კავშირი ფარისთან, რომლის არსებობას ცოცხლად ვგრძნობდი დიდი ხნის განმავლობაში, გაფერმკრთალდა. თითქოს გავიზარდე და ჩემი საყვარელი ღამის პერანგი და ნაჭრის სათამაშოები გვერდზე გადავდე. მაგრამ ახლა ფარი და ჩვენი ნათესაური კავშირი კიდევ ერთხელ გამახსენდა. თითქოს ტალღამ მთელი მისი ამბავი ნაპირიდან შორს მოისროლა, მერე იმავე ტალღამ უკან დააბრუნა და ახლა ჩემს

კოჭებთან იყო დაგუბებული. შემდეგ ნელ-ნელა ისევ უკან დაიხია.

მამამ ჩაახველა, ფანჯრიდან ბნელ ცასა და ღრუბლებს შორის მოქცეულ მთვარეს გახედა.

თვალებზე სევდა უბრწყინავდა. – ყველაფერი შენს თავს გამახსენებს.

ნაზად, ოდნავ შეშინებულმა წარმოთქვა ეს სიტყვები. ვიცოდი, მამაჩემი მგრძნობიარე კაცი იყო, მისი სიყვარული ჩემ მიმართ კი ნამდვილი, მუდმივი და ცასავით უკიდეგანო. იმასაც ვხვდებოდი, რომ ეს სიყვარული მძიმედ დამაწვებოდა, შემბოჭავდა, კუთხეში მიმიმწყვდევდა არჩევანის გასაკეთებლად. მას ან ხელი უნდა ჰკრა და თავი დააღწიო, ან უნდა გაუძლო, თუნდაც ყელში წაგიჭიროს და სუნთქვის საშუალება არ მოგცეს.

ჩაბნელებული უკანა სავარძლიდან ხელი გავიწოდე და სახეზე შევეხე. ლოყით ხელისულზე მომეკრა.

– ამდენ ხანს რას შვრება?

– ეძებს, – ვთქვი მე. თავს სუსტად ვგრძნობდი. დავინახე, რომ დედაჩემი მანქანისკენ მორბოდა. წვიმამ იმატა.

ერთი თვის შემდეგ, ჩემს გამგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე, დედა ექიმ ბაშირისთან წავიდა. მჟავიანობის შესამცირებელი აბები ტკივილს აღარ უყუჩებდა. ექიმმა ულტრაბგერითი გამოკვლევა დაუნიშნა. მარცხენა საკვერცხეზე კაკლის სიმსხო სიმსივნე აღმოჩნდა.

– ბაბა?

სავარძელში წელში მოხრილი, უმოძრაოდ ზის. სპორტული შარვალი აცვია. ფეხებზე კუბოკრული შალი აქვს მიფარებული. ბამბის ქსოვილის პერანგის ყველა ღილი შეუკრავს, ზედ ჩემი ნაყიდი ყავისფერი უსაყელო ღილებიანი

სვიტერი აცვია. ბოლო დროს ითხოვს, რომ ყველა ღილი შეკრული ჰქონდეს. ასე უფრო გამხდარი ჩანს, შედარებით ახალგაზრდულადაც გამოიყურება. დღეს სახე ოდნავ შეშუპებული აქვს, თეთრი თმა დაუვარცხნელი და შუბლზე ჩამოყრილი. გადაცემას „ვის უნდა გახდეს მილიონერი“ არაფრისმთქმელი გამომეტყველებით, დაბნეული უყურებს. ვეძახი და ვითომ ვერ გაიგო, ისევ აგრძელებს ტელევიზორის ყურებას. მერე ჩემკენ უკმაყოფილო სახით ბრუნდება. მარცხენა თვალის ქუთუთოზე ჯიბლიბო ამოსდის, გასაპარსია.

– ბაბა, შეიძლება, ცოტა ხნით რომ ჩავუწიო?

– ვუყურებ.

– ვიცი, მაგრამ სტუმარი გვყავს.

ფარი ვაჰდათის ჩამოსვლის შესახებ ერთი დღით ადრე ვუთხარი, იმ დილას კიდევ ერთხელ

გავუმეორე. აღარ ვეკითხები, ახსოვს თუ არა. ვიცი, რომ ყურადღება არ უნდა გავამახვილო,

თორემ კიდევ უფრო მეტად იბნევა, თავდაცვაზე გადადის და შეიძლება კარგადაც გამოგლანძღოს.

სავარძლის სახელურიდან პულტს ვიღებ და ტელევიზორს ხმას ვუთიშავ. ჩემს თავს ვამზადებ, რომ მისი ლანძღვა-გინება მოვიგერიო. მახსოვს, პირველად ისე წამაყარა, მეგონა, როლს ასახიერებდა. ჩემდა საბედნიეროდ, ამჯერად მხოლოდ ამოიხვნეშა.

ფარისკენ ვბრუნდები და ვანიშნებ. შემოსასვლელიდან ნელ-ნელა ჩვენკენ მოდის. სკამს

ბაბას სავარძლის გვერდით ვუდგამ. ნერვები ლამის დააწყდეს. სკამის კიდეზე წელგამართული ზის, მუხლები შეტყუპებული აქვს, ხელები ერთმანეთზე გადაჭდობილი, ტუჩები მაგრად

მოკუმული; ბაბას თვალს არ აცილებს. ისე უყურებს, თითქოს სულ რამდენიმე წამი აქვს, რომ მისი სახე დაიმახსოვროს.

– ბაბა, ეს ჩვენი მეგობარია, რომლის შესახებაც გიყვებოდი.

ბაბა ჭაღარათმიან ქალს უცქერის.

ბევრს ვერაფერს ამბობს მისი თვალები. მაშინაც კი, როცა ვიღაცას პირდაპირ უცქერის, კონტაქტიდან გასულია, ემოციას არ ამჟღავნებს, თითქოს სხვას ეძებდა და შემთხვევით სხვა დაინახა.

ფარიმ ჩაახველა, ხმა მაინც უკანკალებს.

– გამარჯობა, აბდულა, მე ფარი ვარ, ნამდვილი სასწაულია შენი ნახვა.

ბაბა თავს აქნევს. გაურკვევლობა და დაბნეულობა კუნთის სპაზმის მსგავსად ტალღებად უვლის სახეზე. ხან მე მიყურებს, ხან ფარის. რაღაც

ღიმილის მსგავსი ესახება სახეზე, ასეთ გამომეტყველებას მაშინ იღებს, როცა ფიქრობს, რომ ვიღაც ოინს უწყობს.

– აქცენტით საუბრობ, – ამბობს მამა.

– საფრანგეთში ცხოვრობს, ბაბა, ინგლისურად ილაპარაკე, ფარსი არ ესმის.

– ინგლისში ცხოვრობ? – ეკითხება ფარის.

– ბაბა!

– რა? – ჩემკენ ტრიალდება. მერე ხვდება და სანამ ფარსიდან ინგლისურზე გადაერთვება, დაბნეული იცინის.

– ლონდონში ცხოვრობ? – პარიზში, – ამბობს ფარი, – პარიზში ვცხოვრობ, პატარა ბინაში, – თვალს არ აშორებს.

– სულ მინდოდა ჩემი ცოლის პარიზში წაყვანა. სულთანა ერქვა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს. მეუბნებოდა ხოლმე: „აბდულა, წამიყვანე პარიზში. როდის წამიყვან პარიზში?“.

სინამდვილეში, დედაჩემს მოგზაურობა არ უყვარდა. ვერასოდეს ხედავდა საკმარის მიზეზს იმისთვის, რომ სახლის სიმყუდროვეზე უარი ეთქვა და სანაცვლოდ ფრენით ან ბარგის თრევით დაეტანჯა თავი. არც კულინარიული ინტერესი ამოძრავებდა. მისთვის ეგზოტიკური კერძების ჩამონათვალი ტეილორ სტრიტზე მზა კერძების ჩინურ რესტორანში ნაყიდი ფორთოხლით შეზავებული ქათმით იწყებოდა და მთავრდებოდა. უცნაური იყო, ბაბა დედას შემაშფოთებელი უზუსტობით იხსენებდა. მაგალითად, ხშირად ამბობდა ხოლმე, რომ დედა საჭმელში მარილს მუჭით უყრიდა, რომ ხალხს ტელეფონზე საუბარს აწყვეტინებდა, სინამდვილეში დედა ასე არასოდეს მოქცეულა. მგონი, თანდათან ავიწყდებოდა. მისი სახე ბაბას გონებაში ყოველდღიურად ფერმკრთალდებოდა. ისე მიედინებოდა მისგან, როგორც ქვიშა ხელის თითებს შორის. დედა აჩრდილის მონახაზს დაემსგავსა, ცარიელ ნიჟარას, რომელსაც მამა გამოგონებული, არარსებული დეტალებით ავსებდა. რა ჯობია, ნეტავ, გამოიგონო თუ დაგავიწყდეს?

– პარიზი ლამაზი ქალაქია, – ამბობს ფარი.

– იქნებ წავიყვანო კიდეც, მაგრამ კიბო აქვს, ქალურ ორგანოზე… რა ჰქვია?

– საკვერცხე, – ვამბობ მე.

ფარი თავს აქნევს. ბაბასგან მზერა ჩემზე გადმოაქვს.

– ყველაზე მეტად ეიფელის კოშკზე ასვლა უნდა. შენ გინახავს ეიფელის კოშკი?

– ეიფელის კოშკი? – იცინის ფარი ვაჰდათი, – ყოველდღე ვხედავ, კიდეც რომ მინდოდეს თვალის არიდება, მაინც არ გამომივა.

– ბოლომდე თუ ასულხარ ოდესმე?

– როგორ არა, ძალიან ლამაზია, მაგრამ სიმაღლის მეშინია და იქ ყოველთვის კარგად ვერ ვგრძნობ თავს. მზიან დღეებში სამოცი კილომეტრის რადიუსში ხედავ ყველაფერს, მაგრამ პარიზში ყოველთვის არაა ასეთი ამინდი.

პასუხად ბაბა რაღაცას ბურტყუნებს. ეს ფარის მხნეობას მატებს და კოშკის ისტორიას ჰყვება. დიდხანს აგებდნენ, 1889 წლის მსოფლიო გამოფენის შემდეგ აღარ აპირებდნენ პარიზში მის დატოვებას. ჰყვება, მაგრამ ბაბას თვალებს ვერ კითხულობს, ვერ ხვდება, რომ მათში მხოლოდ სიცარიელეა, ბაბას გონება ისეა აწეწილი, როგორც ფოთლები უეცრად მოვარდნილი ქარის დროს.

ფარი ბაბასკენ იხრება. – აბდულა, იცი, რომ კოშკს შვიდ წელიწადში ერთხელ ღებავენ? – რა თქვი, რა მქვიაო? – ეკითხება ბაბა.

– ფარი.

– ეგ ჩემი შვილის სახელია. – დიახ, ვიცი.

– შენც ფარი გქვია, – ორივეს ფარი გქვიათ, – ახველებს და სავარძლის სახელურზე გამოძენძილ ტყავს აწვალებს.

– აბდულა, შეიძლება, რაღაც გკითხო?

ბაბა მხრებს იჩეჩს.

ფარი ისე მიყურებს, თითქოს ჩემგან ნებართვა სჭირდებოდეს. თავს ვუქნევ. წინ იხრება.

– რატომ დაარქვი შენს ქალიშვილს ფარი?

ბაბას მზერა ფანჯარაზე გადააქვს, ფრჩხილით ისევ გამოძენძილ ტყავს აწვალებს.

– გახსოვს, აბდულა, რატომ დაარქვი ეს სახელი?

თავს აქნევს. ჟაკეტის კალთას ხელით იტაცებს და ყელთან მუშტში მოქცეული უჭირავს. ტუჩებს ოდნავ შესამჩნევად ამოძრავებს, ხმადაბლა ღიღინებს. ასე მაშინ ემართება, როცა მღელვარებისგან პასუხს ვერ პოულობს, როცა ყველაფერი ირევა და გონებას ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფიქრები უმღვრევს, სასოწარკვეთილი იცდის ხოლმე, იქნებ როგორმე დაეწმინდოს, იქნებ როგორმე დაულაგდეს აზრი.

– რას მღერი, აბდულა? – ეკითხება ფარი.

– არაფერს, – ჩურჩულებს ბაბა.

– რა სიმღერაა, აბდულა?

ჩემკენ ტრიალდება, უმწეოდ მიცქერს. არ იცის.

– იავნანაა, – ვამბობ მე, – გახსოვს, ბაბა, შენ მიამბობდი, დედა მიმღეროდაო.

– ჰო.

– მიმღერე, აბდულა, შეგიძლია, რომ მიმღერო? – მღელვარებისგან ხმა უწყდება ფარის, – გთხოვ, აბდულა, მიმღერე.

ბაბა თავს ხრის და ნელ-ნელა აქნევს აქეთ-იქით.

– დაიწყე, ბაბა, – გამხდარ ბეჭზე ნაზად ვეხები ხელით, მიდი, ბაბა, დაიწყე.

გაუბედავად, აკანკალებული ხმით, ზევით ამოუხედავად მღერის:

პატარა სევდიანი ფერია თუთის ჩრდილს აფარებს თავს… – ამბობდა, კიდევ მოჰყვება სტროფიო, – ვეუბნები ფარის, – მაგრამ დაავიწყდა.

ფარი ვაჰდათის სიცილი წასკდა, სიცილი კი არა უფრო ხორხიდან მომწყდარი ყვირილი იყო. პირზე ხელი აიფარა.

– Ah, mon Dieu,((ფრ.) ო, ღმერთო ჩემო.) – ჩურჩულებს ის. პირიდან ხელს იშორებს. ფარსის ენაზე მღერის:

მე ვიცნობ პატარა ფერიას, ერთ ღამეს ქარი რომ წაიყვანს თან.

ბაბას შუბლზე ნაკეცები ჩნდება. წამიერად თითქოს სინათლის ნაპერწკალი ბრწყინავს მის თვალებში, მაგრამ მაშინვე ქრება, სახე ისევ უმშვიდდება. თავს აქნევს:

– არა, არა, ასე არ გრძელდება. – ოჰ, აბდულა… – ამბობს ფარი.

იღიმის, თვალები ცრემლიანი აქვს. ბაბას ხელებს თავის ხელებში იქცევს, ორივე ხელის ზურგს უკოცნის და მის ხელისგულებს სახეზე იკრავს. ბაბა იცინის, თვალზე მასაც ცრემლი ადგას. ფარი მე მიყურებს, ბედნიერების ცრემლი სდის და ჰგონია, რომ შეძლო და ჯადოსნური სიმღერით დაკარგული ძმა დაიბრუნა, ისე როგორც ზღაპრებში ხდება. ჰგონია, რომ ბაბამ იცნო, მაგრამ სულ მალე მიხვდება, რომ ბაბა უბრალოდ მის სითბოსა და სიყვარულზე რეაგირებს,

ჩვეულებრივ ცხოველურ ინსტიქტს ამჟღავნებს, მეტი არაფერი. ეს მტკივნეული სიმართლეა.

რამდენიმე თვით ადრე, სანამ ექიმი ბაშირი ჰოსპისის(ჰოსპისი – დაწესებულება, სადაც მდგომარეობას უმსუბუქებენ, უვლიან უიმედო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს.) ტელეფონის ნომერს გადმომცემდა, მე და დედა სანტა-კრუზში გავემგზავრეთ და კვირის ბოლო სასტუმროში გავატარეთ. დედას ხანგრძლივი მოგზაურობა არ უყვარდა, მაგრამ სანამ ავად გახდებოდა, რამდენიმე დღით გამგზავრებას ვახერხებდით ხოლმე. ბაბა რესტორანს ვერ ტოვებდა, ამიტომ მე ვჯდებოდი საჭესთან და მე და დედა ბოდეგას ყურის ნაპირას, სოსალიტოში ან სან ფრანცისკოში მივდიოდით. სან ფრანცისკოში ყოველთვის სასტუმროში ვჩერდებოდით, იუნიონ სკვერთან ახლოს. სადილს ოთახში ვუკვეთავდით. მერე ფილმებს ვუყურებდით, მოგვიანებით მეთევზეთა ნავსადგურისკენ მივსეირნობდით – დედა გიჟდებოდა ტურისტებისთვის დაგებულ მახეებზე – ნაყინს ვყიდულობდით, ვიდექით და ვუცქერდით, როგორ დაჰყვებოდნენ ტალღებს ზევით-ქვევით

ზღვის ლომები, გზაში ქუჩის მუსიკოსებს, პანტომიმის მსახიობებსა და შეღებილ ადამიან-რობოტებს გახსნილ ჩანთებში ხურდა ფულს

ვუყრიდით. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მკლავს გავუყრიდი და რივერას, მატისის, კალოს, პოლოკის ნამუშევრებს ვათვალიერებინებდი. მერე დღის სეანსზე კინოში მივდიოდით, ხანდახან ორ-სამ ფილმს ვუყურებდით, რომ გამოვდიოდით, უკვე ბნელოდა. თვალები გვეწვოდა, ყურებში ზარი რეკდა, თითებზე ბატიბუტის სუნი აგვდიოდა.

დედასთან ურთიერთობა უფრო ადვილი იყო, უფრო წრფელიც. თავისუფლად ვლაპარაკობდი, არ მიწევდა იმაზე ფიქრი, თუ რა ან როგორ მეთქვა, რომ შემთხვევით მისი გულისტკივილი არ გამომეწვია. დედასთან ერთად კვირის ბოლოს გასეირნება ფუმფულა ღრუბლებზე ასვლასა და ცაში ტრიალ-ტრიალით აფრენას ჰგავდა. ყველაფერი, რასაც ოდესმე შევუწუხებივარ, რამდენიმე მილით ქვევით რჩებოდა.

ახლა ქიმიოთერაპიით მკურნალობის მორიგი წრის დასრულებას აღვნიშნავდით, რაც, სამწუხაროდ, საბოლოო აღმოჩნდა. სასტუმრო ლამაზ, მყუდრო ადგილას მდებარეობს. ყველანაირი მომსახურება აქვთ: ჰიდროპროცედურები, გამაჯანსაღებელი ცენტრი, სათამაშო ოთახი, ფართოეკრანიანი ტელევიზორი, ბილიარდის მაგიდა. ჩვენი ოთახი პატარა სახლში იყო განთავსებული. სახლს ხით მოპირკეთებული შესასვლელი ჰქონდა. ხედი საცურაო აუზზე, რესტორანსა და ცისკენ აჭრილ კალიფორნიული ფიჭვის ტყეზე იშლებოდა. რამდენიმე ხე ისე ახლოს იდგა, ციყვების ბეწვის ფერსაც კი გაარჩევდით.

პირველ დილას დედას ძახილმა გამაღვიძა: – ჩქარა, ფარი, შეხედე! – ფანჯარასთან ახლოს ირემი მოსულიყო და ბუჩქს წიწკნიდა. მთელი ბაღი სავარძლით შემოვატარე, – რა სანახავი ვარ! – ამბობდა დედა. მერე სავარძელი შადრევანთან გავაჩერე, მე იქვე, სკამზე ჩამოვჯექი. მზე სახეს გვითბობდა. ვისხედით და ვუცქერდით, როგორ დასტრიალებდნენ კოლიბრები თავს ყვავილებს. მერე ჩაეძინა და სახლში შევიყვანე.

კვირა საღამოს, რესტორნის ტერასაზე ჩაი და კრუასანები მივირთვით. ტერასას ტაძრის მსგავსი სახურავი ჰქონდა, კედლებზე წიგნის თაროები და ძილის მფარველი(იგულისხმება კანადელი ინდიელების თილისმა. თქმულების მიხედვით, ადამიანს ძილის დროს იცავს და მისგან ბოროტ სიზმრებს განდევნის.) ეკიდა. ერთ-ერთ კედელთან ნამდვილი ქვის კერა იყო მოწყობილი. ქვედა ტერასაზე კაცი და ქერა თხელთმიანი გოგო ზანტად თამაშობდნენ მაგიდის ჩოგბურთს. კაცს სახე დერვიშს მიუგავდა.

– ჩემს წარბებს რამე უნდა ვუშველოთ, – თქვა დედამ. სვიტერზე ზამთრის პალტო ჰქონდა მოცმული. ბორდოსფერი შალის ნაქსოვი ქუდი ეხურა. ეს ქუდი წელიწად-ნახევრის წინ თვითონ მოიქსოვა. ჩემი დროსტარება სწორედ მაშინ დაიწყოო, ამბობდა ხოლმე.

– წარბებს დაგიხატავ, – ვუთხარი მე.

– ბარემ ცოტა ეფექტური დამიხატე.

– ელიზაბეტ ტეილორის კლეოპატრას წარბები გაწყობს?

– რატომაც არა? – ჩაიცინა. ჩაის პატარა ყლუპი მოსვა. სიცილმა მის სახეზე ახლად გაჩენილი ნაოჭები უფრო შესაჩნევი გახადა.

– ფეშავარში აბდულას რომ შევხვდი, ქუჩაში ტანსაცმელს ვყიდდი. ლამაზი წარბები გაქვსო,

მეუბნებოდა.

მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშეებმა ჩოგნები დაყარეს. ახლა ხის მოაჯირს დაყრდნობილები სიგარეტს ეწეოდნენ და ცას უყურებდნენ. რამდენიმე დაფლეთილ ღრუბელს თუ არ ჩავთვლით, ცა ნათელი და კრიალა იყო. გოგონას გრძელი, გამხდარი მკლავები ჰქონდა.

– გაზეთში წავიკითხე, რომ დღეს ხელნაკეთი ნივთების გამოფენა იმართება. თუ გინდა, წავიდეთ, დავათვალიეროთ, შეგვიძლია იქვე ვისადილოთ.

– ფარი?

– რა?

– რაღაც მინდა, გითხრა.

– მითხარი.

– აბდულას ძმა ჰყავს პაკისტანში, ნახევარძმა. მისკენ მკვეთრად მივტრიალდი.

– სახელად იყბალი ჰქვია. ვაჟიშვილები ჰყავს. პაკისტანში ლტოლვილთა ბანაკში ცხოვრობს.

ჭიქას მაგიდაზე ვდგამ. ლაპარაკს ვიწყებ, მაგრამ მაწყვეტინებს.

– ახლა გეუბნები, მთავარი ესაა. მამაშენს თავისი მიზეზები ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, მერე გაარკვევ ყველაფერს. ახლა კი მნიშვნელოვანი რაცაა, იმას გეტყვი. ნახევარძმა ჰყავს და წლების განმავლობაში მის დასახმარებლად ფულს აგზავნის.

თურმე მამაჩემი ვინმე იყბალს, ჩემს ნახევარბიძას, ყოველ სამ თვეში ერთხელ ათას დოლარს უგზავნის. ჭესტერნ უნიონ-ში მიდის და ფეშავარის ბანკში ურიცხავს.

– ახლა რატომ მეუბნები?

– იმიტომ, რომ უნდა იცოდე, თუნდაც ეს მამაშენს არ მოეწონოს. გარდა ამისა, მალე შენ მოგიწევს ფინანსებზე მუშაობა და რომ არ მეთქვა, მაინც ნახავდი.

იქით გავტრიალდი და თვალი კატას მივაშტერე. კუდაპრეხილი ჩოგბურთის მოთამაშეებს ელაქუცებოდა. გოგონამ მოფერება დააპირა. კატა ჯერ დაიძაბა, მაგრამ მალე მოეშვა, მოაჯირზე მოკალათდა და გაინაბა. გოგონა

ჯერ ყურებზე მიეფერა, მერე ზურგზე დაუსვა ხელი. თავგზა ამებნა, ამერიკიდან სადღაც შორს ნათესავები მყოლია.

– კიდევ დიდხანს მოგიწევს ბუღალტრობა, – ვუთხარი დედას. ვცდილობდი, რომ ხმა არ ამკანკალებოდა.

სიჩუმე მძიმედ ჩამოწვა. მერე ისევ წამოიწყო ლაპარაკი. ამჯერად უფრო ხმადაბლა, უფრო ნელა ლაპარაკობდა, ისე, როგორც წლების წინ, როცა მეჩეთში პანაშვიდზე მივყავდი. დამიჯდებოდა და მოთმინებით მიხსნიდა, რომ მეჩეთის შესასვლელში ფეხსაცმელი უნდა გამეხადა, ლოცვა წყნარად, წუწუნის გარეშე მომესმინა და წასვლამდე აუცილებლად შევსულიყავი საპირფარეშოში, რადგან მერე ვეღარ მოვახერხებდი.

– არა, აღარ მომიწევს. თავს ნუ იტყუებ. დრო მოვიდა და უნდა შეეგუო.

ამოვიოხრე. სიმძიმე სუნთქვას მიშლიდა. სადღაც შორს ხერხის ხმა გაისმა, თანდათან იმატა და ბოლოს ტყის მდუმარებას კივილით დაეტაკა.

– მამაშენი ბავშვივითაა. მარტო დარჩენის ეშინია. შენ გარეშე დაიკარგება და ვეღარც იპოვი, ფარი.

თავს ვაიძულებდი, რომ ხეებისთვის მეცქირა, მზე თავს ევლებოდა შრიალა ფოთლებსა და

კანაქერცლილ ტოტებს. ენა კბილებს შორის მოვიქციე და მაგრად ვიკბინე. თვალზე ცრემლი მომადგა, სისხლს რკინის გემო დაჰყვა.

– ძმა, – ვთქვი მე. – ჰო. – უამრავი კითხვა გამიჩნდა.

– ამაღამ, როცა ასე დაღლილი არ ვიქნები, ყველაფერს მოგიყვები.

თავი დავუქნიე. უკვე გაცივებული ჩაი ერთბაშად მოვსვი. მეზობელ მაგიდასთან შუახნის წყვილი ერთმანეთს გაზეთის გვერდებს უცვლიდა. წითელთმიანი, პირნათელი ქალი წყნარად გვადევნებდა თვალს, ხან მე შემომხედავდა, ხან დედაჩემს, რომელსაც სახეზე რუხი ფერი ედო, თავზე ჩაჩი ეხურა, თვალები ჩაცვენილი ჰქონდა, ხელებზე ლურჯი სისხლჩაქცევები ეტყობოდა; როცა ღიმილით საუბრობდა, გაღიმებული ჩონჩხი გეგონებოდათ. ქალს თვალებით შევხვდი. ოდნავ გაიღიმა. ასე მეგონა, ორივეს ერთი საიდუმლო გვქონდა და მან ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ გაიარა.

– აბა, რას ფიქრობ, დედა, წავიდეთ გამოფენაზე?

მიცქერდა და არაფერს ამბობდა. თვალები თავთან, ხოლო თავი მხრებთან შეუფერებლად დიდი ჰქონდა.

– ახალი ქუდი მჭირდება, – თქვა დედამ.

ხელსაწმენდი მაგიდაზე დავაგდე, სკამი უკან გავწიე, მაგიდას შემოვუარე, სავარძლის მუხრუჭები გავათავისუფლე და დავიძარით.

– ფარი? – ჰო.

თავი უკან მოატრიალა, თვალებში შემომხედა. მზემ ფოთლებიდან გამოიჭვრიტა და სახეზე ლაქებად მოედო.

– თუ ხვდები, ფარი, როგორი ძლიერი შეგქმნა ღმერთმა? თქვა მან, – ძლიერი და კარგი.

ადამიანის გონებას ვერავინ ვერაფერი გაუგო. ეს მომენტი ავიღოთ, მაგალითად. დედასთან ერთად წლების განმავლობაში ათასობით წუთი გამიტარებია, მაგრამ ჩემთვის მხოლოდ ეს წუთია ყველაზე კაშკაშა, ეს წუთი ცოცხლობს და გუგუნებს ჩემს მეხსიერებაში – ჩემკენ

შემოტრიალებული ქვევიდან ზევით მიყურებს, მზე სახეზე დასთამაშებს, მიცქერს და მეკითხება, ვხვდები თუ არა, როგორი ძლიერი და კარგი შემქმნა ღმერთმა.

ბაბას სავარძელში ეძინება. ფარი ფრთხილად უკრავს ჟაკეტს, ტანზე შალს აფარებს. ჩამოგდებულ კულულს ყურის უკან უწევს, მერე თავზე ადგას და მძინარეს დასცქერის.

მეც მიყვარს მძინარე ბაბას ყურება. როცა სძინავს, მგონია, რომ ყველაფერი ისევ ისეა. დახუჭული თვალებიდან არც სიცარიელე გამოსჭვივის და არც ჩამქრალი, დაბნეული მზერა.

ასე ბაბა ჩვეულებრივია, ფხიზელი და ნამდვილი. თითქოს ძილის დროს ძველი ბაბა ბრუნდება მასში.

ფარი ბალიშზე თავმიდებულ ბაბას უცქერის. იქნებ ფარისაც შეუძლია, წარმოიდგინოს როგორი იყო, როგორ გამოიყურებოდა ან როგორ იცინოდა ბაბა ადრე.

სასტუმრო ოთახიდან სამზარეულოში გავდივართ. კარადიდან ჩაიდანს ვიღებ და წყლით ვავსებ.

– მინდა, რომ ეს გაჩვენო, აღელვებული ხმით ამბობს ფარი. მაგიდასთან ზის, ჩანთიდან ფოტოალბომს იღებს და საქმიანად შლის.

– ყავა მთლად პარიზული სტანდარტის არ გამომივა, მაგრამ… – ნახევრად მისკენ შეტრიალებული ვამბობ. წყალს ყავადანში ვასხამ.

– ეგ არაფერი, ყავასთან დაკავშირებით არ მაქვს განსაკუთრებული განცდები, – ყვითელ შარფს იხსნის და საკითხავ სათვალეს იკეთებს, სურათებს ათვალიერებს.

ჩაიდანი ბუყბუყს იწყებს. მაგიდასთან ფარის გვერდით ვჯდები.

– #ი 0LI. Vოილა. აი, ისიც, – ალბომს შლის და ჩემკენ წევს. ერთ სურათს თითს ადებს. – ეს ის ადგილია, სადაც მე, მამაშენი და ჩვენი ძმა იყბალი დავიბადეთ.

როდესაც პირველად დამირეკა პარიზიდან, იყბალი ახსენა. ალბათ უნდოდა, დავერწმუნებინე, რომ არ ცრუობდა. მე კი ვიცოდი, რომ სიმართლეს ამბობდა.

ვიცოდი იმ წუთიდან, როდესაც ყურმილი ავიღე. ფარიმ მამაჩემი იკითხა. – სწორად ვრეკავ? მე ვუპასუხე: – დიახ, ვინ ბრძანდებით? – მე მისი და ვარ. – გული შემიქანდა. სკამი ხელის ფათურით მოვძებნე და ჩამოვჯექი. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ეს დიდი დარტყმა იყო, თეატრალური წარმოდგენის მესამე აქტში გათამაშებული დრამა, რომელიც ადამიანების ცხოვრებაში იშვიათად ხდება. მაგრამ ამ ამბავს აქვს მეორე მხარეც, მხარე, რომელიც ეწინააღმდეგება ლოგიკას და რომლის არსი იმდენად მყიფეა, რომ სანამ სიტყვებში მოვაქცევ, ნაწილებად იშლება. სიმართლე გითხრათ, არ გავოცებულვარ, როცა ფარიმ დამირეკა. თითქოს მთელი ცხოვრება ველოდი. რაც გნებავთ, ის უწოდეთ, სამყაროს თავბრუდამხვევი ტრიალი, შემთხვევა, შესაძლებლობა, ბედისწერა ან კიდევ სხვა რამ, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ მე და ფარი აუცილებლად ვიპოვიდით ერთმანეთს.

ყურმილი თან წავიღე და უკანა ეზოში, პატარა ბოსტნის პირას, სკამზე დავჯექი. ბოსტანში დედაჩემის დარგული წიწაკა და უზარმაზარი გოგრა ხარობდა. მზე კისერს მითბობდა,

აცახცახებული ხელით სიგარეტს მოვუკიდე. – მე ვიცი, ვინც ხართ, ყოველთვის ვიცოდი.

ხაზის მეორე ბოლოს სიჩუმე იყო, მაგრამ მგონი, უხმოდ ტიროდა. ალბათ ყურმილი შორს ეჭირა, რომ არ გამეგონა. თითქმის ერთი საათი ვსაუბრობდით. ვუთხარი, რომ ვიცოდი, რაც თავს გადახდა, მამაჩემს ყოველღამე ვთხოვდი თქვენი ისტორიის მოყოლას-მეთქი. არაფერი ვიცოდი ჩემი ცხოვრების შესახებ, და რომ არა ბიძაჩემის, ნაბის, წერილი, ისე მოვკვდებოდი, ვერაფერს გავიგებდიო. ნაბიმ სიკვდილამდე წერილი დაწერა, სადაც სხვა რაღაცებთან ერთად, დეტალურად აღწერა მისი ბავშვობა. წერილის ადრესატი ვინმე მარკოს ვარვარისი იყო, რომელიც ქაბულში ქირურგად მუშაობდა. მან მიაგნო ფარის საფრანგეთში. ზაფხულშიფარი ქაბულში ჩავიდა და მარკოს ვარვარისს შეხვდა. სწორედ მარკოსი დაეხმარა ფარის, რომ შადბაღში ჩასულიყო. ბოლოს, როცა საუბარს ამთავრებდა, ფარიმ ძალა მოიკრიბა და მკითხა:

– მე მზად ვარ. შეიძლება დაველაპარაკო?

იძულებული ვიყავი სიმართლე მეთქვა.

ფოტოალბომი ახლოს მოვიწიე და სურათს ვაკვირდები. მავთულხლართით გარშემორტყმული კაშკაშა თეთრი გალავნის მიღმა უზარმაზარ სახლს ვხედავ. უფრო სწორად, ვიღაცის კატასტროფულად მცდარ წარმოდგენას სახლის შესახებ. სამი სართული, ვარდისფერი, მწვანე, ყვითელი, თეთრი მოაჯირებით, კოშკებით, წვეტიანი ლავგარდანებით, მოზაიკით, სარკისებრი შუშით გაწყობილი რაღაც – კიტჩის(კიტჩი – (გერმ.) მასებზე გათვლილი კომერციული ხელოვნება და ლიტერატურა.) საწყალობლად წარუმატებელი ძეგლი.

– ღმერთო ჩემო! – ამოვისუნთქე.

— C’est affreux, non?((რ.) ეს საშინელებაა, არა?) – ამბობს ფარი, – საშინელებაა, ავღანელები ასეთ სახლებს ნარკო-სასახლეებს ეძახიან. ერთ კარგად ცნობილ ომის დამნაშავეს ეკუთვნის.

– სულ ეს არის, რაც შადბაღიდან დარჩა?

– ჰო, ძველი სოფლიდან ესღა დარჩა. კიდევ უამრავი აკრი ხეხილის ხეები… დეს ვერგერს. ინგლისურად როგორაა?

– ბაღი.

– დიახ. – თითები სახლის ფოტოს გადაატარა. როგორ მაინტერესებს, სად იყო ჩვენი ძველი სახლი. გასაგებია, ალბათ ამ ნარკო-სასახლის ტერიტორიაზე, მაგრამ მაინც მინდა, ზუსტად ვიცოდე ადგილი.

ახალი შადბაღის შესახებ მიყვება. ჩვეულებრივი ქალაქია, სკოლებით, საავადმყოფოთი, სავაჭრო ცენტრებით. ძველი სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით პატარა სასტუმროც კი არის. ის და მისი თარჯიმანი იყბალს ქალაქში ეძებდნენ. პირველი სატელეფონო საუბრის დროს მითხრა, რომ არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ. ბოლოს ერთ მოხუცს შეხვდნენ. მოხუცი იყბალის ბავშვობის მეგობარი აღმოჩნდა. მოხუცისგან შეიტყვეს, რომ იყბალი ოჯახთან ერთად ძველ ქარის წისქვილთან ახლოს ტრიალ მინდორზე ცხოვრობდა. იყბალს მეგობრისთვის უთქვამს, ჩრდილოეთ კალიფორნიაში უფროსი ძმა მყავს და იქიდან ფულს მიგზავნისო. მერე ფარის უკითხავს, თავისი ძმის სახელი ხომ არ უთქვამს იყბალსო და დიახ, აბდულა ჰქვიაო.

– Alors((ფრ.) ამგვარად.), ამის შემდეგ თქვენი მოძებნა აღარ გამჭირვებია, – თქვა ფარიმ. მუხუცს უთქვამს, ახლა სად არის, არ ვიციო, მაგრამ თურმე აღელვებული ჩანდა და ფარის თვალებში არ უყურებდა. ალბათ რამე ცუდი თუ შეემთხვაო, დაამატა ფარიმ.

ფარი ალბომს შლის და ახლა თავისი შვილების ფოტოებს მაჩვენებს. ალენი, იზაბელი, ტიერი, შვილიშვილების დაბადების დღეებზე გადაღებული სურათები – საცურაო კოსტიუმები აცვიათ, საცურაო აუზთან დგანან. ფარის ბინა პარიზში – ბაც ცისფრად შეღებილი კედლები, ფანჯრებზე თეთრი ფარდები, კედლებზე წიგნის თაროები. უამრავი ნივთით სავსე მისი სამუშაო ოთახი უნივერსიტეტში, სადაც მათემატიკას ასწავლიდა, ვიდრე რევმატოიდული ართრიტი პენსიაზე გასვლას აიძულებდა.

მე ფოტოების თვალიერებას ვაგრძელებ, ფარი კი მიხსნის, ვინ ვინ არის. აი, კოლეტი, მისი ბავშვობის მეგობარი, იზაბელის ქმარი, ალბერტი, ფარის ქმარი, ერიკი, ის დრამატურგი იყო, 1997 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. რა ახალგაზრდები არიან, ფორთოხლისფერ ბალიშებზე ერთმანეთის გვერდით სხედან რესტორანში. ფარის თეთრი ბლუზა აცვია, ერიკს მაისური, თხელი თმა უკან აქვს შეკრული.

– ეს ის საღამოა, როცა ერთმანეთს შევხვდით, უფრო სწორად, შეგვახვედრეს.

– კეთილი სახე აქვს.

ფარი თავს აქნევს.

– როდესაც დავქორწინდით, ვფიქრობდი: ჩვენ დიდხანს, დიდხანს ვიცხოვრებთ ერთად, სულ მცირე, ოცდაათი წელი ან იქნებ ორმოცი, თუ გაგვიმართლებს ორმოცდაათიც, რატომაც არა? – სურათს უცქერის, ეტყობა, რომ ფიქრმა წაიღო, მერე ოდნავ იღიმის: – მაგრამ დრო

სიზმარივითაა, იქ წყდება, სადაც თვითონ მოესურვება. ალბომს გვერდზე სწევს. – შენ არასოდეს გყოლია მეუღლე?

მხრებს ვიჩეჩ, შემდეგ გვერდს ვათვალიერებ. – იყო ერთი შემთხვევა, კინაღამ გავთხოვდი. – უკაცრავად? კინაღამ რას ნიშნავს?

– იმას, რომ ბეჭდებამდე ვერ მივიდა ჩვენი ურთიერთობა. ძალიან მტკივნეული იყო. ყველაფერი აირია. მის გახსენებაზე ახლაც კი ვგრძნობ გულში მსუბუქ ჩხვლეტას.

თავს ხრის. – ძალიან ვწუხვარ, არ უნდა მეკითხა, უხეშად გამომივიდა.

– არაფერია, მალე იპოვა ჩემზე ლამაზიც და ჩემზე თავისუფალიც… ვალდებულებებით ნაკლებად დატვირთული ქალი. მართლა, სილამაზე ვახსენე და… ეს ვინ არის? თითს ძალიან მომხიბვლელი ქალის ფოტოს ვადებ. გრძელი თმა და დიდი თვალები აქვს. სიგარეტი უჭირავს, მოწყენილი ჩანს. იდაყვი ტანზე აქვს მიბჯენილი, თავი გვერდზე გადაწეული, მზერა – გამჭოლი, გამომწვევი.

– Maman. დედაჩემია, ნილა ვაჰდათი. უფრო სწორად, მე მეგონა, რომ დედაჩემი იყო. გესმის, არა?

– დიდებული ქალია.

– იყო. 1974 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

– უკაცრავად.

– ნუ ღელავ, არა უშავს, – ოდნავ დაბნეული სახით ცერა თითს უსვამს სურათს.

– Maman ძალიან ელეგანტური და ნიჭიერი იყო. კითხვა უყვარდა, თავის მოსაზრებებს ხალხთან პირდაპირ, მოურიდებლად გამოთქვამდა. მაგრამ უზარმაზარ სევდას ატარებდა. მთელი ცხოვრება თითქოს ნიჩაბს მაწვდიდა და მეუბნებოდა: „აიღე ნიჩაბი და ჩემი სულის ხვრელები ამოავსე, ფარი“.

თავი დავუქნიე. მგონი, მივხვდი, რასაც ამბობდა.

– მაგრამ არ შემეძლო, და მოგვიანებით სურვილიც აღარ მქონდა. ძალიან ქარაფშუტულად, დაუდევრად მოვიქეცი.

სკამის ზურგს ეყრდნობა, მხრები ქვევით აქვს ჩამოშვებული, თეთრ თხელ ხელებს მუხლებზე იწყობს, ცოტა ხანს ფიქრობს და ამბობს:

— J'aurais du 68 plus gentille, მეტი სიკეთე უნდა გამომეჩინა. მხოლოდ სიკეთეა ის, რასაც ადამიანი არასოდეს ნანობს. სიკეთის ჩადენისთვის არასოდეს საყვედურობ საკუთარ თავს. – სახეზე მწუხარება აწერია, პატარა გოგოსავით უმწეოდ გამოიყურება, – არ იქნებოდა ძალიან რთული, – დაღლილი ხმით ამბობს, – უფრო კეთილი შემეძლო ვყოფილიყავი, შენსავით, ფარი, შენსავით. – ღრმად ჩაისუნთქა და ალბომი დახურა. ცოტა ხანში მომიტრიალდა და გამოცოცხლებული ხმით მეუბნება:

– რაღაც მინდა, რომ გთხოვო.

– დიახ.

– შეგიძლია, შენი ნახატები მაჩვენო? ერთმანეთს ვუღიმით.

ფარი ჩემთან და ბაბასთან ერთი თვე რჩება. დილაობით სამზარეულოში საუზმეს ერთად ვამზადებთ: შავი ყავა და გაფიცხებული პური ფარისთვის, იოგურტი ჩემთვის, შემწვარი კვერცხი და პური ბაბასთვის. ბოლო წელია ბაბა გემოს მხოლოდ შემწვარ კვერცხს ატანს. მეშინოდა, ქოლესტერინმა არ აუწიოს-მეთქი და ექიმ ბაშირისთან ერთ-ერთი ვიზიტის დროს მას რჩევაც ვკითხე. ექიმმა ბაშირიმ მისთვის ჩვეული პირმოკუმული ღიმილი შემაგება და მითხრა: – მე ამაზე არ ვიდარდებდი. ადვილად დამარწმუნა, ყოველ შემთხვევაში, სანამ მამას უსაფრთხოების ღვედს შევუკრავდი, იმედიანად ვიყავი. მერე მის სიტყვებში ეჭვი შემეპარა. რა იგულისხმა, იქნებ „ახლა უკვე რა მნიშვნელობა აქვს?“

საუზმის შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახში, ანუ ჩემს საწოლ ოთახში, შევდივარ. სანამ მე ვმუშაობ, ფარი ბაბასთანაა. ფარის თხოვნით ბაბას საყვარელი ტელეგადაცემების განრიგი, დღის განმავლობაში წამლების მიღების დრო, როდის და რას ითხოვს წასახემსებლად და სხვა წვრილმანები ჩამოვწერე.

– შეგიძლიათ შემოიხედოთ და მკითხოთ, – ვამბობ მე.

– არ მინდა, რომ შეგაწუხო. და მინდა, რომ ვიცოდე, მინდა, რომ ვიცნობდე.

აღარაფერს ვეუბნები, ისე, მას რომ უნდა, ბაბას გაცნობა შეუძლებელია. ფარის ყველა ხრიკს ვუხსნი, რომელსაც ბაბასთან ურთიერთობის დროს ვიყენებ. მაგალითად, როგორც კი

აღელდება, ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, ჩემთვის გამოუცნობი მიზეზების გამო, მის დაწყნარებას სახლის ნივთების კატალოგითა და ავეჯის სარეკლამო ფურცლებით ვახერხებ. ორივე ყოველთვის ხელთ მაქვს.

– თუ გინდათ, რომ ჩათვლიმოს, ამინდის არხზე გადაურთეთ ან რამე გოლფთან დაკავშირებულ გადაცემაზე, მაგრამ არასოდეს მისცეთ ნება, რომ კულინარიულ გადაცემას უყუროს.

– რატომ? – არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან აფორიაქებს.

შუადღისას სამივე სასეირნოდ გავდივართ. შინ მალე ვბრუნდებით, ამჯერად ორივეს მიზეზით. ბაბა იღლება, ფარის ართრიტი აწუხებს. თითქოს რაღაცას უფრთხის ბაბა, მე და ფარის შორის აღელვებული აქეთ-იქით

ბარბაცებს. ძველი რვანაჭრიანი ქუდი ახურავს, თავისი უსაყელო ჟაკეტი და შალის სარჩულიანი მოკასინები აცვია. ერთი კვარტალის იქით საშუალო სკოლა და ცუდად მოვლილი ფეხბურთის მინდორია, გადაღმა კი პატარა სათამაშო მოედანი, სადაც ბაბა ხშირად დამყავს. აქ ერთი-ორ დედას ყოველთვის ნახავთ, ბავშვები ჰყავთ ხოლმე გამოყვანილი. საბავშვო ეტლები იქვე დგას. პატარები ქვიშაში თამაშობენ. ხანდახან სკოლის მოსწავლეებსაც შეხვდებით. გაკვეთილებს აცდენენ, დასეირნობენ და სიგარეტს ეწევიან. ბაბასკენ არც კი იხედებიან. და თუ შეამჩნიეს, არაფრისმთქმელი ცივი თვალებით უყურებენ, შეიძლება ითქვას, დამცინავადაც, თითქოს ბაბა ვალდებული იყო, რაიმე განსაკუთრებული მოემოქმედა, რომ არ დაბერებულიყო.

ერთ დღეს განრიგს ვარღვევ და ყავის დასასხმელად სამზარეულოში გავდივარ. მამაჩემი და

ფარი ტელევიქტორინას უყურებენ. ბაბა სავარძელში ზის, ფეხებზე გადაფარებული შალის ქვეშ მოკასინები მოჩანს, თავი წინ აქვს წახრილი, პირი ოდნავ ღია, წარბები შეყრილი – ან

განიცდის, ან დაბნეულია. გვერდით ფარი უზის, ხელები მუხლებზე უწყვია, ფეხები კოჭებთან აქვს გადაჯვარედინებული.

– ეს ვინ არის? – ეკითხება ბაბა.

– ლატიკა.

– ვინ?

– ლატიკა, პატარა გოგო, ნანგრევებში რომ ცხოვრობს. აი, ის, მატარებელზე რომ ვერ ახტა.

– პატარას არ ჰგავს.

– ჰო, მაგრამ წლები გავიდა, ახლა უკვე დიდია.

ერთი კვირის წინ სამივე სათამაშო მოედანზე სკამზე ვისხედით. ფარიმ ბაბას ჰკითხა:

– აბდულა, გახსოვს, უმცროსი და რომ გყავდა?

კითხვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ბაბამ ტირილი დაიწყო. ფარიმ მისი თავი მკერდზე მიიკრა.

– ბოდიში, ძალიან ვწუხვარ, – თავზარდაცემული ამბობდა ფარი და თან ცრემლს წმენდდა. ბაბა ისე მწარედ ქვითინებდა, რომ სულს ძლივს ითქვამდა.

– ეს ვინაა, აბდულა, იცი?

ბაბა ბურდღუნებს.

– ეს ჯამალია, ტელევიქტორინიდან.

– არა, არ არის, – უხეშად ამბობს ბაბა.

– არა?

– ჩაის დამტარებელია.

– მართალია, მაგრამ ჩაის დამტარებელი წარსულში იყო, ეს ის არის…

– მოგონებები, – ისე ვთქვი, ყავის ჭიქიდან პირი არ მომიშორებია.

– ტელევიქტორინა ახლაა, აბდულა, ჩაის რომ ატარებდა, ის წარსულში იყო.

ბაბა თვალებს უაზროდ ახამხამებს. ეკრანზე ჯამალი და სალიმი მუმბაის ცათამბჯენზე ჩამომსხდარან და ფეხებს აქანავებენ. ფარი მამას ისე უყურებს, თითქოს იცის, რომ სადაცაა გონება გაუნათდება.

– აბდულა, შეიძლება, გკითხო? რას იზამ, ერთ დღეს მილიონი დოლარი რომ მოიგო?

ბაბა სახეს მანჭავს, სავარძელში წრიალებს, მერე წელში იმართება.

– მე ვიცი, რასაც გავაკეთებ.

ბაბა გამოცარიელებული თვალებით უცქერის.

– მილიონ დოლარს თუ მოვიგებ, ამ ქუჩაზე ვიყიდი სახლს, შენს მეზობლად ვიცხოვრებ, ყოველდღე მოვალ შენთან და ერთად ვუყურებთ ტელევიზორს.

ბაბა იცინის.

მაგრამ ერთი წუთიც კი არაა გასული მას შემდეგ, რაც ჩემს ოთახში დავბრუნდი, ყურსასმენი გავიკეთე და ბეჭდვას შევუდექი, რომ რაღაცის მსხვრევის ხმა და ბაბას ყვირილი მესმის. ყურსასმენს ვიგლეჯ და სამზარეულოსკენ გავრბივარ. ფარი მიკროტალღური ღუმლის გვერდით

კედელზეა აკრული, ხელები სახეზე აქვს აფარებული, ბაბა ველურად ანთებული თვალებით უყურებს და მხარში ხელჯოხს ურტყამს. მათ ფეხებთან ჭიქის ნამსხვრევები ელავს.

– გაათრიე აქედან! – დამინახა და ფარსის ენაზე ღრიალით მეუბნება, – გააგდე ეს ქალი ჩემი სახლიდან!

– ბაბა!

ფარიმ ფერი დაკარგა. ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდის.

– ღვთის გულისათვის, ჯოხი დაუშვი, ბაბა! ნაბიჯი არ მოიცვალო, ფეხს გაიჭრი! მიძალიანდება, მაგრამ მაინც ვართმევ ჯოხს.

– ეს ქალი ქურდია! წავიდეს აქედან!

– რას ამბობს? – მეკითხება სასოწარკვეთილი ფარი.

– ჩემი აბები მოიპარა!

– არა, ბაბა, ეს მისი აბებია, – მხარზე ხელს ვადებ და სამზარეულოდან გამომყავს. ვგრძნობ, როგორ ცახცახებს. გზად ლამის ისევ ეცეს ფარის, ძლივს ვაკავებ.

– კარგი, ბაბა, საკმარისია. ეს მისი აბებია და არა შენი. ხელები სტკივა და აბებს იღებს. – სავარძელთან სანამ მივიყვან, ყავის მაგიდიდან კატალოგს ვიღებ.

– არ ვენდობი მაგ ქალს, – ამბობს ბაბა, სავარძელში ზღართანით ეშვება. – შენ არ გესმის, იმ წუთში ვხვდები, ვინ არის ქურდი! – ქოშინებს, კატალოგს ხელიდან მტაცებს და

გააფთრებული ფურცლავს. მერე მუხლებზე იგდებს და ქვევიდან მიყურებს. წარბები ზევით აქვს აქაჩული, – მატყუარა! იცი, რა მითხრა? იცი? შენი და ვარო! დაიცადე ერთი, ჯერ სულთანამ გაიგოს!

– კარგი, ბაბა, ერთად ვუთხრათ. – გიჟი!

– დედას ვეტყვით, მერე გულიანად ვიცინებთ და სახლიდან გავაგდებთ ამ გიჟ ქალს. ახლა დაისვენე, ბაბა, ყველაფერი კარგად იქნება.

ტელევიზორს ამინდის არხზე ვრთავ. მის გვერდით ვჯდები. მხარზე ხელს ვუსვამ, სანამ ცახცახი დაცხრება და მისი სუნთქვა შენელდება. ხუთი წუთიც არაა გასული და ბაბას უკვე

ძილი ერევა.

სამზარეულოში ვბრუნდები. ფარი იატაკზე ჭურჭლის სარეცხ მანქანას მიყრდნობილი ზის. შეძრულია. თვალებს ხელსაწმენდით იწმენდს.

– ძალიან ვწუხვარ, – ამბობს ის, – დიდი წინდაუხედაობა იყო ჩემი მხრიდან.

– არა უშავს. – ნიჟარის ქვეშ ცოცხსა და აქანდაზს ვწვდები. იატაკზე ჭიქის ნამსხვრევებს შორის პატარა მოვარდისფრო-ფორთოხლისფერი აბებია მიმოფანტული. სათითაოდ ვკრეფ, შუშის ნამსხვრევებს ვგვი.

— Je suis une imbécile.((@რ.) იმბეცილი ვარ.) მინდოდა, მისთვის სიმართლე მეთქვა. ვიფიქრე, სიმართლეს თუ ვეტყვი… არც ვიცი, რა ვიფიქრე.

ჭიქის ნამსხვევებს სანაგვე ყუთში ვყრი. მუხლებზე ვდგები, ფარის პერანგის საყელოს ვუსწორებ და მხარს ვუმოწმებ, – დაგილურჯდებათ, – გამოცდილი ქალის ხმით ვამბობ. მის

გვერდით ვჯდები. ხელისგულში აბებს ვუყრი.

– ხშირად ემართება?

– ზოგჯერ ასე ამჟავდება ხოლმე. ალბათ ფიქრობთ, რომ პროფესიონალების დახმარებაა საჭირო, არა?

ვხვნეში, თავს ვაქნევ. ბევრი მიფიქრია იმ გარდაუვალ დღეზე, როცა მე ცარიელ სახლში ვიღვიძებ, ბაბა კი მოკუნტული წევს სადღაც, ვიღაცას

მისთვის საუზმე მიაქვს, მერე კი ზის მაგიდაზე დამხობილი და თვლემს.

– ვიცი, – ვეუბნები ჩემს თავს, – მაგრამ ჯერ არა. მინდა, სანამ ძალა შემწევს, მე თვითონ მოვუარო.

ფარი იცინის და ცხვირს იხოცავს. – მესმის.

დარწმუნებული არ ვარ, რომ ესმის. სხვა მიზეზს არ ვეუბნები, ჩემს თავსაც ძლივს ვუმხელ. სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მინატრია, ძალიან მეშინია თავისუფლების. რა მელის, ბაბა რომ აღარ იქნება? მთელ ცხოვრებას აკვარიუმის თევზივით შუშის ჭურჭელში ვატარებ, რომლის კედლები ერთდროულად შეუღწევადიცაა და გამჭირვალეც. ვუცქერ, როგორ მიედინება ცხოვრება, მისი ნათება შორიდან მწვდება და მხოლოდ ის შემიძლია, რომ ჩემი თავი მის ნაწილად წარმოვიდგინო. ჩაკეტილი, შეზღუდული, მკაცრად დადგენილ საზღვრებში მოქცეული, ასეთია ცხოვრება, რომელსაც ბაბა თავს მახვევს – ახალგაზრდობაში განზრახ, ხოლო ახლა, როცა დღითი დღე იფერფლება, უნებურად. თითქოს შუშის კედლებს ბავშვობიდან შევეზარდე, მაშინებს იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება დაიმსხვრეს და თუ ასე მოხდა, უკიდეგანო უცნობ სივრცეს შევუერთდები, უმწეოდ დავიწყებ ფართხალს და მარტო, გზაარეული ჰაერს დავუწყებ ძებნას, რომ სული მოვითქვა.

სიმართლე, რომლის აღიარებაც მიჭირს, ასეთია: ბეჭებზე ბაბას სიმძიმეს უნდა ვგრძნობდე, სხვაგვარად არ შემიძლია.

ასე რომ არ იყოს, რატომ შევწყვიტე სამხატვრო სკოლაზე ოცნება? შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობა არ გამიწევია, როცა ბაბამ მთხოვა ბალტიმორში ნუ წახვალო. ან ნილს რატომ დავშორდი? მზის ბატერეების ასაწყობი პატარა საწარმოს მეპატრონე იყო. კვადრატის ფორმის ნაოჭიანი სახე ჰქონდა. პირველად ბაბას „ქაბაბის სახლში“ ვნახე. ვკითხე, რას შეუკვეთავთ-მეთქი, ამომხედა და გამიღიმა, იმ წუთიდან შემიყვარდა. მომთმენი და მეგობრული იყო. გაწონასწორებული ხასიათი ჰქონდა. ფარის სიმართლე ვერ ვუთხარი. ნილს არ მივუტოვებივარ ჩემზე ლამაზი ქალის გამო, მე ჩავშალე ჩვენი ურთიერთობა. მზად იყო ჩემ გამო მაჰმადიანობა მიეღო და ფარსის გაკვეთილებზე ევლო. მერე სხვა მიზეზების ძებნა დავიწყე, რომ უარი მეთქვა. შემეშინდა. გავიქეცი და თავი ისევ მშობლიური სახლის კუთხე-კუნჭულებსა და კედლის ნაპრალებს შევაფარე.

ფარი ფეხზე დგება. კაბის კალთას იფერთხავს, ხელით ნაკეცებს ისწორებს, ვუცქერ და ვფიქრობ – სასწაულია, ჩემგან სულ რამდენიმე ინჩის მოშორებით დგას.

– რაღაც მინდა, რომ გაჩვენოთ, – ვამბობ მე.

ვდგები და ჩემს ოთახში გავდივარ. კიდევ ერთი თავისებურება, რაც ჩემს ცხოვრებას ახლავს თან, ის არის, რომ რადგან სახლიდან არასოდეს წავსულვარ სადმე, არც არავის უფიქრია, ჩემი ოთახი ძველი ნივთებისგან გაეთავისუფლებინა. არავის წაუღია ჩემი სათამაშოები ავტოსადგომებში გამართულ ვაჭრობაზე, არავის გაუჩუქებია დაპატარავებული ტანსაცმელი.

ვიცი, რომ ოცდაათს მიახლოებულ ქალს ამდენი ბავშვობის დროინდელი ნივთი არ უნდა ჰქონდეს ოთახში. ისინი ძირითადად ჩემი საწოლის ქვეშ, სათავსოშია ჩატენილი. ახლა სწორედ ამ სათავსოს ვხსნი. თოჯინები, ვარდისფერი პონი, რომელსაც იმხელა ფაფარი ჰქონდა, რომ ვვარცხნიდი ხოლმე, სურათებიანი წიგნები, დაბადების დღეების და ვალენტინობის მისალოცი ბარათები, რომლებსაც საბავშვო ბაღის ასაკში მშობლებისთვის ლობიოთი, ბრჭყვიალა ქაღალდებითა და ვარსკვლავებით ვრთავდი. ბოლოს ნილს რომ ველაპარაკე, მითხრა, ვერ დაგიცდი, ფარი, ვერ დაგელოდები, სანამ შენ გაიზრდებიო. სათავსოს თავს ვახურავ და სასტუმრო ოთახში გავდივარ. ფარი ტახტზე ზის, ბაბას პირდაპირ.

გვერდზე ვუჯდები. – აი, – ვამბობ და საფოსტო ბარათების დასტას ვაწვდი.

პატარა მაგიდიდან საკითხავ სათვალეს იღებს და ბარათების დასტაზე შემოხვეულ ზონარს ხსნის. წარბშეკრული უყურებს პირველ ბარათს. ლას ვეგასის ფოტოა, ღამით განათებული „კეისრის სასახლეა“ გადაღებული. ბარათს შლის და ხმამაღლა კითხულობს.

1992 წელი, 21 ივლისი

ძვირფასო ფარი,

ვერც კი წარმოიდგენ, აქ როგორ ცხელა. დღეს ბაბამ მანქანის ძარას ხელი დაადო და დამწვრობა მიიღო! მერე დედამ კბილის პასტა წაუსვა ბებერაზე. „კეისრის სასახლეში“ რომაელ

ჯარისკაცებს ხმლები უჭირავთ, ჩაფხუტები ახურავთ და წითელი ლაბადები აცვიათ. ბაბას უნდოდა, რომ დედას მათთან ერთად გადაეღო სურათი, მაგრამ დედა არ დათანხმდა. მე კი

გადავიღე.

გაჩვენებ, სახლში რომ დავბრუნდები. ჯერჯერობით სულ ეს არის. მენატრები.

ნეტავ აქ იყო.

ფარი

პ. შ. გწერ და თან ყველაზე მაგარ ნაღების ნაყინს ვჭამ.

მეორე ბარათზე გადადის. ჰერსტის ციხესიმაგრე. ახლა ხმადაბლა კითხულობს.

თავისი ზოოპარკი ჰქონდა, რა მაგარია! კენგუროები, ზებრები, ანტილოპები, ბაქტრიანი აქლემები – ეს ისინი არიან, ორი კუზი რომ აქვთ! აი, დისნეილენდის ბარათი – მიკის ჯადოქრის ქუდი ახურავს, ჯადოსნურ ჯოხს იქნევს. დედამ იკივლა, როცა ჭერიდან ჩამომხრჩვალი კაცი ჩამოვარდა! უნდა მოგესმინა, როგორ კიოდა! ლა ჰოიას უბე. ბიგ სური. 17 მილი გზა. მიურ ვუდსი, ტბა ტაჰოუ. მენატრები. აქ ყოფნა ძალიან მოგეწონებოდა.

ნეტავ აქ იყო.

ნეტავ აქ იყო.

ნეტავ აქ იყო.

არი სათვალეს იხსნის.

– შენს თავს სწერდი ბარათებს?

თავს ვაქნევ.

– თქვენ გწერდით, – ვიცინი, – გაუგებარია, არა?

ფარი ბარათებს მაგიდაზე აწყობს და ჩემკენ იწევს.

– მომიყევი.

მაჯაზე საათს ვიტრიალებ.

– გამოვიგონე, რომ ჩვენ ტყუპები ვიყავით, თქვენ და მე. ვერავინ გხედავდათ, ჩემ გარდა. ყველაფერს გიყვებოდით, ყველა საიდუმლოს განდობდით. თქვენ ჩემთვის ნამდვილი იყავით, თქვენთან ერთად თავს მარტო აღარ ვგრძნობდი. დოპელგენერებივით!(გერმ. ფოლკლ.) აჩრდილი-ორეული.) ვცხოვრობდით. იცით ეს სიტყვა?

თვალებში ღიმილი უციმციმებს.

– ვიცი.

– ვფიქრობდი, რომ ჩვენ ერთი ხის ორი ფოთოლი ვიყავით. ქარმა სხვადასხვა მიმართულებით გვაფრინა, თუმცა ერთმანეთთან იმ ხის ერთმანეთში გადახლართული ფესვები გვაკავშირებდა, რომლიდანაც მოვწყდით.

– ჩემთან პირიქით იყო. შენ ამბობ, რომ ჩემს არსებობას გრძნობდი, მე კი იმას, რომ ვიღაც არ იყო, ვიღაც მაკლდა. გაურკვეველი მიზეზით მტკიოდა რაღაც. იმ პაციენტივით ვიყავი, რომელიც ექიმს ვერ უხსნის, სად ტკივა, მაგრამ გრძნობს, რომ ტკივა, – ხელს ხელზე მადებს. ერთი წუთით ორივე ვჩუმდებით.

სავარძელში ბაბა ოხრავს, ადგილს ინაცვლებს. – როგორ ვწუხვარ, – ვამბობ მე.

– რატომ წუხხარ?

– ასე გვიან რომ იპოვეთ ერთმანეთი.

– მაგრამ ვიპოვეთ, – მოზღვავებული გრძნობისგან ხმა ებზარება, – ის ახლა ასეთია, მე ბედნიერი ვარ, მე ის ვიპოვე, ჩემი დაკარგული ნაწილი ვიპოვე, – ხელზე ხელს მიჭერს, – და შენ გიპოვე, ფარი.

მისი სიტყვები ბავშვობის ერთ სურვილს მახსენებს. როცა მარტოობა შემომიტევდა, ფარის სახელს ხმამაღლა ვამბობდი და ექოს ველოდი, მჯეროდა, რომ ერთ დღეს აუცილებლად დამიბრუნდებოდა. ახლა, ამ ოთახში ის წარმოთქვამს ჩემს სახელს, თითქოს წლები, ერთმანეთს რომ გვაშორებდა, სწრაფად, ერთიმეორის მიყოლებით მარაოსავით დაიკეცა, დრო შემჭიდროვდა, ერთ ფოტოსურათად, ბარათად იქცა და თან ჩემი ბავშვობის ყველაზე კაშკაშა რელიკვია მოიტანა. ის ახლა ჩემ გვერდით ზის, ჩემი ხელი უჭირავს და ჩემს სახელს, ჩვენს სახელს იმეორებს. რაღაც, რაც დიდი ხნის წინ ნაწილებად იყო დაშლილი, გამთლიანდა და თავის ადგილას დადგა. ვგრძნობ, რომ მკერდში სითბო მეღვრება და მესმის, როგორ ფეთქავს ჩემ გვერდით მეორე გული.

სავარძელში ბაბა იდაყვებზე იწევს, თვალებს იფშვნეტს და ჩვენკენ იყურება. – რაო, რას ბჭობთ, გოგოებო?

იცინის.

კიდევ ერთი საბავშვო სიმღერა, სიმღერა ავინიონის ხიდზე. ფარი ჯერ მელოდიას დიღინებს, მერე ლექსს ამბობს:

Sur le pont d’Avignon

L’on y danse, I’on y danse

Sur le pont d’Avignon L’on y danse tous en rond.

– მამან მიმღეროდა პატარაობისას, – ამბობს ის. ქარი უბერავს. ფარი შარფს მჭიდროდ

იხვევს. ცივი დღეა, მაგრამ ცა ლურჯია. კაშკაშა მზე ფოლადისფერ რონას გვერდულად ეცემა, მის ზედაპირზე იმსხვრევა და პატარა მბრწყინავ ნაწილებად იფანტება.

– ყველა ფრანგმა ბავშვმა იცის ეს სიმღერა.

პარკში ხის სკამზე ვსხედვართ და წყალს ვუცქერთ. ფარი ლექსს მითარგმნის. მე მდინარის გაღმა გადაშლილი ქალაქის ცქერით ვტკბები. ჩემი ისტორია ახლახან გავარკვიე და ძალიან მეუცნაურება ამ დოკუმენტურად დადასტურებული ისტორიის მქონე ადგილას რომ აღმოვჩნდი. ნამდვილი სასწაულია. ყველაფერი უცნაურად მეჩვენება: კრიალა ჰაერი, მდინარეზე მოვარდნილი ქარი, წყალს ქვიან ნაპირს რომ ახეთქებს, მთელ არემარეს, ყოველ კუთხე-კუნჭულს მოფენილი თვალისმომჭრელი სინათლე. ჩვენი სკამიდან ქვის გალავანი მოჩანს. გალავანი გარს ერტყმის ძველი ქალაქის ცენტრის ერთმანეთში გადახლართულ ქუჩებს. ავინიონის ტაძრის დასავლეთის კოშკის თავზე წმინდა მარიამის მოოქრული ქანდაკება ბრწყინავს.

ფარი ხიდის ისტორიას მიყვება. მეთორმეტე საუკუნეში ერთ მწყემსს ანგელოზები გამოცხდებიან და მდინარეზე ხიდის აგება უბრძანებიათ. ხალხი რომ თავისი ნათქვამის სიმართლეში დაერწმუნებინა, მწყემსს უზარმაზარი

ლოდი აუწევია და მდინარეში ჩაუგდია. მენავეები ყოველ წელიწადს იკრიბებოდნენ რონას ხიდზე, თავიანთი მფარველი წმინდანისთვის, წმინდა ნიკოლოზისთვის, თაყვანი რომ ეცათო. საუკუნეების განმავლობაში ხიდის თაღები წყალდიდობებს შთაუნთქავს. ენერგიულად, ისეთივე მღელვარებით ლაპარაკობს, როგორც იმ დილას, როცა პაპის გოთური სასახლის სანახავად წამიყვანა. აუდიო-მეგზურის ყურსასმენები ეკეთა, ხელით იდაყვზე მეხებოდა ხოლმე, როცა უნდოდა, რომ ამა თუ იმ ფრესკისთვის, ჩუქურთმისთვის, ფერადი მინის ფანჯრებისთვის ან თაღის დეტალისთვის ყურადღება მიმექცია.

გარეთ რომ გამოვედით, თითქმის შეუჩერებლად ყვებოდა წმინდანების, პაპებისა და კარდინალების შესახებ. ტაძრის მოედანი სავსე იყო მტრედებით, ტურისტებით, მყვირალა ფერის სამოსში გამოწყობილი აფრიკელი ვაჭრებით, რომლებიც სამაჯურებსა და იაფფასიან საათებს ჰყიდდნენ. ხის ყუთზე ჩამომჯდარი სათვალიანი მუსიკოსი აკუსტიკურ გიტარაზე „ბოჰემურ რაფსოდიას“ უკრავდა. ამერიკაში ყოფნისას მისთვის ასეთი ენაწყლიანობა არ შემინიშნავს. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი მისი საუბარი ხიდი იყო, ნელ-ნელა გადავდიოთ, სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით რაღაცას, რისი თქმაც მართლა სურდა.

– მაგრამ ნამდვილ ხიდს მალე ნახავ, – ამბობს ფარი. – როცა ყველა ჩამოვა, ერთად წავალთ პონ-დიუ-გარი-ზე. იცი რა არის? არა? Oh Ia Ia. C’est vraiment merveilleux.((ფრ.) ო, ეს, მართლაც, შესანიშნავია.) რომაელებმა ააგეს პირველ საუკუნეში, რომ ერიდან ნიმაში წყალი გადაესროლათ. საინჟინრო ხელოვნების ნიმუშია, ფარი.

საფრანგეთში ოთხი დღე გავატარე, აქედან ორი დღე ავინიონში ვიყავით. ღრუბლიანი, ცივი პარიზიდან მე და ფარი სწრაფმავალი მატარებლით წამოვედით და მატარებლიდან პირდაპირ კრიალა ცის ქვეშ გადმოვაბიჯეთ. თბილი ქარი ქროდა, ყოველი ხიდან ციკადების ჭრიჭინი ისმოდა. სადგურზე გიჟივით დავწვდი ბარგს და გადმოთრევა ძლივს მოვასწარი. გადმოვხტი თუ არა კიბიდან, კარმა დაუსტვინა და დაიკეტა. ჩემთვის გავიფიქრე, ბაბას ვუამბობ რომ ჩავალ, სამი წამიც და მარსელში აღმოვჩნდებოდი-მეთქი.

– როგორ არის? – მკითხა ფარიმ, როცა ტაქსით შარლ დე გოლიდან მის ბინაში მივდიოდით. – წინ მიდის, თავის გზაზე, – ვუპასუხე მე.

ბაბა ახლა მოხუცთა სახლში ცხოვრობს. პირველად რომ წავედი პირობების გასარკვევად, დაწესებულების დირექტორმა, სახელად პენმა, რომელსაც ჟღალი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, იქაურობა დამათვალიერებინა. ჩემთვის გავიფიქრე: ცუდი არ არის. მერე ხმამაღლა ვთქვი: ცუდი არ არის.

სისუფთავე იყო. ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდა, სადაც, როგორც პენიმ თქვა, ყოველ ოთხშაბათს, ხუთის ნახევარზე, ჩაის დასალევად იკრიბებოდნენ მოხუცები. მისაღებში დარიჩინისა და ფიჭვის სუსტი სურნელი ტრიალებდა. ყველა თანამშრომელი, რომლებსაც ახლა სახელებით ვიცნობ, თავაზიანი, მომთმენი და კომპეტენტური ჩანდა. წარმოდგენილი მქონდა, რომ სახლის ბინადრები უძლური მოხუცები იქნებოდნენ, ალბათ დორბლი სდით, ქალებს

ნიკაპზე თმა აქვთ მოშვებული და თავის თავს ელაპარაკებიან, ან ტელევიზორს არიან მიშტერებული-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. უმეტესი მათგანი სულაც არ იყო ძალიან მოხუცი და არც ეტლი სჭირდებოდა ყველას.

– უარესს ველოდი, – ვთქვი მე.

– მართლა? – პროფესიონალის ღიმილით მკითხა პენიმ.

– უკაცრავად, შეურაცხყოფა მოგაყენეთ.

– სულაც არა, ჩვენ კარგად ვიცით, როგორი წარმოდგენა აქვს ხალხს ასეთი ადგილების შესახებ, – მხრის ზემოდან გადმომხედა და სერიოზული ხმით გამაფრთხილა, – ჩვენ ვუვლით და კარგ საცხოვრებელ პირობებს ვუქმნით ჩვენს მობინადარეებს. იმის მიხედვით, რაც მამათქვენის შესახებ მიამბეთ, არ ვარ დარწმუნებული, რომ მისთვის ეს შესაფერისი ადგილია. მგონია, რომ მეხსიერებაზე ზრუნვის განყოფილებაში უკეთ იგრძნობს თავს. აი, მოვედით კიდეც.

კარის გასაღებად ბარათი-გასაღები გამოიყენა.

დახურულ განყოფილებაში ნამდვილად ვერ იგრძნობდით დარიჩინისა და ფიჭვის სურნელს. შიგანი შემეჭმუხნა, კინაღამ შევტრიალდი და წამოვედი. პენი ხელით მხარზე შემეხო, ოდნავ მომიჭირა. ნაზად, თანაგრძნობით შემომხედა. იქაურობას ვათვალიერებდი და დანაშაულის განცდა არ მეშვებოდა, მაინც მოვითმინე, ბოლომდე გავუძელი.

სანამ ევროპაში გავემგზავრებოდი, ბაბას მოსანახულებლად წავედი. ცხოვრებისა და მოვლის განყოფილების მისაღებს ჩავუარე და კარმენს ხელი დავუქნიე. კარმენი გვატემალადანაა, ტელეფონის ზარს პასუხობს. საერთო ოთახი გადავჭერი. ოთახი სავსე იყო მოხუცებით. საკონცერტოდ გამოწყობილი უფროსკლასელების სიმებიან კვარტეტს უსმენდნენ. მრავალფუნქციური ოთახიც თავისი კომპიუტერებით, წიგნის თაროებითა და დომინოს ყუთებით უკან მოვიტოვე, საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ რჩევებსა და განცხადებებს ჩავუარე: – იცოდით, რომ სოიო ცუდ ქოლესტეროლს დაბლა სწევს? არ დაგავიწყდეთ, სამშაბათს დღის 11 საათზე სხვადასხვა საკითხის განხილვა მოეწყობა.

დახურულ განყოფილებაში შევდივარ. კარის აქეთა მხარეს არ ეწყობა ჩაის წვეულებები, არც ბინგოს(ბინგო – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ლოტოს მსგავსი პოპულარული აზარტული თამაში.) თამაშობენ, არც ტაი ჩი-თ(ტაი ჩი – უშუს ნაირსახეობა. უმეტესად გამოიყენება გამაჯანსაღებელი ვარჯიშების სახით.)იწყებენ დილას. ბაბას ოთახში შევედი, მაგრამ არ დამხვდა. ლოგინი დალაგებული იყო, ტელევიზორი გამორთული, საწოლის თავთან პატარა მაგიდაზე წყლით ნახევრად სავსე ჭიქა იდგა. ცოტა მომეშვა. ვერ ვიტან ბაბას საავადმყოფოს საწოლში გვერდზე მწოლიარეს, ბალიშის ქვეშ ხელამოდებულს რომ ვხედავ.

ბაბას ეტლი დასასვენებელი ოთახის ფანჯარასთან იდგა. ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა. ბაბა ეტლში ღრმად ჩამჯდარი დამხვდა. ბამბის ქსოვილის

შარვალი და მაისური ეცვა, რვანაჭრიანი ქუდი ეხურა. მუხლებზე, როგორც პენი იტყოდა, ნერვების დასაოკებელი წინსაფარი ჰქონდა მიფარებული. წინსაფარს თასმები აქვს, რომელსაც წნავს და ღილები, რომელსაც ხსნის და კრავს ბაბა. პენის აზრით, ასე მისი თითები მოძრაობის უნარს ინარჩუნებს.

ლოყაზე ვაკოცე. სკამი მივიწიე და დავჯექი. ახალი გაპარსული იყო. ეტყობოდა, რომ თმა დაუსველეს და ისე დავარცხნეს. სახეზე საპნის სუნი ასდიოდა.

– ხვალ დიდი დღეა, – ვამბობ მე. – ფარისთან მივფრინავ საფრანგეთში. გახსოვს, რომ გითხარი?

ბაბამ თვალები დაახამხამა. მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ ტვინში სისხლის ჩაქცევამდე გაუარესდა. ხანდახან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდა, საცოდავად გამოიყურებოდა. სისხლის ჩაქცევის შემდეგ კი მისი სახე ნიღაბს დაემსგავსა, გვერდზე მოქცეული ოდნავ შესამჩნევი, თავაზიანი ღიმილი გამოესახა და ზედ ნიღაბზე მიეყინა, თვალებამდე ვეღარ აღწევდა. ჩაქცევის შემდეგ ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. ზოგჯერ მისი ტუჩები ერთმანეთს სცილდება და ჩახლეჩილი ხმით ამოიოხრებს: – ააააჰ! – აღმავალი ხმით, თითქოს გაოცებას გამოხატავს, თითქოს წუთით გონება უნათდება.

– ერთმანეთს პარიზში ვხვდებით, მერე მატარებლით ავინიონში მივდივართ. ავინიონი სამხრეთ საფრანგეთშია. მეთოთხმეტე საუკუნეში პაპები ცხოვრობდნენ. დავათვალიერებთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფარიმ თავის შვილებს უთხრა ჩემ შესახებ და ყველა ჩამოსვლას აპირებს.

ბაბამ ღიმილი გააგრძელა. ასე იღიმოდა მაშინაც, როცა ჰექტორი მოვიდა მის მოსანახულებლად, მაშინაც როცა სან ფრანცისკოს უნივერსიტეტის ხელოვნების კოლეჯში

ჩარიცხვის ფურცელი ვაჩვენე.

– შენს დისშვილს, იზაბელს და მის ქმარს, ალბერტს, პროვანსში, ქალაქ ლე ბოსთან ახლოს აგარაკი აქვთ. ინტერნეტში დავათვალიერე, ბაბა, ძალიან ლამაზი ქალაქია. ალპების კირქვიან მწვერვალებზეა გაშენებული. შუასაუკუნეების ციხესიმაგრეს სანახავად ავალთ და იქიდან ბაღებს გადმოვხედავთ. სურათებს გადავიღებ, რომ ჩამოვალ გაჩვენებ.

შორიახლოს ხალათში ჩაცმული მოხუცი ქალი მშვიდად აწყობდა რებუსის ნაწილებს. შემდეგ მაგიდასთან სხვა მოხუცი ქალი, ფაფუკი თეთრი თმით, ცდილობდა, რომ ჩანგლები, დანები და კოვზები ჭურჭლის ყუთში ჩაეწყო. დიდ ტელეეკრანზე ხელბორკილებით ერთმანეთზე გადაბმული რიკი და ლუსი კამათობდნენ.

– ააააჰ! – თქვა ბაბამ.

– ალენი და მისი ცოლი, ანა, ხუთივე შვილთან ერთად ჩამოდიან ესპანეთიდან. ყველას სახელი არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე გავიგებ. და კიდევ, ფარის რაც ძალიან ახარებს, ის არის, რომ მისი უმცროსი შვილი, შენი დისშვილი ტიერიც ჩამოდის. ფარის წლების განმავლობაში არც

უნახავს და არც უსაუბრია მასთან. აფრიკაში მუშაობს. ახლა შვებულებას იღებს და მოფრინავს. ასე რომ, მთელი ოჯახი თავს მოიყრის.

წამოვდექი და წასასვლელად მოვემზადე. კიდევ ერთხელ ვაკოცე ლოყაზე. წუთით სახეზე დავაცქერდი. გამახსენდა, საბავშვო ბაღში რომ მაკითხავდა. მერე დედას „დენისში“(„ დენისი“ – სწრაფი კვების რესტორანთა ქსელი ამერიკაში.) გავუვლიდით ხოლმე. სანამ დედა ცვლას დაასრულებდა, მაგიდასთან ვსხდებოდით, თანამშრომლები მიმასპინძლდებოდნენ და ნაყინის ბურთულას გეახლებოდით. ბაბას იმ დღეს დახატულ სურათებს ვაჩვენებდი. მოთმინებით ათვალიერებდა, ყურადღებით აკვირდებოდა, თავს აქნევდა.

ბაბა ისევ ისე იღიმის.

ოჰ, კინაღამ დამავიწყდა.

დავიხარე და ჩვენი გამოსამშვიდობებელი რიტუალი შევასრულე. თითის წვერები ლოყებიდან დანაოჭებულ შუბლზე გადავატარე, მერე საფეთქლებზე, ჭაღარა თხელ თმაზე, გაუხეშებულ, აქერცლილ თავის კანზე, ყურების უკან და მისი ცუდი სიზმრები განვდევნე, უხილავი ტომარა გავხსენი, შიგ ჩავყარე და თავი მაგრად მოვუკარი.

აი, ასე.

ბაბამ ამოიხრიალა.

ბედნიერ სიზმრებს გისურვებ, ბაბა, ორ კვირაში ისევ გნახავ. ასე დიდი ხნით არასოდეს დავშორებივართ ერთმანეთს.

რომ გამოვდიოდი, თითქოს თვალი გამომაყოლა. მივბრუნდი, მაგრამ ბაბა თავდახრილი იჯდა და ნერვების დასაოკებელი წინსაფრის ღილებით ერთობოდა.

ახლა ფარი იზაბელისა და ალბერტის სახლის შესახებ ლაპარაკობს. სურათები მაჩვენა. ეს ულამაზესი, პროვანსული ძველი ქვის სახლია, ლიუბერონის მთაზე დგას. სახლში შესასვლელი კარის წინ ხეხილის ბაღი და ხეივანია გაშენებული, კარის შიგნით კი მოწითალო-მოყავისფრო ფილები და ღია კოყჭები მოჩანს.

– სურათზე არ ჩანს, მაგრამ არაჩვეულებრივი ხედი იშლება ვოკლუზის მთებზე. – დავეტევით? ძალიან ბევრნი ხომ არ ვართ?

– LIV§ 0ი 988 098 ICVI5, 0IV5 0ი IL, – ინგლისურად როგორაა? რაც მეტია ხალხი, მით მეტია ბედნიერება?

– მხიარულება.

— Ah voila. C’est ¢a.((ფრ.) ხო, ასეა.)

– ბავშვები? ბავშვები სად…

– ფარი?

მისკენ ვიყურები.

– დიახ.

ჩაისუნთქა და ამოსუნთქვას გული ამოაყოლა. – შეგიძლია, ახლა მომცე.

თავს ვუქნევ და ფეხებშუა მოქცეულ ხელჩანთას ვიღებ. წესით მაშინ უნდა მეპოვა, როცა თვეების წინ ბაბა მოხუცთა სახლში წავიყვანე, მაგრამ როცა ბაბას ნივთებს ვალაგებდი, შემოსასვლელის კარადა გამოვაღე და ერთიმეორეზე შეწყობილი ჩემოდნებიდან ყველაზე დიდი ამოვარჩიე. ვიფიქრე, ყველაფერი ერთად ჩაეტევა-მეთქი. მერე, ბოლოს და ბოლოს, თავს მოვერიე და მშობლების ოთახის დასუფთავება დავიწყე. ძველი შპალერი ჩამოვხიე, კედლები შევღებე. მათი სამეფო ზომის საწოლი, დედაჩემის ოვალური სარკე და მაგიდა გავიტანე, კედლის კარადიდან ბაბას შარვლები, პიჯაკები, დედაჩემის შალითებში ჩასმული ტანსაცმელი გამოვალაგე. დიდი ფუთა შევკარი და მანქანის სადგომში გავიტანე. ერთი-ორჯერ წასვლა მომიწევს ტანსაცმლის ჩასაბარებლად. შემდეგ ჩემი საწერი მაგიდა შევიტანე. შემოდგომაზე სწავლა იწყება, სამეცადინო ოთახი მოვიწყვე. ჩემი საწოლის სათავსოც დავცალე. სათამაშოები, ბავშვობის ტანსაცმელი, გაცვეთილი საზაფხულო და სპორტული ფეხსაცმელები ნაგვის ტომარაში ჩავყარე. მშობლებისადმი მიძღვნილ მამის დღის, დედის დღის, დაბადების დღის ბარათებსაც ნაგავში ვუკარი თავი; აღარ შემეძლო მათი ატანა, ძილს მიკრთობდა და გულს მტკენდა. შემოსასვლელის კარადას რომ ვალაგებდი, ორი დარჩენილი ჩემოდანი გადმოვიღე, მანქანის სადგომში მინდოდა გამეტნა, ერთ-ერთში აშკარად რაღაც იყო, ელვა

გავხსენი. სქელი ყავისფერი ქაღალდით შეფუთულ შეკვრაზე წებოვანი ლენტით კონვერტი იყო დამაგრებული. კონვერტზე ხელით მიწერილი სიტყვები წავიკითხე: „ჩემს დას, ფარის“. მაშინვე ვიცანი ბაბას ხელწერა – ქაბაბის სახლში მუშაობის დროს, მე შეკვეთებს ვიღებდი, ბაბას კი სალარო წიგნაკში ჩანაწერი შეჰქონდა.

ახლა ამ შეკვრას გაუხსნელად გადავცემ ფარის.

ფარის შეკვრა მუხლებზე უდევს, ზევიდან დასცქერის და თითებით წარწერას ეფერება. მდინარის გაღმა ეკლესიის ზარი იწყებს რეკვას. მდინარის პირას ლოდზე, ჩიტი მკვდარი თევზის შიგანს ძიძგნის.

ფარი ჩანთაში რაღაცას ეძებს.

— J’ai oublié mes lunettes, —- ამბობს ის, – საკითხავი სათვალე დამრჩა.

– თუ გინდათ, მე წაგიკითხავთ.

ცდილობს, რომ კონვერტი გახსნას და წერილი ამოიღოს, მაგრამ დღეს ცუდი დღეა მისი ხელებისთვის, ბოლოს ისევ მე მაწვდის. კონვერტს ვხსნი, წერილს ვიღებ და ვშლი.

– ფარსის ენაზეა დაწერილი.

– მაგრამ ხომ შეგიძლია, რომ წამიკითხო? არა? – ფარის მღელვარება დაეტყო, – ხომ შეგიძლია, რომ მითარგმნო.

– დიახ, – ვამბობ მე. მეღიმება, ახლა ნამდვილად მადლობელი ვარ მამაჩემის, თუ ძალიან გვიან არაა, სამშაბათობით ქემბელში ფარსის გაკვეთილებზე რომ დავყავდი. ბაბა მახსენდება, ქანცგაწყვეტილი, გზაარეული მიდის უდაბნოში და მის ნაკვალევს გზაზე მიმოფანტული ის პატარა მბრწყინავი ნაწილები შლის, ცხოვრებამ რომ ამოგლიჯა გულიდან.

გაშლილი წერილი ხელში მაგრად მიჭირავს, რომ ქარმა არ წამართვას და ფარის რამდენიმე წინადადებას ვუკითხავ.

„მეუბნებიან, წყალში უნდა შეხვიდე, მეტი გზა არ არისო. სანამ შევაბიჯებ და ჩავიძირები, ნაპირზე ამას გიტოვებ. ვლოცულობ, რომ იპოვო, ჩემო დაო, მინდა იცოდე, რას ვგრძნობდი, როცა ფსკერისკენ მივექანებოდი“.

თარიღიც მითითებულია. 2007 წლის აგვისტო.

– 2007 წლის აგვისტო, – ვამბობ მე. – პირველად მაშინ დაუსვეს დიაგნოზი. – სამი წლით ადრე, ვიდრე ფარის ტელეფონით დაველაპარაკებოდი.

ფარი თავს აქნევს, ხელისგულით ცრემლს იმშრალებს. ორადგილიანი ველოსიპედით ახალგაზრდა წყვილმა ჩაგვიარა. გოგონას მოფერფლისფრო-ქერა თმა და ვარდისფერი პირისახე აქვს, გამხდარია. მის უკან მუქკანიან ბიჭს წვრილ-წვრილ ნაწნავებად ჩაუწნავს თმა.

ოდნავ მოშორებით, ბალახზე მოზარდი გოგონა ზის. ტყავის მოკლე ქვედატანი აცვია, მობილურზე ლაპარაკობს. სულ ერთი ციცქნა, ნახშირივით შავი ტერიერი ღვედით უჭირავს.

ფარი შეკვრას მაწვდის. ვხსნი. შიგ ჩაის ძველი თუნუქის ყუთია. თავსახურზე ფერგადასული სურათია შერჩენილი. წვერიან ინდოელს გრძელი წითელი პერანგი აცვია. ხელში ჩაის ჭიქა ისე უჭირავს, თითქოს ცხელ ჩაის გვთავაზობდეს. ორთქლი თითქმის აღარ ჩანს, ალაგ-ალაგ წითელი პერანგიც გავარდისფრებულა.

რაზას ვხსნი და თავს ვხდი. ყუთი ნაირფერი სხვადასხვა სახის ბუმბულითაა სავსე: მოკლე, მუქი მწვანე ბუმბული, გრძელი ჯანჯაფილისფერი; ატმისფერი, ოდნავ შინდისფერი შეფერილობით – ალბათ გარეული იხვის, ყავისფერი, შავი წინწკლებით; ფარშევანგის მწვანე ბუმბული ბოლოში დიდი თვალით.

ფარისკენ ვბრუნდები. – იცით, ეს რას ნიშნავს? ნიკაპი უცახცახებს. თავს ნელა აქნევს. ყუთს მართმევს და შიგ იყურება.

– არა. მხოლოდ ის ვიცი, რომ როცა ერთმანეთი დავკარგეთ, აბდულამ ყველაფერი უფრო მტკივნეულად განიცადა. მე გამიმართლა, საკუთარმა ბავშვობამ დამიცვა. Je pouvais oublier. ((ფრ.) დავიწყება შევძელი.) დავიწყება ფუფუნება იყო, მე დამავიწყდა, მას – არა.

ერთ ბუმბულს იღებს, მაჯაზე ისვამს; ისე იყურებს, თითქოს ელის, რომ მასში სიცოცხლე გაიღვიძებს და გაფრინდება.

– არ ვიცი, რას ნიშნავს ან რა ამბავი იმალება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში აბდულა ჩემზე ფიქრობდა, ვახსოვდი.

ჩუმად ქვითინებს, მხარზე ხელს ვხვევ. მზის სხივებით გაბრწყინებულ ხეებს ვუცქერ, მდინარეს, რომელიც ჩვენ გასწვრივ და სენ ბენეზეს ხიდის ქვეშ მიედინება. ამ ხიდის შესახებაა საბავშვო ლექსი, ფარიმ რომ წამიკითხა. ხიდისგან მხოლოდ ოთხი თაღია შემორჩენილი, შეიძლება ითქვას, რომ ნახევარხიდია. შუა წყალში წყდება, თითქოს ცდილობს, რომ მეორე ნაპირს შეუერთდეს, მაგრამ მოკლეა, ვერ სწვდება.

ღამით სასტუმროში თვალს ვერ ვხუჭავ. ვწევარ და ფანჯრიდან ვუცქერ, როგორ ეხლებიან ერთმანეთს ღრუბლები, როგორ მიიწევენ სავსე მთვარისკენ. ქვევიდან ქვაფენილზე ქუსლების ბაკუნის, სიცილისა და ლაპარაკის ხმა ამოდის. მოპედები გრუხუნით დაქრიან. ქუჩის გადაღმა რესტორანში ლანგრებზე შუშა წკრიალებს. პიანინოს ჰანგები იღვრება, ფანჯარაში შემოდის და ჩემს ყურს სწვდება.

ფარისკენ ვტრიალდები. ჩემ გვერდით მშვიდად, უხმოდ ძინავს. ღამის შუქზე ფერმკრთალი ჩანს. ვუცქერ და მის სახეში ბაბას ვხედავ, ახალგაზრდა, იმედიან, ბედნიერ ბაბას, ისეთს როგორიც იყო; და ვიცი, ყოველთვის, როცა ფარის შევხედავ, ბაბას დავინახავ. ის ჩემი სისხლი და ხორცია. მალე მის შვილებსა და შვილიშვილებს შევხვდები. მათ ძარღვებშიც ჩემი სისხლი

ჩქეფს. მე მარტო არ ვარ. მოულოდნელი ბედნიერება ნელ-ნელა, წანწკარით მეღვრება სულში, გულში იმედი მესახება და თვალები მადლიერების ცრემლით მევსება.

მძინარეს ვუცქერ. ძილისპირული თამაში მახსენდება, ბავშვობაში მე და ბაბა რომ ვთამაშობდით. ცუდ სიზმრებს ვდევნიდით და კეთილ სიზმრებს ვუძღვნიდით ერთმანეთს. ის სიზმარიც მახსოვს, მე რომ ყოველდამე ვჩუქნიდი ბაბას. ფრთხილად, ისე, რომ არ იგრძნოს,

ფარის შუბლზე ვადებ ხელისგულს, თვალებს ვხუჭავ.

შუადღეა. მზე კაშკაშებს. ისევ ბავშვები არიან, გონიერი, სხარტი, ნათელთვალება ბავშვები. მაღალ ბალახში წვანან, ყვავილებით აბრიალებული ვაშლის ხის ქვეშ. ბალახი ზურგს უთბობთ. კუნწულებიდან მზე იქჭყიტება და სახეზე დასცქერის. თვლემენ, მშვიდად არიან, ერთმანეთის გვერდით ყოფნით კმაყოფილები. ბიჭს თავი ხის ღონიერ ფესვზე უდევს, გოგოს – ქურთუკზე, ბალიშად ძმამ რომ დაუგო. გოგო ოდნავ ახელს თვალებს, ტოტზე შაშვი შემოსკუპებულა. ფოთლებიდან გრილი ნიავი უბერავს. ტრიალდება და უფროს ძმას, ყველა საქმეში თავის მოკავშირეს, შესცქერის, მაგრამ ძალიან ახლოსაა და ამიტომ მხოლოდ შუბლს, ცხვირის ხაზსა და წამწამების ტეხილს ხედავს. მაგრამ მერე რა! ბედნიერია, მასთან, თავის ძმასთან ერთადაა. ძილი ეპარება, გრძნობს, რომ ერთბაშად ეხვევა სრული სიმშვიდის საბურველში. თვალებს ხუყავს. მიცურავს, უზრუნველი, ბედნიერებისგან გასხივოსნებული.

ახლა ყველაფერი ნათელია.